

თინათინ ფერეთლის  
სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

**სისხლის სამართლის სასამართლო  
პრაქტიკის კომენტარი:**

**დანაშაული აღაპიანის  
წინააღმდეგ**

**დაქართველს სისხლის სამართლის  
კოლეჯის თავი XXII-XXIV)**

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი – 2008

აღნიშნული პროექტი განხორციელდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) ფინანსური ხელშეწყობით (გრანტი № GNSF/ST06/2-081).

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) შეხედულებებს.

**პროექტის ღირებულება:** იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი  
ოთარ გამყრელიძე

**პროექტის კოორდინატორი:** რუსუდან ბაქანიძე

**ავტორები:** იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი  
ოთარ გამყრელიძე (137,138,139,140,141,146,147,149,152მმ.)

სამართლის დოქტორი მერაბ ტურავა  
(142<sup>2</sup>, 143<sup>1</sup>, 143<sup>2</sup>, 143<sup>3</sup>, 144<sup>1</sup>, 144<sup>2</sup>, 144<sup>3</sup>, 158, 159, 160მმ.)

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი  
თამარ ებრაელიძე (145, 156, 171, 172, 172<sup>2</sup>, 173, 174, 175, 176მმ.)

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი  
გოჩა მამულაშვილი (143, 144, 153, 154, 155, 157, 168, 169, 170მმ.)

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი  
ელიშერ ფუტყარაძე (150, 151, 161, 162, 163, 164<sup>1</sup>, 164<sup>2</sup>, 164, 164<sup>3</sup>მმ.)  
რუსუდან ბაქანიძე (142, 142<sup>1</sup>, 165, 166, 167 მმ.)

**ნაშრომის რედაქტორია** ოთარ გამყრელიძე

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2008

ISBN 978-9941-10-081-9

*ექვნიება სახელმწიფოსა და სამარლის  
ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლის,  
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის  
ლაპარა სურგულაძის ნაივლ ხსიუნას*

## **რედაქტორის წინასიტყვაობა**

მკითხველს ვთავაზობთ თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში მომზადებულ კრებულს. ის ამ ინსტიტუტის მიერ გამოცემული რიგით მესამე წიგნია, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ცალკეულ მუხლებს გამმარტავს. პირველი წიგნი – დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ 2002 წელს, ხოლო მეორე – ეკონომიკური დანაშაული 2004 წელს დაიბეჭდა.

წინამდებარე კრებული გაცილებით ვრცელ მასალას მოიცავს, ვიდრე ადრე გამოცემულები. წიგნი განმარტავს სისხლის სამართლის კოდექსის სამ თავს (XXII, XXIII, XXIV), რომლებიც ორმოცამდე მუხლს აერთიანებს (137-ე-176-ე მმ.)

ნაშრომში ამ მუხლების განმარტება შეძლებისდაგვარად სასამართლო პრაქტიკის ანალიზს ემყარება. სამწუხაროდ, წიგნზე მუშაობის დროს მიზეზთა და მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა ავტორთა დაშვება პრაქტიკის მასალებზე უშუალოდ სასამართლოში, როგორც ეს ადრე ხდებოდა. ამიტომ იძულებული გავხდით, დავყრდნობოდით გამოქვეყნებულ საკასაციო განჩინებებს, რომლებიც საქმის ფაქტიური გარემოებების სრულ სურათს მაინც ვერ გვაძლევს. საქმის ფაქტიური გარემოებების სრულყოფილად გათვალისწინების გარეშე კი ქმედების იურიდიული კვალიფიკაცია ადვილი არ არის.

მიუხედავად ამისა, ავტორებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა კოდექსის დასახელებული მუხლები შეძლების-დაგვარად სრულყოფილად განემარტათ მკითხველისათვის. წიგნი გამოადგება არა მარტო პრაქტიკოს მუშაკებს ქმედების კვალიფიკაციის დროს, არამედ მას სასწავლო დანიშნულებაც აქვს.

# კარი მეზვიღე

## დანაშაული აღაშინის წინააღმდეგ

### თავი XXII

## დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა დასჯელ შეუსებლობის წინააღმდეგ

### მუხლი 137. გაუკაცინებება

1. გაუკაცინებება, ესე იგი სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით,

— ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.

2. იგივე ქმედება:

ა) ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 138-ე — 141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული;

გ) ჯგუფურად;

დ) დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის ან არასრულწლოვანის მიმართ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თორმეტ წლამდე.

4. იგივე ქმედება:

ჩადენილი დაზარალებულის ან სხვა პირის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით;

რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტი წლამდე.

5. გაუპატიურება იმისა, ვისაც არ შესრულებია თოთხმეტი წელი, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე.

(საქართველოს 2000 წლის 30 ივნისის კანონი №458-სსმ I, 2000 წ., 27, პუბ. 83; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2937-სსმ I, 2000 წ., №4, პუბ. 90)

## შესავალი

გაუპატიურება ადამიანის (ქალის) წინააღმდეგ მიმართულ მძიმე (ზოგჯერ განსაკუთრებით მძიმე) დანაშაულთა რიგს მიეკუთვნება. 137-ე მუხლის პირველი ნაწილით აღწერილია ამ დანაშაულის ქმედების ზოგადი შემადგენლობა.

137-ე მუხლი მოთავსებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე თავში, რომლის სათაურია „დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ“. როგორც ვხედავთ, აქ მოცემულია ორი ცნება – „სქესობრივი თავისუფლება“ და „სქესობრივი ხელშეუხებლობა“. ლიტერატურასა და პრაქტიკაში უდავოდ არის აღიარებული, რომ „სქესობრივი თავისუფლება“ აქვს სრულწლოვანს. ეს იმას ნიშნავს, რომ სრულწლოვანი თავისუფალია სქესობრივი პარტნიორის არჩევის დროს. მთავარია, რომ მას სურდეს სქესობრივი აქტი იმასთან, ვისაც თვითონ აირჩევს. ამიტომ გაუპატიურება ასეთ შემთხვევაში ყოველთვის გულისხმობს სქესობრივ აქტს ქალის ნების საწინააღმდეგოდ.

რაც შეეხება სქესობრივ ხელშეუხებლობას, აქ საქმე გვაქვს არასრულწლოვანთან, რომელიც სქესობრივად ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული. ამიტომ მას არა აქვს სქესობრივი თავისუფლება. არასრულწლოვანის სქესობრივი ხელშეუხებლობა იმას ნიშნავს, რომ სქესობრივი კავშირი ამ ასაკის ქალთან მისი თანხმობის შემთხვევაშიც კი არ შეიძლება.

ცალკე მსჯელობის საკითხია, რას ნიშნავს, როგორ უნდა გავიგოთ ამ შემთხვევაში „არასრულწლოვანის“ ცნება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად არასრულწლოვანია ის, ვისაც ჯერ არ შესრულებია თვრამეტი წელი. თუ ამ ნორმას დავეჯერებთ, გამოდის, რომ თვრამეტი წლამდე ასაკის ქალი სქესობრივად ხელშეუხებელია. მაგრამ ამ საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის აუცილებელია დავეყრდნოთ საქორწინო კანონმდებლობას, რომელიც ქალს დაქორ-

წინების უფლებას აძლევს 16 წლის ასაკიდან, თუ ამას ეთანხმებიან მშობლები.<sup>1</sup>

საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1108-ე მუხლის მიხედვით „საქორწინო ასაკად დადგენილია თვრამეტი წელი“ (16აწ.). ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „გამონაკლის შემთხვევებში თექვსმეტი წლის ასაკიდან დაქორწინება დაიშვება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით“: „ადრეულ ასაკში ქორწინება – წერს რ. შენგელია – უარყოფითად მოქმედებს როგორც ქალზე, ისე მამაკაცზე, რადგან მათ ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ ფიზიკური განვითარების განსაზღვრული დონისათვის. ასეთ ასაკში სქესობრივი ცხოვრება ცუდად მოქმედებს ჯანმრთელობაზე, ფსიქიკა-სა და საერთოდ ადამიანის განვითარებაზე. ძალზე ახალგაზრდა კოლ-ქმარი ვერ იძლევა ჯანმრთელ თაობას“.<sup>2</sup>

ამიტომ, როცა ჩვენ ვამბობთ, რომ სქესობრივი კავშირი არასრულწლოვანთან მისი თანხმობის შემთხვევაშიც კი აკრძალულია, ვგულისხმობთ თექვსმეტ წელს მიუღწეველ ქალს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით სრულწლოვანი მამაკაცი დაისჯება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის „თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლთან“ ნებაყოფლობით სქესობრივ კავშირს დაიჭერს.

მაგრამ ზემოთქმული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს გაუპატიურება მიმართული იყოს როგორც ქალის სქესობრივი თავისუფლების, ისე მისი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ, როგორც ამას რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის განმარტების ავტორი ამტკიცებს.<sup>3</sup> გაუპატიურება ყოველთვის მიმართულია ქალის ნების, ესე იგი მისი სქესობრივი თა-

---

1 ასეთი აზრი გამოთქმული იყო ჯერ კიდევ რუსულ საბჭოურ ლიტერატურაში (იხ. Курс советского уголовного права, изд. „Ленинградского университета“, т.3, 1973, стр. 627)

2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, 28-29-ე გვ.

3 Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации, М., 2000, стр.300; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, 143-ე გვ.



ვისუფლების წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რა ასაკისაა იგი. ეს პირდაპირ ჩანს მოქმედი კანონმდებლობიდან. 137-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობის ნიშნები „ძალადობა“, „მუქარა“ და „უმწეობა“, როგორც გაუპატიურების ხერხები გამოიყენება, როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი ქალის წინააღმდეგ. მეორე მხრივ, სქესობრივი აქტი შეიძლება ქალის ნების საწინააღმდეგოდ მოხდეს, მაგრამ არა ძალადობით, მუქარით ან მისი უმწეობის გამოყენებით. ასეთ დროს არ გვექნება გაუპატიურება.

6. თოდუას აზრით, გაუპატიურების დროს დაზარალებული შეიძლება იყოს მამაკაციც. „არის შემთხვევები, – წერს იგი – როცა ქალები მამაკაცის ნების საწინააღმდეგოდ მასთან ძალადობის გამოყენებით იჭერენ ბუნებრივ სქესობრივ კავშირს. ასეთი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს გაუპატიურებად, რადგან მასში განხორციელებულია სსკ 137-ე მუხლის შემადგენლობის ყველა ნიშანი და, გარდა ამისა, ასეთი ქმედება მამაკაცისათვის არანაკლებ შეურაცხმყოფელია“.<sup>1</sup>

მიუხედავად ამ მტკიცებისა, ავტორი არ ასახელებს, სად ხდება ასეთი შემთხვევები და, თუ ასეთი შემთხვევა, ესე იგი ქალის ძალმომრეობითი მოქმედებით მამაკაცთან სქესობრივი კავშირი სადმე მოხდა, დაკვალიფიცირდა თუ არა ის გაუპატიურებად. ასეთი პრაქტიკა ჩვენ დღემდე არ გვსმენია. ამიტომ ეს საკითხი საზოგადოებას არ აწუხებს. აშკარაა, გაუპატიურების დროს დაზარალებულად ყოველთვის მდებარეობითი სქესის ადამიანი იგულისხმება.<sup>2</sup> ისტორიულად მამაკაცი, დედაკაცთან შედარებით, სქესობრივი აქტიურობით გამოირჩეოდა. ამიტომ ქალს აუცილებლად სჭირდება დაცვა, რათა მამაკაცმა ეს სქესობრივი აქტიურობა ბოროტად არ გამოიყენოს. მაგრამ, თუ, ვთქვათ, სადმე მოხდა მამაკაცზე ქალის სქესობრივი ძალადობა, ეს შეიძლება დაკვალი-

---

1 იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2006, 146-ე გვ. ამ დებულების წინააღმდეგ იხ. ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, 1980, 92-ე გვ.

2 ზაურ მჟავანაძე, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, 2000, 93-ე გვ. იხ. აგრეთვე ზურაბ გოთუა, პასუხისმგებლობა გაუპატიურებისათვის, 1994, მე-8გვ.

ფიცირდეს შესაბამისად სხვა რომელიმე დანაშაულად.<sup>1</sup>

გაუპატიურებული შეიძლება იყოს დამნაშავის, ესე იგი მოძალადის ცოლი. არა აქვს მნიშვნელობა გაუპატიურებული ქალის ზნეობრივ მდგომარეობას. ის შეიძლება იყოს მეძავიც.<sup>2</sup> ეს საკითხი ძველ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვაგვარად წყდებოდა. ჯერ კიდევ გერმანელი მეცნიერი ა. ფოიერბახი წერდა: „გაუპატიურების ხელყოფის საგანი ღირსებაშეუბღალავი ქალია, რომლის ცხოვრების წესი არ ამტკიცებს, რომ ის თავის სხეულს ნებისმიერი მამაკაცის ჟინის დასაკმაყოფილებლად იმეტებს. ამიტომაც მეძავის გაუპატიურება შეუძლებელია. გაუპატიურების კანონი მეძავს არ გულისხმობს. ეს კანონი მეძავთან დაკავშირებით არ გამოიყენება. ძალადობრივი სქესობრივი კავშირი მეძავთან განხილული უნდა იქნეს, როგორც პიროვნების წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი მოქმედება (A. Feuerbach, Lehrbuch des gemeinen für Deutschland gültigen peinlichen Rechts, Giessen, s. 442)“.<sup>3</sup>

## I

### გაუპატიურების შემადგენლობა

#### 1 ქმედების ზოგადი შემადგენლობის ობიექტური მხარე.

გაუპატიურება თავისი ბუნებით ისეთი დანაშაულია, რომელიც მხოლოდ მოქმედებითაა შესაძლებელი. უმოქმედობით გაუპატიურება წარმოუდგენელია. 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – გაუპატიურების ქმედების შემადგენლობა აღწერილობითი შემადგენლობაა. კანონმდებელი აქ აღწერს იმ ხერხებს, რომელთა

---

1 Курс советского уголовного права, изд. „Ленинградского университета“, т.3, стр.629

2 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2006, 146-ე გვ.

3 ა. ფოიერბახზე მითითებისას ვისარგებლეთ წიგნიდან „Курс советского уголовного права“, т. V, М., 1971, стр.150 (ნ. შენიშვნა 3). აქვე ნახეთ რუსი მეცნიერის ი. ფონინციხე მითითება, რომელიც ამ საკითხში ფოიერბახის პოზიციისაკენ იხრებოდა.

გამოყენებითაც დამნაშავე თავის მიზანს აღწევს და ქალის ნების საწინააღმდეგოდ მასთან სქესობრივ კავშირს ამყარებს. ასეთი ხერხებია – ძალადობა, ძალადობის მუქარა და დაზარალებულის უმწეობის გამოყენება.

ა) ძალადობა. ძალადობა ადამიანის სხვადასხვა სიძლიერის მოქმედებაა. გაუპატიურების დროს ძალადობის სიძლიერე ქალის ნების წინააღმდეგობის დაძლევაზეა დამოკიდებული. რაც მეტია ქალის ნების წინააღმდეგობა, მით უფრო მეტი ძალა სჭირდება დამნაშავეს ამ წინააღმდეგობის დასაძლევად. ეს ძალა შეიძლება, ერთი მხრივ, მსხვერპლის, ხოლო, მეორე მხრივ, დამნაშავეის ორგანიზმის ფიზიკურ განვითარებაზე იყოს დამოკიდებული. ამიტომ ზოგჯერ წინააღმდეგობის დასაძლევლად მსხვერპლისათვის ხელების გადაგრეხაც კი საკმარისი იყოს.

საგულისხმოა ამ მხრივ ნ. სამხარაძის საქმე. ნ. სამხარაძემ ავტომანქანიდან მუქარით გადმოიყვანა დაზარალებული ლ. ტ-მე, „..ძალის გამოყენებით შეიყვანა ვ. მეგრელიშვილის საცხოვრებელი სახლის საძინებელ ოთახში, სადაც ერთი ხელით გაუკავა ხელები, მეორეთი კი გახადა ტანსაცმელი და ძალადობით დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი“. ეს საქმე გაუპატიურებად დაკვალიფიცირდა.<sup>1</sup>

გ. შუკაკიძეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის 2003 წ. 6 ივნისის განაჩენით მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით. ეს განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2003 წ. 4 ნოემბრის განჩინებით მხოლოდ სასჯელის ნაწილში შეიცვალა.

განაჩენის თანახმად გ. შუკაკიძემ დაზარალებული ე. კ-მე შეიყვანა ოთახში და „მუქარით უთხრა, გაეხადა ტანსაცმელი. უარის მიღების შემდეგ, განაწყენებულმა, ჩასჭიდა ხელი, გაათრია მეორე ოთახში და ძლიერად მიარტყა ხელი გულმკერდის არეში,

---

<sup>1</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2004, №7,1479-ე გვ.

რის შედეგადაც ე. კ-ძეს სუნთქვა შეეკრა და გულაღმა დაეცა საწოლზე. გ. შუკაკიძემ მას ერთი ხელით გაუკავა ხელები, მეორით კი ტანსაცმელი გახადა და იცოდა რა, რომ ე. კ-ძე იყო არასრულწლოვანი, ძალადობით ორჯერ დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი.<sup>1</sup>

აქედან ისიც ჩანს, რომ ძალადობა, როგორც გაუპატიურების ხერხი, როგორც ამ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშანი, არასრულწლოვანის გაუპატიურების შემთხვევაშიც აუცილებელია.

ზოგჯერ დაზარალებული სხვადასხვა საშუალებით ცდილობს თავის დაცვას და საბოლოოდ ახერხებს კიდევ წინააღმდეგობის დაძლევას.

ი. მ-ძემ „ჩაკეტა ჯიხურის კარი და ფიზიკური ძალადობის გამოყენებით შეეცადა ზ. ზ-შვილის გაუპატიურებას. ამ მიზნით ჯერ შეეცადა კოცნასა და მოფერებას, შემდეგ წააქცია ზ. ზ-იშვილი და შეათრია კუპეში. დაზარალებულმა თავის დაცვის მიზნით ტურნზე და ყურის ბიბილოზე კბენით, ხოლო შემდეგ მაგიდიდან აღებული ჩანგლის ჩარტყმით დაიხსნა თავი და ი. მ-ძემ განზრახვა ვერ მოიყვანა სისრულეში“.<sup>2</sup>

ბ) მუქარა. მუქარა ფსიქიკური ძალადობაა. ვიდრე ფიზიკურ ძალადობას გამოიყენებდეს, დამნაშავე ჯერ ფსიქიკურ ძალადობას, მუქარას მიმართავს დაზარალებულის წინააღმდეგობის დასაძლევად. ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. დამნაშავე ყოველთვის ცდილობს დასახულ მიზანს, რაც შეიძლება, უფრო იოლად მიადწიოს. რაც მთავარია, ფიზიკური ძალადობა მას მდგომარეობას უფრო ურთულებს, უფრო ამძიმებს მის დანაშაულს. ეს მას კარგად აქვს შეგნებული. დამნაშავე ჩვეულებრივ ცდილობს ნაკლები ენერგიის ხარჯვით მიადწიოს მიზანს.

ზოგჯერ მუქარა უშუალოდ სქესობრივი აქტის ჩადენის საშუალებას კი არ წარმოადგენს, არამედ დამნაშავე ამით ამზადებს

---

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2003, №11, 1416-ე გვ.

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, №1, 83-ე გვ.

სქესობრივი აქტის, ესე იგი გაუპატიურების პირობებს. „განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ნ. სამხარაძე დაემუქრა ლ. ტძეს, რომ თუ მანქანიდან არ გადმოვიდოდა, წაიყვანდა თავის დასთან ცხინვალის რაიონში და მშობლებს აღარ ანახებდა. ამით შეშინებული ლ. ტძე გადმოვიდა ავტომანქანიდან და შეეცადა თავის დაღწევას. ამ დროს ნ. სამხარაძემ იგი ძალის გამოყენებით შეიყვანა ვ. მეგრელიშვილის საცხოვრებელი სახლის საძინებელ ოთახში სადაც ერთი ხელით გაუკავა ხელები, მეორეთი კი გახადა ტანსაცმელი და ძალადობით დააყარა მასთან სქესობრივი კავშირი“.<sup>1</sup> როგორც აქედან ჩანს, მუქარამ ძალის გამოყენების პირობები შექმნა.

„2002 წლის 10 ნოემბერს, დაახლოებით 19 საათსა და 30 წუთზე, მთვრალმა ვ. ხიზამბარელმა და კ. ლომიძემ, იმყოფებოდნენ რა ქ. წამებულის გამზირზე, სასტუმრო „მეტეხის“ ტერიტორიაზე შენიშნეს ო. ნ-ძე, რომელიც სამუშაოს დამთავრების შემდეგ აპირებდა სახლში წასვლას. ისინი მივიდნენ ო. ნ-ძესთან, შეეცადნენ მის გაცნობას და კონტაქტის დამყარებას. ო. ნ-ძემ არ მოისურვა მათთან ურთიერთობა, გააჩერა სამარშრუტო ტაქსი და ჩაჯდა. ტაქსში მას შეჰყენენ ხიზამბარელი და ლომიძე. მძღოლი მოატყუეს, თითქოს პოლიციის თანამშრომლები იყვნენ და დანის მუქარით იძულებით ჩამოიყვანეს ო. ნაკაიძე ავტომანქანიდან“, მიიყვანეს ნაცნობის სახლში, სადაც გააუპატიურეს.<sup>2</sup>

აქაც, როგორც ვხედავთ, მუქარა წინ უძღვის გაუპატიურების ფაქტს და ამ დანაშაულის ჩადენის მომზადების სტადიას წარმოადგენს. მეორე მხრივ, მუქარა შეიძლება იყოს ისეთი, რომელიც უშუალოდ სქესობრივი აქტის ჩადენას ემსახურებოდეს, ქალის ნების წინააღმდეგობის დაძლევისკენ იყოს მიმართული. სწორედ ასეთი მუქარა იგულისხმება 137-ე მუხლის პირველ ნაწილში. რას ნიშნავს ამ მუხლის პირველ ნაწილში ნახსენები სიტყვები „მუქარა“, როგორია მისი შინაარსი, რას უნდა ემუქრებოდეს დამნაშავე ქალს, რომ მისი წინააღმდეგობა დაძლიოს და ამ გზით

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2004, №7, 1479-ე გვ.

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2003, №11, 1538-ე გვ.

მასთან სქესობრივი კავშირი დაამყაროს? 137-ე მუხლში ნათქვამია: „სქესობრივი კავშირი ძალადობით“. ამიტომ ჯერ უნდა გაეარკვიოთ, რას ნიშნავს, რა შინაარსს შეიცავს ტერმინი „ძალადობა“. ამ ტერმინის შინაარსის გარკვევაზე დამოკიდებულია შემდეგ „მუქარის“ შინაარსის გარკვევაც, რადგან დასახელებულ მუხლში აღნიშნულია: სქესობრივი კავშირი „ძალადობის მუქარით“. მამასადამე, „მუქარის“ შინაარსი დამოკიდებულია „ძალადობის“ შინაარსზე.

მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ცნებები ერთმანეთს ყოველთვის არ ემთხვევა. „ძალადობის“ ცნება, ვფიქრობთ, უფრო ვიწრო უნდა იყოს, ვიდრე „ძალადობის მუქარის“ ცნებაა. „ძალადობა“ ნიშნავს სქესობრივი აქტის დაწყარებას ფიზიკური ძალის გამოყენებით ქალის ნების საწინააღმდეგოდ. სხეულის დაზიანება, მაგალითად, თავში ჩარტყმა, რამაც ქალი უმწეო მდგომარეობაში ჩააგდო, ხელების გადაგრეხა, ქალის ძალით ლოგინზე დაწვენა, ძალით ტანსაცმლის გახდა და სქესობრივი კავშირის დაჭერა ქალის წინააღმდეგობის დაძლევის გზით და სხვა.

რაც შეეხება მუქარას, დამნაშავე მსხვერპლს შეიძლება დაემუქროს მოკვლით, სხეულის დაზიანებით იმ შემთხვევაში, თუ ის წინააღმდეგობას უწევს, მცირეწლოვანი შვილის მოკვლით, რომელიც ქალს თან ახლავს და სხვა. საგულისხმოა ამ მხრივ, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 131-ე მუხლის ტექსტი, სადაც მუქარა ასეა გადმოცემული: ძალადობის გამოყენების მუქარით „დაზარალებულის ან სხვა პირის მიმართ“.

მუქარა ზოგჯერ შეიძლება ცეცხლსასროლი იარაღითაც. არა აქვს მნიშვნელობა იმ ფაქტს, ნამდვილად შეიძლება თუ არა ამ იარაღით ცოცხალი მიზნის დაზიანება. მაგალითად, დამნაშავემ სათამაშო იარაღით შეაშინა ქალი და დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი. ეს გაუპატიურებად დაკვალიფიცირდება, რადგან დამნაშავემ ამ გზით დაძლია ქალის ნების წინააღმდეგობა. სამაგიეროდ სათამაშო იარაღით თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის დასაუფლებლად ყაჩაღობის შემადგენლობას არ მოგვცემს. ასეთი შემთხვევა

---

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2006, 147-ე გვ.

მარცვად დაკვალიფიცირდება, რადგან ყაჩაღობა სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის თანახმად მოითხოვს „სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის“ საშიშ ძალადობას ან ასეთი ძალადობის მუქარას: ამიტომ ამ შემთხვევაში ეს ძალადობა ან მუქარა რეალურად უნდა იყოს საშიში დაზარალებულისათვის.<sup>1</sup> რაც შეეხება გაუპატიურებას, აქ რეალურად საშიში მუქარა აუცილებელი არ არის. მთავარია, დაძლეული იყოს ქალის ნების წინააღმდეგობა.

შესაძლებელია დამნაშავე ქალს სახლის დაუყონებლივი დაწვით დაემუქროს.<sup>2</sup> რეალურად მოხდება თუ არა ეს, ამას მნიშვნელობა არა აქვს. აქაც მთავარია, რომ ქალი შეშინდეს და ამ გზით დაიმორჩილოს ის დამნაშავემ; გადამწყვეტია ქალის წინააღმდეგობის დაძლევა. თავის მხრივ, წინააღმდეგობა უნდა იყოს რეალური და არა მოჩვენებითი.

მუქარა უნდა იყოს ამწუთიერი, ესე იგი ქალმა უნდა იცოდეს, რომ მუქარა, თუ ის სქესობრივ აქტზე დამნაშავეს უარს ეტყვის, მაშინვე აღსრულდება. მაგრამ, თუ მუქარა მომავლისაკენაა მიმართული, როცა ქალს დრო ეძლევა, რომ ამ მუქარის წინააღმდეგ იმოქმედოს, მაშინ სქესობრივი აქტი დამმუქრებელთან გაუპატიურებად არ დაკვალიფიცირდება. ეს არ იქნება ქალის ნების წინააღმდეგობის ისეთი დაძლევა, რომელიც გაუპატიურებად უნდა დაკვალიფიცირდეს.

გ) გაუპატიურება „დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით“. დაზარალებულის უმწეობა გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა ქალს არ გააჩნია უნარი დამნაშავეისათვის წინააღმდეგობის გაწევისა. სწორედ ამ მდგომარეობას იყენებს დამნაშავე და ამყარებს მასთან სქესობრივ კავშირს. უმწეობა შეიძლება ორმაგი იყოს – ფიზიკური და ფსიქიკური.

ფიზიკური უმწეობა გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა ქალი სრულ გონებაზეა და ყველაფერი კარგად ესმის, რაც მის გარშემო ხდება იცის, რომ მასთან მამაკაცი სქესობრივ კა-

---

1 იხ. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ოთარ გამყრელიძე, უვარგისი იარაღით თავდასხმა სხვისი ქონების დაუფლებისათვის კრებულში – „ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის“, 1998 წ. 209-212-ე გვ. გვ.

2 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2006, 148-ე გვ.

ვშირს ამყარებს, მაგრამ ფიზიკური სისუსტის გამო არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს მას. ფიზიკური უმწეობა შეიძლება გამოწვეული იყოს ავადმყოფობით, მაგალითად, ქალი ხელ-ფეხს ვერ ამოძრავებდეს და ა. შ. მაგრამ ასეთ დროს ქალმა სიტყვიერად მაინც უნდა გამოხატოს თავისი წინააღმდეგობა და აგრძნობინოს მამაკაცს, რომ მასთან სქესობრივი აქტი არ სურს. სხვაგვარად შეუძლებელია იმის დადგენა, რომ სქესობრივი აქტი ქალის ნების საწინააღმდეგოდ მოხდა.

მეორე მხრივ, ქალის ფიზიკური უმწეობა შეიძლება გამოწვეული იყოს დამნაშავეის ძალადობითაც. საბოლოოდ ყოველგვარი გაუპატიურება ქალის უმწეობის შედეგია. ძალადობა, ძალადობის მუქარა ქალს საბოლოოდ უმწეო მდგომარეობაში აყენებს, რაც საშუალებას აძლევს დამნაშავეს, დაამყაროს მასთან სქესობრივი კავშირი. მაგრამ 137-ე მუხლის ტექსტი-გაუპატიურება „დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით“ გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა ეს უმწეობა დამნაშავეს კი არ გამოუწვევია, არამედ ქალი დამნაშავეისაგან დამოუკიდებლად აღმოჩნდა ასეთ მდგომარეობაში და ეს დამნაშავემ გამოიყენა. ამიტომ არასწორია ლიტერატურაში გავრცელებული აზრი, თითქოს დაზარალებულის უმწეობაში იგულისხმება არა მარტო ის შემთხვევა, როცა მსხვერპლი დამნაშავეისაგან დამოუკიდებლად აღმოჩნდა ასეთ მდგომარეობაში, არამედ ისეთიც, როცა თვითონ დამნაშავემ თავისი მოქმედებით გამოიწვია მისი უმწეობა.<sup>1</sup>

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე ვერ დავეთანხმებით იმ ავტორს, რომელიც წერს: „შეიძლება მოხდეს ისე, რომ დამნაშავემ ქალი ძალადობის გამოყენებით მიიყვანოს უმწეო მდგომარეობაში. მაგალითად, ჯერ გაკოჭა და ვენაში შეუყვანა დამაძინებელი საშუალება. შემდეგ კი, ღრმა ძილის დროს მასთან დაამყარა

---

<sup>1</sup> „მნიშვნელობა არა აქვს იმას, მოძალადემ თვითონ ჩააყენა დაზარალებული უმწეო მდგომარეობაში, თუ ისარგებლა ასეთი მდგომარეობით, რომელიც მის გარეშე იყო შექმნილი“ (იხ. ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, 95-ე გვ.). ასეთივე აზრია გამოთქმული რუსულ ლიტერატურაშიც (იხ. Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. м. 2000, стр. 302)



სქესობრივი კავშირი. ასეთ შემთხვევაში მას ბრალად წაყენება გაუპატიურება როგორც ძალადობის, ასევე უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, რაც ზეგავლენას მოახდენს სასჯელზე“<sup>1</sup>.

ჩვენ რომ ამ გზით წავიღეთ, მაშინ ძალადობის ყველა შემთხვევაში უნდა წავუყენოთ დამნაშავეს ბრალად გაუპატიურება დაზარალებულის „უმწეო მდგომარეობის გამოყენებით“ და გავუძლიეროთ სასჯელი. რა არის ძალადობის მიზანი? ძალადობის მიზანი ქალის უმწეო მდგომარეობაში ჩაყენებაა. რას ნიშნავს ქალის ნების წინააღმდეგობის დაძლევა, რასაც დამნაშავე ძალადობით აღწევს? ქალის ნების წინააღმდეგობის დაძლევა, მისი უმწეო მდგომარეობაში ჩაყენებაა. სხვაგვარად დამნაშავე მასთან სქესობრივ კავშირს ვერ შეძლებს.

იგივე უნდა ითქვას 137-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობის ისეთ ნიშანზეც, როგორცაა „მუქარა“. მუქარასაც დამნაშავე იმისათვის მიმართავს, რომ ქალი უმწეო მდგომარეობაში ჩააყენოს და დაუბრკოლებლად დაიჭიროს მასთან სქესობრივი კავშირი. ასე რომ, კანონმდებელს 137-ე მუხლით მხედველობაში აქვს მხოლოდ და მხოლოდ უმწეობის ის შემთხვევა, როცა ქალი დამნაშავეს 137-ე მუხლით დამოუკიდებლად არის ასეთ მდგომარეობაში, როცა დამნაშავეს აღარ სჭირდება არც ძალადობა, არც მუქარა და პირდაპირ ამყარებს მასთან სქესობრივ კავშირს. სულ სხვა საკითხია, როცა მამაკაცი ქალს უმწეო მდგომარეობაში ჩააყენებს არა ძალადობით ან მუქარით, არამედ შეაცდენს მას, ვთქვათ, დაათრობს და ა. შ.

ზემოთ ჩვენ ვისაუბრეთ დაზარალებულის ფიზიკურ უმწეობაზე. მაგრამ უმწეო მდგომარეობაში ქალი შეიძლება აღმოჩნდეს მისი ფსიქიკური მდგომარეობის გამოც. ამ მხრივ საყურადღებოა დ. იორამაშვილის საქმე. „დ. იორამაშვილმა ისარგებლა ოლიგოფრენიით დაავადებული 28 წლის ვ. ნასიბაშვილის უმწეო მდგომარეობით და 1999 წ. აგვისტოში გორის რაიონის სოფ. ტინისხიდში, ვ. ნასიბაშვილის მშობლების კუთვნილ ბაღში არსებულ ქოხში, სქესობრივი კავშირი დაამყარა მასთან. ამ დანაშაულებრივ

---

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2006, 147-ე გვ.

ქმედებას დ. იორამაშვილი აგრძელებდა შემდგომშიც ერთი თვის განმავლობაში“.<sup>1</sup>

უმწეო მდგომარეობაში ქალი შეიძლება აღმოჩნდეს სიმთვრალის გამოც. შესაძლებელია აგრეთვე მამაკაცმა სქესობრივი კავშირი დაამყაროს მძინარ ქალთან. სქესობრივი აქტის პროცესში, რასაკვირველია, ქალი გამოიღვიძებს, მაგრამ დამნაშავეს მისი წინააღმდეგობის დასაძლევად დიდი ძალისხმევა აღარ დასჭირდება. ზემოთ ჩვენს მიერ განხილული ის საკითხი, რომ უმწეო მდგომარეობაში ქალი შეიძლება დამნაშავემ თვითონ ჩააყენოს, სწორედ ამ შემთხვევებს ეხება. მამაკაცმა შესაძლოა ქალი მისი შემდგომი გაუპატიურების მიზნით თვითონ დაათროს ან მას დასაძინებელი წამალი მისცეს. შესაძლოა ქალი დამნაშავეისაგან დამოუკიდებლად აღმოჩნდეს ასეთ მდგომარეობაში. ამას მნიშვნელობა არა აქვს.

უმწეო მდგომარეობას ქმნის აგრეთვე დაზარალებულის მცირეწლოვანებაც, რაზედაც ქვემოთ დაწვრილებით ვისაუბრებთ.

## 2. სპეციალური შემადგენლობის ობიექტური მხარე

აქამდე ჩვენ ვიხილავდით გაუპატიურების ზოგად შემადგენლობას, რომელიც 137-ე მუხლის პირველი ნაწილითაა აღწერილი. ახლა გადავდივართ ამ დანაშაულის სპეციალური შემადგენლობის განხილვაზე, რომელიც აღწერილია 137-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილებით. დავიწყოთ მე-2 ნაწილით.

ა) 137-ე მუხლის მე-2 ნაწილი გაუპატიურების შემადგენლობის ორ ნიშანს გამოყოფს, რომლებიც აძლიერებენ პასუხისმგებლობას ამ დანაშაულის ჩადენისათვის. პირველი ნიშანია გაუპატიურება „ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით“ („ა“ პ.). „სამსახურებრივი მდგომარეობა“ ზოგჯერ დამნაშავეს უადვილებს ამ დანაშაულის ჩადენას. ეს გაადვილება იმით გამოიხატება, რომ ქალი, რომელიც დამნაშავეის სამსახურებრივ დაქვემდებარებაშია, უმწეო მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს. სამსახურებრივი მდგომარეობა ნიშნავს იმას, რომ ქალი შეიძლება

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2003, №2, 163-ე გვ.

იყოს დამნაშავეის სამსახურებრივ დაქვემდებარებაში. მაგალითად, მუშაობს მდივნად, ხოლო დამნაშავეს დირექტორის ადგილი უკავია. უფროსი მას ემუქრება, რომ თუ არ დაიჭერს მასთან სქესობრივ კავშირს, გაათავისუფლებს სამსახურიდან. თანაც ქალს წასასვლელი არსად აქვს, სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში ის მატერიალურად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება, შესანახი ყავს ოჯახი, რომელსაც სხვა შემოსავალი არ აქვს და ა. შ.

„სამსახურებრივი მდგომარეობა“ ნიშნავს არა მარტო ისეთი სამსახურის გამოყენებას ქალის ნების წინააღმდეგობის დასაძლევად, როგორცაა სახელმწიფო სამსახური, არამედ სხვა სახის სამსახურიც (სამეწარმეო საქმიანობა თუ სხვა კერძო სამსახური).

სამსახურებრივი დაქვემდებარება შეიძლება გამოიხატოს ექიმისა და ავადმყოფის ურთიერთობაშიც. ექიმს შეუძლია ავადმყოფის მიმართ, რომელიც ამა თუ იმ სნეულების გამო უმწეოა, გამოიყენოს თავისი, როგორც ექიმის, სამსახურებრივი მდგომარეობა. შესაძლებელია, რომ „...ექიმმა მასთან დახმარებისათვის მისული პაციენტის სხეულში შეიყვანოს ძლიერი დამაძინებელი წაიალი და შემდეგ უმწეო მდგომარეობის გამოყენებით მასთან დაამყაროს სქესობრივი კავშირი“.<sup>1</sup>

137-ე მუხლის მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობის შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა გაუპატიურება, „რამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი“ („ბ“ პ.). ეს პუნქტი, როგორც ვხედავთ, ორი ნიშნისაგან შედგება. პირველი ნიშანია „დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება“. ამ ცნების განმარტებისას ჩვენ ვალდებული ვართ, ვიხელმძღვანელოთ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით, სადაც მძიმე დაზიანების ცნებაა მოცემული. ამ მუხლის მიხედვით, მძიმე დაზიანებაა „სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ანდა რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა,

---

<sup>1</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2006, 150-ე გვ.

სახის წარუშლელი დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან“ (პირველი ნაწილი).

როგორც აქედან ვხედავთ, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გულისხმობს არა მხოლოდ ფიზიკურ დაზიანებას, არამედ ფსიქიკურსაც – ამას გვაფიქრებინებს კანონმდებლის სიტყვები – „ფსიქიკური ავადმყოფობა“. ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ჩვეულებრივ შეიძლება გამოიწვიოს გაუპატიურებამ, რომელიც ჩადენილია „ძალადობით“. მაგალითად, ხელების გადაგრეხვას შეიძლება ხელის მოტეხა მოჰყვეს და ამით ხელმა თავისი ფუნქცია დაკარგოს და ა. შ. თავში ჩარტყმა დაზარალებულისათვის შეიძლება სიცოცხლისათვის სახიფათო აღმოჩნდეს. ზ. ხუცურაულმა მცირეწლოვან მ. მ-შვილს „გაუპატიურების გასაადვილებლად, განზრახ ჩაარტყა ქვა თავში და მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება მარჯვენა თხემის ძვლის ხაზოვანი მოტეხილობით, თავის ტვინის დაჟეჟილობით, დაჟეჟილი ჭრილობებით თხემისა და მარჯვენა თვალ-ბუდის მიდამოში“<sup>1</sup>. ამის გამო ზ. ხუცურაულის ქმედება სავსებით სწორად დაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის იმ პუნქტით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას გაუპატიურებისათვის დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით.

137-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი გაძლიერებულ პასუხისმგებლობას გაუპატიურებისათვის, თუ მას მოჰყვა „სხვა მძიმე შედეგი“. სხვა მძიმე შედეგი იქნება, მაგალითად, თვითმკვლელობა, დაზარებულმა გაუპატიურების შემდეგ თავი მოიკლა და ა. შ. ვთქვათ, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ქალი აფრთხილებდა მოძალადეს, თუ თავს არ დაანებებდა თავს მოიკლავდა, რაც შეასრულა კიდევ.

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2004, №4, 230-ე გვ.

137-ე მუხლის მე-3 ნაწილი ოთხ დამამძიმებელ გარემოებას მოიცავს. პირველი ასეთი გარემოებაა გაუპატიურება „არაერთგზის“. ტერმინი „არაერთგზისობა“ პირველად 1999 წლის 22 ივლისის კოდექსმა შემოიტანა. 1960 წლის კოდექსი ამის ნაცვლად ხმარობდა ტერმინს „გამეორება“. „არაერთგზისობა“ რუსული „НЕОДНОКРАТНОСТЬ“-ის ქართული კალკია. „არაერთგზისობა“ ისევე, როგორც „გამეორება“ ნიშნავს ისეთ შემთხვევას, როცა დამნაშავეს, რომელმაც გაუპატიურება ჩაიდინა, ადრე ერთხელ მაინც აქვს ჩადენილი ასეთივე დანაშაული. „არაერთგზისობის“ ცნება მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლით. ამ მუხლის შინაარსი შეიცვალა 2007 წლის 4 ივლისის კანონით, რომლის მიხედვით „1. არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას“. ამ მუხლის ადრინდელი რედაქციით ნასამართლობის ნიშანი არ იყო აუცილებელი არაერთგზისობისთვის. საკმარისი იყო, რომ დამნაშავეს ადრე ჩადენილი გაუპატიურების შემდეგ, რომლისთვისაც ის ჯერ კიდევ არ იყო გასამართლებული, კვლავ ჩაედინა ახალი გაუპატიურება, რასაკვირველია, იმ პირობით, თუ წინა გაუპატიურება ჯერ კიდევ არ იყო ხანდაზმული და საქმის აღძვრას ეს მომენტი ხელს არ უშლიდა.

ამ ახალი რედაქციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, როცა წინა გაუპატიურებისთვის ქმედების ჩამდენი ნასამართლევი არ არის, მეორე გაუპატიურება 137-ე მუხლის პირველი ნაწილით უნდა დაკვალიფიცირდეს. ხოლო ის გარემოება, რომ მან განმეორებით ჩაიდინა გაუპატიურება, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სასჯელის დანიშვნის დროს და დაამძიმოს პასუხისმგებლობა.

„არაერთგზის“ გაუპატიურება არ გვექნება მაშინ, თუ წინა გაუპატიურებისათვის ქმედების ჩამდენს ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს.

„არაერთგზისი“ გაუპატიურება გვექნება არა მარტო მაშინ, როცა ქმედების ჩამდენმა იგივე ქალი გაუპატიურა, რომლის გაუპატიურებისათვის ის ნასამართლევი იყო, არამედ მაშინაც, როცა დაზარალებული ერთი და იგივე ქალი არ არის.

137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით გაუპატიურების

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა გაუპატიურება იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 138-ე-141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული. სიტყვები „ადრე ჩადენილი ჰქონდა“ მიგვანიშნებს იმაზე, რომ რომელიმე აქ დასახელებული მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გაუპატიურებას წინ უნდა უძღოდეს. იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იმავე დაზარალებულის მიმართ გაუპატიურების დროს რომელიმე აქ დასახელებული მუხლით აღწერილი ქმედებაცაა ჩადენილი, მაშინ გვექნება მხოლოდ დანაშაულთა ერთობლიობა. 137-ე მუხლით და იმ მუხლით, რომლითაც ეს ქმედებაა აღწერილი.

როცა ლაპარაკია იმაზე, ადრე ჩადენილი უნდა იყოს სსკ-ის 138-ე-141-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები, მხედველობაშია მისაღები ის, რომ ადრე ჩადენილი დანაშაულისთვის დამნაშავე შეიძლება გასამართლებული იყოს. ასეთ დროს გაუპატიურების 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით კვალიფიკაციის შემთხვევაში არ უნდა იყოს წინა დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის დამნაშავე გასამართლებული არ ყოფილა, მაშინ არ უნდა იყოს გასული ამ დანაშაულისათვის დამნაშავეის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა.

მაგრამ აქ მხედველობაში ერთი გარემოებაა მისაღები. თუ ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის (138-ე-141-ე მმ) დამნაშავე პასუხისგებაში არ ყოფილა მიცემული, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ერთობლიობის წესით, ვთქვათ, 138-ე მუხლით და 137-ე მუხლის პირველი ნაწილით ან ამავე მუხლის რომელიმე სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშნით, გარდა 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტისა. წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა სისხლის სამართლის ისეთი ფუნდამენტური პრინციპი, როგორცაა ნე ბის ინ იდემ – ერთი ქმედებისათვის ორჯერ პასუხისმგებლობა დაუშვებელია.

137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გაძლიერებული პასუხისმგებლობაა დაწესებული ჯგუფური გაუპატიურებისათვის. ჯგუფური დანაშაული იგივე თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულია, რაზედაც ჩვენ ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი. ჯგუფი

სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს. ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე მუხლითაა განსაზღვრული ჯგუფური დანაშაულის სახეები (იხ. 27 მ).

137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა „წინასწარი შეცნობით ორსული ქალის ან არასრულწლოვანის“ გაუპატიურებისათვის. პასუხისმგებლობას ამ შემთხვევაში ამძიმებს ქალის მდგომარეობა. ორსული ქალის გაუპატიურება საფრთხეს უქმნის აგრეთვე ნაყოფს, რომელიც დედის ორგანიზმშია და დიდი სიფრთხილით მოპყრობას მოითხოვს. ორსული ქალის მოქმედებამ, რომელიც წინააღმდეგობას უწევს დამნაშავეს, ვთქვათ, ფიზიკურად იცავს თავს, შეიძლება ცუდად იმოქმედოს ნაყოფზე და მის სიცოცხლეს საფრთხეც შეუქმნას და ა. შ.

137-ე მუხლის მე-3 ნაწილის ამავე პუნქტით პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული აგრეთვე „არასრულწლოვანის“ გაუპატიურებისათვის. სისხლის სამართლის კოდექსი დაზარალებულის ასაკს არ განსაზღვრავს. კანონით განსაზღვრულია მხოლოდ დამნაშავეის ასაკი. ამიტომ, როცა დაზარალებულის არასრულწლოვანებაზეა ლაპარაკი, ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 მუხლით, სადაც არასრულწლოვანი დამნაშავეის ასაკია მოცემული. ამ მუხლის თანახმად არასრულწლოვნად ითვლებოდა ის, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა თოთხმეტი წელი, მაგრამ არ შესრულებია თერამეტი წელი.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 მუხლი შეიცვალა ამავე კოდექსის 33-ე მუხლის საფუძველზე. 2007 წ. 23 მაისის კანონით კოდექსის 33-ე მუხლის აღრინდელი ფორმულირება ასე ჩამოყალიბდა: „ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი, ხოლო ამ კოდექსის 108-ე, 109-ე, 117-ე, 137-ე, 178-ე (გარდა პირველი ნაწილისა), 179-ე და 238<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედება იმისა, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თორმეტი წელი“.

ამ ჩამონათვალიდან ჩვენთვის ამ შემთხვევაში საყურადღებოა

მხოლოდ 137-ე მუხლი. როგორც 33-ე მუხლის ახალი ფორმულირებიდან ირკვევა, 12 წლიდან პასუხისმგებლობა გაუპატიურებისათვის შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმას, ვინც ამ ასაკში ჩაიდინა 137-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 ან მე-5 ნაწილით აღწერილი შემადგენლობა.

რაც შეეხება 137-ე მუხლის პირველ ნაწილს, აქ აღწერილი ქმედება ბრალად შეერაცხება მხოლოდ იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე უკვე შეუსრულდა თოთხმეტი წელი.

137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტით პასუხისმგებლობაა დაწესებული გაუპატიურებისათვის, თუ ის ჩადენილია „დაზარალებულის ან სხვა პირის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით“. აქ, როგორც ვხედავთ, უბრალოდ სისასტიკეზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ მხედველობაშია „განსაკუთრებული სისასტიკე“. ამიტომ სასამართლომ უნდა კარგად დაასაბუთოს სისასტიკის „განსაკუთრებული“ ხასიათი, რაც შეიძლება გამოიხატოს როგორც ფიზიკურ, ასევე სულიერ ტანჯვაში. ფიზიკური ტანჯვა მაშინ არის, როცა ამას თვითონ მსხვერპლი განიცდის გაუპატიურების დროს, მაგალითად, გაუპატიურების დროს დამნაშავე დაზარალებულს კოცნის დროს აკენიტავს ტუჩებს, ძუძუებს და ა. შ. სულიერი ტანჯვა გვექნება მაშინ, როცა დამნაშავე ქალიშვილს მამის თვალწინ ხდის საცვლებს და მასთან ძალით ამყარებს სქესობრივ კავშირს. ამ შემთხვევაში იტანჯება როგორც სხვა პირი – მამა, ისე თვითონ დაზარალებული.

137-ე მუხლის მე-4 ნაწილის შემდეგი მაკვალინფიცირებელი გარემოებაა გაუპატიურება: „რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა“ („ბ“ პ.). ტერმინი „სიცოცხლის მოსპობა“ მიგვანიშნებს, რომ ამ შედეგის მიმართ უნდა დადგინდეს დამნაშავეს განუზრახველობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქმედების შემადგენლობა განზრახ კი არაა, განუზრახველადაა ჩადენილი.<sup>1</sup> იმას, ვინც ქალი გაუპატიურა, არ ჰქონდა წარმოდგენილი, რომ მის ქმედებას,

---

<sup>1</sup> იხ. ოთარ გამყრელიძე, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, იხ. კრ. სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები, 2006



ესე იგი გაუპატიურებას მსხვერპლის სიკვდილი მოჰყვებოდა. მსხვერპლის სიკვდილი შეიძლება გამოიწვიოს დამნაშავეის ფიზიკურმა მოქმედებამ დაზარალებულის მიმართ გაუპატიურების დროს. მაგალითად, ძალადობის დროს ქალს შეიძლება ნერვიულობის შედეგად გული გაუსკდეს და გარდაიცვალოს. შესაძლებელია აგრეთვე ისიც, რომ ქალმა გაუპატიურების გამო თავი მოიკლას და ა. შ.

137-ე მუხლის მე-5 ნაწილით პასუხისმგებლობაა დაწესებული თოთხმეტ წელს მიუღწეველი ქალის გაუპატიურებისათვის. თოთხმეტ წლამდე ასაკის ქალი მცირეწლოვანია. ამ ასაკში ქალი ფიზიკურად სუსტია, გონებრივადაც ჯერ კიდევ განუვითარებელია. ქალი ამ დროს ასაკობრივი განუვითარებლობის მდგომარეობაშია. ამიტომ ამ ასაკის ქალის გაუპატიურება იგივეა, რაც გაუპატიურება უმწეო მდგომარეობაში მყოფისა.

შ. მამედოვს მსჯავრი დაედო მცირეწლოვანის გაუპატიურებისათვის. 1996 წლის 17 ივნისს, დაახლოებით 15 საათზე, იგი იმყოფებოდა დმანისის რაიონის სოფ. მთისძირში, რა დროსაც მეურნეობის დირექტორის დავალებით ბაღიდან გარეკა ბავშვები, რომლებიც ქლიავს კრეფდნენ. ბავშვებს შორის ყველაზე პატარამ, 4 წლის ს. რამიზანოვამ გაქცევა ვერ შეძლო. მისი უმწეო მდგომარეობით ისარგებლა შ. მამედოვმა, გააუპატიურა იგი, რის შემდეგაც ბავშვი დამალა მახლობელ დანგრეულ შენობაში, ხოლო თვითონ გაუჩინარდა. შ. მამედოვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წ. 20 ნოემბრის განაჩენით მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-4 ნაწილით (1960 წ.) და თავისუფლება რვა წლით აღეკვეთა.<sup>1</sup> მცირეწლოვანის გაუპატიურება არის უმწეო მდგომარეობაში მყოფი ქალის გაუპატიურების ის შემთხვევა, რომლისთვისაც კანონმდებელმა გაძლიერებული პასუხისმგებლობა დააწესა.

ცნებები „მცირეწლოვანობა“ და „არასრულწლოვანობა“ კანონმდებელმა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმებზე, 2003, №4, 431-ე გვ.

დაუკავშირა. ამ შემთხვევაში კი ცნება „მცირეწლოვანობა“ დაზარალებულს გულისხმობს. „მცირეწლოვანობის“ ცნება, რომელიც თოთხმეტი წლითაა განსაზღვრული, 137-ე მუხლის მე-5 ნაწილით აღებულია იმ მუხლიდან, რომელიც დამნაშავეს ასაკს განსაზღვრავს (იხ. სსკ 33-ე, მე-80-ე მმ). მაგრამ ამ მუხლებში 2007 წლის 23 მაისის კანონით ცვლილება შევიდა და ზოგიერთი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა თორმეტი წლის ასაკიდან დაწესდა. ასეთ მუხლთა რიცხვს კანონმდებელი მიაკუთვნებს აგრეთვე 137-ე მუხლსაც, რომლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილებით აღწერილი ქმედებისათვის პასუხისმგებლობა 2007 წ. 23 მაისის კანონით დაწესებულია თორმეტი წლის ასაკიდან. ამიტომ აქ ასეთი საკითხი დგება: ხომ არ უნდა დაიწიოს ასაკმა 137-ე მუხლის მე-5 ნაწილში და ხომ არ უნდა შეიცვალოს ეს ტექსტი შემდეგნაირად: „გაუპატიურება იმისა, ვისაც არ შესრულება თორმეტი წელი“? ვფიქრობ, საკითხის ასეთი გადაწყვეტა სწორი იქნება. საქართველოს პარლამენტში ეს საკითხი არავის გახსენებია. ეს, რასაკვირველია, სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩვენ ვეთანხმებოდეთ პასუხისმგებლობის ასაკის მინიმუმის თორმეტი წლით განსაზღვრას.

### 3. ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარე

გაუპატიურების სუბიექტური მხარე პირდაპირი განზრახვით გამოიხატება. სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ დამნაშავემ ქალის მიმართ ძალადობა გამოიყენა მისი გაუპატიურების მიზნით და ჰქონდა სურვილი მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებისა. დამნაშავეს ასევე უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, რომ ძალადობის მუქარით ის ცდილობს ქალის ნების წინააღმდეგობის დაძლევას მასთან სქესობრივი კავშირის დასამყარებლად. იგივე უნდა ითქვას უმწეო მდგომარეობის გამოყენებაზეც, როცა დამნაშავეს შეგნებული ჰქონდა ქალის უმწეობა. განზრახვა აქაც უნდა იყოს მხოლოდ პირდაპირი. არაპირდაპირი განზრახვით ამ შემადგენლობის განხორციელება შეუძლებელია. მოტივი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ძირითადად აქ სქესობრივი ჟინის დაკმაყოფილების მოტივია. თუმცა არ არის გამორიცხული სხვა მოტივიც, მაგალითად, შესაძლებელია გაუპატიურება შურისძიების მოტივითაც მოხდეს.

ცალკე განხილვას მოითხოვს 137-ე მუხლის სპეციალური შემადგენლობის სუბიექტური მხარე. როცა, მაგალითად, გაუპატიურება ჩადენილია „სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით“ (მე-2 წ. „ა“ პ.), ქმედების ჩამდენმა უნდა იცოდეს, რომ ის თავის სამსახურებრივ მდგომარეობას იყენებს ქალის ნების წინააღმდეგობის დასაძლევად. ამ დროს იგი განზრახ მოქმედებს.

რაც შეეხება 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ მხარეს, აქ ძირითადი შედეგი – გაუპატიურება, რასაკვირველია, განზრახ უნდა იყოს გამოწვეული, ხოლო დამატებითი შედეგი – „დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ან სხვა მძიმე შედეგი“ -ის მიმართ განზრახვაც შეიძლება იყოს და განუზრახველობაც.<sup>1</sup> მაგალითად, ქმედების ჩამდენმა მსხვერპლს ხელი გადაუტეხა, რათა ადვილად დაძლიოს ქალის წინააღმდეგობა. რაც შეეხება „სხვა მძიმე შედეგს“, ის შეიძლება განუზრახველადაც იყოს გამოწვეული და ა. შ.

137-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველ სამ პუნქტზე საგანგებოდ აღარ შევჩერდებით, რადგან აქ, ჩვენი აზრით, ქმედების სუბიექტური მხარე რაიმე პრობლემას არ ქმნის. რაც შეეხება „დ“ პუნქტს, აქ პირდაპირ არის მითითებული, რომ ქმედების ჩამდენს წინასწარ უნდა ჰქონდეს შეცნობილი მსხვერპლის ორსულობა ან არასრულწლოვანობა. ამიტომ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ზუსტად, უტყუარად ვერ დაასაბუთებს, რომ ქმედების ჩამდენმა იცოდა მსხვერპლის ორსულობა ან არასრულწლოვანობა, მისი ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტით.

137-ე მუხლის მე-4 ნაწილის ქმედების შემადგენლობა ყველა შემთხვევაში გამორიცხავს განზრახვას, რადგან აქ ლაპარაკია „დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობაზე“. მე აღარაფერს ვიტყვი „ა“ პუნქტზე, სადაც ლაპარაკია გაუპატიურებაზე, რომელიც ჩადენილია „დაზარალებულის ან სხვა პირის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით“. ეს პუნქტი ყოველთვის გულისხმობს

---

<sup>1</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2006, 151-ე გვ.

განზრახვას. თუმცა ამის დასაბუთება სასამართლოსათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, როგორც ეს ხდება „ოსულობის“ ან „არასრულწლოვანობის“ დასაბუთების დროს.

ასევე უტყუარად უნდა დაასაბუთოს სასამართლომ, რომ მსხვერპლი ჯერ კიდევ არ იყო თოთხმეტი წლის იმ მომენტში, როცა მას აუპატიურებდნენ (137-ე მ. მე-5 პ.).

ასევე უტყუარად უნდა დაასაბუთოს სასამართლომ, რომ გაუპატიურების მომენტში მსხვერპლი ჯერ კიდევ არ იყო თოთხმეტი წლის (137-ე მუხლის მე-5 პ.). ამ შემთხვევაში მსხვერპლის ასაკის დადგენა ისევე ხდება, როგორც დამნაშავეს ასაკის.

ასაკი ჩვეულებრივ დგინდება საბუთით (დაბადების მოწმობა). დაბადების დღე მხედველობაში არ მიიღება. მომდევნო წელი (სრულწლოვანობა) იწყება მეორე დღეს, ესე იგი ღამის თორმეტი საათიდან, ამიტომ, თუ მსხვერპლს გაუპატიურების დღეს თოთხმეტი წელი არ შესრულებია, ქმედება 137-ე მუხლის მე-5 ნაწილით უნდა დაკვალიფიცირდეს.

თუ ასაკის დასადგენად არ არსებობს საბუთი, მაშინ უნდა დაინიშნოს ექსპერტიზა, რომელიც ზუსტად ასაკს ვერ დაადგენს. ექსპერტს შეუძლია თქვას, რომ გაუპატიურების დროს მსხვერპლი იქნებოდა ცამეტიდან თხუთმეტი წლის ასაკში. ასეთ დროს საკითხს სასამართლო წყვეტს. სასამართლომ საკითხი ქმედების ჩამდენის სასარგებლოდ უნდა გადაწყვიტოს, რადგან ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ ფასდება.

მაგრამ ამ მეორე შემთხვევას დამნაშავეს მიმართ მნიშვნელობა არა აქვს, რადგან, თუ მსხვერპლის ასაკს ექსპერტი ადგენს, ის, რასაკვირველია, დამნაშავეისათვის უცნობი იქნებოდა და ამიტომ 137-ე მუხლის მე-5 ნაწილით მისი ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება. სასამართლოს ასეთ შემთხვევაში საბოლოოდ ევალება იმის დადგენა უტყუარად, შეცნობილი ჰქონდა თუ არა დამნაშავეს, რომ აუპატიურებდა არასრულწლოვანს (მცირეწლოვანს).

რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როცა გაუპატიურება მცირეწლოვანი მსხვერპლის დაბადების დღეს ხდება, და ქმედების ჩამდენმა ეს იცის, მაშინ ის პასუხს აგებს 137-ე მუხლის მე-5 ნაწილით.

ამიტომ სუბიექტური მხარე ამ დანაშაულისა აუცილებლად გულისხმობს იმას, რომ ქმედების ჩამდენს შეცნობილი უნდა ჰქონდეს მსხვერპლის ასაკი. მან უნდა იცოდეს, რომ აუპატიურებს ქალს, რომელიც ჯერ კიდევ არ არის თოთხმეტი წლის. სამწუხაროდ, დღემდე გამოქვეყნებული პრაქტიკიდან არ ჩანს არც ერთი მაგალითი, რამდენად ზუსტად ადგენს სასამართლო, რომ ქმედების ჩამდენმა იცოდა მსხვერპლის ასაკი.

## II

### დანაშაულთა ერთობლიობა

ზემოთ ჩვენ ცალკე გამოვყავით 137-ე მუხლით აღწერილი გაუპატიურების ზოგადი შემადგენლობა და ცალ-ცალკე განვიხილეთ ამ დანაშაულის სპეციალური შემადგენლობები. ზოგადი შემადგენლობა გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ 137-ე მუხლის პირველი ნაწილით აღწერილ ქმედებას. სპეციალური შემადგენლობები კი მოცემულია ამ მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილებით. ამ დაყოფას არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულთა ერთობლიობის პრინციპით ქმედების კვალიფიკაციისათვის. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუკი ქმედება ზოგადი და სპეციალური ნორმებითაა მოცული, მაშინ არ შეიძლება ამ ქმედების დანაშაულთა ერთობლიობის პრინციპით დაკვალიფიცირება. ასეთ შემთხვევაში ქმედება მხოლოდ სპეციალური ნორმით უნდა დაკვალიფიცირდეს.

იმავე მე-16 მუხლის მიხედვით დანაშაულთა ერთობლიობა ნიშნავს ამ კოდექსის ერთი მუხლით ან ერთი მუხლის სხვადასხვა ნაწილებით გათვალისწინებული ორი ან მეტი ქმედების ჩადენას, რომელთაგან ადამიანი არც ერთისთვის არ ყოფილა მსჯავრდებული. მე აქ მხედველობაში მაქვს სიტყვები — ორი ან მეტი ქმედება, რომლებიც გათვალისწინებულია ერთი მუხლის სხვადასხვა ნაწილებით. ეს სიტყვები შეეხება 137-ე მუხლის ყველა ნაწილს,

გარდა პირველი ნაწილისა. საქმე ის არის, რომ, როგორც ჩვენ უკვე ვთქვით ზემოთ, 137-ე მუხლის პირველი ნაწილი ქმედების ზოგადი შემადგენლობაა და ამიტომ არ შეიძლება მისი ერთობლიობის წესით დაკვალიფიცირება ამავე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 ან მე-5 ნაწილებით აღწერილ შემადგენლობებთან. ერთობლიობით შეიძლება დაკვალიფიცირდეს 137-ე მუხლის მხოლოდ მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილებით აღწერილი შემადგენლობები.

მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკაში ამ საკითხთან დაკავშირებით გვხვდება შეცდომები. მაგალითად, თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2002 წ. 27 მაისის განაჩენით უ. ნ-შვილს საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით და მესამე ნაწილის „ბ“ პუნქტით ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.<sup>1</sup> ეს განაჩენი უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა 2002 წ. 22 ივლისის საკასაციო პალატის განჩინებით.

ასეთი კვალიფიკაცია სწორი არ არის. საქალაქო სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა ქმედება 137-ე მუხლის პირველი ნაწილით, რადგან ის ქმედების ზოგად შემადგენლობას მოიცავს და მისი ერთობლიობა სპეციალურ შემადგენლობასთან არ შეიძლება. ეს შეცდომა უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატას უნდა გაესწორებინა. ამიტომ არის, რომ ასეთი შეცდომები არცთუ იშვიათად გვხვდება ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წ. 6 დეკემბრის განაჩენით ვ. ყაჭვიშვილი ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით, მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით, ამავე მუხლის მეოთხე ნაწილით და ათი წლით აღკვეთა თავისუფლება.

ვ. ყაჭვიშვილის ქმედება ამ შემთხვევაში არასწორადაა დაკვალიფიცირებული 137-ე მუხლის პირველი ნაწილით. სამწუხ-

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, №9, 1122-ე გვ.

აროდ, საქართველოს უზენაესი სასამართლო საკასაციო პალატამ ეს განაჩენიც უცვლელად დატოვა.<sup>1</sup>

მეორე მხრივ, მხედველობაშია მისაღები ის, რომ 137-ე მუხლის პირველი ნაწილით აღწერილი ქმედების შემადგენლობა არ იქნება მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით მითითებული „ზოგადი ნორმა“ კოდექსის სხვა მუხლით აღწერილი შემადგენლობის მიმართ. ამიტომ 137-ე მუხლის პირველი ნაწილით აღწერილი ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს კოდექსის სხვა მუხლით აღწერილ ქმედებასთან ერთობლიობით. მაგალითისთვის შეიძლება კიდევ დავასახელოთ ნ. სამხარაძის საქმე. ნ. სამხარაძეს მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით და 143-ე მუხლის (თავისუფლების უკანონო აღკვეთა) მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით.<sup>2</sup>

მინდა ისევ დაუბრუნდე 137-ე მუხლის პირველი ნაწილით აღწერილი ქმედების შემადგენლობას. აქ გაუპატიურების სამი ხერხია ჩამოთვლილი: 1) ძალადობა; 2) ძალადობის მუქარა და 3) ქალის უმწეო მდგომარეობა. ამ ხერხებით ხდება ქალის ნების წინააღმდეგობის დაძლევა და მასთან სქესობრივი კავშირი.

თუ ავიღებთ პირველ ორ ხერხს – ძალადობას და ძალადობის მუქარას, შეიძლება, რომ თითოეული ეს ხერხი დამოუკიდებლად იყოს გამოყენებული. მაგალითად, ძალადობით იყო დამყარებული სქესობრივი კავშირი. შესაძლებელია ძალადობის მუქარა. მაგრამ მუქარამ შეიძლება ვერ გასჭრას. ასევე შესაძლებელია, რომ ვერც ძალადობით ვერ დაამყაროს დამნაშავემ ქალთან სქესობრივი კავშირი. შესაძლებელია ისიც, რომ დამნაშავე ჯერ ძალადობის მუქარით შეეცადა სქესობრივი კავშირის დამყარებას. მაგრამ, როცა ამით არაფერი გამოვიდა, ამის შემდეგ მან მიმართა ძალადობას და მიაღწია მიზანს. ეს, რასაკვირველია, ერთგვარ ზეგავლენას მოახდენს პასუხისმგებლობაზე და სასჯელის ზომის გაძლიერებაზე.

ერთი შეხედვით ძალადობა, ძალადობის მუქარა და უმწეობა

---

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2006, №10, მე-6 გვ.

2 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე. 2004, №7, 1478-ე გვ.

137-ე მუხლის პირველი ნაწილით აღწერილი ქმედების შემადგენლობის დამოუკიდებელი ნიშნებია. მაგრამ აქ საქმე მთლად ასე არ არის. მხედველობაში გვაქვს ამ შემთხვევაში „უმწეობა“. როცა ჩვენ ვამბობთ, რომ გაუპატიურება არის სქესობრივი კავშირი ქალის ნების წინააღმდეგობის დაძლევით, აქ „უმწეობა“ იგულისხმება. ძალადობა და ძალადობის მუქარა ქალს უმწეო მდგომარეობაში აყენებს. მაშინ რატომ გამოიტანა კანონმდებელმა „უმწეობა“ შემადგენლობის ცალკე ნიშნად? საქმე ის არის, რომ კანონმდებელი აქ გულისხმობს ქალის „უმწეობის“ ისეთ შემთხვევას, რომელიც არც ძალადობის შედეგია და არც ძალადობის მუქარის. გაუპატიურების დროს ქალი ყოველთვის უმწეოა. მაგრამ ეს უმწეობა ზოგჯერ დამნაშავის მოქმედებით (ძალადობა, ძალადობის მუქარა) არის გამოწვეული, ზოგჯერ დამნაშავისგან დამოუკიდებლად. ამიტომ არ შეიძლება პასუხისმგებლობის გაძლიერება ისეთი უმწეობისათვის, რომელიც დამნაშავის ძალადობითაა გამოწვეული.

### III

## დანაშაულის რეციდივი

დანაშაულის რეციდივის ცნება მოცემული გვაქვს სისხლის სამართლის კოდექსის 17-ე მუხლით. ამ მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით „დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, აგრეთვე ნასამართლობა, რომელიც მოხსნილი ან გაქარწყლებულია ამ კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული წესით“.

ამ ნორმას არსებითი მნიშვნელობა აქვს ქმედების ისეთი მაკვალიფიცირებელი ნიშნის სწორი გაგებისათვის, როგორიცაა „გაუპატიურება არაერთგზის“. მხედველობაში მაქვს. „არაერთგზისობის“ ცნების 2007 წ. 4 ივლისის რედაქცია, რომლის მიხედვით „1. არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევი



პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას“. ეს იმას ნიშნავს, რომ გაუპატიურება არაერთგზისად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, როცა დამნაშავე წინა გაუპატიურებისათვის გასამართლებელი იყო და ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ ყოფილა (მე-15 მ. მე-2 ნაწ.).

მამასადამე, მე-15 მუხლი გაუპატიურების რეციდივს გულისხმობს. ამის მიხედვით გაუპატიურება არაერთგზისობის ნიშნით მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება, როცა მოქმედი წინა გაუპატიურებისათვის ნასამართლევი იყო. ერთი სიტყვით, ნასამართლევის მიერ ქალის გაუპატიურება დანაშაულის რეციდივია. ამიტომ ჩვენ აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ მე-17 მუხლის ის მოთხოვნა, რომლის მიხედვით დანაშაულის რეციდივის დადგენისას არ იგულისხმება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის. ასე რომ, იმ სრულწლოვანის მიერ ჩადენილი გაუპატიურება, ვინც ადრე გასამართლებული იყო თვრამეტ წლამდე ჩადენილი გაუპატიურებისათვის, 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით ვერ დაკვალიფიცირდება.

## IV

### გაუპატიურების მცდელობა

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, რას ნიშნავს გაუპატიურების მცდელობა, უნდა ვიცოდეთ დამთავრებული გაუპატიურების ცნება. ეს ცნება კი განსაზღვრულია 137-ე მუხლის პირველი ნაწილით, სადაც ნათქვამია: „გაუპატიურება, ესე იგი სქესობრივი კავშირი...“ მამასადამე, გაუპატიურება რომ დამთავრებული იყოს, ქალთან დამყარებული უნდა იყოს „სქესობრივი კავშირი“. ამიტომ ვერ დავეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვით „გაუპატიურება დამთავრებულად ჩაითვლება მაშინ, როცა დამნაშავე სხვადასხვა ხერხის გამოყენებით დაიწყებს სქესობრივი კავშირის დამყარებას დაზარალებულთან. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, მიიყვანს თუ

არა ბოლომდე სქესობრივ აქტს. ამდენად, გაუპატიურება, იურიდიული თვალსაზრისით, დამთავრებულია სქესობრივი აქტის დაწყებიდან“.<sup>1</sup>

ჩვენ რომ ამ თვალსაზრისს დავეყრდნოთ, მაშინ ძნელი გასარკვევი იქნება გაუპატიურების მცდელობის მცნება. თუ გაუპატიურება „დამთავრებულია სქესობრივი აქტის დაწყებიდან“, მაშინ როგორ უნდა გაემიჯნოთ დამთავრებული გაუპატიურება გაუპატიურების მცდელობისაგან? ამ საკითხზე ზემოთ მოტანილი სიტყვების ავტორს პასუხი არ გაუცია. რაც მთავარია, ავტორს არ დაუზუსტებია, როდის იწყება სქესობრივი აქტი.

მოვიყვანოთ ერთი მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან. გაუპატიურების მიზნით „ვ. მაისურაძემ ყელზე მოხვია ხელი ნ. ბ-შვილს და ძალის გამოყენებით გაიყვანა ჯერ დერეფანში, შემდეგ კი – მისაღებ ოთახში და გაუპატიურების მიზნით დააწვინა საწოლზე, რა დროსაც ხელი დააფარა პირზე, რათა არ ეყვირა. ვ. მაისურაძე შეეცადა, ძალის გამოყენებით ნ. ბ-შვილისათვის გაეხადა ე. წ. „შორტები“ და ა.შ. საბოლოოდ ვ. მაისურაძემ ვერ შეძლო ნ. ბ-შვილთან სქესობრივი აქტის დამყარება. თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო სასამართლოს 2002 წ. განაჩენით ვ. მაისურაძის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით დაკვალიფიცირდა (გაუპატიურების მცდელობა) „“<sup>2</sup>

კიდევ უფრო საყურადღებოა ამ მხრივ თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატი 2002 წ. 11 მარტის განაჩენი დ. ს-შვილის მიმართ, რომელსაც მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 17-ე და 117-ე მუხლის პირველი ნაწილით (1960) და სამი წლით აღკვეთა თავისუფლება. ამ განაჩენის მიხედვით დ. ს.-შვილი „ფიზიკური ძალის გამოყენებით შეეცადა მ. ჭ-ძის გაუპატიურე-

---

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 149-ე გვ. ასეთივე აზრისაა ზაურ მჟავანაძეც, სისხლის სამართლი, კერძო ნაწილი, 2000, 94-ე გვ.

2 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2003, №1, 44-ე გვ.

ბას, დაუწყო ცემა, ძალით გახადა რეიტუზი და ტრუსი, დააწვა ზემოდან, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევის გამო ვერ შეძლო მისი გაუპატიურება და სქესობრივი ჟინი დაიკმაყოფილა მის ბარდაყებში, რის შემდეგაც შეწყვიტა ძალადობა“.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, მოძალადემ აქ სქესობრივი კავშირი დაიწყო, მაგრამ ვერ მოახერხა დაემთავრებია. მან ვერ შეძლო ქალის „გაუპატიურება და სქესობრივი ჟინი დაიკმაყოფილა მის ბარდაყებში“. ამიტომ იყო, რომ სასამართლომ ეს ქმედება გაუპატიურების მცდელობად დააკვალიფიცირა. ის აზრი, რომ ტერმინი „გაუპატიურება“ ქალის პატივისა და ღირსების დამცირებიდან მომდინარეობს, და ამიტომ „სქესობრივი კავშირის“ დაწყება უკვე დამთავრებული დანაშაულია, არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ.

მით უმეტეს, რომ ამ თვალსაზრისის მიხედვით ძალიან ძნელი იქნება გაუპატიურების მცდელობის ცნების განსაზღვრა, რაც სასამართლო პრაქტიკას შესაფერის სიძნელებებს შეუქმნის.

გარდა ამისა, აქ შეიძლება დაისვას საკითხი: შესაძლებელია თუ არა გაუპატიურების დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. ეს საკითხი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საგანგებოდ შესწავლილი არ არის.

ყოველ შემთხვევაში, აქ ერთი რამ უნდა ითქვას. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ გაუპატიურება დამთავრებულია სქესობრივი აქტის დაწყების მომენტიდან, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხის სწორად გადაწყვეტა ძლიერ გართულდება სასამართლო პრაქტიკაში.

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, №8, 917-918-ე გვ. გვ. „გაუპატიურების დამთავრებულად ცნობის მომენტად უნდა ჩაითვალოს – წერს ზ. გოთუა – მამაკაცის სასქესო ასოს ე.წ. სასქესო ნაპრალში ( ზიმა ყდენტა) შეყვანის მომენტი“ (იხ. ზ. გოთუა, დას. ნაშრომი, 110-ე გვ.).

## გაუპატიურების ამსრულებლობა და თანამონაწილეობა

გაუპატიურების ამსრულებელი მამაკაცია, როგორც ჩვენ ეს ნაშრომის შესავალ ნაწილში დავასაბუთეთ. ამსრულებელი, როგორც ვიცით, სამი სახისაა: 1) უშუალო ამსრულებელი, 2) თანამსრულებელი და 3) შუალობითი ამსრულებელი. ამსრულებლობის ამ სამი სახიდან განსაკუთრებით მეტ პრობლემებს პრაქტიკაში თანამსრულებლობა და შუალობითი ამსრულებლობა ქმნის.

თანამსრულებლობა, როგორც ვიცით, ორი ან მეტი დამნაშავეის მოქმედებას გულისხმობს. ამიტომ აქ ასეთი საკითხი შეიძლება წარმოიშვას: იმ ორი თანამონაწილიდან, რომლებმაც გაუპატიურება ჩაიდინეს, ხომ არ იყო ერთ-ერთი მათგანი დამხმარე, კერძოდ, როგორ უნდა გავარკვიოთ, იყო ერთ-ერთი მათგანი თანამონაწილე (ვიწრო აზრით), თუ თანამსრულებელი? ამ საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელია ვიცოდეთ, როგორ უნდა განვსაზღვროთ ამსრულებლის ცნება. დანაშაულის ამსრულებელია ის, ვინც შეასრულა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის რომელიმე მუხლით აღწერილი ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა). ეს რაც შეეხება ერთპიროვნულ ამსრულებელს.

მაგრამ, როცა საქმე ეხება თანამსრულებლობას, მაშინ ორივე დამნაშავე უნდა ასრულებდეს ერთი და იმავე მუხლით აღწერილ შემაღგენლობას. ამ დროს საკმარისია, რომ ერთ-ერთი ნაწილობრივ მაინც ასრულებდეს ამ შემაღგენლობას. თუ ამ პოზიციიდან გამოვალთ, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ორი თანამონაწილიდან თუ ერთმა ქალი გააკავა, ხოლო მეორემ სქესობრივი კავშირი დაამყარა, გამკაცებლის მხრიდან საქმე გვაქვს გაუპატიურების თანამსრულებლობასთან. თანამსრულებლობისათვის აუცილებელი არ არის, რომ ორივე მოქმედმა სქესობრივი კავშირი დაამყაროს ქალთან. თანამსრულებელია და არა დამხმარე ის, ვინც მხოლოდ იძალადა, ხოლო მეორემ სქესობრივი აქტი დაამყარა ქალთან. ასევე

თანაამსრულებელია ისიც, ვინც დაემუქრა ქალს ან უმწეო მდგომარეობაში მოიყვანა ის, ხოლო მეორემ სქესობრივი კავშირი დაამყარა დაზარალებულთან. „ძალადობა“, „ძალადობის მუქარა“ და ქალის „უმწეო მდგომარეობაში მოყვანა“ 137-ე მუხლის პირველი ნაწილით აღწერილი შემადგენლობის აუცილებელი ნიშნებია და თუნდაც ერთ-ერთი მათგანის შესრულება, როგორც უკვე ვთქვით, საკმარისია ქმედების ამსრულებლობად დაკვალიფიცირებისათვის ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს თანაამსრულებლობასთან და არა დახმარებასთან.

ამ თვალსაზრისს იზიარებდა საბჭოთა კავშირის სასამართლო პრაქტიკა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში. საყურადღებოა საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1964 წ. 25 მარტის №2 დადგენილება „გაუპატიურების საქმეთა სასამართლო პრაქტიკისათვის“, სადაც ვკითხულობთ: „იმ პირის მოქმედება, რომელსაც პირადად არ ჩაუდენია ძალადობითი სქესობრივი აქტი, მაგრამ დაზარალებულისადმი ძალადობის გამოყენებით ხელი შეუწყო სხვებს მის გაუპატიურებაში, უნდა დაკვალიფიცირდეს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117 მუხლის მე-3 ნაწილით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით როგორც ამ „დანაშაულის თანაამსრულებლობა და არა დახმარება“.<sup>1</sup>

ამ დებულებიდან მეორე მნიშვნელოვანი დასკვნაც გამოძინარეობს. მაშინ, როცა გაუპატიურების უშუალო ამსრულებელი აუცილებლად მამაკაცი უნდა იყოს, თანაამსრულებლობად შეიძლება ქალის მოქმედებაც დაკვალიფიცირდეს.<sup>2</sup> თუ მაგალითად, თანაამსრულებლობისათვის აუცილებელი არ არის სქესობრივი კავშირის დამყარება და საკმარისია მისი მხრიდან მხოლოდ ძალადობა, ვთქვათ, ხელების გადაგრეხა მსხვერპლისათვის, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს ამ მოქმედებას ქალი ჩაიდენს თუ მამაკაცი.

ასევე შეიძლება დაისვას საკითხი შუალობითი ამსრულებ-

---

1 Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924-1970, М, 1970, с. 456

2 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 155-ე გვ.

ბლობის დროსაც. მაგალითად, თუ ქალი აქეზებს და ეხმარება ქალის გაუპატიურების დროს მცირეწლოვანს, ვთქვათ, თოთხმეტ წელს მიულწეველს, რომელიც სისხლის სამართლის წესით თვითონ პასუხს არ აგებს, ეს ქალი იქნება გაუპატიურების შუალობითი ამსრულებელი. იმ გარემოებამ, რომ მას არ შეუძლია ქალთან დაამყაროს სქესობრივი კავშირი, მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ ქალი გაუპატიურებულია, მასთან სქესობრივი კავშირი ჰქონდა თოთხმეტ წელს მიულწეველ მამაკაცს. ის ფაქტი, თუ ვინ იდგა მის უკან, ვინ აქეზებდა უმართლობის ჩამდენს ან ვინ ეხმარებოდა ფიზიკურად თუ ფსიქიკურად მას, ეს არ არის აქ გადამწყვეტი.

„ამრიგად, ის გარემოება, რომ ინდივიდს არ შეუძლია უშუალოდ ადასრულოს მოცემული დანაშაულის შემადგენლობა, ყოველთვის არ გამორიცხავს ამ პირის მიერ ხსენებული შემადგენლობის შუალობით ამსრულებლობას. დანაშაულის უშუალოდ ჩადენის შეუძლებლობა ფორმალური ნიშანია, რაც თავისთავად ვერ დაედება საფუძვლად ამ დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობის შეუძლებლობას“<sup>1</sup>. ერთი სიტყვით, ის გარემოება, რომ ქალს არ შეუძლია იყოს გაუპატიურების უშუალო ამსრულებელი, არ გამორიცხავს მის პასუხისმგებლობას ამ დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობის ან თანამსრულებლობისათვის.

გაუპატიურების დროს დამხმარე იქნება ის, ვისაც ქმედების შემადგენლობის რაღაც ნაწილიც კი არ განუხორციელებია, არ დამუქრებია მსხვერპლს, ძალადობა არ გამოუყენებია, უმწეო მდგომარეობაში არ ჩაუყენებია ქალი. დამხმარე, მაგალითად, იქნება ის, ვინც ბინაში შეიყვანა ქალი იმ მიზნით, რომ იქ ის გაუპატიურონ, რჩევა-დარიგება მისცა დამნაშავეს და სხვა.

ასევე ჩაითვლება გაუპატიურების შუალობით ამსრულებლად დანაშაულის წამქეზებელი და ორგანიზატორი, მიუხედავად იმისა, რომ მათ სქესობრივი აქტი თვითონ, პირადად არ აღუსრულებიათ. ამ შემთხვევაში დანაშაულის ეგრეთ წოდებული „ცოცხალი

---

<sup>1</sup> ოთარ გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, 1974, 67-ე გვ.

იარაღი“ შეიძლება იყოს მცირეწლოვანი ან სულით ავადმყოფი, ვინც სისხლის სამართლის წესით პასუხს არ აგებს. შუალობით ამსრულებლად ჩაითვლება აგრეთვე მამაკაცი, რომელსაც სქესობრივი კავშირი ქალთან არ შეუძლია (იმპონტენტი).

137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გაუპატიურების მაკვალიფიცირებელი ნიშანია გაუპატიურება, ჩადენილი „ჯგუფურად“. ჯგუფური დანაშაულის ცნება მოცემული გვაქვს კოდექსის 27-ე მუხლით, რომლის პირველი ნაწილის თანახმად გაუპატიურება ჯგუფური იქნება იმ შემთხვევაში, თუ ამ დანაშაულში „წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი“.

ამის ნიშნად შეიძლება გამოდგეს ისეთი შემთხვევა, როცა გაუპატიურების მიზნით მამაკაცმა დაიწყო ქალის ნების წინააღმდეგობის დაძლევა, ეთქვათ, ეცა მას და გადაწყვიტა მისი საწოლზე დაწვენა, მაგრამ გაუჭირდა, ქალმა წინააღმდეგობა გაუწია. ამ დროს სრულიად დამოუკიდებლად და შეუთანხმებლად მეორე მამაკაცი მიეხმარა მას და გაუადვილი ქალის დამორჩილება და მასთან სქესობრივი აქტის დამყარება. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს თანაამსრულებლობასთან. ერთმა ძალადობა იხმარა ქალის მიმართ, მეორემ კი გააუპატიურა ის. 27-ე მუხლის ტექსტი – „ორი ან მეტი ამსრულებელი“ ყოველგვარ ამსრულებლობას, მათ შორის, თანაამსრულებლობასაც მოიცავს. ამიტომ ასეთი შემთხვევა 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით დაკვალიფიცირდება. აქ მთავარია ის, რომ დანაშაულის ორი მონაწილე მაინც ამსრულებელი იყოს.

27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დამნაშავეთა ჯგუფი წინასწარ უნდა იყვნენ შეთანხმებულნი გაუპატიურების ჩასადენად. ამ შემთხვევაში, 27-ე მუხლის პირველი ნაწილისაგან განსხვავებით, საკმარისია, თუ ჯგუფის წევრებიდან მხოლოდ ერთია ამსრულებელი.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ვერ დავეთანხმებით იმ მოსაზრებას, თითქოს 137-ე მ „გ“ პუნქტით „იგულისხმება როგორც წინასწარ შეთანხმებული, ასევე წინასწარ შეთანხმებული და ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი გაუპატიურება. ამასთანავე აუცილებელია, რომ უშუალოდ გაუპატიურების განხორციელებაში მონაწილეობდეს ორი ამსრულებელი“.

როცა 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ ნიშანს „ჯგუფურ გაუპატიურებას“ ვაანალიზებთ, ჯგუფის ცნების განმარტებისათვის უნდა ვიხელმძღვანელოთ კოდექსის 27-ე მუხლით, სადაც „ჯგუფური დანაშაულის“ ცნებაა განსაზღვრული. 27-ე მუხლის მე-2 ნაწილში ნათქვამია: „დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხარცილებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად“. ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი, რომ ყველა მონაწილე დანაშაულის ამსრულებელი იყოს. ამიტომ ვერ დავეთანხმებით იმ მოსაზრებას, თითქოს „არ ჩაითვლება ჯგუფურ გაუპატიურებად შემთხვევა, როცა ერთმა პირმა დაზარალებული მოიყვანა უმწეო მდგომარეობაში, რათა მეორეს გაადვილებოდა მასთან სქესობრივი კავშირი. შემდეგ კი მე-2 პირმა უმწეო მდგომარეობაში მყოფთან სქესობრივი კავშირი დაამყარა. აქ იმიტომ არა გვაქვს სახეზე ჯგუფური დანაშაული, რომ პირის მოყვანა უმწეო მდგომარეობაში გაუპატიურების შემადგენლობაში არ შედის, არამედ შემადგენლობის მიღმა.“<sup>1</sup>

ეს მსჯელობა დაუსაბუთებელია. როგორ შეიძლება „შემადგენლობის მიღმა“ იყოს ის ნიშანი, რომელიც კოდექსის კერძო ნაწილის მუხლითაა აღწერილი? „ძალადობა“ და „ძალადობის მუქარა“, რომლებიც 137-ე მუხლის პირველი ნაწილით აღწერილი ქმედების შემადგენლობის აუცილებელი ნიშნებია, ქალის ნების დამორჩილებას ემსახურება. ქალის ნების დამორჩილება კი სხვა არაფერია, თუ არა მისი „უმწეო მდგომარეობაში მოყვანა“. ამიტომ შეუძლებელია იმის მტკიცება, თითქოს ქალის „უმწეო მდგომარეობაში მოყვანა“ „შემადგენლობის მიღმა“ იყოს.

ავტორი, გარდა ამისა, თავის დებულებას თვითონვე ეწინააღმდეგება, როცა იქვე წერს: „ქალის ჯგუფური გაუპატიურების დროს შესაძლებელია თანაამსრულებელი იყოს ქალიც, რომელიც

---

ბელი მაინც“ (იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2006, 154-ე გვ.). ორი ამსრულებელი სავალდებულოა მხოლოდ 137-ე მუხლის მე-3 ნაწ. „გ“ (იხ. 27-ე მუხლის პირველი ნაწ.) პუნქტით მაშინ, როცა ეს დანაშაული წინასწარი შეთანხმებით არაა ჩადენილი.

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2006, 154-ე -155-ე გვ. გვ.



ახორციელებს ძალადობას ან მუქარას დაზარალებულის მიმართ და ამით უადვილებს მამაკაცს დაზარალებულთან სქესობრივ კავშირს“.<sup>1</sup>

როგორ შეიძლება, რომ თანამსრულებლის მოქმედება აქ შემადგენლობის ნიშანი არ იყოს. სწორედ ამით განსხვავდება თანამსრულებელი დამხმარისაგან. დამხმარე ისეთ მოქმედებას სჩადის, რომელიც კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობით არ არის გათვალისწინებული. ამიტომ გვჭირდება ჩვენ კოდექსის ზოგადი ნაწილის მუხლზე (23-ე მ.) მითითება.

ჯგუფური გაუპატიურების თითოეული მონაწილის პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლით. ამ მუხლის თანახმად პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებები, რომლებიც თვითოეული თანამონაწილის მხარეს შეიძლება აღმოჩნდეს, დაყოფილია ორ ჯგუფად. პირველი რიგის გარემოებებია ობიექტური გარემოებები, რომლებიც უმართლობისთვისაა (მართლსაწინააღმდეგო ქმედება) დამახასიათებელი (25-ე მ, მე-4 ნაწ.) და პერსონალური ანუ ამსრულებლის ან თანამონაწილისათვის დამახასიათებელი გარემოებები (25-ე მ, მე-5 ნაწ.).

25-ე მუხლის მე-4 ნაწილის ძალით შეიძლება აღმოჩნდეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ისეთი გარემოება, რომელიც მხოლოდ ერთი მონაწილის ქმედებას (უმართლობას) ახასიათებს. ასეთ დროს ეს დამამძიმებელი გარემოება შეერაცხება მეორე მონაწილესაც, თუ მას ეს გარემოება შეცნობილი ჰქონდა.

სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ნიშანი-გაუპატიურება „ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით“. ეთქვათ, დამხმარემ იცის, რომ იგი ხელს უწყობს თანამდებობის პირს თანამშრომლის გაუპატიურებაში „სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით“. ამ შემთხვევაში დამხმარის მოქმედება დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე და 137-ე

---

<sup>1</sup> იქვე, 155-ე გვ.

მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით, რადგან მან იცოდა, რომ ამსრულებელი გაუპატიურებას სჩადიოდა „სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით“.

137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით დაკვალიფიცირდება გაუპატიურება „არაერთგზის“, რომლის ცნება განსაზღვრულია მე-15 მუხლით. ამ მუხლის თანახმად „არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას“. ასე რომ, „არაერთგზისობა“ იგივე რეციდივი ყოფილა. ამიტომ ეს პიროვნული ნიშანია და ამძიმებს მხოლოდ დამნაშავეის პიროვნებას და არა ჩადენილ უმართლობას. ამიტომ „არაერთგზისი“ გაუპატიურება ამძიმებს მხოლოდ ამსრულებლის პასუხისმგებლობას, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა გაუპატიურება. ამიტომ ასეთ შემთხვევაში თანამონაწილის (წამქეზებელი, დამხმარე, ორგანიზატორი) მოქმედება დაკვალიფიცირდება 137-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო ამსრულებლისა – ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პ. („გაუპატიურება არაერთგზის“).

პიროვნული ხასიათისაა აგრეთვე 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული ნიშანი – გაუპატიურება ჩადენილი „იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 138-ე-141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული“. ამიტომ იმ წამქეზებლის მოქმედება, ვინც იცის, რომ აქეზებს გაუპატიურების ჩასადენად იმას, ვისაც ჩადენილი აქვს ამ კოდექსის 138-ე-141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, დაკვალიფიცირდება 24-ე-137-ე მუხლების პირველი ნაწილით.

იმ შემთხვევაში, როცა ამსრულებელი აუპატიურებს ორსულ ქალს ან არასრულწლოვანს, რაც მისთვის ცნობილია, მაშინ წამქეზებელიცა და დამხმარეც პასუხს აგებენ სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე და 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტით, რადგანაც ორსულობა და არასრულწლოვანება გაუპატიურების უმართლობის ნიშნებია. ამ შემთხვევაშიც, რასაკვირველია, წამქეზებელსა და დამხმარესაც შეცნობილი უნდა ჰქონდეთ, რომ მსხვერპლი ორსულადაა ან არასრულწლოვანია.

ასევე უნდა დაკვალიფიცირდეს თანაამსრულებლის ქმედებაც, თუ მასაც შეეცნობილი ჰქონდა მსხვერპლის ასაკი და ორსულობა.

იმ შემთხვევაში, თუ ერთი თანაამსრულებელი გაუპატიურებას პირველად სჩადის, ხოლო მეორე ამავე დანაშაულს არაერთგზის ახორციელებს, მაშინ პირველის მოქმედება 137-ე მუხლის პირველი ნაწილით დაკვალიფიცირდება, ხოლო მეორესი – ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით (გაუპატიურება არაერთგზის).

მაგრამ ერთგვარ სირთულეს უნდა იწვევდეს ისეთი შემთხვევის კვალიფიკაცია, როცა ამსრულებელი პირველად სჩადის გაუპატიურებას, ხოლო წამქეზებელს ეს დანაშაული არაერთგზის აქვს ჩადენილი. უფრო ზუსტად, ის, ესე იგი წამქეზებელი გაუპატიურებისათვის ნასამართლევია და ახლა სხვა წააქეზა ამავე დანაშაულის ჩასადენად.

ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი დაწერილია ამსრულებლისათვის, ხოლო ზოგადი ნაწილის ის მუხლი, სადაც დანაშაულის „არაერთგზისობა“ განსაზღვრული (მე-15 მ), ამ საკითხზე საგანგებოდ არაფერს ამბობს, უნდა დავასკვნათ, რომ წამქეზებლის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 137-ე მუხლის პირველი ნაწილით, როგორც ამსრულებლის მოქმედება დაკვალიფიცირდა.

## VI

### მართლწინააღმდეგობა და ბრალი

გაუპატიურება, რომელიც ძალადობით დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება, როგორც ყველა დანაშაული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულად ჩადენილი ქმედებაა. აქამდე ჩვენ ვიხილავდით მხოლოდ ქმედების შემადგენლობას, მის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეს, ამ ქმედებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს (თანამონაწილეობა და ა.შ.), მაგრამ არაფერი გვითქვამს მართლწინააღმდეგობასა და ბრალის ნიშნებზე.

ქმედების შემადგენლობის დადგენის შემდეგ პრაქტიკულად უნდა დადგინდეს მართლწინააღმდეგობის ნიშანი. ამ საკითხის გადასაწყვეტად, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვათ, რომ გაუპატიურება კლასიკურ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა გამოძიების დროს მართლწინააღმდეგობის დადგენა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. ჩვეულებრივ კლასიკურ დელიქტებში მართლწინააღმდეგობის დადგენა ხდება ნეგატიური ფორმით; ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ გამოძიების დროს არ ამოტივტივდება რაიმე ისეთი გარემოება, რაც პასუხისმგებლობის გამომრიცხველ რომელიმე გარემოებას ადასტურებს, ქმედების მართლწინააღმდეგობა დადგენილად ითვლება. ასე რომ, თუ დადგენლია ქმედების შემადგენლობა, თავისთავად იგულისხმება, რომ გაუპატიურება მართლწინააღმდეგოა. ამიტომ არის, რომ ჩვენ ვერცერთ საბრალდებო დასკვნაში, ვერცერთ განაჩენში ვერ ვნახულობთ საგანგებოდ მართლწინააღმდეგობის არსებობის მტკიცებას.

იგივე უნდა ითქვას ბრალის საკითხზეც. როცა დადგენილია ქმედების შემადგენლობა და მისი მართლწინააღმდეგობა, ესე იგი უმართლობა, თავისთავად წამოიჭრება ბრალის საკითხიც. აქაც ისევე, როგორც მართლწინააღმდეგობის დადგენისას, სასამართლო მოქმედებს გამორიცხვის მეთოდით. თუ არ არის ბრალის გამომრიცხველი გარემოება, მაშინ ბრალი თავის თავად დადგენილია. ბრალის გამორიცხვა ხდება, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო დაადგენს დამნაშავის ასაკს და ნახავს, რომ ქმედება ჩადენილია იმ დროს, როცა უმართლობის ჩამდენი ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული 12 წლის ასაკს (იხ. 33-ე მ). ასევე ითქმის მაშინაც, როცა სასამართლო დაადგენს უმართლობის ჩამდენის ფსიქიკურ დაავადებას და ა.შ.

თუმცა აქ უნდა ითქვას ის, რომ ჩვენი მსჯელობა აქამდე ეხებოდა მხოლოდ იმ შემთხვევას, როცა ქმედება განზრახაა ჩადენილი. მაგრამ ამ გზით არ შეიძლება დადგინდეს ბრალი, თუ შედეგი განზრახველადაა გამოწვეული. ამ დროს დგინდება, ხომ არ მოიქცა მოქმედი გაუფრთხილებლობით. აქ უკვე გამორიცხვის მეთოდით ვეღარ წავალთ. სასამართლო ვალდებულია იმსჯელოს

კონკრეტული ფაქტების მოშველიებით და დაადგინოს იყო თუ არა შედეგი გამოწვეული გაუფრთხილობლით. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალი დადგენილად არ ჩაითვლება.

## მუხლი 138. სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება

1. მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.

2. იგივე ქმედება:

ა) ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 138-ე-141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული;

გ) ჯგუფურად;

დ) დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის ან არასრულწლოვნის მიმართ,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თორმეტ წლამდე.

4. იგივე ქმედება:

ა) ჩადენილი დაზარალებულის ან სხვა პირის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით;

ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე.

5. სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, ჩადენილი იმის მიმართ, ვისაც არ შესრულებია თოთხმეტი წელი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №292 – სსმ I , 2000 წ., №18, 45; საქართველოს 2000 წლის 30 ივნისის კანონი №458 – სსმ I , 2000 წ. №27, მუხ. 83; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2937 – სსმ I , 2006 წ. №14, მუხ 90).

## I

### ქმედების უშედეგოობა

ა) ქმედების ზოგადი უშედეგოობის ობიექტური მხარე

მსგავსად გაუპატიურებისა, ამ მუხლით აღწერილი ქმედების უშედეგოობის ობიექტური მხარე მხოლოდ მოქმედებას გულისხმობს. ეს პირდაპირ არის ნათქვამი 138-ე მუხლის სათაურში („ძალდომობითი მოქმედება“).

ტერმინი „შედეგოობა“, როგორც ეს ამ სიტყვიდან პირდაპირ ჩანს, მამაკაცის მამაკაცთან სქესობრივ ურთიერთობას ნიშნავს.

„ლესბოსელობა“ ბერძნული სიტყვაა და აღნიშნავს ქალის სქესობრივ ურთიერთობას ქალთან. მიხეილ ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ ამ ტერმინს ასევე განმარტავს: „ლესბოსურ-ი სიყვარული – ქალის არაბუნებრივი სქესობრივი ლტოლვა ქალისადმი (ძველი საბერძნეთის კუნძულ ლესბოსის ( ესბოს) სახელის მიხედვით)“.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, უშედეგოობის მიხედვით ჭაბაშვილი, 1964, 230-ე გვ. პ. დაუთაშვილი წერს, რომ „ლესბიანობა დღემდე მოკიდა საფრანგეთიდან, როდესაც ქალების, ესე იგი ქალის ქალთან სქესობრივი კავშირისათვის სასჯელის სახით ასახლებდნენ ლესბას კუნძულზე“ (იხ. პეტრე დაუთაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, 2008, 65-ე გვ., მე-2 სქოლიო). სასურველი იყო ავტორს მიუთითებინა წყარო, საიდანაც ისარგებლა იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ „ლესბოსელობა“ საფრანგეთიდან მომდინარეობს.

სიტყვა „არაბუნებრივი“ აქ ზედმეტად მიგვაჩნია, რადგან ისე გამოდის, თითქოს ქალებს შორის ბუნებრივი სქესობრივი კავშირიც შეიძლება იყოს. ამიტომ „ლესბოსელობა“ ქართულად უნდა განვმარტოთ, როგორც ქალის სქესობრივი კავშირი ქალთან. ტერმინი „მამათმავლობა“, როგორც ვხედავთ, ქართული წარმომავლობისაა და გამოიყენება არა მარტო ყოველდღიურ სიტყვათხმარებაში, არამედ ოფიციალურადაც დამკვიდრებულია კანონმდებლობაში, რაც საკვებით ბუნებრივი და მოსაწონია. ამიტომ ჩვენ არ მიგვაჩნია სწორად, როცა ქართული „მამათმავლობის“ გვერდით, ოფიციალურ ტექსტში უცხოური წარმოშობის „ლესბოსელობა“ გამოიყენება. მით უმეტეს, არ არის ეს მოსაწონი, როცა „ლესბოსელობას“ აქვს შესანიშნავი ქართული შესატყვისი „დედათმავლობა“, რომელიც „მამათმავლობის“ გვერდით სრულიად ბუნებრივად ჟღერს.<sup>1</sup>

138-ე მუხლის ზოგადი შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია აგრეთვე „სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწევობის გამოყენებით“ (იხ. პირველი ნაწ.).

ძალადობა, ძალადობის მუქარა და უმწევობის გამოყენება ის ხერხებია, რომლებითაც ხდება მამათმავლობის, ლესბიანობის (დედათმავლობის) და გაუკუღმართებული ფორმით სექსუალური კონტაქტის ჩადენა. ჩვენ აქ ამ ხერხებზე აღარაფერს ვიტყვი, რადგან მათზე უკვე ვილაპარაკეთ ზემოთ, როცა გაუპატიურების საკითხს ვიხილავდით.

---

1 ზ. წულაია წერს, რომ „ეტიმოლოგიურად „ლესბოსელობა“ უფრო სწორი ტერმინი, ვიდრე ის, რაც წერია კოდექსში, რაც რუსულიდან თარგმანის კალკს წარმოადგენს. „ლესბოსეობას“ ხაზი გაესმის ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც (იხ. ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, გამომცემლობა „განათლება“, თბ. 1998, გვ. 329)“. (იხ. ზაურ წულაია, სისხლის სამართლი, კერძო ნაწილი, I ტ., 203-ე გვ. სქოლიო).

კოდექსის 2007 წ. 5 დეკემბრის გამოცემაში, რომელიც ოფიციალური ტექსტია, „ლესბიანობის“ ნაცვლად, გამოყენებულია ტერმინი „ლესბოსელობა“. მაგრამ ეს საქმეს ვერ შევლის. „ლესბოსეობაც“ და „ლესბიანობა“ თუ „ლესბოსეობაც“ ყველა უცხოური წარმოშობის ტერმინია. ამიტომ მათ ნაცვლად უნდა ვიხმაროთ ქართული სიტყვა.

დავიწყეთ მამათმავლობის განმარტებით. რაც მთავარია, მამათმავლობა, თუ ის ჩადენილია ნებაყოფლობით, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს. ასევე არ გამოიწვევს პასუხისმგებლობას დედათმავლობა და სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი, თუ ეს ქმედებები ნებაყოფლობითაა ჩადენილი 16 წელს მიღწეულთან.

საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 121-ე მუხლის თავდაპირველი რედაქციით ნებაყოფლობითი მამათმავლობაც ისჯებოდა. მამათმავლობა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით მხოლოდ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს წარმოადგენენ. რაც შეეხება დედათმავლობას, ეს მოქმედება 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსით საერთოდ არ ისჯებოდა.

როგორ ხდება სექსუალური კონტაქტი მამაკაცისა მამაკაცთან? ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე ნათქვამია: „მამათმავლობა (კომოსექსუალიზმის, პედერასტიის სახესხვაობა) მდგომარეობს სქესობრივი უინის ძალმომრეობით დაკმაყოფილებაში მამაკაცისა მამაკაცთან სქესობრივი კავშირის გზით. სხვანაირად თუ ვიტყვით, ამ დროს აქტიური პარტნიორის სასქესო ასო (პენისი) შედის პასიური პარტნიორის უკანა გასასვლელ ზვრელში (სწორ ან ყითა ნაწლავში)“<sup>1</sup>

6. სევანაძეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2003 წ. 1 აგვისტოს განაჩენით მსჯავრი დაედო სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილით. განაჩენის თანახმად მთვრალმა ნ. სევანაძემ მეზობლად მცხოვრები მცირეწლოვანი გ. ი-შვილი ძალის გამოყენებით გადაიყვანა უკაცრიელ ადგილზე და „ძალადობით დაამყარა მასთან სექსუალური კონტაქტი გაუკლმართებელი ფორმით-უკანა ტანის არედან, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა“<sup>2</sup>

როგორც აქედან ჩანს, სასამართლოები მამათმავლობას და სხ-

---

<sup>1</sup> ზაურ წულაია, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, პირველი ტომი, 2000, 205-ე გვ.

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2003, №11, 1476-ე გვ.



ვაგვარ სექსუალურ კონტაქტს გაუკუღმართებული ფორმით ერთ-მანეთში ურევენ. ამის ნიმუშია თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 21 დეკემბრის განაჩენი, რომლის მიხედვით „ღამის საათებში განსასჯელმა ა. ა-ძემ განიზრახა დ. ა-ინთან დაემყარებია სქესობრივი კავშირი გაუკუღმართებული ფორმით. იგი ამ მიზნით გადავიდა დ. ა-ინის საწოლში, ისარგებლა მისი უმწეო მდგომარეობით, ძალით გახადა მას ქვედა საცვალი, ძალის გამოყენებით, ასევე, დანით მოკვლის მუქარით უკანა ტანიდან დაამყარა მასთან გაუკუღმართებული ფორმით სქესობრივი კავშირი“.<sup>1</sup> „უკანა ტანიდან სქესობრივი კავშირი“, ეს მამათმავლობაა და არა „სქესობრივი კავშირი გაუკუღმართებული ფორმით“, თუ, რასაკვირველია, ეს კავშირი მამაკაცებს შორის ხდება.

ცოტა ქვემოთ იმავე განაჩენში ნათქვამია: „დადგენილია, რომ მსჯავრდებულმა ა.ა-ძემ მათთან არაერთგზის, ძალადობით და ასევე ძალადობის გამოყენების მუქარით ჩაიდინა მამათმავლობა და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედება“.<sup>2</sup>

საკასაციო პალატას ამ საკითხისათვის განჩინებაში ყურადღება არ მიუქცევია და ისე გამოდის, რომ „მამათმავლობა „ და „სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით“ ერთი და იგივე მოქმედებაა. საქმე ის არის, რომ „სხვაგვარ სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით“ ერთი და იგივე მოქმედებაა. საქმე ის არის, რომ „სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტში გაუკუღმართებული ფორმით“ არ იგულისხმება „მამათმავლობა“ და „ლესბოსელობა“ (დედათმავლობა“).

ამიტომ არის, რომ „მამათმავლობა“ დაზარალებულად მხოლოდ მამაკაცს გულისხმობს, ხოლო „დედათმავლობა“ – ქალს, სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის დროს კი დაზარალებული შეიძლება იყოს როგორც დედაკაცი, ისე მამაკაცი.

გაუკუღმართებული ფორმით სექსუალური კონტაქტის ნი-

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, №5, 518-ე გვ.

<sup>2</sup> იქვე, 519-ე გვ.

მუშად გამოდგება ისეთი შემთხვევა, როცა, მაგალითად, მამაკაცი დაზარალებულს სასქესო ორგანოს პირში უღებს. კასპის რაიონული სასამართლოს 2003 წ. 26 ნოემბრის განაჩენით ბ. ქამხაძეს მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. ბ. ქამხაძე ძალით შედიოდა კასპის რაიონის სოფ. ზემო ხანდაკში მცხოვრებ, 1915 წელს დაბადებულ ს. ა-იანის ბინაში, სარგებლობდა მოხუცის უმწეო მდგომარეობით, უგრეხდა ხელებს და „ამყარებდა მასთან სქესობრივ კონტაქტს გაუკულმართებული ფორმით – სასქესო ასოს პირში ჩადების გზით“.<sup>1</sup>

ბ) ქმედების სპეციალური შემადგენლობის ობიექტური მხარე

138-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი ითვალისწინებს ქმედების სპეციალურ შემადგენლობას – სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედებას, ჩადენილს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ამ საკითხზე, კერძოდ, თუ რას ნიშნავს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება, ჩვენ ვისაუბრეთ 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით აღწერილი შემადგენლობის განხილვის დროს და ამიტომ აქ უკვე ნათქვამს აღარ გავიმეორებთ. ასევე უნდა ვთქვათ 138-ე მუხლის სპეციალური შემადგენლობების სხვა ნიშნებზეც, რომლებიც აღწერილია 137-ე მუხლით.

ამიტომ ჩვენ აქ გავანალიზებთ სასამართლო პრაქტიკის მხოლოდ რამოდენიმე შემთხვევას, რომლებიც, ჩვენი აზრით, საყურადღებო უნდა იყოს მკითხველისათვის. ასეთად უნდა მივიჩნიოთ გ. ყვავაძის საქმე. თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 2005 წლის 13 დეკემბრის განაჩენით გ. ყვავაძეს მსჯავრი დასდო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილით და თავისუფლება ათი წლით აღუკვეთა.

განაჩენის თანახმად, „2004 წლის 27 აგვისტოს, დაახლოებით 18 საათზე, გ. ყვავაძემ, ისარგებლა რა იმით, რომ მისი

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2004, №6, 1205-ე გვ.

მეუღლე ვ. დევვა დროებით გასული იყო სახლიდან, მცირეწლოვანი ლ. ს-შვილი კი ეზოში მარტო თამაშობდა, იგი მოტყუებით შეიყვანა თავის ოთახში, სადაც ამ უკანასკნელთან ჩაიღინა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედება. კერძოდ, დაუწყო მას მოფერება, ჩახადა ტრუსი და ხელით ეხებოდა მას სასქესო ორგანოზე, გაიხსნა შარვალი, ხელი მოაკიდებინა თავის ასოზე და უბრძანა ხელით ეთამაშებინა იგი, რა დროსაც მან დაასრულა სქესობრივი აქტი და სპერმა ლ.ს-შვილს გადაეხსა ხელზე. შეშინებული იმით, რომ გ. ყვავაძე იყო აღგზნებული და უჩვეულო მდგომარეობაში, მცირეწლოვანი ლ. ს-შვილი გამოვარდა მისი ოთახიდან და დედას – ე. წ-შვილს მოუყვა მომხდარის შესახებ<sup>1</sup>. დამცველმა პროცესზე დააყენა საკითხი, რომ გ. ყვავაძის ქმედება უნდა გადაკვალიფიცირებულიყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლზე (გარყენილი ქმედება). საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ ეს მოსაზრება არ გაიზიარა. პალატის განჩინებაში ნათქვამია: „ქმედება, რომელიც გ. ყვავაძემ ჩაიღინა მცირეწლოვან ლ. ს-შვილის მიმართ, თავისი შინაარსით აშკარად სცილდება სსკ-ის 141-ე მუხლით გათვალისწინებული შემაღგენლობის ფარგლებს და შეესაბამება სსკ-ის 138 მუხლის მე-4 ნაწილის (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) დისპოზიციას“<sup>2</sup>.

საწუხაროდ, განჩინებაში დასაბუთებული არ არის, გ. ყვავაძის ქმედება აშკარად რატომ „სცილდება სსკ-ის 141-ე მუხლით გათვალისწინებული შემაღგენლობის ფარგლებს“. როგორც ჩანს, საკასაციო პალატას, როცა ამას წერდა, მხედველობაში ჰქონდა ის, რომ გ. ყვავაძის ქმედება არ ყოფილა ჩადენილი „ძალადობის გარეშე“, რაც 141-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემაღგენლობის აუცილებელი ნიშანია.

„გაუკუღმართებული ფორმით“ სექსუალური კავშირის დამყარების ნიშნითა ზ. ხუცურაულის საქმე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2004

---

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2006, №10, მე-11 გვ.

2 იქვე, მე-13 გვ.

წ. 23 აპრილის განაჩენის თანახმად ზ. ხუცურაულმა მოტყუებით ჩაიყვანა სახლის სარდაფში მცირეწლოვანი მ. მებისრიშვილი, ჩაარტყა ქვა თავში, დაუზიანა თავი სხვადასხვა ადგილას, რომლის შედეგად მან დაკარგა გონება. „ზ. ხუცურაულმა ისარგებლა რა გოგონას უმწეო მდგომარეობით, გახდა ქვედა საცვალი და განსაკუთრებული სისასტიკით, გაუკუღმართებული ფორმით, დაამყარა მასთან სექსუალური კონტაქტი – ხელის თითის მეშვეობით დაუზიანა საქალწულე აპკი, რის შემდეგაც იგი მიატოვა უმწეო მდგომარეობაში და შემთხვევის ადგილიდან მიიძალა.“<sup>1</sup> „სასამართლო კოლეგიამ ზ. ხუცურაულის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის „დ“ და „ლ“ პუნქტებითა და 138-ე მუხლის მე-4 ნაწილით დააკვალიფიცირა.“<sup>2</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ 2004წ. 8 ივლისის განჩინებით დასაბუთებული განაჩენი შეცვალა, კერძოდ, ზ. ხუცურაულის ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის მე-19-109-ე, მუხლებიდან ამავე კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტზე გადააკვალიფიცირა („დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის ...“).<sup>3</sup>

პალატამ არ ჩათვალა დასაბუთებულად, რომ ზ. ხუცურაული დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობის განზრახვით მოქმედება, როცა მცირეწლოვან მ. მებისრიშვილს თავში ქვას ურტყამდა.

137-ე მუხლის განხილვის დროს ჩვენ ვისაუბრეთ გაუპატიურების ისეთ მაკვალიფიცირებელ ნიშანზე, როგორიცაა გაუპატიურება „არაერთგზის“ (137-ე მ, მე-3 ნაწილის „ა“ პ.). აქ მინდა ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ „არაერთგზისობისათვის“

---

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2004, №6 1408-ე გვ.

2 იქვე, 1416-ე გვ.

3 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2004, №7, 1486-ე გვ. 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტის რედაქცია 2006 წლის 28 აპრილის კანონით შეიცვალა. ახალი რედაქციით დასაბუთებული გარემოებები გათვალისწინებულია 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ პუნქტით.

მნიშვნელობა არა აქვს, 137-ე მუხლის რომელიმე ნაწილით იყო ქმედების ჩამდენი ადრე მსჯავრდებული. ასევე არა აქვს მნიშვნელობა ადრე მას მსჯავრი დაედო თანამონაწილეობისა თუ ამსრულებლობისათვის.

138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების ჩადენა ჯგუფურად. ჯგუფში შეიძლება შედიოდეს ორი კაციც. ასეთ შემთხვევაში ჯგუფის ორივე მონაწილე უნდა იყოს შერაცხადი და პასუხს აგებდეს ჩადენილი ქმედებისათვის. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ორი მონაწილიდან ერთი გაქცეულია და მეორეს, მიუხედავად ამისა, მაინც ასამართლებენ ჯგუფური დანაშაულისათვის. ასეთი კვალიფიკაცია სწორი არ არის. ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როცა ავტომანქანის გატაცებისათვის დააპატიმრეს ორი პიროვნება. გამოძიების პროცესში ერთი მათგანის ფსიქიატრიული ექსპერტიზის საკითხი დაისვა. იგი საავადმყოფოდან გაიქცა ისე, რომ ვერ მოესწრო მისი შერაცხადობის საკითხის გარკვევა. მიუხედავად ამისა, მეორე თანამონაწილე სასამართლომ ჯგუფური დანაშაულისათვის გაასამართლა. ეს კვალიფიკაცია, რასაკვირველია, სწორი არ იყო, რადგან არ იყო დადგენილი მეორე მონაწილის ფსიქიკური მდგომარეობა.

### გ) ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარე

138-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარე, თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ქმედების ზოგად შემადგენლობას, მსგავსად გაუპატიურებისა, განზრახვას, უფრო ზუსტად, პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. ასევე ითქმის ამ დანაშაულის შემადგენლობის სპეციალურ ნიშნებზე ანუ ქმედების სპეციალურ შემადგენლობაზე. თუმცა აქა-იქ მაინც გვხვდება ცალკეული ნიშნები, რომელთა განხორციელება განზრახ არ ხდება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევჩერდეთ 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტზე — „რამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი“. „ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ცნება“ მოცემული გვაქვს სისხლის

სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით. ერთი სიტყვით, ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარე აღწერილია 117-ე მუხლით. რაც მთავარია, ვინაიდან 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის მიხედვით ლაპარაკია „დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაზე“, ამ სიტყვებში უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ და მხოლოდ 117-ე მუხლის ზოგადი შემადგენლობა ანუ 117-ე მუხლის პირველი ნაწილი. მაგრამ 117-ე მუხლის პირველი ნაწილი სუბიექტური თვალსაზრისით განზრახვას გულისხმობს. ეს პირდაპირაა ნათქვამი მუხლის პირველი ნაწილის ტექსტში („ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება“). მაგრამ 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი არაფერს ამბობს იმაზე, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება განზრახი უნდა იყოს თუ განუზრახველი. ჩემი აზრით, ვინაიდან აქ კანონმდებელი პირდაპირ არაფერს ამბობს, ჯანმრთელობა მსხვერპლს შეიძლება დაუზიანდეს მხოლოდ განუზრახველად. იგივე უნდა ითქვას „სხვა მძიმე შედეგი“-ს მიმართაც.

ასევე უნდა ითქვას 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ პუნქტით აღწერილ ნიშანზეც— „რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა“. აქაც, როგორც ვხედავთ, შედეგის — „სიცოცხლის მოსპობის“ მიმართ ქმედების ჩამდენის მხრიდან მხოლოდ განუზრახველობა იგულისხმება.

138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა „დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის ან არასრულწლოვნის მიმართ“. სიტყვები „წინასწარი შეცნობით“ იმას ნიშნავს, რომ ქმედების ჩამდენი განზრახ მოქმედებს. მან ქმედების ჩადენის დროს იცის, რომ დაზარალებული, ვისთანაც ძალადობით თუ უმწეობით ამყარებს სქესობრივ კავშირს გაუკუღმართებული ფორმით, ორსულადაა ანდა არასრულწლოვანია. სასამართლომ უტყუარად უნდა დაასაბუთოს, რომ ქმედების ჩამდენმა ეს იცოდა. ასევე უტყუარად უნდა დაასაბუთოს სასამართლომ, რომ ქმედების ჩამდენმა უტყუარად იცოდა, რომ დაზარალებული ზემოთ დასახელებული ქმედების ჩადენის დროს ჯერ კიდევ არ იყო თოთხმეტი წლის. იმ შემთხვევაში თუ ეს ცოდნა უტყუარად ვერ დადასტურდა და წარმოიშობა ეჭვი, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის

„დ“ პუნქტით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანობის შეცნობაც უტყუარად ვერ დადასტურდება, ქმედების ჩამდენს 138-ე მუხლის მე-ე ნაწილის „დ“ პუნქტიც უნდა მოეხსნას და მისი ქმედება 138-ე მუხლის სხვა ნაწილზე გადაკვალიფიცირდეს.

138-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარე გულისხმობს მხოლოდ პირდაპირ განზრახვას.<sup>1</sup>

## II

### დანაშაულთა ერთობლიობა

დანაშაულთა ერთობლიობასთან დაკავშირებით (სსკ-ის მე-16 მ) 138-ე მუხლის პრაქტიკაში გამოყენების დროს ჩვენ რაიმე სირთულე არ შეგვიძინებია. ამიტომ განვიხილავთ მხოლოდ მე-16 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ნორმას, რომლის გამოყენების დროს სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შეცდომები. მე-16 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით „თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით, დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით“.

თუ ამ დებულებას 138-ე მუხლს შევეუსაბამებთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ამ მუხლის პირველი ნაწილით აღწერილი ქმედების შემადგენლობა „ზოგადი ნორმა“, ხოლო მომდევნო ნაწილებით „სპეციალური ნორმები“ გათვალისწინებული. ამიტომ მე-16 მუხლის მეორე ნაწილი უფლებას არ გვაძლევს ქმედება 138-ე მუხლების პირველი და მეორე ან სხვა მომდევნო ნაწილებით დააკვალიფიცირროთ.

საბრალდებო დასკვნით თ. ბუზიაშვილის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით დაკვალიფიცირდა. თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლე-

<sup>1</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2006, 162-ე გვ.

გის 2005 წ. 1 დეკემბრის განაჩენით თ. ბუზიაშვილს მოეხსნა სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდება და მხოლოდ 138-ე მუხლის მეოთხე ნაწილით დაედო მსჯავრი<sup>1</sup>. ეს კვალიფიკაცია სავსებით შეესაბამება სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილს.

### III

## დაუმთავრებელი დანაშაული

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, ჩემი აზრით, 138-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დამთავრების მომენტი ისევე არასწორედ არის გაგებული, როგორც ეს გაუპატიურების დროს არის მიჩნეული. მაგალითად, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილში“ ვკითხულობთ: „დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა კანონში აღნიშნული ხერხების გამოყენებით (მაგალითად, ძალადობით) დამნაშავე დაიწყებს დაზარალებულთან გაუკუღმართებულ სექსუალურ კონტაქტს იმის მიუხედავად, დაამთავრებს თუ არა მას“<sup>2</sup>.

„სექსუალური კონტაქტის დაწყება“ ჯერ კიდევ მცდელობის სტადიაა. ისე გამოდის, თითქოს, ვინმემ რომ დანიანი ხელი აღმართოს სხვისი მოკვლის მიზნით, მკვლელობა დამთავრებული ყოფილა. მოვიტანოთ სხვა მაგალითი. სხვის ბინაში შესულმა ქურდმა რომ ნივთი ჯიბეში ჩაიდოს, ამ დებულების მიხედვით დამთავრებული ქურდობა ყოფილა.

სასამართლო პრაქტიკაში ეს საკითხი უფრო სწორად წყდება.

---

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2006, №6, მე-18 გვ.

2 იხ.სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 162-ე გვ. ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, 2000, 206-ე გვ. პ. ლაუთაშვილი არაფერს ამბობს იმაზე, როდის არის დამთავრებული 138-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობა: მაგრამ გაუპატიურებას დამთავრებულად მიიჩნევს „სქესობრივი კავშირის დაწყების მომენტიდან“ (იხ. მისი, საქართველოს სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, 64-ე გვ.)



ყურადღებას იპყრობს ამ მხრივ მ. მურადაშვილის საქმე. თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 11 აგვისტოს განაჩენით მ. მურადაშვილს მსჯავრი დაედო სისხლის სამართლის კოდექსის 19,138-ე მუხლის მე-4 ნაწილით და თავისუფლება 14 წლით აღეკვეთა.

განაჩენის თანახმად მ. მურადაშვილმა „ბ. შ-შვილი წააქცია პირქვე, ზურგს უკან შეუკრა ხელები და ფიზიკური ძალადობით ცდილობდა მისი წინააღმდეგობის დაძლევას. ჩახადა სპორტული შარვალი, ტრუსი და შეეცადა სექსუალური კონტაქტის დამყარებას უკანა ტანიდან“. დაზარალებული მ. მურადაშვილს უწევდა წინააღმდეგობას და თან ყვიროდა. დაახლოებით 50 მეტრში მუშაობდა რამდენიმე კაცი, რომლებმაც გაიგონეს ყვირილის ხმა და გამოეხმაურნენ დაზარალებულს. ამან ხელი შეუშალა მ. მურადაშვილს და სქესობრივი კავშირი ვერ მიიყვანა ბოლომდე.<sup>1</sup>

გორის რაიონული პროკურატურის პროკურორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წ. 11 აგვისტოს განაჩენის გაუქმებას ქმედების არასწორი კვალიფიკაციისა და სასჯელის ღმობიერების გამო. არასწორი კვალიფიკაცია პროკურორის საკასაციო საჩივრის მიხედვით გამოიხატა იმით, რომ მ. მურადაშვილის ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო არა როგორც მცდელობა, არამედ დამთავრებულ დანაშაულად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატა 2006 წ. 10 მაისის განჩინებით პროკურორის პროტესტს არ დაეთანხმა. განჩინებაში ნათქვამია: „წინასწარი გამოძიებისას მ. მურადაშვილის ქმედება არასწორად დაკვალიფიცირდა, როგორც დამთავრებული დანაშაული. წინასწარი და სასამართლო გამოძიებით დადგენილია, რომ განსასჯელსა და დაზარალებულს შორის სექსუალური კონტაქტი არ დაწყებულა განსასჯელისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შ. შვილთან სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ბოლომდე არ იქნა

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2006, №10, მე-8 გვ.

მიყვანილი დაზარალებულის წინააღმდეგობისა და სხვა პირების ჩარევის გამო.“<sup>1</sup>

განჩინების მიმართ გვაქვს მხოლოდ ის შენიშვნა, რომ აღწერილი ქმედება არ წარმოადგენს სექსუალურ კონტაქტს „გაუკუღმართებული ფორმით“.

## IV

### პასუხისმგებლობის გამომრიცხავი ბარემოება

სასამართლო პრაქტიკის შესწავლის დროს ჩვენ მივაგენით ერთ მეტად საყურადღებო საკმეს, რომლის მიხედვით ჩადენილია სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე, მუხლით აღწერილი ქმედება, მაგრამ ქმედების მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო პასუხისმგებლობა გამოირიცხა.

ნ. მღებრიშვილმა „მოითხოვა მისი მეუღლის ბუზიაშვილის დასჯა მასთან ფიზიკური ძალის გამოყენებით გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირის დაჭერისათვის“.<sup>2</sup>

გამოძიებით დადგინდა, რომ „ვინაიდან ქორწინების შემდეგ ნ. მღებრიშვილს მოუვიდა მენსტურაცია, მათ სქესობრივი ურთიერთობა არ ჰქონიათ. 17 ივლისის ღამეს ვ. ბუზიაშვილმა ცოლთან სექსუალური კონტაქტი დაამყარა უკანა ტანიდან, რა დროსაც რაიმე ძალადობა არ გამოუყენებია. 20 ივლისს კი ვ. ბუზიაშვილმა ნ. მღებრიშვილი მიაბრუნა თავის სახლში იმ მოტივით, რომ მას უკანა ტანიდან სექსუალური კავშირი შესთავაზა რა, ამ უკანასკნელმა, ამით შეურაცხყო მისი ღირსება და ქრისტიანული მრწამსი“.

პროკურატურამ ამ საკმის წარმოება 2003 წ. 30 ნოემბრს

1 იქვე, მე-19 გვ.

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2004, №2, 295-ე გვ.

შეწყვიტა, „ვინაიდან ვ. ბუზიაშვილს მეუღლის მიმართ რაიმე ძალადობა არ გამოუჩენია და ამიტომ მისი ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო“.

პროკურატორის დადგენილება ვ. ბუზიაშვილმა ქარელის რაიონის სასამართლოში გაასაჩივრა და მოითხოვა მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის „ა“ პუნქტით. საქმე სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო წყდება. ვ. ბუზიაშვილი საჩივრით ამტკიცებდა, რომ მას მღებრიშვილთან არც გაუკუღმართებული ფორმით და არც სხვა ფორმით სექსუალური კავშირი საერთოდ არ ჰქონია.

ქარელის რაიონულმა სასამართლომ პროკურატორის დადგენილება, რომლითაც საქმის წარმოება შეწყდა, გააუქმა და დააბრუნა ხელახალი გამოძიებისათვის.

საბოლოოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2004 წ. 17 თებერვლის განჩინებით გაუქმდა ქარელის რაიონის სასამართლოს 2004 წ. 9 იანვრის დადგენილება, რომლითაც ამავე რაიონის პროკურატორის 2003 წ. 30 ნოემბრის დადგენილება გაუქმდა.<sup>1</sup> საბოლოოდ პროკურატორის 2003 წ. 30 ნოემბრის დადგენილება დარჩა ძალაში, რომლითაც ვ. ბუზიაშვილის საქმე შეწყდა ქმედების მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო. ერთი სიტყვით, პროკურატურამ მიიჩნია, რომ ვ. ბუზიაშვილმა მეუღლესთან გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირი ნებაყოფლობით დაამყარა, რითაც გამოირიცხა ამ ქმედების მართლწინააღმდეგობა.

---

1 იქვე, 296-ე გვ.

## მუხლი 139. სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება

1. სქესობრივი კავშირის, მამათმავლობის, ლესბიანობის ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის იძულება სახელგამტეხი ცნობის გაზიარების ან ქონებრივი დაზიანების მუქარით, ანდა მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით, —

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

*(საქართველოს 2003 წლის 20 ივნისის კანონი №2458-სსმ I, 2003 წ. №21, მუხ. 149; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2937-სსმ I, 2006 წ., №14, მუხ. 90)*

## I

### ქმედების შემაღვენლობა

ა) ქმედების ზოგადი შემაღვენლობის ობიექტური მხარე

139-ე მუხლის პირველი ნაწილით ქმედების ზოგადი შემაღვენლობაა აღწერილი. აქ ლაპარაკია „სქესობრივი კავშირის, მამათმავლობის, ლესბიანობის ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის“ იძულებაზე. ამ ტერმინების შინაარსზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ზემოთ და აქ მათზე ამიტომაც აღარაფერს ვიტყვით. რაც შეეხება „იძულებას“, რომელიც სქესობრივი კავშირის, მამათმავლობის, ლესბიანობის და სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის ჩადენის ხერხს წარმოადგენს, ის ამჟამად განსხვავდება ისეთი ხერხისაგან, როგორცაა „ძალადობა“. ეს უკანასკნელი ხერხი გაუპატიურების (137-ე მ) და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების

(138-ე მ) დროს გამოიყენება. ძალადობა ფიზიკური ძალის გამოყენებასთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება იძულებას, ამ შემთხვევაში დამნაშავე ემუქრება მსხვერპლს, თუ იგი მასთან არ დაიჭერს სქესობრივ კავშირს, მისი სახელის გამტეხ ცნობას გაავრცელებს ან ქონებას დაუზიანებს ანდა აიძულებს დაამყაროს მასთან სქესობრივი კავშირი, ჩაიდინოს მამათმავლობა, დედათმავლობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით.

სახელგამტეხი ცნობა ორგვარი შეიძლება იყოს – 1) ცილისმწამებლური ანუ მონაჭორი და 2) ცნობა, რომელიც სინამდვილეს შეეფერება. რას ნიშნავს, „სახელგამტეხი ცნობა“? ეს იმას ნიშნავს, რომ ცნობა, რომლის გავრცელებასაც დამნაშავე აპირებს, უნდა ბლალაედეს დაზარალებულის პატივსა და ღირსებას. „ღირსება“ არის ადამიანის მიერ თავისი თავის შეფასება, ხოლო „პატივი“ ნიშნავს პიროვნების ღირსების შეფასებას საზოგადოების თვალსაზრისით. ასეთი ცნობა შეიძლება იყოს, მაგალითად, ის, რომ ქალი ქმარს ღალატობს და სხვ. დამნაშავე შეიძლება დაზარალებულს დაემუქროს, თუ მასთან არ დაამყარებს სქესობრივ კავშირს, ხმას გაავრცელებს, რომ ის ქმარს ღალატობს.

„ქონებრივი დაზიანების მუქარა“. სასამართლომ უნდა შეაფასოს ის საკითხი, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა დაზარალებულისათვის ქონებას, რომლის დაზიანებასაც დამნაშავე ემუქრებოდა. ამიტომ ვერ დავეთანხმებით იმ აზრს, თითქოს „ეს ქონება უნდა იყოს მნიშვნელოვანი როგორც საზოგადოდ, ისე თვით დაზარალებულისათვის“.1 შესაძლებელია ქონებას, რომლის დაზიანებასაც აპირებს დამნაშავე, „საზოგადოდ“ დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდეს, მაგრამ ის მნიშვნელოვანი იყოს თვითონ დაზარალებულისათვის. ეს დამოკიდებულია დაზარალებულის ქონებრივ მდგომარეობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ქონება საზოგადო თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია, მაშინ ქმედება 187-ე მუხლითაც უნდა დაკვალიფიცირდეს.

139-ე მუხლში ლაპარაკია ქონების დაზიანებაზე. მაგრამ არ

---

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2006, 164-ე გვ

არის გამორიცხული, დამნაშავე დაზარალებულს დაემუქროს, რომ გაუნადგურებს ქონებას, ვთქვათ, აუფეთქეს სახლს, მანქანას და სხვა. ამ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება 139-ე მუხლით. იმ შემთხვევაში, თუ მუქარა რეალურად განხორციელდა, დამნაშავეს პასუხისმგებლობა 187-ე მუხლითაც დაეკისრება.<sup>1</sup>

ლიტერატურაში გამოთქმულია აგრეთვე აზრი, თითქოს, „თუ ადგილი აქვს დაზარალებულისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქონების (მაგალითად, საცხოვრებელი სახლის) დაუყონებლივ განადგურების (მაგალითად, დაწვის) მუქარას სქესობრივი კონტაქტის იძულების მიზნით, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა სსკ 139-ე მუხლით, არამედ 137-ე ან 138-ე მუხლების მცდელობით“.<sup>2</sup>

ამ შეხედულებას ვერ დავეთანხმებით. 137-ე და 138-ე მუხლების პირველი ნაწილის ქმედების შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია „ძალადობა“ და „ძალადობის მუქარა“, ხოლო სახლის დაწვის მუქარა ქალთან ძალადობის მუქარას არ გულისხმობს.

გარდა ამის, მართალია, ავტორი ლაპარაკობს „ქონების დაუყონებლივ განადგურების მუქარაზე“, მაგრამ „დაუყონებლივ“ სახლს ვერაინ წვაეს. სახლის დაწვას დრო უნდა. გაუპატიურება კი ისეთ მუქარას გულისხმობს, რომელიც დაუყონებლივ შეიძლება აღსრულდეს. აქ ისეთივე მდგომარეობაა, როგორიც ყაჩაღობისა (179-ე მ) და გამოძალვის (181-ე მ) დროს გვაქვს. ყაჩაღობის დროს მუქარა იმწუთიერია, დაუყონებლივ უნდა აღსრულდეს, ხოლო გამოძალვის დროს მუქარა მომავლისკენაა მიმართული.

ქმედების ზოგადი შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს აგრეთვე მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენება სქესობრივი კავშირის, მამათმავლობის, დედათმავლობის ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის დასამყარებლად. „მატერიალური დამოკიდებულება“ იმას ნიშნავს, რომ დაზარალებული დამნაშავეს კმაყოფაზე იმყოფება და მას რჩენის სხვა საშუალება არ გააჩნია. რჩენა და კმაყოფაზე ყოფნა

1 იქვე

2 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 164-ე გვ. .იხ. სქოლიო

არ გულისხმობს მაინც და მაინც მხოლოდ საჭმელ-სასმელით დაკმაყოფილებას. აქ იგულისხმება აგრეთვე საცხოვრებელი სადგომიც, რომელიც დამნაშავეს ეკუთვნის და დაზარალებულს სხვაგან წასასვლელი არა აქვს. მატერიალური დამოკიდებულება გულისხმობს იმას, რომ ის სახსრები, რომელსაც დაზარალებული დამნაშავესაგან იღებს, მას კანონიერად ეკუთვნის.

„სამსახურებრივი დამოკიდებულება“ გულისხმობს უფროსისა და უმცროსის – ხელქვეითის ურთიერთობას, როცა დაზარალებული დამნაშავეს ხელქვეითია და მასზეა დამოკიდებული. აქ მხედველობაშია მისაღები ისეთი მდგომარეობა, როცა დაზარალებული უკიდურეს მდგომარეობაშია, მას სხვა წასასვლელი არა აქვს, უსამსახუროდ რჩება და მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს და ა.შ. ასეთ მდგომარეობას იყენებს დამნაშავე სამსახურში და თავის ხელქვეითთან ამყარებს სქესობრივ კავშირს ან სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტს.

„სხვაგვარი მდგომარეობის გამოყენება“, როგორც ეს ლიტერატურაშია მითითებული, ნიშნავს ისეთ მდგომარეობის გამოყენებას, რომელიც „შეიძლება წარმოიშვას მასწავლებელსა და მოსწავლეს, მწვრთნელსა და სპორტსმენს, გამომძიებელსა და ბრალდებულს შორის“<sup>1</sup> და ა. შ.

ობიექტური მხრივ ამ ქმედების შემადგენლობა შეიძლება განხორციელდეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. მოქმედებასთან გვაქვს საქმე მაშინ, როცა დამნაშავე სქესობრივი კავშირის, მამათმავლობის, დედათმავლობისა და სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის დამყარებას ცდილობს დაზარალებულთან მისი სახელგამტეხი ცნობის გახმაურების ან ქონებრივი დაზიანების მუქარით. მუქარა უმოქმედობით არ შეიძლება. ამ დროს დამნაშავე სიტყვიერად მოქმედებს, ან ვინმეს დააბარებს, ესეც მოქმედებაა. შესაძლებელია, რომ მუქარა წერილობით იყოს გამოხატული და სხვა.

რაც შეეხება „მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით“ ამ ქმედების განხორციელებას,

---

<sup>1</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 165-ე გვ.

აქაც, რასაკვირველია, მოქმედებაა საჭირო. მოქმედება გამოიხატება წინადადების მიცემით, მუქარით, თუ ქალი მასთან არ დაიჭერს სქესობრივ კავშირს, მას გაუუარესდება მატერიალური ან სამსახურებრივი მდგომარეობა. ასე რომ, ესეც მოქმედებაა და არა უმოქმედობა, როგორც ეს მიჩნეულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

ზ. წულაიას აზრით, „მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენება“ უმოქმედობას გულისხმობს „იძულება შეიძლება გამოიხატოს – წერს იგი – ბრალდებულს როგორც აქტიურ მოქმედებაში (მაგალითად, დაზარალებულისათვის სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის მოქმედებისათვის მაიძულებელი მოთხოვნა, შეხსენება, მუქარა, შეგონება, დაყოლიება, დარწმუნება, დაჯერება და ა.შ.), ასევე პასიურ ქცევაში (მაგალითად, პირველი თქმის შემდეგ ბრალდებულის მხრიდან არააქტიურობა). ბრალდებულის ასეთი ქმედება ყველა შემთხვევაში მიმართულია იქითკენ, რომ დაზარალებული იძულებული გახდეს სქესობრივ კონტაქტში შევიდეს (თავისი კანონიერი ინტერესებისათვის ზიანის ასაცილებლად) ბრალდებულთან“.<sup>1</sup>

ეს ვრცელი ამონაწერი პროფესორ ზ. წულაიას წიგნიდან ჩვენ იმიტომ მოვიტანეთ, რომ მკითხველმა ადვილად დაინახოს ამ მსჯელობის წინააღმდეგობრიობა. ჯერ-ერთი, კანონის ტექსტში ლაპარაკია „იძულებაზე“. რას ნიშნავს „იძულება“? იძულება ყველა შემთხვევაში მოთხოვნაა. მოთხოვნა კი უმოქმედობით შეუძლებელია. მით უმეტეს, რომ პროფ. ზ. წულაია სხვა ადგილას წერს, რომ ეს დანაშაული „დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულების მომენტიდან“.<sup>2</sup> ამ დებულებას პირდაპირ ეწინააღმდეგება ავტორის მიერ მოტანილი მაგალითი, რომლის მიხედვით „წარმოების დირექტორი ქალი სწავლის თანხას აღარ უხდის თავის თანამშრომელ გოგოს ფასიანი სწავლებისათვის, რითაც აიძულებს ამ უკანასკნელს მასთან შევიდეს ლესბოსურ ურთიერთობაში“.<sup>3</sup>

1 ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, I ტ. 2000, 208-ე გვ.

2 ზ. წულაია, მით. ნაშრომი, 210-ე გვ.

3 ზ. წულაია, მით. ნაშრომი, 208-ე გვ.



თანხის არ გადახდა, რომელიც ზ. წულაიას სურს დაამტკიცოს, რომ 139-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობის განხორციელება უმოქმედობითაც შეიძლება, ქმედების შემადგენლობის ნიშანი არ არის. ეს ქმედების შემადგენლობის დამთავრების შემდეგი ეტაპია. ქმედების შემადგენლობა გულისხმობს იძულებას, რაც გამოიხატება სიტყვიერად, თუ გოგონა არ დაიჭერს მასთან სექსუალურ კავშირს, მასთან არ გადაუხდინან სწავლის საფასურს. ეს კი მოქმედებაა.

ასევე ვერ დავეთანხმებით ნ. თოდუას, რომელიც წერს, რომ 139-ე მუხლით აღწერილი „შემადგენლობა შეიძლება განხორციელდეს უმოქმედობითაც. მაგალითად, მამინაცვალი გერს სთავაზობს სქესობრივ კავშირს მასთან. უარის მიღების შემდეგ წყვეტს მასზე ზრუნვას (არ აჭმევს, არ ყიდულობს ტანსაცმელს, არ უხდის სწავლის ხარჯებს და ა.შ.)“<sup>1</sup>

ეს დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება სქესობრივი კავშირის, მამათმავლობის, დედათმავლობის თუ სხვაგვარი სექსუალური კავშირის იძულების მომენტიდან.<sup>2</sup>

### ბ) ქმედების საპეციალური შემადგენლობის ობიექტური მხარე

139-ე მუხლის მე-2 ნაწილით გაძლიერებული პასსუხისმგებლობაა დაწესებული იმ შემთხვევისათვის, როცა ამ მუხლის პირველი ნაწილით აღწერილი ქმედება არასრულწლოვანის მიმართ არის ჩადენილი. არასრულწლოვანობა დაზარალებულის პიროვნული ნიშანია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დაზარალებულის ასაკს არ განსაზღვრავს. კოდექსის 80-ე მუხლით განსაზღვრულია მხოლოდ დამნაშავეის ასაკი. ამის მიხედვით განისაზღვრება არასრულწლოვანი დაზარალებულის ასაკიც. კოდექსის მე-80 მუხლის მიხედვით არასრულწლოვანობის ზედა ზღვარია 18 წელი, ხოლო ქვედა ზღვარი – 14 წელი. 2007 წ. 23 მაისის კანონით ზოგიერთი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პასუხისმგებლობა 12 წლიდან იწყება (108-ე, 109-ე, 117-ე, 137-ე, 178-ე,

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, 2006. 164-ე გვ.

2 ზ. წულაია, მით. ნაშრომი, 210-ე გვ.

(გარდა პირველი ნაწილისა) , 179-ე, და 138<sup>1</sup>). ეს კანონი ძალაში შევიდა 2008 წ. 1 ივლისიდან. თუ 33-ე მუხლის ახალი რედაქციის მიხედვით ვიმსჯელებთ, არასრულწლოვანობა 139-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით 14 წლის ასაკიდან უნდა დაეიწყოთ. მიუხედავად ამისა, 139-ე მუხლის მე-3 ნაწილი, არასრულწლოვანის გარდა, მცირეწლოვანსაც უნდა მოიცავდეს.

აქ იგულისხმება ორივე სქესის არასრულწლოვანი. მამათმავლობის დროს დაზარალებული იქნება მამრობითი სქესის, ხოლო სქესობრივი კავშირის და დელათმავლობის დროს მდედრობითი სქესის არასრულწლოვანი.

## II

### ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარე

139-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარე განზრახვას გულისხმობს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამ შემადგენლობის ჩადენა მხოლოდ პირდაპირ განზრახვითაა შესაძლებელი.

ამ მუხლის მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობას იწვევს იგივე ქმედება, თუ ის არასრულწლოვანის მიმართ არის ჩადენილი. ამიტომ დამნაშავემ, როცა ის მოქმედებდა, იცოდა, რომ სქესობრივ კავშირს ამყარებდა არასრულწლოვანთან. თუ სასამართლო უტყუარად ვერ დაადგენს, რომ ქმედების ჩადენის დროს დამნაშავემ იცოდა დაზარალებულის ასაკი (არასრულწლოვანობა), მაშინ ქმედება 139-ე მუხლის პირველი ნაწილით უნდა დაკვალიფიცირდეს.

## მუხლი 140. სქესობრივი კავშირი ან სექსუალური- ასიატიის სხვაგვარი მოქმედება თემქს- მეტი წლის ასაკს მიუღწევებლთან

სრულწლოვნის სქესობრივი კავშირი, მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევებლთან,

– ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2937 – სსმ I. 2006 წ., №14, მუხ. 90)

### I

## ქმედების ობიექტური მხარე

ზემოთ განხილული მუხლებით აღწერილი ქმედებისაგან განსხვავებით, 140-ე მუხლით აღწერილ ქმედებას დამნაშავე ნებაყოფლობით სჩადის. თუ რას ნიშნავს სქესობრივი კავშირი, მამათმავლობა, ლესბოსელობა (დედათმავლობა) ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ამ საკითხზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ზემოთ და ამიტომ აქ აღარაფერს ვიტყვით. მიუხედავად ნებაყოფლობისა, სქესობრივი კავშირი, მამათმავლობა ან დედათმავლობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმიტომ იწვევს, რომ ასეთ კავშირს სრულწლოვანი თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევებლთან ამყარებს. თექვსმეტ წლამდე ადამიანი სქესობრივად ხელშეუხებელია.<sup>1</sup> ამ დანაშაულის ჩადენა მხოლოდ

---

<sup>1</sup> „16 წლამდე ასაკის მოზარდთან სქესობრივი კავშირი, ზნეობრივი თვალსაზრისით, ხელს უწყობს მის გარყენას. ბიოლოგიური თვალსაზრისით კი, ხელს უშლის ნორმალურ ფიზიკურ განვითარებას. ვინაიდან 16 წელს მიუღწეველი მოზარდი სქესობრივად ჯერ კიდევ მოუქმეველია“ (სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I. 2006, 166-ე, 167-ე გვ. 333-).

მოქმედებით შეიძლება. დაზარალებულს, რომელიც 16 წლის არ არის, შეცნობილი უნდა ჰქონდეს, რომ იგი სრულწლოვანთან ამყარებს სქესობრივ კავშირს ნებაყოფლობით. იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებულს არ ჰქონდა შეგნებული, რომ ის სქესობრივ კავშირს, მამათმავლობას თუ დედათმავლობას სჩადის, მაშინ იგი ჩაითვლება უმწეო მდგომარეობაში მყოფად და ქმედება 137-ე ან 138-ე მუხლებით დაკვალიფიცირდება.<sup>1</sup>

სხვაგვარად მსჯელობს ზ. წულაია. „მაგრამ იმ შემთხვევაში თუ დაზარალებულია მცირეწლოვანი გოგო ან ბიჭი (14 წლამდე), მაშინ მათ თანხმობას, როგორც წესი, იურიდიული მნიშვნელობა არ ეძლევა“. <sup>2</sup> ამ თვალსაზრისს ვერ დავეთანხმებით, მით უმეტეს, რომ 2007 წ. 23 მაისის კანონით გაუპატიურებისათვის (137-ე მ) სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკმა 12 წლამდე დაიწია (ნახ. საქართველოს სსკ-ის 33-ემ) ვფიქრობთ, ეს საკითხი წინასწარმა გამოძიებამ და სასამართლომ გულდასმით უნდა შეისწავლოს. თუ სასამართლო იმ დასკვნამდე მივა, რომ 12 წლამდე ასაკის დაზარალებული უმწეო მდგომარეობაში იყო, მაშინ სრულწლოვანის ქმედება 137-ე ან 138-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს. სავსებით სწორად წერს ნ.თოდუა, რომ 140-ე მუხლით აღწერილი „შემადგენლობა არ გვექნება, როცა სრულწლოვანი ნებაყოფლობით სქესობრივ კავშირს ამყარებს, მართალია, 16 წელს მიუღწევლთან, მაგრამ პირთან, ვისთვისაც ასეთი კონტაქტი უკვე ცხოვრების ჩვეულებრივი წესია (მაგალითად, 16 წელს მიუღწეველ პირთან, ვინც დაქორწინებულია და შეილიც ჰყავს)“.<sup>3</sup>

---

1 იქვე, 167-ე გვ.

2 ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, 1ტ., 2000, 213-ე გვ.

3 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, 168-ე გვ.

## II

### ქმედების სუბიექტური მხარე

სუბიექტური მხრივ 140-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობა განზრახია. ამავე დროს ეს შემადგენლობა პირდაპირი განზრახვით ხორციელდება. დამნაშავეს შეცნობილი უნდა ჰქონდეს უტყუარად, რომ ის სქესობრივ კავშირს (მამათმავლობას, დედათმავლობას, აგრეთვე სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტს გაუკუღმართებული ფორმით) ამყარებს თექუსმეტ წელს მიუღწეველთან. მთლიანად ვერ დავეთანხმებით ზ. წულაიას მოსაზრებას, თითქოს „იმ ფაქტის შეგნება, რომ დაზარალებულს არ მიუღწევია დასახელებული ასაკისათვის, უნდა დაეფუძნოს როგორც მისი ასაკის დამადასტურებელ მონაცემებს (ცნობების შეკრებას), ასევე სხვა ფაქტებსაც (მაგალითად, გარეგნობას)“.<sup>1</sup>

სასამართლო „გარეგნობას“ ყოველთვის ვერ დაეყრდნობა, რადგან მოსალოდნელია შეცდომაც. რაც მთავარია, სასამართლომ უტყუარად უნდა დაადგინოს, რომ დამნაშავეს შეცნობილი ჰქონდა დაზარალებულის ასაკი, კერძოდ, ის, რომ დაზარალებული არ იყო 16 წლის, როცა მასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა.

## III

### დამთავრებული დანაშაული

დანაშაული დამთავრებულია სქესობრივი კავშირის დამყარების მომენტიდან. ამიტომ ვერ დავეთანხმებით ზ. წულაიას, რომელიც წერს, რომ ეს დანაშაული „დამთავრებულად ითვლება სქესობრივი კავშირის, მამათმავლობის, ლესბოსურობის ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის გაუკუღმართებული ფორმით დაწყების მომენტიდან“.<sup>2</sup>

1 ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, 1ტ., 2000, 213-ე გვ.

2 ზ. წულაია, მით. ნაშრომი, 212-ე გვ.

მომდევნო აბზაცში ასევე ვკითხულობთ, რომ „განსახილველი დანაშაულის ქმედობა გულისხმობს დაზარალებულის თანხმობას სქესობრივ კავშირზე, მამათმავლობაზე, ლესბოსურობაზე ან სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტზე გაუკუღმართებული ფორმით.<sup>1</sup>

ეს შეხედულება ეწინააღმდეგება კანონმდებლის აზრს. სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლში პირდაპირ და არა-ორაზროვნად ნათქვამია: „სრულწლოვნის სქესობრივი კავშირი, მამათმავლობა, ლესბოსელობა ..“ რომელი სქესობრივი კავშირის ან მამათმავლობის დაწყებაზეა აქ ლაპარაკი? სქესობრივი კავშირი ამ ტექსტის მიხედვით დაწყებულიც არის და დამთავრებულიც.<sup>2</sup>

## IV

### თანამონაწილეობა და ამსრულებლობა

სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით პასუხისმგებლობა მხოლოდ სრულწლოვანს დაეკისრება. ამსრულებლის სრულწლოვანობა სასამართლომ უტყუარად უნდა დაადგინოს. ასაკის დადგენა დაბადების მოწმობით ან სხვა ოფიციალური საბუთით უნდა მოხდეს. იმ შემთხვევაში, თუ დამნაშაის ასაკი საბუთით ვერ დგინდება, მაშინ უნდა დაინიშნოს სამედიცინო ესპერტიზა. მაგრამ ექსპერტს არ შეუძლია ასაკის ზუსტად განსაზღვრა. ექსპერტის დასკვნით შეიძლება დადგინდეს, რომ ის, ვისაც სქესობრივი კავშირი ჰქონდა 16 წლის ასაკს მიუღწეველთან. 16-იდან 18 წლის ასაკში იყო. ასეთ შემთხვევაში სრულწლოვანობის ასაკი საეჭვო ხდება, ხოლო საეჭვო საკითხი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. ამ მსჯელობის მიხედვით, სასამართლო ვალდებულია, რომ განსასჯელი, ესე იგი ის, ვინც 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირი დაამყარა, 16 წლისად მიიჩნიოს, მაშასადამე, ის არასრულწლოვანია და უნდა

---

1 იქვე

2 ასევე მსჯელობს ნ. თოდუა (იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 167-ე გვ.)

გაათავისუფლოს პასუხისმგებლობისაგან.<sup>1</sup>

ზოგ შემთხვევაში შეიძლება გართულდეს თვითონ დაზარალებულის ასაკის საკითხიც. ეს შესაძლებელია მაშინ, როცა გასარკვევია, შეუსრულდა თუ არა დაზარალებულს თექვსმეტი წელი. ასაკის საკითხი აქაც ისევ უნდა გადაწყდეს, როგორც დამნაშავეის ასაკის გარკვევის დროს, რაზედაც ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ დაბადების დღე აქ არ იგულისხმება. 16 წლის ასაკი იწყება დაბადების დღის გაელის შემდეგ, ესე იგი დამის 12 საათიდან.

როგორც 140-ე მუხლის ტექსტიდან ჩანს, დამნაშავე უნდა იყოს სრულწლოვანი, ესე იგი 18 წლის, ხოლო დაზარალებული არ უნდა იყოს 16 წლის. მაგრამ გაურკვეველია, სქესობრივი კავშირის დროს, რომელი სქესის წარმომადგენელი უნდა იყოს დამნაშავე და რომელი სქესის უნდა იყოს დაზარალებული. ამ საკითხზე სამართლის ლიტერატურაში პირდაპირ არაფერია ნათქვამი. ჩემი აზრით, დაზარალებული შეიძლება იყოს როგორც მდედრობითი, ისე მამრობითი სქესის წარმომადგენელი. ეს აზრი არაპირდაპირ გამოთქმულია ლიტერატურაშიც. „თუ არასრულწლოვანი ნებაყოფლობით სექსუალურ კავშირს ამყარებს 16 წელს მიუღწეველთან, – წერს ნ. თოდუა – დანაშაულის შემადგენლობა საერთოდ არ არსებობს, ვინაიდან, ამ დროს ძნელია გაირკვეს ამ ორი არასრულწლოვანი პირიდან, რომელია დამნაშავე და რომელი დაზარალებული“.<sup>2</sup> ამ ტექსტის მიხედვით რჩება შთაბეჭდილება, რომ დაზარალებული 140-ე მუხლის თანახმად შეიძლება იყოს როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. მაგალითად, მამათმავლობის დროს, აშკარაა, რომ დაზარალებული მამრობითი სქესის წარმომადგენელი უნდა იყოს, ხოლო დედათმავლობის დროს მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. უფრო რთულდება ეს საკითხი სქესობრივი კავშირის დროს, როცა კავშირი სხვადასხვა სქესის წარმომადგენლებს შორის მყარდება.

---

1 ზ. წულაია შეცდომით წერს, რომ „განალიზებული დანაშაულის სუბიექტია როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან“ (იხ. მით. ნაშრომი, 213-ე გვ.)

2 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2006 168-ე გვ

ვეიქრობთ, ამ დროს დაზარალებული შეიძლება იყოს ორივე სქესის წარმომადგენელი. მაგალითად, თუ სრულწლოვანი ქალი სქესობრივ კავშირს ამყარებს 16 წლის მიუღწეველ მამაკაცთან, ის ქალი პასუხს აგებს 140-ე მუხლით. დაზარალებული ამ შემთხვევაში მამრობითი სქესის წარმომადგენელია, რომელიც არ იყო 16 წლის.

მაგრამ აქ ჩვენ უფრო სხვა საკითხი გვინტერესებს. 140-ე მუხლით აღწერილი უმართლობის ამსრულებელი აუცილებლად სრულწლოვანი უნდა იყოს, მიუხედავად სქესისა. მაგრამ შეიძლება თუ არა ამ დანაშაულის თანამონაწილე (მაგალითად, წამქეზებელი), იყოს არასრულწლოვანი? მაგალითად, არასრულწლოვანი აქეზებს სრულწლოვანს, დაამყაროს 16 წელს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირი ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი. აქ მხედველობაშია ის გარემოება, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ადამიანს 14 წლის ასაკიდან ეკისრება (ზოგიერთ შემთხვევაში 12 წლიდანაც). მეორეც, წამქეზებელი ამ დროს სრულწლოვანის მეოხებით ხელყოფს იმ სამართლებრივ სიკეთეს, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლითაა დაცული. ამიტომ, მართალია, ამსრულებელი ამ დანაშაულისა სრულწლოვანი უნდა იყოს, მაგრამ არ არის აუცილებელი თანამონაწილის სრულწლოვანობაც.

ასევე უნდა გადაწყდეს ამ დანაშაულის ჩადენის საკითხი შუალებითი ამსრულებლის მხრიდან. მაგალითად, 17 წლის ვაჟი შეაცდენს სრულწლოვანს და ჩაადენინებს მას ნებაყოფლობით სქესობრივ კავშირს, მამათმავლობას თუ დედათმავლობას 16 წლის ასაკს მიუღწეველთან. ამსრულებელმა არ იცოდა, რომ ის ნებაყოფლობით სქესობრივ კავშირს ამყარებდა 16 წლის ასაკს მიუღწეველთან. ამ შემთხვევაში შემცდენი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სრულწლოვანი, დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი იქნება.

კიდევ ერთი საკითხი დაგვრჩა განსახილველი. ვინ შეიძლება იყოს სქესობრივი კავშირის დამყარებისათვის წამქეზებელი? მაგალითად, თუ სრულწლოვანი მამრობითი სქესის წარმომადგენელი სქესობრივ კავშირისათვის პასუხს აგებს 140-ე მუხლით,



შეიძლება თუ არა ამ დანაშაულის წამქეზებელი იყოს ქალი? რასაკვირველია, შეიძლება. ასევე შეიძლება პასუხი აგოს 140-ე მუხლით ქალმა მამათმავლობის წაქეზებისათვის, ხოლო მამაკაცმა – დელათმავლობის წაქეზებისათვის.

ზუსტად ასევე უნდა გადაწყდეს საკითხი შუალობითი ამსრულებლობის დროსაც. მაგალითად, ქალი შეიძლება იყოს როგორც მამათმავლობის, ისე დელათმავლობის შუალობითი ამსრულებელი.<sup>1</sup>

## მუხლი 141. ბარყვნილი ქმედება

ძალადობის გარეშე გარყვნილი ქმედება დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

### I

## ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარე

141-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარე გამოიხატება ისეთ მოქმედებით, რომელიც ხელს უწყობს 16 წლის ასაკს მიუღწეველის გარყვნას. რას ნიშნავს გარყვნა? რა იგულისხმება ამ სიტყვებში? ზ. წულაია წერს, რომ „ამ დანაშაულის ობიექტია პიროვნების სქესობრივი ხელშეუხებლობა და სახელდობრ, მოზარდთა ნორმალური ზნეობრივი ფორმირება“.<sup>2</sup>

---

1 ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხ. ოთარ გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, 1974, 67-ე-68-ე გვ. გვ.

2 ზაურ წულაია, მით. ნაშრომი, 213-ე გვ.

„ობიექტი“ აქ სამართლებრივ სიკეთეს ნიშნავს, რომელსაც დამნაშავე ხელყოფს. რაც შეეხება „პიროვნების სქესობრივ ხელშეუხებლობას“, ამ სიკეთეს არ ხელყოფს დამნაშავე, როცა ის 141-ე მუხლით აღწერილ ქმედებას სჩადის. ამ მუხლით აღწერილი ქმედება არ გულისხმობს სქესობრივ კავშირს და ამიტომაც სქესობრივ ხელშეუხებლობაზე აქ ლაპარაკიც არ შეიძლება.

ვერ დავეთანხმებით ვერც იმ აზრს, თითქოს 141-ე მუხლით აღწერილი ქმედება ხელყოფს „მოზარდთა ნორმალურ ზნეობრივ ფორმირებას“. „ზნეობრივი ფორმირება“ საკმაოდ ფართო ცნებაა და მოიცავს არასრულწლოვანის ზნეობრივი აღზრდის ფართო არეალს. აქ ჩვენ საქმე უფრო კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასთან გვაქვს. ეს არის ახალგაზრდის ნორმალური, ბუნებრივი სქესობრივი აღზრდა-განვითარება.

როგორ შეიძლება მოხდეს ხელყოფა იმ სამართლებრივი სიკეთისა, რომელიც კანონითაა დაცული? ეს ისეთი ქმედებაა, რომელიც აღვიძებს დაზარალებულის სქესობრივ გრძნობას და ამავე დროს ერთგვარად დამნაშავეს სქესობრივ ჟინსაც აკმაყოფილებს. რაც მთავრია, დამნაშავე 16 წელს მიუღწეველთან სექსუალურ კავშირს არ ამყარებს. იგი სხვაგვარად ცდილობს თავისი სქესობრივი ჟინის დაკმაყოფილებას არასრულწლოვანთან დაკავშირებით.

სამართლებრივ ლიტერატურაში მიღებულია, რომ გარყვნილი ქმედება 16 წელს მიუღწეველთან ორი ტიპის შეიძლება იყოს: 1) ფიზიკური მოქმედებით და 2) ინტელექტუალური გზით. ფიზიკური მოქმედება ნიშნავს ხელის მოსმას მცირეწლოვანის სასქესო ორგანოზე სქესობრივი ჟინის დაკმაყოფილების მიზნით, საშოში ხელის შეყოფა, საქალწულო აპკის ხელით ჩახვევა<sup>1</sup> და სხვ.

ინტელექტუალური მოქმედება იქნება, მაგალითად, სექსუალურ თემებზე გამართული საუბრები არასრულწლოვანებთან სქესობრივი ჟინის აღძვრის მოტივით; ამავე მოტივით პორნოგრაფიუ-

---

<sup>1</sup> ზაურ წულაია, მთ. ნაშრომი, 214-ე გვ. „სამართალგამოყენებითი პრაქტიკა-წერს იგი - 141-ე მუხლით (გარყვნილი ქმედება) აკვალიფიცირებს მცდელობის სტადიაზე მცირეწლოვანის, ე.ი. თოთხმეტი წლის მიუღწეველთან გაუპატიურებაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ზოგიერთ შემთხვევას“. თუმცა ავტორი, სამწუხაროდ, ამ პრაქტიკას არ აანალიზებს.

ლი ნახატების ჩვენება და ასეთივე ლიტერატურის პროპაგანდა 16 წლამდე არასრულწლოვანთა შორის. რაც მთავარია, „გარყვნილი ქმედება“ 141-ე მუხლით არ გულისხმობს არავითარ სქესობრივ კავშირს, თუნდაც „გაუკუღმართებული ფორმით“.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ზემოთ მითითებულ (იხ.138-ე მ-ის ანალიზი) გ. ყვაავაძის საქმე. გ. ყვაავაძეს თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის სიქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 13 დეკემბრის განაჩენით მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილით და თავისუფლება 10 წლით აღეკვეთა.

განაჩენის მიხედვით „გ. ყვაავაძემ, ისარგებლა რა იმით, რომ მისი მეუღლე ვ.დევეა ღროებით გასული იყო სახლიდან, მცირეწლოვანი ლ. ს-შვილი კი ეზოში მარტო თამაშობდა, იგი მოტყუებით შეიყვანა თავის ოთახში, სადაც ამ უკანასკნელთან ჩაიდინა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედება. კერძოდ, დაუწყო მას მოფერება, ჩახადა ტრუსი და ხელით ეხებოდა მას სასქესო ორგანოზე, გაიხსნა შარვალი, ხელი მოაკიდებინა თავის ასოზე და უბრძანა ხელით ეთამაშებინა იგი, რა დროსაც მან დაასრულა სქესობრივი აქტი და სპერმა ლ.ს-შვილს გადაესხა ხელზე.<sup>1</sup>

ამ აღწერილობიდან არ ჩანს, რომ გ.ყვაავაძემ ძალმომრეობითი მოქმედება ჩაიდინა, რაც 138-ე მუხლის შემადგენლობის ობიექტური მხარის აუცილებელი ნიშანია. ეტყობა, სწორედ ამიტომაც ადვოკატი ამტკიცებდა, რომ, თუ დადგინდება გ. ყვაავაძის ქმედება, მაშინ მისი ქმედება 141-ე მუხლით უნდა დაკვალიფიციდესო. ამ აზრის სისწორეს ისიც ამტკიცებს, რომ, საკასაციო პალატის აზრით; გ.ყვაავაძის ქმედება „თავისი შინაარსით აშკარად სცილდება სსკ-ის 141-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის ფარგლებს და შეესება მუხლის 138 -ე მუხლის მე-4 ნაწილის (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) დისპოზიციის.“<sup>2</sup> სამწუხაროდ, პალატა არ ასაბუთებს, რომ გ.ყვაავაძის ქმედება „აშკარად

---

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2006, №10, მე-11 გვ.

2 იქვე, მე-13 გვ.

სცილდება სსკ-ის 141-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის ფარგლებს.“

ი. შევჩენკოს ყვარლის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 31 იანვრის განაჩენით მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლით და 9 თვით აღეკვეთა თავისუფლება.

2005 წ. 23 აპრილს არასრულწლოვანმა ი. შევჩენკომ თავის საცხოვრებელ სახლში მიიყვანა მცირეწლოვანი თ. ნ-შვილი. სახლში ისინი მარტონი იყვნენ. გარყვნილი ქმედების ჩადენის მიზნით ი. შევჩენკომ თ. ნ-შვილი ტახტზე დააწვინა, მაღალ ხმაზე ჩართო მაგნიტოფონი, მიუწვა გვერდზე მცირეწლოვანს, ჩაუწია საცვალი და დაუწყო მას საჯდომზე ფერება. ამ დროს ბინაში შევიდა თ. ნ-შვილის დედა, რომელმაც ყველაფერი დაინახა და დაუწყო ყვირილი ი. შევჩენკოს. დანაშაულიც ამით დამთავრდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2006 წ. 19 ივნისის განაჩენით ი. შევჩენკოს მხოლოდ სასჯელი შეუმსუბუქა და საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე 9 თვის თავისუფლების აღკვეთა „ჩაუთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით“.<sup>1</sup>

ეს განაჩენი მხოლოდ სასჯელის ნაწილში გასაჩივრდა საკასაციო წესით, რომლის შედეგად საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის 2006 წ. 9 ნოემბრის განჩინებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წ. 19 ივნისის განაჩენი. საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახალი განხილვისათვის დაუბრუნდა.<sup>2</sup>

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წ. 17 დეკემბრის განაჩენით ი. სულაქველიძეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლით (151-ე, 126-ე და 372-ე მუხლებთან ერთად) მსჯავრი დაედო იმის გამო, რომ მან წინასწარი შეცნობით

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2006, №10, მე-15 გვ.

<sup>2</sup> იქვე, მე-16 გვ.

16 წელს მიუღწეველ სვეტლანა ოლეინიკთან „ჩაიდინ ძალადობის გარეშე გარყვნილი ქმედება.“

ი. სულაქველიძე ღამის საათებში შედიოდა თავისი გერის, თექვსმეტი წლის ასაკის მიუღწეველ „ს. ოლეინიკის საძინებელ ოთახში და მის მიმართ ძალადობის გარეშე ახორციელებდა გარყვნილ ქმედებებს – ს. ოლეინიკის ნების საწინააღმდეგოდ ძალის გამოყენების გარეშე ხელებს უსვამდა სხეულის სხვადასხვა ინტიმურ ადგილებში, კერძოდ, მკერდზე და სასქესო ორგანოებზე, რის გამოც ს. ოლეინიკი მამინაცვლის მხრიდან იყო დაკომპლექსებული და შეშინებული ისე, რომ დედამისისაც კი ვერ უმხელდა აღნიშნულს...“ (იხ. განაჩენი).

როგორც აქედან ჩანს, 141-ე მუხლის შემადგენლობის ნიშანი „ძალადობის გარეშე“ არ ნიშნავს იმას, რომ გარყვნილ ქმედებას დამნაშავე მსხვერპლის თანხმობით სჩადის. „ს. ოლეინიკი მამინაცვალის მხრიდან იყო დაკომპლექსებული და შეშინებული“, მაგრამ არ განიცდიდა ძალადობას, რადგან დამნაშავე ძალადობის გარეშე მოქმედებდა.

გარყვნილი ქმედების მსხვერპლი უნდა იყოს ისეთი არასრულწლოვანი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის 16 წლის, ის შეიძლება იყოს 14 წელს მიუღწეველიც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ, 140-ე მუხლისაგან განსხვავებით, გარყვნილი ქმედებისათვის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს ადამიანს 14 წლის ასაკიდან. ამასთან ერთად, არა აქვს მნიშვნელობა დამნაშავეს სქესს. უფრო მეტიც, მდედრობითი სქესის წარმომადგენელმა შეიძლება პასუხი აგოს გარყვნილი ქმედებისათვის 141-ე მუხლით, მიუხედავად დაზარალებულის სქესისა. ობიექტური მხარე გარყვნილი ქმედებისა მოქმედებაა. უმოქმედობით ამ დანაშაულის ჩადენა შეუძლებელია.

## II

### ქმედების უმადგენლობის სუბიექტური მხარი

გარყვნილი ქმედების ჩადენა მხოლოდ განზრახ შეიძლება. განზრახვა უნდა იყოს პირდაპირი. დამნაშავეს შეცნობილი უნდა ჰქონდეს, უპირველეს ყოვლისა, მსხვერპლის ასაკი. ამავე დროს მას უნდა ჰქონდეს 16 წელს მიულწეველთან გარყვნილი ქმედების ჩადენის სურვილი. განზრახვა შეიძლება იყოს უეცრად წარმოშობილი. მაგალითად, დამნაშავემ დაინახა ბავშვი და მაშინვე წარმოეშვა გარყვნილი ქმედების ჩადენის სურვილი. შესაძლებელია, რომ განზრახვა იყოს წინასწარ აღმოცენებულიც. ვთქვათ, ადამიანს წარმოეშვა სქესობრივი ჟინი და გადაწყვიტა მისი დაკმაყოფილება 16 წელს მიულწეველთან. ამის შემდეგ მან მოძებნა შესაბამისი მსხვერპლი და დაიკმაყოფილა თავისი ჟინი.

დანაშაულის მოტივს მნიშვნელობა არა აქვს.

## III

### დაუმთავრებელი დანაშაული

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად 141-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობის მომზადება პასუხისმგებლობას არ იწვევს. მაგრამ შესაძლებელია ამ დანაშაულის მცდელობისათვის პასუხისმგებლობა (მე-19-ე-141-ე მმ).

ზ.წულაიას აზრით, გარყვნილი ქმედება დამთავრებულად ითვლება ასეთი მოქმედების „დაწყების მომენტიდან. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს ბრალდებულმა განაზოროციელა თუ არა დაზარალებულის გარყვნა“. <sup>1</sup> მაგრამ იგი არ ამბობს, რას ნიშნავს „დაწ-

---

<sup>1</sup> ზაურ წულაია, მით. ნაშრომი, 214-ე გვ.

ყების მომენტი“. ეფიქრობთ, დაწყებად გარყვნილი ქმედებისა უნდა ვიგულისხმობთ თუნდაც ხელის მოსმა პირველად სასქესო ორგანოზე ან სხვა ადგილას, რასაც სქესობრივი გაღიზიანება შეძლო გამოეწვია.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როცა დამნაშავემ დაიწყო 16 წელს მიულწევლის გაუპატიურება, მამათმავლობა, დედათმავლობა ან სხვაგვარი სექსუალური კავშირი გაუკუღმართებული ფორმით, მაგრამ, ვიდრე სქესობრივი კავშირს დაამყარებდა დაზარალებულთან, ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე. ასეთ დროს დამნაშავემ შეიძლება პასუხი აგოს გარყვნილი ქმედებისათვის, თუკი ის ქმედება, რაც მან ჩაიდინა, 141-ე მუხლით აღწერილ შემადგენლობას მოიცავს.

## IV

### დანაშაულთა ერთობლიობა

დანაშაულთა ერთობლიობის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ზემოთ-განხილული ივ. სულქველიძის საქმე, რომლის მიხედვით დამნაშავეს, 141-ე მუხლთან ერთად მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე, 151-ე და 372-ე მუხლებით.

მაგრამ კიდევ უფრო საყურადღებოა ზ.თავაძის საქმე. ქ.ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2004 წ. 22 ივნისის განაჩენით ზ. თავაძეს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 140-ე და 141-ე მუხლებით და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით საბოლოოდ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

2003 წ. 9 დეკემბერს სამტრედიის მცხოვრებმა ზ. თავაძემ ცოლად შერთვის მიზნით მის მეზობლად მცხოვრები ვ. ა-ძესთან გაუკუღმართებული ფორმით დაამყარა სქესობრივი კავშირი. ასეთი ფორმით სქესობრივი კავშირი გამოიხატა იმით, რომ ზ. თავაძე

თავის სასქესო ორგანოს 16 წელს მიუღწევად არასრულწლოვან ვ. ა-ძის ბარძაყებში ათავსებდა. ზ. თავაძე ამავე დროს „უხეშად ეხებოდა ვ.ა-ძეს სასქესო ორგანოზე“.<sup>1</sup>

როგორც აქედან ჩანს, გაუკუღმართებული ფორმით სქესობრივი კავშირის გვერდით, დამნაშავე დაზარალებულის მიმართ სჩადიოდა გარყვნილ ქმედებას – „უხეშად ეხებოდა ვ. ა-ძეს სასქესო ორგანოზე“.

განაჩენი მსჯავრდებულმა საკასაციო წესით გაასაჩივრა იმ მოტივით, რომ მას ეს დანაშაულები არ ჩაუდენია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2004 წ. 22 ივნისის განაჩენი ზ. თავაძის მიმართ უცვლელად დატოვა.

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2004, №10, 2275-ე გვ.



## თავი XXIII

### დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ

#### მუხლი 142. ადამიანთა თანასწორ უფლებიანობის დარღვევა

1 ადამიანთა თანასწორ უფლებიანობის დარღვევა მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება,

— ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმდება:

ა) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

ბ) რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია,

— ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი ადამიანის თავისუფლებისა და თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპის სისხლისსამართლებრივ გარანტიად გვევლინება. ეს ორი ფუძემდებლური ღირებულება, რომელიც განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს წარმოადგენს, განმტკიცებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით, ასევე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით (საქართველოში ძალაშია 1991 წლის 15 სექტემბრიდან) და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებითა და კონვენციით, რომელიც

საქართველოს მიერ სხვადასხვა წლებშია რატიფიცირებული. ამ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და კონვენციების რიცხვს მიეკუთვნება: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია (საქართველოში ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან), ამ კონვენციის 2000 წლის 19 მაისის მე-12 დამატებითი ოქმი (რატიფიცირებულია 2001 წლის 30 მარტს), 1951 წლის კონვენცია მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ (საქართველოში ძალაშია 1996 წლის 29 მაისიდან); 1958 წლის კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ (საქართველოში ძალაშია 1995 წლის 4 მაისიდან); 1966 წლის საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (რატიფიცირებულია 1999 წლის 16 აპრილს); 1979 წლის კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (რატიფიცირებულია 1994 წლის 22 სექტემბერს) და სხვა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, ადამიანის „...უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა“.<sup>1</sup>

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ნათქვამია: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერის, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

---

<sup>1</sup> კონსტანტინე კორკელია „ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება“, თბილისი, 2007, გვ. 99.

თანასწორობის ძირითადი უფლება ყველა დემოკრატიული საზოგადოების ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს; იგი ითვლება ე.წ. ზეპოზიტიურ, ანუ კონკრეტული მითითების გარეშე მოქმედ სამართლებრივ პრინციპად. მისი ძირითადი არსი „კანონის წინაშე ადამიანთა თანასწორობაა“, რაც უპირველესად ნიშნავს „თანაბარ უფლებას ყველასათვის“<sup>1</sup>. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლი გარკვევით მიუთითებს იმ კრიტერიუმებზე, რომელთა საფუძველზედაც აკრძალულია ადამიანთა დიფერენცირება: ეს, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ კონსტიტუცია არ მოითხოვს ყოვლისმომცველ, ტოტალურ გათანაბრებას და თანასწორობას. იგი უშვებს გარკვეული დიფერენცირების არსებობას. ასე რომ არ იყოს, თანასწორობის პრინციპი წინააღმდეგობაში იქნებოდა კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის თავისუფლების ძირითად უფლებებთან. კონსტიტუციით უზრუნველყოფილია არა მხოლოდ თანასწორობა, არამედ პიროვნების თავისუფლება, საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება, საკუთრების უფლება და სხვა ძირითადი უფლებები, რითაც თავიდანვე აღიარებულია ფაქტობრივი უთანასწორობა. ამდენად, მე-14 მუხლით გათვალისწინებული ადამიანთა თანასწორობა ტოტალურ თანასწორობას კი არ ნიშნავს, არამედ კრძალავს უსაფუძვლო დიფერენცირებას<sup>2</sup>.

საქართველოს კანონმდებლობაში თანასწორობის პრინციპის არსებობის მიუხედავად, დისკრიმინაციული<sup>3</sup> დებულებები მაინც არსებობს. მაგალითად, მაშინ, როდესაც საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ ადგენს, რომ საქართველოს მოქალაქეებისათვის საჯარო სამსახური თანაბრად ხელმისაწვდომია მათი უნარისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად, და კანონი მამაკაცისა და ქალის საჯარო სამსახურის მოხელეების

---

1 კონსტანტინე კუბლაშვილი „ძირითადი უფლებები“, თბილისი, 2003. გამომცემლობა ჯისიაი, გვ. 319-320.

2 იხ. კონსტანტინე კუბლაშვილი, დასახელებული ნაშრომი. გვ. 320-321.

3 დისკრიმინაცია (ლათ. Discriminatio, განსხვავება) ნიშნავს ადამიანების უთანასწორო, არასამართლიან მოპყრობას, როდესაც ეს მიმართულია რაიმე ნიშნით (რასობრივი, ეთნიკური, სქესობრივი, რელიგიური და სხვ.) განსხვავებული ადამიანის (ადამიანების ჯგუფის) წინააღმდეგ.

საპენსიო ასაკს განსაზღვრავს 65 წლის ასაკით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „საპენსიო ასაკის მიღწევის გამო პენსიის მიღების უფლება ქალებს წარმოეშობათ 60 წლის ასაკიდან“.<sup>1</sup>

სსსკ-ის 142-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტურ მხარეს ახასიათებს შემდეგი სავალდებულო ნიშნები: 1) ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა) – ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა; 2) მძიმე შედეგი – ადამიანის უფლების არსებითი ხელყოფა; 3) მიზეზობრივი კავშირი ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. აღნიშნული ქმედება წარმოადგენს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას (ანუ დისკრიმინაციას) მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო. ამრიგად, სსსკ-ის 142-ე მუხლის დისპოზიციის მიხედვით, მნიშვნელოვანია არა ნებისმიერი ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევა, არამედ კანონით განსაზღვრული ნიშნის მქონე ადამიანისა.

ეს ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნას როგორც აქტიური მოქმედებით (*delicta commissiva*) (მაგალითად, სასწავლებლიდან გარიცხვა ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების გამო), ისე უმოქმედობით ანუ მოქმედებისაგან თავის შეკავებით (*delicta commissiva per ommissionem*) (მაგალითად, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების გამო მომსახურების გაწევაზე უარის თქმა).

იმ შემთხვევაში, თუ ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა ჩადენილია არა სსსკ-ის 142-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით, არამედ ნებისმიერი სხვა საფუძვლით (მაგალითად, უკანონო გასამრჯელოს მიღების გამო), მათ შორის ადამიანის ინდივიდუალური თვისებებიდან გამომდინარე,

---

<sup>1</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2004 წლის ანგარიში, [www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge), გვ. 116.

ასეთი ქმედება არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სსსკ-ის 142-ე მუხლით, თუმცა ამავე დროს არ გამოირიცხება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი აგრეთვე აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის კერძო შემთხვევებისათვის. ასეთ კერძო შემთხვევას, მაგალითად, წარმოადგენს განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება (სსსკ 147-ე მუხლი), ყურნალისტიისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა (სსსკ 154-ე მუხლი), რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა (სსსკ 155-ე მუხლი), შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფა (სსსკ 161-ე მუხლი), არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა (სსსკ 162-ე მუხლი), ინფორმაციის გაცნობაზე უარის თქმა ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა (სსსკ 167-ე მუხლი) და სხვა. ასეთ შემთხვევებში ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა სსსკ 142-ე, არამედ იმ მუხლით, რომელიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის კერძო შემთხვევისათვის, ვინაიდან 142-ე მუხლი ამ შემთხვევაში ზოგად ნორმად გვეკლინება, ხოლო ზოგადი და კერძო ნორმის კონკურენციის დროს უპირატესობა კერძო ნორმას ენიჭება.

სსსკ 142-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული მატერიალურ ანუ ე.წ. „შედევან“ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება: ამ დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის აუცილებელია შედეგის დადგომა – ადამიანის უფლების არსებითი ხელყოფა<sup>1</sup>.

ადამიანის უფლების არსებითი ხელყოფა შესაძლებელია გამოიხატოს როგორც მატერიალურ, ისე მორალურ ზიანში. მა-

---

<sup>1</sup> განსხვავებით საქართველოს სისხლის სამართლის 142-ე მუხლისაგან, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ფორმალურ ანუ ე.წ. „შედევარეშე“ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება. აღნიშნული ცვლილება რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილია 2003 წლის დეკემბერში.

ტერიალური ზიანი, თავის მხრივ, შეიძლება გამოიხატოს როგორც რეალურად დამდგარ მატერიალურ ზარალში, ასევე მიუღებელ სარგებელში. მატერიალური ზიანის მაგალითია საკონკურსო პრემიის მინიჭებაზე, ფულად დაჯილდოებაზე ან შეღავათიანი კრედიტის გაცემაზე უარის თქმა, ხოლო მორალური ზიანის მაგალითია რომელიმე ეთნიკური ან სოციალური ჯგუფის წარმომადგენლისათვის ხელის შეშლა ისარგებლოს ბიბლიოთეკის მომსახურებით. არსებითი ზიანი შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისი დადგომა, ისევე როგორც მიზეზობრივი კავშირი ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ არსებით ზიანს შორის, სასამართლოს მიერ უნდა იყოს დადგენილი და დასაბუთებული საქმის მასალების შესწავლისა და შეფასების საფუძველზე.

სსსკ 142-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელია 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი. იგი შეიძლება იყოს როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი. როდესაც ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (მე-2 ნაწილის პუნქტი „ბ“), სახეზეა სპეციალური სუბიექტი.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული შეიძლება ჩადენილ იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ თავისი მოქმედებით (უმოქმედობით) არღვევს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანთა თანასწორუფლებიანობას სსსკ-ის 142-ე მუხლში ჩამოთვლილი ნიშნებით, ითვალისწინებს ადამიანის უფლების არსებითი ხელყოფის დადგომის შესაძლებლობას და სურს ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებს ასეთი შედეგის განზოცოვების გარდუვალობას, ან არ სურს ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას. მოტივს და მიზანს ქმედების სსსკ-ის 142-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. მოტივი შეიძლება სხვადასხვა იყოს: გარკვეული რასისა თუ ერის წარმომადგენლის მიმართ სიძულვილი, ამა თუ იმ სოციალური ფენის წარმომადგენლის მიმართ შური და სხვა მრავალი.

როგორც ავლნიშნეთ, მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მან შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს სასჯელის ზომის განსაზღვრაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა ჩადენილია ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, აგრეთვე ეროვნული პატივისა და ღირსების დამკვირების მიზნით, ასეთი ქმედება უნდა დაკვალიფიციროდეს არა სსსკ-ის 142-ე, არამედ 142<sup>1</sup>-ე მუხლით, რომელიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს რასობრივი დისკრიმინაციისათვის<sup>1</sup>.

სსსკ-ის 142-ე მუხლის მე-2 ნაწილი ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ გარემოებად ითვალისწინებს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებას (პუნქტი „ა“). კვალიფიციური შემადგენლობის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც თანამდებობის პირი, სახელმწიფო მოხელე და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამშრომელი, რომელიც არ მიეკუთვნება თანამდებობის პირთა რიცხვს. ასევე კერძო საწარმოს ხელმძღვანელი, სპეციალური უფლებამოსილების მქონე, რომელიც მუდმივად ან დროებით ასრულებს ორგანიზაციულ ან ადმინისტრაციულ-სამეურნეო მოვალეობებს კომერციულ ან არაკომერციულ ორგანიზაციაში, ანდა რიგითი თანამშრომელი, რომელიც ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის ჩასადენად გამოიყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას ანუ იმ უფლებამოსილებას და პრივილეგიებს, რომლებიც მას მინიჭებული აქვს სამსახურებრივი მდგომარეობით, მათ შორის შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით უნდა განვასხვავოთ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბორიტად გამოყენებისაგან, რომლის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს სსსკ-ის 332-ე მუხლი. ამ ორივე შემთხვევაში ჩადენილი ქმედების შედეგად არსებითად ილახება ადამიანის კანონიერი უფლებები და ინტერესები, მაგრამ თუ ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევისას მოტივს მნიშვნელობა არა აქვს,

---

<sup>1</sup> ამ საკითხზე დაწერილებით იხ. სსსკ-ის 142<sup>1</sup>-ე მუხლის განმარტება.

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის აუცილებელია სათანადო მოტივის არსებობა, რომელიც კანონში განმარტებულია, როგორც დამნაშავეს მიერ თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მიღება. თუ ჩადენილ ქმედებაში სასამართლომ არ დაადგინა ზემოთ დასახელებული მოტივი, იგი უნდა დაკვალიფიცირდეს სსსკ-ის 142-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით. არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევა, როდესაც დამნაშავეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორივე მუხლის ერთობლიობით დგება: ამ შემთხვევაში ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევა უნდა იყოს ჩადენილი მისი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო და ამავე დროს აუცილებელია, რომ დამნაშავეს ჰქონდეს მისწრაფება თავისთვის ან სხვისთვის მიიღოს რაიმე ქონებრივი გამორჩენა ან უპირატესობა.

მეორე მაკვალიფიცირებელი გარემოებაა – მძიმე შედეგის დადგომა (სსსკ-ის 142-ე მუხლის მე-2 ნაწილის პუნქტი „ბ“). ამ შემთხვევაში სახეზეა ერთგვარი შერეული ტიპის დელიქტი, როდესაც ქმედება განზრახია, ხოლო მძიმე შედეგი არ არის მოცული დამნაშავეს განზრახვით. მძიმე შედეგში შეიძლება ვიგულისხმოთ დიდი მატერიალური ზარალი, სხვადასხვა ეროვნების ან სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთა შორის შუღლისა ან კონფლიქტის ჩამოგდება, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, საწარმოო პროცესის ან ტრანსპორტის მოძრაობის დიდი დროით შეფერხება და ა.შ. ვინაიდან „მძიმე შედეგი“ – შეფასებითი კატეგორიაა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული მორალური თუ ქონებრივი ზიანის ხარისხი სასამართლოს მიერ უნდა იქნეს შეფასებული.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2005-2006 წ.წ. სსსკ-ის 142-ე მუხლთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა არ არსე-



ბობს, გარდა ერთადერთი გამონაკლისისა,<sup>1</sup> თუმცა არსებობს სასამართლო პრაქტიკა ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის კერძო შემთხვევებთან დაკავშირებით. სასამართლო პრაქტიკის ეს მაგალითები განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების კომენტირების დროს.

## მუხლი 142<sup>1</sup>. რასობრივი დისკრიმინაცია

1. რასობრივი დისკრიმინაცია, ესე იგი ქმედება, ჩადენილი ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირ ან არაპირდაპირ შეზღუდვა, ანდა იმავე ნიშნით ადამიანისთვის უპირატესობის მინიჭება, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;

ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:

ა) ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ;

ბ) რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

(საქართველოს 2003 წლის 6 ივნისის კანონი №2355-სსმ I, 2003 წ., № 18, მუხ. 117; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2937-სსმ I, 2006 წ., №14, მუხ. 90)

142<sup>1</sup>-ე მუხლი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს

---

1 იხ. 18.04.2006 წ. სისხლის სამართლის საქმე № 1-303 გ. კვერნაძისა და ზ. ჩეჩელაშვილის სსსკ-ის 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ბრალდების გამო და საქართველოს სახალხო დამცველის 2005 წლის ანგარიში, [www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge), გვ. 127-128.

2003 წლის 6 ივნისს შეემატა (საქართველოს კანონი № 2355 „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატებების და ცვლილებების შეტანის შესახებ“).

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია სხვადასხვა რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის წარმომადგენელთა თავისუფლება და თანასწორობა, ხოლო მეორადი ობიექტია ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. თავისუფლება და თანასწორობა, როგორც ადამიანის ფუძემდებლური ღირებულებები, განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და კონვენციებით<sup>1</sup>.

1966 წლის 29 მაისის საერთაშორისო კონვენციის რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 1999 წლის 16 აპრილს) პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ტერმინი „რასობრივი დისკრიმინაცია“ აღნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამორიცხავს შეზღუდვას ან უპირატესობის მინიჭებას რასის, კანის ფერის, საგვარეულო, ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ ან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა თანასწორობის საწყისებზე ცნობის, გამოყენების ან განხორციელების მოსპობას ან შელახვას.

სიტყვა რასა ფრანგული წარმოშობისაა (race) და ნიშნავს ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებულ ჯგუფს, რომელსაც აერთიანებს საერთო წარმოშობა, გამოვლენილი მემკვიდრეობით გადაცემული ნიშანთვისებებით, რომლებიც ხასიათდება გარეგნული ფიზიკური თავისებურებების გარკვეული ერთიანობით (კანის, თვალის, თმის ფერით, თავის მოყვანილობით, სიმაღლით და სხვა).<sup>2</sup>

თუ დავაკვირდებით რასობრივი დისკრიმინაციის ნიშნების

---

1 დაწერილებით იხ. 142-ე მუხლის განმარტება.

2 Словарь иностранных слов, Москва, изд-во «Советская энциклопедия», 1964, с. 542.

ჩამონათვალს სსსკ-ის 142<sup>1</sup>-ე მუხლის დისპოზიციის მიხედვით, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ აქ რასობრივი დისკრიმინაციის ცნება უფრო ფართოდ არის განმარტებული, ვიდრე თვით სიტყვა „რასის“ ეთიმოლოგიური ანალიზიდან და საერთაშორისო კონვენციით გათვალისწინებული დეფინიციიდან გამომდინარეობს. ამაზე მეტყველებს რასობრივი დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალში სოციალური კუთვნილების ჩართვა, რაც, ჩვენი აზრით, გაუმართლებელია.

რასობრივი დისკრიმინაციის ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება: 1) ისეთ ქმედებაში, რომელიც ჩადენილია ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით; 2) რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირ ან არაპირდაპირ შეზღუდვაში, ანდა 3) რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით ადამიანისთვის უპირატესობის მინიჭებაში. აღნიშნული ქმედებები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან და კონკრეტულ ვითარებაში მათი ნიშნები, როგორც წესი, კომპლექსურად ვლინდება.

ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ასევე ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით ჩადენილი ქმედება შეიძლება გამოიხატოს ისეთი შეფასებების, იდეების, შეხედულებათა ან მოწოდებების გავრცელებაში, რომლის შედეგად წარმოიშევა მტრული დამოკიდებულება ამა თუ იმ ეროვნების, რასის წარმომადგენლის ან გარკვეული რელიგიური სარწმუნოების მიმართ, პროვოკაციების მოწყობაში, მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების შეურაცხყოფასა და დამცირებაში, მათი შრომითი კოლექტივიდან ან ტერიტორიული რეგიონიდან განდევნაში და დისკრიმინაციაში, ეროვნული ან რელიგიური სიწმინდების ან სამარხების წაბილწვაში და სხვ.

შეფასებების, იდეების, შეხედულებათა ან მოწოდებების გავრცელება შესაძლებელია განხორციელდეს ავითაცხვის და პროპაგანდის გზით, ზეპირი, წერილობითი ან სხვა ფორმით. რო-

გორც წესი, ისინი ეყრდნობა გამოგონილ ფაქტებსა ანდა ტენდენციურად მიწოდებულ ცნობებს, რომლებიც გამოიწვევენ მტკრულ დამოკიდებულებას ამა თუ იმ ეროვნების ან რასის ცხოვრების წესის, კულტურის, ტრადიციების, ისტორიული როლის, საოჯახო-საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა წყობის და ზნე-ჩვეულებების, აგრეთვე გარკვეული კონფესიის კულტურული ღირებულებებისა და წეს-ჩვეულებების მიმართ. დამნაშავეს მიერ ნამდვილი ცნობების გამოყენების დროს განმსაზღვრელ მნიშვნელობას იძენს ფაქტების ტენდენციური ინტერპრეტაცია. ამრიგად, ქმედების სსსკ-ის 142<sup>1</sup>-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა, არის თუ არა სინამდვილეში დამახასიათებელი ამა თუ იმ ეროვნებასა ან რასისათვის მიწერილი ნიშნები და თავისებურებანი. აღნიშნული ქმედებების ჩადენის აზრია სხვადასხვა ეროვნების, რასის ან რელიგიური კონფესიის წარმომადგენელთა შორის უნდობლობის ჩამოგდება, ტენდენციური, შეურაცხყოფელი ან ცილისმწამებლური აზრების საფუძველზე გაუცხოებისა და მტრული დამოკიდებულების მიღწევა.

ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირებისაკენ მიმართული ქმედება მიზნად ისახავს გარკვეული ერის ან ეროვნების ცალკეული წარმომადგენლის დამცირებას, შეურაცხყოფას, იმის წარმოჩენას, რომ გარკვეული ერი ან ეროვნების ცალკეული წარმომადგენელი არის არასრულფასოვანი, უნარშეზღუდული. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით ჩადენილი ქმედება უნდა ეფუძნებოდეს არა „დამცირებული“ ეროვნების ცალკეული წარმომადგენლების პირად, არამედ საერთოდ ამ ეროვნების განზოგადოებულ თვისებებს. ასეთი ქმედებები შესაძლებელია გამოვლინდეს როგორც დამოუკიდებლად, ასევე ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდებისაკენ მიმართული ქმედების შემადგენელ ელემენტად.

ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით ჩადენილი ქმედება როგორც რასობრივი დისკრიმინაციის ობიექტური შემადგენლობის ერთ-ერთი გამოვლინება ხელყოფს ადამიანის

თავისუფლებასა და თანასწორობას, და ამიტომაც კანონმდებლის მიერ მოთავსებულია სისხლის სამართლის კოდექსის VI თავში „დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ“. მაგრამ, გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველო წარმოადგენს მრავალეროვან სახელმწიფოს, ეს ქმედება გარკვეულ საფრთხეს უქმნის საქართველოს კონსტიტუციურ წყობილებასა და უშიშროების საფუძვლებს.<sup>1</sup>

ზემოაღნიშნული ქმედების ანალიზის შედეგად შესაძლოა დაისვას კითხვა: ზომ არ წარმოიშევა კოლიზია ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით ჩადენილი ქმედებისათვის, რომელიც გამოხატულია შეფასებების, იდეების, შეხედულებათა ან მოწოდებების გავრცელებაში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებასა და ადამიანის ერთ-ერთი ფუძემდებლური და საყოველთაო უფლებას შორის, როგორც არის სიტყვის თავისუფლება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლენა არ ლახავს სხვათა უფლებებს. სიტყვის თავისუფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა კანონიერად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ის მიზნად ისახავს სხვათა უფლებების შელახვას, ვთქვათ, ცილისწამებას, დიფამაციას, ასევე, დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებას, ომის პროპაგანდას, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივებას და სხვ.<sup>2</sup>

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „...მო-

---

1 რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით სიძულვილის ან მტრობის ჩამოგდებისა, ანდა ადამიანის ღირსების დამცირებისათვის (მუხლი 282-ე) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია 29-ე თავში „დანაშაული სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების საფუძვლებისა და უშიშროების წინააღმდეგ“.

2 ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლის განმარტება.

წოდება იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ, როცა პირი ჩაიდენს განზრახ ქმედებას, რომელიც ქმნის კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს“. ეს კანონი აგრეთვე განსაზღვრავს სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველებს და პირდაპირ მიუთითებს, რომ ასეთი შეზღუდვის დაწესება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდვით დაცული სიკეთე აღმატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს (მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი).

მოყვანილ ნირმათა შედარებითი ანალიზი საფუძველს გვაძლევს ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით ჩადენილი ქმედება იმ შეზღუდვის ჩარჩოში მოვაქციოთ, რომლის საშუალებასაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა გვაძლევს. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ კანონმდებელი მხოლოდ ეროვნული და რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდებით შემოიფარგლა. დღესდღეობით საქართველოში ხშირია სხვადასხვა რელიგიის მიმდევართა შორის მტრული დამოკიდებულებისა და შუღლის ჩამოგდების შემთხვევები. აღნიშნულ ფაქტებზე საქართველოს სახალხო დამცველი თავის ანგარიშებში წლიდან წლამდე მიუთითებს. 2006 წლის ანგარიშში, სადაც განხილულია დავით აღმაშენებლის კავშირის მრევლის საქმე, ომბუდსმენი პირდაპირ მიუთითებს, რომ ქსენოფობური, ექსტრემისტული ხასიათის აქციები და სიძულვილის შემცველი განცხადებები საქართველოს კანონმდებლობით არ ისჯება და ექსტრემისტული და შეურაცხმყოფელი გამონათქვამები გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში ექცევა.<sup>1</sup>

ადამიანის უფლებათა პირდაპირ შეზღუდვას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც, მაგალითად, გამოცემულია ისეთი კანონი ან კანონქვემდებარე აქტი, რომელიც შეიცავს აკრძალვას გარკვეულ თანამდებობაზე სახელმწიფო სტრუქტურებში დაინიშნოს ადამიანი ამა თუ იმ რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით. ადამიანის უფლებათა არა-

---

<sup>1</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2006 წლის (მე-2 ნაწილი) ანგარიში, [www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge), გვ. 284.

პირდაპირი შეზღუდვის დროს ასეთ აშკარა, პირდაპირ აკრძალვას ადგილი არა აქვს, მაგრამ ფაქტობრივად გარკვეულ თანამდებობაზე ასეთი ადამიანის დანიშვნაზე უარის თქმა განპირობებულია სსსკ-ის 142<sup>1</sup>-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი ნიშნებით, ანუ სახეზეა ადამიანის დისკრიმინაცია. ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რასობრივი დისკრიმინაციის დროს იზღუდება ადამიანის ისეთი უფლება, რომელიც არ არის დაკავშირებული დამნაშავეს პირად ან ოჯახურ ცხოვრებასთან. რასობრივ დისკრიმინაციად არ ჩაითვლება, მაგალითად, ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი უარს აცხადებს ოჯახში რძლად მიიღოს სხვა ერის ან რასის წარმომადგენელი<sup>1</sup>.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარის ერთ-ერთი ნიშანია რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით ადამიანისთვის უპირატესობის მინიჭება. ამგვარი ქმედებაც შეიძლება ჩადენილ იქნას როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ, თუმცა კანონმდებელი საგანგებოდ არ მიუთითებს აღნიშნულის შესახებ მუხლის დისპოზიციად.

რასობრივი დისკრიმინაციის ჩადენა შეიძლება როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით ანუ მოქმედებისაგან თავის შეკავებით.

სსსკ 142<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ფორმალურ ანუ ე.წ. „შედევგარეშე“ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება: იგი დამთავრებულად ჩაითვლება ქმედების ჩადენისთანავე, შედეგის დადგომას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

რასობრივი დისკრიმინაციის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი. როდესაც რასობრივი დისკრიმინაცია ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (142<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის პუნქტი „ბ“), სახეზეა სპეციალური ამსრულებელი.

---

<sup>1</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2006, გვ. 181.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული შეიძლება ჩა-  
დენილ იყოს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. ამაზე მიუთითებს  
კონკრეტული მიზანი – ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან  
განხეთქილების ჩამოგდება, ანდა ეროვნული პატივისა და ღირსების  
დამცირება. აღნიშნული მიზნის გარეშე ჩადენილი ქმედება არ შეი-  
ძლება დაკვალიფიცირდეს სსსკ 142<sup>1</sup>-ე მუხლით, თუმცა ამავე დროს  
არ გამოირიცხება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქა-  
რთველოს სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით. ასევე  
სახეზეა პირდაპირი განზრახვა სსსკ 142<sup>1</sup>-ე მუხლში ჩამოთვლილი  
ნიშნებით ადამიანის უფლებების პირდაპირ ან არაპირდაპირ შეზ-  
ღუდვისა ანდა ადამიანისთვის უპირატესობის მინიჭების დროს.  
ქმედების სსსკ-ის 142-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის მოტივის  
მნიშვნელობა არა აქვს, იგი სასამართლოს მიერ მხედველობაში  
მიიღება სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს. მოტივი შეიძლება  
სხვადასხვა იყოს: გარკვეული რასისა თუ ერის წარმომადგენლის  
მიმართ სიძულვილი, ამა თუ იმ სოციალური ფენის წარმომადგენ-  
ლის მიმართ შური, ანგარება და სხვა მრავალი.

რა მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულებრივი ქმედე-  
ბა, როდესაც სახეზეა ადამიანის თავისუფლების ან თანასწორობის  
დარღვევა: სსსკ-ის 142-ე თუ 142<sup>1</sup>-ე მუხლით? დასმულ კითხვაზე  
პასუხის გასაცემად აუცილებელია დავადგინოთ ის განსხვავება,  
რომელიც არსებობს ამ ორ შემადგენლობას შორის:

1. კონკრეტული მიზნის არსებობა. ქმედების რასობრივი დის-  
კრიმინაცით კვალიფიკაციის დროს ეროვნული ან რასობრივი  
მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ან ეროვნული პატივისა  
და ღირსების დამცირების მიზანს ზოგ შემთხვევაში გადამწყვეტი  
მნიშვნელობა აქვს, რაც არ არის საველდებულო ქმედების ადამი-  
ანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით კვალიფიკაციის დროს.

2. შედეგის დადგომა. როგორც ადრე ავღნიშნეთ, ადამიანთა  
თანასწორუფლებიანობის დარღვევა მატერიალურ დანაშაულთა  
რიცხვს მიეკუთვნება და, შესაბამისად, სსსკ-ის 142-ე მუხლით  
კვალიფიკაციისათვის აუცილებელია ქმედებას მოჰყვეს ადამიანის  
უფლების არსებითი ხელყოფა, რაც არ არის საველდებულო რასო-  
ბრივი დისკრიმინაციისათვის, რომელიც ფორმალური დანაშაულია



და, შესაბამისად, ამ შემთხვევაში შედეგის დადგომას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

3. დაზარალებულთა წრე. სსსკ-ის 142-ე მუხლით დაზარალებული შეიძლება იყოს პირი, რომლის უფლებები ილახება რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის ნიშნით. რასობრივი დისკრიმინაციის დროს დაზარალებულთა წრე უფრო ვიწროა და შემოიფარგლება მხოლოდ რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით.

თუ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ამ ორ შემადგენლობას, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ მიუხედავად არსებული განსხვავებებისა, ამ დანაშაულებით გათვალისწინებული ქმედება ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს. სავსებით ვეთანხმებით სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სახელმძღვანელოს ავტორებს, რომ ზოგ შემთხვევაში მეტად პარადოქსულ ვითარებასთან გვაქვს საქმე.<sup>1</sup> კერძოდ, სახელმძღვანელოში მოყვანილია შემდეგი მაგალითი: რასობრივი დისკრიმინაცია შეიძლება გამოიხატოს რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნის მიხედვით ადამიანის პირდაპირ ან არაპირდაპირ შეზღუდვაში. ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა კი ხდება სწორედ ამ ნიშნის მიხედვით და ფაქტობრივად გამოხატულობას პოულობს ადამიანის უფლებების შეზღუდვაში. სხვა რაიმე მაკვალიფიცირებელი ნიშნით სსსკ-ის 142-ე და 142<sup>1</sup>-ე მუხლის შემადგენლობის ეს ნაწილები ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. ასეთ შემთხვევაში ისმის კითხვა: როდესაც დამნაშავე ზღუდავს ადამიანის უფლებას, ვთქვათ, ეროვნული ნიშნის მიხედვით, როგორ უნდა მოხდეს ქმედების კვალიფიკაცია – სსსკ-ის 142-ე თუ 142<sup>1</sup>-ე მუხლით? ამ შემთხვევაში შეიძლება დაიბადოს

---

1 იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2006, გვ. 182.

ასეთი აზრი: თუკი ამგვარ შეზღუდვას შედეგად მოჰყვა ადამიანის უფლების არსებითი ხელყოფა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსსკ-ის 142-ე მუხლით, ხოლო თუ ეს შედეგი არ დადგა – მაშინ 142<sup>1</sup>-ე მუხლით. მაგრამ ვინაიდან 142-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სანქცია აშკარად უფრო მსუბუქია, ვიდრე 142<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილისა, გამოვა, რომ მძიმე შედეგის დადგომისას დამნაშავე უფრო მსუბუქად დაისჯება, ვიდრე ასეთი შედეგის არარსებობის დროს. ესეც რომ არ იყოს, ყოვლად გაუმართლებელია, ერთი და იგივე ქმედება სხვადასხვა ნორმაში იყოს გათვალისწინებული და ერთმანეთისაგან მხოლოდ შედეგიდ განსხვავდებოდეს. ამდენად, აშკარაა, რომ აქ ადგილი აქვს კანონის კოლიზიას.

სისხლის სამართლის კოდექსის 142<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს მაკვალიფიცირებელ გარემოებებს. ესენია: ქმედების ჩადენა სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით (პუნქტი „ა“); სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (პუნქტი „ბ“).

ძალადობა არის დაზარებულის ორგანიზმზე (როგორც სხეულზე, ისე მის ფსიქიკაზე) მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედება, რომელიც მის ნების საწინააღმდეგოდ ხორციელდება.

სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობად ჩათვლება დაზარალებულზე ისეთი ზემოქმედება, რომელმაც გამოიწვია ან შეეძლო გამოეწვია მისი სიკვდილი ანდა რომელსაც შედეგად მოჰყვა ან შეეძლო მოჰყოლოდა ჯანმრთელობის ნებისმიერი ხარისხის დაზიანება. სსსკ-ის 142<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოიცავს ისეთ ძალმომრეობით მოქმედებებს, როგორცაა ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ასევე ფსიქიკურ ძალადობას (მუქარას), იმ პირობით, თუ ეს ძალადობა დანაშაულის ჩადენის ხერხს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში დამატებითი კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე და 118-ე მუხლებით არ არის საჭირო, ხოლო თუ ძალადობამ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გამოიწვია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით, ქმედება დანაშაულის ერთობლიობას ქმნის და უნდა დაკვალიფიცირდეს სსსკ-ის 142<sup>1</sup>-ე მუხლის

მეორე ნაწილის „ა“ პუნქტითა და 117-ე მუხლით.

სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარა უნდა იყოს რეალური. დაზარალებულს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ეს მუქარა რეალიზებული იქნება, ან ამის საფუძვლიანი ეჭვი უნდა ჰქონდეს. მუქარის გამოვლენის ფორმას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, იგი შეიძლება გამოიხატოს როგორც სიტყვიერად, ისე მოქმედებით, რომელიც დაზარალებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის (მაგალითად, ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის დემონსტრირება). მუქარის დროს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევაში, თუკი დამნაშავე მას უკანონოდ ატარებს, ჩადენილი ქმედება ერთობლიობით უნდა დაკვალიფიცირდეს: სსსკ-ის 142<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტითა და 236-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ამ შემთხვევაში, როგორც ადრე ავლნიშნეთ, სახეზეა სპეციალური ამსრულებელი.<sup>1</sup>

სსსკ-ის 142<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია ორი მაკვალიფიცირებელი გარემოება – ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ ანდა რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

ჯგუფური დანაშაულის ცნება მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლით. ვინაიდან 142<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილში არ არის დაკონკრეტებული, თუ რა სახის ჯგუფთან გვაქვს საქმე, არც ორგანიზებულ ჯგუფზეა მითითება, ამიტომ, სსსკ-ის 27-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ამ დანაშაულის ჯგუფურად ჩადენაში იგულისხმება, როგორც წინასწარ შეუთანხმებლად, ისე წინასწარი შეთანხმებით მისი ჩადენა. კოდექსის 27-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები კანონმდებლის მიერ შემდეგი რედაქციითაა ჩამოყალიბებული:

“1. დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორ-

---

1 დაწერილებით იხ. სსსკ-ის 142-ე მუხლის განმარტება.

ციულებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი.

2. დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად“.

გამომდინარე აქედან, რასობრივი დისკრიმინაციის წინასწარ შეუთანხმებლად ჩადენის დროს მთავარია ის, რომ დანაშაულის ორი მონაწილე მაინც ამსრულებელი იყოს, ხოლო ამ დანაშაულის წინასწარი შეთანხმებით ჩადენის დროს, სსსკ-ის 27-ე მუხლის პირველი ნაწილისაგან განსხვავებით, საკმარისია, თუ ჯგუფის წევრებიდან მხოლოდ ერთია ამსრულებელი.<sup>1</sup>

ბოლო დამამძიმებელი გარემოებაა 142<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი. ამ შემთხვევაში სახეზეა ერთგვარი შერეული ტიპის დელიქტი, როდესაც ქმედება განზრახია, ხოლო მძიმე შედეგი არ არის მოცული დამნაშავის განზრახვით, ანუ ამსრულებელი არ მოქმედებს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის განზრახვით, მაგრამ მის მიერ ჩადენილ ქმედებას მოჰყვა ასეთი შედეგი. სხვა მძიმე შედეგში იგულისხმება ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, სხვადასხვა ეროვნების ან სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთა შორის შეიარაღებული შეტაკება, ასევე შუღლისა ან კონფლიქტის ჩამოგდება, მასობრივი არეულობის გამოწვევა და სხვა.

იმ შემთხვევაში, როდესაც რასობრივი დისკრიმინაციის ჩადენის დროს დამნაშავე განზრახ კლავს ან განზრახ მძიმედ აზიანებს დაზარალებულს, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა

---

<sup>1</sup> ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვერ დავეთანხმებით სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სახელმძღვანელოს ავტორთა მოსაზრებას, რომ „განსახილველი დამამძიმებელი გარემოება სახეზე მაშინ, როცა ორი პირი მაინც უშუალოდ აღასრულებს 142<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის რომელიმე ნაწილს“ (იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2006, გვ. 183-184). ორი ამსრულებელი საეკვალდებულოა მხოლოდ სსსკ-ის 142<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით მაშინ, როცა ეს დანაშაული წინასწარი შეთანხმებით არაა ჩადენილი.

ერთობლიობით.

როგორც თავში ავლნიშნეთ, 142<sup>1</sup>-ე მუხლი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2003 წლის 6 ივნისის კანონით დამატა, მას მერე დღემდე საქართველოს სასამართლოების მიერ ამ მუხლით არ განხილულა არცერთი სისხლის სამართლის საქმე.

## მუხლი 142<sup>2</sup>. შიშვლდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების შიშვლდვა

1. ინვალიდობის მოტივით შიშვლდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის კანონით ან/და საერთაშორისო ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების განხორციელებაზე უარის თქმა, რამაც არსებითად ხელყო მისი უფლება, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შიშვლდვით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. იგივე ქმედება:

ა) ჩადენილი არაერთგზის;

ბ) ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

გ) რასაც თან ახლდა ძალადობა ან ძალადობის გამოყენების ბუქარა;

დ) რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შიშვლდვით ვადით ხუთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

*(საქართველოს 2003 წლის 6 ივნისის კანონი – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1, 2003, №18, მუხ. 117)*

*(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი–სსმ 1, 2006, №14, მუხ. 90)*

თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში, რომელიც დაფუძნებულია კანონის უზენაესობისა და ადამიანის ღირსების განუხრელი დაცვის ფუნდამენტურ პრინციპზე, ინვალიდობის გამო შიშვლდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტს. საერთაშორისო ნორმები და შიდასახელმწიფოებრივი კანონები არეგულირებენ მათი უფლებების დაცვასთან

დაკავშირებულ ურთიერთობებს. უპირველეს ყოვლისა, ამ ნორმების მიზანია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის არსებობა, ასევე ადაპტირებული ინფრასტრუქტურის შექმნა, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არ იმყოფებოდნენ იზოლაციაში და საზოგადოებისაგან გარიყულ სოციალურ წრედ არ მიიჩნევდნენ თავს. მათ უნდა შეძლონ თავიანთი პიროვნების შეძლებისდაგვარად სრული რეალიზაცია და სრულფასოვანი ცხოვრების პირობებში საქმიანობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები თავს უნდა თვლიდნენ საზოგადოების სრულფასოვან და საჭირო წევრებად.

ჯერ კიდევ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1975 წლის 9 დეკემბერს მიიღო დეკლარაცია „ინვალიდთა უფლებების შესახებ“, ხოლო მის მიერვე 1993 წლის 20 დეკემბერს მიღებულ იქნა „ინვალიდთათვის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფის სტანდარტული წესები“. გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ კონვენცია კი, თარიღდება 2006 წლის 13 დეკემბრით.

მიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებში ჯერ კიდევ 1995 წლის 14 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ“. საქართველოს პარლამენტმა 2001 წლის 20 ივნისის კანონით ამ კანონის სახელწოდება შეცვალა და მას ეწოდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“.

ამ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის ადამიანი, რომელსაც დაავადების, ტრამვის, გონებრივი თუ ფიზიკური დეფექტის შედეგად დარღვეული აქვს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციები ჯანმრთელობის მეტნაკლებად მოშლის გამო, რაც განაპირობებს პროფესიული შრომის უნარის სრულ ან ნაწილობრივ დაკარგვას ანდა ყოფა-ცხოვრების არსებით გამწვანებას“.

კანონი აწესებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინფრასტრუქტურით შეუფერხებელი სარგებლობისათვის პირობების შექმნის, მათი სამედიცინო, პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის, განათლებისა და პროფესიული

მომზადების, მათი შრომის, სოციალური დახმარების, მათთვის სპორტის შესაფერის სახეობათა დანერგვისა და განვითარების, მათი საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს.

საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენებებში დიდი ადგილი ეთმობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მდგომარეობის ანალიზს საქართველოში<sup>1</sup>.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ფარგლებში ხორციელდება გარკვეული სამუშაოები. ასე, მაგალითად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 26 მარტის №102/ნ ბრძანებით დამტკიცდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობისა და სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის სახელმწიფო პროგრამები. სახალხო დამცველის შეფასებით, აღნიშნული პროგრამები ორიენტირებული არიან უკვე არსებული ვითარების შენარჩუნებასა და არა გაუმჯობესებაზე და ეს სისტემა ხასიათდება მთელი რიგი ხარვეზებით<sup>2</sup>.

დღეს მოქმედ ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში 2003 წლის 6 ივნისის კანონით შემოღებული იქნა სპეციალური ნორმა, რომელიც სისხლის სამართლის წესით იცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს. იგი წარმოადგენს საკანონმდებლო ნოვაციას. ამ ნორმის შემოღების დროს გათვალისწინებულ იქნა ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი ორგანიზაციების რეკომენდაციები ინვალიდთა უფლებების დაცვის სფეროში.

ქართული სასამართლო პრაქტიკა სსკ-ის 142<sup>2</sup>-ე მუხლთან მიმართებით არ არსებობს. ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებით

---

1 ასე, მაგალითად, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება, 2007 წლის მეორე ნახევარი, გვ. 245-250

2 იხ. იქვე, გვ. 246

ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია მხოლოდ სახალხო დამცველის მოხსენებებში. ჯერ კიდევ სახალხო დამცველის 2006 წლის საპარლამენტო მოხსენებაში ფართოდ იყო მიმოხილული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში. უამრავი პრობლემა აღნიშნულ სფეროში ისევ პრობლემად დარჩა შემდგომ წლებში. ამ კატეგორიის ადამიანთა უფლებები საქართველოში ხშირად იგნორირებულია, რაც საგრძნობლად აფერხებს მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტერგაციის პროცესს. ისინი საზოგადოების ყველაზე მგრძობიარე ფენას მიეკუთვნებიან<sup>1</sup>.

სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული ნორმის დაცვის ობიექტია ის უფლებები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს მინიჭებული აქვს საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით. ამ მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, სიტყვა „კანონი“ უნდა გავიგოთ ფართოდ. მასში იგულისხმება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიც, რომლებიც მიიღება საერთაშორისო ნორმებისა და კანონების საფუძველზე. ქართულ კომენტარებში ამ დანაშაულის მეორე ობიექტად მიჩნეულია ასევე პირის ჯანმრთელობა<sup>2</sup>. ვფიქრობ, რომ იგი სხვა სამართლებრივი სიკეთებითაც შეიძლება განიერცოს.

ამ დანაშაულის ჩადენა შეიძლება როგორც მოქმედებით, ისევე უმოქმედობით. იგი შედეგიანი დელიქტია, რადგან ჩადენილად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უფლებების განხორციელებაზე უარის თქმას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის არსებითი ზიანის მიყენება მოჰყვება.

„უფლების არსებითად ხელყოფა“ ქმედების ობიექტური შემადგენლობის შეფასებითი ნიშანია და გულისხმობს არსებითი ზიანის გამოწვევას. იგი განისაზღვრება ობიექტური კრიტერიუმებით. ვერ დავეთანხმები პოზიციას იმის შესახებ, რომ თითქოს „მატერიალური ზიანის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული

---

1 იხ. იქვე, გვ. 245

2 იხ. ნ. თოდუა წიგნში: მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გვენეტაძე, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, მე-3 გამოცემა, 2008, გვ. 201



არა მარტო ქონებრივი ზიანის მოცულობა საზოგადოდ, არამედ თვით დაზარალებულის ეკონომიკური მდგომარეობაც<sup>1</sup>. ვფიქრობ, შეფასება იმის შესახებ, ადგილი ჰქონდა თუ არა პირის უფლების არსებითად ხელყოფას, უნდა ეფუძნებოდეს არა ინდივიდუალურ, არამედ საზოგადოებრივ მასშტაბებს.

სუბიექტური შემადგენლობის მხრივ, ეს დანაშაული შეიძლება გამოიხატოს როგორც პირდაპირ, ისე ევენტუალურ განზრახვამ<sup>2</sup>.

რაც შეეხება დამამძიმებელ გარემოებებს, აღნიშნული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს არაერთგზის. არაერთგზისობა კი, გაგებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლიდან გამომდინარე, როგორც ეს განისაზღვრა 2007 წლის 4 ივლისის ცვლილებით. ამ დამამძიმებელი გარემოების არსებობისათვის აუცილებელია, რომ პირი ანალოგიური დანაშაულის ჩადენისათვის ადრე იყოს ნასამართლევნი და ნასამართლობა კანონით დადგენილი წესით (სსკ-ის 79-ე მუხლი) არ ჰქონდეს მოხსნილი ან გაქარწყლებული. თუ პირი წინათ ჩადენილი ანალოგიური ქმედების (ქმედებებისათვის) არ ყოფილა გასამართლებული და ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე კვლავ ჩაიდენს ახალ ანალოგიურ დანაშაულს, მის მიერ ჩადენილი ქმედებები ცალ-ცალკე დაკვალიფიცირდება ამ მუხლით და დანაშაულთა რეალური ერთობლიობისათვის დადგენილი წესით მოხდება სასჯელთა შეკრება (სსკ-ის 59-ე მუხლი).

ეს დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს არა მარტო თანამდებობის პირმა, რადგან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება წარმოადგენს დანაშაულის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებას. უნდა აღინიშნოს, რომ მის ჩასადენად სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება შეუძლია არა მარტო მოხელეს ან მასთან გათანაბრებულ პირს, არამედ ნებისმიერ სხვა პიროვნებას, რომელსაც უჭირავს სამსახურებრივი მდგომარეობა კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირში, რომლის გამოყენებითაც იგი შეძლებს ამ დანაშაულის ჩადენას. მოხელის ან მასთან გათანა-

---

1 იხ. ნ. თოდუა, იქვე, გვ. 202

2 იხ. ნ. თოდუა, იქვე, გვ. 202

ბრებული პირის სუბიექტურობის შემთხვევაში, ეს შემაღენლობა იდეალურ კონკურენციაშია სსკ-ის 332-ე მუხლთან.

ძალადობაში უნდა ვიგულისხმოთ ფიზიკური ძალის გამოყენება, ხოლო ძალადობის მუქარა კი, მოიცავს ფსიქიკურ იძულებასაც.

დანაშაულის შემაღენლობის დამაფუძნებელი ნიშანი: „უფლების არსებითად ხელყოფა“ უნდა განვასხვავოთ ამავე მუხლის დამამძიმებელი გარემოებისაგან: „რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია“. მძიმე შედეგში უნდა ვიგულისხმოთ გაუფრთხილებლობით გამოწვეული ფიზიკური ხელყოფა – ჯანმრთელობის დაზიანება, სიცოცხლის მოსპობა ან მძიმე მატერიალური ზიანი.

სახალხო დამცველის 2007 წლის მეორე ნახევრის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 2007 წლის 1 იანვრის მონაცემებით, საქართველოში იყო 229 410 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი აღრიცხული, ხოლო 2008 წლის 1 თებერვლის მონაცემით კი, მხოლოდ 157 047 ადამიანი. ავადმყოფობების ნუსხის შეზღუდვის შედეგად, ასეთ პირთა რაოდენობა 72 363 ადამიანით შემცირდა. სახალხო დამცველი შეშფოთებას გამოხატავს იმ ფაქტის გამო, რომ ძალიან დაბალია თავად ამ პირთა აქტივობის დონე. ისინი საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრებაში ფაქტიურად არ მონაწილეობენ. მათი უფლებების მასობრივი დარღვევის მიუხედავად, ძალიან დაბალია სახალხო დამცველისადმი მათი მიმართვის სიხშირე.<sup>1</sup>

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახალხო დამცველის დახასიათებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დღესდღეობით სრულ იზოლაციაში იმყოფებიან და საზოგადოებისაგან გარიყულ წრეს წარმოადგენს. მათი დიდი უმრავლესობა მოკლებულია პიროვნული რეალიზაციისა და სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობას. ისინი თავს არ თვლიან საზოგადოების სრულფასოვან და საჭირო წევრებად. ამას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. პირველ რიგში დასახელებულია შეზღუდული შესაძლებლობის

---

<sup>1</sup> საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება, 2007 წლის მეორე ნახევარი. გვ. 245

მქონე პირების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა, ასევე ადაპტირებული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა<sup>1</sup>.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის ნორმის გვერდით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს იცავს ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 178<sup>1</sup>-ე მუხლი. ამ ნორმის მიხედვით, ამ კატეგორია ადამიანებისათვის კანონმდებლობით დადგენილი პირობების შექმნისაგან თავის არიდება ისჯება 300-დან 500 ლარამდე ჯარიმით. იმავე კოდექსის 178<sup>2</sup>-ე მუხლით იზრდება სანქცია 500-დან 800 ლარამდე. ამ ნორმით, ადმინისტრაციულ გადაცდომას წარმოადგენს ობიექტების დაპროექტებისას და მშენებლობისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლობა. აღნიშნულ დარღვევებზე ოქმს ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები. სახალხო დამცველის კრიტიკა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ დასახელებული სამინისტროს ფარგლებში დროულად არ შეიქმნა კანონით გათვალისწინებული ისეთი ორგანოები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ოქმის შედგენასა და მის რეალიზაციას.

შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი ნორმების რეალიზაცია, რომლებიც სისხლისსამართლებრივად და სხვა გზით უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას, საქართველოში დღემდე სათანადოდ არ არის განხორციელებული. აღნიშნული განპირობებულია ეკონომიკური და სოციალური განვითარების იმ მდგომარეობით, რომელიც დღეისათვის შექმნილია საქართველოში.

---

1 იხ. იქვე, გვ. 245

## მუხლი 143. თავისუფლების უკანონო აღკვეთა

1. თავისუფლების უკანონო აღკვეთა, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
  - ა) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით;
  - ბ) უცხოეთის ოფიციალური წარმომადგენლის ან საერთაშორისო სამართლებრივ დაცვას დაქვემდებარებულის მიმართ;
  - გ) სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.
3. იგივე ქმედება, ჩადენილი:
  - ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;
  - ბ) არაერთგზის;
  - გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;
  - დ) დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვანის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ;
  - ე) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.
4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:
  - ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
  - ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №292-სსმ I, 2000 წ., № 18, მუხ. 45; საქართველოს 2000 წლის 30 ივნისის კანონი №458-სსმ I, 2000 წ., №27, მუხ. 3; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2937-სსმ I, 2006 წ., № 14, მუხ. 90; საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3530-სსმ I, 2006 წ., №37, მუხ. 271)

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მიხედვით, ადამიანის თავისუფლება ხელშეუხებელია. ეს, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ადამიანის თავისუფალი და უსაფრთხო ფიზიკური გადაადგილების უფლების აღიარებას. ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა და თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა პიროვნული თავისუფლების ყველაზე ბუნებრივი გამოვლენაა. პიროვნული ხელშეუხებლობა ადამიანის მუდმივი მოთხოვნილებაა. სახელმწიფოს არა მარტო ნეგატიური ვალდებულება აქვს თავად არ შეზღუდოს ადამიანის თავისუფლება, არამედ პოზიტიურადაც ევალება დაიცვას ადამიანი, რათა სხვებმა არ შელაზონ ეს უფლება. სახელმწიფოს სწორედ ამ პოზიტიური ვალდებულების რეალიზაციის ერთ-ერთი ბერკეტია სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე და 144-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობები.

სსკ 143-ე მუხლით დადგენილი აკრძალვა მიზნად ისახავს ისეთი ინდივიდუალურ-სამართლებრივი სიკეთის დაცვას, როგორც არის ადამიანის თავისუფალი ფიზიკური გადაადგილების სოციალურად უზრუნველყოფილი შესაძლებლობა. ამ დანაშაულის ხელყოფის უშუალო ობიექტია სახელმწიფოს მიერ დაცული ადამიანის უფლება, აირჩიოს ადგილსამყოფელი თავისი შეხედულები-სამებრ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1994 წლის 29 დეკემბრის განმარტებით, „ადამიანისათვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, იმისდა მიუხედავად, მოტაცების გზით განხორციელდება ის, თუ სხვაგვარად, გულისხმობს დაზარალებულისათვის მიმოსვლის თავისუფლების, ე.ი. თავისი ნების შესაბამისად სივრცეში შეუზღუდავი გადაადგილების შესაძლებლობის მართლსაწინააღმდეგოდ მოსპობას“.<sup>1</sup>

ადამიანის სსკ 143-ე მუხლით მსჯავრდებისათვის, პირველყოვლისა, აუცილებელია, რომ თავისუფლების აღკვეთა იყოს მართლსაწინააღმდეგო, რაზეც სიტყვა „უკანონო“ მიანიშნებს. საქმე იმაშია, რომ ადამიანის ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა მარ-

<sup>1</sup> მართლსაჯულების მაცნე, 1994 №4 გვ.5

თლზომიერადაც არის შესაძლებელი. მაგალითად, დამნაშავის შეპყრობისას, აუცილებელი მოგერიების ვითარებაში, აგრეთვე სულთ ავადმყოფის, ნარკომანის ან გადაძვლები სენით დაავადებულის მოთავსებისას საავადმყოფოში სამკურნალოდ და სხვა.

ობიექტური მხრივ, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. როგორც წესი, ეს დანაშაული მოქმედებით ხორციელდება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ადამიანს მართლსაწინააღმდეგოდ ართმევენ (უზღუდავენ) შესაძლებლობას თავისი შეხედულებისამებრ აირჩიოს ადგილსამყოფელი. ეს შესაძლებელია მოხდეს ადამიანის დაკავებით იმ ადგილას, სადაც ყოფნის სურვილი მას არა აქვს, ანდა მისი მოტაცებით და ისეთ ადგილას მოთავსებით, სადაც ყოფნა მას არ სურს. ადამიანის მოტაცება თავისუფლების სხვაგვარად უკანონო აღკვეთისაგან იმით განსხვავდება, რომ მოტაცება გულისხმობს როგორც ადამიანისათვის თავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობის აღკვეთას, ისე მის იძულებით გადაადგილებას სივრცეში. მაშასადამე, მოტაცების დროს მსხვერპლს არა უბრალოდ ეზღუდება თავისუფლება, არამედ აუცილებლად ამორებენ მას მუდმივ ადგილსამყოფელს და ათავსებენ გამტაცებლის მიერ შერჩეულ ადგილას, რომელიც უცნობია სხვა პირთათვის. ადამიანისათვის თავისუფლების აღკვეთა მოტაცების გზით რამდენიმე მოქმედებას აერთიანებს – მსხვერპლის შეპყრობა, მისი გადაადგილება და შემდგომი დაკავება, მაშინ, როცა თავისუფლების სხვაგვარი უკანონო აღკვეთა ერთსვლიანი ქმედებით, მხოლოდ მსხვერპლის დაკავებით შემოიფარგლება.

ტიპიურად თავისუფლების აღკვეთა ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობით ხორციელდება, ამავე დროს, ქმედების 143-ე მუხლის პირველი ნაწილით კვალიფიკაციისათვის, ძალადობა არ უნდა იყოს საშიში სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, რადგანაც ამგვარი ძალადობა მეორე ნაწილით არის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების სახით<sup>1</sup>. თუმცა, შეიძლება

---

1 143-ე მუხლის პირველი ნაწილი მოიცავს ისეთ ძალმომრეობით მოქმედებებს, როგორცაა ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება,

თავისუფლების აღკვეთა მოტყუების გზითაც, როცა ადამიანი მოგვიანებით აცნობიერებს, რომ მას თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა არა აქვს (მოტყუებით ჩასვეს მანქანაში ან მიიყვანეს იმ ადგილას, სადაც ჩაკეტეს); ადამიანისათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა შესაძლებელია აგრეთვე მისი უმწვეო მდგომარეობის გამოყენებით (მაგალითად, უგონო მდგომარეობაში მყოფი ჩაკეტეს ოთახში) და სხვა.

ადამიანისათვის ფიზიკური გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს როგორც დახშულ სივრცეში (შენობა, სარდაფი, ავტომანქანის სალონი და სხვა) მისი მოთავსებით, ისე მიმოსვლის შესაძლებლობის მოსპობით ღია სივრცეში, მაგალითად, გაკოჭილ მდგომარეობაში დატოვებით, უკაცრიელ ადგილას ხეუ მიბმით და სხვა. ამრიგად, უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის ადგილი შეიძლება იყოს ნებისმიერი სივრცე, მათ შორის ადამიანის დროებითი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო ადგილი ან სასწავლებელი და სხვა ამდაგვარი. დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, სად აღუკვეთეს ადამიანს თავისუფლება, მის საკუთარ სახლში თუ სხვაგან. მთავარია დადგინდეს, რომ მას მოსპობილი აქვს თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა.

ეს დანაშაული ფორმალური შემადგენლობის მქონეა და იურიდიულად დამთავრებლად ჩაითვლება სხვისთვის (საკუთარი შეხედულებისამებრ სივრცეში თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობის სრულად აღკვეთის) თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის მომენტიდან.

---

ასევე ფსიქიკურ ძალადობას (მუქარას), ცხადია, თუ ის დანაშაულის ჩადენის ხერხს წარმოადგენდა. ამგვარი ძალადობა დამატებით კვალიფიკაციას არ საჭიროებს. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშა ისეთი ძალადობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიკვდილი, ჯანმრთელობის ამა თუ იმ ხარისხის დაზიანება.

ამავე დროს, თუ ძალადობამ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გამოიწვია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით. ასევე დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირდება ყველა ის შემთხვევა, როცა ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობა არ წარმოადგენდა ადამიანისათვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ხერხს. ძალადობის მუქარა ნებისმიერი შინაარსის მუქარას შოიცავს.

ამავე დროს, ერთხელ სრულად განხორციელებული დანაშაულის შემადგენლობა დენადი ფორმით განუწყვეტლივ განაგრძობს არსებობას, ვიდრე განთავისუფლებული არ იქნება თავისუფლებააღკვეთილი პირი. მაშასადამე, ეს დანაშაული დამთავრებულ მდგომარეობაში გრძელდება მანამდე, ვიდრე მსხვერპლი არ იქნება გათავისუფლებული დამნაშაის ან სხვის მიერ, ანდა ვიდრე თვითონ მსხვერპლი არ გაითავისუფლებს თავს საკუთარი ძალისხმევით. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობას, ის გავლენას ვერ მოახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე, თუმცა, შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს სასჯელის ზომის განსაზღვრის დროს.

ამ დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი. ამ დანაშაულის ამსრულებლად ჩაითვლება არა მარტო ის, ვინც ადამიანს უშუალოდ აღუკვეთა თავისუფლება, არამედ ისიც, ვინც ასრულებდა დანაშაულის ობიექტური მხარის თუნდაც გარკვეულ ნაწილს (ამა თუ იმ ეპიზოდს), მაგალითად მონაწილეობდა ძალადობაში, დარაჯად ედგა თავისუფლებააღკვეთილს და სხვა.

რაც შეეხება ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას, იგი პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ადამიანს მართლსაწინააღმდეგოდ უსპობს თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობას და ეს შეესაბამება მის სურვილს. ამგვარი ქმედების მოტივი შეიძლება იყოს: შურისძიება, ეჭვიანობა, ანგარება და სხვა პირადი მოტივი. ზოგჯერ დამნაშავეს კეთილშობილური მოტივი ამოძრავებს, მაგალითად, ქალის მოტაცებისას ცოლად შერთვის მიზანი. აღსანიშნავია, რომ ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებს, კერძოდ, მოტივს და მიზანს არსებითი მნიშვნელობა აქვთ ამ დანაშაულის გასამიჯნად მძევლად ხელში ჩაგდებისაგან.

სსკ 143-ე მუხლთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა იხილეთ სსკ 144-ე მუხლის განმატრებასთან (გ.მ.).



## მუხლი 143<sup>1</sup>. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

1 ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შეიდიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ერთი წლის ვადით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;

ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ;

გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თოთხმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ორი წლის ვადით.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

გ) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით;

დ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:

ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, –

ისჯება თავისუფლების. აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე, თანამდებობის დაკალების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით.

შენიშვნა:

1. კოდექსის ამ და 143<sup>2</sup> მუხლების მიზნებისათვის, ექსპლუატაციად მიიჩნევა ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის ან მომსახურების, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების გაწევის, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების მიზნით, აგრეთვე ადამიანის იძულება სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით. ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს მისთვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ანდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას. პირის თანხმობას მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არა აქვს.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

*(საქართველოს 2003 წლის 6 ივნისის კანონი – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I, 2003, №18, მუხ. 117)*

*(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი – სსმ I, 2006, №14, მუხ. 90)*

*(საქართველოს 2006 წლის 20 ივნისის კანონი – სსმ I, 2006, №25, მუხ. 196)*

*(საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი – სსმ I, 2006, №37, მუხ. 271)*

ადამიანთა ვაჭრობა – ტრეფიკინგი წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე შემთხვევას. იგი გლობალური პრობლემაა და განეკუთვნება ტრანსნაციონალურ დანაშაულთა კატეგორიას.

2000 წლამდე მსოფლიოში არ არსებობდა ტრეფიკინგის საყოველთაო იურიდიული დეფინიცია. 2000 წელს ქალაქ პალერმოში მსოფლიოს სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების კონვენციას და, მასთან ერთად, ოქმს „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“, რომელიც წარმოადგენს ადამიანთა ტრეფიკინგის დანაშაულის დეფინიციის შემცველ პირველ საერთაშორისო იურიდიულ დოკუმენტს<sup>1</sup>.

გარდა პალერმოს ოქმისა, ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად ევროკავშირის საბჭომ 2002 წლის 19 ივლისს მიიღო სპეციალური ჩარჩო გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველყოფს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარებას<sup>2</sup>. იგი ძალაში შევიდა 2002 წლის 2 აგვისტოს.

ეს ჩარჩო გადაწყვეტილება უზრუნველყოფს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარებას. ჯერ კიდევ 1997 წლის 24 თებერვალს საბჭოს მიერ მიღებულ იქნა სპეციალური ზომები, რომლებიც მიმართული იყო ადამიანთა ვაჭრობისა და ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ, რაც შემდგომში გარკვეულწილად გახდა იმის საფუძველი, რომ უფრო მეტი ქმედითი ღონისძიებები გატარებულიყო აღნიშნულ დანაშაულთან საბრძოლველად.

---

1 იხ. ნ. ბაქაქერი, ადამიანის ტრეფიკინგი, ჟურნალი „ალმანახი“, №19, 2004, გვ. 111.

2 იხ. ევროკავშირის საბჭოს 2002 წლის 19 ივლისის ჩარჩო გადაწყვეტილება (Rahmenbeschluss des Rates vom 19. Juli 2002 zur Bekämpfung des Menschenhandels) (2002/629/J1)

ადამიანით ვაჭრობა ევროპაში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დანაშაულს წარმოადგენს, რომელიც უხეშად არღვევს ადამიანის პირად უფლებებსა და თავისუფლებებს. იგი უკვე დიდი ხანია გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და საერთაშორისო ხასიათი მიიღო. მის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში ჩართული არიან სამართალდამცავი ორგანოები. ადამიანთა ვაჭრობის ყველაზე უფრო მძიმე ფორმებია: სექსუალური ექსპლუატაცია, იმ პირების მოტყუება, რომლებიც სოციალურად დაუცველ კატეგორიას მიეკუთვნებიან და შემდგომში ასეთი პირების გამოყენება სხვადასხვა მძიმე სამუშაოებზე, მათი იძულება და დამონება. განსაკუთრებით ხშირია, როცა ამ დანაშაულის მსხვერპლი ბავშვები და ქალები არიან, რის გამოც ევროკავშირის საბჭომ ამასთან დაკავშირებით ცალკე ჩარჩო გადაწყვეტილებაც კი მიიღო 2003 წლის 22 დეკემბერს.

ევროკავშირის ყოველი სახელწიფო ვალდებულია, თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით დანაშაულად გამოაცხადოს შემდეგი სახის ქმედებები: გადაბირება (ადამიანთა დასასაქმებლად შეგროვება), ტრანსპორტირება, სხვისთვის გადაცემა, თავშესაფრის მიცემა და სხვა მსგავსი მოქმედება, თუ იგი ჩადენილია:

(ა) ძალის ან მუქარის ან იძულების სხვა ფორმის, მათ შორის გატაცების, გამოყენებით;

(ბ) თაღლითობით, ან მოტყუებით;

(გ) ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით ან პირის უმწეო მდგომარეობით სარგებლობით, როცა პირს არ შეუძლია თავიდან აიცილოს ასეთი ექსპლუატაცია;

(დ) საზღაურის ან სარგებლის მიცემის ან აღების გზით იმ მიზნით, რათა მიღწეულ იქნეს იმ პირის თანხმობა, რომელიც სხვა პირზე კონტროლს ახორციელებს.

აღნიშნული ქმედებები მიზნად ისახავენ ადამიანის გამოყენებას იძულებითი შრომის ან მომსახურების გაწევაში, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის პირობებში მის ჩაყენებას, პროსტიტუციაში ჩაბმას ან სექსუალურ ექსპლუატაციას, მათ შორის პორნოგრაფიულ საქმიანობაში ჩართვის ჩათვლით.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ევროპული ჩარჩო გადაწ-

ყვეტილებით დაზარალებულის წინასწარ თანხმობას აღნიშნული დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. დასჯადია როგორც ამ დანაშაულის დამთავრებული, ისე დაუმთავრებელი, კერძოდ, მცდელობის სტადია. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია ასევე, ადამიანით ვაჭრობაში თანამონაწილეობისთვის, კერძოდ, ისჯება მასში წაქეზებაც და დანმარებაც. სანქციების თვალსაზრისით, შესაძლებელია, დანაშაულის მიმართ გამოყენებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთა, რომლის მინიმალური ზღვარი არ უნდა იყოს რვა წელზე ნაკლები, თუ:

(ა) აღნიშნული დანაშაულის ჩადენით მსხვერპლის სიცოცხლეს განზრახ ან გაუფრთხილებლობით საფრთხე შეექმნა;

(ბ) ამ დანაშაულის მსხვერპლი დაუცველია. აქ უნდა ვიგულისხმოთ ისეთი პირები, რომლებსაც ნაციონალური კანონმდებლობით სათანადო ასაკს არ მიუღწევიათ და დამოუკიდებლად არ შეუძლიათ თავიანთი სექსუალური თავისუფლების განკარგვა;

(გ) დანაშაული ჩადენილია მძიმე ძალადობით ან მსხვერპლს ამ დანაშაულით მნიშვნელოვანი ზიანი მიაღდა.

ევროკავშირის საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ითვალისწინებს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასაც, რა დროსაც შესაძლებელია, იურიდიული პირის სახელით დანაშაულს ჩადიოდეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი, რომელსაც პასუხისმგებლობა დაეკისრება ასევე იურიდიულ პირთან ერთად. სანქციებიდან აღსანიშნავია ასევე, როგორც ქონებრივი, ისე სხვა სახის არასისხლისსამართლებრივი ღონისძიებები.

აღნიშნული ჩარჩო გადაწყვეტილებით, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, დანაშაულის ჩამდენი პირი დასაჯონ თავიანთი კანონმდებლობის შესაბამისად, ანდა იგი გადასცენ სხვა წევრ სახელმწიფოს. თავად სახელმწიფოს კი, თავისი იურისდიქციის გავრცელება შეუძლია მაშინ, თუ: (ა) დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილია მის ტერიტორიაზე; (ბ) როცა დანაშაულს ამ სახელმწიფოს მოქალაქე ჩადის; (გ) როცა აღნიშნულ სახელმწიფოს ტერიტორიაზე განთავსებულია ის იურიდიული პირი, რომელიც ამ დანაშაულშია მხილებული.

ჩარჩო გადაწყვეტილება განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მსხვერპლთა დაცვასა და მხარდაჭერაზე (მუხლი 7). სისხლისსამართლებრივი გამოძიებისა და დევნის მიმართ ხორციელდება ე.წ. ლეგალურობის პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი დაწყება არ არის დამოკიდებული მსხვერპლის საჩივარზე, არამედ ხორციელდება საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის სახით. განსაკუთრებით ეს შეეხება იმ შემთხვევებს, როცა იგი ჩადენილია ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე. განსაკუთრებულ დაცვას ექვემდებარებიან ბავშვები, რომლებიც არიან ამ დანაშაულის მსხვერპლი. რაც შეეხება ბავშვს, პირი ასეთად ითვლება 18 წლის ასაკს მიღწევამდე.

ჯერ კიდევ 1997 წლის 2 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან პარმონიზაციის შესახებ. რაც შეეხება ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ ევროპის კავშირის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილებასთან ქართული კანონმდებლობის შესაბამისობას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>-ე, 143<sup>2</sup>-ე, 143<sup>3</sup>-ე მუხლები დეტალურად განსაზღვრავენ ამ დანაშაულებრივი ქმედებების შემადგენლობებს, რისთვისაც იყენებენ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ტერმინოლოგიასა და ტექსტს. კერძოდ, 143<sup>1</sup>-ე მუხლი ეძღვნება ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგი), 143<sup>2</sup>-ე მუხლი – არასრულწლოვნით ვაჭრობას (ტრეფიკინგი), 143<sup>3</sup> მუხლი კი, – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობას.

პირველი ორი მუხლის დისპოზიცია 2006 წლის 25 ივლისის საქართველოს კანონით იქნა სრულყოფილი, ხოლო 143<sup>3</sup>-ე მუხლის დისპოზიცია 2007 წლის 8 მაისის კანონით შემოღებული.

საერთაშორისო დონეზე ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტმა მიიღო სპეციალური კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ (2006 წლის 28 აპრილი). იგი განსაზღვრავს საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძო-

ლის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, ადამიანთ ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში სახელმწიფო ორგანოთა, თანამდებობის პირთა და იურიდიულ პირთა უფლებამოსილებებსა და მათი საქმიანობის კოორდინაციის წესს, აგრეთვე ადამიანთ ვაჭრობის მსხვერპლთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათი სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2006 წლის 25 ივლისის საქართველოს კანონით დაწესდა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ტრეფიკინგის ჩადენისათვის. იგი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ლიკვიდაციით ან ფულადი ჯარიმით.

საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის 7 ივნისს მოახდინა „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალების და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ ოქმის რატიფიკაცია. 2006 წლის 22 ნოემბერს კი, საქართველოს პარლამენტის მიერ მოხდა ქ. ვარშავაში 2005 წლის 16 მაისს ხელმოწერილი „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიკაცია<sup>1</sup>.

რაც შეეხება პალერმოს კონვენციას, მისი მე-3 მუხლის თანახმად: „ადამიანის ტრეფიკინგი“ ნიშნავს ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა გადაბირებას, გადაყვანას, გადაცემას, გადაძალვას ან მიღებას მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, უფლებამოსილების ან სხვისი უმწევობის ბოროტად გამოყენებით ან

---

<sup>1</sup> გარდა ამისა, მოქმედებს ასევე სხვა არაერთი საერთაშორისო კონვენცია და შეთანხმება, რომელიც ეხება ადამიანთ ვაჭრობას, კერძოდ: 1926 წლიდან მოქმედებს კონვენცია მონობის შესახებ, ზოლო კონვენცია ადამიანთ ვაჭრობისა და შეძეთა ექსპლუატაციის შესახებ მიღებული იქნა 1945 წელს. 1996 წელს ძალაში შევიდა დამატებითი ოქმი მონობის გაუქმების, ადამიანის ვაჭრობის შესახებ. არსებობს ასევე რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულება: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტი (1966 წ.), კონვენცია ბავშვის უფლებათა შესახებ (1989 წ.). მიგრანტთა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის კონვენცია (1990 წ.) და ა.შ.

საფასურის მიცემით ან მიღებით იმ პირის მიერ, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა ადამიანზე.

პალერმოს ოქმის მიხედვით, ადამიანის ექსპლუატაცია გულისხმობს ადამიანის პროსტიტუციის ან სხვა სახის სექსუალურ ექსპლუატაციას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობაში ან მონობის მსგავს მდგომარეობაში ჩაყენებას, სერვიტუტს ან ადამიანის ორგანოთა გადანერგვას.

დეფინიციის შინაარსი უფრო მარტივად გასაგები იქნება თუ მას პირობითად სამ ნაწილად დავყოფთ:

პირველ ნაწილში მოცემულია დანაშაულის მიზანი – ადამიანის ექსპლუატაცია. ადამიანის ტრეფიკინგის დეფინიციის მეორე ნაწილში მოცემულია კონკრეტული ქმედებები, რომლებიც ცალკე თუ ერთობლიობაში, ადამიანის ექსპლუატაციის მიზნით არის განხორციელებული. ასეთი დანაშაულებრივი ქმედებებია: ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადაცემა, გადამალვა ან მიღება. მესამე ნაწილში კი, მოცემულია ის საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც აღნიშნული ქმედებები ხორციელდება, კერძოდ: მუქარა, ძალის გამოყენება, იძულება, გატაცება, თაღლითობა და ა. შ. გარდა ამისა, მესამე ნაწილში მოცემულ საშუალებებში – „სხვისი უმწეობის ბოროტად გამოყენება“, იგულისხმება ნებისმიერი ისეთი შემთხვევა, როდესაც პირს, რომელიც ამ სიტუაციაში აღმოჩნდა, არ გააჩნია რაიმე სხვა რეალური და მისაღები ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გახდეს მსხვერპლი. ყოველივე ეს კი, ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ტრეფიკინგი შეიძლება აღმოცენდეს ძალის გამოყენების გარეშე.<sup>1</sup> გამომდინარე აქედან, ადამიანის ტრეფიკინგის შემთხვევაში დაზარალებულის თანხმობა წინასწარ დაგეგმილ ექსპლუატაციაზე მხედველობაში არ მიიღება, თუკი გამოყენებული იქნება დეფინიციაში მოცემული ნებისმიერი ზემოქმედების საშუალება.

ტრეფიკინგის დანაშაულის მიზანი, როგორც ვთქვით, არის ექსპლუატაცია. ექსპლუატაცია, სულ ცოტა, მოიცავს სხვა პირთა

---

1 იხ. The Annotated Guide to the Complete UN Trafficking Protocol, Ann Jordan, Director, Initiative against Trafficking in Persons, International Human rights Law Group, May 2002, გვ. 7-8.



პროსტიტუციის ექსპლუატაციის ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს, იძულებით მუშაობას ან მომსახურეობას, მონობას ან მონობის მსგავს ჩვეულებებს ან სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვას ან სხვაგვარად გამოყენებას.

ტრეფიკინგის დანაშაულის არსზე, მის რეალურ სტრუქტურაზე, დანაშაულის ჩადენის შემადგენელ ეტაპებზე ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებთ, რაც ტრეფიკინგის ცნებაზე უფრო ნათელ სურათს მოგვცემს. მანამაღე კი, აღვნიშნავთ, რომ ტრეფიკინგი არის ადამიანთა უფლებების სერიოზული დარღვევა, რომელიც მსხვერპლს დიდ სულიერ და ფიზიკურ ზიანს აყენებს. ზიანი ხშირად ისეთი მძიმეა, რომ სამედიცინო ჩარევის შემთხვევასიც კი, ვერ ხერხდება მსხვერპლის ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის სრულად აღდგენა!

ვიდრე უშუალოდ ამ დანაშაულის ჩადენის სტადიებზე გადავიდოდეთ, უნდა გამოვყოთ დამნაშავეთა კატეგორიები, რომელთა მიერაც ეს საქმიანობა ხორციელდება:

1. შემკრები (პიროვნება, რომელიც ახდენს რეკრუტირებას);
2. გამცილებელი (პიროვნება, რომელიც ახორციელებს სახელმწიფოთა საზღვრებზე გადაყვანას);
3. ექსპლუატატორი (პირი, რომელიც ახორციელებს ფიზიკური რესურსების უკანონოდ გამოყენებას);
4. შუამავალი (პირი, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს შემკრებებს, გადამყვანებს და ექსპლუატატორებს შორის);
5. დამხმარე (პირი, რომელიც ტრეფიკინგის სხვადასხვა ეტაპზე ახორციელებს მომსახურების აუცილებელ სახეებს: დაცვას, ფალსიფიცირებული დოკუმენტების დამზადებას და ა.შ.);
6. მფარველი (პირი, რომელიც ახდენს დაცვას სახელმწიფო და სამართალდამცავი სტრუქტურებისაგან).

შეიძლება გამოვყოთ ტრეფიკინგის სამი ძირითადი სტადია:

---

1 იხ. ნ. ბაქაჭური, ადამიანის ტრეფიკინგი, ჟურნალი „აღმანახი“, №19, 2004, გვ. 114.

(ა) მსხვერპლის რეკრუტირება;

(ბ) მსხვერპლის ტრანზიტი (სახელმწიფოთაშორისო საზღვარზე გადაყვანა);

(გ) ექსპლუატაცია (მოგების მიღების მიზნით ადამიანის ფიზიკური რესურსების არაკანონიერი გამოყენება).

(ა) მსხვერპლის რეკრუტირება (შერჩევა)

ტრეფიკინგის პირველ ეტაპს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენს მსხვერპლის რეკრუტირება, მისი შემდგომი გადაყვანისა და ექსპლუატაციის მიზნით ან გაყიდვა იმავე მიზნებისათვის. რეკრუტირება აგრეთვე შეიძლება განხორციელდეს ისეთი მეთოდებით, რომლებიც არაა დაკავშირებული ადამიანებით ვაჭრობასთან – ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაგალითად, მოტყუების, გატაცების ან სხვა ძალადობრივი ქმედებების გამოყენებით.

რეკრუტირება ხორციელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენებით, სხვადასხვა განცხადებების მეშვეობით საზღვარგარეთ სამუშაოს შეთავაზების თაობაზე, საქორწინო სააგენტოების რეკლამით და ა.შ. ან მსხვერპლის ნაცნობების მეშვეობით, რომლებიც შემკრების როლს თამაშობენ. მოტყუების მეთოდი არ ითვალისწინებს იძულებით ან დაშინებით მოქმედებებს მსხვერპლთან მიმართებაში. ის ვარაუდობს მსხვერპლის ნებაყოფლობით გადაბირებას მისი შეცდომაში შეყვანის ან ნდობის გამოყენების გზით. ამავე დროს, იძულებით რეკრუტირება, ძირითადად, გამოიყენება რთული პოლიტიკური და სამხედრო ვითარების რაიონებში, შეიარაღებული კონფლიქტების ზონებში<sup>1</sup>.

ტრეფიკინგში ადამიანთა ჩაბმის სახეები შეიძლება დაჯგუფდეს მიზნების მიხედვით:

ა) შემდგომი გაყიდვის მიზნით;

ბ) უშუალოდ ექსპლუატაციის მიზნით.

შემდგომი გაყიდვის მიზნით ადამიანის ტრეფიკინგში ჩაბმას

---

<sup>1</sup> იხ. ჩენი უფლებები: „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ“, უცხოეთში წამსვლელთათვის, საქართველოს ასალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2005

ახორციელებენ შემკრებები, რომლებიც სპეციალიზდებიან მხოლოდ მსხვერპლის ხელში ჩაგდებაზე და მის ტრანსპორტირებაზე შემკვეთებთან ან „ცოცხალი საქონლის“ ბაზარზე. მათი მიზანია, მიიღონ შემოსავლები მესამე პირისათვის დაზარალებულის გადაცემის ან მიყიდვის შედეგად, რის შემდეგაც, მსხვერპლი ან კრიმინალურ ექსპლუატაციას ექვემდებარება, ან შემდგომ გადაყიდვას.

შემკრებები ან შუამავლები ასეთ შემთხვევაში თვითონ არ უწევენ მსხვერპლს ექსპლუატაციას, ისინი მოგებას იღებენ მათი მესამე პირისათვის გადაცემით. ისინი ე.წ. „მეპატრონეს“ მსხვერპლს მიყიდნიან ფიზიკური და ფიზიოლოგიური პარამეტრების მიხედვით ექსპლუატირებისათვის<sup>1</sup>.

### (ბ) მსხვერპლის ტრანზიტი

ტრეფიკინგის მეორე ეტაპი – ტრანზიტი იწყება მსხვერპლის რეკრუტირების შემდეგ, რის შემდეგაც საჭირო ხდება მისი გადაყვანა კრიმინალური ექსპლუატაციის ადგილზე. არსებობს გადაყვანის რამდენიმე სახე. მათი დაჯგუფება იმ კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც დაკავშირებულია:

ა) მსხვერპლის დამოკიდებულებაზე სხვა ქვეყანაში მის გადაყვანასთან;

ბ) მსხვერპლის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადალახვის საშუალებაზე, აგრეთვე ასეთი გადაყვანის კანონიერებაზე.

მსხვერპლის გადაყვანა მისი კრიმინალური ექსპლუატაციისათვის შეიძლება ხდებოდეს როგორც ნებაყოფლობით, ასევე მისი ნების გარეშეც.

ტრეფიკინგის ფენომენი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანების რეკრუტირება და გადაყვანა, ჩვეულებრივ, ხდება მათი ნებით, ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე და მხოლოდ დანიშნულების ქვეყანაში ხდებიან ისინი ძალადობისა და ექსპლუატაციის მსხვერპლი. იმ შემთხვევაში, როცა მსხვერპლი რაიმე მიზეზით უარს

---

<sup>1</sup> იხ. ნ. ბაქაქური, ოჯახური ძალადობა და ადამიანების ტრეფიკინგი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2004, გვ. 81.

ამბობს საზღვარგარეთ ტრანზიტზე, შექმრებებს შეუძლიათ, მიმართონ ზემოქმედების სხვა მეთოდებს, კერძოდ:

ა) მუქარას, დაშინებას და ძალადობის გამოყენებასაც კი;

ბ) ნარკოტიკებით ან ფსიქოტროპული პრეპარატებით ზემოქმედებას;

გ) სხვადასხვა მაქინაციებს, რომლებიც დაზარალებულს ხელოვნურად ხდის შექმრებზე დამოკიდებულად და საზღვარგარეთ გამგზავრებას აიძულებს.

მსხვერპლის გადაყვანის მარშრუტის მიხედვით, გამოიყოფა ტრანზიტის რამდენიმე ხერხი. ასე, მაგალითად, გადაყვანა შეიძლება ხდებოდეს როგორც ეროვნული ტერიტორიის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთ. პირველ შემთხვევაში საუბარია კრიმინალურ ექსპლუატაციაზე იმ სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით, რომელშიც მსხვერპლი მუდმივად ცხოვრობს. ასეთ დროს, ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მსხვერპლის ქვეყნიდან გაყვანის გარეშე, რასაც შიდა ტრეფიკინგს უწოდებენ<sup>1</sup>.

ტრეფიკინგის დროს კრიმინალური ექსპლუატაცია დაყოფილია ქვესახეებად, რომლებიც:

ა) დაკავშირებულია მსხვერპლის გადაყვანასთან;

ბ) არ არის დაკავშირებული მსხვერპლის გადაყვანასთან.

როდესაც საუბარია გადაყვანაზე, რომელიც არ არის დაკავშირებული მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან, იგულისხმება, რომ გადანაცვლება ხორციელდება მსხვერპლის საცხოვრებელი ადმინისტრაციული რაიონის საზღვრების შიგნით. ასეთი ექსპლუატაციის მაგალითად შეიძლება დასახელდეს ექსპლუატირებულის შრომის გამოყენება სხვადასხვა საქონლის მწარმოებელ იატაკქვეშა საამქროებში ან დამხმარე სამუშაოებზე. ხერხი, რომლის დახმარებითაც ხორციელდება მსხვერპლის გადაყვანა სახელმწიფო საზღვარზე, შეიძლება სრულად შეესაბამებოდეს კანონს ან

---

<sup>1</sup> ნ. ბაქაქური, ადამიანის ტრეფიკინგი, ჟურნალი „ალმანახი“ №19, 2004, გვ. 113-114. ზოგიერთი ავტორი არ ეთანხმება პოზიციას, რომ ექსპლუატაცია სახელმწიფოს შიგნით, რომელშიც მსხვერპლი მუდმივად ცხოვრობს, ჩათვალოს ტრეფიკინგად. იხ. ფ. ადლერი, გ.ო.ვ. მიულერი, ვ. ს. ლაუფერი, კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა, 2005, გვ. 315.

არღვევდეს მას. ამიტომ საზღვრის გადალახვის ხერხიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ მსხვერპლის ლეგალური და არალეგალური გადაყვანა წარმოშობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

### (გ) მსხვერპლის ექსპლუატაცია

დანიშნულების ქვეყანაში მოხვედრის შემდეგ მსხვერპლი ხდება ექსპლუატატორის ხელში, ანუ ღებება ტრეფიკინგის მესამე დამთავრებული ეტაპი – უშუალოდ ექსპლუატაცია შემოსავლების მისაღებად. დანაშაულებრივი საქმიანობის ამ სახეობის კლასიფიკაცია შეიძლება რამდენიმე თვისობრივი კრიტერიუმით:

- ა) ექსპლუატაციის სუბიექტი;
- ბ) ექსპლუატაციის იძულების ხერხები;
- გ) კრიმინალური ექსპლუატაციის გამოყენების სფეროები;
- დ) მსხვერპლის საქმიანობის შინაარსის მიხედვით.

სუბიექტის მიხედვით, ექსპლუატაციის სახეები შეიძლება დაიყოს მამაკაცებისა და ქალების, ასევე არასრულწლოვანი ბავშვების ექსპლუატაციად.

ქალებთან შედარებით მამრობითი სქესის პირები ექსპლუატაციას უფრო ნაკლებად ექვემდებარებიან. ასე, მაგალითად, ევროპის უშიშროებისა და ურთიერთთანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებში იმ მამრობითი სქესის პირთა რაოდენობა, რომელიც კრიმინალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ხდება, მსხვერპლთა მთელი რაოდენობის 2%-ს შეადგენს<sup>1</sup>. მამაკაცთა ფიზიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, საექსპლუატაციოდ, ძირითადად, გამოიყენება მათი ფიზიკური შრომა.

ექსპლუატაციას შეიძლება დაექვემდებარონ როგორც სრულწლოვანი მამაკაცები, ასევე არასრულწლოვნებიც. სრულწლოვნებს, როგორც წესი, იყენებენ მძიმე სამუშაოების წარმოებისათვის, მაგალითად, სახლების მშენებლობისათვის, სარდაფების გათხრისათვის, პლანტაციებში და ა.შ. გარდა ამისა, მამაკაცების გამოყენების

---

<sup>1</sup> Trafficking in Human beings: Implications for the OSCE, Warsaw, 1999, p. 11. იხ. წიგნში: ფ. ალერი და სხვები, დასახ. ნაშრომი, გვ. 318.

კიდევ ერთ სფეროს წარმოადგენს შეიარაღებულ კონფლიქტებში ჩაბმა. დადგენილია, რომ დაქირავებულების დიდი ნაწილი იქ ნებაყოფლობით ხვდება, მაგრამ არსებობს სხვა შემთხვევებიც, მაგალითად, უკრაინაში ადგილი ჰქონდა მამაკაცების შეკრებას კავკასიის რეგიონში სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად. ამის ნაცვლად კი, ისინი ყარაბაღის კონფლიქტის მონაწილეებად იქცნენ<sup>1</sup>.

არასრულწლოვანი ბავშვების ექსპლუატაცია ხდება ისეთ სფეროებში, სადაც არ სჭირდებათ მძიმე ფიზიკური შრომა. მათ იყენებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, ხელზე მომსახურებად და ა.შ. არცთუ იშვიათად, ბავშვებს აბამენ პორნოგრაფიასა და პროსტიტუციაში<sup>2</sup>. თუმცა, ყველა არსებული მონაცემი ცხადყოფს, რომ ექსპლუატირებულთა ძირითად კატეგორიას ქალები წარმოადგენენ. ეს განპირობებულია მათი სოციალური სტატუსითა და ფსიქოლოგიური თვისებებით.

კრიმინალური ექსპლუატაციისათვის ადამიანთა რეკრუტირების ხერხის მიხედვით, შეიძლება გამოვყოთ ექსპლუატაციის შემდეგი სახეობები:

ა) ფიზიკური იძულება. ამ დროს, ადამიანის მიმართ გამოიყენება ფიზიკური ძალადობა სხეულის სხვადასხვა დაზიანების სახით, ცემით, წამებით. ფიზიკური იძულება შეიძლება განხორციელდეს ძალადობის, ძლიერმოქმედი პრეპარატებისა და ნარკოტიკების გამოყენებით. ამგვარ იძულებას მიეკუთვნება ასევე, შემთხვევა, როცა ექსპლუატატორი მიზანდასახულად აღუკვეთავს მსხვერპლს სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ბიოენერგეტიკულ რესურსებს (საკვებს, სასმელს, სამედიცინო დახმარებას)

---

1 „Дикие гуси“ сбиваются в стаю // Грүүл-7. 2000. 2 марта. იხ. ფ. აღლერი და სხვები, დასახ. ნაშობი, გვ. 318.

2 სწორედ ამ პრობლემას ეხება ევროკავშირის საბჭოს ერთ-ერთი ჩარჩო გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იქნა 2003 წლის 22 დეკემბერს და ეძღვნება ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციასა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლას. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ.: Rahmenbeschluss des Rates vom 22. Dezember 2003 zur Bekämpfung der sexuellen Ausbeutung von Kindern und der Kinderpornografie (2004/68/J1)

ან უზღუდავს გადაადგილების ან ურთიერთობის თავისუფლებას. ამგვარი შეზღუდვებით ადამიანს აიძულებენ გააკეთოს ის, რასაც მისგან მოითხოვენ.

აღსანიშნავია, რომ ძალადობა ან მისი მუქარა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა პირის მიმართაც, რომელიც ხელს უშლის ადამიანის გადაბირებას, გადაყვანასა თუ გადამალვას. როცა დაზარალებული რამდენიმე პირია (მაგალითად, მოტყუებით გადაყვანილია ორი ან მეტი ადამიანი), იძულება შეიძლება განხორციელდეს სხვა პირთა თანდასწრებით მხოლოდ ერთი მათგანის მიმართ, რათა ყოველი მათგანი დააშინონ და გადაიბირონ ექსპლუატაციის გაწევაზე<sup>1</sup>.

ბ) ფსიქიკური იძულება. ასეთი ძალადობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მსხვერპლის, ასევე მისი ახლობლების მიმართ და შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით.

ფსიქიკური ზემოქმედების მეთოდების შინაარსიდან გამომდინარე, გამოიყოფა ფსიქიკური იძულების შემდეგი სახეები:

ა) შანტაჟი. მას საფუძვლად უდევს მსხვერპლის ან მისი ოჯახის წევრების შესახებ სახელის გამტეხი ინფორმაციის გავრცელების საფრთხე;

ბ) ძალადობის გამოყენების მუქარა. ადამიანზე ფსიქიკური ზემოქმედება ხდება ფიზიკური ძალადობის – სხეულისთვის რაიმე დაზიანების მიყენების ან მოკვლის მუქარით. აღნიშნულს თან არ ახლავს პიროვნების ფიზიკური ხელშეუხებლობის ხელყოფა, მაგრამ ამის საფრთხე რეალურად დგება. დაუმორჩილებლობის ან გაქცევის მცდელობის შემთხვევაში, „მეპატრონეები“ ხშირად მიმართავენ ძალადობას მსხვერპლის დაშინებისა და ნების დათრგუნვის მიზნით. ასე, მაგალითად, იტალიაში ყოველთვიურად ერთი მეძავი მკვლელობის მსხვერპლი ხდება, სტამბულში ორი უკრაინელი ქალი იქნა მოკლული ექვსი რუსი ქალის თვალწინ, სერბეთში უკრაინელ ქალს წინააღმდეგობის გაწევის გამო

---

<sup>1</sup> იხ. ნ. თოდუა წიგნში: მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გვენეტაძე, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, მე-3 გამოცემა, 2008, გვ. 212.

სახალხოდ მოჰყვითეს თავი<sup>1</sup> და სხვ.

გ) ეკონომიკური იძულება. ეს ის შემთხვევაა, როცა მსხვერპლსა და ექსპლუატატორს შორის მატერიალური ხასიათის გარკვეული დამოკიდებულება არსებობს. იმის გამო, რომ მსხვერპლს არ შეუძლია გაწყვიტოს, ან განთავისუფლდეს ექსპლუატატორის ასეთი დამოკიდებულებისაგან, იძულებულია, დაემორჩილოს ექსპლუატატორის მოთხოვნებს და შეასრულოს ისინი.

კრიმინალური ექსპლუატაციის განსაკუთრებული ხერხი და მისი ყველაზე საშიში ფორმაა მონობა. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის ოქმის დეფინიციაში მონობა განიხილება, როგორც ტრეფიკინგის მაკვალეფიცირებელი ნიშანი. მონობა გულისხმობს, რომ ადამიანი ექსპლუატატორზე სრულად და აბსოლუტურად დამოკიდებული ხდება. აგრეთვე იყენებენ ტერმინს: „მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება“, რაც ნიშნავს მსხვერპლისთვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ჩაყენებას ანდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას. მსხვერპლს ხშირად სცემენ, ემუქრებიან, არ უზღიან ან სრულიად მიზეზურ თანხას აძლევენ ანაზღაურების სახით. ხშირად სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლს ნარკოტიკებს აჩვენებენ, რათა მან ყოველგვარი ნებელობა დაკარგოს და მხოლოდ ნარკოტიკებზე დამოკიდებული გახდეს.

ტრეფიკინგის პროცესში იყენებენ ადამიანის ექსპლუატაციის ისეთ სახეს, როგორიცაა შრომის ექსპლუატაცია.

შრომის ექსპლუატაციის დროს ადამიანს აიძულებენ, თავისი ქმედება მიმართოს რაიმე პროდუქციის შექმნაზე ან ამა თუ იმ

---

1 Hughes Donna M. The „Natasha“Trade-The Transnational Schadow Market of trafficking in Women. // Journal of international Affairs. Spring, 2000. იხ. ფ. აღლერი და სხვები, დასახ. ნაშობი, გვ. 321



სახის მომსახურების გაწევაზე. შრომის ექსპლუატაცია გამოიყენება როგორც კანონიერი, ასევე დანაშაულებრივი ბიზნესის წარმოების სფეროში. კანონიერი შრომის ექსპლუატაცია გამოიყენება კანონმდებლობით დაშვებული საქმიანობის სფეროში – დაწყებული რაიმე სამრეწველო საქონლის წარმოებიდან, დამთავრებული სხვადასხვა სახის მომსახურებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონს<sup>1</sup>.

შრომის შინაარსის მიხედვით, თავის მხრივ, შეიძლება გამოვყოთ შრომის ექსპლუატაციის რამდენიმე სახეობა:

- ა) ფიზიკური შრომის ექსპლუატაცია;
- ბ) ინტელექტუალური შრომის ექსპლუატაცია.

ფიზიკური შრომის ექსპლუატაციის დროს გამოიყენება ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობა, შეასრულოს გარკვეული სამუშაო ან აწარმოოს გარკვეული მომსახურება.

ინტელექტუალური შრომის ექსპლუატაციის დროს გამოიყენება ადამიანის გონებრივი შესაძლებლობები, ცოდნა, აზროვნების უნარი, შემოქმედებითი ნიჭი. ამ სახის ექსპლუატაციას იშვიათად მიმართავენ, მაგრამ მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ადგილი შრომის ექსპლუატაციის სახეობათა კლასიფიკაციაში. ექსპლუატაციის ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა რუსეთში, როდესაც სტუდენტმა ქიმიკოსებმა გამოიგონეს სინთეზური ნარკოტიკი და აღმოჩნდნენ აზერბაიჯანული მაფიის ხელში, რის შემდეგაც ისინი იძულებული გახდნენ, შეესრულებინათ კრიმინალების მოთხოვნები<sup>2</sup>.

დანაშაულებრივი სფეროს ბიზნესში ადამიანის შრომის ექსპლუატაცია გულისხმობს ისეთ საქმიანობას, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს. ასე, მაგალითად, შეგვიძლია გამოვყოთ:

- ა) მონაწილეობა სამხედრო ფორმირებებში (ამგვარ ექსპლუატაციას, როგორც წესი, მამაკაცები ექვემდებარებიან, რომელთაც აიძულებენ, მონაწილეობა მიიღონ შეიარაღებულ კონფლიქტებში,

---

1 იხ. ნ. ბაქაქური, ადამიანის ტრეფიკინგი, ჟურნალი „ალმანახი“ №19, 2006

2 იხ. ფ. ადლერი, გ.ო.ვ. მიულერი, ე.ს. ლაუფერი, კრიმინოლოგია და სამართალმცავი სისტემა, 2005, გვ. 325.

ტერორისტული აქტების მოწყობასა და სხვა მსგავს უკანონო ქმედებებში);

ბ) შრომის ექსპლუატაცია სექსუალურ სფეროში (შეიძლება განხორციელდეს მსხვერპლის პორნობიზნესში ჩათრევად);

გ) შრომის ექსპლუატაცია არაკანონიერი პროდუქციის წარმოებისა და არაკანონიერი მომსახურების სფეროში (მაგალითად, ნარკოტიკების წარმოება, ფალსიფიცირებული ალკოჰოლური სასმელის, იარაღის წარმოება);

დ) შრომის ექსპლუატაცია კონფიდენციალური მასალების შეგროვების, კონკურენტებისა და არასასურველი პირების დისკრედიტაციის ან სულაც მათი თავიდან მოცილების მიზნით.

შრომის ექსპლუატაციის გარდა, ასევე, შესაძლებელია ადამიანის ორგანოების და მისი რეპროდუქციული ფუნქციის კომერციული გამოყენება. ამგვარი ექსპლუატაციის სახეებია: ორგანოების ტრანსპლანტაცია, კომერციული შვილოსნობა და სუროგატული დედების გამოყენება.

ტრანსპლანტაცია – ეს არის ადამიანთა ორგანოების სხვა ადამიანისთვის გადანერგვა. ამისათვის მსხვერპლს იბირებენ საზღვარგარეთ სამუშაოს შოვნის დაპირებით და შემდეგ აიძულებენ ამა თუ იმ ორგანოს იაფად გაყიდვას. ყოველივე აღნიშნული კი, კრიმინალური ექსპლუატაციის ყველაზე ბინძურ ფორმას წარმოადგენს.

კომერციული შვილოსნობა წარმოადგენს ქალის ფიზიოლოგიური უნარის გამოყენებას კომერციული მიზნებისათვის. ქალის ორგანოები გამოიყენება საორსულოდ და სამშობიაროდ. ამის შემდეგ, ბავშვი ხვდება სხვის ხელში, რომელიც მას ყიდის გასაშვილებლად ან სულაც იყენებს ბავშვის ორგანოებს ტრანსპლანტაციის მიზნით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ტრეფიკინგის კრიმინალიზაცია განხორციელდა 2003 წლის 6 ივნისს, რითაც მოხდა, ზოგადად, ადამიანთა ტრეფიკინგისა და, კონკრეტულად, ბავშვთა ტრეფიკინგისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება.

ქართული კანონმდებლობის, ისევე როგორც პალერმოს ოქმის, მიხედვით, დანაშაულის მიზანია ადამიანის ექსპლუატაცია, თუმცა, ექსპლუატაციის ქართულ დეფინიციაში, მონობის კლასიკური დეფინიციის ნაცვლად შემოტანილია ტერმინი „მონობის თანამედროვე პირობები“, რომლის არსზეც ზემოთ ვისაუბრეთ. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>-ე მუხლში მოცემულ დისპოზიციაში, რომელიც ადამიანებით ვაჭრობას ეხება<sup>1</sup>, პალერმოს ოქმისაგან განსხვავებით, ზემოქმედების საშუალებებში მოცემულია შანტაჟი, რომელიც ერთ-ერთი გაერცელებული საშუალებაა. მასში იგულისხმება სახელის გამტეხი ცნობების გახმაურების მუქარა. ამასთანავე, არა აქვს მნიშვნელობა, ეს ცნობები მოგონილია თუ რეალური, მთავარია, იგი უნდა იყოს ისეთი, რომ სახელს უბღალავდეს პიროვნებას საზოგადოების თვალში<sup>2</sup>.

ტრეფიკინგი განზრახი დანაშაულია, მაგრამ იურიდიულ ლიტერატურაში პრობლემურია ხშირად მიზნის საკითხის გარკვევა. ქართული სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლში ნათლად არაა გამოკვეთილი, ექსპლუატაციის მიზანი წარმოადგენს თუ არა დისპოზიციაში მითითებული ყველა ობიექტური ქმედების სავალდებულო სუბიექტურ ნიშანს. არის გამოთქმული მოსაზრება, რომ ამ დანაშაულის ობიექტური მხარის ნებისმიერი მოქმედების ჩადენისას დამნაშავეს უნდა ამოძრავებდეს დაზარალებულის ექსპლუატაციის მიზანი<sup>3</sup>. ზოგიერთი ქართველი ავტორის აზრით, ტრეფიკინგის არაიდენტურობიდან გამომდინარე, გარკვეული კორექტირება უნდა მოხდეს სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლის დისპოზიციაში, სახელდობრ, ადამიანის ყიდვა, გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება ადამიანით

---

1 2006 წლის ივლისში სსკ-ის 143<sup>1</sup> მუხლში შეტანილი ცვლილებებით ტრეფიკინგის დანაშაულის ახალი დეფინიცია განისაზღვრა

2 იხ. ნ. თოდუა წიგნში: მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გვენეტაძე, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, მე-3 გამოცემა, 2008, გვ. 213

3 იხ. Т. Долголенко, Уголовная ответственность за торговлю людьми, Уголовное право №2, 2004, გვ. 24

ვაჭრობად უნდა ჩაითვალოს იმისდა მიუხედავად, დამნაშავეს ამოძრავებდა თუ არა ექსპლუატაციის მიზანი<sup>1</sup>.

სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლიდან გამომდინარე, ქართული კანონმდებლობა ტრეფიკინგს განიხილავს, როგორც ტრანსნაციონალურ დანაშაულს, ისე შიდა ტრეფიკინგად, რომლის დროსაც, მსხვერპლის საზღვარზე გადაყვანა არ ხდება. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლში დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანა დამამძიმებელ გარემოებად არის მითითებული<sup>2</sup>.

რაც შეეხება ქართულ სასამართლო პრაქტიკას, თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა სამართალდამცავ ორგანოებს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების შესაძლებლობა მისცა. სტატისტიკის ანალიზი მოწმობს, რომ ტრეფიკინგის დანაშაულებს ზრდის ტენდენცია გააჩნია. 2004 წელთან შედარებით, 2007 წელს დაწყებულ სისხლის სამართლის დევნათა რაოდენობა 75%-ით, 2006 წელს კი, მხოლოდ 56%-ით გაიზარდა<sup>3</sup>.

სასამართლო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ხაზგასასმელია, რომ ამ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული ყველა პირი სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი.

ერთ-ერთ საქმეზე, სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა მსჯავრდებულ მ. ბ.-ს საკასაციო საჩივარი, რომელსაც მსჯავრი დაედო თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2004 წლის 29 ივნისის განაჩენით. ამ განაჩენით მ. ბ. გასამართლდა საქართველოს სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ (ორი ან მეტი პირის მიმართ), „გ“ (დაზარალებულისათვის წინასწარ შეცნობით ორსული ქალის მიმართ), „ე“ (დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით) ქვეპუნქტებით, 344-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში.

1 იხ. გ. მამულაშვილი, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006, №2, გვ. 56

2 იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი

3 იხ. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2007 წლის ინფორმაცია

საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ მ. ა.-მ 1997 წელს გადაიკეთა გვარი და გახდა მ. ბ. იგი ოჯახში სიღუბნის გამო სავაჭროდ ხშირად დადიოდა თურქეთში, ამასთან, იყენებდა თავისი დის – ლ. ა.-ს პასპორტს, რითაც სისტემატურად უკანონოდ კეთდა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს. გარდა ამისა, მ. ბ.-მა თურქეთში მუშაობის ბოლო პერიოდში, თავისი ასაკის გამო შექმნილი პრობლემების გადასაჭრელად, გადაწყვიტა ყალბი პასპორტის დასამზადებლად გამოეყენებინა მისი გარდაცვლილი დის ლ. ა.-ს პირადობის მოწმობა, რაც მოახერხა კიდევ.

თურქეთში ყოფნის დროს მ. ბ.-მა გაიცნო თურქი ცოლ-ქმარი – სევდა და ოჯანი, რომლებსაც ქ. ანკარაში საროსკიპო ჰქონდათ მოწყობილი. მათ მ. ბ. დაუმეგობრდა და შეჰპირდა, რომ საქართველოდან მოტყეებით ჩაუყვანდა ქალებს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2003 წლის მაისში მ. ბ.-მა მოტყუების გზით გადაიბირა მ. შ. და ლ. კ., რომლებიც დაითანხმა თურქეთში გაყოლაზე, დაპირებით, რომ მათ მაღალ ანაზღაურებად სამსახურში მოაწყობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთ-ერთი დაზარალებულთაგანი ორსული ქალბატონი იყო. აღნიშნული პირები მართლაც მ. ბ.-მა ჩაიყვანა თურქეთში და ისინი გადასცა სწორედ იმ თურქ მამაკაცს – ოჯანს, ვისთანაც მ. ბ.-ს ურთიერთობა ჰქონდა. იმავე დღეს დაზარალებულებისთვის ცნობილი გახდა, რომ ისინი მ. ბ.-მა მოატყუა და, მიუხედავად მათი პროტესტისა, ფიზიკური ანგარიშვორების შიშით იძულებული გახდნენ, თურქეთში დარჩენილიყვნენ და საროსკიპოში ემუშავათ. ამასთან, აღნიშნული პირები რომ არ გაქცეულიყვნენ, მათ ჩამოართვეს პასპორტები და გისოსებიან სახლში გამოკეტეს. ასეთ მდგომარეობაში დაზარალებულები ერთი თვის განმავლობაში აგრძელებდნენ იძულებით სქესობრივ კავშირს თურქ მამაკაცებთან. მხოლოდ 2003 წლის 21 ივლისს მოახერხეს დაზარალებულებმა ტყვეობისგან თავის დაღწევა და საქართველოში უკან დაბრუნება, რის შემდეგაც მათ სამართალდამცავ ორგანოებს მიმართეს. მ. ბ. კი, რამდენიმე დღეში დააკავეს.

ამ საქმის მასალების მიხედვით, დაზარალებულების მიმართ ადგილი ჰქონდა ექსპლუატაციის გამოყენებას. ამასთან, ისინი ჩაყენებული იყვნენ მონობის თანამედროვე პირობებში, რაც გამოიხ-

ათა პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ჩამორთმევაში, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვაში და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, დამატებითი კვალიფიკაცია 143-ე მუხლით („თავისუფლების უკანონო აღკვეთა“) არ არის საჭირო, რადგან ტრეფიკინგის შემადგენლობა, კერძოდ, მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება, გულისხმობს და თავის თავში მოიცავს ადამიანისადმი ასეთ მოპყრობას.

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა მ. ბ.-ს საკასაციო საჩივარის საფუძვლიანობა, რომელშიც მსჯავრდებული საოლქო სასამართლოს განაჩენის გაუქმებას ითხოვდა, ჩათვალა, რომ მ. ბ.-ს წარდგენილი ბრალდება არ უნდა მოეხსნას და 2004 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით იგი უცვლელად დატოვა. ამასთან, სასამართლომ მხოლოდ სასჯელის შემსუბუქება მიიჩნია შესაძლებლად და მას საბოლოოდ 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.<sup>1</sup>

დაახლოებით მსგავსი სიტუაციაა აღწერილი სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის მიერ გამოტანილ 2005 წლის 7 ივნისის განჩინებაში. პალატის მიერ განიხილულ იქნა მსჯავრდებულ თ. ქ.-ს საკასაციო საჩივარი აჭარის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 21 თებერვლის განაჩენზე. გასაჩივრებული განაჩენით, თ. ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ (არაერთგზის) და „ე“ (დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით) ქვეპუნქტებით, 363-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში.

განაჩენის მიხედვით, თ. ქ.-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2003 წლის ნოემბერში თ. ქ.-მ გაიცნო მოქალაქე ი. კ., რომელსაც მისი გაყიდვისა და ექსპლუატაციის მიზნით, შესთავაზა, რომ წაიყვანდა თურქეთის რესპუბლიკაში და

---

<sup>1</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 12 ოქტომბრის №111-კოლ გადაწყვეტილება, წიგნში: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2004, №10, გვ. 2142

დააწყებინებდა მუშაობას მომვლელად ან დამლაგებლად. ი. კ.-ს თანხმობის შემდეგ, თავისი ხარჯებით გაუკეთა მას ჯერ საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ხოლო შემდეგ – პასპორტი საზღვარგარეთ გამგზავრების მიზნით და 2004 წლის 10 ნოემბერს იმ მოტივით, რომ მას თურქეთის რესპუბლიკაში დააწყებინებდა მუშაობას, მოტყუებით, სარფის საბაჟო პუნქტის გავლით ჩაიყვანა ქ. ტრაპიზონში, სადაც მან ი. კ.-ს ჩამოართვა პასპორტი და 300 ლარად ღირებული „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი, პასპორტი დაუხნია, ხოლო მობილური ტელეფონი დაუმტვრია, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაჰყავდა იგი ერთ-ერთ სასტუმროში, სადაც აიძულებდა სქესობრივი კავშირის დამყარებას სხვადასხვა მამაკაცებთან, რის შემდეგაც, ასევე ექსპლუატაციის მიზნით, მიჰყიდა იგი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეს, ვინმე „ალის“. ი. კ.-მ 2 დღის შემდეგ მოახერხა გაქცევა და დახმარებისათვის მიმართა ქ. ტრაპიზონის პოლიციას, რომლის მეშვეობითაც, 2004 წლის თებერვალში, სარფის საბაჟო პუნქტის გამოვლით, დაბრუნდა საქართველოში.

გარდა აღნიშნული ქმედებისა, თ. ქ.-მ 2004 წლის იანვარში მოქალაქე მ. მ.-ს არაერთგზის შესთავაზა, რომ თურქეთის რესპუბლიკის გავლით წაიყვანდა გერმანიაში და დააწყებინებდა მომვლელად მუშაობას. ეს წინადადება მისაღები გახდა მ. მ.-სთვის, რის შემდეგაც თ. ქ.-მ თავისივე ხარჯებით თბილისში გაუკეთა მას პასპორტი და შემდეგ იმ მოტივით, რომ თურქეთის რესპუბლიკის გავლით წაიყვანდა გერმანიაში, მოტყუებით, სარფის საბაჟო პუნქტის გავლით ჩაიყვანა იგი ქ. ტრაპიზონში, სადაც, ექსპლუატაციის მიზნით, დაჰყავდა რესტორანში და აიძულებდა სხვადასხვა მამაკაცთან დაემყარებინა სქესობრივი კავშირი, ფულს კი, თვითონ იღებდა. იანვრის ბოლოს თ. ქ. და მ. მ. თურქულმა მხარემ იძულებით, დეპორტაციის წესით გამოაძევა თურქეთიდან.

2004 წლის თებერვალში თ. ქ.-მ შეიტყო, რომ მის ნაცნობ თ. ფ.-ს გათხოვებასთან დაკავშირებით ოჯახში პრობლემები ჰქონდა, ისარგებლა ამით და მისი გაყიდვისა და ექსპლუატაციის მიზნით შესთავაზა, რომ წაიყვანდა თურქეთის რესპუბლიკაში და გაათხოვებდა. თ. ფ.-ს თანხმობის შემდეგ, თ. ქ.-მ 2004 წლის 23 თებერ-

ვალს მოტყუებით, რომ თურქეთის რესპუბლიკაში გაათხოვებდა, სარფის საბაჟო პუნქტის გავლით ჩაიყვანა ქ. ტრაპიზონში, სადაც წართვა პასპორტი და 4000 აშშ დოლარად მიყიდა წარმოშობით დაღესტნელ ე.წ. „მამას“ – „ინას“, რომლის მეშვეობითაც, სამი თვის განმავლობაში ქ. ტრაპიზონში თ. ფ.-ს უწევდნენ სქესობრივ ექსპლუატაციას. თ. ფ.-მ მოახერხა მშობლებთან დაკავშირება, რის შემდეგაც, ნათესავების დახმარებით დაბრუნდა საქართველოში.

მსჯავრდებული თ. ქ. საკასაციო საჩივრით ითხოვდა განაჩენის გაუქმებას და გამართლებას. პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის მოტივთა საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ განაჩენში მსჯავრდებულ თ. ქ.-ს სასარგებლოდ უნდა შესულიყო ნაწილობრივ ცვლილებები, კერძოდ, მ. მ.-ს ეპიზოდში შერაცხული ბრალდება მოუხსნა, სხვა ნაწილში კი განაჩენი უცვლელად დატოვა.<sup>1</sup>

აღნიშნული საქმე წარმოადგენს სექსუალური ტრეფიკინგის ჩადენის ერთ-ერთ ტიპიურ შემთხვევას ქართული სასამართლო პრაქტიკიდან.

ტრეფიკინგის ბრალდების ერთ-ერთ სხვა საქმეში უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა მსჯავრდებულ ნ. ა.-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 23 თებერვლის განაჩენზე. განაჩენის მიხედვით, ნ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ (ორი ან მეტი პირის მიმართ) და „ე“ (დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

განაჩენით, ნ. ა.-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), კერძოდ, ორი პირის გაყიდვა მოტყუებით, დაზარალებულების საზღვარგარეთ გაყვანით, სექსუა-

---

<sup>1</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 7 ივნისის №87-კოლ გადაწყვეტილება, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელის შემსუბუქება, ყურნალში გამოქვეყნებულია 2004 წლის დეკემბრისა და 2005 წლის გადაწყვეტილებები. აღნიშნული მასალა მოძიებულია უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ინტერნეტ ვებ-გვერდზე: [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)



ლური ექსპლუატაციის მიზნით, რაც გამოიხატა შემდეგში: 2003 წლის 2 სექტემბერს ნ. ა.-მა საზღვარგარეთ, თურქეთის რესპუბლიკაში, გაიყვანა თავისი ნაცნობები – მ. ლ. და ა. კ. გაუმზადა რა პასპორტები და ვიზები, იგი, მ. ლ.-თან და ა. კ.-თან ერთად, ქ. ფოთიდან ჩავიდა თურქეთის რესპუბლიკის ქ. ალანიაში, სადაც დაბინავდნენ სასტუმრო „მერამ ემალ ეფარტ ოტელ“-ში, რის შემდეგაც, ნ. ა. დაუკავშირდა თავის ნაცნობ თურქეთის მოქალაქეს, სახელად „რიფატს“, რომელიც მ. ლ.-სა და ა. კ.-ს ახვედრებდა თავის კლიენტებს, დღეში 8-9 მამაკაცს, თითოეული კლიენტისგან იღებდნენ თანხას, საშუალოდ 40 მილიონი თურქული ლირის ოდენობით (დაახლოებით 60 ლარის ეკვივალენტი), რასაც შემდეგ ინაწილებდნენ თურქი პარტნიორი და ნ. ა., ხოლო მ. ლ.-სა და ა. კ.-ს ტოვებდნენ ანაზღაურების გარეშე, რითაც მათ უწევდნენ სექსუალურ ექსპლუატაციას. ვიზის ერთვითიანი ვადის გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე, ნ. ა.-მ პასპორტი ჩამოართვა ა. კ.-ს და გადასცა თავის ახლობელ ტ. ზ.-ს, რომელიც მათთან ერთად იმყოფებოდა თურქეთში. საქართველოში წამოსვლამდე სამი დღით ადრე კი, მან გადამალა ა. კ.-სა და მ. ლ.-ს პასპორტები, რითაც შეუზღუდა მათ თავისუფალი გადაადგილების უფლება და მიჰყვიდა ისინი თურქეთის რესპუბლიკაში მათთვის უცნობ მამაკაცს, რისთვისაც ამ უკანასკნელისგან აიღო თანხა 4.500 აშშ დოლარის ოდენობით, თვითონ კი დაბრუნდა საქართველოში. რამდენიმე დღის შემდეგ მ. ლ.-მ და ა. კ.-მ თურქი მეპატრონისგან შეიტყვეს, რომ ისინი გაყიდა ნ. ა.-მ, რის შემდეგაც ა. კ.-მ გადაწყვიტა გაქცევა. იგი ქ. ფეტიშიაში დააკავა თურქეთის ჟანდარმერიამ და 2003 წლის 26 ოქტომბერს დააბრუნა საქართველოში. მ. ლ. კი, ოთხი თვის მანძილზე დარჩა თურქეთში, სადაც მას უწევდნენ იძულებით სექსუალურ ექსპლუატაციას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე და ამყოფებდნენ პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში. ოთხი თვის შემდეგ, მ. ლ.-მ შეძლო გაქცევა და გადავიდა ქ. ანტალიაში, საიდანაც თურქეთში საქართველოს საკონსულოს დახმარებით დაბრუნდა საქართველოში.<sup>1</sup>

---

1 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 21 ივნისის №62-

2005 წლის 21 ივნისის განჩინებით საკასაციო პალატამ საოლქო სასამართლოს განაჩენი უცლელად დატოვა და ნ. ა. წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ სცნო, თუმცა არც გამოძიებასა და არც საოლქო სასამართლოს აღნიშნულ საქმეში თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდების კუთხით არ უმსჯელია, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამართლებრივად სწორია. არასწორი იქნებოდა ნ. ა.-ს ქმედებების დანაშაულთა ერთობლიობით (სსკ-ის 143-ე და 143<sup>1</sup>-ე მუხლები) დაკვალიფიცირება.

ტრეფიკინგის დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანი: „არაერთგზის“ იმით განსხვავდება „ორი ან მეტი პირის მიმართ“ ტრეფიკინგის ბრალდებისაგან, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდება ორი ან მეტი პირი დამნაშავის ერთიანი განზრახვით, მაშინ, როდესაც არაერთგზისი ტრეფიკინგის დროსაც, მართალია, ტრეფიკინგის მსხვერპლია ორი ან მეტი პირი, მაგრამ პირი წინათ ჩადენილი ტრეფიკინგისათვის ახალი ტრეფიკინგის ჩადენის დროს უკვე გასამართლებული და ჯერ კიდევ ნასამართლობის მქონე უნდა იყოს (სსკ-ის მე-15 მუხლი). თუ პირი არაერთიანი განზრახვით ჩაიდენს ტრეფიკინგის ორ ან მეტ ფაქტს, რომლისთვისაც იგი არ ყოფილა გასამართლებული და ადრე ჩადენილი ქმედებისათვის ხანდაზმულობის ვადები ჯერ არ არის გასული, იგი დაისჯება დანაშაულთა რეალური ერთობლიობის წესით.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 26 სექტემბრის განჩინებაც შეეხება ტრეფიკინგის ბრალდებას. კერძოდ, სასამართლომ განიხილა მსჯავრდებულ ხ. ყ.-ს საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 31 ოქტომბრის განაჩენზე. საბრალდობა დასკვნით, მას ბრალი დაედო სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მე-3

---

კოლ გადაწყვეტილება, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელის შემსუბუქება, შურნაღში გამოკვეთებულია 2004 წლის დეკემბრისა და 2005 წლის გადაწყვეტილებები. აღნიშნული მასალა მოძიებულია უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ინტერნეტ ვებ-გვერდზე: [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, აგრეთვე, სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულების ჩადენაში. განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ხ. ყ.-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: თბილისში მცხოვრებმა ხ. ყ.-მა გადაწყვიტა, საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკის ქ. ფაცაში ჩაეყვანა რამდენიმე ახალგაზრდა ქართველი გოგონა, პროსტიტუციაში ჩაბმის მიზნით. დანაშაულბრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2004 წლის მარტში ხ. ყ. დაუკავშირდა ი. ბ.-სა და თ. კ.-ს, რომლებიც დროებით ცხოვრობდნენ დაქირავებულ ბინაში, ასევე – მათ მეზობლად, დროებით მცხოვრებ ი. დ.-ს. მათ ხ. ყ.-მა მოტყუებით შესთავაზა თურქეთის რესპუბლიკაში სამუშაოდ წაყვანა და შეჰპირდა, რომ დაეხმარებოდა იქ რომელიმე სავაჭრო ცენტრში სამუშაოდ მოწყობაში. მიიღო რა მათგან თანხმობა, ხ. ყ.-მა თავისივე სახსრებით თ. კ.-სა და ი. ბ.-ს დაუმზადა პასპორტი და 2004 წლის 1 აპრილს ისინი გადაიყვანა სარფის საბაჟოზე. მან ი. დ.-ს პასპორტის დამზადება ვერ მოასწრო და, ამდენად, მისი წაყვანა შეფერხდა. თურქეთის საბაჟოზე ხ. ყ.-ს დახვდა დედამისი, სხვა პირთან ერთად, რომლებთანაც დატოვა ი. ბ. და თ. კ. მან წამოსვლისას ი. ბ.-ს გამოართვა მოტყუებით, მართლწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მობილური ტელეფონი და შეჰპირდა, რომ ტელეფონს უკან დაუბრუნებდა, როდესაც თბილისში დარჩენილ ი. დ.-საც ჩამოიყვანდა თურქეთში, მაგრამ ხ. ყ.-ს ეს არ გაუკეთებია.

თურქეთის რესპუბლიკის ქ. ფაცაში ჩასვლის შემდეგ, 13 დღის განმავლობაში, ი, კ.-სა და თ. ბ.-ს იქ დამხვედრი, გამოძიებით დაუდგენელი პირები, აიძულებდნენ, გარკვეული თანხის საფასურად ჰქონოდათ სქესობრივი კავშირი მამკაცებთან. ი. ბ.-მ და თ. კ.-მ მოახერხეს მათი ადგილსამყოფელიდან გაპარვა და დახმარებისათვის მიმართეს ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს, რომელთა მეშვეობითაც დაიბრუნეს პასპორტები და დაბრუნდნენ საქართველოში.

სასამართლო პალატამ დამნაშავედ სცნო ხ. ყ. წარდგენილ ბრალდებაში და საოლქო სასამართლოს განაჩენი უცვლელად და-

ტოვა. მან თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ზ. ყ.-ს მიერ დაზარალებულის საქართველოდან თურქეთის ტერიტორიაზე გადაყვანის მიზანს არ წარმოადგენდა ამ უკანასკნელთა კანონიერი შრომითი დასაქმება, არამედ, სინამდვილეში, გამიზნული იყო მათი პროსტიტუციაში უკანონო ჩაბმა<sup>1</sup>.

საქართველოს უზენაესმა სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ასევე უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი ზ. ა.-ს მიმართ. ამ განაჩენით, ზ. ა. ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამე ნაწილის „ა“ (ჩადენილი, ორგანიზებული ჯგუფის მიერ) ქვეპუნქტითა და 25-ე, 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დადგინდა, რომ 2003 წლის ოქტომბერში ზ. ა.-მა, მ. ხ.-მა და მ. ა.-მ შექმნეს ორგანიზებული ჯგუფი ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ჩადენის განზრახვით. 2004 წლის იანვარში ზ. ა.-მა და მ. ხ.-მა მოტყუებით განაზოციელეს ნ. ხ.-სა და თ. პ.-ს მიმართ უკანონო გარიგება, მათი საზღვარგარეთ გაყვანით ექსპლუატაციის (პროსტიტუციაში) ჩაბმის მიზნით. ზ. ა.-მა დაიყოლია ისინი პროსტიტუციაში ჩაბმის შედეგად, სათანადო საზღაურის მიღების მიზნით ქ. დუბაიში წაყვანაზე, სადაც მათ საქმიანობასა და ამ გზით მიღებულ შემოსავალს მეთვალყურეობისა და კონტროლს გაუწევდა მ. ა. აღნიშნულის სანაცვლოდ, ნ. ხ.-სა და თ. პ.-ს თავდაპირველად უნდა გადაეხადათ პროსტიტუციით მიღებული თანხა, ხოლო შემდგომში კი – შემოსავლის ნახევარი. მათ საქართველოს ეროვნული პასპორტების აღებაში სწორედ ა. დაეხმარა.

2004 წლის 5 მარტს ნ. ხ.-მა და თ. პ.-მა გაყალბებული პასპორტებით გადაკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და სამარშრუტო ტაქსით ჩავიდნენ ერევანში, ხოლო შემდეგ „ერევან-დუბაის“ ავიარეისით ჩაფრინდნენ ქ. დუბაის აეროპორტში, საიდანაც

---

<sup>1</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 26 სექტემბრის №198-კოლ გადაწყვეტილება, წიგნში: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2006, №10, გვ. 36-39

ეროვნულ პასპორტებში არსებული ყალბი მონაცემების აღმოჩენის გამო, 2004 წლის 10 მარტს დეპორტირებულ იქნენ. თბილისში დაბრუნებისთანავე, ზ. ა.-მა და მ. ხ.-მა დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, მათ გამოართვეს ყალბი პასპორტები და გადამალეს.

პალატამ მოუსმინა მხარეებს, შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უცვლელად უნდა დარჩენილიყო<sup>1</sup>. ამ შემთხვევაშიც, უზენაესმა სასამართლომ მართებული გადაწყვეტილება გამოიტანა, რადგან სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლის დისპოზიცია დანაშაულის შემადგენლობას ქმნის ადამიანის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელების მომენტიდან. როგორც საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებიდან ირკვევა, მსჯავრდებულის განზრახვა იმთავითვე მიმართული იყო ადამიანებით ვაჭრობისაკენ და სწორედ ამ მიზნის განსახორციელებლად შეიქმნა ორგანიზებული ჯგუფი, რომელმაც მოტყუებით განახორციელა დაზარალებულთან უკანონო გარიგება – ექსპლუატაციის (პროსტიტუციაში ჩაბმის) მიზნით საზღვარგარეთ გაყვანა, რისთვისაც ამ უკანასკნელებს უნდა გადაეხადათ შესაბამისი თანხა. ამ მიზანს ემსახურებოდა ასევე, ყალბი პასპორტების დამზადება მსჯავრდებულის მხრიდან. ერთ-ერთი დაზარალებულის ჩვენებით ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა გადაიფიქრა წასვლა ოჯახთან უთანხმოების გამო, მსჯავრდებულები დაემუქრნენ მას და მაინც აიძულეს წასვლა, რაც ასევე, ამ დანაშაულის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანია. ყოველივე ეს კი, იძლევა იმის მტკიცების უტყუარ საფუძველს, რომ დამნაშავენი მოქმედებდნენ პირდაპირი განზრახვით და ამ შემთხვევაში დაცვის მოთხოვნა მსჯავრდებულის გათავისუფლების თაობაზე იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია აღნიშნული დანაშაული, უსაფუძვლოა, ვინაიდან, ადამიანით ვაჭრობა ფორმალური შემადგენლობაა და დამთავრებულია 143<sup>1</sup>-ე მუხლის დისპოზიციაში ჩამოთვლილი

---

<sup>1</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 20 სექტემბრის №67-კოლ გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე, 2006, გვ. 17. აღნიშნული მასალა მოძიებულია უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ინტერნეტ ვებ-გვერდზე: [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ერთ-ერთი ქმედების ჩადენისთანავე და არ არის სავალდებულო რაიმე მძიმე შედეგის დადგომა.

ტრეფიკინგის მსხვერპლი უნდა გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუკი მან ტრეფიკერის ტყვეობას თავი დააღწია ისე, რომ ხელმყოფს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიაყენა, ან მოკლა იგი და ამგვარად შეეძლო თავიდან აეცილებინა მონობაში შემდგომი ყოფნა. მსხვერპლი ამ დროს, როგორც წესი, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფება, ვინაიდან მთელი ექსპლუატაციის მანძილზე ტრეფიკერის ქმედება მის მიმართ, როგორც წესი, მართლსაწინააღმდეგო, რეალური და იმწუთიერია, რაც აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების არსებობას განაპირობებს. აუცილებელი მოგერიება კი, მართლწინააღმდეგობის გამოპრიცხველი ერთ-ერთი გარემოებაა<sup>1</sup>.

გარდა ამისა, მსხვერპლი საზღვრის უკანონო გადაკვეთისათვის, ყალბი დოკუმენტის დამზადებისთვის და ა.შ უნდა თავისუფლდებოდეს პასუხისმგებლობისაგან და ამის შესახებ პირდაპირი მითითება უნდა გაკეთდეს მუხლში ტრეფიკინგის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ ნოვაციაა იურიდიული პირის დასჯა ტრეფიკინგის დანაშაულისათვის და ქართული კანონმდებლობის ეს შენიშვნა სავსებით დასაბუთებულია<sup>2</sup>. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

რაც შეეხება სხვა დამამძიმებელ გარემოებებს, საქართველოს სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე, 143<sup>2</sup>-ე, 143<sup>3</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების მაკვალიფიცირებელი გარემოებები ფაქტობრივად იდენტურია.

აღამიანის ყიდვა შეიძლება მოხდეს ფულის გადახდით, რაიმე ნივთში გაცვლით, ვალში ჩათვლით. ყიდვის შემდეგ იგი გადაღის მყიდველის განკარგულებაში. აღამიანის გაყიდვა შეიძლება

---

1 შტრ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-7 გამოცემა, 2008, გვ. 196.

2 იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე საურობს ასევე ევროკავშირის საბჭოს (2002/629/JI) ჩარჩო გადაწყვეტილება. დაწერილებით იხ.: Rahmenbeschluss des Rates vom 19. Juli 2002 zur Bekämpfung des Menschenhandels (2002/629/JI)

განხორციელდეს ფულის მიღებით, რაიმე ნივთში გაცვლით ანდა ვალის სანაცვლოდ.

ადამიანის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას აღგილი აქვს მაშინ, როცა ადამიანის შემძენი მის გამსხვივებულს ჰპირდება, რომ ხელს შეუწყობს სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებაში, ან საკუთარი შემოსავლიდან პერიოდულად გადაუხდის გარკვეულ პროცენტს, მოაწყობს სამუშაოზე და ა.შ.<sup>1</sup>

2006 წლის საკანონმდებლო ცვლილებებამდე, მოცემული დანაშაულის ხერხი იყო მხოლოდ იძულება, შანტაჟი ან მოტყუება. დღეს კანონმდებელმა ეს ხერხი უფრო დააწვრილმანა. მოკლედ მიმოვიხილოთ ისინი:

მუქარა ნიშნავს ფსიქიკურ ზემოქმედებას (იძულებას), რაც გამოიხატება ცემის, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანების, სქესობრივი დანაშაულის ჩადენის, მოტაცების და სხვაგვარი ძალადობის მუქარაში. იგი დამთავრებულია მუქარის განხორციელების მომენტიდან. ამასთანავე, ის არ უნდა იყოს საშიში სიცოცხლისათვის და ისეთი ფორმით უნდა იყოს გამოთქმული, რომ ადამიანს გაუჩნდეს მისი განხორციელების შიში.

ძალადობა გულისხმობს ადამიანზე ფიზიკურ ზემოქმედებას სხვადასხვა აგრესიული ქმედებით, მაგალითად, ჯანმრთელობის დაზიანება, წამება, ცემა და ა.შ.

დანაშაულის ერთ-ერთი ხერხია ასევე იძულების სხვა ფორმით მისი ჩადენა, რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ დაზარალებულის სისტემატური დამცირება, აბუჩად აგდება, რათა ის იძულებული გახდეს დაემორჩილოს დამნაშავეს ექსპლუატაციის გაწვევას.

მსხვეპლის მოტაცება ნიშნავს პირის ნების საწინააღმდეგოდ, დამნაშავისთვის სასურველი მიმართულებით მის გადაადგილებას.

შანტაჟში იგულისხმება სახელის გამტეხი ცნობების განმარტების მუქარა, ამასთანავე, არა აქვს მნიშვნელობა, ეს ცნობები მოგონილია, თუ რეალური, მთავარია, იგი იყოს ისეთი, რომ სახელს უბღალავდეს პიროვნებას საზოგადოების თვალში.

---

1 იხ. ნ. თოდუა წიგნში: მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გვენტაძე, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1, მე-3 გამოცემა, 2008, გვ. 211

თაღლითობა ადამიანით ვაჭრობის ხერხია, მაშინ, როცა დანაშავე მოტყუებით ეუფლება სხვის ნივთს და შემდეგ დაკარგული ქონების დასაბრუნებლად დაზარალებულს ჩააბამს ექსპლუატაციაში. მოტყუების დროს კი, ადგილი აქვს ადამიანის შეცდომაში შეყვანას სხვადასხვა სახის დაპირებით. მაგალითად, მას ჰპირდებიან, რომ წაიყვანენ საზღვარგარეთ და მოაწყობენ მაღალანაზღაურებად სამუშაოზე. სინამდვილეში კი, მიჰყავთ იმ პირთან, ვინც მას ყიდულობს ფულით.<sup>1</sup>

უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენება ადრე არ იყო გათვალისწინებული როგორც ამ დანაშაულის ჩადენის ხერხი. უმწეო მდგომარეობაში იმყოფება პირი, რომელსაც ფსიქიკური თუ ფიზიკური მდგომარეობის გამო არა აქვს უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს სხვისი ნების აღსრულებას ან გააცნობიეროს, თუ რა ხდება მის თავს. სწორედ ასეთ მდგომარეობას იყენებს დანაშაულის ამსრულებელი ადამიანით ვაჭრობისათვის. მაგრამ საკითხავია, როგორ შეიძლება უმწეო მდგომარეობის გამოყენებით ტრეფიკინგის ჩადენა? აქ, შესაძლებელია, ვიგულისხმობთ შემთხვევა, როცა უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირი გადაიბირებს სხვას, რომ იგი ჩაებას ექსპლუატაციაში და ამას ამართლებს მისი უმწეობის გამო შექმნილი ოჯახური სიდუხჭირით<sup>2</sup>. რაც შეეხება ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, აქაც საკითხავია, თუ რა იგულისხმება მასში. აქ არ უნდა ვიგულისხმობთ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, გათვალისწინებული სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში, როგორც ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოება. ასევე, მასში არ იგულისხმება ოჯახში მშობლისა და შვილის, მეუღლის, მასწავლებლისა და მოსწავლის დამოკიდებულება, რადგან ასეთი დამოკიდებულის გამოყენება გათვალისწინებულია 143<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. ლიტერატურაში მითითებულია, რომ ამ შემთხვევაში რჩება ერთი გარემოება — ესაა კრიმინალური ავტორიტეტის ძალაუფლება, რომელსაც პირი იყენებს ადამიანით ვაჭრობის განსახორციელებლად<sup>3</sup>.

1 იხ. ნ. თოდუა, იქვე, გვ. 213

2 იხ. ნ. თოდუა, იქვე, გვ. 213

3 იხ. ნ. თოდუა, იქვე, გვ. 214



დასკვის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკანონმდებლო დონეზე და სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკული საქმიანობის სფეროში ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეში შეიმჩნევა დადებითი ტენდენციები. მიუხედავად ამისა, ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა მომავალშიც უნდა დარჩეს ქართული სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად.

## მუხლი 143<sup>2</sup>. არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

1. არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მოღება ექსპლუატაციის მიზნით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ერთი წლის ვადით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

ბ) დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ორი წლის ვადით.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით;

გ) ორი ან მეტი არასრულწლოვნის მიმართ;

დ) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით;

ე) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თოთხმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:

ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) რამაც გამოიწვია არასრულწლოვნის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ჩვიდმეტიდან ოც წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით ანდა უვადო თავისუფლების აღკვეთით.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

*(საქართველოს 2003 წლის 6 ივნისის კანონი – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I, 2003, №18, მუხ. 117)*

*(საქართველოს 2003 წლის 14 აგვისტოს კანონი – სსმ I, 2003, №26, მუხ. 191)*

*(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი – სსმ I, 2006, №14, მუხ. 90)*

*(საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი – სსმ I, 2006, №37, მუხ. 271)*

არასრულწლოვნით ვაჭრობა, როგორც ტრეფიკინგის გამოვლენის ერთ-ერთი მძიმე შემთხვევა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე შემადგენლობის სახითაა გათვალისწინებული. დანაშაულის ამ შემადგენლობის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია არასრულწლოვნის პირადი უფლება და თავისუფლება, პიროვნების ხელშეუხებლობა, რაც განმტკიცებულია არა მარტო საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა ნორმატიული აქტებით, არამედ, ასევე, მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელთა რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტმა სხვა-

დასხვა დროს მოახდინა.<sup>1</sup>

როგორც აღინიშნა, 2000 წელს ქალაქ პალერმოში ხელმოწერილი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების კონვენცია და სპეციალურად ოქმი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილებას, აღკვეთასა და დასჯას.

ასევე ევროკავშირის ფარგლებში ადამიანით ვაჭრობის ყველაზე უფრო მძიმე ფორმებად ითვლება ამ დანაშაულის მსხვერპლი ბავშვებისა და ქალების სექსუალური ექსპლუატაცია, მათი მოტყუება და შემდგომში გამოყენება სხვადასხვა მძიმე სამუშაოებზე, მათი იძულება და დამონება. სწორედ ამიტომ, ევროკავშირის საბჭოს მიერ 2003 წლის 22 დეკემბერს მიღებულ იქნა სპეციალური ჩარჩო გადაწყვეტილება, რომელიც ეძღვნება ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლას<sup>2</sup>. იგი ძალაში შევიდა 2004 წლის 21 იანვარს.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება განაპირობა უკანსაკნელ პერიოდში გავრცელებულმა ისეთი სახის დანაშაულებმა, რომლებიც, ჩადენის ხასიათიდან გამომდინარე, საზოგადოებაში მკაცრ მორალურ-სამართლებრივ გაკიცხვას იწვევენ. ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყანა სხვადასხვა ღონისძიებების გატარების გზით ცდილობს, თავიდან აიცილოს ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციისა თუ პორნოგრაფიის მსხვერპლად გამოყენება. ამ მიზნით, ევროკავშირის საბჭომ გასატარებელი ერთობლივი ღონისძიებების მრავალი სამოქმედო გეგმა შეიმუშავა, მაგრამ აღნიშნული გადაწყვეტილება, შეიძლება ითქვას, რომ არის ერთადერთი სრუ-

---

1 მაგალითად, 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენციით ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ, რომელსაც საქართველო შეურთდა 1994 წელს, ასევე მისი დამატებითი ოქმი საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2002 წლის 27 სექტემბერს. გარდა ამისა, არსებობს 1996 წელს სტოკჰოლმის მსოფლიო კონგრესზე მიღებული დეკლარაცია ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ, ბავშვის გატაცებასთან დაკავშირებული სამოქალაქო ასპექტების შესახებ კონვენცია, რომელსაც საქართველო შეურთდა 1995 წლის თებერვალში.

2 იხ. ევროკავშირის საბჭოს 2003 წლის 22 დეკემბრის ჩარჩო გადაწყვეტილება (Rahmenbeschluss des Rates vom 22. Dezember 2003 zur Bekämpfung der sexuellen Ausbeutung von Kindern und der Kinderpornografie) (2004/68/JI)

ლყოფილი დოკუმენტი, რომელიც დაწერილებით ასახავს ამ დანაშაულის შინაარსსა და სიმძიმეს.

ბავშვი სექსუალური ექსპლუატაციისა და პორნოგრაფიის მსხვერპლი შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ესა თუ ის სახელმწიფო წინასწარ ადეკვატურ ზომებს არ მიიღებს, ერთგვარ პრევენციულ ღონისძიებებს არ გაატარებს ასეთი კატეგორიის დანაშაულების თავიდან ასაცილებლად. ამიტომ, ჩარჩო გადაწყვეტილება წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, თავიანთი კანონმდებლობებით მკაცრი, ეფექტური და კანონშესაბამისი სანქციები დააწესონ ყველა იმ პირების მიმართ, რომლებიც მსგავს დანაშაულებს ჩაიდენენ.

ამ სამართლებრივი აქტის მიზნებიდან გამომდინარე, დანაშაულის ობიექტია პიროვნების ხელშეუხებლობა, სახელდობრ, ბავშვის ნორმალური ზნეობრივი ფორმირება. ბავშვად კი, „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 1-ლი მუხლით, მიიჩნევა 18 წელს მიულწეველი ნებისმიერი პირი.

ბავშვის პორნოგრაფიად (ჩარჩო გადაწყვეტილების 1-ლი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი) ითვლება ნებისმიერი პორნოგრაფიული გამოსახულებიანი მასალა, რომელზეც აღბეჭდილია ბავშვები სხვადასხვა სექსუალურ ეპიზოდებში, როგორც აქტიურ, ისე პასიურ მდგომარეობაში.

ჩარჩო გადაწყვეტილების მიხედვით, ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია ნიშნავს ისეთ განზრახ ქმედებას, რომლის დროსაც პირი:

(ა) ბავშვს იძულების წესით ჩააბამს პროსტიტუციაში ან პორნოგრაფიულ საქმიანობაში და ამით გარკვეულ მატერიალურ ანაზღაურებას მიიღებს ან მოახდენს ბავშვის სხვაგვარ ექსპლუატაციას ამავე მიზნით;

(ბ) ასეთ საქმიანობაში ჩასაბმელად „შეაგროვებს“ 18 წელს მიულწეველ პირებს;

(გ) განახორციელებს სექსუალურ ქმედებებს ბავშვთან.

ასეთი ქმედება შეიძლება განხორციელდეს:

(1) იძულებით, ძალადობით ან მუქარით;

(2) აღნიშნული მიზნის მისაღწევად ბავშვისათვის ფულის

ან სხვა მატერიალური ანაზღაურების შეთავაზებით, რათა ეს უკანასკნელი დათანხმდეს;

(3) ისეთი პირის მიერ, რომელსაც შეუძლია თავისი მდგომარეობის, სტატუსის ან ზეგავლენის ბოროტად გამოყენება ბავშვზე.

რაც შეეხება ბავშვის პორნოგრაფიას, ჩარჩო გადაწყვეტილების მე-3 მუხლის შესაბამისად, წვერი სახელმწიფოები ნებისმიერი ფორმით გამოვლენილი პორნოგრაფიული მასალის წინააღმდეგ გამოდიან და სისხლისამართლებრივად დასჯადად აცხადებენ ისეთ ქმედებებს, როგორცაა პორნოგრაფიული მასალის წარმოება, გასაღება, გავრცელება ან სხვისთვის გადაცემა, ასევე შექმნა ან მფლობელობა. დასჯადია როგორც ამ დანაშაულის დამთავრებულის, ისე დაუმთავრებელი, კერძოდ, მცდელობის სტადია.

სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია ასევე, ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციასა და ბავშვთა პორნოგრაფიაში თანამონაწილეობისთვის, კერძოდ, ისჯება მასში წაქეზებაც და დახმარებაც.

სანქციების მიხედვით ჩარჩო გადაწყვეტილება აღნიშნული დანაშაულისათვის ითვალისწინებს მარტო თავისუფლების აღკვეთას, რომლის ვადაც შესაძლებელია, განისაზღვროს ერთიდან სამ წლამდე. ამ ვადის გაზრდა ხუთიდან ათ წლამდე შეიძლება, თუ დანაშაული ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ, თუ იგი განხორციელდა მძიმე ძალადობით, იძულებით, თუ ასეთი ქმედებით განზრახ ან გაუფრთხილებლობით საფრთხე შეექმნა ბავშვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

იურიდიული პირის სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ასევე, ევროკავშირის საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება, რა დროსაც შესაძლებელია, იურიდიული პირის სახელით დანაშაულს ჩადიოდეს შესაბამისი უფლებამოსილის მქონე პირი, რომელსაც პასუხისმგებლობა დაეკისრება ასევე, იურიდიულ პირთან ერთად. სანქციებიდან აღსანიშნავია, როგორც ქონებრივი, ისე სხვა სახის არასისხლისამართლებრივი ღონისძიებები.

რაც შეეხება ქართული კანონმდებლობის შესაბამისობას ჩარჩო გადაწყვეტილებასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>2</sup>-ე მუხლით განსაზღვრულია

სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგისათვის), რომლის საკანონმდებლო დეფინიცია თავდაპირველი სახით 2003 წლის 6 ივნისის კანონით ჩამოყალიბდა. ამ ნორმამ განიცადა შემდგომი ცვლილებები. არასრულწლოვნის ტრეფიკინგი შეიძლება გამოიხატოს მონობის სხვადასხვა თანამედროვე ფორმაში, მათ შორის სექსუალურ ექსპლუატაციაში. ასევე, დამოუკიდებელი შემადგენლობის სახით მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის 253-ე მუხლი – პროსტიტუციაში ჩაბმა, რომლის მეორე ნაწილი დამამძიმებელი გარემოების სახით ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, თუ ეს ქმდება განხორციელდა არასრულწლოვნის მიმართ. ამ მუხლის ხარვეზი გახლავთ ის, რომ იგი შეიძლება განხორციელდეს ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით, მაშინ, როდესაც არასრულწლოვანთა მიმართ ასეთი მოქმედების ნებაყოფლობით ჩადენაც დასჯადი უნდა იყოს.

2005 წლის 3 ივნისის კანონით არსებითი ცვლილება განიცადა სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლმა („პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადება ან გასაღება“). კერძოდ, ამ მუხლს დაემატა მე-2 ნაწილი სწორედ არასრულწლოვანთან მიმართებაში, რომელსაც იგი ადრე არ შეიკავდა. დასჯადად გამოცხადდა არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადება ან/და შენახვა, აგრეთვე ასეთი მასალის შეთავაზება, გადაცემა, გავრცელება, გასაღება, რეკლამირება, ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომა (სასჯელი სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა).

ჩარჩო გადაწყვეტილების 1-ლი მუხლის მსგავსად, ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლი შეიცავს შენიშვნას, რომელშიც განმარტებულია, თუ რას ნიშნავს არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოები. ასეთად ითვლება ნებისმიერი მეთოდით დამზადებული ვიზუალური ან აუდიომასალა, რომელშიც სხვადასხვა საშუალებებით წარმოდგენილია კონკრეტული არასრულწლოვნის მონაწილეობა ნამდვილ ან სიმულირებულ სექსუალურ სცენებში, გამოყენებულია მისი ხმა

ან მომხმარებლის სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით ნაჩვენებია არასრულწლოვნის გენიტალური ორგანოები.

სისხლის სამართლის კოდექსის 255<sup>1</sup>-ე მუხლი დასჯადად განსაზღვრავს არასრულწლოვნის ჩაბმას პორნოგრაფიული ნაწარმოების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადებაში, ასეთი მასალის გავრცელებაში, რეკლამირებაში ან მისით ვაჭრობაში. ეს მუხლი ასევე ითვალისწინებს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე თავი ეძღვნება დანაშაულს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ, რომლის 137-ე-141-ე მუხლები აწესრიგებენ აღნიშნულ სფეროში ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს.

გაუპატიურების (137-ე მუხლი), ისევე როგორც სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების (138-ე მუხლი) დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს ამ დანაშაულების ჩადენა არასრულწლოვნის ან თოთხმეტ წელს მიულწეველი პირების მიმართ.

დასჯადია სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების (მამათმავლობა, ლესბიანობა და სხვ.) იძულება არასრულწლოვნის მიმართ (139-ე მუხლის მე-2 ნაწილი), იგივე ქმედება, თუნდაც ნებაყოფლობით წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიულწეველთან (140-ე მუხლი), ძალადობის გარეშე გარყვნილი ქმედება წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიულწეველთან (141-ე მუხლი).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს პარლამენტმა 2002 წლის 27 სექტემბერს მიიღო დადგენილება „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“ ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებით ოქმთან შეერთების თაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნილება ბავშვთა იძულებით შრომაზე, პროსტიტუციისა და სხვა სახის ექსპლუატაციაზე ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, იზრდება. გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა

თავიდან აიცილონ ბავშვთა მოტაცება, ბავშვებით ვაჭრობა ან მათი კოტრაბანდა ნებისმიერი მიზნით და ნებისმიერი ფორმით (კონვენციის 35-ე მუხლი), ვალდებულებას კისრულობენ, დაიცვან ბავშვი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ცდუნების ყველა ფორმისაგან (მუხლი 34-ე).

საქართველოში ტრეფიკინგის მსხვერპლ და პოტენციურ მსხვერპლ ბავშვთა სხვადასხვა კატეგორიები არსებობს. ესენი არიან: ობოლი, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული, მრავალშვილიანი ან მარტოხელა მშობლების, უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან გამოსული და ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ბავშვები. სწორედ ისინი ზღებიან ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ მზარდი ტრეფიკინგის მსხვერპლი და ფართოდ არიან ჩართული მათხოვრობაში, წვრილმანი ნივთების ქურდობაში, პორნოგრაფიული მასალის წარმოებასა და პროსტიტუციაში. ასევე შინამოსამსახურებაში, ნარკოტიკებით ვაჭრობასა და ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში<sup>1</sup>.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ტრეფიკინგის კრიმინალიზაცია 2003 წლის 6 ივნისს განხორციელდა, რითაც მოხდა, ზოგადად, ადამიანთა ტრეფიკინგისა და, კერძოდ, ბავშვთა ტრეფიკინგის კრიმინალიზაცია. მანამდე ამ მუხლის შემადგენლობა სახელწოდებით: „არასრულწლოვნით ვაჭრობა“, მართალია, არა იმ კონსტრუქციით, როგორც ეს მოცემულია სსკ-ის 143<sup>2</sup>-ე მუხლის დღევანდელ რედაქციაში, მაგრამ მაინც იყო მოცემული სსკ-ის 172-ე მუხლში, რომელიც ნათლად არ გადმოსცემდა ტრეფიკინგის საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ დეფინიციას. დასჯადი იყო არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა ანდა მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება. საერთაშორისო სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენ-

---

<sup>1</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება: „ადამიანის უფლებები საქართველოში“, 2005 წლის მეორე ნახევარი, გვ. 166-170. გარდა ამისა, როგორც აღინიშნა, სწორედ ამ პრობლემას ეხება ევროკავშირის საბჭოს ერთ-ერთი ჩარჩო გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იქნა 2003 წლის 22 დეკემბერს და ეძღვნება ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციასა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლას (2004/68/11).



დაციების შედეგად მოხდა სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციების რატიფიკაცია, რის შედეგადაც წარმოიშვა მთელი რიგი ვალდებულებები საკანონმდებლო ცვლილებების კუთხით, ასევე აღმასრულებელი და სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობის სფეროში.

გამომდინარე აქედან, 2003 წლამდე სასამართლო პრაქტიკა არასრულწლოვანთა ვაჭრობის (ყიდვა-გაყიდვის) შემთხვევას სსკ-ის 172-ე მუხლის კვალიფიკაციას აძლევდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2003 წლის 3 ივლისს განჩინება გამოიტანა სწორედ ამ ბრალდებით. სასამართლომ განიხილა მსჯავრდებულ ო. გ.-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. კ.-ს საკასაციო საჩივრები თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 1 მაისის განაჩენზე.

ო. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 172-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ (ჯგუფურად) და „ე“ (საზღვარგარეთ უკანონოდ გაყვანის მიზნით) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ო. გ.-მა ჩაიდინა არასრულწლოვანით ვაჭრობა, ე.ი. საზღვარგარეთ უკანონოდ გაყვანის მიზნით არასრულწლოვანის ყიდვა, ჩადენილი ჯგუფურად, რაც გამოიხატა შემდეგში: ო. გ., რომელიც არის ორმაგი მოქალაქეობის მქონე, ჩამოვიდა საქართველოში და ცხოვრობდა თბილისში, მის მეგობარ მ. ე.-სთან, დადგენილი წესით პოლიციის ორგანოებში რეგისტრაციის გარეშე. ო. გ.-ს საქართველოში ჩამოსვლის მიზანს წარმოადგენდა არასრულწლოვნებით ვაჭრობის ორგანიზება საზღვარგარეთ გაყვანით. განზრახვის სისრულეში მოყვანისათვის 2000 წლის აგვისტოს რიცხვებში ო. გ. დანაშაულებრივად დაუკავშირდა თბილისის №1 სამშობიარო სახლის ერთ-ერთ თანამდებობის პირს. ისინი შეთანხმდნენ, უკანონო გარიგების გზით შეეძინათ ახალშობილი ბავშვები, რათა შემდგომში ო. გ.-ს იგი კანადაში გაეყვანა. ამისათვის ო. გ.-ს გააცნეს №1 სამშობიარო სახლში მყოფი ახალშობიარეები, მათ შორის, მატერიალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ო. ხ., რომელიც შანტაჟითა და მოტყუებით დაარწმუნეს, რომ მას, როგორც ღელას, არავინ მის-

ცემდა ბავშვს, რადგან პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტი არ გააჩნდა, რის გამოც, ეს უკანასკნელი დათანხმდა, თ. გ.-სთვის მიეყიდა ახალშობილი მ. 500 აშშ დოლარად, რაც განხორციელდა კიდეც. როცა თ. ხ. ოფიციალურად გაწერეს საავადმყოფოდან, მას შეხვდა თ. გ. და გადასცა თავისი ბავშვი. ამ უკანასკნელმა კი, ახალშობილი მიაბარა ძიძას, ზ. ძ.-ს, დროებით მოსაველელად. მიუხედავად დაპირებისა, თ. გ.-მა თ. ხ.-ს, ნაცვლად დაპირებული 500 აშშ დოლარისა, გადაუხადა მხოლოდ 150 აშშ დოლარი.

მსჯავრდებული და მისი ადვოკატი საკასაციო საჩივარში ითხოვდნენ განაჩენის გაუქმებას უკანონობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით. ადვოკატი აღნიშნავდა, რომ სასამართლოს არ ჰქონდა დასაბუთებული „მყიდველთა და გამყიდველთა ჯგუფის“ არსებობა, ასევე, არ ყოფილა დადგენილი ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის მიზანი, თუმცა, პალატამ აღნიშნული არგუმენტები უსაფუძვლოდ მიიჩნია და სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი უცვლელად დატოვა<sup>1</sup>.

აღნიშნულ შემთხვევას, საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ რომ მომხდარიყო, ბრალდება და სასამართლო სსკ-ის 143<sup>2</sup>-ე მუხლით დააკვალიფიცირებდა და არა 172-ე მუხლით, ვინაიდან, 172-ე მუხლს შეეცვალა არა მარტო სათაური, არამედ ცვლილება განიცადა მისმა შინაარსმაც. კერძოდ, მუხლს ჰქვია „არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით“, ხოლო რაც შეეხება მის შინაარსს, ძველი შემადგენლობისგან განსხვავებით, რომელიც შედგებოდა ოთხი ნაწილისგან, ეხლა იგი შედგება მხოლოდ ერთი ნაწილისგან და დანაშაულის შემადგენლობა მაშინ ხორციელდება, თუ არასრულწლოვნის ყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგება ხდება შვილად აყვანის მიზნით. ჩვენს მიერ სასამართლო პრაქტიკიდან მოყვანილ შემთხვევაში კი, მსჯავრდებულ თ. გ.-ს მიზანს წარმოადგენდა არასრულწლოვნებით ვაჭრობის ორგანიზება, როგორც ბავშვების ყიდვა, ისე შემდგომ-

---

1 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის №141-აპ გადაწყვეტილება, წიგნში: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2003, №7, გვ. 851-855

ში მისი გაყიდვაც, საზღვარგარეთ გაყვანის მიზნით. გარდა ამისა, აღნიშნული დანაშაულის განსახორციელებლად მას კავშირი ჰქონდა სხვა პირებთანაც, რაც ამ ქმედების უმართლობას კიდევ უფრო ამძიმებს და საბოლოოდ კვალიფიციურ შემადგენლობას ქმნის. დღევანდელი მდგომარეობით კი, სსკ-ის 172-ე მუხლი დამამძიმებელ გარემობას – ჯგუფურობას საერთოდ არ ითვალისწინებს. სსკ-ის 143<sup>2</sup>-ე მუხლის ობიექტური შემადგენლობა კი, მოიცავს როგორც არასრულწლოვნის ყიდვას, ისე მის გაყიდვასაც და იმ მაკვალიფიცირებელ გარემობასაც, რასაც ჯგუფური დანაშაული ჰქვია.

გარდა ამისა, განსხვავებაა სუბიექტურ შემადგენლობაშიც. კერძოდ, სსკ-ის 172-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის საჭიროა, დამნაშავეს ჰქონდეს შეილად აყვანის მიზანი, ხოლო 143<sup>2</sup>-ე მუხლის შემთხვევაში, პირს უნდა ამოძრავებდეს ექსპლუატაციის მიზანი<sup>1</sup>. თუმცა, ბავშვის ამგვარი ექსპლუატაციის მიზანი, ისე როგორც ეს მოცემულია 143<sup>2</sup>-ე მუხლში, ნათლად არაა ჩამოყალიბებული. კერძოდ, დავას იწვევს ის საკითხი, ექსპლუატაციის მიზანი საერთოდ ახსიათებს ამ დანაშაულს, თუ მხოლოდ არასრულწლოვნის მიღება ხდება ექსპლუატაციის მიზნით. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სადავო არ არის ის, რომ, თუ არასრულწლოვნის გადაბირებას, გადაყვანას, გადამალვას, დაქირავებას, ტრანსპორტირებას, გადაცემას, შეფარებას არ ახლავს ექსპლუატაციის მიზანი, იგი არასრულწლოვნის ვაჭრობად ვერ დაკვალიფიცირდება.<sup>2</sup> მაგრამ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვისა და მის მიამართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებისას. ვფიქრობთ, აქაც აუცილებელია, სწორედ ქმედების მიზანს მიენიჭოს მნიშვნელობა, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, სსკ-ის 172-ე მუხლის დეფინიცია და 143<sup>2</sup>-ე მუხლის შინაარსი ანალოგიურია, მათი ობიექტური შემადგენლობა ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს, კერძოდ, ორივე მუხლში საუბარია არასრულწლოვნის ყიდვაზე, მაგრამ მათ შორის განსხვავება სწორედ სუბიექტურ მხარეში უნდა ვეძებოთ: პირველ

1 ექსპლუატაციის მიზანთან დაკავშირებით იხ. სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლის კომენტარი.

2 იხ. ნ. თოდუა წიგნში: მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გვენეტაძე, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, მე-3 გამოცემა, 2008, გვ. 226. იხ. აგრეთვე: გ. მამულაშვილი, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006, №2, გვ. 56

შემთხვევაში დამნაშავეს ამოძრავებს შეილად აყვანის, მეორე შემთხვევაში კი – ექსპლუატაციის მიზანი. ამიტომ, ვერ დავეთანხმებით ზოგიერთი ქართველი მეცნიერის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თითქოს სსკ-ის 143<sup>2</sup>-ე მუხლით კვალიფიკაციის დროს არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვისას ექსპლუატაციის მიზნის დადგენის სავალდებულობა არ უნდა არსებობდეს<sup>1</sup>. თუ მას უგულებელვყოფთ და ირელევანტურად ჩათვლით, მაშინ ვერანაირ განსხვავებას ვერ ვიპოვით ამ ორ მუხლს შორის. იმ შემთხვევაშიც კი, როცა პირი სხვა პირის შეკვეთით ყიდულობს მცირეწლოვანს შემკვეთზე გადასაცემად, მყიდველსაც უნდა ამოძრავებს ექსპლუატაციის ან შეილად აყვანის მიზანი. მისი მოქმედება დეტერმინირებული უნდა იყოს ამ მიზნით. ამ შემთხვევაში მის ქმედებაში ამსრულებლის ნიშნები გვექნება. გამოძინარე აქედან, როცა სახეზე გვაქვს თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული, გარდა მათი ერთიანი უმართლობისა, საჭიროა ერთიანი მიზნით დეტერმინირებული უმართლობაც<sup>2</sup>. ერთი მიზანი უნდა ჰქონდეს როგორც შემკვეთს, ისე იმ პირსაც, ვინც ამ შეკვეთას ასრულებს. ამავე პოზოციას იზიარებს ზოგიერთი რუსი მეცნიერიც. კერძოდ, რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ ტრეფიკინგის დანაშაულის ობიექტური მხარის ნებისმიერი მოქმედების ჩადენისას დამნაშავეს უნდა ამოძრავებდეს დაზარალებულის ექსპლუატაციის მიზანი<sup>3</sup>.

ქართულ საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში არსებობს არასრულწლოვნის ტრეფიკინგის შემთხვევები.

2006 წლის 18 სექტემბერს საქართველოს შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ (არაერთგზის), „გ“ (დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით) და 143<sup>2</sup>-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ (დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით) ქვეპუნქტებით. საქმეზე ჩატარებული

1 იხ. ნ. თოდუა იქვე, გვ. 226

2 იხ. ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, 2005, გვ. 191.

3 იხ. Т. Долголенко, Уголовная ответственность за торговлю людьми, Уголовное право №2, 2004, გვ. 24

გამოძიებით დადგინდა შემდეგი: 2006 წლის ივლისში ე. ი.-მ ნაცნობებს — მ.კ.-სა და არასრულწლოვან რ.ს.-ს თურქეთის რესპუბლიკაში მალაზიაში გამყიდვლად მუშაობა შესათავაზა, ყოველთვიურად კი, 700 აშშ დოლარის ანაზღაურებას დაჰპირდა. თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მან დაიყოლია არასრულწლოვან რ.ს.-ს მშობლები, რათა მათ თავისი შვილისათვის თურქეთში გამგზავრების ნება დაერთოთ. 2006 წლის 15 აგვისტოს ე. ი.-მ მ.კ და რ.ს. სასაზღვრო-საკონტროლო გამშვებ პუნქტ „სარფის“ გავლით გადაიყვანა თურქეთის რესპუბლიკაში, ჩამოართვა პასპორტები, აღუკვეთა თავისუფლად გადაადგილებისა და ახლობლებთან დაკავშირების საშუალება და, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, აიძულებდა სექსუალური კავშირის დამყარებას მამაკაცებთან, თანხას კი თავად იღებდა. მალევე დაზარალებულებმა შესძლეს საკუთარი პასპორტების უკან დაბრუნება და 2006 წლის სექტემბერში მოახერხეს საქართველოში ჩამოსვლა.

ამ საქმის შინაარსიდან გამომდინარე, სახეზეა არა ტრეფიკინგის არაერთგზისობა, არამედ ტრეფიკინგი ორი ან მეტი პირის მიმართ. იმის გამო, რომ ერთი დაზარალებული იყო სრულწლოვანი, ხოლო მეორე — არასრულწლოვანი, წარმოიშვა სიძნელე ამ მაკვალიფიცირებელ გარემოებასთან დაკავშირებით: წარმოადგენდა იგი სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ (ორი ან მეტი პირის მიმართ) თუ 143<sup>2</sup>-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ (ორი ან მეტი არასრულწლოვნის მიმართ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კვალიფიციურ შემადგენლობას. სამართლებრივად სწორი იქნებოდა კვალიფიკაცია სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ (ორი ან მეტი პირის მიმართ) ქვეპუნქტით, რადგან ასეთ შემთხვევაში იგი მოიცავს არასრულწლოვანსაც.

2006 წლის 29 სექტემბერს ვინმე ე. ი. მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“, „გ“ და 143<sup>2</sup>-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტებით და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა. 2007 წლის 26 აპრილის განაჩენით იგი ცნობილი იქნა დამნაშავედ და სასჯელის ზომად განესაზღვრა

26 წლით თავისუფლების აღკვეთა<sup>1</sup>.

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, ბრალდებულ ე. ი.-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება ძირითადად სწორია, მაგრამ სადავოა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მართებულია ამ ორი მუხლის კოდექსში ცალ-ცალკე არსებობა, მაშინ, როცა ეს ორივე მუხლი შინაარსობრივად თითქმის ერთი და იგივე საკითხს არეგულირებს. ამ შემთხვევაში განსხვავებულია რსფსრ სისლის სამართლის კოდექსის მიდგომა, რომლის 127<sup>1</sup>-ე მუხლში (აღამიანით ვაჭრობა) არასრულწლოვნით ვაჭრობა გათვალისწინებულია, როგორც მაკვალიფიცირებული გარემოება (127<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) და არ წარმოადგენს ცალკე დამოუკიდებელ შემადგენლობას<sup>2</sup>.

ქართული სასამართლო პრაქტიკა იცნობს შიდა ტრეფიკინგის შემთხვევებსაც. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 თებერვლის განაჩენის მიხედვით, ე.ტ.-ს ბრალი დაედო მასში, რომ ჩაიდინა არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), რაც გამოიხატა არასრულწლოვნის ყიდვასა და გადამალვაში სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით, რაც ჩადენილ იქნა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით. მის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2004 წლის იანვარში ე. ტ.-მა გაიცნო ა. ნ., რომელსაც შესთავაზა, რომ მასთან სოფელში ჩაეყვანა უსახლკარო და მიუსაფარი მეძავები, რისთვისაც თითოეულში გადაუხდიდა სამოც ლარს, რაზეც ეს უკანასკნელი დათანხმდა. 2004 წლის მარტის თვეში არასრულწლოვანი ნ. გ. გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ეწეოდა პროსტიტუციას. იგი 13 წლის იყო, როცა მამინაცვალთან არსებული უთანხმოების გამო, გამოიქცა სახლიდან და ჩამოვიდა თბილისში, სადაც, უბინაობის და მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო, ჩაება პროსტიტუციაში. ე.ტ.-თან შეთანხმების საფუძველზე, მასთან მივიდა ა. ნ. და შესთავაზა ასი ლარის სანაცვლოდ ერთი

---

1 აღნიშნული მასალა მოძიებულია საქართველოს გენერალური პროკურატურის ოფიციალურ ინტერნეტ ვებ-გვერდზე: [www.pog.gov.ge](http://www.pog.gov.ge)

2 რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 127<sup>1</sup>-ე მუხლის კომენტარი იხ. წიგნში: В. Лебедев (Ред.), Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 305-307

დამით სექსუალური მომსახურება, რაზეც ეს უკანასკნელი დათანხმდა. ა. ნ.-მ იგი ჩაისვა თავის მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანაში და წაიყვანა გაურკვეველი მიმართულებით, რამდენიმე საათის მგზავრობის შემდეგ კი, მიიყვანა ერთ-ერთ კერძო სახლში და მოტყუებით დატოვა იქ. მეორე დღეს ნ. გ.-მ შეიტყო, რომ მძღოლმა იგი მიიყვანა დედოფლისწყაროს ერთ-ერთ სოფელში მცხოვრებ ე. ტ.-თან. ადგილზე მიყვანის შემდეგ, ე. ტ.-მა იგი გადაიყვანა და გადამალა იქვე ახლოს მცხოვრებ ნ. ს.-ს სახლში, რითაც მას აღუკვეთა თავისუფლად გადაადგილების საშუალება და იცოდა რა, რომ ნ. გ. იყო არასრულწლოვანი, განიზრახა, სხვა არასრულწლოვან გოგონებთან ერთად, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ, მისი იძულებით პროსტიტუციაში ჩაბმა და მისთვის სექსუალური ექსპლუატაციის გაწევა. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ე. ტ.-მა, ნ. ს.-თან ერთად, არასრულწლოვანი იძულებით ჩააბა პროსტიტუციაში და აიძულებდა სექსუალური მომსახურება გაეწია კლიენტებისათვის. ერთ-ერთი მოწმის ჩვენებით, მასზე პატარა ასაკის გამო დიდი მოთხოვნილება იყო კლიენტების მხრიდან. მათ მიერ გადახდილ თანხას – 5-10 ლარის ოდენობით ე.ტ. თანაბრად ინაწილებდა ნ. ს.-თან. წინააღმდეგობის გაწევისას ე. ტ.-მა რამდენიმეჯერ სასტიკად სცემა ნ. გ. და დაემუქრა, რომ თუ კი იგი ეცდებოდა გაქცევას, ფიზიკურად გაუსწორდებოდა. შექმნილი აუტანელი პირობებისგან თავის დაღწევის მიზნით, ნ. გ.-მ არაერთხელ სცადა გაქცევა, რა დროსაც ე. ტ.-მა მას მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. დაახლოებით 9 თვის მანძილზე, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ე. ტ. ეწეოდა ნ. გ.-ს სექსუალურ ექსპლუატაციას. დღეში უწევდა 10 კაცამდე სექსუალური მომსახურება. ასეთივე მომსახურების გაწევას აიძულებდნენ საძოვრებზე გამოსაზამთრებლად ჩამოსული მეცხვარეებისათვის. ორი კვირის განმავლობაში, უკაცრიელ ადგილას, სხვადასხვა ფერმებში, მიჰყავდათ მანქანით. 2004 წლის ნოემბერში, იქ მყოფი მეორე გოგონას – თ. გ.-ს დახმარებით, მან მოახერხა გაპარვა, კერძოდ, ისარგებლა იმ მდგომარეობით, რომ ე. ტ.-სა და ნ. ს.-ს ეძინათ, გამოიპარა სახლიდან და ჩამოვიდა თბილისში. ამის შემდეგ ე. ტ. არაერთხელ დაუკავშირდა ნ. გ.-სა და დედამისს ტელეფონზე და მოსთხოვა უკან

დაბრუნება, რაზეც ისინი დაემუქრნენ, რომ თუ არ დაანებებდა თავს, მიმართავდნენ სამართალდამცავ ორგანოებს, რის შემდგომაც ე. ტ.-მ შეწყვიტა მასთან ურთიერთობა.

არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ტრეფიკინგის ამ დანაშაულის ჩამდენ პირთა ჯგუფის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2007 წელს, ხოლო 2008 წლის 25 თებერვალს გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი.

ქართული სისხლის სამართლის კოდექსის დღეს მოქმედი რედაქციით, აღწერილი შემთხვევა წარმოადგენს როგორც არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებულ შიდა ტრეფიკინგს სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით, რაც ჩადენილ იქნა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით (სსკ-ის 143<sup>2</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი) ორგანიზებული ჯგუფის მიერ (ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი), ასევე ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობას (სსკ-ის 143<sup>3</sup>-ე მუხლი), რაზედაც საუბარი იქნება მომდევნო მუხლის განხილვისას.

არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი შიდა ტრეფიკინგის შემთხვევას წარმოადგენს ასევე გ. დ.-ს ბრალდების საქმე. მან 2006 წლის აგვისტოში გაიცნო არასრულწლოვანი, 17 წლის ნ. კ., რომელიც იმ დროისათვის ერთი თვის ორსული იყო. ამის შესახებ გაცნობისთანავე ცნობილი გახდა გ. დ.-სთვის. გოგონა ორსულობამდე სხეულით ვაჭრობდა. გ. დ.-მ განიზრახა მუქარით, ძალადობით, მოტყუებით მისი გადაბირება და შეფარება სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით. განზრახვის განსახორციელებლად მას შესთავაზა ვითომდა ცოლად მოყვანის მიზნით ერთად ცხოვრება. ამის შემდეგ, იგი აიძულებდა ორსულ მდგომარეობაში მყოფ არასრულწლოვან ნ. კ.-ს, გასულიყო ბარათაშვილის ხიდზე და სხეულით ევაჭრა. უწევდა რა სექსუალურ ექსპლუატაციას, გ. დ. დღეში რამდენჯერმე აკითხავდა, აკონტროლებდა და სხეულით ვაჭრობის შედეგად აღებულ თანხას 100-200 ლარის ოდენობით პირადად ართმევდა. იგი ორსულობის მთელ პერიოდში აიძულებდა ნ. კ.-ს, ევაჭრა სხეულით, ამასთან, უკმაყოფილების შემთხვევაში, სისტემატურად სცემდა, აყენებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, რაც მასში ძლიერ ფიზიკურ და ფსიქიკურ ტკივილებს



იწვევდა. 2006 წლის ოქტომბერში გ.ძ.-მ გოგონას მარცხენა გვერდის არეში დანით სხეულის დაზიანებაც მიაყენა. ნ. კ. ცდილობდა თავის დაღწევას და გაქცევას, მაგრამ მოძალადე არ აძლევდა ამის საშუალებას და გაქცევის მცდელობის შემთხვევაში ფიზიკურად უსწორდებოდა ტრეფიკინგის მსხვერპლს. 2007 წლის აპრილში ნ. კ.-ს ბავშვი შეეძინა. სამშობიაროდან გამოსვლის შემდეგ, გ. ძ. მას კვლავ აიძულებდა გაეგრძელებინა სხეულით ვაჭრობა, რაც 2007 წლის მაისამდე გაგრძელდა. ერთ დღეს სახლიდან გასულ ნ. კ.-ს მოძალადე გ. ძ.-მ უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება, ძალადობის გამოყენებით ჩასვა მანქანაში, რათა ამ გზით სახლში დაებრუნებინა. მას შემდეგ, როცა გაიგო, რომ მომხდარი ფაქტის შესახებ ცნობილი გახდა საპატრულო პოლიციისათვის, ნ. კ. მისი ნების საწინააღმდეგოდ წაიყვანა გამოძიების მიერ დაუდგენელ ბინაში, სადაც უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება. კერძოდ, რამდენიმე საათი არ აძლევდა ბინიდან გასვლის უფლებას კარები ჩაკეტა და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა..

ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები დაკვალიფიცირდა სხვადასხვა მუხლებით, კერძოდ, სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა (დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ) და 143<sup>2</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით).

უპირველეს ყოვლისა, შესაძლებელია, ორსული არასრულწლოვნის ტრეფიკინგის კვალიფიკაცია სრულწლოვნის ტრეფიკინგის მუხლით (სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი), ვინაიდან 143<sup>2</sup>-ე მუხლი ასეთ მაკვალიფიცირებელ ნიშანს მისი ატიპიურობისა გამო არ შეიცავს. თუმცა არასრულწლოვნის ტრეფიკინგის ნორმაში არსებობს სხვა მაკვალიფიცირებელი გარემოებებიც, რომლებიც ჩადენილ ქმედებებს შეესაბამება.

გარდა ამისა, არსებობს სხვა საქმეებიც, რომლებიც არასრულწლოვნით ვაჭრობას ეხება:

(ა) 2005 წლის 9 თებერვალს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მე-5 სამმართველოს მე-2 განყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ი. ჯ.-სა და ნ. ქ.-ს მიმართ არასრულწლოვნით ვაჭრობის

ფაქტზე. წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ 2004 წლის 30 დეკემბერს, ი. ჯ.-მა იმშობიარა მე-5 სამშობიარო სახლში. მშობიარობიდან ერთი კვირის შემდეგ, მასთან მივიდა ამავე სამშობიაროს სანიტარი ნ. ქ. და შესთავაზა 300 ამერიკული დოლარი ბავშვის სანაცვლოდ. ი. ჯ.-ს უარის შემდეგ, სახლში გაწერიდან რამდენიმე დღეში, მასთან კვლავ მივიდა ნ. ქ. და ბავშვის გაშვილების სანაცვლოდ შესთავაზა 1000 აშშ დოლარი, რაზედაც ი. ჯ. დათანხმდა და ბავშვი გადასცა ვინმე „ლალის“. 2005 წლის 9 თებერვალს, ი. ჯ. და ნ. ქ. დააკავეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა და 12 თებერვალს რაიონული სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდათ დაპატიმრება სამი თვის ვადით. 2005 წლის 3 ივნისს, საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ბრძანებით, ი. ჯ.-ს დაპატიმრება შეეცვალა პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემით, ხოლო ნ. ქ. განთავისუფლებულ იქნა საპატიმრო ვადის გასვლასთან დაკავშირებით.

(ბ) 2005 წლის 5 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მე-5 სამართველოს მე-2 განყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ქ. ჩ.-სა და ბ. დ.-ს მიმართ არასრულწლოვნის ყიდვის, გაყიდვის და მის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელების, საზღვარგარეთ გაყვანის მცდელობისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>2</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-19-143<sup>2</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ 2004 წლის 21 დეკემბერს ისრაელის მოქალაქე ბ. დ. ჩამოვიდა ქ. თბილისში თავის მამიდაშვილთან. 2004 წლის 27-28 დეკემბერს, ნაეთლუხის ბაზრის ტერიტორიაზე, გაიცნო ფეხმძიმე ქ. ჩ. და მას შესთავაზა მშობიარობის შემდეგ ბავშვის მიყიდვა, რაზეც ქ. ჩ. დათანხმდა, ვინაიდან იყო უკიდურესად გაჭირვებული. 2005 წლის თებერვალს ქ. ჩ.-მა ბ. დ.-ს 600 დოლარად მიჰყიდა ჩვილი ბავშვი. 2005 წლის 5 მარტს ბ. დ. და ქ. ჩ. დააკავებულ იქნენ და აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდათ დაპატიმრება სამი თვის ვადით. 2005 წლის 1 ივნისს ქ. ჩ.-ს ადვოკატის შუამდ-

გომლობის საფუძველზე სასამართლომ შეუცვალა დაპატიმრება პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემით, ხოლო ბ. დ. განთავისუფლებულ იქნა გირაოს გამოყენებით.

(გ) 2005 წლის 15 აპრილს საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მე-5 სამმართველოს მე-2 განყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ა. ს.-ს და მ. ბ.-ს მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>2</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 253-ე მუხლის მე-2 ნაწილით. წინასწარი გამოძიებით დადგენილია, რომ 2004 წლის ზაფხულში ა.ტ. გორის რაიონიდან საცხოვრებლად ჩამოვიდა ქალაქ თბილისში და სამსახურის შოვნის მიზნით მიაკითხა თავის მამის მეგობარს ა. ს.-ს. ამ უკანასკნელმა იგი მიიყვანა რუსთავის გზატკეცილზე მდებარე სასტუმროში ვინმე მარინასთან, რომლის მეტსახელია „ცხვირა“ და მასთან დატოვა. ა. ტ.-ს ეგონა, რომ იგი იმუშავებდა სასტუმროში დაძლავებლად, მაგრამ მარინამ ჩაკეტა ერთ-ერთ ოთახში და აიძულებდა სექსუალური მომსახურება გაეწია კლიენტებისათვის. ა. ტ.-მ ორჯერ სცადა გაქცევა, მაგრამ ორივეჯერ მიაბრუნეს უკან. 2005 წლის 28 მარტს მან საბოლოოდ დააღწია თავი სასტუმროში თავისუფლების უკანონო აღკვეთას<sup>1</sup>.

ზემოთ მოყვანილი საქმეები ცხადყოფენ, რომ აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა სწორედ უკანასკნელ წლებში განხორციელდა, როცა პრაქტიკულად გატარდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები ამ მიმართებით, თუმცა ტრეფიკინგის ეს შემადგელობა ჯერ კიდევ საჭიროებს სრულყოფასა და დახვეწას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ობიექტური მხრივ, განსახილველი დანაშაული ემსგავსება სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობას, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ, ერთი მხრივ, მისი დაცვის ობიექტია არასრულწლოვანი (18 წლის ასაკს

---

<sup>1</sup> დაწერილებით იხ. 2005 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეების საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს საინფორმაციო ანგარიში. აღნიშნული მასალა მოძიებულია საქართველოს გენერალური პროკურატურის ოფიციალურ ინტერნეტ ვებ-გვერდზე: [www.pog.gov.ge](http://www.pog.gov.ge)

მიულწეველი პირი), ხოლო, მეორე მხრივ, არასრულწლოვნით ვაჭრობისას სავალდებულო არაა დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული იქნეს იძულება, მუქარა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, შანტაჟი, მაშინ როცა ისინი სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის სავალდებულო ნიშნებია.

დამამძიმებელ გარემოებებს რაც შეეხება, ვინაიდან ტრეფიკინგის სამივე მუხლის დამამძიმებელი გარემოებები ერთმანეთს ემთხვევა, მათ დეტალურ ანალიზს აქ არ შევუდგებით<sup>1</sup>, შევეხებით მხოლოდ ერთ დამამძიმებელ გარემოებას, რომელიც ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებს. ეს არის სსკ-ის 143<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, დანაშაულისათვის სასჯელი მაშინ იზრდება, თუ ამ მუხლის პირველი, მეორე ან მესამე ნაწილით გათვალისწინებულმა ქმედებამ გამოიწვია არასრულწლოვნის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი. ამ ქმედებისათვის გათვალისწინებული სანქციის მეტისმეტი სიმკაცრე (17-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა) საფუძველს იძლევა, ვივარაუდოთ, რომ, როგორც დამდგარი სიკვდილის, ისე სხვა მძიმე შედეგის მიმართ, სუბიექტური დამოკიდებულება განზრახვაში უნდა გამოიხატოს. ამდენად, როცა დამნაშავე არასრულწლოვნით ვაჭრობისას განზრახ კლავს მას, ქმედებათა კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით საჭირო არ არის. რაც შეეხება გაუფრთხილებლობას შედეგის მიმართ, იმის დასაბუთება, რომ შედეგისადმი გაუფრთხილებლობა საკმარისია, ძნელია. მოცემული სანქციის მეტისმეტი სიმკაცრე (უფრო მკაცრია, ვიდრე სსკ-ის 109-ე მუხლის სანქცია) არ იძლევა შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობის საკმარისობის მტკიცების შესაძლებლობას. გამომდინარე აქედან, არ შეიძლება გავამართლოთ ისეთი ვითარება, როცა ამ შედეგის როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით გამოწვევისას დამნაშავე უნდა დაისაჯოს ერთი და იმავე სანქციის ფარგლებში, მით უმეტეს მაშინ, როცა ეს სანქცია უვადო თავისუფლების აღკვეთასაც ითვალისწინებს.

---

<sup>1</sup> დამამძიმებელი გარემოებების შესახებ იხ. ასევე სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლის კომენტარი

მუხლი 143<sup>3</sup>. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)  
მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა

1. წინასწარი შეცნობით ამ კოდექსის 143<sup>1</sup> და 143<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლის ან დაზარალებული პირის ისეთი მომსახურებით სარგებლობა, რომელიც ამავე კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლის თანახმად წარმოადგენს ექსპლუატაციას, –

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ოთხ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;

გ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ;

დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ორი წლის ვადით.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ორი ან მეტი პირის მიმართ;

ბ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრტელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტი წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტი წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით.

(საქართველოს 2007 წლის 8 მაისის კანონი – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1. 2007, №18, მუხ. 136)

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე შემთხვევა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლით. არასრულწლოვნით ვაჭრობა კი, როგორც ტრეფიკინგის გამოვლენის ერთ-ერთი მძიმე შემთხვევა, ქართული სისხლის სამართლის კოდექსით ცალკე შემადგენლობად არის გათვალისწინებული (143<sup>2</sup>-ე მუხლი). ტრეფიკინგთან სისხლისსამართლებრივი ბრძოლის გაძლიერების მიზნით, 2007 წლის 8 მაისის კანონით, ცალკე ახალი, დამოუკიდებელი შემადგენლობით დაწესდა იმ პირთა დასჯადობა, ვინც უშუალოდ კი არ ჩაიდენს ტრეფიკინგს, არამედ ისარგებლებს ამ დანაშაულის მსხვერპლის (დაზარალებულის) ისეთი მომსახურებით, რომელიც, ტრეფიკინგის შემადგენლობის მიხედვით, წარმოადგენს ექსპლუატაციას (143<sup>3</sup>-ე მუხლი).

ტრეფიკინგის შესახებ პალერმოს ოქმის მიხედვით, ადამიანის ექსპლუატაცია გულისხმობს არა მარტო ადამიანის პროსტიტუციის ან სხვა სახის სექსუალურ ექსპლუატაციასა და იძულებით შრომას, არამედ ასევე მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობას. ხაზი გასმულია ტრეფიკინგის მსხვერპლის მიერ მომსახურების გაწევაზე, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე.

საერთაშორისოსამართლებრივი აქტები, მათ შორის ევროპის საბჭოს 2002 წლის 19 ივლისის სპეციალურ ჩარჩო გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველყოფს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ტრეფიკინგთან ბრძოლის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარებას<sup>1</sup>, კრძალავს და სახელწიფოებს ავალდებულებს, თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით დანაშაულად გამოაცხადონ ისეთი ქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავენ ადამიანის გამოყენებას იძულებითი შრომის ან მომსახურების გაწევაში, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის პირობებში მის ჩაყენებას, პროსტიტუციაში ჩაბმას ან სექსუალურ ექსპლუატაციას. ჩარჩო გადაწყვეტილებაშიც ხაზია გასმული მსხვერპლის მომსახურებაზე. დაზარალებულის წინასწარი თანხმობა, მათ შო-

---

1 იხ. ევროკავშირის საბჭოს 2002 წლის 19 ივლისის ჩარჩო გადაწყვეტილება (Rahmenbeschluss des Rates vom 19. Juli 2002 zur Bekämpfung des Menschenhandels) (2002/629/J1)

რის მისი მომსახურებით სარგებლობის დროს, არ იწვევს დამნაშავეის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას.

ტრეფიკინგის დანაშაულის მიზანი, როგორც ვთქვით, არის ექსპლუატაცია. ექსპლუატაცია, სულ ცოტა, მოიცავს როგორც სხვა პირთა პროსტიტუციის ექსპლუატაციის ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს, იძულებით მუშაობას, ასევე მომსახურებას, რომელიც წარმოადგენს მსხვერპლის (დაზარალებულის) მონობის ან მონობის მსგავსი მდგომარეობის გამოვლენას.

სსკ-ის 143<sup>3</sup>-ე მუხლის მიზანია, გააფართოვოს იმ სუბიექტთა წრე, რომლებიც სისხლის სამართლის წესით ისჯებიან ტრეფიკინგის დანაშაულთან პირდაპირი თუ არაპირდაპირი კავშირის გამო.

ერთ-ერთი სისხლის სამართლის მიხედვით, რომელიც ჩვენს მიერ არასრულწლოვნის ტრეფიკინგის დროს იქნა განხილული, დაახლოებით 9 თვის მანძილზე, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ხდებოდა ნ. გ.-ს სექსუალური ექსპლუატაცია. იგი დღეში უწევდა ათ მამაკაცამდე სექსუალური მომსახურებას. ასეთივე მომსახურების გაწევას აიძულებდნენ საძოვრებზე გამოსაზამთრებლად ჩამოსული მეცხვარეებიც. იგი ორი კვირის განმავლობაში, უკაცრიელ ადგილას, სხვადასხვა ფერებში, მიჰყავდათ მანქანით.

ამ დანაშაულის ჩადენის დროს, ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში ჯერ ჯიდევ არ არსებობდა ცალკე შემადგენლობა, რომელიც ითვალისწინებდა ტრეფიკინგის მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობისათვის პასუხისმგებლობას, ამიტომ ნ. გ.-ს სექსუალური ექსპლუატაციისათვის პასუხისმგებლობა დადგა არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის მუხლით. დღევანდელი საკანონმდებლო მდგომარეობით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა დადგეს არა მარტო იმ პირების მიმართ, ვინც უშუალო ტრეფიკინგს ახორციელებდნენ არასრულწლოვნის მიმართ, არამედ ნებისმიერი იმ ადამიანის მიმართ, ვინც წინასწარ შეცნობით ისარგებლა დაზარალებულის (მსხვერპლის) სექსუალური მომსახურებით.

ამ მუხლით დანაშაულის ჩადენის შემთხვევას წარმოადგენს ასევე ჩვენს მიერ განხილული სხვა სისხლის სამართლის საქმეც,

რომელზეც სისხლის სამართლის დევნა დაიწყო 2005 წლის 15 აპრილს საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მიერ 143<sup>2</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 253-ე მუხლის მე-2 ნაწილით. 2004 წლის ზაფხულში გორის რაიონიდან ქალაქ თბილისში ჩამოსული პიროვნება სამსახურის შოვნის მიზნით მივიდა თავის ნაცნობთან, რომელმაც იგი მიიყვანა რუსთავის გზატკეცილზე მდებარე სასტუმროში და იქ დატოვა. მას ეგონა, რომ იმუშავებდა სასტუმროში დამლაგებლად, მაგრამ სინამდვილეში ვინმე მ.-მ ჩაკეტა ერთ-ერთ ოთახში და აიძულებდა სექსუალური მომსახურება გაეწია კლიენტებისათვის. ამის შედეგად დაზარალებული გახდა ტრეფიკინგის მსხვერპლი, ხოლო იმ მამაკაცებმა, ვინც წინასწარი შეცნობით ისარგებლეს ამ მომსახურებით, დღევანდელი საკანონმდებლო მდგომარეობით ჩაიდინეს დანაშაული, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 143<sup>3</sup>-ე მუხლით<sup>1</sup>.

სსკ-ის 143<sup>3</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა შეიძლება გამოიხატოს მოქმედებასა ან უმოქმედობაში. სუბიექტური მხრივ, იგი გულისხმობს განზრახვის არსებობას ობიექტური შემადგენლობის ნიშნებისადმი, ხოლო ექსპლუატაციის მიზნის არსებობა არ არის საავალდებულო.

ამ მუხლის ძირითადი შემადგენლობის გარდა, კანონი ითვალისწინებს კვალიფიციურ შემადგენლობებსაც. დამამძიმებელი გარემოებები, რომლებიც მოცემულია სსკ-ის 143<sup>3</sup>-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებში, თითქმის მთლიანად გადმოღებულია ტრეფიკისგის შემადგენლობისაგან.

ისევე, როგორც მრავალფეროვანია ტრეფიკინგის გამოვლენის შემთხვევები და იგი დღეისათვის უკვე აღარ შემოიფარგლება მხოლოდ სექსუალური ექსპლუატაციით, ასევე მრავალფეროვანია მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურების ფორმები, რომლებიც სსკ-ის 143<sup>3</sup>-ე მუხლით პასუხისმგებლობას იწვევენ.

---

<sup>1</sup> იხ. 2005 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეების საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს საინფორმაციო ანგარიში ინტერნეტ ვებ-გვერდზე: [www.pog.gov.ge](http://www.pog.gov.ge)



## მუხლი 144. მძიმედ ჩაბრუნება

1 მძიმედ ჩაბრუნება იმ მიზნით, რომ მძიმედის გათავისუფლების პირობით აიძულონ ორგანიზაცია ან პირი შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის ქმედება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) არაერთგზის;

გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

დ) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით;

ე) შვიდ დღეზე მეტი ხნით;

ვ) ანგარებით;

ზ) დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვანის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ;

თ) უცხოეთის ოფიციალური წარმომადგენლის ან საერთაშორისო სამართლებრივ დაცვას დაქვემდებარებულის მიმართ;

ი) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თორმეტ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:

ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცამეტიდან თვრამეტ წლამდე.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №292-სსმ I, 2000 წ., № 18, მუხ. 45; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2937-სსმ I, 2006 წ., № 14, მუხ. 90)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით მძევლად ხელში ჩაგდება გათვალისწინებულია როგორც 144-ე, ისე 329-ე მუხლით. პირველ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დაცვის ძირითადი ობიექტია ადამიანის თავისუფლება და ფიზიკური ხელშეუხებლობა, ხოლო მეორე შემთხვევაში – სახელმწიფო უშიშროების საფუძვლები<sup>1</sup>.

ობიექტური მხრივ, მძევლად ხელში ჩაგდება (სსკ 144-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება) რთულ მოქმედებას წარმოადგენს, რომელიც თავის თავში მოიცავს ადამიანის შეპყრობას და იძულებას, შეიცვალოს ადგილსამყოფელი თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ, დაკავებას, რაც მსხვერპლს შესაძლებლობას უსპობს დატოვოს ესა თუ ის ადგილსამყოფელი. ეს მოქმედებები, თავის მხრივ, განაპირობებენ ისეთი მოქმედებების განხორციელებას, როგორიცაა მესამე პირისათვის მოთხოვნის წაყენება, რაც მძევლის გათავისუფლების პირობაა. (სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, მძევალი არის კაცი წინდად დასმული. წინდი გიროს ქართული შესატყვისი სიტყვაა. წინდი ნიშნავს ვალისათვის მძევალს).

მძევლის ხელში ჩაგდების ხერხი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, განსაკუთრებით მსხვერპლის შეპყრობისა და იზოლირების ეტაპზე, ამ მიზნის მისაღწევად, გარდა ფიზიკური ძალადობისა და მუქარისა, შეიძლება ადგილი ჰქონდეს მსხვერპლის მოტყუებას, ფარულად შეპყრობას (მძინარის, ავადმყოფის და ა.შ.).

მძევლად ხელში ჩაგდების ობიექტური მხარის მნიშვნელოვანი თავისებურებაა მისი დემონსტრაციულობა და ულტიმატუმური ხასიათი. დამნაშავეს აინტერესებს არა მძევლის პიროვნება, არამედ ზემოქმედება იმ ადრესატზე, ვისზეც მიმართულია მოთხოვნა, რასაც ამყარებს მძევლისათვის ზიანის მიყენების მუქარა.

მძევლად ხელში ჩაგდებას ახასიათებს ფიზიკური ან ფსიქი-

---

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ერთმანეთის მსგავსი ამ ორი შემადგენლობის არსებობის მიზანშეწონილობაზე, მათი გამოიჯენის სირთულეზე ადრე გამოვთქვით ჩვენი უარყოფითი მოსაზრება და აქ აღარ შეეჩერდებით (იხ. მზია ლეკვიშვილი, გოჩა მამულაშვილი. პასუხისმგებლობა სახელმწიფო დანაშაულისათვის, თბ., 2000, გვ. 94.

კური ძალადობა, ამავე დროს, ქმედების 144-ე მუხლის პირველი ნაწილით კვალიფიკაციისათვის ის საშიში არ უნდა იყოს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ხოლო 144-ე მუხლის მეორე ნაწილი მოიცავს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას, ანდა ასეთი ძალადობის მუქარას. *მუქარის ადრესატი*, ცხადია, არა მძევალი, არამედ მესამე პირია, ვინც მოთხოვნა უნდა შეასრულოს მძევლის გათავისუფლების სანაცვლოდ, რამეთუ თავად მძევალს მოთხოვნის შესრულება არ ძალუძს, თუმცა იგი მიზნის მიღწევის ეფექტური საშუალებაა დამნაშავეისათვის. მოთხოვნის (ულტიმატუმის) შინაარსი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: გამოსასყიდი თანხის მიღება, რაიმე მოქმედების შესრულება თავისი ან თავისად დაგულვებული უფლების უზრუნველსაყოფად და სხვა. მოთხოვნის ფორმას – ზეპირი, წერილობითი მნიშვნელობა არა აქვს, არც იმას აქვს მნიშვნელობა, მოთხოვნას თავად დამნაშავე წაუყენებს მესამე პირს თუ მძევალს აიძულებს ამის გაკეთებას.

მძევლად ხელში ჩაგდება ფორმალური დანაშაულია და იურიდიულად დამთავრებულად ჩაითვლება ადამიანის მძევლად ხელში ჩაგდების მომენტიდან, რომელიც დენადი ფორმით უწყვეტად ხორციელდება, ვიდრე მძევალი არ იქნება გათავისუფლებული. ამასთან, ადამიანის მძევლად ყოფნის ხანგრძლივობა გავლენას მოახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე, კერძოდ, თუ მძევლად ყოფნა 7 დღეს აღემატება, ეს დაამძიმებს პასუხისმგებლობას. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს შესრულება თუ არა ულტიმატუმის პირობა.

სუბიექტური მხრივ, სსკ 144-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი, რამდენადაც ფორმალური შემადგენლობის მქონე მიზნით დაფუძნებულ დელიქტთან გვაქვს საქმე. კერძოდ, მძევლად ხელში ჩაგდება ხდება იმ მიზნით, რომ მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ ორგანიზაცია ან პირი შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება. მაშასადამე, დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ მძევლად იპყრობს ადამიანს, რათა აიძულოს კონკრეტული ადრესატი შეასრულოს ან თავი შეიკავოს მოქმედებისაგან, რაც მძევლის გათავისუფლების პირობაა, ითვალ-

ისწინებს თავისი მოქმედებით მოსალოდნელ ზიანს მძევლისათვის ან მესამე პირისათვის (ულტიმატუმის ადრესატისათვის) და ეს შეესაბამება მის სურვილს. ქმედების მამოძრავებელი მოტივი შეიძლება იყოს ანგარება ან სხვა პირადი მოტივი. მაგალითად: ჩადენილი დანაშაულისათვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობისათვის თავის არიდება და სხვა.

ქმედების სუბიექტური შემადგენლობის სავალდებულო ნიშანია მიზანი. ადამიანის მძევლად აყვანა თვითმიზანი კი არ არის დამნაშავისათვის, არამედ აუცილებელი ეტაპია საბოლოო მიზნის მისაღწევად.

მძევლად ხელში ჩაგდება განსხვავდება თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისაგან. მართალია, მძევლის შეპყრობა და სივრცეში თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობის შეზღუდვა ხშირად იმავე ხერხებით ხორციელდება, როგორც თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, მაგრამ, ამავე დროს, მძევლად ხელში ჩაგდების ობიექტური მხარის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ამ ქმედების ჩადენა მესამე პირისათვის მოთხოვნის წასაყენებლად ხდება, რათა მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ იგი შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება. ამგვარად, მძევლის გათავისუფლება დამოკიდებულია იმაზე, შეასრულებს თუ არა მესამე პირი დამნაშავის მოთხოვნას, რაც არ ახასიათებს თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას (მუხლი 143).

ადამიანის მძევლად აყვანის დროს დამნაშავეს არა იმდენად მძევალი აინტერესებს, რამდენადაც მისი გამოყენება მესამე პირზე ზემოქმედებისათვის, მაშინ როცა თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის დროს დამნაშავე ამა თუ იმ მოტივით დაინტერესებულია კონკრეტული მსხვერპლის პიროვნებით.

თავისუფლების უკანონოდ აღკვეთასთან შედარებით მძევლად ხელში ჩაგდებისათვის სასჯელი გაცილებით მკაცრია, ვინაიდან ამ დანაშაულის მსხვერპლი არა მხოლოდ მძევალია, არამედ მესამე პირიც, რომელზე ზემოქმედებითაც დამნაშავე ცდილობს სასურველი მიზნის მიღწევას – რაიმე მოქმედების შესრულებას ან მისგან თავის შეკავებას. მძევლად ხელში ჩაგდების ობიექტური მხარის სპეციფიკიდან გამომდინარე, იგი მოიცავს გამოძალვასაც

(მუხლი 181), მაშინ, როცა, თუ გამოძალვას ადგილი ექნება თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისას, დანაშაულთა ერთობლიობით მოხდება ქმედების კვალიფიკაცია.

საქართველოს სსკ 143-ე და 144-ე მუხლებთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა არც თუ ცოტაა, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ სახელმწიფო მასზე დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებას – ადამიანის პირადი თავისუფლების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად ჯეროვნად ვერ ასრულებს. 2005 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოებში განსახილველად შესული იყო უკანონო თავისუფლების აღკვეთის (მ.143) 113 სისხლის სამართლის საქმე და გამამტყუნებელი განაჩენი დადგინდა 61 საქმეზე, მძევლად ხელში ჩაგდების (მ. 144) 10 საქმე და განაჩენი დადგინდა 6 საქმეზე. 2006 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოებში სსკ 143-ე მუხლით შევიდა 174 სისხლის სამართლის საქმე და გამამტყუნებელი განაჩენი დადგინდა 150 საქმეზე, სსკ 144-ე მუხლით შევიდა 17 სისხლის სამართლის საქმე და ამდენივე გამამტყუნებელი განაჩენია დადგინილი. 2007 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოებში განსახილველად შესული იყო თავისუფლების უკანონო აღკვეთის 225 საქმე, გამამტყუნებელი განაჩენი დადგინდა 143 საქმეზე. საკმაოდ გაერცვლებული ფაქტია ქალის მოტაცება ცოლად შერთვის მიზნით. მაგალითად, 2004 წელს გამოქვეყნებულ სასამართლო გადაწყვეტილებებში რვა სისხლის სამართლის საქმე ვნახეთ აღნიშნული ბრალდებით.

როგორც სასამართლო პრაქტიკის გაცნობამ დაგვარწმუნა, რამდენადმე პრობლემურია სსკ 143-ე და 144-ე მუხლებს შორის მიჯნის გაულება. მოვიტან გამოქვეყნებული სასამართლო გადაწყვეტილებებიდან რამდენიმე პრეცედენტს:

დამნაშავეთა ჯგუფმა წინასწარი შეთანხმებით გადაწყვიტა ბაღდათის რაიონში მცხოვრები ნავთობის ბიზნესით დასაქმებული მ. ჩხეიძისათვის დიდი ოდენობით ფულის გამოძალვა. ამ მიზნის მისაღწევად მათ დაგეგმეს მისი 19 წლის ვაჟის გ. ჩხეიძის მოტაცება. 2003 წლის 15 მაისს, როდესაც გ. ჩხეიძე მეუღლესთან და მეგობრებთან ერთად საკუთარი ავტომანქანით ქუთაისიდან ბაღდათში ბრუნდებოდა ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღე-

ბულმა ნილბიანმა პირებმა გზა გადაუღობეს, აიძულეს ავტომანქანის გაჩერება, ფიზიკური ძალადობით და მუქარით ჩამოაგდეს ავტომანქანიდან. გამტაცებლებმა იგი მოათავსეს ავტომანქანის უკანა სალონში, თვალეზზე ჩამოაფარეს ნაქსოვი ქუდი და გაიტაცეს. თავისუფლება აღკვეთილი გ. ჩხეიძე გამტაცებლებმა მიიყვანეს თერჯოლის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, წინასწარ შერჩეულ საცხოვრებელ სახლში, ხელბორკილით დააბეს სახლის სარდაფში და თვალეზაზეული ამყოფეს 15 მაისის 18:45 საათიდან – 17 მაისის 14:30 საათამდე. დანაშაულის უშუალო ამსრულებლები გ. ჩხეიძის მობილური ტელეფონით დაუკავშირდნენ მამამისს – მ. ჩხეიძეს და შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ 2 მილიონი აშშ დოლარი მოსთხოვეს. დამნაშავეებმა შეძლეს მ. ჩხეიძისათვის 30000 აშშ დოლარის გამოძალვა.

მართალია, დანაშაულის უშუალო ამსრულებლებს ვერ მიაგნეს, მაგრამ ამ დანაშაულის ორგანიზაციაში (ორგანიზატორი) ბრალდებულის ა. კერვალიშვილის მოქმედება წინასწარმა გამოძიებამ და ქუთაისის საოლქო სასამართლომ შეაფასა როგორც თავისუფლების უკანონო აღკვეთა და გამოძალვა დამამძიმებელ გარემოებაში (სსკ 24-143-ე მუხლის მეორე ნაწილის ა,ბ,ზ,თ პუნქტები და 181-ე მუხლის მეორე ნაწილის ა,ბ,გ ქვეპუნქტები).

მართალია ა. კერვალიშვილის მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ საქმე შეწყვიტა, რადგან გ. ჩხეიძის მოტაცებაში მისი მონაწილეობა ვერ დამტკიცდა და ვარაუდის საფუძველზე იყო იგი მსჯავრდებული, მაგრამ არსად მსჯელობის საგნად არ ქცეულა ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის სისწორე. სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებებიდან ნათლად ჩანს, რომ აქ სახეზეა მძევლად ხელში ჩაგდება – საქართველოს სსკ 144-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 2005, №1. გვ.157-164).

ანალოგიური ვერდიქტი აქვს გამოტანილი თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას 2004 წლის 30 აპრილს. განაჩენით დადგენილია, რომ უშიშროების სამინისტროს ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს

მარნეულის რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილემ, ი. ჯალალოვმა, ორგანიზება გაუკეთა იმავე სამსახურის ოპერატიული თანამშრომლის ფ. გუმბათოვის გატაცებას მისი მამისათვის დიდი ოდენობით თანხის გამოძალვის მიზნით. 2002 წლის 26 დეკემბერს დამნაშავეთა ჯგუფმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და მუქარით გაიტაცა ფ. გუმბათოვი და 11 დღის განმავლობაში თავისუფლებადაღკვეთილი ჰყავდა ერთ-ერთი გამტაცებლის ბინაში. დამნაშავეები მობილური ტელეფონით დაუკავშირდნენ ფ. გუმბათოვის მამას – ს. გუმბათოვს და შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ მოსთხოვეს 250 000 აშშ დოლარი, რაზეც უარი მიიღეს. რამდენიმე დღის შემდეგ, სატელეფონო საუბრისას გამტაცებელი ს. გუმბათოვს დასთანხმდა 80 000 აშშ დოლარის გადახდაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა შვილის მოკვლით. ს. გუმბათოვმა აღნიშნული თანხა მართლაც გადაიხადა შვილის გამოსახსნელად (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, 2005, №4. გვ.76).

ი. ჯალალოვის მოქმედება დაკვალიფიცირდა სსკ 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტებით და 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით. ეს კვალიფიკაცია სადავოდ არ გაუხდია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

მე ვთვლი, რომ სასამართლომ არასწორი კვალიფიკაცია მისცა ი. ჯალალოვის ქმედებას. მან ჩაიდინა სსკ 144-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – მძევლად ხელში ჩაგდება.

იურიდიულად სავსებით დასაბუთებული განაჩენი გამოიტანა თბილისის საოლქო სასამართლომ 2004 წლის 6 დეკემბერს (№6 კოლ.), რომლითაც ჯ. ართმელიძე, ზ. ტომარაძე, გ. ჯობაძე, ტ. კაკაციძე და ა. დადიანი მსჯავრდებული არიან საქართველოს სსკ 144-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – მძევლად ხელში ჩაგდება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ანგარებით და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით.

განაჩენის მიხედვით მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: ჯ. ართმელიძემ და მისმა თანამზრახ-

ველებმა 2003 წლის იანვარში მოილაპარაკეს გაეტაცებინათ ზ. ჯიქია, ანგარების მოტივით მძევლად ჩაეგდოთ ხელში, აღეკვეთათ მისთვის თავისუფლება და გათავისუფლების სანაცვლოდ მისი ოჯახის წევრებისათვის გამოეძალათ ფული.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა გ. ჯობაძემ შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა, რომლითაც გატაცებული ზ. ჯიქია უნდა გადაეყვანათ. ტ. კაკაციძემ სპეციალურად ამ დანაშაულის ჩასადენად იქირავა ბინა ქ. თბილისში. ზ. ჯიქიას გატაცებისათვის ხელსაყრელი ვითარების შესარჩევად ჯ. ართმელიძე და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი პირები დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში სწავლობდნენ და უთვალთვალებდნენ ზ. ჯიქიას მოძრაობის მარშრუტს. 2003 წლის 14 მარტს დილით, ჯ. ართმელიძე და ჯგუფის სხვა წევრები წინასწარი შეთანხმების საფუძველზე აელევენ სახლიდან გამოსულ ზ. ჯიქიას, დაეწივნენ მ. ჯავახიშვილის ქუჩის ბოლოს, მოტყუებით გააჩერებინეს ავტომანქანა, შემდეგ კი ფიზიკური ძალადობით და მუქარით აღუკვეთეს თავისუფლად მოძრაობისა და გადაადგილების შესაძლებლობა, თავზე ჩამოაცვეს ქუდი და აუკრეს თვალები. იგი წაიყვანეს წინასწარ ნაქირავებ ბინაში და ხელბორკილით მიაბეს რკინის საწოლზე. იმავე საღამოს ანგარების მოტივით მძევლად ხელში ჩაგდებული ზ. ჯიქიას გათავისუფლების სანაცვლოდ ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა ზ. ტომარაძემ დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებთან შეთანხმებით ქ. თბილისის ცენტრალური ფოსტიდან დაურეკა ზ. ჯიქიას მამას, ბ. ჯიქიას და 10 დღის ვადაში 3 მილიონი აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ვაჟის მოკვლით დაემუქრა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, 2005, №1 გვ.174).

ამ საქმის ფაბულა და მისი იურიდიული კვალიფიკაცია სადავო არ არის, თუმცა ანალოგიური შინაარსის წინა ორ საქმეში სასამართლოს არასწორი კვალიფიკაცია აქვს მიცემული ჩადენილი ქმედებისათვის.

იმ შემთხვევაში, როცა შანტაჟის ადრესატი თავად თავისუფლება აღკვეთილი პირია და მისგან ცდილობენ ფულის გამოძალკას, ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით უნდა



მოხდეს – თავისუფლების უკანონო აღკვეთა და გამოძალავა.

ასე მაგალითად, თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 2004 წლის 5 ივლისის განაჩენით გ. ხურციძეს მსჯავრი დასდო შემდეგი დანაშაულისათვის: 2004 წლის იანვრის ბოლოს იგი დაუკავშირდა სხვა პირებს, მათთან ერთად გადაწყვიტა გაეტაცებინა საქართველოს პარლამენტის წევრი თ. გელაშვილი და ამ გზით მისთვის გამოეძალა ფული. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2004 წლის 31 იანვარს ხურციძე და მისი თანამზრახველები ქუთაისიდან ბორჯომში ჩავიდნენ, გათენებამდე გაჩერდნენ ბორჯომის ტურბაზა „პლატო“-ში. დილით, დაახლოებით 11 საათზე გ. ხურციძე და მისი ჯგუფის წევრები ბორჯომის რაიონის ერთ-ერთ სოფელში საავტომობილო ხიდთან დახვდნენ ჩითახეკესში მიმავალ თ. გელაშვილს, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, თავის მძლოლთან ერთად ჩამოსვეს პირადი ავტომანქანიდან და თავიანთი ავტომანქანით თვალეზახვეული მიიყვანეს იმავე ტურბაზის ერთ-ერთ კოტეჯში. მანქანაში თ. გელაშვილს და მის მძლოლს წაართვეს ტელეფონი და სხვა პირადი ნივთები.

გამტაცებლებმა თავისუფლება აღკვეთილ თ. გელაშვილს სამომავლოდ მოსთხოვეს 300 000 აშშ დოლარის გადახდა ქალიშვილის და მის მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარით. თ. გელაშვილისაგან თანხმობის მიღების შემდგომ, საღამოს დაახლოებით 18 საათზე, 6-7 საათის განმავლობაში უკანონოდ თავისუფლება აღკვეთილი თ. გელაშვილი და მისი მძლოლი თვალეზახვეულები დატოვეს პანსიონატის მოშორებით მდებარე ეკლესიის ნანგრევებთან, თვითონ კი მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, 2005, №1 გვ.154. ანალოგიური ვითარებაა ო. კუპრაავას მოტაცების ფაქტზე არსებულ სისხლის სამართლის საქმეში იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, 2004, №1 გვ. 12).

სასამართლომ გ. ხურციძის მოქმედება დააკვალიფიცირა თავისუფლების უკანონო აღკვეთად დამამძიმებელ გარემოებებში (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ორი პირის მიმართ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით,

სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით), ძარცვად დამამძიმებელ გარემოებებში და გამოძალვად.

ვფიქრობ, რომ ეს კვალიფიკაცია სწორია. თავისუფლების უკანონო აღკვეთა არ მოიცავს ნივთის ან ქონებრივი უფლების გამოძალვას და მას ცალკე შეფასება უნდა, მაშინ როცა მძევლად ხელში ჩაგდება თავის თავში მოიცავს გამოძალვასაც.

თუ მძევლად აყვანილი პირის გათავისუფლების სანაცვლოდ ხელისუფლების ორგანოთა იძულება ხდება გარკვეული მოქმედების შესასრულებლად, მაშინ სახეზეა მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით.

ორგანიზებულმა დანაშაულებრივმა ჯგუფმა გ. ბალავაძის ხელმძღვანელობით მძევლად აიყვანა პოლიციის მაღალჩინოსანთა შვილები და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ მოთხოვეს გ. ბალავაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის შეცვლა უფრო მსუბუქით. კერძოდ, 2001 წლის 3 ნოემბერს მძევლად აიყვანეს ზონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის პ. ხუროძის შვილი დ. ხუროძე და ამ უკანასკნელის გათავისუფლების სანაცვლოდ მოითხოვეს ჯგუფის მეთაურისათვის, პასუხისგებაში მყოფი გ. ბალავაძისათვის, აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის შეცვლა უფრო მსუბუქი ღონისძიებით. დამნაშავეებმა მიზანს მიაღწიეს; გ. ბალავაძე საპყრობილედან გაათავისუფლეს მძევლის გაშვების სანაცვლოდ. იმავე ბანდამ, 2002 წლის 2 თებერვალს მძევლად აიყვანა საქართველოს შსს სისხლის სამართლის სამმეზროს მთავარი სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსის ვ. კვაჭანტირაძის შვილი და მისი გათავისუფლების სანაცვლოდ მოითხოვეს გ. ბალავაძის საპყრობილედან გამოშვება. გამტაცებლებთან მოლაპარაკებას აღნიშნული სამმართველოს მაშინდელი ხელმძღვანელი აწარმოებდა. ამჯერად მძევალმა თავად დაიხსნა თავი ტყვეობიდან (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, 2004, №5. გვ.1137-1185).

ვფიქრობ, ორივე ეპიზოდში მუქარის ადრესატი ხელისუფლების ორგანოა, სწორედ მათზე ზემოქმედებით ცდილობდნენ კრიმინალები სასურველი მიზნის მიღწევას. ასეთ ვითარებაში ტერორიზმთან გვაქვს საქმე და არა 144-ე მუხლით გათვალ-

ისწინებულ დანაშაულთან (მძევლად ხელში ჩაგდება), როგორც ეს სასამართლომ ჩათვალა.

სსკ 143-144 მუხლებით აღწერილი დანაშაულები ხშირად დენადი ფორმით ხორციელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მოქმედებით ან უმოქმედობით დაწყებული ესა თუ ის კონკრეტული შემადგენლობა უბრალოდ კი არ გრძელდება დროში, არამედ განუწყვეტლივ ხორციელდება. დანაშაულის რეალიზაციის ნებისმიერ მომენტში, დაწყებიდან დამთავრებამდე სუბიექტი (ამსრულებელი) იმყოფება მისი ჩადენის მდგომარეობაში. თანაც განუწყვეტლივ ხორციელდება ერთი და იმავე დანაშაულის შემადგენლობა მთლიანად და არა მისი რომელიმე ერთი ელემენტი. რამდენადაც დენადი დანაშაულის ჩადენის დროს ადგილი აქვს დანაშაულის შემადგენლობის განუწყვეტელ განხორციელებას, იმდენად თანამონაწილეობა დენად დანაშაულში შესაძლებელია იმ მომენტამდე, ვიდრე დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება არ შეწყდება.

გამოქვეყნებულ სასამართლო გადაწყვეტილებებში ვნახეთ შემთხვევა, როცა ერთი და იმავე დენადი დანაშაულის თანამონაწილე პირების ქმედებას სხვადასხვა კვალიფიკაცია მიეცა. ასე, მაგალითად, ი. კორტავას მძევლად ხელში ჩაგდების საქმეზე სასამართლო განაჩენი დადგენილად თვლის, რომ დამნაშავეთა ჯგუფი წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდა, მაგრამ ამავე დროს, ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრის მ.ჭ.-შვილის მოქმედება უზენაესმა სასამართლომ გადააკვალიფიცირა სსკ 144-ე მუხლიდან 143-ე მუხლზე, რასაც ასეთი განმარტება მისცა: „მ.ჭ.-შვილი თავიდანვე არ მონაწილეობდა ი. კორტავას მძევლად ხელში ჩაგდებაში და ამ დანაშაულში იგი ჩაერთო იმ ეტაპზე, როდესაც იგი სამართლებრივად დასრულებული იყო, მაგრამ დროში სხვა შემადგენლობის სახით (თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა) კვლავ მიმდინარეობდა და დანაშაულებრივი ქმედების საბოლოო მიზანი ჯერ კიდევ მიღწეული არ იყო. მ.ჭ.-შვილი დანაშაულში ჩაერთო მას შემდეგ, რაც იგი ს.გ.-ის მითითებით გამოცხადდა ბინაში, სადაც მიყვანილი ჰყავდათ მძევალი. მხოლოდ ამ ეტაპიდან ერთგება მ.ჭ. აღნიშნულ დანაშაულში, როდესაც ეს დანაშაული დროში, მართალია, ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით უკვე მა-

ნამადე იყო დამთავრებული. როდესაც ს.გ.-მა იგი მიიწვია შესაბამის მისამართზე, მას ისიც აცნობა, თუ რაში სჭირდებოდა მისი დახმარება, ამიტომ მსჯავრდებულმა მ.ჭ.-მ პასუხი უნდა აგოს არა მძევლად ხელში ჩაგდებისათვის, არამედ იმ ქმედებისათვის, რაც მან, ფაქტობრივად, ჩაიდინა და გამოიხატა ი. კორტავას თავისუფლების უკანონო აღკვეთაში ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, აგრეთვე, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, რასაც მ.ჭ. სხვა პირებთან ერთად მიმართავდა ი. კორტავას (მძევლის) დასაშინებლად, როდესაც ამ უკანასკნელს დარაჯობდა ს.გ.-ს დავალებით<sup>1</sup>.

უფიქრობ, უზენაესმა სასამართლომ არასწორად განმარტა დენადი დანაშაულის არსი. თუკი სასამართლო დადგენილად თვლის, რომ ჯგუფი წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდა და ეს ფაქტი პრეუდიციულად ჩაითვალა ამავე დანაშაულისათვის მოგვიანებით მსჯავრდებულ მ. ტვილდიანის განაჩენში, მაშინ იმავე ჯგუფის მონაწილე მ.ჭ.-ს მოქმედება რატომ გადაკვალიფიცირდა სსკ 143-ე მუხლით, იგი ხომ იმავე დანაშაულის თანამონაწილეა, რომელსაც ჯგუფის სხვა წევრები ახორციელებდნენ? უზენაესი სასამართლო თავის განმარტებაში თავად აღნიშნავს, რომ როცა მ.ჭ. ჩაერთო დაწყებულ დანაშაულში მას ს.გ.-მა აუხსნა თუ რაში სჭირდებოდა მისი დახმარება, ამდენად მას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ სსკ 144-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში (მძევლად ხელში ჩაგდება) იღებდა მონაწილეობას. სსკ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად როცა ამსრულებლის ან თანამონაწილის მხარეს არის ისეთი ნიშანი, რომელიც ახასიათებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ ეს ნიშანი შეერაცხება სხვა ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომლის მხარესაც იგი არ არსებობდა, თუ მას ეს ნიშანი შეცნობილი ჰქონდა. ამდენად, არასწორია სასამართლოს მსჯელობა, რომ მძევლის ხელში ჩაგდებით დანაშაული სამართლებრივად დასრულდა, მაგრამ დროში სხვა შემადგენლობის სახით – თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის სახით კვლავ მიმდინარეობდა და დანაშაულებრივი

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005-2006 წლების გადაწყვეტილებების განმარტებული ნორმებისა და გარემოებების კრებული. თბ. 2006. გვ. 124-125.

ქმედების საბოლოო მიზანი ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული.

ჯერ ერთი, მძევლად ხელში ჩაგდება თავის თავში მოიცავს თავისუფლების უკანონო აღკვეთას და მეორეც, ვიდრე მძევალი არ გათავისუფლდება სწორედ 144-ე მუხლით აღწერილი დანაშაულის შემადგენლობა ხორციელდება უწყვეტად და არა 143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – თავისუფლების უკანონო აღკვეთა; ამდენად, მძევლად ხელში ჩაგდებით, „სამართლებრივად“ სრულებითაც არ მთავრდება დანაშაული, ადამიანის მძევლად აყვანის ფაქტი გვაძლევს 144-ე მუხლის დასრულებულ შემადგენლობას, რომელიც უწყვეტად (ე.ი. დენადი ფორმით) გრძელდება მანამდე, ვიდრე მძევალი არ იქნება გათავისუფლებული. ამავ დროს, დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს მძევლის გათავისუფლების პირობა შესრულება თუ არა.

ამგვარად, დენადი დანაშაულის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ მისი განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, ვიდრე იგი არ დასრულდება, შესაძლებელია მასში თანამონაწილეობა. ამ დანაშაულის ამსრულებლად ჩაითვლება არა მარტო ის, ვინც უშუალოდ მძევლად აიყვანა ადამიანი, არამედ ისიც, ვინც ასრულებდა დანაშაულის ობიექტური მხარის თუნდაც გარკვეულ ნაწილს, მაგალითად, დარაჯად ედგა მძევლად აყვანილს და სხვა.

რამდენადაც ზემოაღნიშნულ პრეცედენტში მ.ჭ-შვილი დენადი დანაშაულის დამთავრებამდე ჩაერთო მასში, ამდენად იგი თანამონაწილე გახდა მძევლად ხელში ჩაგდების დანაშაულისა, რასაც სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა თბილისის საოლქო სასამართლომ და მცდარად გადააკვალიფიცირა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ.

ანალოგიური შეცდომა დაუშვა დენადი დანაშაულის კვალიფიკაციაში გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ, რომელმაც 2002 წლის 22 იანვრის განაჩენით ზ.ტ. და ს.ჩ. დამნაშავედ ცნო გამოძალვაში. საქმის არსი შემდეგში მდგომარეობდა: დამნაშავეთა ჯგუფმა ესპანეთში სამუშაოდ მყოფი გ.ზ. მძევლად აიყვანა და საქართველოში მყოფი თანამონაწილეების მეშვეობით ფული გამოსძალა მის მამას ვ.ზ.-ს. გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ

საქართველოში მყოფი თანამონაწილეების მოქმედება გამოძალვად შეაფასა, რაც, ჩემი აზრით, არასწორია. ეს ქმედება არის მძევლად ხელში ჩაგდების კლასიკური მაგალითი, რომელიც დისტანციური დელიქტის სახით განვითარდა, კერძოდ, მოქმედება განხორციელდა ესპანეთსა და საქართველოში, მძევალი ესპანეთში აიყვანეს, ფული კი, საქართველოში გამოსძალეს. საქართველოში განხორციელებული გამოძალვა არის ესპანეთში დაწყებული მძევლად ხელში ჩაგდების, დენადი დანაშაულის გაგრძელება, რომელიც მოიცავს გამოძალვასაც. დანაშაულის ადგილის განსაზღვრის დროს საქართველოს სსკ აღიარებს სუყველგანობის პრინციპს, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად ჩაითვლება, თუ ის დაიწყო, გრძელდებოდა, შეწყდა ან დამთავრდა საქართველოს ტერიტორიაზე (სსკ მ. 4).

## მუხლი 144<sup>1</sup>. წამება

1. წამება, ესე იგი პირისათვის, მისი ახლო ნათესავისათვის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის, —

ისჯება თავიუფლების აღკვეთით ვადით შეიდიდან ათ წლამდე, ჯარიმით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- ა) მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ;
- ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
- გ) არაერთგზის;
- დ) ორი ან მეტი პირის მიმართ;
- ე) ჯგუფურად;
- ვ) აღამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარე-

ბლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის გამო;

ზ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ;

თ) შეკვეთით;

ი) მიველად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე.

(საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი — საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I, 2005, №38, მუხ. 250)

(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი — სსმ I, 2006, №14, მუხ. 90)

(საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი — სსმ I, 2006, №37, მუხ. 271)

წამების აკრძალვა მოცემულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ჰუმანიტარული სამართლის მრავალ ხელშეკრულებაში. იგი ასევე განიხილება, როგორც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი. მას მინიჭებული აქვს განსაკუთრებული სტატუსი — *jus cogens*<sup>1</sup>, რაც წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის „იმპერატიულ ნორმას“, რაც იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები იურიდიულად სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსათვის მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფოს არა აქვს რატიფიცირებული მოცემული ხელშეკრულება. *jus cogens*-ის პრინციპს არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის სხვა ნორმები<sup>2</sup>.

1 საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის 53-ე მუხლის თანახმად, *jus cogens*-ად მიჩნეულია საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმა, რომელიც საყოველთაოდ არის აღიარებული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ და რომლიდანაც დაუშვებელია გადახვევა.

2 იხ. კ. ფოული, წამების დასამარაცხებლად, 2003, გვ. 29

წამების აკრძალვა განსაკუთრებით აქტუალური მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებათა შემდგომ გახდა, კერძოდ, საერთაშორისო საზოგადოებამ ადამიანების წამებისაგან დასაცავად განავითარა ერთგვარი სტანდარტები, რომლებიც ეხება მსოფლიოს ყველა სამართლებრივ სისტემას. სტანდარტები ითვალისწინებენ სამართლებრივ სისტემათა არსებულ მრავალფეროვნებას და ადგენენ მინიმალურ გარანტიებს, რომლებსაც უნდა უზრუნველყოფდეს თითოეული ქვეყნის სამართლებრივი სისტემა. სწორედ ამიტომ, წამების აკრძალვის ფუნდამენტურ მნიშვნელობას მრავალი საერთაშორისო აქტი აღიარებს<sup>1</sup>:

- 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლი;
- 1949 წლის ჟენევის ოთხი კონვენციისათვის საერთო მე-3 მუხლი;
- 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი;
- 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-7 მუხლი;
- „წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის საწინააღმდეგო“ გაეროს 1984 წლის კონვენცია;
- „წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვის“ 1987 წლის ევროპული კონვენცია;
- 1998 წლის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუსი.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ეს დოკუმენტი სხვადასხვა დროს იქნა რატიფიცირებული საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს — პარლამენტის მიერ, რაც იმას გულისხმობს, რომ წამების აკრძალვის შესახებ საერთაშორისო აქტები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს აკისრებთ არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას —

---

<sup>1</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, 2004, გვ. 143



თავად არ მოახდინონ წამება, არამედ, — პოზიტიურ ვალდებულებასაც. კერძოდ, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი წამების, არაადამიანური ან ღირსების დამამცირებელი მოპყრობის შესახებ, სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა აწარმოონ მიუკერძოებელი, ეფექტური და სრულყოფილი გამოძიება ამგვარ ქმედებებში მხილებული პირების გამოსავლენად.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ მრავალჯერ განმარტა, რომ მე-3 მუხლი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე ფუძემდებლური ფასეულობის დაცვას ითვალისწინებს. იგი უპირობოდ კრძალავს წამებას, არაადამიანურ და ღირსების დამამცირებელ მოპყრობასა თუ სასჯელს და მისი გარანტიები პირზე, მისი გასაკიცხი საქციელის მიუხედავად, ვრცელდება<sup>1</sup>.

ქვეყნის უმაღლესი ნორმატიული აქტი, საქართველოს კონსტიტუცია, წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ადამიანის მიმართ წამება და სხვა არაადამიანური მოპყრობა არ დარჩეს სახელმწიფოს მხრიდან დაუსჯელი. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დადგენილია:

1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.

2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.

3. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლი და წამების აკრძალვის შესახებ გაეროს კონვენციის 1-ლი მუხლი, აბსოლუტური უფლების სახით აცხადებს წამების, არაადამიანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახვი მოპყრობის დაუშვებლობას. აბსოლუტური და დაუშვებელია მისი

---

1 იხ. Ahmed v. Austria, 17 Dezember, 1966; Chahal v. the United Kingdom, 14 November, 1996

შეზღუდვა ან მისგან გადახვევა<sup>1</sup>. წამების აკრძალვის გზით ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა – ეს არის ის უნივერსალური ღირებულებები, რომლებიც დაცულია და განმტკიცებულია საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობებით<sup>2</sup>. აბსოლუტურობა გულისხმობს არა მარტო კანონით მისი შეზღუდვის დაუშვებლობას, არამედ, აგრეთვე, გადახვევისა და შეზღუდვის აკრძალვას თვით საგანგებო და საომარი მდგომარეობის არსებობის დროსაც. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ აბსოლუტურობის პრინციპიდან ერთგვარი გადახვევა იყო საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლის შინაარსი, როდესაც იგი საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს მე-18 მუხლის მე-4 პუნქტში მოცემული აკრძალვიდან („დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფალშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება“) გადახვევას შესაძლებლად მიიჩნევდა, მაშინ, როცა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლი, რომელიც ასევე საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს კონვენციით გარანტირებული უფლებებიდან და თავისუფლებებიდან გარკვეულ უკან დახევას უშვებს, წამებასთან მიმართებაში სახელმწიფოს მხრიდან ასეთი გადახვევის დაწესებას კატეგორიულად გამორიცხავს. ეს ერთგვარი საკანონმდებლო ხარვეზი 2006 წლის 27 დეკემბერს განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებით აღმოიფხვრა. კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი, ხოლო ის ფუნდამენტური პრინციპი კი, რომ დაკავებულ და სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირზე დაუშვებელია ფიზიკური ან ფსიქიკური ზეწოლა, კონსტიტუციის მე-17 მუხლს მე-3 პუნქტის სახით დაემატა.

მართალია, საერთაშორისო სამართლის თანახმად, წამების გამოყენების საყოველთაო უარყოფამ წამების აკრძალვას აბსოლუტური ხასიათი შესძინა, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი უფლებათა დამცველი ორგანიზაციების ინფორმაციით, საქა-

---

1 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეკედენტული სამართალი, 2004, გვ. 142

2 იხ. R. Marx, Kritische Justiz, 2004, გვ. 278

რთველოს რეალობაში ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ვალდებული არიან, დაიცვან კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, პირიქით, ადამიანის უფლებათა უხეშ დამრღვევებად გვევლინებიან. თუ გადავხედავთ გასული წლების სტატისტიკას, ციფრები აშკარად არაადამიანურ ფილემბელია: მაგალითად, 2004 წლის მეორე ნახევარში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მარტო თბილისში წამებას, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას დაექვემდებარა 1100 ადამიანზე მეტი. თუკი აღნიშნულ ციფრებს გენერალური პროკურატურის 2004-2005 წლების სტატისტიკასთან შევადარებთ, ნათლად დავინახავთ, რომ პოლიციის თანამშრომელთა მიერ მოქალაქეთა ცემისა და წამების 124 ფაქტზე დაიწყო გამოძიება, 24 სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ იქნა 42 პოლიციელი, 22 სისხლის სამართლის საქმეზე აღკვეთის ღონისძიება შეეფარდა 38 პოლიციელს, 9 სისხლის სამართლის საქმეზე 18 პოლიციელის მიმართ სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა<sup>1</sup>.

2006 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გამოცემულ ოფიციალურ საინფორმაციო ფურცელში „პირთა ცემა-წამებისა და უკანონო დაკავების ფაქტებთან დაკავშირებით“ ვკითხულობთ, რომ მარტო 2006 წელს აღნიშნულ უწყებაში პოლიციელების მიერ ჩადენილ წამების ფაქტებზე წინასწარი გამოძიება დაიწყო რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე. კერძოდ, ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის მიხედვით, 2006 წლის 19 აპრილს მცხეთის რაიონის პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე პატიმარ მ. თ.-ს ქ. თბილისის №5 საპყრობილეში სხეულის დაზიანებით შესახლების ფაქტთან დაკავშირებით. აღნიშნული პიროვნება 2006 წლის 15 მარტს მცხეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში იქნა მო-

---

<sup>1</sup> საქართველოს წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტები კვლავაც აღინიშნება. იხ. Amnesty International, 2005 წლის 23 ნოემბერი. იხ. აგრეთვე, საქართველოს გენერალური პროკურატურა 2004-2005, ნაბიჯი დემოკრატიული პრაქტიკისაკენ, გვ. 31-32

თავსებული. ექიმის მიერ შემოწმებისას, მას მარჯვენა ტერფის არეში აღენიშნებოდა შესიება. მისივე განმარტებით, მან თითქოს დაზიანება მიიღო დაკავებამდე საყოფაცხოვრებო ვითარებაში, რაც უფლებადამცველებისთვის ნაკლებად დამაჯერებელი იყო.

2006 წლის 9 იანვარს ქუთაისის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ბაღდადის შს რაიონული განყოფილების თანამშრომლების მიერ გ. ც.-ს წამების ფაქტზე. 2006 წლის 31 მაისს გამოტანილ იქნა დადგენილება სსსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ა“ ქვეპუქტით სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის თაობაზე.

2006 წლის 19 მაისს ისანი-სამგორის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულ ე. ჯ.-ს წამების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუქტებით. წინასწარ გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო დაზარალებულ ე. ჯ.-ს დაკითხვის ოქმი, სადაც მან განაცხადა, რომ პოლიციის თანამშრომელმა დაკითხვისას მას მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, რა დროსაც ე. ჯ.-მა დაკარგა გონება და იგი თბილისის №1 საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით კი, დადგენილი იქნა, რომ 2006 წლის 12 აპრილს ე. ჯ. დაკავების ადგილიდან გადაიყვანეს ისანი-სამგორის რაიონის შს პირველ განყოფილებაში, სადაც მას წარედგინა ბრალდება. ბრალდების წარდგენის შემდეგ, მას დაემართა ეპილეფსიური შეტევა და იატაკზე დაეცა, რის შემდეგაც, იგი გადაყვანილ იქნა თბილისის №1 საავადმყოფოში.

2006 წლის 28 სექტემბერს რუსთავის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, ქვემო ქართლის შს სამსახურის თანამშრომლების მიერ დანაშაულის აღიარების მიზნით გ. რ.-ს წამების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუქტებით. გამოძიებით დადგინდა, რომ 2006 წლის 16 სექტემბერს გ. რ. დაკავებულ იქნა ქურდობისათვის და იმავე დღეს მოთავსდა გარდაბნის დროებითი დაკავების

იზოლატორში. პროკურორთან შეხვედრისას მან განაცხადა, რომ დაკავებამდე მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს პოლიციის თანამშრომლებმა, რაც დადასტურდა ასევე, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით. საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა პოლიციის თანამშრომლებმა აღნიშნული ფაქტები უარყვეს.

ზემოთ მოყვანილ ფაქტებზე, ზოგ შემთხვევაში, გამოძიება შეწყდა, სხვა შემთხვევაში კი, საქმე სასამართლოში წარიმართა წამების ბრალდებით და გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი წარდგენილი ბრალდების ფარგლებში.

უფლებადამცველები მიიჩნევენ, რომ წამებისათვის დაუსჯელობის პრობლემა მწვავედ დგას საქართველოში. სასჯელალსრულების დაწესებულებებში არასახარბიელო მდგომარეობაზე ნათლად მიუთითებს ევროსაბჭოს მონიტორინგის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის 2007 წლის 25 ოქტომბრის ანგარიშიც, სადაც აღნიშნულია, რომ თავისუფლების აღკვეთის მრავალ დაწესებულებაში არსებული პირობები არაადაკმაყოფილებელია. კერძოდ, თბილისის №5 საპყრობილეში „პატიმრობის პირობები... არააადამიანურ და ღირსების შემლახავ პირობებს უტოლდება და, როგორც ასეთი, ცივილიზირებული საზოგადოებისთვის შეურაცმყოფელია“<sup>1</sup>.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ჯანმრთელობის დაცვის კონტექსტში ევროპულმა კომისიამ და ევროპის სასამართლომ ბევრჯერ აღნიშნეს, რომ ადეკვატური სამედიცინო მკურნალობის უზრუნველყოფის არარსებობა შესაძლოა, მე-3 მუხლის საწინააღმდეგო იყოს<sup>2</sup>. წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის აღმოფხვრის მხრივ საქართველოში არსებულ პრობლემებს მოწმობს ის ფაქტი, რომ, 2005 წლის მდგომარეობით, საქართველოს წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლოში შეტანილ განაცხადებთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლოდან გამოგზავნილი 34 განაცხადიდან 12 სწორედ ადამიანის უფლებათა

1 იხ. 2007 წლის 25 ოქტომბრის ანგარიში: „წამების საწინააღმდეგო ორგანო საქართველოს აკრიტიკებს, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები საქართველოს წამების აღკვეთისკენ მოუწოდებენ“.

2 იხ. Kottala v. the Netherlands, 1998; Herzegfalvy v. Austria 24 September, 1992

ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით (წამების აკრძალვა) გარანტირებული უფლების სავარაუდო დარღვევას ეხებოდა. ამასთან, საქმეზე – „შამაევი და 12 სხვა პირი საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“ – 2005 წლის 12 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებაში სტრასბურგის სასამართლომ ევროპული კონვენციის სხვა მუხლებთან ერთად მე-3 მუხლის დარღვევაც დაადგინა<sup>1</sup>. ანალოგიური გადაწყვეტილებაა გამოტანილი საქმეზე – „დანიელია საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც სასამართლომ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაზე მიუთითა<sup>2</sup>. ერთ-ერთი ბოლო გადაწყვეტილება კი, რომელიც ევროპულმა სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ გამოიტანა, იყო საქმეში – „მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“. 2006 წლის თებერვალში ევროპის სასამართლომ განმცხადებლის ადვოკატის მოთხოვნის საფუძველზე დაავალდებულა საქართველოს სახელმწიფო, განმცხადებელი, მისი მძიმე მდგომარეობის გამო, გადაეყვანა ციხის საავადმყოფოში, ვინაიდან დაზარალებულს სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებების სხვადასხვა ნიშნები, მიღებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში<sup>3</sup>.

რაც შეეხება წამების აკრძალვასთან დაკავშირებით ბოლო დროს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, უნდა ითქვას, რომ ამით ერთგვარად პოზიტიური ნაბიჯები გადაიდგა ამ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით. კერძოდ, ცვლილებები შეეხო როგორც სისხლის სამართლის საპროცესო, ისე მატერიალურ კანონმდებლობას.

მართებული იქნება, თუ მოკლედ შევეხებით სისხლის სამარ-

---

1 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი საქმეზე №36378/02 შამაევი და 12 სხვა საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ, სტრასბურგი, 2005 წლის 12 აპრილი

2 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი საქმეზე №68622/01 დანიელია საქართველოს წინააღმდეგ, სტრასბურგი, 2006 წლის 17 ოქტომბერი

3 იხ. „როგორ გამოვიყენოთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ქვეყნის შიდა სამართალწარმოებაში“, მომზადებული ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ, 2006

თლის საპროცესო კანონმდებლობას და აღნიშნავთ, რომ წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მეორე ზოგადი ანგარიშის მიხედვით, წამების აკრძალვასთან და საყოველთაო აღმოფხვრასთან დაკავშირებით ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლებას შემდეგი საერთაშორისო სტანდარტებისა და გარანტიების გათვალისწინება დაევალა: (ა) დაპატიმრებული პირის უფლება, რომ შეატყობინოს თავისი არჩევანისამებრ მესამე მხარეს მისი დაპატიმრების შესახებ (იგულისხმება ოჯახის წევრები, მეგობრები, და ა.შ.); (ბ) ადვოკატის ხელმისაწვდომობა; (გ) დაპატიმრებული პირის უფლება, მოითხოვოს სამედიცინო შემოწმება მის მიერვე არჩეული ექიმის მიერ.

მას შემდეგ, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2003 წლის 29 იანვარს არაკონსტიტუციურად გამოაცხადა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ცალკეული დებულებები, 2004-2005 წლების ცვლილებებმა გარკვეულწილად ამოავსო ის ხარვეზი, რომელიც შეუსაბამო იყო საქართველოს მიერ წამების სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადების ვალდებულებასთან. აღნიშნულმა ცვლილებებმა კიდევ უფრო განამტკიცა საკანონმდებლო დონეზე არასათანადო მოპყრობის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლობის შესაძლებლობა<sup>1</sup>.

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლის სამართლებრივ ბუნებას, თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი ნორმა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ნოვაციას წარმოადგენს<sup>2</sup>. ადრე მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში (1960 წ.) წამებას 116-ე მუხლი ეძღვნებოდა. ამ მუხლის მიხედვით, წამების შემადგენლობა ცემის შემადგენლობასთან ერთად ერთ ნორმას გვაძლევდა, რაც ყოველმხრივ გაუმართლებელი იყო. შემდგომში კი, როცა მიღებული იქნა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი (1999 წ.), წამების შემადგენლობამ უკვე 126-ე მუხლში გადაინაცვლა, მაგრამ არც ეს მუხლი შეესაბამებოდა წამების საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ დეფი-

1 იხ. კ. ფოული, წამების დასამარაცხებლად, 2003, გვ. 253-254

2 იხ. ნ. თოდუა წიგნში: მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გიერეჩაძე, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, მე-3 გამოცემა, 2008, გვ. 236

ნიციას. გარკვეულწილად ამაზე მეტყველებს სასამართლო პრაქტიკაც. კერძოდ, პირის ქმედებაში ცემის დანაშაულის ნიშნების დადგენის შემთხვევაში, ცემასთან ერთად მის ქმედებას წამების შემადგენლობაც ემატებოდა, მაგრამ ხშირად მითითებული არ იყო წამების შესაბამისი მუხლი, მაშინ, როცა ეს ცალკე შემადგენლობის, 126-ე მულის, სახით არსებობდა.

ერთ-ერთ საქმეზე, სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2002 წლის 20 მაისის განჩინებით უცვლელად დატოვა მსჯავრდებულ ზ. ჯ.-ს მიმართ მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი. ზ. ჯ.-ს ბრალი ედებოდა სსკ-ის 237-ე მუხლის პირველის ნაწილის, 236-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილების და 125-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში. საქმის გარეობებიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ 2001 წლის 28 ნოემბერს მთვრალმა ზ. ჯ.-მ სახლში ყოფნისას სცემა დედ-მამას, მიაყენა მათ სხეულის მსუბუქი დაზიანება, ჯანმრთელობის მოუშლელად, შემდეგ გატეხა კარადა და მართლ-საწინააღმდეგოდ დაეუფლა მამის ცეცხლსასროლ იარაღს<sup>1</sup>.

ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ გამოტანილ განაჩენში, რომლითაც გაუქმებულ იქნა რაიონული სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ ე. წ.-ს მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი. მას მსჯავრი დაედო სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. კერძოდ, 2001 წლის 20 მაისს ქ. თბილისში მდებარე ერთ-ერთი სახლის ეზოში, სცემა თ. შ.-ს, მან ჯერ თავში ჩაარტყა ხელი, შემდეგ კი ფეხი მიარტყა ბარძაყის არეში, რითაც მიაყენა ტკივილი<sup>2</sup>. სასამართლოს გადაწყვეტილებებში მითითება იმაზე, რომ ეს ქმედებები ჩადენილ იქნა წამებით, არა-

---

1 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 1 მაისის №111-აპ გადაწყვეტილება, წიგნში: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, №9, გვ. 1141

2 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 24 მარტის №117-აპ გადაწყვეტილება, წიგნში: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2003, №6, გვ. 758



დამაჯერებელია, ვინაიდან, წამებას სისხლის სამართლის კოდექსი ცვლილებებამდე განმარტავდა, როგორც სისტემატურ ცემას ან სხვაგვარ ძალადობას, რაც დაზარალებულის ძლიერ ფიზიკურ და ფსიქიკურ ტანჯვას იწვევდა. ეს მომენტები კი, ზემოთ მოყვანილ სასამართლო პრაქტიკის მაგალითებში საერთოდ არ იკვეთება. ამასთან, მიუხედავად წამებაზე მსჯელობისა, არც სსკ-ის 126-ე მუხლზეა სასამართლო გადაწყვეტილებებში მითითებული.

ყოველივე ეს გამოწვეული იყო იმით, რომ წამების სისხლის-სამართლებრივ დასჯალობასთან მიდგომა არ იყო საერთაშორისო სასამართლებრივი დებულებების შესაბამისი და მისი აღრევა ხდებოდა ცემის, ჯანმრთელობის დაზიანების და სხვა შემადგენლობებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიღების შედეგად, წამების დეფინიცია ცალკე მუხლად იქნა ჩამოყალიბებული და იგი 2005 წლის 23 ივნისის კანონის ამოქმედებამდე 126-ე მუხლის სახით იყო გათვალისწინებული. ამ მუხლის შინაარსი კი, ხშირად გამხდარა საერთაშორისო საზედამხედველო, თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან კრიტიკის ობიექტი, ვინაიდან კოდექსის ადრე მოქმედი 126-ე მუხლი წამებას განმარტავდა, როგორც სისტემატური ცემა ან სხვაგვარ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. ნათელი იყო, რომ წამების აღნიშნული დეფინიცია ვერ გადმოსცემდა წამების სრულ შინაარსს, რაც გამომდინარეობდა საერთაშორისო ნორმებიდან, რადგან, ჯერ ერთი, იგი გულისხმობდა სისტემატურ ქმედებას (ცემას ან ძალადობას), მაშინ, როდესაც ერთჯერადად განხორციელებული განსაკუთრებით სასტიკი მოპყრობა მრავალჯერ იქნა დაკვალიფიცირებული საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოების მიერ როგორც წამება<sup>1</sup>. მაგალითად, დენის მიერთება დაკავებულზე, გაუპატიურება და სხვ. ამ მუხლში მთავარი აქცენტი გადატანილი იყო იმაზე, რომ ამ ქმედებას არ უნდა მოჰყოლოდა ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, რაც არ

---

1 იხ. რიბიჩი ავსტრიის წინააღმდეგ, სტრასბურგი, 1995 წლის 4 დეკემბერი

არის მნიშვნელოვანი წამების აკრძალვის საერთაშორისო დეფინიციისათვის. თუ ასეთი შედეგი დადგებოდა, ქმედების კვალიფიკაცია ხდებოდა სსკ-ის 117 ან 118-ე მუხლით. რაც მთავარია, 126-ე მუხლში არ იყო ასახული წამების დანაშაულის სპეციფიკა, რაც გამოიხატება დანაშაულის მიზნის არსებობაში: ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება და ა.შ. გარდა ამისა, აღნიშნული მუხლი ასევე ვერ აკმაყოფილებდა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის სხვა მოთხოვნებს.

2005 წლის 23 ივნისის კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილების შედეგად, კოდექსის 126-ე მუხლს შეეცვალა სახელწოდება და ადრე წამებად განსაზღვრული ქმედება დეფინირებული იქნა, როგორც ძალადობა, ხოლო კოდექსის 144<sup>1</sup>-ე, 144<sup>2</sup>-ე და 144<sup>3</sup>-ე მუხლებით განისაზღვრა წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შემადგენლობები<sup>1</sup>. ამასთან, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ პრაქტიკაში წამების მუხლის გამოყენება იშვიათად, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ხდება. 2006 წლის ოფიციალური მონაცემებით, ამ მუხლით აღძრული იყო 29 სისხლის სამართლის საქმე, თუმცა მათი უმრავლესობა წინასწარი გამოძიების ეტაპზევე შეწყდა ან გადაკვალიფიცირდა სხვა მუხლებზე, მაგალითად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (სსკ-ის 333-ე მუხლი), განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება (სსკ-ის 335-ე მუხლი) და ა.შ., ასევე ამ მუხლით სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა არის იშვიათი<sup>2</sup>.

ერთ-ერთ ასეთ საქმეზე, თბილისის სააპელაციო სასამართ-

---

1 იხ. კ. ფოული, წამების დასამარცხებლად, 2003, გვ. 256

2 იხ. წამების საწინააღმდეგო კომიტეტისათვის ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მიმართული ალტერნატიული ანგარიში: არასამთავრობო ორგანიზაცია: „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“, 2006 წლის აპრილი

ლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2008 წლის 25 სექტემბერის განაჩენით უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი პოლიციის ინსპექტორ-გამომძიებლების მ. ჩ.-ს, ლ. გ.-სა და გ. კ.-ს მიმართ. მათ ბრალად ედებოდათ სსკ-ის 144<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“, „ზ“ ქვეპუნქტებითა და 341-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენა. მსჯავრდებულებს შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა 11, 11 და 9 წლის ვადით.

მსჯავრდებულები 2007 წლის 13 აპრილისათვის მუშაობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი რაიონული სამმართველოს კრიმინალური პოლიციის ჯგუფის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობებზე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის თანახმად, ისინი წარმოადგენდნენ მოხელეებს.

2007 წლის 13 აპრილს, საღამოს, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა ა. ხ.-მა ძალადობითა და ძალადობის მუქარით, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, გამოხატა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივეცემლობა, ჩამტვრია ერთ-ერთი ჯიხურის მინები, რა დროსაც მან მიიღო მარჯვენა ხელის დაზიანება. ამის შემდეგ, იგი მივიდა იქვე მცხოვრები მისი ნაცნობის საცხოვრებელ ბინაში, რათა მისთვის პირველადი დახმარება აღმოეჩინათ. რამდენიმე წუთში მოვიდნენ ინსპექტორ-გამომძიებლები. განაჩენის მიხედვით, მისვლისთანავე მათ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ჯგუფურად, მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისთვის დასჯის მიზნით, დაკავებულ ეჭვმიტანილს ხელებითა და ფეხებით მიაყენეს სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანებები. ამის შემდეგ, ეჭვმიტანილი ფიზიკური ძალის გამოყენებით გაათრიეს გარეთ, დააგდეს ასფალტზე, სადაც ამ უკანასკნელს კვლავ მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც თავისი ხასიათით, ინტენსივობითა და ხანგრძლივობით იწვევდა ძლიერ ფიზიკურ ტკივილს და შეიცავდა წამების შემადგენლობის ნიშნებს. ეჭვმიტანილის სახით დაკავების შემდეგ იგი ავტომანქანით გადაიყვანეს პოლიციის სამმართველოს ერთ-ერთ განყოფილებაში, სადაც ინსპექტორ-გამომძიებლებმა ეჭვმიტანილის დაკავების ოქმში გააკეთეს ყალბი ჩანაწერი, თითქოს იგი დაკავებულ იქნა შემთხვევის ადგილას,

დანაშაულზე წასწრების დროს, თვითმხილველების თანდასწრებით. მეორე დღეს, 2007 წლის 14 აპრილს, ა.ხ. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, სასწრაფო დახმარების მანქანით პოლიციის განყოფილებიდან გადაყვანილ იქნა სამედიცინო ცენტრის კლინიკაში, სადაც, მიუხედავად გაწეული დახმარებისა, მეორე დღეს, 15 აპრილს გარდაიცვალა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ა.ხ.-ს „სხეულზე არსებული დაზიანებები სიკვდილის დადგომასთან მიზეზობრივ კავშირში არ იმყოფებიან“, მისი გარდაცვალების მიზეზია: „ზოგადი მწვავე სისხლნაკლებობა, რომელიც განვითარდა საყლაპავის ვარიკოზულად გაგანიერებული ვენებიდან და საყლაპავის ქვედა მესამედსა და კუჭის კარდიალურ ნაწილში არსებული მრავლობითი ეროზიული უბნებიდან სისხლდენის შედეგად“. სააპელაციო საჩივრებში დაცვის მხარემ მოითხოვა გამართლება, ხოლო ერთ-ერთმა მსჯავრდებულმა – ბრალდების სსკ-ის 123-ე მუხლზე გადაკვალიფიცირება, რაც სამართლებრივად დაუსაბუთებელია.

თვით განაჩენი უთითებს საერთაშორისო კონვენციას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ, კერძოდ, კონვენციის პირველი ნაწილის პირველ მუხლს.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით სასამართლომ დაადასტურა, რომ ა. ხ.-მ ფეხი მოიტეხა ცემის შედეგად, რამაც გამოიწვია მისი დიდი ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა. გარდა ამისა, მსჯავრდებულებმა ნაცნობს არ მისცეს საშუალება, წამალი მიეცა მისთვის. მიზეზი ყოველივე ამისა, უპირველეს ყოვლისა, იყო მის მიერ დანაშაულის ჩადენის გამო პოლიციელების მხრიდან შურისძიება.

ამდენად, სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა პოლიციელების მართლსაწინააღმდეგო ქმედება, როგორც წამება დამამძიმებელ გარემოებებში.

წამების ნორმა საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ იმ ფორმით იქნა ჩამოყალიბებული ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში, რომ იგი წარმოადგენს პირისათვის, მისი ახლო ნათესავისათვის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდე-

ბული პირისათვის ისეთი პირობების შექმნას ან ისეთ მოპყრობას, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას. მისი მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება. ამ დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს პირის დაშინებას ან იძულებას, ანდა პირის დასჯას მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის.

თუ აღნიშნულ დეფინიციას შევადარებთ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის საწინააღმდეგო 1984 წლის საერთაშორისო კონვენციის პირველ მუხლს, ვნახავთ, რომ ეს ნორმა და სსკ-ის 144<sup>1</sup>-ე მუხლის დისპოზიცია ფაქტობრივად იდენტურია. რაც შეეხება 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს, იგი საერთოდ არ ახდენს წამების დეფინიციას და მხოლოდ მის აკრძალვაზე მიუთითებს.

ზემოხსენებული მუხლის ანაზილიდან გამომდინარე, შესაძლოა გამოვეყოთ „წამების“ სამი უმთავრესი ელემენტი:

1. ძლიერი ფიზიკური ტკივილის, ფსიქიკური ან მორალური ტანჯვის მიყენება;

2. ტკივილის ან ტანჯვის მიზანმიმართულად და განზრახ მიყენება;

3. ცალკეული მიზნის (როგორცაა ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, დასჯა ან დაშინება) მიღწევის სურვილი.

შეიძლება ითქვას, რომ პირველი ელემენტი – ეს არის წამების ობიექტური ნიშანი, ხოლო დანარჩენი ელემენტები წამების სუბიექტური ნიშნებია. წამების ქმედებად კვალიფიკაციისათვის კი, აუცილებელია, კუმულაციურად არსებობდეს სამივე ეს ელემენტი.

განვიხილოთ ეს ელემენტები ცალ-ცალკე.

წამება თანამედროვე საერთაშორისო ენციკლოპედიაში განმარტებულია, როგორც ადამიანისათვის ფიზიკური ან სულიერი ტკივილის მიყენება<sup>1</sup>, თუმცა, ზოგიერთი ავტორი მას, როგორც წამების

---

1 იხ. [www.Folter-wikipedia.de](http://www.Folter-wikipedia.de)

ხერხს ისე მოიხსენიებს<sup>1</sup>. წამებისთვის დამახასიათებელია ის, რომ იგი აუცილებლად უნდა გამოიხატოს, როგორც ეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსშია მოცემული, ძლიერ ფიზიკურ ტკივილში, ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვაში. ადამინის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოთაშორის საქმეში – *Ireland v. The Kingdom* მიყენებული ტანჯვის სისასტიკე და მისი ინტენსიურობა შემდეგი კრიტერიუმებით შეაფასა:

- ტანჯვის ხანრძლივობა;
- ფიზიკური და სულიერი შედეგი;
- მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- აღსრულების ხასიათი და მეთოდები<sup>2</sup>.

ტანჯვა არის არა ხანმოკლე, არამედ ხანგრძლივი და აუტანელი ტკივილი, რომელსაც ადამიანი განიცდის წამების შედეგად. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ტანჯვა“ გაგებულია, როგორც მწვავე ფიზიკური ტკივილით ან უსიამოვნო განცდით გამოწვეული გრძნობა, ხოლო რაც შეეხება „წამებას“, იგი განმარტებულია, როგორც მწვავე ფიზიკური ტკივილის მიყენებით დატანჯვა<sup>3</sup>. თუმცა, როგორც ეს სისხლის სამართლის კოდექსშია მოცემული, პირზე შესაძლებელია, საერთოდაც არ განხორციელდეს რაიმე ფიზიკური ზემოქმედება და ის მაინც ჩაითვალოს წამების ობიექტად. კერძოდ, კანონმდებელი აქ გულისხმობს დაზარალებულისათვის ისეთი პირობების შექმნას ან ისეთ მოპყრობას, რომელიც, თავისი ხასიათიდან და ინტენსივობიდან გამომდინარე, იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას. სწორედ ამგვარ ვითარებაზე გაამახვილა ყურადღება ადამინის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, როცა ერთ-ერთ საქმეში – *Aksoy v. Turkey* კომისიამ პატიმრის იძულებით რამდენიმე საათის განმავლობაში ხელ-ფეხ შეკრული ჭერზე

1 იხ. ზ. წულაია, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, პირველი ტომი, 2000, გვ. 139

2 იხ. ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, 2004, გვ. 145

3 იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი VIII, სვეტი 865, 1964, ასევე ტომი VI, სვეტი 1251, 1960.

დაკიდება კონვეციის მე-3 მუხლის დარღვევად აღიარა<sup>1</sup>. ვინაიდან კანონმდებელმა „პირობების შექმნასა“ და „მოპყრობაში“ კონკრეტული ქმედებები არ გამოკვეთა, ამიტომ ისინი, როგორც ფართო ცნებები, ისე უნდა იქნენ ინტერპრეტირებული და ეს სამართლებრივად მართებულიცაა, რადგან ასეთი მეთოდების ჩამოთვლა პრაქტიკულად შეუძლებელია და ის დამოკიდებულია კონკრეტულ ვითარებაზე, კონკრეტულ გარემოებებზე, რაც სასამართლომ უნდა შეაფასოს და შემდეგ დაადგინოს, რომ ჰქონდა თუ არა შექმნილ ვითარებაში წამების შემადგენლობას ადგილი<sup>2</sup>.

წამების ქმედებები (პირობების შექმნა ან მოპყრობა) შეიძლება მიმართული იყოს პირისაკენ ან მისი ახლო ნათესავისაკენ, ასევე ამ პირზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისაკენ. ამდენად, წამების მსხვერპლი შეიძლება იყოს როგორც ის პირი, ვისგანაც დამნაშავე ცდილობს ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღებას, ასევე მისი ნათესავი ან მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირი. საინტერესოა ამ მხრივ ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეში – *Selmouni v. France*<sup>3</sup>, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ ქმედებები, რომლებიც აყენებენ პირს ტკივილს საკმარისი სისასტიკით, ჩაითვლება წამებად, მიუხედავად იმისა, „ეს პირი მდებარებითი სქესის არის, თუ მამრობითი, ანდა არის თუ არა ძლიერი აგებულების“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი წამების ნორმაშიც, გარდა ფიზიკური ტკივილისა, უთითებს ასევე, ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას. შეიძლება ითქვას, რომ ამ ნიშნების ერთმანეთისგან გამიჯვნა ძალზე რთულია: პირველში შეგვიძლია ვიგულისხმოთ ისეთი შემთხვევა, როცა ფსიქიკური ტანჯვა ადამიანში

---

1 იხ. ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, 2004, გვ. 147

2 აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება სახელმწიფოთაშორისო საქმეში – *Ireland v. The Kingdom*

3 იხ. *Selmouni v. France* საქმეზე გამოტანილი განაჩენი 1998 წლის 28 იელისი

იწვევს გარკვეულ ფიზიოლოგიურ და ბიოლოგიურ ცვლილებებს, ხოლო მორალური ტანჯვის დროს ასეთი ცვლილებები არ მიმდინარეობს. იგი ასეთ დროს უფრო მეტად იწვევს ადამიანში საკუთარი ღირსების შელახვას და არასრულფასოვნების კომპლექსს<sup>1</sup>.

წამების დროს როგორც ფიზიკური ტკივილი, ისე ფსიქიკური და მორალური ტანჯვა უნდა გამოირჩეოდეს თავისი ხასიათით, ხანგრძლივობითა და ინტენსივობით. წამების ხასიათში იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა ეს ქმედება ერთჯერადად, ჩადენის შემთხვევაშიც, იწვევს 144<sup>1</sup>-ე მუხლში მითითებული შედეგებიდან ერთ-ერთს<sup>2</sup>. უნდა ითქვას, რომ ამ კონკრეტული ნიშნით წამება გარკვეულწილად ემსგავსება არაადამიანურ მოპყრობას (144<sup>3</sup>-ე მუხლი), რომლის ობიექტური ნიშანი თითქმის ემთხვევა წამების ობიექტურ ნიშანს, ამიტომ მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა ბოლომდე ფაქტობრივად შეუძლებელია. ადამინის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში – *Tomazi v. France* – განმარტა, რომ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას შორის განსხვავება ძირითადად მდგომარეობს მიყენებული ტკივილისა და ტანჯვის ხარისხში. წამებასთან შედარებით ხსენებული ზღვარი უფრო დაბალია და არ გააჩნია დაზიანების ის ხარისხი, რაც მოეთხოვება მოპყრობის წამებად კვალიფიკაციისთვის<sup>3</sup>. ევროპის სასამართლო პრაქტიკას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ძირითადად არაადამიანური მოპყრობის ყველაზე მეტ შემთხვევას ადგილი აქვს პატიმრობის პერიოდში, რა დროსაც პატიმრები ადმინისტრაციის მხრიდან ექვემდებარებიან არასათანადო მოპყრობას, რომელიც სასტიკ ხასიათს ატარებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი ერთ ნორმაში მოიცავს როგორც წამების, ისე არაადამიანური მოპყრობის შემადგენლობას, ამიტომ სასამართლოს მხრიდან იმის გამიჯვნა, რომ კონკრეტული

1 იხ. ნ. თოდუა წიგნში: მ. ლეკეიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გვენტაძე, გ. მაძულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, მე-3 გამოცემა, 2008, გვ. 239

2 იხ. იქვე გვ. 238

3 იხ. ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, 2004, გვ. 150



ქმედება წამებას წარმოადგენს, თუ არაადამიანურ მოპრობას, დიდ სირთულეებთან არ უნდა იყოს დაკავშირებული, რადგან ორივე შემთხვევაში შედეგი ყოველთვის ერთი და იგივე იქნება და ასეთ შედეგს წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რასაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>-ე და 144<sup>3</sup>-ე მუხლებზე ვერ ვიტყვით, ვინაიდან, ისინი არა მარტო დისპოზიციით, არამედ სანქციითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. გარდა ამისა, განსხვავება სუბიექტურ მხარეშიც უნდა ვეძებოთ. კერძოდ, არაადამიანური მოპყრობის დროს დამნაშავეს არ ამოძრავებს ის მიზნები, რაც აუცილებელია ქმედების წამებად კვალიფიკაციისათვის (ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება). აღნიშნულ საკითხს ასევე სსკ-ის 144<sup>3</sup>-ე მუხლის განხილვის დროსაც შევეხებით, ამჯერად კი, ყურადღებას გავამახვილებთ წამების ისეთ ობიექტურ ნიშნებზე, როგორიცაა ქმედების ინტენსივობა და მისი ხანგრძლივობა. ინტენსივობაში უნდა ვიგულისხმოთ ძალადობის ხარისხი და მისი უწყვეტობა<sup>1</sup>. ალბათ, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, ძალადობის სისტემატურობა ნიშნავს მის არაერთგზისობას, ე. ი. როდესაც იგი ჩადენილია სამჯერ ან მეტჯერ. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს არა მოქმედებათა განმეორების უბრალო ჯამს, არამედ მის შინაგან კავშირს, კერძოდ, განმეორების ტენდენციას, ხოლო ქმედების ხანგრძლივობაში უნდა ვიგულისხმოთ ისეთი შემთხვევა, როცა თავად ქმედება ცალკე აღებული არც ხასიათითა და არც ინტენსივობით არაა გამორჩეული, მაგრამ იგი გრძელდება იმდენად ხანგრძლივად, რომ იწვევს განსახილველ ნორმაში მითითებულ რომელიმე შედეგს<sup>2</sup>.

წამების სუბიექტური მხარე განზრახ დანაშაულს გულისხმობს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ პირის ქმედებამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია 144<sup>1</sup>-ე მუხლში მითითებული შედეგი, აღნიშნული მუხლით პასუხისმგებლობა გამორიცხულია. ამაზე პირდაპირ უთითებს ნორმის დისპოზიცია, სადაც ხაზგასმულია, რომ

---

1 იხ. ნ. თოდუა წიგნში: მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გვენეტაძე, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, მე-3 გამოცემა, 2008, გვ. 238

2 იხ. იქვე გვ. 239

წამების ობლიგატორული ნიშანია სპეციალური მიზანი. მიზნით კვალიფიცირებული დელიქტი კი, არ შეიძლება იყოს გაუფრთხილებელი. ადამინის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში – *Aksony v. Turkey*, სადაც ადგილი ჰქონდა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს, აღნიშნა, რომ „ხსენებული მოპყრობა მხოლოდ და მხოლოდ განზრახ შეიძლებოდა ყოფილიყო მიყენებული“. ასევე საქმეში – *Aydin v. Turkey* სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ქმედებების ჩადენა განზრახვისა და გარკვეული მომზადების გარეშე შეუძლებელი იყო<sup>1</sup>. წამების სუბიექტური შემადგენლობისთვის, გარდა განზრახვისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აუცილებელია სპეციალური მიზნის არსებობა, როგორცაა: ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რამდენჯერმე აღნიშნა, რომ მიზანსწრაფულობის ელემენტი აღიარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციაში მოცემულ წამების განსაზღვრებაში. *Aksoy-s, Dikma*-ს საქმეებზე გამოტანილ განაჩენებში სასამართლომ განმარტა, რომ არაადამიანური მოპყრობა განხორციელდა იმ მიზნით, რომ მოპოვებული ყოფილიყო აღიარება ან ინფორმაცია იმ სამართლებრივ დარღვევებთან დაკავშირებით, რომელთა ჩადენაში აკსოი და დიკმა იყვნენ ეჭვმიტანილი<sup>2</sup>. მაშასადამე, აღნიშნული მუხლის დეფინიცია სპეციალურ მიზანზე ამახვილებს ყურადღებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს დანაშაული მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება იქნეს ჩადენილი. ამიტომ ზოგიერთი ქართველი მეცნიერის მოსაზრება, რომ წამება არაპირდაპირი განზრახვის ფორმითაც შესაძლებელია, განხორციელდეს<sup>3</sup>, ჩემი აზრით, დაუსაბუთებელია, ვინაიდან თუ პირი არ

---

1 იხ. ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, 2004, გვ. 146-147

2 იხ. იქვე, გვ. 147

3 აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ნ. თოდუა წიგნში: მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გეინტაძე, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1, მე-3 გამოცემა, 2008, გვ. 240

მოქმედებს სპეციალური შინაგანი ტენდენციით, ე.ი. არ ამოძრავებს რაიმე მიზანი, რომელიც მას შედეგის მიმართ უნდა ჰქონდეს, ის ვერ განახორციელებს წამების შემადგენლობას.

მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, წამება შესაძლებელია, განვიხილოთ, როგორც მატერიალური შემადგენლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ წამება მაშინ უნდა მივიჩნიოთ დამთავრებულად, როცა მას შედეგად მოჰყვება ნორმაში მითითებული ერთ-ერთ შედეგი.

## მუხლი 144<sup>2</sup>. წამების მუქარა

ამ კანონის 144<sup>1</sup> მუხლში აღნიშნული პირობების შექმნის, მოპყრობის ან დასჯის მუქარა, განხორციელებული იმავე მიზნით, –

ისეება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

*(საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I, 2005, №38, მუხ. 250)*

წამების მუქარა, ისევე როგორც წამება, ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ნოვაციაა. 1994 წლის 25 ნოემბერს საქართველომ „წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვის შესახებ“ გაეროს კონვენციის რატიფიცირებით იკისრა ვალდებულება, კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოეყვანა ეროვნული კანონმდებლობა. ქართულ კოდექსში მანამდე არსებული წამების დეფინიცია (126-ე მუხლი) არ შეესაბამებოდა არც გაეროს აღნიშნული კონვენციის მოთხოვნებს და არც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. სწორედ ამიტომ, 2005 წლის 23 ივნისის კანონით სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელდა ამ კუთხით მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, კერძოდ, 144<sup>1</sup>-ე, 144<sup>2</sup>-ე და 144<sup>3</sup>-ე მუხლებით განისაზღვრა წამების, წამების მუქარის და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის დანაშაულობათა დასჯადობის საფუძველ-

ბი, რითაც პრაქტიკულად მოხდა ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ დებულებებთან.

წამების მუქარის ცალკე შემადგენლობად განსაზღვრა აღნიშნული დანაშაულის მომეტებულმა საშიშროებამ განაპირობა. წამების მუქარის განხორციელების დროს გარკვეული საფრთხის ქვეშ დგება ადამიანის ფსიქიკური ხელშეუხებლობა, მისი სიმშვიდე და მყუდროება, მეორადი დაცვის ობიექტი კი, შეიძლება იყოს ის ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის პირად, ოჯახურ თუ სხვაგვარი საიდუმლოების დაცვასთან. გამომდინარე აქედან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენცია წევრ სახელმწიფოებს აკისრებს აბსოლუტურ ვალდებულებას, თავიდან აიცილონ და აკრძალონ ამ დანაშაულის ჩადენა როგორც სახელმწიფო მოხელეების, ისე სამოქალაქო პირების მხრიდან.

წამების მუქარის ობიექტური მხარე გამოიხატება სსკ-ის 144<sup>1</sup>-ე მუხლში აღნიშნული პირობების შექმნის, მოპყრობის ან დასჯის მუქარაში, რაც ამ დანაშაულის ფორმალურ ხასიათზე მეტყველებს. იგი დამთავრებულია უკვე მუქარის განხორციელების მომენტიდან. პირობების შექმნა და მოპყრობა გულისხმობს ისეთ ქმედებას, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას. რაც შეეხება დასჯის მუქარას, როგორც ეს ნორმის დისპოზიციაშია მითითებული, იგი მუქარის ერთ-ერთ სახედ გვევლინება, განხორციელებული 144<sup>1</sup>-ე მუხლში მითითებული მიზნით, მაშინ როცა სსკ-ის 144<sup>1</sup>-ე მუხლში დასჯა წამების მიზანია და არა ამ მიზნის მიღწევის საშუალება. სხვანაირად რომ ვთქვათ, 144<sup>1</sup>-ე მუხლში დასჯა არაა წამების ობიექტური მხარის ნიშანი, არამედ იგი ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის ნიშანია. გამომდინარე აქედან, აღნიშნული მუხლების შედარებით აშკარა ხდება, რომ ამ ნორმათა შინაარსი წინააღმდეგობრივია და ერთმანეთთან შეუსაბამო. გარდა ამისა, ვინაიდან დასჯა არის წამების ერთ-ერთ მიზანი, წამების მუქარისას „დასჯის მუქარა, განხორციელებული იმავე მიზნით“ ნიშნავს, რომ დასჯის მუქარა ხორციელდება დასჯის

მიზნით, რაც ქართულ კომენტარებში კრიტიკას იწვევს<sup>1</sup>.

მუქარა, როგორც ასეთი, ყოველთვის გულისხმობს გარკვეულ მოქმედებას. ნებისმიერი სისხლისსამართლებრივად დასჯადი მუქარა უნდა იყოს ისეთი ფორმით წარმოთქმული, რომ დაზარალებულს შეექმნას მისი რეალურად განხორციელების შესაძლებლობის შთაბეჭდილება. აქედან გამომდინარე, ამ დანაშაულის შემადგენლობას არ მოგვცემს არასერიოზული ტონით ან ნახევრადხუმრობით წარმოთქმული მუქარა. ამიტომ, მისი რეალურობის შეფასებისათვის მხედველობაში უნდა მივიღოთ დამნაშავის პიროვნება, მუქარის ადგილი, მისი არაერთგზისობა და სხვ.

სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ მუხლზე თითქმის არ არსებობს, თუმცა, გამოძიება პოლიციის რამდენიმე თანამშრომლის მხრიდან განხორციელებულ ქმედებებზე დაიწყო. 2006 საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გამოცემულ ოფიციალურ საინფორმაციო ფურცელში: „პირთა ცემა-წამებისა და უკანონო დაკავების ფაქტებთან დაკავშირებით“, ვკითხულობთ, რომ 2006 წელს აღნიშნულ უწყებაში პოლიციელების მიერ ჩადენილ წამების მუქარის ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო ორ სისხლის სამართლის საქმეზე, კერძოდ:

2006 წლის 10 თებერვალს თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე პ. ა.-ს მიმართ განხორციელებული წამების მუქარისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>2</sup>-ე მუხლით, 2006 წლის 31 მაისს კი, დადგენილებით ამ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება შეწყდა სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

2006 წლის 6 თებერვალს თბილისის პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე თბილისის ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს თანამშრომლების მიერ გ. ჯ.-ს მიმართ წამების მუქარის ფაქტზე, ხოლო იმავე წლის

---

1 იხ. ნ. თოდუა წიგნში: მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გვერტაძე, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, მე-3 გამოცემა, 2008, გვ. 246

11 აპრილს გამოტანილ იქნა დადგენილება ამ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის თაობაზე, რასაც საფუძვლად დაედო სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

ამრიგად, აღნიშნულ მუხლზე დღესდღეისობით ქართული სასამართლო პრაქტიკა ჩვენს მიერ ვერ იქნა მოძიებული. მართალია, რამდენიმე ფაქტზე დაიწყო გამოძიება, მაგრამ იგი წინასწარ გამოძიების ეტაპზევე იქნა შეწყვეტილი<sup>1</sup>.

წამების მუქარა (სსკ-ის 144<sup>2</sup>-ე მუხლი) უნდა განვასხვავოთ მუქარისაგან (სსკ-ის 151-ე მუხლი). ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური შემადგენლობის ნიშნებით. კერძოდ, მუქარის ობიექტური მხარე 151-ე მუხლში დაკონკრეტებულია: სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა. რაც შეეხება წამების მუქარას, იგი უნდა გამოიხატოს პირის მიმართ ისეთი ქმედების ჩადენის მუქარაში, რომელიც გამოირჩევა თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით და ეს ქმედება არაა მიმართული ადამიანის მკვლელობის ან ჯანმრთელობის დაზიანებისკენ. ამასთან, განსხვავება ქმედების სუბიექტურ მხარეშიც არის. კერძოდ, წამების მუქარისათვის დამახასიათებელია სპეციალური მიზნები: ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება, იძულება ან დასჯა.

წამების მუქარასთან დაკავშირებით აქვე მინდა შევეხო ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეს საერთაშორისო პრაქტიკიდან (ე.წ. ფრანკფურტის შემთხვევა).

გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში 2002 წელს ადგილი ჰქონდა პოლიციელების მხრიდან წამების მუქარის ფაქტს, რაც შემდეგ დიდი დისკუსიის საგანი გახდა არა მარტო სისხლის სამართლის დოგმატიკაში, არამედ სასამართლო პრაქტიკაშიც. ამ შემთხვევის შესახებ, ასევე, 2008 წლის 30 ივნისს თავისი გადაწყვეტილება

---

1 იხ. საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს „საინფორმაციო ფურცელი“, აპრილი-მაისის თვეების ანგარიში, გამოცემა №7, 2006, გვ. 14

გამოიტანა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ. საქმის გარემოება კი გახლდათ შემდეგი: 2002 წლის 27 სექტემბერს ქალაქ ფრანკფურტში მცხოვრებმა მანგუს გეფგენმა მოტყუებით გაიტაცა ერთ-ერთი ბანკირის 11 წლის შვილი და მისი მშობლებისგან ბავშვის გათავისუფლების სანაცვლოდ მოითხოვა გარკვეული რაოდენობის თანხა. რამდენიმე დღის ძებნის შემდეგ გეფგენი პოლიციის მიერ დაკავებულ იქნა ფრანკფურტის აეროპორტში. დაკავების შემდეგ იგი გადაყვანილ იქნა პოლიციის განყოფილებაში, სადაც პროცესუალური უფლებების დარღვევით მოხდა მისი დაკითხვა, რა დროსაც პოლიციის თანამშრომლების, კერძოდ, ფრანკფურტის პოლიციის ვიცეპრეზიდენტის ვოლფგანგ დაშნერის მხრიდან გეფგენის მიმართ განხორციელდა წამების მუქარა, რათა დაესახელებინა ბავშვის ადგილსამყოფელი. დაკავებულმა იმის შიშით, რომ იგი არ ეწამებინათ, განაცხადა მსხვერპლის ადგილსამყოფელი. შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელებს კი, ბავშვი უკვე გარდაცლილი დახვდათ. როგორც შემდგომში დადგინდა, დამნაშავეს იგი საკუთარ სახლშივე მოეკლა და შემდეგ გვამი სახლიდან მოშორებით გადაემალა.

2003 წლის 28 ივლისს მანგუს გეფგენი ცნობილი იქნა დამნაშავედ გერმანიის სსკ-ის 211-ე მუხლით – მკელელობა დამამძიმებელ გარემოებებში და სასჯელის სახით განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა. თუმცა, ეს საქმე ამით არ დამთავრებულა. დღის წესრიგში დადგა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად კანონიერი გზით იქნა მიღებული ის მტკიცებულებები, რამაც საქმის გახსნას შეუწყო ხელი. კერძოდ, უტყუარად იქნა დადგენილი, რომ პოლიციის განყოფილებაში მიყვანის შემდეგ ეჭვმიტანილზე განხორციელდა წამების მუქარა, რამაც შემდგომში თავად დაკავებულს პოლიციელის მიმართ საქმის წარმოების დაწყების საშუალება მისცა.

2004 წლის 18 ნოემბერს ფრანკფურტის ოლქის სასამართლოში პროცესი დაიწყო უკვე იმ პოლიციელის მიმართ, ვინც დაკავებულზე წამების მუქარა განახორციელა. პოლიციელ ვოლფგანგ დაშნერის სასამართლო პროცესს დიდი გამოხმაურება მოჰყვა არა მარტო საზოგადოებაში, არამედ მეცნიერებს შორისაც. *Amnesty International*-მა კატეგორიულად მოითხოვა პოლიციელის პასუხ-

ისგებაში მიცემა და წამების აკრძალვის აბსოლუტურ ბუნებაზე მიუთითა.<sup>1</sup> სასამართლომ კი, ცალსახად დაადგინა, რომ დაშწმენა დაკავებულის დაკითხვისას თავის უფლებამოსილებას გადაამეტა და მის მიმართ არალეგიტიმური ზომები გამოიყენა. 20 დეკემბერს სასამართლომ მას ფულადი ჯარიმა შეუფარდა. მიუხედავად ამგვარი გადაწყვეტილებისა, დაშწმენის მიმართ პროცესი ამით არ დამთავრებულა. 2008 წლის 30 ივნისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ დაკავებულის მიმართ განხორციელებულ იქნა წამების მუქარა, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას წარმოადგენს. რაც შეეხება მე-6 მუხლის – სამართლიანი სასამართლოს უფლების ხელყოფას, იგი არ დადასტურდა გეფგენის მიმართ<sup>2</sup>.

გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ წამების განხორციელება სახელმწიფოს მხრიდან დაკავებულის მიმართ, თუნდაც ეს მოხდეს უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთის – ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, ყოველად დაუშვებელია<sup>3</sup>, ვინაიდან, წამების აკრძალვა აბსოლუტური, უგამონაკლისო უფლებაა. მეცნიერებს შორის დღესაც მიმდინარეობს დავა, ადგილი ზომ არ ჰქონდა ამ შემთხვევაში მართლზომიერ ან არაბრალეულ მოქმედებას, ანუ ზომ არ იყო პოლიციელის მხრიდან აუცილებელი მოგერიების უფლება გამოყენებული ან ზომ არ მოქმედებდა იგი საპატივებელი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში? მართალია, ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში პოლიციელის მიზანი გახლდათ ბავშვის სიცოცხლის გადარჩენა და მძევლობიდან დახსნა, ანუ სხვა უმაღლესი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენა, მაგრამ სა-

---

1 იხ. Amnesty International: Folterverbot in Deutschland muss absolut bleiben! 12. November 2004. იხ. ვებ-გვერდი: <http://www.amnesty.de/umleitung/2004/deu01/085?lang=de%26mimetype%3dtext%2fhtml>

2 იხ. EGMR Nr. 22978/05 (5. Kammer) – Urteil vom 30. Juni 2008 (Gäfgen vs. Deutschland), იხ. ვებ-გვერდი: <http://www.hrr-strafrecht.de/hrr/egmr/05/22978-05-1.php>

3 იხ. Lackner/Kühl, StGB: Strafgesetzbuch, Kommentar, 25. Auflage, 2004, გვ. 223-224



სამართლოსთვის ეს არგუმენტი მიუღებელი და სუსტი გამოდგა<sup>1</sup>.  
ასეთი სამართლებრივი პოზიცია შეიძლება ჩაითვალოს დას-  
აბუთებულად და წამებისა და წამების მუქარის აკრძალვა უნდა  
ვადიაროთ აბსოლუტურ უფლებად.

## მუხლი 144<sup>3</sup>. დამამცირებელი ან არაადამიანური მო- პყრობა

1) პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, ღირსებისა და  
პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ,  
ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს, –

ისჯება ჯარიმით, თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე  
ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

2) იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ;

ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

გ) არაერთგზის;

დ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

ე) ჯგუფურად;

ვ) ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათი რასის,  
კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარე-  
ბლობის, პოლიტიკური ან სხვა შეზღუდულებების, ეროვნული, ეთნიკური,  
სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის,  
ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის გამო;

ზ) დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არას-  
რულწლოვნის, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლება შეზღუდული,

---

1 იხ. Volk, Grundkurs StPO, 5. Auflage, 2006, გვ. 42, ასევე: Volker/Erb, Not-  
wehr als Menschenrecht – Zugleich eine Kritik der Entscheidung des LG Frankfurt  
am Main im „Fall Daschner“, in: NStZ, 2005, გვ. 593-602. კლაუს როქსინი კითხუ-  
ლობს: დასაშვებია თუ არა, რომ წამება ან წამების მუქარა, თუ იგი ემსახურება  
ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას, წარმოადგენდეს პასუხისმგებლობის გამომრიცხ-  
ველ ზეკანონურ გარემოებას? მისი პასუხი ამ კითხვაზე უარყოფითია. მართლაც, ასეთ  
შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ სასჯელი შემსუბუქდეს. იხ. Roxin, Strafrecht, AT  
I, 4. Auflage, 2006, გვ. 1033-1034.

უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დაზარალებული მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ;

თ) შეკვეთით

ი) მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით, --

ისევეა თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე, ჯარიმით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ.

შენიშვნა: ამ კოდექსის 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებზე არ ვრცელდება ამავე კოდექსის 71-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა.

(საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I, 2005, №38, მუხ. 250)

(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი–სსმ I, 2006, №14, მუხ. 90)

წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა, სიცოცხლის უფლებასთან ერთად, ყველაზე ფუნდამენტური მოთხოვნაა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში. მსოფლიოს თანამედროვე საზოგადოებისათვის იმდენად დიდი იყო წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის აკრძალვის მნიშვნელობა, რომ იგი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილადაც კი იქცა და *jus cogens*-ად ჩაითვალა<sup>1</sup>. როგორც წამება, ისე დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა ადამიანის უფლებათა დარღვევის ყველაზე მძიმე შემთხვევად მიიჩნევა. დღესდღეობით არ არსებობს უნივერსალური განმარტება იმისა, თუ რა ფარგლებში შეიძლება ექცეოდეს არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, გარდა იმ საერთო აზრისა, რომ არაადამიანური მოპყრობის ქვეშ იგულისხმება უფრო ნაკლები ხარისხის სიმკაცრე, ცუდად მოპყრობის ინტენსიობა და სისასტიკე, ვიდრე წამებისას. როგორც ეს ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, მათ შორის უმთავრესი განსხვავება მდგომარეობს მიყენებული

---

<sup>1</sup> იხ. ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, 2004, გვ. 141

ტანჯვის სიმძიმეში<sup>1</sup>. თუმცა, აღნიშნული ზღვარის დადგენისას შესაძლებელია, გარკვეულ სიძნელებესაც წაეაწყდეთ. კერძოდ, ის ქმედება, რომელიც წარსულში შესაძლოა, მიჩნეული ყოფილიყო როგორც არაადამიანური ქმედება, მომავალში შესაძლოა, ჩაითვალოს როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ყველაზე უფრო უხემ დარღვევად, ანუ წამებად<sup>2</sup>. ამის გამოც, ხშირად საერთაშორისო ორგანიზაციები არ ახდენენ დიფერენციაციას უფლებათა სხვადასხვა კატეგორიებს შორის და სწორედ ამიტომ არ არსებობს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის და, ასევე, არც ამ ტერმინების სხვაგვარი კომბინაციების საერთაშორისო განმარტება. მაგრამ ყოველივე ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ აღნიშნული ნორმების იმპლემენტაცია მომხდარიყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში.

2005 წლის 23 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებით მოხდა როგორც წამების, ისე დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის აკრძალვის საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი დეფინიცია. აღნიშნულმა ცვლილებებმა აღმოფხვრა სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ყველა ის ხარვეზი, რომელიც წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის დანაშაულად გამოცხადებასთან დაკავშირებით არსებობდა. ცვლილებების შედეგად შემოღებულ იქნა წამებისა და არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის განსაზღვრება, რომელიც მანამდე არ არსებობდა კოდექსში და გარკვეულ სამართლებრივ სიძნელებებს უქმნიდა გამომძიებლებს, პროკურორებსა და მოსამართლეებს, რომ მართებულად დაეკვალიფიცირებინათ ამ სახის ქმედებები.

მიუხედავად ამ პოზიტიური ნაბიჯებისა, რომლებიც ამ მიმართულებით გადაიდგა, საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოები და ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები კვლავაც გამოთქვამენ გარკვეულ შენიშვნებსა და შეშფოთებას საქართველოში წამებისა და დამამცირებელი და არაადამი-

---

1 იხ.. იქვე. გვ. 149

2 იხ.. იქვე. გვ. 150

ანური მოპყრობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის მიმართ<sup>1</sup>. როგორც ზემოთ აღინიშნა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა ადამიანის უფლებათა დარღვევის მძიმე შემთხვევად განიხილება. სწორედ ამიტომ, განსახილველი დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა, ასევე მისი პატივი და ღირსება, ფაკულტატურ ობიექტად კი, მიჩნეულია ადამიანთა თანასწორუფლებიანობა რასის, კანის ფერისა თუ სხვა ნიშნის მიხედვით.<sup>2</sup> როგორც დანაშაულის შემადგენლობა გვიჩვენებს, ქმედების ობიექტური მხარე გულისხმობს პირის დამცირებას ან იძულებას, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებას, რაც დაზარალებულს ძლიერ ფიზიკურ და ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *Ireland v. Turkey* დამამცირებელი ქმედება განმარტა ისეთ შემთხვევად, რომელიც წარმოშობს მსხვერპლში შიშის, ტკივილისა და დამცირების გრძნობებს და იწვევს მის შეურაცხყოფასა და დამცირებას, ასევე მსხვერპლის ფიზიკური თუ სულიერი ხელშეუხებლობის დარღვევას<sup>3</sup>.

იძულება ნიშნავს ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედების გზით პირისათვის კანონის ფარგლებში თავისუფალი მოქმედების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების შეზღუდვას, რასაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან მორალური ტანჯვა. თუკი ასეთი შედეგი იძულებას არ მოჰყვება, მაშინ პასუხისმგებლობა დადგება სსკ-ის 150-ე მუხლით.

---

1 აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. Amnesty International-ის 2005 წლის 23 ნოემბრის მოხსენება, Human Rights Watch-ის 2005 წლის 13 აპრილის მოხსენება, ორგანიზაცია Redress-ის 2005 წლის აგვისტოში გამოქვეყნებული მოხსენება, რომლებშიც არაადამიანუფლებლად მიჩნეული საქართველოში აღნიშნული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული მდგომარეობა.

2 იხ. ნ. თოდუა წიგნში: მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გვენეტაძე, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, მე-3 გამოცემა, 2008, გვ. 248

3 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, 2004, გვ. 151

ქმედება ან დასჯა არაადამიანურად იქნება დაკვალიფიცირებული, თუკი იგი იწვევს ძლიერ ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას. მოპყრობამ შესაძლოა, არ გამოიწვიოს ფიზიკური ზიანი, მაგრამ მოიცავდეს მძაფრ ფსიქიკურ მოშლილობას<sup>1</sup>. გამოძინარე აქედან, შეიძლება დავასკვნათ, რომ არაადამიანურ მდგომარეობაში ჩაყენება შეიძლება გამოიხატოს იგივე ქმედებაში, რაც დამახასიათებელია წამებისათვის, მაგრამ მათ შორის განსხვავება ისაა, რომ დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის შემოვევაში დამნაშავეს არ ამოძრავებს ის მიზნები, რაც აუცილებელია ქმედების წამებად კვალიფიკაციისათვის<sup>2</sup>. წამების შემთხვევაში დამნაშავეს მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება. რაც შეეხება პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებას, იგი შეიძლება გამოიხატოს ადამიანის ცემაში სხვა პირების თანდასწრებით; ასევე, როცა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის დაკავებისას შეიჭრებიან მათ საცხოვრებელ ბინაში და იქ მყოფ პირებს მიაყენებენ შეურაცხყოფას, ტელევიზიის საშუალებით გადასცემენ დაკავებულის ცემისა და მისი შეურაცხყოფის ფაქტს.<sup>3</sup> სწორედ მსგავს და ადამიანის წამების ფაქტებთან დაკავშირებით გაკეთდა არაერთი საპროტესტო განცხადება საქართველოს არასამთავრობო, თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში, რამაც გარკვეულწილად ასახვა ჰპოვა ასევე საქართველოს სახალხო დამცველის არაერთ მოხსენებაში.

ასე, მაგალითად, 2004 წლის 9 ოქტომბერს, გორის შს დროებითი მოთავსების იზოლატორის შემოწმების დროს, სახალხო დამცველის რწმუნებული შიდა ქართლში შეხვდა დაკავებულ გ. მ.-ს, რომელსაც სახეზე ეტყობოდა ფიზიკური ზეწოლის ფაქტები. დაკავებულის განმარტებით, იგი გვიან ღამით აიყვანეს კასპში, თავისი საცხოვრებელი ბინიდან და ყოველგვარი ახსნა-

---

1 იხ. Ireland v. the United Kingdom, პუნქტი 159, წიგნში: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, 2004, გვ. 150

2 იხ. ნ. თოდუა წიგნში: მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გვერუტაძე, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, მე-3 გამოცემა, 2008, გვ. 249

3 იხ. იქვე, გვ. 249

განმარტების გარეშე წაიყვანეს გორის პროკურატურაში. მის დაკავებაში პოლიციელებთან ერთად მონაწილეობდა პროკურორი. პროკურატურაში მიყვანისას გ. მ. შეიყვანეს პროკურორის კაბინეტში, სადაც მასზე განხორციელდა ფიზიკური და ფსიქიკური ზეწოლა. დაკავებულის მტკიცებით, მას პირადად სცემდა პროკურორი, რომელიც არაფზიზელ მდგომარეობაში იყო. გ. მ.-ს აღენიშნებოდა შემდეგი სახის დაზიანებები: ჩალურჯებული თვალები, დასიებული სახე, სისხლნაჟღენთები მარჯვენა ყურის არეში, სიგარეტისგან მიყენებული დამწვრობა მუცლის არეში, უამრავი სისხლჩაქცევა და დაზიანება ფეხების არეში. მისი მტკიცებით, ეს არაფერი იყო იმ ფსიქოლოგიურ ზეწოლასთან შედარებით, რაც მასზე განხორციელდა. კერძოდ, პროკურორმა მას პირში იარაღი ჩაუდო და მოახდინა გასროლის იმიტაცია. შემდეგ, იმ მოტივით, თითქოს, იარაღმა გასროლა არ მოახდინა, იგივე გაიმეორა რამდენჯერმე. საქმის სირთულიდან გამომდინარე, საქმეში ჩაერთო სახალხო დამცველის ცენტრალური აპარატი და გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექცია. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სამსახურიდან გათავისუფლდნენ ზედამხედველი პროკურორები, ხოლო ერთ-ერთი პროკურორის მიმართ, რომელიც ამ დანაშაულის ჩადენაში უშუალოდ იღებდა მონაწილეობას, დაიწყო სისხლის სამართლის დევნა<sup>1</sup>.

სისხლის სამართლის დევნა წარიმართა სამოხელეო დანაშაულის მუხლით. დღევანდელი საკანონმდებლო მდგომარეობით, ჩადენილი ქმედება შეიძლება ასევე დაკვალიფიცირდეს, როგორც სსკ-ის 144<sup>3</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რაც გამოიხატა დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობაში, რადგან ამ დანაშაულის ფაბულაში არ იკვეთება სპეციალური მიზანი, რაც აუცილებელია წამების პირდაპირი განზრახვით ჩადენისათვის.

გარდა ზემოთ მოყვანილი შემთხვევისა, თუკი გადავხედავთ სტატისტიკურ მონაცემებს გასული წლების განმავლობაში, როცა დაზარალებულები საჩივრებს წარუდგენდნენ კომპეტენტურ ორ-

---

1 იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2004 წლის მოხსენება: საქართველოში ადამიანთა უფლებების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ, გვ. 12-22

განოებს მათ მიმართ პოლიციელთა მხრიდან წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის განხორციელებასთან დაკავშირებით, პროკურატურა იღებდა გადაწყვეტილებას დევნის დაწყებასთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში ხდებოდა არა წამების ან დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის, არამედ სამოხელეო დანაშაულის მუხლებით, კერძოდ, სსკ-ის 333-ე მუხლითა (სამსახურებრივი უფლებამოსილებას გადამეტება) და 335-ე მუხლით (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება)<sup>1</sup>. ყოველივე ამას კი, შესაძლოა, რამდენიმე ახსნა ჰქონდეს: (ა) პროკურორები ერიდებოდნენ პოლიციელთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, რადგან სამოხელეო დანაშაულისათვის შედარებით მსუბუქი სასჯელია გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსით; (ბ) კოდექსის ადრე მოქმედი 126-ე მუხლი არასათანადოდ განმარტავდა და გადმოსცემდა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის დეფინიციას. ამჟამად მოქმედი პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლების განმავლობაში, მიუხედავად მრავალი საჩივრისა, სსკ-ის 144<sup>3</sup>-ე მუხლით მხოლოდ რამდენიმე საქმე აღიძრა. უმეტესად ამ შინაარსის საქმეების აღძვრა კვლავაც სამოხელეო დანაშაულის მუხლებით ხდება.

სუბიექტური მხრივ, აღნიშნული დანაშაული განზრახია. მისი ჩადენა შეიძლება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით<sup>2</sup>. პირდაპირი განზრახვისგან განსხვავებით, არაპირდაპირი განზრახვით ამ დანაშაულის ჩადენისას დამნაშავეს არ სურს ამ მუხლში მითითებული შედეგების დადგომა, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას.

ყურადსაღებია ასევე ის გარემოებაც, რომ ამ დანაშაულთა

---

<sup>1</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწერლებით იხ. საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს საინფორმაციო ფურცელი, ივლის – აგვისტოს თვეების ანგარიში, გამოცემა №3, 2005, ასევე, 2005 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეების ანგარიში.

<sup>2</sup> იხ. ნ. თოდუა წიგნში: მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გვენეტაძე, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1, მე-3 გამოცემა, 2008, გვ. 250

სიმძიმის ხასიათიდან გამომდინარე, სსკ-ის 144<sup>1</sup>-ე-144<sup>3</sup>-ე მუხლებზე არ ვრცელდება სსკ-ის 71-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები. ამდენად, იმ პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცემა და გასამართლება, რომლებიც მსგავსი ტიპის დანაშაულს ჩაიდენენ, უნდა მოხდეს იმისდა მიუხედავად, თუ რა დრომ გაიარა მისი ჩადენის დღიდან.

## მუხლი 145. დანაშაულის პროვოკაცია

დანაშაულის პროვოკაცია, ესე იგი სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით, —

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

*(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2937-სსმ I, 2006 წ., №14, მუხ. 90)*

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დანაშაულის პროვოკაციისათვის. ეს ახალი ნორმა ჩვენს კანონმდებლობაში. 1960 წლის კოდექსი ასეთ საკანონმდებლო ნოველას არ იცნობდა. დანაშაულის პროვოკაცია ხსენებული მუხლის დისპოზიციაში განმარტებულია როგორც „სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით.“ სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად სხვა არაფერია, თუ არა დანაშაულის ჩასადენად წაქეზება. იბადება კითხვა: რატომ გახდა საჭირო წაქეზების კერძო შემთხვევის დამოუკიდებელი დანაშაულის სახით გათვალისწინება და რატომ არ შეიძლებოდა წამქეზებელს პასუხი ეგო თანამონაწილეობის ზოგადი წესების შესაბამისად?

როგორც ცნობილია, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა ობიექტური მხრივ მიზეზობრიობის მომენტს ეფუძნება. ყოველი თანამონაწილის, მათ შორის წამქეზებლის მოქმედება მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს დანაშაულებრივ შედეგთან. წამქეზებელი ხელყოფს იმავე სიკეთეს, რასაც ხელყოფს ამსრულებელი. მაგ-



ალითად, თუ ვინმემ წააქეზა მეორე პირი მკვლელობის ჩასადენად, მისი მოქმედება ისევე ხელყოფს ამ პირის სიცოცხლეს, როგორც ამსრულებლის ქმედება. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ წამქეზებლის მოქმედება უშუალოდ არ იწვევს დანაშაულებრივ შედეგს. ის გაშუალებულია ამსრულებლის მოქმედებით. ამსრულებლისაგან განსხვავებით, რომელიც ფიზიკურად ასრულებს დანაშაულს, წამქეზებელი დანაშაულის ფსიქიკური მიზეზია.

სხვაგვარად არის საქმე პროვოკაციის მიზნით წაქეზებისას. ე.ი. როდესაც პირს აქეზებენ დანაშაულის ჩასადენად იმ მიზნით, რომ შემდეგ ამხილონ და პასუხისგებაში მისცენ. ამ შემთხვევაში წამქეზებელს, როგორც წესი, არ სურს ამსრულებელმა ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული. იგი დაინტერესებულია მხოლოდ იმით, რომ მან დაიწყო დანაშაულებრივი საქმიანობა და დასჯად სტადიას მიაღწიოს, რაც შესაძლებლობას მისცემს ამხილოს დამნაშავე და დასასჯელად გადასცეს. ასე რომ, წამქეზებლის მოქმედება მიმართულია თვით ამსრულებლის წინააღმდეგ და ხელყოფს მის პიროვნებას. ამსრულებლის პიროვნება დამოუკიდებელ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს. ამსრულებელმა არ იცის, რომ მას ხაფანგს უგებენ, აქეზებენ იმისათვის, რათა დანაშაულის ჩადენის მომენტში შეიპყრონ. მან რომ წამქეზებლის ნამდვილი მიზანი იცოდეს, ცხადია, მის მიერ დაგებულ ხაფანგში არ გაებმება. ასე რომ, წამქეზებელი და ამსრულებელი არა ერთ, არამედ სხვადასხვა სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფენ.

როგორც ცნობილია, თანამონაწილეობა გულისხმობს ორი ან მეტი პირის მოქმედების ერთიანობას. ეს ერთიანობა უნდა შეეხებოდეს როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ მხარეს. როგორ შეიძლება წამქეზებლის და ამსრულებლის მოქმედების ერთიანობაზე და მაშასადამე თანამონაწილეობაზე ლაპარაკი იქ, სადაც ამსრულებელი მოქმედებს კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის (სიცოცხლის, საკუთრების და ა.შ.) ხელყოფის მიზნით, წამქეზებლის მიზანი კი ამსრულებლის მხილება და პასუხისგებაში მიცემაა. ცხადია, ისინი არა ერთიან, არამედ სხვადასხვა უმართლობას ახორციელებენ. ასეთ შემთხვევებში წამქეზებლობა სცილ-

დება თანამონაწილეობის ფარგლებს და დამოუკიდებელ შინაარსს იძენს. იგი თანამონაწილეობის სახე კი აღარ არის, დანაშაულის გამოვლინების ისეთივე დამოუკიდებელი ფორმაა, როგორც ამსრულებლობაა. როგორც მართებულად შენიშნავს პროფესორი ოთარ გამყრელიძე, „კანონმდებელმა, რომელიც თანამონაწილეობის დასჯადობას მიზეზობრიობაზე აფუძნებს, კოდექსის კერძო ნაწილში დამოუკიდებელი დანაშაულის სახით უნდა გაითვალისწინოს წამქეზებლის მოქმედება, რომელიც... ამსრულებლის პიროვნებას ხელყოფს, ამსრულებლის პიროვნების წინააღმდეგ არის მიმართული.“<sup>1</sup> მართლაც, არ შეიძლება წაქეზების ყველა შემთხვევის ერთ სიბრტყეზე მოთავსება და დანაშაულში თანამონაწილეობად მიჩნევა. პროვოკაციის მიზნით წაქეზებას ვერ გავუთანაბრებთ წაქეზების ჩვეულებრივ შემთხვევებს, როცა ამსრულებელსა და წამქეზებელს შორის სრული თანხმობაა და მათი მოქმედება შეგნებულად მიმართულია ერთი და იმავე დანაშაულებრივი შედეგისაკენ.<sup>2</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით მართებულად უნდა ჩაითვალოს კანონმდებლის პოზიცია, რომელმაც დანაშაულის პროვოკაცია დამოუკიდებელი დანაშაულის სახით გაითვალისწინა სისხლის სამართლის კოდექსში და ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში მოათავსა.

დანაშაულის პროვოკაციის ცნების განმარტებისას უნდა გამოვიდეთ სიტყვა „პროვოკაციის“ ეტიმოლოგიური მნიშვნელობიდან. პროვოკაცია წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან „provocatio“ და ნიშნავს გამოწვევას. როდესაც ლაპარაკია რაიმე მოვლენის პროვოკაციაზე, იგულისხმება ამ მოვლენის ხელოვნურად გამოწვევა. უცხო სიტყვათა ლექსიკონში პროვოკაცია განმარტებულია, როგორც „ცალკეული პირის, პირთა ჯგუფების. წაქეზება ისეთ მოქმედებაზე, რასაც მოჰყვება მათთვის მძიმე, ზოგჯერ

---

1 ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბილისი, 1989, გვ. 35.

2 ამ საკითხზე იხ. თ. ებრაღიძე, წამქეზებლის ფიგურა სისხლის სამართალში, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2003, №3, გვ.95-103; მისივე, წამქეზებლობის სამართლებრივი ბუნების საკითხისათვის, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის „მაცნე“, 2006, №1, გვ.143-158.

დამლუპველი შედეგები“. იმავე ლექსიკონის მიხედვით, პროვოკატორი არის „პირი, რომელიც გაცემის, ღალატის მიზნით იწვევს აკრძალულ მოქმედებას; წამქეზებელი“. ამ განმარტებებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დანაშაულის პროვოკაცია გულისხმობს დანაშაულის ხელოვნურად გამოწვევას.

ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი დანაშაულის ჩასადენად იმ განზრახვით, რომ შემდეგ ამხილოს და სამართალდამცავ ორგანოებს გადასცეს, სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ცნობილია აგენტი-პროვოკატორის სახელწოდებით. აგენტი-პროვოკატორის საქმიანობა მიუღებელია სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. ჩვენ ცხადია, არ ვგულისხმობთ ისეთ შემთხვევებს, როცა პოლიცია სპეციალურ აგენტურას შეაგზავნის დანაშაულებრივ ჯგუფში და მათი დახმარებით შეეცდება დანაშაულის გახსნას. 145-ე მუხლში ლაპარაკია დანაშაულის ჩასადენად სხვის დაყოლიებაზე. ე.ი. დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება კაცს მიღებული არა აქვს და იგი აღეძრა წამქეზებლის ზემოქმედების შემდეგ. წამქეზებელს კი, როგორც აღვნიშნეთ, ამოძრავებს მისი მხილებისა და პასუხისგებაში მიცემის სურვილი. როგორც არ უნდა იყოს მოტივი, რითაც ხელმძღვანელობდა აგენტი-პროვოკატორი, მისი ქმედება დასასჯელია სისხლის სამართლის წესით. იგი წარმოადგენს არა მხილებას, არამედ ცდუნებას, ხელს უწყობს არა დანაშაულის თავიდან აცილებას, არამედ პირიქით, განაპირობებს მის ჩადენას. პროფესორი თინათინ წერეთელი წერდა: „ხელისუფლების ორგანოები, ისევე როგორც ცალკეული მოქალაქენი, ვალდებული არიან ყოველმხრივად ებრძოლონ დანაშაულს და ამხილონ დამნაშავენი, მაგრამ ეს ბრძოლა კანონიერ ფორმებში უნდა წარმოებდეს. დაუშვებელია დამნაშავეთა მხილება ისეთი საშუალებებით, რომლებიც თითონ ხელს უწყობენ დანაშაულთა ჩადენას ცალკეული პირების მიერ. სამძებრო ორგანოების ხელშია დანაშაულთა გახსნის მეცნიერული ხერხები, ზემოქმედების ზნეობრივი საშუალებანი და მათ არ შეიძლება მიმართონ ამ მიზნის განსახორციელებლად ისეთ საზოგადოებრივად საშიშ და უკანონო მეთოდს, როგორიცაა

ცალკეულ, თუნდაც ეჭვმიტანილ პირთა პროვოკაცია დანაშაულის ჩასადენად.<sup>1</sup>

დანაშაულის პროვოკაცია უნდა განვასხვავოთ ოპერატიული ექსპერიმენტისაგან. მათ შორის მკვეთრი ზღვარის გავლება ნიშნავს მართლზომიერ და დანაშაულებრივ ქმედებათა ერთმანეთისაგან გამიჯვნას. ოპერატიული ექსპერიმენტი წარმოადგენს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ერთ-ერთ სახეს. მას არც თუ იშვიათად მიმართავენ სამართალდამცავი ორგანოები მექრთამეობის საქმეებზე, ნარკოტიკების, უაქციზო საქონლის რეალიზატორთა გამოსაუღენად და ა.შ. ოპერატიული ექსპერიმენტი ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპეტენტური ორგანოს წარმომადგენელი ფლობს ინფორმაციას, რომ მზადდება, ხდება, ან მოხდა დანაშაული. მაგალითად, მოხელის მიერ ქრთამის მოთხოვნის თაობაზე ინფორმაციის შემოწმებისა და დამნაშავის მხილების მიზნით ხდება ქრთამის შეგზავნა თანამდებობის პირისათვის.

დანაშაულის პროვოკაციის შემთხვევაში კი პროვოკატორი თავად აღუძრავს პირს დანაშაულის ჩადენის, ჩვენს მაგალითში, ქრთამის აღების გადაწყვეტილებას. ქრთამის აღების ინიციატივა მოხელისგან არ მოდის. თუ მოხელემ პირველმა დაიწყო ქრთამზე საუბარი, მოითხოვა იგი გარკვეული მოქმედების შესრულების სანაცვლოდ, ასეთი მოხელისათვის დამუშავებული ფულის შეგზავნა მისი მხილებისა და პასუხისგებაში მიცემის მიზნით, პროვოკაციად არ უნდა ჩაითვალოს. ეს იქნება მართლზომიერი ოპერატიული ექსპერიმენტი.

იგივე უნდა ითქვას ისეთ შემთხვევებზეც, როცა პოლიცია საიდუმლო თანამშრომელს შეაგზავნის დანაშაულებრივ ჯგუფში, რათა გახსნას ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულები. პოლიციის აგენტმა არ უნდა დაიყოლიოს ჯგუფის წევრები დანაშაულის ჩადენაზე, კონკრეტული დანაშაულის ჩადენის ინიციატივა ჯგუფის წევრისგან უნდა მოდიოდეს. თუ ინიციატივა პოლიციის აგენტისგან მოდის, მან აღუძრა ჯგუფის წევრს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება, წაიყვანა დანაშაულის ჩასადენად და შემდეგ ამხილა,

1 თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ.166.

გვექნება დანაშაულის პროვოკაცია და არა მართლზომიერი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება. რა თქმა უნდა, დანაშაულის პროვოკაციად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც საიდუმლო თანამშრომელი, რომელსაც ჯგუფის წევრებმა გაანდეს კონკრეტული დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება, მათივე თხოვნით აძლევს იარაღს, რჩევა-დარიგებას, წაყვება დანაშაულის ჩასადენად, შემდეგ კი ამხელს მათ და გადასცემს სათანადო ორგანოებს.

145-ე მუხლში ლაპარაკია დანაშაულის ჩასადენად დაყოფილებაზე. დაყოფიების საშუალება შეიძლება იყოს თხოვნა, რჩევა, დარწმუნება, მუქარა, წინადადების მიცემა და ა.შ. სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ „წინადადების მიცემა დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად, არ უნდა ჩაითვალოს დაყოფიებად.“ სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სახელმძღვანელოში მოტანილია ასეთი მაგალითი: მოქალაქემ სახელმწიფო მოხელეს შესთავაზა წინადადება, — თუ მიიღებდა მას სამუშაოზე, ქრთამის სახით გადასცემდა გარკვეულ თანხას. (მისი მიზანი იყო ამ მოხელის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა). მოხელეც დათანხმდა და აიღო ქრთამი, რა დროსაც იგი მხილებულ იქნა დანაშაულის ჩადენაში. სახელმძღვანელოს ავტორთა აზრით, „მოქალაქის ეს ქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის პროვოკაციად, ვინაიდან მას მოხელე არ დაუყოფიებია დანაშაულის ჩადენაში მის ფსიქიკაზე აქტიური ზემოქმედებით (თხოვნა, მუქარა და ა. შ.). ის ფაქტი, რომ მოხელე მის წინადადებას უპრობლემოდ დათანხმდა, მიუთითებს, რომ ქრთამის აღება ამ მოხელისათვის საქმიანობის ჩვეულებრივი წესია.“<sup>1</sup>

ჩემი აზრით, ზემოთ მოტანილ მაგალითში სასეხუა არა „დანაშაულის გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება“, რაც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანას წარმოადგენს (ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მე-2<sup>1</sup> მუხლის „ა“ პუნქტი), არამედ მისი გამოწვევა, პროვოცირება; არა მხილება, არამედ ცდუნება. დანაშაულის ჩადენაზე დაყოფიება არ გულისხმობს მაინცდამაინც ხანგრძლივ, აქტიურ ზემოქმედებას პირის

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2005, გვ. 197.

ფსიქიკაზე. დაყოლიება ნიშნავს პირისათვის დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების აღძვრას, რაც შეიძლება მოხდეს უბრალო წინადადების მიცემითაც ჩაიდინოს დანაშაული. ეს უკანასკნელი დანაშაულის ჩასადენად დაყოლიების ისეთივე საშუალებაა, როგორცაა თხოვნა, რჩევა, დარწმუნება, მუქარა და სხვ. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ფსიქიკაზე ზემოქმედების სხვადასხვა ხარისხშია. ცხადია, თხოვნა და განსაკუთრებით მუქარა პირის ფსიქიკაზე ზემოქმედების უფრო ინტენსიური საშუალებებია. როგორც აღნიშნული იყო, პროვოკაცია მაშინ გვაქვს, როცა დანაშაულის ჩადენის ინიციატივა მომდინარეობს არა მოხელისგან, არამედ ქრთამის შემძლევის ან სხვა პირისაგან. ეს არის მთავარი. ამიტომ თუ წინადადების მიცემის დროს პირი მოქმედებდა მოხელის მხილებისა და სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით, სახეზეა დანაშაულის პროვოკაცია. ის, რომ მოხელე დათანხმდა წინადადებას ქრთამის აღების თაობაზე, არ გამორიცხავს დანაშაულის პროვოკაციის არსებობას და ვერ გადააქცევს ქრთამის მიმცემის ქმედებას მართლზომიერ ქცევად.

ცხადია, წესიერი კაცი იშვიათად წამოეგება პროვოკატორის ანკესზე. პროვოკაციის მსხვერპლნი უმეტესად ხდებიან დანაშაულებრივი მიდრეკილების მქონე, უფრო მეტიც, დანაშაულის გზაზე დამღვარი პირები, რომელთაც დანაშაულის ჩადენის განწყობა უკვე ჩამოყალიბებული აქვთ. მაგრამ ერთია ზოგადად დანაშაულებრივი მიდრეკილება, დანაშაულის ჩადენის განწყობა და მეორეა კონკრეტული დანაშაულის ჩადენის განზრახვა. ექსპერიმენტი მართლზომიერი მაშინ იქნება, როდესაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი ზოგადად, ეჭვის დონეზე კი არ არის ინფორმირებული, რომ მოხელე მექრთამეა, არამედ ფლობს სრულიად კონკრეტულ ინფორმაციას კონკრეტულ დანაშაულზე. მაგალითად, მოქალაქემ სამართალდამცავ ორგანოში განაცხადა, რომ მოხელე სამუშაოზე მიღების სანაცვლოდ ფულს სთხოვს. ასეთი კონკრეტული ინფორმაციის გარეშე სახელმწიფო მოხელისათვის ქრთამის შეთავაზება იმ განზრახვით, რომ იქნებ აიღოს და ამხილონ დანაშაულის ჩადენაში, იქნება დანაშაულის პროვოკაცია და არა მართლზომიერი ოპერატიული ექსპერიმენტი.

სავსებით მართებულად მიგვაჩნია ვ. მაყაშვილისა და გ. ტყეშელიაძის თვალსაზრისი, რომ ქრთამის პროვოკაცია მაშინაც გვექნება, როდესაც პროვოკაციის მომწყობს ამოდრავებს სამსახურის ყალბად გაგებული ინტერესები. „მაგალითად, სურვილი განდევნოს სახელმწიფო აპარატიდან თანამდებობის პირები, ვისზედაც ეჭვია, რომ ქრთამს იღებენ. ეს გარემოება პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს, მაგრამ სასამართლოს შეუძლია იგი მხედველობაში მიიღოს სასჯელის დანიშვნისას.“<sup>1</sup> ცხადია, აქ ლაპარაკია სწორედ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც კონკრეტული ინფორმაციის არსებობის გარეშე, მხოლოდ ეჭვის საფუძველზე ხდება ქრთამის შეგზავნა თანამდებობის პირისათვის, რაც დასახელებულ ავტორებს დაუშვებლად მიაჩნიათ.

საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა მეტიმეტად შეზღუდავდა 145-ე მუხლის გამოყენების ფარგლებს. სამართალდამცავი ორგანოს მუშაკს იშვიათად გაუჭირდება იმის მტკიცება, რომ არსებობდა ეჭვი ამა თუ იმ მოხელეზე მექრთამეობასთან დაკავშირებით. ეს კი ხელს შეუწყობს ამ ორგანოს ცალკეულ წარმომადგენელთა თვითნებობას. ცხადია, ამგვარი თვითნებობა გამორიცხული იქნება იმ შემთხვევაში, თუ ოპერატიული ექსპერიმენტის მართლზომიერების აუცილებელ პირობად მივიჩნევთ კონკრეტული ინფორმაციის არსებობას მოხელის მიერ ქრთამის მოთხოვნის თაობაზე. ჩემი აზრით, ამგვარად უნდა იქნეს გაგებული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მითითება, რომ ამ საქმიანობის ერთ-ერთი ამოცანაა „იმ პირის დადგენა, რომელიც სჩადის დანაშაულს“. (მეორე მუხლის „ბ“ პუნქტი). ცხადია, კანონმდებელი გულისხმობს კონკრეტულ დანაშაულს.

უნდა ჩაითვალოს თუ არა დანაშაულის პროვოკაციად დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნა? ე.ი. ისეთი შემთხვევა, როცა დაყოლიებას, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ადგილი არ ჰქონია, ამჟამად არ წაუქეზებით კაცი დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ საგანგებოდ შეუქმნეს ისეთი სიტუაცია,

---

<sup>1</sup> ვ. მაყაშვილი, გ. ტყეშელიაძე, პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის. თბილისი, 1964, გვ. 214.

რომელშიც ცდუნებას ვერ გაუძლო და ჩაიდინა დანაშაული. პროფ. ო. გამყრელიძეს მოჰყავს მაგალითი საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან: პოლიციის თანამშრომლებმა რკინიგზის სადგურის მოსაცდელ დარბაზში ერთ-ერთ მგზავრს დაუდეს წინ ჩემოდანი და თხოვეს თავი მოემძინარებინა. ამ გზით დაიჭირეს ქურდი.<sup>1</sup> ავტორის აზრით, ეს არამართლზომიერი ქმედებაა და დანაშაულის პროვოკაციად უნდა ჩაითვალოს. საწინააღმდეგო თვალსაზრისია დაფიქსირებული სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სახელმძღვანელოში, სადაც ვკითხულობთ: „...არ ჩაითვლება პროვოკაციად პირის ქმედება, როცა იგი შეგნებულად დადგება იმ მოქალაქის გვერდით, ვისი მხილებაც სურს, გახსნილი ჩანთით ხელში, საიდანაც მოჩანს საფულე და ადვილია მისი ამოღება. ამ შემთხვევაშიც ადგილი არა აქვს პირის დაყოლიებას.“<sup>2</sup>

ჩემი აზრით, ორივე მაგალითში სახეზეა არა მართლზომიერი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, არამედ დასჯადი ქმედება – დანაშაულის პროვოკაცია. დამნაშავეთა მოქმედება მიმართულია იქითკენ, რომ აცდუნონ პირი, ჩაადენინონ დანაშაული, რათა შემდეგ ამხილონ და ციხეში ჩასვან. არსებობს ვარაუდი, რომ ხელოვნურად შექმნილ სიტუაციაში იგი ცდუნებას ვერ გაუძლებს და ჩაიდენს დანაშაულს. როცა ეს ვარაუდი მართლდება, პოლიციის მუშაკმა ან მასთან დაკავშირებულმა პირმა პასუხი უნდა აგოს დანაშაულის პროვოკაციისათვის, პროვოცირებულმა კი დანაშაულის (ჩვენს მაგალითებში – ქურდობის) მცდელობისათვის. დამნაშავეთა მხილება კანონიერი საშუალებებით უნდა ხდებოდეს და არა დანაშაულის ჩასადენად პირობების ხელოვნურად შექმნით.

როგორც აღნიშნული იყო, „დაყოლიება“ გულისხმობს პირისათვის დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების აღძვრას. ეს კი შეიძლება მოხდეს როგორც ამკარად, ასევე ფარულად. ჩვენს მიერ

---

1 ო. გამყრელიძე, მოტყუების გზით სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სასამართლოს ინსტიტუტის 40 წლისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები. თბილისი, 1997, გვ. 156. (თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა. ხელნაწერის უფლებით).

2 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, გვ. 219.



მოტიანილ მაგალითებში ადგილი აქვს ფაქტიურად ფარულ დაყო-  
ლიებას დანაშაულის ჩასადენად, ე.ი. ეგრეთ წოდებულ ფარულ  
წაქეზებას, როცა წაქეზებული ვერ ხვდება, რომ მას დანაშაუ-  
ლის ჩასადენად აქეზებენ. 145-ე მუხლით ქმედების კვალიფიკა-  
ციის თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს  
იმ გარემოებას, კაცი პირდაპირ ეტყვის მეორე კაცს – მოიპარეო,  
ანიშნებს გახსნილ ჩანთას ან უყურადღებოდ დატოვებულ ჩემო-  
დანს (კონკლუდენტური მოქმედება), თუ ხელოვნურად შეუქმნის  
პირობებს, რომელშიც იგი ცდუნებას ვერ გაუძლებს და ჩაიდენს  
დანაშაულს. თუ პირველ შემთხვევაში ადგილი აქვს დაყოლიებას  
დანაშაულის ჩასადენად და მაშასადამე, დანაშაულის პროვოკა-  
ციას, რატომ არ უნდა ჰქონდეს იგივეს ადგილი მეორე შემთხ-  
ვევაში. მითუმეტეს, რომ მიზანი ორივეგან ერთია: აცდუნოს პირი,  
ჩაადენინოს დანაშაული, რათა შემდეგ ამხილოს და პასუხისგებაში  
მიაცემინოს. მეორე შემთხვევაში პროვოკატორი უფრო ეშმაკურად  
მოქმედებს, ნიღბავს თავის როლსა და წვლილს პროვოცირებულის  
მიერ ჩადენილ დანაშაულში.

პირობების ხელოვნურად შექმნა დანაშაულის ჩასადენად რომ  
დანაშაულის პროვოკაციად უნდა ჩაითვალოს, ეს სიტყვა „პრო-  
ვოკაციის“ ეტიმოლოგიური მნიშვნელობიდანაც გამომდინარეობს.  
ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ პროვოკაცია ნიშნავს გამოწვევას. და-  
ნაშაულის პროვოკაცია გულისხმობს დანაშაულის ხელოვნურად  
გამოწვევას, რაც გვაქვს სწორედ დანაშაულის ჩასადენად პირო-  
ბების ხელოვნურად შექმნის დროს.

სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნად განხორციელებისა და  
კანონმდებლობის სრულყოფის თვალსაზრისით, უმჯობესი იქნე-  
ბოდა სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლის დისპოზიცია  
შეიტავდეს მითითებას „დანაშაულის ჩასადენად პირობების ხე-  
ლოვნურად შექმნაზე“, როგორც დასჯად ქმედებაზე.

განსაკუთრებულ შემთხვევებში კანონმდებელი დასაშვებად მი-  
იჩნევს დანაშაულის პროვოცირებას. მისი დასაშვებობის ფარგლები  
და მართლზომიერების პირობები მკაფიოდ არის რეგლამენტირებუ-  
ლი კანონში. დანაშაულის ხელოვნურად გამოწვევის უფლება აქვთ  
მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს და არა მოქალაქეებს,

გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი მოქმედებენ ამ ორგანოთა დავალებით ან მათთან შეთანხმებით. მაგალითად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად, ამ საქმიანობის ამოცანათა შესასრულებლად გამოიყენება ე.წ. საკონტროლო შესყიდვა, (მეშვიდე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტი), რომელიც განმარტებულია, როგორც „ოპერატიული მუშაკის, გამოძიების ან ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მიერ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე საგნის ან ნივთიერების შეძენა ან შეძენის ვითარების შექმნა. (მისი გასაღების ან მოხმარების მიზნის გარეშე).“ მაგალითად, ოპერატიულ მუშაკს აქვს ინფორმაცია, რომ პირი ვაჭრობს ნარკოტიკებით. პოლიციის აგენტი მიდის ექვმიტანილთან და ყიდულობს მისგან ნარკოტიკულ საშუალებას, რომლის დროსაც ნარკოტიკების გამსაღებელს აკავენ. მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვასა და რეალიზაციაში ექვმიტანილი პირისაგან ოპერატიული მუშაკი ყიდულობს უაქციზო სიგარეტს.

როგორც კანონის ზემოთ მოტანილი ტექსტიდან ჩანს, საკონტროლო შესყიდვა დასაშვებია მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში. ცხადია, ეს მოთხოვნა, გარდა საკონტროლო შესყიდვისა, დანაშაულის ხელოვნურად გამოწვევის სსუა შემთხვევებზეც უნდა გავავრცელოთ. ოპერატიული ექსპერიმენტი არამართლზომიერი იქნება, როცა კონკრეტული ინფორმაციის არსებობის გარეშე, მაგალითად, ქურდობისთვის რამდენჯერმე ნასამართლევ ადამიანს წააქეზებენ გაქურდოს ბინა, რომლის მფლობელებიც სახლში არ იმყოფებიან და დიდძალი ქონება უმეთვალყურეოდ აქვთ დატოვებული. წამქეზებელთა ვარაუდით, იგი დანაშაულებრივი წარსულიდან გამომდინარე ცდუნებას ვერ გაუძლებს და დანაშაულის ჩადენის დროს დააკავებენ. პირიქით, ექსპერიმენტი მართლზომიერად უნდა ჩაითვალოს, თუ არსებობს კონკრეტული ინფორმაცია, რომ ამ პირმა დაამზადებინა მორგებული გასაღები ბინის გასაქურდად, აგროვებს თანამონაწილეებს და ემზადება ქურდობის ჩასადენად. პოლიციის აგენტი შესთავაზებს დახმარებას, წაყვება დანაშაულის ჩასადენად, რომლის დროსაც დამნაშავეს დააკავებენ.

მართლზომიერი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება გვექნება იმ შემთხვევაშიც, როცა მაგალითად, პროსტიტუციისათვის ან ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა ადგილის დათმობაში (სსკ-ის 254-ე და 271-ე მუხლები) ეჭვიმითანილ პირთან მიღის „კლიენტი“ და სთხოვს საცხოვრებლის გადაცემას.

დანაშაულის ხელოვნურად გამოწვევის შემთხვევაში მკაცრად უნდა იყოს დაცული ოპერატიული ექსპერიმენტის მართლზომიერების პირობები, რომლებიც შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: 1. ექსპერიმენტი ტარდება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რომ მზადდება, ხდება ან მოხდა დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება. (ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი) 2. ოპერატიულმა მუშაკმა არ უნდა აღუძრას პირს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება. ის ამ უკანასკნელს დამოუკიდებლად უნდა ჰქონდეს მიღებული. 3. და ბოლოს, ჩატარებული ღონისძიება უნდა პასუხობდეს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანებს, რომლებიც ჩამოთვლილია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მე-2-ე მუხლში. ესენია: ა) დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება; ბ) იმ პირის დადგენა, რომელიც ამზადებს, სჩადის ან რომელსაც ჩადენილი აქვს დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება; გ) იმ პირის ძებნა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოში წარდგენა, რომელიც ემალება წინასწარ გამოძიებას, სასამართლოს, თავს არიდებს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ან იძულებითი ზასიათის სხვა ღონისძიების მოხდას; დ) დანაშაულებრივ ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შედეგად დაკარგული ქონების ძებნა და დადგენა; ე) უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ძებნა ე) სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება; ზ) დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის იდენტიფიცირება.“ ამჟვე კანონის თანახმად, „აკრძალულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება იმ ამოცანის მისაღწევად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ კანონით.“ (მე-6 მუხ-

ლის პირველი ნაწილი). დანაშაულის პროვოკაციის თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესოა მე-2 მუხლის „ა“, „ბ“ და „ვ“ პუნქტები.

მანც სად გადის ზღვარი, რომლის იქით ექსპერიმენტი არ შეიძლება მართლზომიერად ჩაითვალოს. ი. დვალიძის აზრით, დანაშაულის პროვოცირება „მხოლოდ მაშინ უნდა იყოს დასაშვები, თუ ეჭვმიტანილთა დანაშაულებრივი საქმიანობა რომელიმე ერთ-ერთ პირობას აკმაყოფილებს: 1. თუ ეჭვმიტანილთა დანაშაულებრივი საქმიანობა სისტემატურ ხასიათს ატარებს. 2. დანაშაულებრივი საქმიანობა განგრძობად (ამ სიტყვის იურიდიული გაგებით) ხასიათს ატარებს. 3. ამა თუ იმ დანაშაულის მომზადების სტადიაზე მისი აღკვეთის და მისი ჩამდენის დაკავების მიზნით მოხდება პროვოცირება. მაგალითად, აგენტ-პროვოკატორი მკვლელობის მომზადებისას მკვლელს შესთავაზებს, ერთობლივად განახორციელონ მკვლელობა.“<sup>1</sup>

ზემოთ ჩამოთვლილ პირობათაგან ოპერატიული ექსპერიმენტის მართლზომიერება ეჭვს არ იწვევს მეორე და მესამე პირობის არსებობის შემთხვევაში, რადგან არც განგრძობადი დანაშაულის დროს და არც დანაშაულის მომზადების სტადიაზე არ ხდება პირისათვის დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების აღძვრა. როცა ეჭვმიტანილთა დანაშაულებრივი საქმიანობა სისტემატურ ხასიათს ატარებს, ექსპერიმენტის ჩატარებისას საიდუმლო თანამშრომელს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს, რათა მისი ქმედება დანაშაულის პროვოკაციაში არ გადაიზარდოს. როგორც თავად ი. დვალიძე აღნიშნავს, „ექსპერიმენტი უნდა ჩაითვალოს მართლზომიერად და არა პროვოკაციად, თუ იგი არ იწვევს პირის დანაშაულებრივ ქცევას და ერთეობა მისი უკვე დაწყებული განზრახვის რეალიზაციაში.“<sup>2</sup> სისტემატურობის ნიშნის არსებობისას ყოველი დანაშაულებრივი აქტი, რომელიც სისტემატურობას ქმ-

---

1 ი. დვალიძე, დანაშაულის პროვოცირების პრობლემა სისხლის სამართალში, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2005, №1, გვ. 92-93.

2 ი. დვალიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 96. ციტირებულია ი. სელუზნიოვის ნაშრომიდან: Селезнев М., Эксперимент или провокация? /К вопросу о борьбе с коррупцией / . Российская юстиция, 1996, №5, с. 51.

ნის, ერთიანი განზრახვით ჩადენილი ერთი დანაშაულებრივი ჯაჭვის რგოლი კი არ არის, არამედ ახლად აღმოცენებული განზრახვით ჩადენილი ახალი დანაშაულია. ამიტომ ის, ვინც სხვას ახალი დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება, ახალი დანაშაულებრივი განზრახვა აღუძრა, რათა შემდეგ ამხილოს იგი დანაშაულის ჩადენაში, დანაშაულის პროვოკატორად უნდა ჩაითვალოს. მართალია, წაქეზებულს მანამდეც რამდენჯერმე ჰქონდა ჩადენილი იგივე დანაშაული და მაშასადამე, ჩამოყალიბებული ამ სახის დანაშაულთა ჩადენის განწყობა, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთია დანაშაულებრივი მიდრეკილება, დანაშაულის ჩადენის განწყობა და მეორეა კონკრეტული დანაშაულის ჩადენის განზრახვა. ასეთი განზრახვა კი მას სწორედ წამქეზებლის ზემოქმედების შედეგად აღმოუცენდა. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ წამქეზებელი „ჩაერთო უკვე დაწყებული განზრახვის რეალიზაციაში“, რაც ოპერატიული ექსპერიმენტის მართლზომიერების აუცილებელი პირობაა. არ არსებობს ზოგადი განზრახვა, არამედ განზრახვა არსებობს კონკრეტული ქმედებისა და ამ ქმედებით გამოწვეული ზიანის მიმართ.<sup>1</sup>

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, დამნაშავეის შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთისა და მისი მხილების ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ შემთხვევებში მაინც დასაშვებია დანაშაულის ხელოვნურად გამოწვევა მაშინაც, როდესაც ეჭვიმიტანილთა დანაშაულებრივი საქმიანობა სისტიმატურ ხასიათს ატარებს. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ზემოთ ნახსენები „საკონტროლო შესყიდვა“. იგი გამოიყენება სწორედ ერთგვაროვან ქმედებათა სისტიმატურად ჩამდენ დამნაშავეთა გამოსავლენად. დანაშაულის ხელოვნურად გამოწვევა მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როცა დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავეის მხილების სხვა გზა არ არსებობს. ეს ეხება უპირველეს ყოვლისა, ლატენტურ დანაშაულებს, აუცილებელი თანამონაწილეობით ჩასადენ დელიქტებს. მაგალითად, ნარკოტიკების ან უაქციზო საქონლის რეალიზატორთა მხილება საიდუმლო თანამშრომლის დახმარების

---

<sup>1</sup> Лекшас Иои, Вина как субъективная сторона преступного деяния, М, 1958, 33-34.

გარეშე ძნელია, რადგან როგორც გამყიდველი, ასევე მყიდველი ერთნაირად არიან დაინტერესებულნი, რომ მათი მოქმედება სამართალდამცავი ორგანოებისათვის შეუმჩნეველი დარჩეს. მართლზომიერი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება არც სხვა შემთხვევებშია გამორიცხული. სამართალდამცავი ორგანოების ხელშია თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, სპეციალურ ღონისძიებათა მთელი სისტემა, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს დანაშაულის აღკვეთისა და დამნაშავის მხილებისათვის. (ვიდეოგადაღებები, აუდიოჩანაწერები, თვალთვალი ა.შ.). როდესაც ყველა საშუალება ამოწურულია და დამნაშავის მხილება ვერ მოხერხდა, შეიძლება მიემართოს დანაშაულის პროვოცირებას, როგორც უკიდურესი აუცილებლობით ნაკარნახევ ღონისძიებას.

კანონი კრძალავს ისეთი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებას, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. (ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტი). როდესაც ექსპერიმენტი ტარდება მკვლელობის აღკვეთისა და დამნაშავის დაკავების მიზნით, პოლიციის აგენტის მოქმედება მომზადების სტადიას არ უნდა გასცილდეს. თუ ის ვარაუდობს, რომ გადამწყვეტ მომენტში დამნაშავეს თოფზე ხელს აუკრავს და სასიკვდილო შედეგი არ დადგება, ოპერატიული ექსპერიმენტი მართლზომიერი ვერ იქნება. მაშინაც კი, როცა მძიმე შედეგი არ დადგა და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, ოპერატიულმა მუშაკმა პასუხი უნდა აგოს სამსახურებრივი უფლებამოსილების უადამეტებისა და სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებისათვის. (სსკ-ის 333-ე და 127-ე მუხლები). დამნაშავის მხილება და შეპყრობა მკვლელობის მომზადების სტადიაზე უნდა მოხდეს. ვერავითარი ინტერესი ვერ გაამართლებს ადამიანის სიცოცხლის საფრთხეში ჩაყენებას.

პასუხისმგებლობა 145-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის უნდა დადგეს იმისგან დამოუკიდებლად, ხელოვნურად შექმნილ სიტუაციაში პროვოკაციის ობიექტი ჩაიდენს თუ არა დანაშაულს. მაგალითად, თანამდებობის პირს პროვოკაციის მიზნით შეუგზავნეს დამუშავებული ფული. პირველი ვარიანტი:

მან იგი აიღო, მეორე ვარიანტი: ცდუნებას გაუძლო და ფული არ აიღო. ამ ორ შემთხვევას შორის განსხვავება მხოლოდ მოხელის ქმედების სამართლებრივ შეფასებაში მდგომარეობს. 145-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის არსებობა-არარსებობის თვალსაზრისით კი მათ შორის განსხვავება არ არის. ორივე შემთხვევაში უნდა დადგეს პასუხისმგებლობა ხსენებული მუხლით. ცხადია, მეორე შემთხვევაში გვექნება ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მცდელობა.

ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, რომ როცა მოხელემ ქრთამი აიღო, ოპერატიულმა მუშაკმა არ უნდა აგოს პასუხი დანაშაულის პროვოკაციისათვის. თუ ოპერატიულ მუშაკს დამნაშავედ ვადიარებთ, მაშინ ქრთამის ამღები მოხელე უნდა გაეთავისუფლოთ პასუხისმგებლობისგან, რადგან დანაშაულებრივი გზით მიღებული მტკიცებულებები დაუშვებელია.<sup>1</sup> ამ თვალსაზრისის მიხედვით, რა პროვოკაციაზე შეიძლება ლაპარაკი მაშინ, როდესაც მოხელემ ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა დანაშაულის პროვოკაციისათვის უნდა დადგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პროვოკატორმა შეუტანა მოხელეს დანომრილი ფული მხილების მიზნით, მაგრამ ამ უკანასკნელმა იგი არ აიღო.<sup>2</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თუ მოხელე ფულს აიღებს, განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება.

ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: ოპერატიული მუშაკის პასუხისმგებლობა დანაშაულის პროვოკაციისათვის არ გამორიცხავს მოხელის პასუხისმგებლობას ქრთამის აღებისათვის და არ ნიშნავს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული მტკიცებულებების დაშვებას. აქ საქმე გვაქვს არა დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ მტკიცებულებებთან, არამედ დანაშაულის ჩადენის ფაქტთან. პროვოკატორის მიზანი ზომ კაცის ცდუნება, მისი დანაშაულამდე მიყვანაა, რათა შემდგომში ამხილოს იგი და ციხე-

---

1 Виктор Борков, Провокация взятки или допустимый оперативный эксперимент, „Уголовное право“, 2004, №1, с. 14.

2 იქვე, გვ.14

ში ჩასვას. ამ მიზნით იყოლებს დანაშაულის ჩადენაზე. რატომ უნდა იყოს დამოკიდებული ოპერატიული მუშაკის პასუხისმგებლობა მოხელის ქმედებაზე. ეს უკანასკნელი შეიძლება წამოეგოს ან არ წამოეგოს პროვოკაციას. ზემოთ მოტანილი თვალსაზრისის მიხედვით გამოდის, რომ როცა პროვოკატორმა მიზანს მიაღწია, მოხელეს დანაშაული ჩაადენინა და შემდგომ ამხილა, (ე.ი. როცა მოხელე წამოეგო პროვოკაციას), მან არ უნდა აგოს პასუხი სისხლის სამართლის წესით. იგი მხოლოდ მაშინ უნდა დაისაჯოს, როცა მისი ძალისხმევა უშედეგოდ ჩაივლის და მოხელეს პროვოკაციაზე ვერ წამოაგებს.

ჩემი აზრით, საკითხისადმი ასეთი მიდგომა გაუმართლებლად ზღუდავს სსკ-ის 145-ე მუხლის გამოყენების ფარგლებს. ეს მუხლი იცავს პროვოცირებულის პიროვნებას. ამიტომაც არის იგი მოთავსებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. ყველა ადამიანი გარანტირებული უნდა იყოს, რომ მას არ შეაცდენენ, პროვოკაციას არ მოუწყობენ და დანაშაულს არ ჩაადენინებენ. მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანი, მისი უფლებები. როცა ეს ობიექტი ზიანდება, როცა ადამიანს პროვოკაციას მოუწყობენ, დანაშაულს ჩაადენინებენ და ციხეში ჩასვამენ, ყოველთვის უნდა დადგეს პასუხისმგებლობა 145-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ როდესაც პროვოცირებულმა ქრთამი აიღო, ერთგვარ უხერხულ სიტუაციას ქმნის ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში იგი ბრალდებულიც არის (ქრთამის ამღები) და დაზარალებულიც (პროვოკაციის მსხვერპლი). ეს 145-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქციფიურობითაა განპირობებული. თუმცა ასეთი სხვა შემთხვევებიც ვიცი, როდესაც ერთი და იგივე ადამიანი ერთ საქმეში ერთდროულად ბრალდებულისა და დაზარალებულის როლში გვევლინება. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 171-ე მუხლით ისჯება არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადობრივ ქმედებაში. განსახილველი დანაშაულის ობიექტია არასრულწლოვანის პიროვნება, მისი ნორმალური ზნეო-



ბრივი და ფიზიკური განვითარება. ეს მუხლი მოიცავს არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმასაც, რადგან დანაშაული ანტისაზოგადობრივი ქმედებაა. თუ პირმა 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანი ჩააბა დანაშაულებრივ საქმიანობაში, ეს უკანასკნელი ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით და იმპედროულად 171-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მიმართ დაზარალებულის როლშიც გვევლინება. ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევაშიც პროვოკატორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სრულიადაც არ გამოორიცხავს პროვოცირებულის პასუხისმგებლობას და პირიქით.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსში სწორედ ჩვენს მიერ ზემოთ გაკრიტიკებული თვალსაზრისია ასახული. მაგალითად, რუსეთის სსკ-ის 304-ე მუხლით ისჯება ქრთამის ან კომერციული მოსყიდვის პროვოკაცია. მუხლის დისპოზიციაში ვკითხულობთ: „თანამდებობის პირისათვის ან კომერციულ თუ სხვა ორგანიზაციაში მმართველობითი ფუნქციის განმზოორციელებლისათვის მისი თანხმობის გარეშე ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების გადაცემის, ან ქონებრივი ხასიათის მომსახურების გაწევის მცდელობა დანაშაულის ჩადენის მტკიცებულებათა ხელოვნურად შექმნის ან შანტაჟის მიზნით“. კანონის ტექსტში ლაპარაკია „ფულის. გადაცემის მცდელობაზე“. ე. ი. პროვოკატორის ქმედება მცდელობის იქით არ უნდა წავიდეს, მოხელემ ფული არ უნდა აიღოს. თუ ადგილი ჰქონდა არა ფულის გადაცემის მცდელობას, არამედ მის გადაცემას, ე.ი. მოხელის მიერ ფულის აღებას, მაშინ რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობა არ გვექნება. რუსი კრიმინალისტების აზრით, ასეთ შემთხვევებში ქრთამის შემძლევემა პასუხი უნდა აგოს რუსეთის სსკ-ის 290-ე მუხლით (ქრთამის აღება) გათვალისწინებულ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, კერძოდ წამქეზებლობისათვის.<sup>1</sup>

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმაზე, რომ პროვოკატორის

---

1 ვ. ბორკოვი, დასახ. ნაშრ., გვ.14.

ქმედების დანაშაულში თანამონაწილეობად მიჩნევა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და ამ საკითხზე განმეორებით აღარ შეეჩერდება. ასე რომ, ზემოთ მოტანილი საკანონმდებლო ნოველის პირობებში, თუ პროვოკატორი მიზანს მიაღწევს და პროვოცირებულს მახეში გააბამს, იგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიღმა რჩება. გარდა ამისა, რუსეთის სსკ-ის 304-ე მუხლში ლაპარაკია მოხელისათვის მისი თანხმობის გარეშე ფულის ან სხვა ქონების გადაცემის მცდელობაზე დანაშაულის ჩადენის მტკიცებულებათა ხელოვნურად შექმნის ან შანტაჟის მიზნით. ე.ი. თუ ქრთამის მიცემის ინიციატივა ოპერატიული მუშაკისგან მოდიოდა, პირველად მან (ან მის მიერ შეგზავნილმა პირმა) შესთავაზა ქრთამი მოხელეს, ის კი დათანხმდა, არც ასეთ შემთხვევაში გვექნება ხსენებული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა. ასეთი მოთხოვნაც ისევე, როგორც დანაშაულის ჩადენის მტკიცებულებათა ხელოვნურად შექმნის მიზანზე მითითება, გაუმართლებლად ზღუდავს განსახილველი დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებს. გამოდის, რომ რუსეთის სსკ-ის 304-ე მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა: 1. მოხელეს მისი წინასწარი თანხმობის გარეშე ფულს შეუგზავნიან და იგი არ აიღებს და 2. როცა პირი შეცდომაში შეიყვანს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს და განაცხადებს, რომ მოხელე ქრთამს სთხოვს. ჩატარდება ოპერატიული ექსპერიმენტი და ეს პირი ცდილობს ხელოვნურად შექმნას მოხელის მიერ ქრთამის აღების მტკიცებულება (ვთქვათ, შეუცურა მაგიდის უჯრაში ფული), რომ ამ დროს შემოვიდეს ოპერატიული მუშაკი და ამხილოს მოხელე ქრთამის აღებაში. ხსენებული მუხლის დისპოზიცია სხვაგვარი, უფრო ფართო განმარტების შესაძლებლობას არ იძლევა.<sup>1</sup> ამიტომ მრავალი ქმედება, რომელიც ხელყოფს ადამიანის უფლებებს და მიუღებელია სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, სამართლებრივი

---

<sup>1</sup> ასევე განმარტავენ ამ მუხლის შინაარსს რუსი კრიმინალისტები. იხ. ებორკოვი, დასახ. ნაშრ. გვ.14; Павел Яни, Споры о квалификации взяточничества: позиция Пленума Верховного Суда Российской Федерации, „Законодательство“, 2001, №6, с. 19.

რეაგირების გარეშე დარჩება.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის კანონმდებლობით ისედაც შეკვეცილია დანაშაულის პროვოკაციის დასჯადობის ფარგლები: ისჯება მისი მხოლოდ ერთი სახე ქრთამის და კომერციული მოსყიდვის პროვოკაცია. როგორც ზემოთ მოტანილი მაგალითებიდან დავინახეთ, სხვა დანაშაულთა (მაგალითად, ქურდობის, მკვლელობის და ა.შ.) პროვოცირება არანაკლები საშიშროების შემცველია და ისევე ხელყოფს პროვოცირებულის პიროვნებას, მის უფლებებს, როგორც ქრთამის პროვოკაცია. ამიტომ მათი სისხლისსამართლებრივი რეაგირების გარეშე დატოვება არ უნდა იყოს გამართლებული.

საინტერესოა განსახილველი მუხლის ადგილი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სისტემაში. რუსეთის სსკ-ის 304-ე მუხლი მოთავსებულია მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. კანონმდებლის ასეთი პოზიცია განპირობებულია იმით, რომ 304-ე მუხლში ლაპარაკია უდანაშაულო პირისათვის (რომელსაც არ მოუთხოვია ქრთამი და არც აუღია), ფულის ან სხვა ფასეულობის გადაცემის მცდელობაზე ბრალდების მტკიცებულებათა ხელოვნურად შექმნის მიზნით. ცხადია, უდანაშაულო პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ხელყოფს მართლმსაჯულების ინტერესებს, მაგრამ იმავდროულად ხელყოფს იმ ადამიანის ინტერესებსაც, ვისაც პროვოკაციას უწყობენ. ქართველი კანონმდებლის მიერ სწორედ ეს სიკეთეა წინა პლანზე წამოწეული. დანაშაულის პროვოკაცია ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ითვლება. (საქართველოს სსკ-ის მეშვიდე კარი). საქართველოს სსკ-ის 145-ე მუხლი მოთავსებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. პროვოკატორი ხელყოფს პროვოცირებულის პიროვნებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ცდილობს იგი დამნაშავედ აქციოს და სასჯელი დაამსახურებინოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აგენტ-პროვოკატორს არა აქვს განზრახვა პროვოცირებულმა ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული. იგი დაინტერესებულია მხოლოდ იმით, რომ მან დაიწყოს დანაშაულებრივი საქმიანობა და დასჯად სტადიას მიაღწიოს, რაც

შესაძლებლობას მისცემს ამხილოს დანაშავე და დასასჯელად გადასცეს.

როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი პროვოკაციის მიზნით წააქეზეს დანაშაულის ჩასადენად, წაქეზებულმა კი დანაშაული ბოლომდე მიიყვანა, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა. მაგალითი: ა. მტრულად არის განწყობილი ბ-ს მიმართ. მან იცის, რომ ბ-ს ძველი ანგარიშები აქვს ც-სთან და აქეზებს ბ-ს მის მოსაკლავად. ა-ს არ სურს ც-ს სიკვდილი. მისი მიზანია ამხილოს ბ. მკვლელობის მცდელობაში და ციხეში ჩასვას. როცა დანაშაულის ჩადენაზე დაიყოლია, ა-მ მისცა ბ-ს იარაღი, რომელიც დატენა უვარგისი ტყვიებით. ა-ს იმედი აქვს, რომ ბ. ენდობა მას და არ შეამოწმებს იარაღს. მისი ვარაუდი არ გამართლდა. ბ-მ იარაღი შეამოწმა და როცა ნახა, რომ მან არ გაისროლა, გამოცვალა უვარგისი ტყვიები და მოკლა ც.

ამ მაგალითში წამქეზებელს არც სურს სასიკვდილო შედეგის დადგომა და არც შეგნებულად უშვებს მას. იგი იმედოვნებს, რომ შედეგი არ დადგება. ე.ი. შედეგის მიმართ აქვს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება დანაშაულებრივი თვითიმედოვნების სახით. ამიტომ მან არ შეიძლება პასუხი აგოს ბ-ს მიერ ჩადენილ მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის. თანამედროვე სისხლის სამართალი უარყოფს გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის შესაძლებლობას. სსკ-ის 23-ე მუხლის თანახმად, „დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში“. ე.ი. კანონმდებელი გამორიცხავს გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას განზრახ ჩადენილ დანაშაულში (ისევე, როგორც განზრახ მონაწილეობას გაუფრთხილებლობით დანაშაულში) და აღიარებს, რომ თანამონაწილეობა მხოლოდ მაშინ გვაქვს, როცა წამქეზებელიც და ამსრულებელიც განზრახ მოქმედებენ. ასე რომ, ჩვენს მაგალითში წამქეზებლის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 116-ე მუხლით (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით). მაგრამ ამით არ ამოიწურება მისი ქმედების სამართლებრივი შეფასება. გარდა 116-ე მუხლისა, მან პასუხი უნდა აგოს სსკ-ის 145-ე მუხლითაც – დანაშაულის პროვოკაციისათვის. ამ მუხლში ლაპარაკია „სხ-

ვის დაყოლიებაზე დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით.“ წამქეზებელმა სწორედ ეს ქმედება განაზოცნებდა: დაიყოლია კაცი დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით, რითაც ხელყო, ერთი მხრივ, სამართლით დაცული კონკრეტული სიკეთე – სიცოცხლე, მეორე მხრივ კი – თვით წაქეზებულის პიროვნება, დამნაშავედ აქცია ეს უკანასკნელი და სასჯელი დაამსახურებინა. ამიტომ მან პასუხი უნდა აგოს კოდექსის ორი მუხლით – 116-ე (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით) და 145-ე (დანაშაულის პროვოკაცია) მუხლებით. თუკი პასუხისმგებლობა 145-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის უნდა დადგეს იმ შემთხვევაში, როდესაც ამსრულებლის ქმედება მცდელობის სტადიაზე შეჩერდა, რატომ არ უნდა აგოს პასუხი წამქეზებელმა დანაშაულის პროვოკაციისათვის მაშინ, როდესაც ამსრულებელი გასცილდა მცდელობას და დადგა დანაშაულებრივი შედეგი. მით უმეტეს, რომ წამქეზებლის განზრახვა ორივე შემთხვევაში ერთია – წაქეზებულის დანაშაულის ფაქტზე მხილება და პასუხისგებაში მიცემა. როგორც აღნიშნული იყო, ქმედების 145-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დამნაშავის განზრახვის მიმართულებას.

დაუბრუნდეთ ისევ ჩვენს მაგალითს, ოღონდ შევცვალოთ წამქეზებლის ფსიქიკური დამოკიდებულება დამდგარი სასიკვდილო შედეგისადმი: ა. აქეზებს ბ-ს ც-ს მოსაკლავად. ა-ს არ სურს ც-ს სიკვდილი. მისი მიზანია ამხილოს ბ. მკვლელობის მცდელობაში. ა-მ მისცა ბ-ს იარაღი, რომელიც დატენა უვარგისი ტყვიებით. თუმცა არც იმას გამორიცხავს, რომ შესაძლოა ბ-მ იარაღი შეამოწმოს, უვარგისი ტყვიები გამოცვალოს და დადგეს სასიკვდილო შედეგი. ე.ი. არ სურს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებს, გულგრილად ეკიდება მის დადგომას. (არაპირდაპირი განზრახვა.)

ამ მაგალითშიც ა. დანაშაულის პროვოკატორია და პასუხს აგებს სსკ-ის 145-ე მუხლით. თუმცა ამ მუხლით გათვალისწინებული სანქციის მაქსიმუმი – თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე არ შეესაბამება მის მიერ ჩადენილი ქმედების საშიშროებას. გარდა 145-ე მუხლისა, ხომ არ უნდა აგოს მან პასუხი ბ-ს

მიერ ჩადენილ მკვლევრობაში თანამონაწილეობის, კერძოდ წამქეზებლობისათვის?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ისევ თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის სწორი გააზრებიდან უნდა ამოვიდეთ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თანამონაწილეობის დროს ორი ან მეტი პირის მოქმედების ერთიანობა უნდა შეეხებოდეს როგორც ობიექტურ, ასევე სუბიექტურ მხარეს. ობიექტური მხარის ერთიანობა იმაში მდგომარეობს, რომ თანამონაწილის მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია ამსრულებლის მიერ გამოწვეულ შედეგთან. ზემოთ მოტანილ მაგალითში, ცხადია, სახეზეა მიზეზობრივი კავშირი წამქეზებლის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს — კაცის სიკვდილს შორის. მაგრამ მარტო ობიექტური მხარის ერთიანობა არ არის საკმარისი თანამონაწილეობის არსებობისათვის. საჭიროა სუბიექტური მხარის ერთიანობაც, რაც იმაში გამოიხატება, რომ თანამონაწილე და ამსრულებელი ერთიანი მიზნით მოქმედებენ. ორივე მათგანის ქმედება მიმართულია ერთი და იმავე სამართლებრივი სიკეთის დაზიანებისაკენ. წამქეზებლის მოქმედებამ მარტო ობიექტურად კი არ უნდა გამოიწვიოს შემადგენლობის შესაბამისი შედეგი (ჩვენს მაგალითში — კაცის სიკვდილი), არამედ სუბიექტურადაც მიმართული უნდა იყოს ამ შედეგის გამოწვევისაკენ. როგორც აღნიშნული იყო, შეუძლებელია სუბიექტური მხარის ერთიანობაზე ლაპარაკი მაშინ, როდესაც ამსრულებელი მოქმედებს კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის (სიცოცხლის, საკუთრების და ა.შ.) ხელყოფის მიზნით, წამქეზებლის მიზანი კი ამსრულებლის პასუხისგებაში მიცემაა. ქართულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დამაჯერებლად არის დასაბუთებული, რომ, „თუკი წამქეზებლის მიზანი, ის მიზანი, რომელიც უმართლობას აფუძნებს, არ ემთხვევა ამსრულებლის მიზანს, მაშინ აღარ გვაქვს თანამონაწილეობა და თითოეული მათგანი დამოუკიდებელი უმართლობის ამსრულებელია.“<sup>1</sup> სწორედ მიზანი არის ის სუბიექტური ელემენტი, რომელსაც „...უნარი აქვს ორი ან მეტი კაცის

---

1 ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბილისი, 1989, გვ. 179.

მიზეზობრივად დაკავშირებული მოქმედებები სუბიექტურ სფეროშიც შეაკავშიროს და ეს მოქმედებები დანაშაულში თანამონაწილეობად აქციოს“.<sup>1</sup> მაშასადამე, „თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ პირდაპირი განზრახვით“,<sup>2</sup> რადგან მიზანი მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს გვაქვს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ მოტანილ მაგალითში, (როდესაც წამქეზებელს არ სურდა დამდგარი სასიკვდილო შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა მისი დადგომის შესაძლებლობას) წამქეზებელმა არ შეიძლება პასუხი აგოს ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის. მარტო 145-ე მუხლით პასუხისმგებლობა კი, როგორც აღვნიშნეთ, არ შეესაბამება მის მიერ ჩადენილი ქმედების საშიშროებას და ბრალის ხარისხს. ამ მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ როცა დანაშაულის პროვოკაციას მძიმე შედეგი მოჰყვა, პროვოკატორის ქმედების კვალიფიკაცია გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამ სირთულეებს თავიდან ავიცილებდით, თუ სსკ-ის 145-ე მუხლს დაეუმატებდით კვალიფიციურ შემადგენლობას, რომელიც შემდეგი შინაარსის იქნებოდა: „იგივე ქმედება, რამაც განზრახ ან გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი“. როგორც აღნიშნული იყო, კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კრძალავს ისეთი ოპერატიული ექსპერიმენტის ჩატარებას, რომელიც „საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას, ქონებას“.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში სსკ-ის 145-ე მუხლით მსჯავრდების შემთხვევები არ გვხვდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ განსახილველი დანაშაული საერთოდ არ ხდება. მიგვაჩნია, რომ დანაშაულის პროვოკაციის შემთხვევათა გამოვლენა ვერ ხერხდება. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს თუნდაც შემდეგი გარემოება: უაქციზო საქონლის შენახვის საქმეთა შესწავლამ გოჩა მამულაშვილი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ამ კატეგორიის საქ-

1 ო. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 173.

2 ო. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 178.

მეებზე საკმაოდ ხშირია დანაშაულის პროვოცირების შემთხვევები, რომლებიც, როგორც წესი, სამართლებრივი რეაგირების გარეშე რჩება. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს მის მიერ შესწავლილი საქმეებიდან.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ 2002 წლის 26 ივნისის განაჩენით ც. დამნაშავედ სცნო იმაში, რომ აქციზური მარკის გარეშე შეინახა აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონელი - 289 ლარის ღირებულების უაქციზო სიგარეტი, რაც გამოიხატა შემდეგში: „2002 წლის 28 მარტს, დაახლოებით 13 საათზე, გამოძიებით დაუდგენელმა პირმა ქ. რუსთავში ინდივიდუალურ მეწარმე „ჭილაშვილის“ მაღაზიაში სარეალიზაციოდ შეიტანა რუსული აქციზური მარკის მქონე სხვადასხვა დასახელების ფილტრიანი სიგარეტი და იქ გამყიდველად მომუშავე ც-ს შესთავაზა მათი შეძენა, რაზეც ამ უკანასკნელმა უარი განუცხადა, მაგრამ შესაძლო შეძენისათვის მაღაზიის მფლობელისთვის საჩვენებლად უცნობ მამაკაცს დათანხმდა სიგარეტის რამდენიმე ბლოკის დატოვებაზე, მაგრამ მან დაუტოვა ყველა სიგარეტი და მაღაზიიდან გავიდა, თან მიაძახა, რომ საღამოს მოვიდოდა და თვითონ დაელაპარაკებოდა სიგარეტის ყიდვის თაობაზე მაღაზიის მფლობელს. მისი გასვლიდან მალევე (15 წუთის შემდეგ) მაღაზიაში მივიდნენ პოლიციის მუშაკები და ამოიღეს უაქციზო სიგარეტი“.

სავსებით ვეთანხმებით ამ საქმესთან დაკავშირებით პროფ. გ. მამულაშვილის კომენტარს: „დიდი შორსმჭვრეტელობა არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ დანაშაულის პროვოკაციას ჰქონდა ადგილი. „უცნობი მამაკაცი“ შედის მაღაზიაში და უაქციზო სიგარეტს უფასოდ უტოვებს მისთვის უცნობ გამყიდველს, თან ამ უკანასკნელს უბარებს, რომ საღამოს გამოვივლის და დაელაპარაკება მაღაზიის მესაკუთრეს უაქციზო სიგარეტის შეძენის თაობაზე. მისი გასვლიდან უმალევე (დაახლოებით 15 წუთში, იხ. ჩხრეკისა და ამოღების ოქმი) მაღაზიაში შედიან პოლიციის თანამშრომლები და ახდენენ უაქციზო სიგარეტის ამოღებას. მართალია, ამ „უცნობი მამაკაცის“ მიმართ საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო, მაგრამ ეს მხოლოდ პროვოკაციის კვალის დასაფარად არის გა-



კეთებული, რაც მანკიერ პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს. მართალია, უაქციზო საქონლის შენახვის ფაქტი სახეზეა, მაგრამ პროვოკაციის კვალიც კარგად არის გამოკვეთილი“.<sup>1</sup> ც-ს სწორად დაედო მსჯავრი სსკ-ის მე-200 მუხლით – მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვისათვის. სისხლის სამართლის წესით პასუხი უნდა ეგო „უცნობ მამაკაცსაც“ – დანაშაულის პროვოკაციისათვის.

იგივე სურათია სისხლის სამართლის საქმეზე მ.გ-ს მიმართ. იგი დიდუბე-ჩულურეთის რაიონულმა სასამართლომ გაასამართლა უაქციზო სიგარეტის შენახვისათვის. მ.გ. იჯარით ალებულ კომერციულ ჯიხურში სიგარეტით ვაჭრობდა. 2001 წლის 2 ოქტომბერს, დაახლოებით 17 საათზე, მასთან მივიდა ორი უცნობი და შესთავაზა 458 კოლოფი სხვადასხვა დასახელების უაქციზო სიგარეტის „ნისიად“ შეძენა, მათი რეალიზაციის შემდეგ ანგარიშსწორების პირობით. უაქციზო სიგარეტის ალებიდან 10-15 წუთის გასვლის შემდეგ მ.გ-ს ჯიხურთან მიდიან საგანგებო ლეგიონის თანამშრომლები და ამხელენ მას უაქციზო სიგარეტის შენახვაში.<sup>2</sup>

ამ მაგალითშიც „ორი უცნობი“ წარმოადგენს სსკ-ის 145-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებლებს, თუმცა მათ სისხლის სამართლის წესით პასუხი არ უგიათ.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 5 ნოემბრის განაჩენით, გ.რ. დამნაშავედ ცნო იმაში, რომ 2002 წლის 9 სექტემბერს, ქ. ზუგდიდში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან რეალიზაციის მიზნით შეიძინა უცხოური წარმოების სხვადასხვა დასახელების 280 კოლოფი სიგარეტი ქართული აქციზური მარკების გარეშე. აღნიშნული სიგარეტი რამდენიმე წუთის გასვლის შემდეგ ამოიღეს პოლიციის მუშაკებმა. როგორც გ. მამულაშვილი აღნიშნავს, „ამ საქმის შინაარსიდანაც ნათლად იკვეთება პროვოკაციის კვალი. ბრალდებულმა დაკითხვის დროს

---

1 სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი ეკონომიკური დანაშაული, თბილისი, 2004, გვ. 343-344.

2 იქვე, გვ. 344.

განაცხადა, რომ მართალია წერილმანი ვაჭრობით ირჩენდა თავს, მაგრამ უაქციზო სიგარეტით არასოდეს უვაჭრია. 2002 წლის 9 სექტემბერს, დილის 10 საათისთვის, როცა მას თავისი სავაჭრო საქონელი მიჰქონდა დახლზე დასალაგებლად, ქ. ზუგდიდის შ.პ.ს „სუპერმარკეტის“ უკანა შესასვლელი კარებიდან 10-15 მეტრის დაშორებით შეხვდა უცნობი ქალბატონი, რომელმაც იაფად შესთავაზა უაქციზო სიგარეტები. ისიც დათანხმდა და შეიძინა 280 კოლოფი, საიდანაც მას 20-30 ლარის მოგება დარჩებოდა. შეძენილი სიგარეტით, რომელიც ორ პოლიეთილენის პარკში ეწყო, გ.რ. შევიდა სუპერმარკეტის ტერიტორიაზე, შესასვლელში შეაჩერა პოლიციამ და უაქციზო საქონელი აღმოუჩინა. ეჭვის აღმძვრელია ის ფაქტი, რომ დილის 10 საათისათვის გ.რ-ს სთავაზობენ უაქციზო სიგარეტს და რამდენიმე წუთში მას ამხელს პოლიცია. პოლიციის „ფხიზელ თვალს“ რამდენიმე წუთის შუალედში არ გამოეპარა ბაზრის ტერიტორიაზე უაქციზო სიგარეტის შეტანის მცდელობა, მაგრამ რატომღაც, რამდენიმე მეტრში მხედველობის არედან დაკარგა უაქციზო სიგარეტის რეალიზატორი, რომელიც პროვოკატორის შთაბეჭდილებას ტოვებს“!

ზემოთ მოტანილი და სხვა ანალოგიური მაგალითების კომენტარებისას გ. მამულაშვილი ყურადღებას ამახვილებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც აკრძალულია იმ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება, რომელიც დაკავშირებულია მოტყუებასთან, ძალით დაყოლიებასთან, დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენასთან. როგორც მაგალითებიდან ჩანს, უაქციზო საქონლის შენახვის სუბიექტი მოტყუებულია ოპერატიული მუშაკებისაგან.

ჩვენის მხრივ დაეძინო, რომ ზემოთ მოტანილ მაგალითებში დანაშაულის ჩადენის ინიციატივა მოდიოდა არა სიგარეტის გამყიდველთა, არამედ ე. წ. „უცნობი ადამიანების“ მხრიდან, რომლებმაც დაიყოლიეს ისინი უაქციზო სიგარეტის შენახვაზე, რათა შემდეგ ემხილათ დანაშაულის ჩადენაში. ამიტომ სახეზეა არა მართლზომიერად ჩატარებული ოპერატიული ექსპერიმენტის, არ-

ამედ დანაშაულის პროვოკაციის ტიპიური მაგალითები. მართლ-ზომიერი ოპერატიული ექსპერიმენტი მაშინ იქნებოდა, გამყიდველს უაქციზო სიგარეტი საკუთარი ინიციატივით, სპეციალურად მიგზავნილ პირთა მხრიდან დაყოლიების გარეშე რომ შეენახა, ეს ფაქტი შეენიშნა პოლიციის თანამშრომელს და განეხორციელებინა მისგან ე.წ. საკონტროლო შესყიდვა, შემდეგ კი ემხილა დანაშაულის ჩადენაში.

უნდა ვივარაუდოთ, რომ უაქციზო საქონლის შენახვის საქმეები გამონაკლისი არ არის და დანაშაულის პროვოკაციის გამოუვლენელი შემთხვევები სხვა საქმეებთან დაკავშირებითაც იქნება.

## მუხლი 146. უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში

1. უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, თუ მას ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2937 – სსმ I, 2006 წ. №14, მუხ. 90)

## ქმედების უმადგენლობა

ა) ქმედების ზოგადი უმადგენლობის ობიექტური მხარე

ქმედების ობიექტური მხარე გულისხმობს უდანაშაულო ადამიანის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას. „სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა“ ნიშნავს ადამიანისათვის ბრალდების წაყენებას. ის, ვინც სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული, ბრალდებულია. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის 24-ე პუნქტის თანახმად ბრალდებულია „სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი“. ბრალდების წაყენება უნდა მოხდეს წერილობით. გამომძიებელს ან პროკურორს გამოაქვს ბრალდების წაყენების დადგენილება. ბრალდების დადგენილების გამოტანა ნიშნავს იმას, რომ ეს დადგენილება უნდა გაეცნოს პიროვნებას, რომელიც ამის საუძველზე ხდება ბრალდებული.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლის თანახმად „ბრალდება წაყენებული უნდა იქნეს დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს 48 საათისა, ხოლო დანიშნულ დროს ბრალდებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში — არაუგვიანეს მისი მოყვანიდან 24 საათში“. 146-ე მუხლის უმადგენლობის ობიექტური მხარე მოითხოვს, რომ გამომძიებელმა ან პროკურორმა ბრალდება წარუდგინოს ეჭვმიტანილს, რომელიც უდანაშაულოა. რას ნიშნავს „უდანაშაულო“?

უდანაშაულობის ვარაუდის მიხედვით, რომელიც თანამედროვე სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, ადამიანი უდანაშაულოა მანამ, სანამ მისი დანაშაული არ დადასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით (იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მ.). ამიტომ, როცა ადამიანს ბრალდებას უყენებენ, იგი, ბუნებრივია, უდანაშაულოა. მაგრამ 146-ე მუხლით „უდანაშაულობა“ განიხილება იმ თვალსაზრისით, რომ ბრალდების წაყენების დადგენილება სრულიად დაუსაბუთებელი და გაყალბებულია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 281-ე მუხლის მიხედვით „ბრალდების წაყენების საფუძველია იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული“. ასე რომ, ბრალდება უნდა იყოს დასაბუთებული. ერთი სიტყვით, „უდანაშაულოს“ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ნიშნავს ბრალდების წარდგენას დაუსაბუთებლად.

გორის რაიონის სასამართლოს განაჩენით გ. ტიელიძეს მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით და თავისუფლება სამი წლით აღეკვეთა. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაზარალებულმა და ითხოვა საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნება იმ მოტივით, რომ გ. ტიელიძე მარტო ვერ შეძლებდა მისი სახლიდან იმ მძიმე ნივთების გატანას, რომელთა ქურდობაში მას მსჯავრი დაედო. ქურდობის თანამონაწილედ მან რამაზ ტიელიძე დაასახელა, რადგან მოპარული ნივთები მის ბინაში აღმოაჩინეს. თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2004 წ. 25 ოქტომბრის განაჩენით დაზარალებულის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა. ამის შემდეგ დაზარალებულმა აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლომ 2005 წ. 18 იანვრის განჩინებაში ამ საქმის გამო ნათქვამია: „სააპელაციო სასამართლო თავის განაჩენში სწორად მიუთითებს იმის თაობაზე, რომ დაზარალებულმა მ. ჭელელიძემ ჯერ კიდევ გამოძიების დროს გამოთქვა ეჭვი ქურდობაში რ. ტიელიძის შესაძლო მონაწილეობის შესახებ. გამოთქმული ეჭვის საფუძველზე ჩატარდა გამოძიება, მაგრამ იმის გამო, რომ რ. ტიელიძის მონაწილეობა გ. ტიელიძის მიერ ჩადენილ დანაშაულში არ დადასტურდა, მის მიმართ გამოძიებულმა 2004 წ. 23 იანვარს გამოიტანა დადგენილება სისხლის სამართლის საქმისა და სისხლის-სამართლებრივი დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ.“<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, აქ გამოძიებული სწორად მოიქცა, რადგან

---

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2005, №9, 111-ე გვ.

საქმის მასალების შესწავლის შემდეგ იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რ. ტიელიძის მიმართ არ არსებობდა ბრალდების წაყენების საფუძველი, ესე იგი „იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა“, რომლებიც საკმარისი იქნებოდა მისთვის ბრალდების წასაყენებლად.

ზ. წულაია წერს, რომ 146-ე მუხლით „ხდება ისეთი პირის პასუხისგებაში მიცემა, რომლის ქმედობაშიც არ არის დანაშაულის შემადგენლობა“.<sup>1</sup> საქმე ის არის, რომ ადამიანს შეიძლება ჩადენილი აქვს დანაშაული, მაგრამ გამომძიებელს არა აქვს საკმარისი საფუძველი მისი მხილებისათვის. ერთი სიტყვით, მთავარია არა ის, ნამდვილად ჩაიდინა თუ არა ადამიანმა სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედება. მთავარია, რომ გამომძიებელმა, რომელსაც არა აქვს საკმარისი საფუძველი მისი მხილებისათვის, იცის ეს, მაგრამ მაინც აძლევს მას პასუხისგებაში.

ამ თვალსაზრისით სწორად აღნიშნავს აგრეთვე ნ. თოდუა, რომ „დაზარალებულად ამ დანაშაულში გვევლინება უდანაშაულო პირი, ხოლო იურიდიული თვალსაზრისით უდანაშაულოა პირი, ვის მიმართაც არ არსებობს მტკიცებულებები, რაც საკმარისია მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად.“<sup>2</sup>

146-ე მუხლის ქმედების ობიექტური შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია უდანაშაულოს „მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში“. მნიშვნელობა არა აქვს იმას, გამოყენებული იყო თუ არა ამ დროს აღკვეთის ღონისძიება. არა აქვს მნიშვნელობა იმასაც, აღკვეთის რომელი ღონისძიება იყო გამოყენებული ბრალდებულის მიმართ. ამიტომ ვერ დავეთანხმებით იმ მოსაზრებას, თითქოს „ამ დანაშაულის ობიექტია საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის თავისუფლების ხელშეუხებლობა. კერძოდ, მე-18 მუხლში ხაზი გაესმის იმას, რომ თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, რომ დაუშვებელია თავისუფლებაზეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, რომ დაპატიმრებულს უნდა განემარტოს მისი უფლებები

1 ზურ წულაია, მთ. ნაშრომი, 240-ე გვ.

2 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, 234-ე გვ.

და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი და სხვ.“<sup>1</sup>

**ბ) ქმედების სპეციალური შემადგენლობის ობიექტური მხარე**

146-ე მუხლის მეორე ნაწილით აღწერილია ქმედების სპეციალური შემადგენლობის ობიექტური მხარე. აქედან ჩანს, რომ, თუ უდანაშაულო პასუხისგებაშია მიცემული ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის, მაშინ ქმედება 146-ე მუხლის პირველი ნაწილით კვალიფიცირდება. ამ მუხლის მეორე ნაწილით ქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაკვალიფიცირდება, თუ უდანაშაულო ადამიანი პასუხისგებაშია მიცემული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლით ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას (2 ნაწ.)

ამ მუხლის თანახმად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით.

განსაკუთრებით მძიმე კი ისეთი განზრახი დანაშაულია, რომლისთვისაც კანონით ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთაა დაწესებული. ამ ტექსტის მიხედვით, თუ კანონით ათ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის, ის მაინც მძიმე დანაშაულად ჩაითვლება. თუმცა უდანაშაულო ადამიანის განზრახ მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ასეთი ქმედებისათვის მაინც 146-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაკვალიფიცირდება.

**გ) ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარე**

146-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარე განზრახვია. ამ დანაშაულის ჩადენა შეიძლება

<sup>1</sup> გ. წულაია, მით. ნაშრომი, 239-ე გვ.

მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი პირდაპირი განზრახვის ორ სახეს ითვალისწინებს. პირველი სახე განზრახვისა მოიცავს ფსიქიკის ორ ელემენტს: 1) წარმოდგენა და 2) სურვილი. ამის მიხედვით გამოიძიებულს ან პროკურორს წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს და სურდეს კიდევ უდანაშაულოს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა.

მეორე სახე განზრახვისა კოდექსის მე-9 მუხლის მიხედვით ისეთი შემთხვევაა, როცა ადამიანს წარმოდგენილი ჰქონდა თავისი ქმედების შესაძლო შედეგი, თუმცა ამ შედეგის განხორციელება პირდაპირ არ სურდა, მაგრამ „ითვალისწინებდა ასეთი შედეგის დადგომის განხორციელების გარდაუვალობას“ (მე-9 მ). მოტივი შეიძლება იყოს შურისძიება, უფროსის ზემოქმედება და სხვ.

სასამართლო პრაქტიკაში, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მივაგენით ისეთ შემთხვევას, როცა პროკურორი ან გამოძიებელი 146-ე მუხლით იყოს დასჯილი. სამწუხაროდ-თქო, ჩვენ იმიტომ ვამბობთ, რომ ასეთი შემთხვევები არცთუ იშვიათია, მაგრამ ამისათვის არავინ ისჯება. მკითხველის ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ მეტად საყურადღებო საქმეზე. მაგრამ სანამ ამ საქმის ირგვლივ რაიმეს ვიტყვოდე, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მივაქციო ერთ ასეთ საკითხს. როგორ უნდა დავადგინოთ, რომ გამოძიებელი ან პროკურორი კი არ ცდებოდა, არამედ განზრახ მოქმედებდა, როცა უდანაშაულოს სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევდა? ეს საკითხი ისევე, როგორც საერთოდ ყოველგვარი ბრალდება, ისე უნდა დადგინდეს, რომ ყოველგვარი ეჭვი გამოირიცხოს.

მეორე საკითხი, რაც აქ წამოიჭრება, არის ის, რომ აუცილებელი როდია ადამიანი, რომელსაც გამოძიებელი პასუხისგებაში აძლევს სრულიად მართალი იყოს. შესაძლოა მას დანაშაული ჩადენილი ჰქონდეს, მაგრამ გამოძიებელმა განზრახ წაუყენა უფრო მეტი ბრალდება. მაგალითად, გამოძიებელმა მკვლელს ბრალდება განზრახ წაუყენა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის იმ პუნქტით, რომელიც საქმის მასალებიდან

---

1 ზაურ წულაია, მით. ნაშრომი, 240-ე გვ.



არ გამოდინარეობდა. ამ გარემოებამ კი ზემოქმედება მოახდინა სასჯელის ზომაზე.

სანიმუშოდ შეიძლება დაეასახელოთ ზ. ბრეგვაძის საქმე. ზ. ბრეგვაძეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 1999 წ. 22 მარტის განაჩენით მსჯავრი დაედო საქართველოს 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის სზვადასზვა მუხლებით და საბოლოოდ თავისუფლება უვადოდ აღეკვეთა. ეს განაჩენი მცირეოდენი არა-არსებითი ცვლილებით ძალაში დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 1999 წ. 30 ივნისის განჩინებით. ამის შემდეგ, როგორც ზ. ბრეგვაძის დამცველმა, მე ეს საქმე ახლად აღმოჩენილი გარემოებების საფუძველზე გავასაჩივრე, სადაც ვუთითებდი, რომ ზ. ბრეგვაძის ბრალდება ჯერ კიდევ პროკურატურის მიერ განზრახ არის დამძიმებული, რათა სასამართლოს საშუალება მისცემოდა, განსასჯელისათვის უვადო თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა. მოვიტან რამდენიმე მაგალითს საქმის მასალებიდან ამ დებულების დასასაბუთებლად.

ზ. ბრეგვაძის ბრალდების უმთავრესი ეპიზოდია განზრახი მკვლელობა ანგარებით (საქართველოს 1960 წ. სს კოდექსის 104-ე მუხლის პირველი პუნქტი). საბრალდებო დასკვნით დადგენილია, რომ ზ. ბრეგვაძე ქურდობის მიზნით შეიპარა დაზარალებულის ბინაში, მოაგროვა ნივთები ერთ ადგილას წასაღებად, როცა გაიგონა ვიღაცის ფეხის ხმა. მან მიატოვა შეგროვილი ნივთები და სასწრაფოდ ამოეფარა კარს იმ მიზნით, რომ, როგორც კი სახლის პატრონი შემოვიდოდა, მაშინვე გაქცეულიყო. მაგრამ მოხდა ზ. ბრეგვაძისათვის გაუთვალისწინებელი რამ. მოულოდნელად შინ დაბრუნებულმა სახლის პატრონმა შემოსვლისთანავე შენიშნა უცხო ადამიანი. გაიმართა ორთაბრძოლა და ამ ბრძოლის დროს ზ. ბრეგვაძემ მოკლა სახლის პატრონი და გაიქცა. გამოძიებამ ბრალდების ეს ეპიზოდი, როგორც უკვე ვთქვით, ანგარებით მკვლელობად დააკვალიფიცირა (104-ე მ. 1 პ.), ხოლო ქონების ნაწილში ქმედება ქურდობის მცდელობად შეაფასა.

აქედან ამჟამად და არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ განზრახი მკვლელობა არასწორად არის დაკვალიფიცირებული ანგარებით მკვლელობად. მკვლელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა

დაკვალიფიცირებულიყო ანგარებით, თუკი ქურდობა ყაჩაღობაში გადაიზრდებოდა, ესე იგი, თუკი მკვლელობის შემდეგ მოგროვილ ნივთებს ზ. ბრეგვაძე თან წაიღებდა. მაგრამ ფაქტს გამოძიებამ ვერაფერი მოუხერხა, ნივთები აღგილზე დახვდათ. ასე რომ, ორი აზრი არ შეიძლება იყოს იმ საკითხზე, რომ აქ მკვლელობა ანგარებითი არ ყოფილა.

ის გარემოება, რომ ბრალდება განზრახ იყო დამძიმებული, აშკარად იკვეთება პროკურორის სასამართლო პროცესზე გამოსვლიდან. „ზ. ბრეგვაძის მიერ ჩადენილი დანაშაულის საშიშროებას – თქვა ბრალმძებელმა პროცესზე – კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ მის მიერ ჩადენილი განზრახ მკვლელობა მიმართულია სხვა ქვეყნის მოქალაქის – საქართველოში დიპლომატიური მისიით აღჭურვილი პირის წინააღმდეგ, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ქვეყნის პრესტიჟს და შელახა ორი ქვეყნის მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის ინტერესები“. მოკლული იყო „გაერო“-ს წარმომადგენელი საქართველოში პოლონელი მოქალაქე ვევიორსკა.

სხვას ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, ბრალმძებლის ამ გამოსვლით დარღვეულია საქართველოს 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მოთხოვნა. ამ მუხლით მოცემული იყო პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების ნუსხა, რომლის გაფართოების უფლება არც ბრალმძებელს, არც სასამართლოს არ ჰქონდა.

39-ე მუხლის ნუსხაში კი არ იყო მოხსენიებული ისეთი დამამძიმებელი გარემოება, რომელიც ბრალმძებელმა ზ. ბრეგვაძეს პროცესზე წაუყენა, რაზედაც ზემოთ აღვნიშნეთ. განა პროკურორს შეეძლო ეთქვა, რომ მან არ იცოდა ეს პრინციპი? ორი აზრი არ შეიძლება იყოს იმაზე, რომ მან ეს იცოდა. ასე რომ, პროკურატურამ განზრახ დაუძიმა პასუხისმგებლობა ზ. ბრეგვაძეს. აქედან შეიძლება დასკვნა, რომ ანგარებითი მკვლელობის ბრალდება განზრახ წაუყენეს ზ. ბრეგვაძეს. მაშასადამე, ბრალმძებელი წინასწარ იყო დაინტერესებული ბრალდების დამძიმებით.

ამ ბოლო დროს საქართველოს საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკაში ქმედების კვალიფიკაციის მეტად უცნაური და სრუ-

ლიად მიუღებელი მიმართულება მკვიდრდება. როგორც ცნობილია 2007 წ. 23 მაისის კანონით გაუქმდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლით დაწესებული პასუხისმგებლობა მანქანის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისათვის დროებითი გამოყენების მიზნით. მაგრამ საქართველოს უზენაესი სასამართლო ცდილობს პრაქტიკაში სრულიად უსამართლოდ ამ ქმედების 177-ე მუხლით (ქურდობა) კვალიფიკაცია დაამკვიდროს.

კიდევ უფრო მეტ განცვიფრებას იწვევს „ხე-ბურქნარის“ გაჩეხვის იურიდიული კვალიფიკაცია, რომელიც ამ ბოლო დროს ჩვენს საგამოძიებო პრაქტიკაში გავრცელდა. 2007 წ. 14 სექტემბერს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის საგამოძიებო ჯგუფში დაიწყო წინასწარი გამოძიება ნ. ლომიძის მიმართ „წიწვოვანი სამასალე მერქანის ქურდობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის I ნაწილით“ (იხ. ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 2007 წ. 15 ნოემბრის აღკვეთის ღონისძიების შერჩევის ბრძანება).

განსაკვიფრებელი აქ ის არის, რომ „ხე-ბურქნარის უკანონოდ გაჩეხვა“ პასუხისმგებლობას იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლით, რომელიც ჯერ კიდევ ძალაშია და არავის გაუუქმებია. ასეთ პირობებში როგორ მისცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში პიროვნება გამომძიებელმა 177-ე მუხლით? ნ. ლომიძე ქურდობაში უდანაშაულო იყო და ის განზრახ იყო მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში იმ დანაშაულისათვის, რომელიც არ ჩაუდენია.

ანალოგიური პრაქტიკა შეინიშნება ზამურშიც, სადაც ასევე ხე-ბურქნარის გაჩეხვისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით აღიძრა ერთი საქმე.

თუ ამ პრაქტიკას გავითვალისწინებთ, იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ 146-ე მუხლის მიხედვით „უდანაშაულო პირი“ არ გულისხმობს ადამიანს, ვისაც დანაშაული საერთოდ არ ჩაუდენია. შესაძლებელია ადამიანს აქვს ჩადენილი რაიმე დანაშაული, მაგრამ გამომძიებელი მას ამ დანაშაულისათვის კი არ აძლევს პასუხისგე-

ბაში, არამედ იმისათვის, რომელიც მას არ ჩაუდენია. მაგალითად, ადამიანმა ხე-ბუჩქნარი გაჩეხა, მას კი გამოძიებული განზრახ აძლევს პასუხისგებაში ქურდობისათვის.

## II

### ქმედების შემადგენლობის ამსრულებლობა და თანამონაწილეობა

146-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობის ამსრულებელი ყოველთვის უნდა იყოს სპეციალური მოვალეობით აღჭურვილი. ასეთი შეიძლება იყოს ის, ვისაც აქვს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მოვალეობა. ეს არის გამოძიებული ან პროკურორი. ამიტომ კერძო ადამიანი, ვისაც პასუხისგებაში მიცემის მოვალეობა არ ეკისრება, არ შეიძლება იყოს ამ დანაშაულის ამსრულებელი.

სამაგიეროდ თანამონაწილე შეიძლება იყოს როგორც პროკურატურის თანამშრომელი, ისე სხვა, ნებისმიერი პიროვნება. მაგალითად, ყველას შეუძლია წააქეზოს გამოძიებული ან პროკურორი და მიაცემინოს მისთვის არასასურველი ადამიანი სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ასევე შეიძლება იყოს ამ დანაშაულის ორგანიზატორი ან ღამხმარე ნებისმიერი პიროვნება და სხვა.

### მუხლი 147. განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება

#### 1. განზრახ უკანონო დაკავება, —

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

#### 2. განზრახ უკანონო დაპატიმრება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შეიღიდან ათ წლამდე.  
3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული  
ქმედება, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თორმეტ  
წლამდე.

*(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №292-სსმ I, 2000 წ.,  
№18, მუხ. 45; საქართველოს 2000 წლის 30 ივნისის კანონი №458- სსმ  
I, 2000 წ. №27, მუხ.83; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი  
№2937- სსმ I, 2006 წ., №14, მუხ. 90)*

## I

### ქმედების შემადგენლობა

ა) ქმედების ზოგადი შემადგენლობის ობიექტური მხარე

147-ე მუხლის პირველი ნაწილით აღწერილი ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარე უკანონო დაკავებას გულისხმობს. რას ნიშნავს სიტყვა „უკანონო“, ამას ჩვენ ქვემოთ განვმარტავთ, როცა ქმედების მართლწინააღმდეგობის საკითხს განვიხილავთ. რაც შეეხება „დაკავების“ ცნებას, ის განსაზღვრულია საქართველოს სსს კოდექსის 141-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც „დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა“. მაშასადამე, დაკავება იგივე თავისუფლების აღკვეთა ყოფილა. მათ შორის განსხვავება მხოლოდ დროის თვალსაზრისით შეიძლება დადგინდეს, რასაც კანონმდებლობა განსაზღვრავს.

რაც შეეხება თავისუფლების აღკვეთას, ბუნებრივ-ფიზიკური თვალსაზრისით, ის ნიშნავს ადამიანისათვის საკუთარი ნებით ფიზიკური გადაადგილების შესაძლებლობის მოსპობას. ასეთი შესაძლებლობა ადამიანს შეიძლება მოესპოს წმინდა ბუნებრივი მოვლენის შედეგად, მაგალითად, ავადმყოფობით და სხვა ბუნებრივი მოვლენების ზეგავლენით. მაგრამ ადამიანს საკუთარი ნებით გადაადგილების შესაძლებლობა შეიძლება წაერთვას მეორე ადა-

მიანის მოქმედებითაც. სწორედ ასეთ შემთხვევას ეწოდება თავისუფლების აღკვეთა.

მეორე მხრივ, თავისუფლების აღკვეთა (დაკავება) უნდა განვასხვავოთ „სხვაგვარად თავისუფლების შეზღუდვისაგან“. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის თანახმად „დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება-შეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს...“ და ა. შ. „სხვაგვარად თავისუფლება-შეზღუდვისაგან“ დაკავება (თავისუფლების აღკვეთა) იმით განსხვავდება, რომ დაკავებულის გადაადგილების შესაძლებლობა ძლიერ შეზღუდულია (ჩაკეტილია ოთახში და ა.შ.). „სხვაგვარად თავისუფლება-შეზღუდვილს კი გადაადგილების შესაძლებლობა აქვს, თუმცა სხვისი მეთვალყურეობით. მაგალითად, საქართველოს სსსკ-ის 171-ე მუხლით გათვალისწინებულია ისეთი აღკვეთის ღონისძიება, როგორცაა „არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა“. ამ მუხლის მიხედვით მშობელს, მეურვეს, მზრუნველს ეკისრება ვალდებულება, რომ „უზრუნველყოფს არასრულწლოვანი ბრალდებულის გამოცხადებას გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში, აგრეთვე მის სათანადო ქცევას“ (პირველი ნაწილი).

### ბ) ქმედების სპეციალური შემადგენლობის ობიექტური მხარე

147-ე მუხლის მე-3 ნაწილი ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით აღწერილი ქმედებების სპეციალური შემადგენლობაა. სპეციალური შემადგენლობა გვაქვს მაშინ, როცა დაკავებამ ან დაპატიმრებამ „მძიმე შედეგი გამოიწვია“. რას ნიშნავს „მძიმე შედეგი?“ აქ შეიძლება ვიგულისხმოთ თავისუფლებააღკვეთილის თვითმკვლელობა, ფსიქიკური დაავადება, რაიმე ოჯახური ტრაგედია და ა. შ.

### გ) ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარე

147-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობა სუბიექტურად განზრახია. ეს პირდაპირაა მითითებული მუხლის ტექსტში. მოტივი შეიძლება სხვადასხვა იყოს. მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს სასჯელის ზომის განსაზღვრაზე.

სხვაგვარ მიდგომას საჭიროებს ქმედების სუბიექტური მხარე 147-ე მუხლის მე-3 ნაწილით აღწერილი ქმედების შემადგენლობაში. ამ ნაწილით ჩვენ საქმე გვაქვს ერთგვარი შერეული ტიპის დელიქტთან, სადაც ქმედება, ესე იგი უკანონო დაკავება ან დაპატიმრება განზრახი უნდა იყოს, ხოლო „მძიმე შედეგი“ არ უნდა იყოს მოცული ქმედების ჩამდენის განზრახვით.

## II

### ქმედების მართლწინააღმდეგობა

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მიხედვით ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. „დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარად შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლის უნდა გათავისუფლდეს.“

დაკავება დასაშვებია მაშინ, როცა ადამიანი საკმაოდ საფუძველიანად ეჭვმიტანილია „იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც, კანონი ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, მისი დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთის, გაქცევის, დამალვის ან მტკიცებულებათა მოსპობის თავიდან ასაცილებლად“ (სსს კოდექსის 141-ე მ პირველი ნაწ.). ამავე მუხლის მე-2 ნაწილის ძალით დაკავება მაშინ მიიჩნევა კანონიერად, როცა ეს ხდება „პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანის მიზნით“.

მომდევნო 142-ე მუხლით განსაზღვრულია დაკავების საფუძველები. იქ ჩამოთვლილია დაკავების ხუთი საფუძველი: ა) თუ ადამიანს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე;

ბ) თვითმხილველი, მათ შორის, დაზარალებულიც პირდაპირ მიუთითებს დანაშაულის ჩამდენზე; გ) ადამიანის სხეულზე ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდება დანაშაულის კვალი; დ) დანაშაულის ჩამდენი მიიმაღლა, მაგრამ შემდეგ იგი ამოიცირო დაზარალებულმა; ე) თუ არსებობს ძებნის დადგენილება ან განჩინება. დაკავება უკანონოდ, ესე იგი მართლსაწინააღმდეგოდ ჩაითვლება, თუ არ არსებობს ზემოთ დასახელებული რომელიმე საფუძველი.

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით ყველა პიროვნების დაკავება არ შეიძლება. ასეთები არიან, მაგალითად, დიპლომატიური იმუნიტეტით მოსარგებლენი და მისი ოჯახის წევრები, საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის წევრი, კონტროლის პალატის თავმჯდომარე, სახალხო დამცველი, მოსამართლე (144-ე მ). გარდა ამისა, საქართველოს სსს კოდექსის 145-ე მუხლით მოცემულია დაკავების წესი. დამკავებელი ამ მუხლის თანახმად ვალდებულია ეჭმიტანილს (დაკავებულს) განუმარტოს მისი უფლებები (პირველი ნაწილი), დაუყოვნებლივ მიიყვანოს ის პოლიციაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში (მე-2 ნაწილი) და ა. შ. სსს კოდექსის 145-ე მუხლით „ეჭმიტანილი დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლდეს, თუ მას დაკავების ვადის განმავლობაში ბრალდება არ წარედგინა“ (მე-9 ნაწ.).

დაკავება, ისევე როგორც დაპატიმრება, იგივე თავისუფლების აღკვეთაა.

დაპატიმრება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებითაა შესაძლებელი. როგორც ზემოთ ვთქვით, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით დაკავებულს (ბრალდებულს) საგანგებოდ ამისათვის უფლებამოსილი სასამართლოს წარუდგენს 48 საათის განმავლობაში,<sup>1</sup> ხოლო მომდევნო 24 საათში, თუ სასამართლო არ გამოსცემს დაპატიმრების ბრძანებას, ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ.

---

<sup>1</sup> საქართველოს სსს კოდექსის 160-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „პროკურორი უფლებამოსილია დააკავოს ბრალდებული და დაკავებიდან 24 საათის განმავლობაში მიმართოს სასამართლოს...“ აქ, როგორც ჩანს, ერთგვარი შეუსაბამობაა კონსტიტუციის მე-18 მუხლთან.



დაპატიმრება უფრო ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს. დაპატიმრება აღკვეთის ღონისძიებაა მაშინ, როცა დაკავება ასეთ ღონისძიებად არ განიხილება (საქ. სსს კოდექსის 152-ე მ.). პატიმრობის საერთო ვადა 9 თვეა. ეს ცხრათვიანი ვადა აითვლება დაკავების მომენტიდან. პატიმრობის ვადის დინება წყდება პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოტანისთანავე (იხ. საქ. სსს კოდექსის 162-ე მ.).

წინასწარ გამოძიებაში ბრალდებულის პატიმრობის პირველადი ვადაა 2 თვე. ეს ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ერთი თვით, მაგრამ არა უმეტეს ორჯერ, თუ არსებობს სსს კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები ანდა: ა) თუ პატიმრობის ვადის ამოწურვის შემდეგ ბრალდებულმა დაარღვია მისთვის შერჩეული ნაკლებად მკაცრი ღონისძიება; ბ) თუ ბრალდებულს უფრო მძიმე ბრალდება წარედგინა; გ) საქმის სირთულის გამო (იხ. სსს კოდექსის 152-ე მ.).

შესაძლებელია ბრალდებული თავდაპირველად კანონიერად იყო დაკავებული ან დაპატიმრებული, მაგრამ შემდეგ შესაბამისმა თანამდებობის პირმა მას პატიმრობის ვადა განზრახ გაუგრძელა ამ წესის დარღვევით. ასეთ შემთხვევაშიც 147-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობა მართლსაწინააღმდეგოდ იქნება განხორციელებული.

### III

## დანაშაულთა ერთობლიობა

სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლი, მთლიანობაში თუ გავანალიზებთ, ყურადღებას იპყრობს ზოგადი და სპეციალური შემადგენლობებით („ნორმებით“) აღწერილ ქმედებათა ურთიერთობის თვალსაზრისით. კოდექსის მუხლების უმრავლესობა საკანონმდებლო ტექნიკის მიხედვით ისეა აგებული, რომ მუხლის პირველი ნაწილი ზოგად შემადგენლობას აღწერს, ხოლო მომდევ-

ნო ნაწილები სპეციალურ შემადგენლობებს წარმოადგენენ. მაგალითად, 177-ე მუხლის პირველი ნაწილი ზოგადი შემადგენლობაა (ნორმა), ხოლო მომდევნო ნაწილებით აღწერილია სპეციალური შემადგენლობები. ამიტომ არ შეიძლება ქმედების კვალიფიკაცია 177-ე მუხლის პირველი და მეორე ან პირველი და მესამე ნაწილებით და ა. შ. ასეთი კვალიფიკაცია ეწინააღმდეგება კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილს.

ამ თვალსაზრისით, 147-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები არ არიან ერთმანეთთან ზოგადი და სპეციალური შემადგენლობების (ნორმების) ურთიერთობებში. ამ მუხლის როგორც პირველი, ისე მეორე ნაწილები სპეციალური შემადგენლობებია. ამიტომ 147-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით აღწერილი ქმედებების დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაცია სავსებით დასაშვებია. თუმცა გასათვალისწინებელია ის, რომ მეორე ნაწილმა ზოგჯერ შეიძლება მოიცვას პირველი ნაწილი.

სულ სხვაგვარად უნდა შეფასდეს 147-ე მუხლის მე-3 ნაწილით აღწერილი შემადგენლობა. ეს შემადგენლობა სპეციალურია ამავე მუხლის როგორც პირველი, ისე მეორე ნაწილით აღწერილი შემადგენლობების მიმართ. ამიტომ 147-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით აღწერილი ქმედებებით დანაშაულთა ერთობლიობის წესით დაკვალიფიცირება სს კოდექსის მე-16 მუხლით დადგენილ წესს ეწინააღმდეგება.

## IV

### დანაშაულის ამსრულებლობა და თანამონაწილეობა

147-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობის (სამივე ნაწილის) ამსრულებელი სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი უნდა იყოს. ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვილია, მაგალითად, პოლიციელი, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე. ამ დროს

საქმე ეხება უშუალო ამსრულებელს. იმ შემთხვევაში, თუ პოლიციელს ჩვეულებრივი მოქალაქე ატყუებს, რომ ამ კაცმა დანაშაული ჩაიდინა და დააჭერინებს უდანაშაულოს, მაშინ პოლიციელი იქნება დანაშაულის, უკანონო თავისუფლების აღკვეთის, ჩადენის „ცოცხალი იარაღი“, ხოლო ის, ვინც პოლიციელი შეაცდინა და დააჭერინა უდანაშაულო, პასუხს აგებს სს კოდექსის 143-ე მუხლით (უკანონო თავისუფლების აღკვეთა).

მოქმედი კანონმდებლობით 147-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობის ამსრულებლად. სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილთან (პოლიციელი და სხვ.) ერთად, დასახელებულია „მოქალაქე“. მაგალითად, სსს კოდექსის 145-ე მუხლით „მოქალაქე ამ კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული პირობის არსებობისას ვალდებულია, დაკავებული დაუყოვნებლივ მიიყვანოს პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში ანდა გადასცეს იგი ხელისუფლების წარმომადგენელს“ (მე4 ნაწ.). ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად ოქმს ხელს აწერენ თანამდებობის პირი ან „მოქალაქე, რომელმაც პირი დააკავა...“

თავისთავად ისმება კითხვა: ვინ არის და რა უფლებით არის აღჭურვილი „მოქალაქე“, ვინც ეჭვმიტანილი დააკავა? ეს არის, ასე ვთქვათ, ჩვეულებრივი გამველეი, რომელიც შეესწრო დანაშაულის ჩადენის ფაქტს და ეჭვმიტანილი დააკავა პოლიციაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში წარდგენის მიზნით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 29-ე მუხლით „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს დამნაშავეს საამისოდ აუცილებელი ზომის გადაუცილებლად“ (პირველი ნაწილი).<sup>1</sup> „დამნაშავედ“ აქ პროცესუალური თვალსაზრისით იგულისხმება დანაშაულის ჩადე-

---

1 არასწორად მსჯელობს ზ. წულაია, რომელიც წერს, თითქოს, „პირი, რომელიც არ არის სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი“ უფლება აქვს ეჭვმიტანილი დააკავოს მხოლოდ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის დროს...“ (იხ. ზაურ წულაია, მით. ნაშრომი, 244-ე გვ.). მოქალაქის უფლების ასეთი შეზღუდვა არცერთ კანონში არ წერია.

ნაში ექსპიტიანილი, რომლის დაკავებაზეც ლაპარაკია სსს კოდექსის 145-ე მუხლში.<sup>1</sup>

ამ დანაშაულის, კერძოდ, დაკავების თანამონაწილე შეიძლება იყოს ნებისმიერი პიროვნება, მიუხედავად მისი სამსახურებრივი მდგომარეობისა.

რაც შეეხება დაპატიმრებას, მისი ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლე. თანამონაწილედ აქაც შეიძლება მოგვევლინოს ნებისმიერი პიროვნება.

## მუხლი 149. უკანონო მოთავსება ან დაკავება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში

1 უკანონო მოთავსება ან დაკავება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე.

2. იგივე ქმდება:

ა) ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

ბ) რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ცხრა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №292 — სსმ I, 2000 წ. №18, მუხ. 45; საქართველოს 2000 წლის 30 ივნისის კანონი №458 — სსმ I, 2000 წ., №27, მუხ. 83; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2937 — სსმ I, 2006 წ. №14, მუხ. 90)

---

1 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის განმარტების ავტორს, როგორც ჩანს, არ მოსწონებია კანონის ტექსტში გამოყენებული ტერმინი „მოქალაქე“ და, მის ნაცვლად, შემოაქვს ახალი ტერმინი „ფიზიკური პირი“ (იხ. ზაზა მუიშვილი, ომარ ჯორბენაძე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2007, 347-ე გვ.).

ავტორს ეტყობა მხედველობიდან გამორჩა, რომ „ფიზიკური პირი“ ტერმინი „იურიდიული პირის“ საპირისპიროდ გამოიყენება. ამიტომ იქნება სჯობდა, უარი არ გვეთქვა კანონმდებლის შემოთავაზებულ ტერმინზე.

## ქმედების შემაღვენლობა

ა) ქმედების ზოგადი შემაღვენლობის ობიექტური მხარე

149-ე მუხლის პირველი ნაწილი ქმედების ზოგადი შემაღვენლობის ორ სახეს მოიცავს. პირველია ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება, ხოლო მეორე სახეა ადამიანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაკავება. ამ შემთხვევაში „მოთავსება“ ან „დაკავება“ იძულებით, ადამიანის ნების საწინააღმდეგოდ ხდება. ამიტომ ის თავისუფლების აღკვეთის ნაირსახეობაა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, 149-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემაღვენლობა 143-ე მუხლით აღწერილი შემაღვენლობის (უკანონოდ თავისი უფლების აღკვეთა) სპეციალური შემთხვევაა.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვით უკანონო მოთავსება ან დაკავება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში „არ შეიძლება ჩაითვალოს თავისუფლების უკანონო აღკვეთის ნაირსახეობად, რადგან მათ შორის არის არსებითი განსხვავება“.<sup>1</sup> „სსკ 149-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას – განაგრძოს ავტორი – პირს არა მარტო უკანონოდ აღკვეთილი აქვს თავისუფლება, არამედ იგი მოთავსებულია სულით ავადმყოფებს შორის, სადაც მასზე უნდა განხორციელდეს მკურნალობა, რაც არაა საჭირო მისი ჯანმრთელობისათვის. სწორედ ამიტომ ეს დანაშაული მომეტებულად საშიშია თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან შედარებით და სასჯელიც შესაბამისად მკაცრია“.<sup>1</sup>

ამ თვალსაზრისს რომ გავყვეთ, მაშინ უმართლობები ერთმანეთისაგან თავის ბუნების მიხედვით კი არა, საშიშროების ხარისხით უნდა გაგვემიჯნა. მაგალითად, უკანონო თავისუფლების აღკვეთად არ უნდა მიგვეჩნია ისეთი შემთხვევა, როცა ეს მოხდა „სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით“ (სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწ. „ე“ პ.). ასევე არ უნდა მიგვეჩ-

<sup>1</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2006, 241-ე გვ.

ნია მკვლელობად განზრახი მკვლელობა დამამძიმებელი გარემოების დროს (109-ე მ.) და ა. შ. აქ მთავარია ის ძირითადი სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც დამნაშავე ხელყოფს და არა ის, თუ რა პირობებში ხორციელდება ეს ხელყოფა.

დაკავება ისეთი შემთხვევაა, როცა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მყოფს არ უშვებენ საავადმყოფოდან მისი ნების საწინააღმდეგოდ. დაკავების ხერხი შეიძლება იყოს კარის ჩაკეტვა, საგანგებოდ მცველის მიჩენა იმ მიზნით, რომ დაკავებული არ გაუშვან საავადმყოფოდან და ა. შ.

დაკავება შეიძლება მოქმედებით და უმოქმედობითაც. უმოქმედობით დაკავებად ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როცა, მაგალითად, ექიმი-ფსიქიატრი არ წერს დასკვნას, რომ დაკავებული გამოჯანმრთელდა და შეიძლება გაეწეროს საავადმყოფოდან, არ უღებს კარს და არ უშვებს გარეთ და ა. შ.

ეს ქმედება დამთავრებულად ჩაითვლება პიროვნების საავადმყოფოში შეყვანის მომენტიდან. ამიტომ, თუ ეს ვერ მოხერხდა და დაზარალებული, ვთქვათ, მოძალადეებს გზიდან გაექცათ, ქმედება სს კოდექსის 19-ე, 149-ე მ.მ. დანაშაულის მცდელობად უნდა დაკვალიფიცირდეს.

დაკავება დამთავრებულად ჩაითვლება დაზარალებულისათვის საავადმყოფოდან გასვლაზე უარის თქმის მომენტიდან. <sup>1</sup>

## ბ) ქმედების სპეციალური შემადგენლობის ობიექტური მხარე

149-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა) პუნქტით აღწერილია სპეციალური შემადგენლობა, რომელიც აძლიერებს პასუხისმგებლობას უკანონო მოთავსებისა ან დაკავებისათვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ეს არის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება ან დაკავება, „სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით“.

149-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა) პუნქტით პასუხს აგებს, მაგალითად, მოსამართლე, რომელიც ჯანსაღი ადამიანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსების ან დაკავების გადაწყვეტილებას მოაწერა ხელი. ამ შემთხვევაში მოსამართლე იყენებს თავის

<sup>1</sup> ზაურ წულაია, დასახ. ნაშრომი, 256-ე გვ.

სამსახურებრივ მდგომარეობას. „სამსახურებრივ მდგომარეობად“ ითვლება აგრეთვე ისეთი შემთხვევა, როცა დასკვნას იძლევა ექიმი-ფსიქიატრი და სხვა.

ქმედების სპეციალური შემადგენლობის მეორე ნიშანია ისეთი შემთხვევა, როცა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებამ ან დაკავებამ გამოიწვია დაზარალებულის სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგი. სხვა მძიმე შედეგი. ნიშნავს, მაგალითად, თვითმკვლელობას, ჯანსაღი ადამიანის ფსიქიკურ დაავადებას და ა. შ.

### გ) ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარე

149-ე მუხლის პირველი ნაწილით აღწერილი ქმედების სუბიექტური მხარე პირდაპირი განზრახვაა. რაც შეეხება სპეციალურ შემადგენლობას, რომელიც მუხლის მეორე ნაწილითაა აღწერილი, ის ამ თვალსაზრისით ორმაგი ხასიათისაა. ქმედება, მაგალითად, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება ან დაკავება განზრახია, ხოლო „დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი“ არ უნდა იყოს დამნაშავეის განზრახვით მოცული. ეს ერთგვარად მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტია. ამიტომ ეს შედეგი მოქმედს ბრალად მხოლოდ მაშინ შეეარაცხება, როცა დადგინდება ამ შედეგის მიმართ მისი ბრალი, ესე იგი გაუფრთხილებლობა. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დამნაშავეის გაუფრთხილებლობას ვერ დაასაბუთებს, მაშინ იგი პასუხს აგებს 149-ე მუხლის პირველი ნაწილით (ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება ან დაკავება).

## II

### ქმედების მართლწინააღმდეგობა

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებას ადამიანისა აქვს თავისი წესი, რომელიც დადგენილია საგანგებოთ ამისათვის გამოცემული კანონით. ფსიქიატრიული დახმარების კანონით, რომელიც 2006 წლის 14 ივლისით თარიღდება, დადგენილია „არანებაყოფლობითი სტაციონალური ფსიქიატრიული დახმარების“ წესი. ამ კანონის მიხედვით ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (სტაციონარი) მოთავსება აუცილებელია, როცა „ა) დახმარების დაყოვნება საფრთხეს შეუქმნის პაციენტის ან სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას; ბ) პაციენტმა საკუთარი მოქმედებით შეიძლება მიიღოს ან სხვას მიაყენოს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი“ (იხ. დასახელებული კანონის მე-18 მუხლის პირველი ნაწილი).

აქ ლაპარაკია საავადმყოფოში წინასწარ მოთავსებაზე. ამ გადაწყვეტილებას იღებს მორიგი ექიმი (მე-18 მ. მე-4 ნაწ.). ამ მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად „სტაციონარში მოთავსებიდან 48 საათში ექიმ ფსიქიატრთა კომისიამ უნდა შეისწავლოს პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობა და გადაწყვიტოს არანებაყოფლობითი სტაციონალური დახმარების მიზანშეწონილობის საკითხი“.

ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციამ ავადმყოფის საავადმყოფოში მოთავსებიდან 48 საათში უნდა მიმართოს სასამართლოს ავადმყოფის მკურნალობის ბრძანების გამოსაცემად (მე-18 მ. მე--7 ნაწ.).

ამ კანონის მე-18 მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით უნდა გამოსცეს ავადმყოფის საავადმყოფოში სამკურნალოდ დატოვების ბრძანება.

აქ ჩვენ გადმოვეცით კანონით დადგენილი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსების წესი. ამიტომ 149-ე მუხლით დანაშაულის ამსრულებელი იქნება ის, ვინც ეს წესი დაარღვია. ამ წესის დარღვევა კი ყველას არ შეუძლია. ის შეუძლია მხოლოდ იმას, ვი-



საც ამ წესის აღსრულება ევალება. ასეთია, მაგალითად, როგორც ზემოთ ვთქვით, ექიმი-ფსიქიატრი ან მოსამართლე. მაგალითად, ექიმმა (კომისიამ) ჯანსაღი პიროვნება ან, თუნდაც მისი გაგებით, ავადმყოფი დატოვა საავადმყოფოში სასამართლოს ბრძანების გარეშე. ამ დანაშაულის ამსრულებელი იქნება აგრეთვე მოსამართლე, რომელმაც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსების ბრძანება გამოსცა მისთვის წინასწარი შეცნობით ჯანსაღის მიმართ და ა.შ.

### III

## აზრულებლობა და თანამონაწილეობა

ამ დანაშაულის ამსრულებლობის საკითხზე ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. მაგალითად, ზ. წულაიას აზრით, 149-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობის ამსრულებელი სპეციალურია. ასეთია, მაგალითად, „ექიმი ფსიქიატრი, რომელიც კომისიის წევრია და ღებულობს მონაწილეობას სამედიცინო გადაწყვეტილების მიღებაში; მკურნალი ექიმი ან სხვა ექიმი-ფსიქიატრი, რომელიც იღებს აშკარად უკანონო გადაწყვეტილებას ან ამავე მიზნით თხზავს ყალბი ავადმყოფობის ისტორიას, აგრეთვე მოსამართლე.“<sup>1</sup>

საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს ნ.თოდუა, რომელიც ამბობს, რომ „სსკ 149-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ნებისმიერი 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი, ისე ექიმი-ფსიქიატრი და მოსამართლე“.<sup>2</sup>

ჩემი აზრით, ზ. წულაიას მოსაზრება სწორად უნდა მივიჩნიოთ. ეს სამართალდარღვევა, მართალია, თავისუფლების უკანონ-

---

1 ზაურ წულაია, მთ. ნაშრომი, 1 ტ., 257-ე გვ. ზაურ მუჟანაძე სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, 2000, 119-ე გვ.

2 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 244-ე გვ. არ მიგვაჩნია გამართლებულად გამოთქმა „14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი“, რადგან 14 წლიდან ადამიანი შერაცხადია. მაგალითად, სს კოდექსის 33-ე მუხლის სათაურია „შერაცხაობა ასაკის გამო“.

ოდ აღკვეთის ნაირსახეობაა, მაგრამ ჩვეულებრივი თავისუფლების აღკვეთისაგან ის ერთი არსებითი ნიშნით განსხვავდება. ეს სპეციალური მოვალეობაა, რომელიც სამართალდამცველს ავალდებულებს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მხოლოდ დაავადებული მოათავსოს. ამიტომ ამ ქმედების ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვისაც ასეთი მოვალეობა ეკისრება. ესენი, როგორც ზემოთ ითქვა, ექიმი-ფსიქიატრი, მოსამართლე და სხვა, ვისაც ასეთი მოვალეობა ეკისრება.

რაც შეეხება იმას, ვისაც ასეთი მოვალეობა არ ეკისრება, ის შეიძლება იყოს დანაშაულის დამხმარე, წამქეზებული ან ორგანიზატორი, ესე იგი მხოლოდ თანამონაწილე.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, თითქოს ის, ვისაც ადამიანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსების სპეციალური მოვალეობა არ ეკისრება, შეიძლება იყოს ამ დანაშაულს შუალობითი ამსრულებელი. მაგალითისათვის ასახვლებენ ასეთ შემთხვევას, როცა ვინმეს „სურს თავიდან მოიშოროს მისი ოჯახის წევრი რაიმე პირადი მოტივით. ამ მიზნის მისაღწევად იგი მოაწყობს ინსცენირებას, ვითომც ეს პირი მოულოდნელად გახდა აგრესიული, თავს დაესხა ოჯახის სხვა წევრებს და უპირებდა მათ მოკვლას...“ და ა. შ. ამ დროს იგი გამოიძახებს ფსიქიატრიული საავადმყოფოს თანამშრომლებს და წააყვანილებს ამ ადამიანს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოსაკვლევად.<sup>1</sup>

„ამ შემთხვევაში ფსიქიატრიული დაწესებულების თანამშრომელთა ქმედება, – ნათქვამია წიგნში „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“ – რომელთაც იძულებით მიჰყავთ ადამიანი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, კანონიერია. ისინი ვალდებული არიან იძულებით მოათავსონ პირი ამ საავადმყოფოში, რათა გაირკვეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ხოლო ამ ადამიანის ოჯახის წევრისა და დაწესებულების ხელმძღვანელის ქმედება უნდა შეფასდეს როგორც შუალობითი ამსრულებლობა ჩვენ მიერ განხილული დანაშაულისა“.<sup>2</sup>

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 242-ე გვ.

2 იქვე, 243-ე მ. ავტორი არ ეთანხმება იმ „მოსაზრებას რომ ამ დანაშაულის

1. ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ესე იგი მისი ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისაგან თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება, —

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი საშუაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ, —

ისჯება გამასწორებელი საშუაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით თერამეტ თვემდე.

1. იძულების შემადგენლობით გათვალისწინებული დანაშაულის სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს კანონის ფარგლებში თავისი შეხედულებისამებრ ადამიანის მოქმედების თავისუფლება.

ადამიანისათვის თავისი შეხედულებისამებრ მოქმედების თავისუფლების ხელყოფა შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით. განსახილველი დანაშაულის დისპოზიციის თანახმად, ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების ხელყოფა ხდება ფიზიკური ან ფსიქიკური იძულებით. ამავე დროს, იძულება მიზნად ისახავს ადამიანს ჩაადენინოს რაიმე მოქმედება ან უმოქმედობა ან საკუთარ თავზე განაცდევინოს მისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

იძულება სწორედ ამ მიზნის მისაღწევად უნდა იყოს მიმართული, რათა ქმედება დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 150-ე მუხლით. ამ საკითხის დაზუსტებას მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ ერთმანეთისაგან გაავიჯნოთ იძულების სხვადასხვა შემთხვევები.

---

სუბიექტია მხოლოდ ექიმ-ფსიქიატრი ან მოსამართლე“ (იხ. სქოლიო). ჯერ ერთი, ავტორი რატომღაც არ ასახელებს იმის გვარს, ვინც ამ აზრს გამოთქვამს. მეორეც, ის, რომ არავინ არ ამტკიცებს იმას, თითქოს ოჯახის წევრი არ არის ამ დანაშაულის სუბიექტი. სუბიექტი ფართო ცნებაა და მოიცავს როგორც ამსრულებელს ისე თანამონაწილეს. ამ შემთხვევაში ოჯახის წევრი იქნება თანამონაწილე დანაშაულისა.

თუკი კარგად გავაანალიზებთ სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსის იმ ნორმებს, რომლებიც იძულებას შეეხება, შეიძლება დავასკვნათ, რომ იძულების სხვადასხვა შემთხვევა ერთმანეთისაგან ძირითადად განსხვავდება იძულების ხერხით და იძულების ქმედებით მისალწევი მიზნით.

ამიტომ იძულების სწორად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია იმის დადგენა, თუ როგორ ხდება იძულება და რა მიზანს ისახავს იძულების გზით მოქმედი.

ქმედების სსკ-ის 150-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია ადგილი ჰქონდეს უკანონო ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედების გზით ადამიანისათვის კანონის ფარგლებში თავისუფალი მოქმედების ან უმოქმედობის შეზღუდვას.

აქედან გამომდინარე, თუკი იძულება ჩადენილია სხვა ხერხით ან სხვა მიზნის მისალწევად, მაშინ ქმედება სსკ-ის 150-ე მუხლით არ დაკვალიფიცირდება. იძულების განსხვავებულ შემადგენლობებს ითვალისწინებს რუსეთისა და გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა.<sup>1</sup> იძულების სხვა შემთხვევებს ითვალისწინებს

---

<sup>1</sup> რუსეთის ფედერაციის ახალი სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს იძულების ისეთ ზოგად ნორმას, რასაც გულისხმობს საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლი. რუსეთის სსკ-ის 120-ე მუხლი ითვალისწინებს ადამიანის ორგანოს ან ქსოვილის ალების იძულებას ტრანსპლანტაციისათვის (იხ. Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации 5-е издание Москва 2007, გვ. 328). აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსკ-ის 134-ე მუხლის დისპოზიცია დიდად არ განსხვავდება რუსეთის სსკ-ის 120-ე მუხლის დისპოზიციისგან. საქართველოს სსკ-ის 134-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული-ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის ალების იძულება – მიეკუთვნება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელ დანაშაულებს. რუსეთის ფედერაციის სსკ-ის მიხედვით კი ეს შემადგენლობა მიეკუთვნება დანაშაულს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ. გერმანიის სსკ-ის 240-ე მუხლით გათვალისწინებული იძულების შემადგენლობა განსხვავებულია როგორც რუსეთის, ისე საქართველოს სსკ-ის შესაბამისი მუხლებიდან. თუმცა თავისი დისპოზიციიდან გამომდინარე, იგი უფრო ახლოს დგას საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის შემადგენლობასთან. ამავე დროს, გერმანიის სსკ-ის 240-ე მუხლით გათვალისწინებული იძულებისა და 241-ე მუხლით გათვალისწინებული მუქარის შემადგენლობა მიეკუთვნება ადამიანის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს (იხ. Tröndle/Fischer, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 50 Auflage, München 2001, s. 1376-1402). მართალია, რუსეთის სსკ ითვალისწინებს ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ

ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი ნორმა. სწორედ მათგან გამიჯვნისა და ქმედების სსკ-ის 150-ე მუხლით სამართლიანად კვალიფიკაციისათვის, აუცილებელია იძულების იმ შემადგენლობის განმარტება, რასაც ითვალისწინებს სსკ-ის 150-ე მუხლის დისპოზიცია.

2. ქმედების სსკ-ის 150-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ ადამიანისათვის თავისუფლების შეზღუდვა უკანონო იყოს. იძულებად ვერ დაკვალიფიცირდება ადამიანისათვის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერი შემთხვევები, რასაც ითვალისწინებს, მაგალითად, აუცილებელი მოგერიების, დამნაშავეის შეპყრობის, უკიდურესი აუცილებლობის გარემოება. ამ გარემოებებში ჩადენილი იძულება მართლზომიერია და ამიტომ ვერ მოგვცემს სსკ-ის 150-ე მუხლით გათვალისწინებულ „ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვას“.

3. თავისუფლების შეზღუდვის ხერხი გულისხმობს ფიზიკურ ან ფსიქიკურ იძულებას. ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება სსკ-ის 150-ე მუხლით, თუ ადამიანის თავისუფლება შეიზღუდა სხვა ხერხით ან საშუალებით. მაგალითად, იძულებისათვის გამოყენებული იყო უკანონო თავისუფლების აღკვეთა. ასეთ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 143-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების უკანონო აღკვეთას და არა სსკ-ის 150-ე მუხლით.

ფიზიკური იძულება გულისხმობს ადამიანის გათოკვას, ხელების გაკავებას, ხელიდან რაიმე დოკუმენტისა ან სხვა საგნის გამოგლეჯას, ცემას, ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებას. თუკი ადამიანის მიმართ გამოყენებულ იძულებას შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – იძულებით (სსკ-ის 150-ე მუხ.) და ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად

---

დანაშაულს, მაგრამ როგორც იძულების, ისე მუქარის საკუთალური შემადგენლობები მიეკუთვნება სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს.

ამდენად, არსებობს იძულების სხვადასხვა, ზოგადი და საკუთალური შემადგენლობა. ეს შემადგენლობა ჩამოყალიბებულია როგორც სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, ისე საქართველოს სსკ-ის სხვადასხვა მუხლშიც.

მძიმე დაზიანებით (სსკ-ის 118 მუხ.) ან იძულებით და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებით (სსკ-ის 117 მუხ.).

ასევე ერთობლიობით დაკვალიფიცირდება ქმედება, როცა იძულებას შედეგად მოჰყვა ადამიანის სიკვდილი. ასეთი ერთობლიობა ძირითადად შესაძლებელია ფიზიკური იძულების დროს.

4. ფსიქიკური იძულება არის მუქარა. იძულების მუხლის დისპოზიცია გულისხმობს ნებისმიერი შინაარსის მუქარას. ეს შეიძლება იყოს მოკვლის, ჯანმრთელობის დაზიანების, ქონების განადგურების ან დაზიანების, გატაცების, ბინიდან გაგდების და ა.შ. მუქარა.

მუქარა შეიძლება მიმართული იყოს როგორც დაზარალებულის, ისე მისი ახლობლის მიმართაც. დაზარალებულის ახლობლის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის მუქარით აიძულებენ მას შეასრულოს მოქმედისათვის სასურველი ქმედება. ამ შემთხვევაში მუქარა არის იძულების განხორციელების ხერხი, ერთ-ერთი ნაირსახეობა.

საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა არის იძულების ზოგადი ნორმა. სასამართლო პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანია იძულების ზოგადი ნორმის, სსკ-ის 150-ე მუხლის გამიჯვნა როგორც იძულების კერძო შემთხვევის შემცველი ნორმებისგან, ისე მუქარისგან.

იძულების მუხლის დისპოზიცია გულისხმობს „ფიზიკურ ან ფსიქიკურ იძულებას“. ფიზიკური იძულების დროს დაისმება მისი ძალადობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთის და სხვა დანაშაულისგან გამიჯვნის საკითხი.

ფსიქიკური იძულების დროს დაისმება მუქარისაგან მისი გამიჯვნის საკითხი, რადგანაც ფსიქიკური იძულება იგივე მუქარაა. ამიტომ იძულებასა და მუქარას შორის განსხვავება სწორედ მათ დისპოზიციებში მოცემულ შინაარსში უნდა ვეძიოთ. სამართლიანად მიგვაჩნია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც იძულებასა და მუქარას შორის „ძირითადი განსხვავებანი შემდეგშია:

1. იძულება შეიძლება განხორციელდეს მუქარის გამოყენებით, მაგარამ მუქარა იძულებისათვის არაა ერთადერთი ხერხი (იგი შეიძლება განხორციელდეს ძალადობითაც).

2. იძულების დროს მუქარა არის ერთ-ერთი ხერხი და საშუალება იმისათვის, რომ დაზარალებულს შეასრულებინონ რაიმე ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), ანდა საკუთარ თავზე გამოაცდევინონ თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება. ხოლო მუქარის დროს დამმუქრებელს არ აქვს ასეთი მიზანი, იგი არანაირ ქმედებას არ მოითხოვს დაზარალებულისაგან, მაგალითად, პირი ემუქრება ადამიანს, თუ შეიტანს განცხადებას პროკურატურაში მის წინააღმდეგ, მას შეილს მოუკლავს. ამ დროს სახეზეა იძულება. მაგარამ, როცა ერთი პირი ემუქრება მეორეს, სადაც კი შეხვდება მას, აუცილებლად მოკლავს-სახეზეა მუქარა.

3. სსკ-ის 150-ე მუხლით გათვალისწინებული ფსიქიკური იძულება (მუქარა) შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის, ხოლო 151-ე მუხლით მუქარის შინაარსი შეზღუდულია, იგი სულ სამი სახისაა“.<sup>1</sup>

თუკი ამ მოსაზრებას კარგად გავაანალიზებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფსიქიკური იძულება და მუქარა ობიექტური შემადგენლობის მიხედვით ერთმანეთს ემთხვევა. ისინი შეიძლება ერთი და იგივე ქმედებით გამოიხატოს. როგორც იურიდიულ ლიტერატურაში ვკითხულობთ, „ფსიქიკური იძულება იგივე მუქარაა“.<sup>2</sup>

მათ შორის განსხვავება სუბიექტურ შემადგენლობაში უნდა ვეძიოთ. ფსიქიკურ იძულებასა, როგორც სსკ-ის 150-ე მუხლით გათვალისწინებული იძულების ნაირსახეობასა და მუქარას შორის ძირითადი განმასხვავებელია ის, რომ ფსიქიკური იძულების დროს მოქმედის, მაიძულებლის მიზანია ადამიანს აიძულოს გარკვეული ქმედების შესრულება, მუქარის დროს კი მოქმედს, დამმუქრებელს ასეთი მიზანი არ აქვს და მისი ქმედება მიმართულია დაზარალებულის ფსიქიკური ხელშეუხებლობის, მისი სიმშვიდისა და მყუდრო გარემოში ცხოვრების უფლების წინააღმდეგ. ამდენად, მუქარა არის იძულების განხორციელების ერთ-ერთი ხერხი. მიზანი კი, რომლის გამოც ხდება ადამიანის იძულება, განასხვავებს იძულების

---

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ. 2005, გვ 217.

2 იქვე, გვ 210.

ზოგად ნორმას არა მხოლოდ მუქარისაგან, არამედ იძულების სხვა სპეციალური შემთხვევებისაგან.

5. ქმედების სსკ-ის 150-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის საჭიროა დადგენა იმისა, რომ მაიძულებელს ჰქონდა დაზარალებულისათვის გარკვეული ქმედების იძულების მიზანი. ეს გულისხმობს, სსკ-ის 150-ე მუხლის დისპოზიციის თანახმად, ადამიანის იძულებას შეასრულოს ან არ შეასრულოს ისეთი მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა. ადამიანს იძულების შედეგად არ ეძლევა შესაძლებლობა იმოქმედოს თავისი ნების შესაბამისად და კანონიერ ფარგლებში, მას აიძულებენ საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

იძულების შედეგად შეიძლება ადამიანს მოეთხოვოს ნებისმიერი ქმედების შესრულება. აქ იგულისხმება ისეთი ქმედების ჩადენის მოთხოვნა, იძულება, ადამიანს კანონით რომ არ უნდა შეესრულებინა. ამიტომ, როცა პირს აიძულებენ მისთვის კანონით სავალდებულო ქმედების შესრულებას, მაშინ არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს სსკ-ის 150-ე მუხლით გათვალისწინებული იძულების შემადგენლობას.

აღნიშნულ შემადგენლობას არ ექნება ადგილი იმ შემთხვევაშიც, როცა მაიძულებლის მიზანია ადამიანისაგან კონკრეტული ქმედების შესრულება და რომლის დასჯადობაც გათვალისწინებულია სსკ-ის სხვა ნორმით, ანუ როცა ადგილი აქვს იძულების კერძო, სპეციალურ შემთხვევას. მაგალითად, სსკ-ის 335-ე მუხლი ითვალისწინებს განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულებას. როცა მაიძულებელი ადამიანს აიძულებს განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემას და ეს წარმოადგენს მისი იძულების მიზანს, მაშინ სსკ-ის 150-ე მუხლზე მითითება საჭირო აღარ არის და ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 335-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს ზემოთ აღნიშნულ შემადგენლობას.

ასევე არ დაკვალიფიცირდება სსკ-ის 150-ე მუხლით ქმედება, როცა ადამიანს აიძულებენ ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღებას. ეს არის იძულების კერძო, სპეციალური შემთხვევა. ამიტომ, ასეთ დროს, როცა მაიძულებელი ადამიანისგან



კონკრეტული ქმედების შესულებას მოითხოვს, როცა მისი მიზანი კონკრეტული ქმედების იძულებაა, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სპეციალური ნორმით, რომელიც ამ შემადგენლობას ითვალისწინებს. ქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სსკ-ის 134-ე მუხლით – ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის ალების იძულება. სსკ-ის 150-ე მუხლზე მითითება საჭირო აღარ არის.

იძულების სპეციალური შემადგენლობის დადგენის დროს ქმედება კვალიფიცირდება იძულების სპეციალური ნორმებით და სსკ-ის 150-ე მუხლზე, როგორც იძულების ზოგად ნორმაზე მითითება საჭირო აღარ არის.

6. იძულების მუხლზე მითითება ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას არ არის საჭირო მაშინაც, როცა იძულება არის სხვა დანაშაულის შემადგენელი ნაწილი. ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობა იძულებას მოიცავს როგორც მის შემადგენელ ნაწილს, მაგალითად, ფსიქიკური იძულება გაუპატიურებისას.

გაუპატიურების შემადგენლობა თავის თავში გულისხმობს, მოიცავს ფსიქიკურ იძულებასაც. ამიტომ, თუკი მოხდა პიროვნების გაუპატიურება ფსიქიკური იძულებით, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 137-ე მუხლით – გაუპატიურება, იძულების მუხლზე დამატებით მითითება საჭირო აღარ არის. როცა იძულება არის მთელი ნორმის ნაწილი, მაშინ უპირატესობა ენიჭება მთელ ნორმას და საქმე აღიძვრება სსკ-ის იმ მუხლით, რომელიც ამ ქმედებას მოიცავს იძულებასთან ერთად.

7. იძულების შემადგენლობა ქმედების დამთავრებულად ცნობისათვის არ მოითხოვს, რომ ადამიანმა შეასრულოს მაიძულებლისათვის სასურველი ქმედება. შესაძლებელია დაზარალებულმა მოახერხოს მაიძულებლისათვის სასურველი ქმედებისაგან თავის არიდება ან იძულება გადაიზარდოს უფრო მძიმე დანაშაულში, მაგალითად, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. ამიტომ, მაიძულებლისათვის სასურველი ქმედების ჩადენის მიუხედავად, იძულება დამთავრებულია, როცა დაზარალებულს აიძულებენ რაიმე ქმედების ჩადენას ან საკუთარ თავზე მისი ნების საწინააღმდეგო ზემოქმედების განცდას.

8. იძულების სუბიექტური შემადგენლობა გულისხმობს პირდაპირ განზრახვას. სუბიექტური შემადგენლობის სხვა ნიშანთაგან ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია მიზანის დადგენა,<sup>1</sup> მოტივი კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს. მაიძულებელი შეიძლება სხვადასხვა მოტივით მოქმედებდეს. მოტივის დადგენა აუცილებელია სამართლიანი სასჯელის დანიშნისათვის.

9. იმ შემთხვევაში, როცა მაიძულებელმა ვერ მიაღწია მისთვის დასახულ მიზანს, მაშინ შეიძლება მის მიერ ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდეს როგორც იძულების მცდელობა.

10. იძულების შემადგენლობა მაკვალიფიცირებელ გარემოებად ითვალისწინებს იგივე ქმედების ჩადენას წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ. არასრულწლოვანების ასაკი განსაზღვრულია კანონმდებლობით. ამ გარემოებით ქმედების კვალიფიკაციისათვის აუცილებელია იმის დადგენა, რომ მაიძულებლისათვის ცნობილია იმ ადამიანის ასაკი, რომელსაც აიძულებს რაიმე ქმედების ჩადენას.

11. იძულების შემადგენლობის დოქტრინალური განმარტების მიუხედავად, სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ამ მუხლით ქმედებათა არასწორად სამართლებრივი შეფასების, კვალიფიკაციის შემთხვევები.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქმედების კვალიფიკაცია სსკ-ის 150-ე მუხლით და შემდგომ მისი გადაკვალიფიცირება სხვა შემადგენლობაზე ხდება სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების სხვადასხვა სტადიაზე.

ასე, მაგალითად, „თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2004 წლის 9 თებერვლის განაჩენით ლ. გურგენიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით, 137-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით“.<sup>2</sup>

---

1 მიზნის მნიშვნელობაზე იძულების შემადგენლობის დადგენასა და სხვა შემადგენლობათაგან გამიჯვნის თაობაზე იხ. პ 1; 5.

2 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2004 წ. №4, გვ. 899.

როგორც უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შესწავლიდან ჩანს, ლ. გურგენიძე თავდაპირველად ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემული იყო საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლით. „სასამართლო კოლეგიამ სსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“, „ე“, „ზ“, და „თ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადააკვალიფიცირა ამავე კოდექსის 150-ე მუხლის პირველ ნაწილზე“.<sup>1</sup>

თავდაპირველად ლ. გურგენიძის ქმედება დააკვალიფიცირდა სსკ-ის 143-ე მუხლის შესაბამისი ქვეპუნქტებით, ხოლო შემდეგ სასამართლო კოლეგიამ გადააკვალიფიცირა სსკ-ის 150-ე მუხლზე.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, საქმის გარემოება შემდეგში მდგომარეობდა: „ლ. გურგენიძემ და მისმა თანამზრახველებმა ძალადობითა და ძალადობის მუქარით, ს და ა ჩ-ძეები იძულებით ჩასვეს მ. ხახიშვილის კუთვნილ მიკროავტობუსში და წაიყვანეს ქ. გორში, წითელარმიელთა ქუჩაზე მდებარე ზ. გიგაურის კუთვნილ ბინაში, სადაც ისინი მუქარითა და ძალადობით შეიყვანეს ამ ბინაში. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ ა. ჩ-ძე ჩასვეს მიკროავტობუსში და გაამგზავრეს თბილისის მიმართულებით. იმავე დღეს, დაახლოებით 24 საათზე, ქ. გორში, ი. ციგრიაშვილის კუთვნილ ბინაში, ლ. გურგენიძე და ს. ჩ-ძე დარჩნენ რა მარტონი, ლ. გურგენიძემ განიზრახა არასრულწლოვან ს. ჩ-ძესთან სქესობრივი კავშირის დამყარება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით მან ს. ჩ-ძე ძალადობითა და ძალადობის მუქარით დააწვინა საწოლზე და შეეცადა, გაეხადა ტანსაცმელი, მაგრამ ს. ჩხაიძის აქტიური წინააღმდეგობის გამო განზრახვა ვერ მოიყვანა სისრულეში“.<sup>2</sup>

ჩვენ ძირითად ყურადღებას ვამახვილებთ იძულების შემადგენლობით ქმედების კვალიფიკაციაზე და ამ მხრივ დაშვებულ შემცდომებზე. ამიტომ სხვა ეპიზოდებზე არ შევჩერდებით. ამის აღნიშვნა აუცილებელია იმიტომ, რომ იძულება გვხვდება სხვა დანაშაულებთან ერთად. იშვიათია შემთხვევები, როცა საქმე აღ-

---

1 იქვე, გვ. 900.

2 იქვე, გვ. 902.

ძრულია მხოლოდ იძულების მუხლით. იძულება ყოველთვის თან ახლავს რომელიმე სხვა ქმედებას, ამიტომ ადგილი აქვს ერთობლიობას და შესაბამისად შეცდომებსაც ქმედების სამართლებრივ შეფასებაში, კვალიფიკაციაში.

აღნიშნული მაგალითის დროს, „სასამართლომ 143-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ბრალდება გადააკვალიფიცირა სსკ-ის 150-ე მუხლის პირველ ნაწილზე.“<sup>1</sup>

თუმცა ქმედების ასეთ გადაკვალიფიცირებას არ დაეთანხმა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია „პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებათა სამართლებრივი შეფასება (ქმედების კვალიფიკაცია) აშკარად ეწინააღმდეგება ერთმანეთს“.<sup>2</sup>

რა თქმა უნდა, ქმედების სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის აუცილებელი წინაპირობაა ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სწორი კვალიფიკაცია. სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია როგორც რეალურად მომხდარი ფაქტების დადგენა, ისე მათი სამართლებრივი შეფასება, კვალიფიკაცია.

ორივე გარემოება მეტად მნიშვნელოვანია.

თუმცა ხშირად ხდება დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეცდომით, არასწორი სამართლებრივი შეფასება. ეს უკვე ქმედების არასწორად კვალიფიკაციის პრობლემაა.

სწორედ რეალურად დადგენილი ფაქტების შეცდომით კვალიფიკაციად მიიჩნია უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ აღნიშნულ საქმეზე გაკეთებული გადაკვალიფიცირება.

„თუ დადგინდება, რომ არასრულწლოვნების –ს. და ა. ჩ-ბების მიკროავტობუსში ჩასმა და ქ. გორში წაყვანა მოხდა მათი ნების საწინააღმდეგოდ, ძალადობითა და ძალადობის

---

1 იქვე.

2 იქვე, გვ. 902.

მუქარის გამოყენებით, ასეთივე საშუალებით შეიყვანეს ისინი ქ. გორში, ზ. გიგაურის ბინაში, შემდეგ ს. ჩ-ძე ჯერ ი. ციგრი-აშვილის ბინაში გადაიყვანეს, ხოლო მეორე დღეს ქობულეთის რაიონში წაიყვანეს და სხვადასხვა ბინაში ნების საწინააღმდეგოდ გადაჰყავდათ, ბრალეულ პირთა ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 143-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით და არა 150-ე მუხლით, როგორც ეს გასაჩივრებული განაჩენით არის გადაწყვეტილი“.<sup>1</sup>

ვფიქრობთ, რომ უზენაესი სასამართლოს მითითება სამართლიანია და ამ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 143-ე მუხლით.<sup>2</sup>

12. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იძულება, უმეტეს შემთხვევაში, გვხვდება სხვა დანაშაულებთან ერთობლიობაში. ამიტომ, ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას და შეფასებისას, მნიშვნელოვანია თითოეული მათგანის ერთმანეთისგან გამიჯვნა, რათა სწორად მოხდეს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია. ზოგჯერ ერთი ქმედების შემადგენლობა მოიცავს მეორეს და ამიტომ დამატებით ამ ქმედებაზე მითითება საჭირო აღარ არის.

ასეთი შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში ხშირია იძულებასთან მიმართებაში. ეს იმიტომ, რომ ზოგჯერ იძულება თვითონ წარმოადგენს სხვა დანაშაულის შემადგენელ ნაწილს, ზოგჯერ კი, პირიქით, სხვა დანაშაული წარმოადგენს იძულების შემადგენელ ნაწილს. ასეთია ძირითადად მუქარა. ამიტომ მუქარით განხორციელებული იძულების დროს მუქარის მუხლზე მითითება საჭირო აღარ არის.

„ბ. მიქიაა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ 2005 წ. 9 აგვისტოს განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 143-ე

---

1 იქვე, გვ. 902.

2 იძულების მუხლზე მითითება არ არის საჭირო, როცა იძულება სხვა დანაშაულის შემადგენელი ნაწილია. ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. პ. 6.

მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით, 150-ე მუხლით, 151-ე მუხლით, 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის“.<sup>1</sup>

სხვა შემადგენლობათაგან განსხვავებით, ბ. მიქაიას მიერ ჩადენილი იძულებისა და მუქარის შემთხვევები გამოიხატა შემდეგში:

„ბ. მიქაიამ ვ.გაგუას რამდენჯერმე დაურეკა, რა დროსაც ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობით და კატეგორიულად სთხოვდა მარტილის რაიონის სოფელ ბანძაში ჩასვლას და მასთან შეხვედრას“.<sup>2</sup>

ამ მიმართებით საინტერესოა ასევე შემდეგი ეპიზოდიც ამ საქმიდან: „ბ. მიქაია ვ. გაგუას დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით და ჯანმრთელობის დაზიანებით, რის შემდეგაც მკლავებში მოჰკიდა ხელი, ძალის გამოყენებით ჩასვა თავის კუთენილ „უაზის“ მარკის ავტომანქანაში და, მისი ნების საწინააღმდეგოდ, მარტივილი-სენაკის საავტომობილო გზის გავლით წაიყვანა სოფ. ლეხაინდრაოს მიმართულებით“.<sup>3</sup>

ფიქრობთ, რომ პირველ შემთხვევაში მუქარა არის იძულების შემადგენელი ნაწილი, ხოლო მეორე შემთხვევაში იძულება არის თავისუფლების უკანონო აღკვეთის შემადგენელი ნაწილი. ასევე საწყის ეტაპზე იძულება ზორციელდება მუქარის მეშვეობით.

საინტერესოა ასევე შემდეგი ეპიზოდიც ამ გადაწყვეტილებიდან: „ბ. მიქაიამ ნ. გაგუას ყელზე მიადო საოჯახო დანა და დაემუქრა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ის არ აღიარებდა ფაქტს, სიცოცხლეს მოუსპობდა, რის გამოც ნ. გაგუას გაუჩნდა ბ. მიქაიას მხრიდან გამოთქმული მუქარის განხორციელების საფუძველიანი შიში“.<sup>4</sup>

ამ შემთხვევაშიც მუქარა არის იძულების განხორციელების საშუალება. ბ. მიქაია არა უბრალოდ დაემუქრა ნ. გაგუას, არ-

---

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2006წ №3, გვ. 43.

2 იქვე, გვ. 45.

3 იქვე, გვ. 45.

4 იქვე, გვ. 47.

ამედ მას სურდა ამ მუქარით აეძულებინა ნ. გაგუა კონკრეტული ფაქტების აღიარებისათვის. ამიტომ, ვფიქრობთ, სასამართლოს მითითება სსკ-ის 151-ე მუხლზე ზედმეტია და ბ. მიქაია ამ მუხლით მსჯავრდებული არ უნდა იყოს.

13. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხშირია იძულების შემთხვევები თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და მძევლად ხელში ჩაგდებასთან მიმართებაში. ამიტომ არც თუ ისე იშვიათია სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოთა შეცდომები ამ მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა კვალიფიკაციის დროს.

ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ა. იოსელიანის საქმეზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, „კ. ჭკუასელი ა. იოსელიანის ბრძანებით, იარაღის მუქარით დათრგუნული, იძულებული გახდა, დამორჩილებოდა ა. იოსელიანის ნებას და გაჰყოლოდა მას. ა. იოსელიანმა მძევლად ხელში ჩაგდებული კ. ჭკუასელი მიიყვანა... №2/2 კორპუსში მდებარე თავის საცხოვრებელ ბინაში და დააკავა იგი“.<sup>1</sup>

კ. ჭკუასელს ჰქონდა ა. იოსელიანის ვალი. ამიტომ ა. იოსელიანს კ. ჭკუასელის მძევლად ხელში ჩაგდების გზით სურდა ვალის ამოღება. „ა. იოსელიანმა განიზრახა კვლავ კ. ჭკუასელის მძევლად ხელში ჩაგდება, რათა ამ გზით იძულებული გაეხდა ოჯახის წევრები, გადაეხდათ ვალის დარჩენილი ნაწილი“.<sup>2</sup>

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ა. იოსელიანის საქმეზე, სხვა ეპიზოდებთან ერთად, აღწერილია, რომ კ. ჭკუასელი ჩაჯდა საკუთარ ავტომანქანაში, მას ჩაუჯდა ა. იოსელიანი, რომელსაც თან ჰქონდა რა ცუცხლსასროლი იარაღი, მოკვლის მუქარით მძევლად ხელში ჩაიგდო კ. ჭკუასელი და მიიყვანა იგი №2/2 კორპუსში მდებარე თავის საცხოვრებელ ბინაში და დააკავა“.<sup>3</sup>

---

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2003წ, №2, გვ. 246.

2 იქვე, გვ. 246.

3 იქვე, გვ. 246.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენით ა. იოსელიანი საქართველოს სსკ-ის სზვა მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან ერთად, ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ის 144-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისი ქვეპუნქტებით.<sup>1</sup>

ეს კავლიფიკაცია არასწორად მიიჩნია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ და სსკ-ის 144-ე მუხლი გადააკვალიფიცირა სსკ-ის 150-ე მუხლზე და სსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამის ქვეპუნქტზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულ საქმეზე ვკითხულობთ: „ის გარემოება, რომ ა. იოსელიანმა თავისი ნების საწინააღმდეგოდ წაიყვანა კ. ჭკუასელი თავის სახლში ვალის გადახდის საკითხის გასარკვევად და მუქარით სთხოვდა ვალის დაბრუნებას, უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლით (იძულება), ამდენად, ა. იოსელიანის მიერ ამ ეპიზოდში ჩადენილი ქმედება სსკ-ს 144-ე მუხლის მეორე ნაწილიდან უნდა გადააკვალიფიცირდეს იმავე კოდექსის 150-ე მუხლზე“.<sup>2</sup>

ვფიქრობთ, რომ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ სსკ-ის 150-ე მუხლზე მითითება აღნიშნული ქმედების დასაკვალიფიცირებლად მოცემულ ეპიზოდთან მიმართებაში სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ.

14. იძულებისა და მუქარის შემადგენლობათა მსგავსება ზოგჯერ წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკაში ამ მუხლებით ქმედებათა შეცდომით კვალიფიკაციის წინაპირობას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უმეტეს შემთხვევაში იძულება ან მუქარა არის დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედების რაღაც ეპიზოდი და ამიტომ ქმედების კვალიფიკაციისას აუცილებლად ხდება ამ მუხლებთან ერთად სსკ-ის შესაბამის მუხლებზე მითითებაც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენით ზ. ჯ-შვილი ცნო-

1 დაწერილებით იხ. იქვე, გვ. 245.

2 იქვე, გვ. 250.



ბილი იყო დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლით, სსკ-ის 151-ე მუხლით და სსკ-ის სხვა მუხლებით.<sup>1</sup>

გადაწყვეტილების მიხედვით „ზ. ჯ-შვილმა... გზაზე გააჩერა „ვაზ-21011“ ავტომანქანა, რომელსაც თანასოფლელი გ. გ-შვილი მართავდა. ამ უკანასკნელთან ერთად მანქანაში იმყოფებოდა მისი ძმისშვილი – რ. ფ-შვილი. ზ. ჯ-შვილმა გ. გ-შვილს სოფ წაყვანა მოსთხოვა, უთხრა ისიც, რომ უნდა მოეკლა ის, ვინც მანქანა დაუწვა. უარის მიღების შემდეგ ამოიღო თოფი და მოკვლით დაემუქრა. შეშინებულმა გ. გ-შვილმა გაცლა ამჯობინა. ზ. ჯ-ვილმა, ასევე, მოკვლის მუქარით აიძულა რ. ფ-შვილი, ჩამჯდარიყო ავტომანქანაში და შეესრულებინა მისი მითითებები. ამ უკანასკნელმა ვერ გაუწია წინააღმდეგობა და უსიტყვოდ შეასრულა მოძალადის მოთხოვნა“.<sup>2</sup>

მართალია აღნიშნულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განაჩენში შეიტანა ცვლილება, მაგრამ იძულებისა და მუქარის მუხლებთან მიმართებაში უცვლელად დატოვა. სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ დადასტურებულად მიიჩნია „ზ. ჯ-შვილის მიერ რ. ფ-შვილის მიმართ განხორციელებული მუქარისა და იძულების ფაქტები“.<sup>3</sup>

თუკი უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამის ადგილებს, რომლებიც იძულებისა და მუქარის ეპიზოდებს შეეხება, კარგად გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ ზ. ჯ-შვილისათვის საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის შეფარდება ზედმეტია და საკმარისი იქნებოდა მისი ქმედების ამ ეპიზოდის სსკ-ის 150-ე მუხლით გათ-

---

1 სხვა მუხლების ჩამონათვალს აქ აღარ ვაკეთებთ, რადგან ჩვენთვის ამ ეტაპზე საინტერესოა იძულების შემთხვევათა განხილვა. ამიტომ გადაწყვეტილებიდან მოვიყვანთ იმ ეპიზოდებს, რაც იძულებასა და მის სამართლებრივ შეფასებას შეეხება. ასეთი პრინციპით ვხელმძღვანელობდით სხვა გადაწყვეტილებათა მითითების დროსაც. დაწვრილებით ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002წ, №6, გვ. 565.

2 იქვე გვ. 565-566/

3 იქვე გვ. 657.

ვალისიწნება. ზემოთ მოყვანილი ეპიზოდის მიხედვით, ზ. ჯ-შვილი დაემუქრა რ. ფ-შვილს იმისათვის, რომ იგი აეძულებინა მისთვის სასურველი ქმედების ჩასადენად, ე.ი. მუქარა იყო იძულების განხორციელების საშუალება, მისი შემადგენელი ნაწილი. ამიტომ ასეთ დროს საკმარისია მხოლოდ იძულების მუხლზე მითითება და დამატებით მუქარის მუხლით ქმედების კვალიფიკაცია საჭირო აღარ არის. სასამართლო პრაქტიკაში კი, როგორც ვნახეთ, ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირია.

იძულების მუხლთან მიმართებაში ქმედების კვალიფიკაციისას სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომები ნათლად ადასტურებს იმას, რომ არ ხდება იძულების შემადგენლობის დოქტრინალური განმარტების სათანადო ყურადღებით შესწავლა, რაც მისი სხვა შემადგენლობათაგან გამიჯვნისა და პრაქტიკაში სწორად გამოყენების საწინდარია.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლო სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის განყოფილების მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასამართლოებში განხილული საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა დიდი არ არის.<sup>1</sup> ასე, მაგალითად, 2005 წელს სასამართლოებში განაჩენის გამოტანით განხილული იქნა იძულების 8 სისხლის სამართლის საქმე. მათ შორის 2- დედოფლისწყაროს სასამართლოში, 2-ვაკე-საბურთალოს სასამართლოში, 1-ჩხოროწყუს სასამართლოში, 1-სენაკის სასამართლოში, 1-ისანი-სამგორის სასამართლოში და 1-თბილისის საოლქო სასამართლოში. 2006 წელს ეს რიცხვი მხოლოდ 9-მდე გაიზარდა. 2007 წელს კი სასამართლოებში განხილული იძულების 16 სისხლის სამართლის საქმე 20 პირის მიმართ.

სსკ-ის 150-ე მუხლით სასამართლოებში განხილულ სისხლის სამართლის საქმეთა სიმცირის ერთ-ერთ მიზეზად ქმედებათა დანაშაულად არასწორ კვალიფიკაციაც უნდა მივიჩნიოთ.<sup>2</sup>

---

1 სტატისტიკა მოყვანილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლო სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის განყოფილების მონაცემების მიხედვით.

2 იძულების არასწორად კვალიფიკაციაზე იხილეთ 150-ე და 151-ე მუხლების განმარტების შესაბამისი პუნქტები სასამართლო პრაქტიკის მაგალითებით.

## მუხლი 151. მუქარა

სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, –

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2937-სსმ I, 2006 წ. № 14, მუხ. 90)

1. მუქარის შემადგენლობით გათვალისწინებული დანაშაულის სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს ადამიანის ფსიქიკური ხელშეუხებლობა, მისი სიმშვიდე და მყუდრო გარემოში ცხოვრების უფლება.

დამმუქრებელი „კონკრეტულ ადამიანს ემუქრება კონკრეტული ძალადობითი ქმედების ჩადენით, თანაც მუქარა გარეგნულად ისეთი ფორმითაა გამოხატული, რომ მუქარის ადრესატს ამ მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში უჩნდება“.1 ამით ხდება ადამიანის მშვიდი და მყუდრო გარემოში ცხოვრების უფლების ხელყოფა, რადგან მუქარის განხორციელების შიშის გამო ყოველ წუთს ელოდება ძალადობით ქმედებას.

2. მუქარის შემადგენლობით დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა შესაძლებელია მხოლოდ მოქმედებით – მუქარით. მუქარა შეიძლება განხორციელდეს პირისპირ საუბრით, სატელეფონო საუბრით, წერილის მიწერით, ტელეგრაფით, იარაღის დემონსტრირებით, სხვა პირის მეშვეობით მუქარის შეთვლით და ა.შ. მუქარის შემადგენლობის დისპოზიციიდან გამომდინარე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ხდება კონკრეტულ ქმედებათა განხორციელების, სისხლის სამართლის კოდექსის სხვა ნორმებით დაცულ სამართლებრივ სიკეთეთა ხელყოფის მუქარით.

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ 2005. გვ 214.

დამმუქრებელი ადამიანს ემუქრება სიცოცხლის მოსპობით, ჯანმრთელობის დაზიანებით ან ქონების განადგურებით. იძულების შემადგენლობისგან განსხვავებით, აქ მოქმედი ადამიანისგან არ მოითხოვს რაიმე ქმედების შესრულებას. იძულებისგან განსხვავებით, მუქარის დროს დაკონკრეტებულია მისი შინაარსი. ეს შეიძლება იყოს მხოლოდ სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ან ქონების განადგურების მუქარა. ყოველი სხვა სახის მუქარა არ გვაძლევს სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას.

3. იძულების შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია მუქარის განხორციელებასთან ერთად ის, რომ ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდეს მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. მუქარის რეალურობაზე მეტად მნიშვნელოვანია იმის დადგენა, რომ მან გამოიწვია თუ არა დაზარალებულში მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში. ამის დადგენა საკმაოდ რთულია და უნდა მოხდეს ყოველი კონკრეტული საქმის თავისებურებათა გათვალისწინებით. შეექმნა თუ არა დაზარალებულს მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმების გამოყენებით. უნდა დადგინდეს, რომ მუქარამ რეალურად დააშინა, ააფორიაქა, სიმშვიდე დაურღვია დამუქრებულს. მუქარასთან ერთად ამ შედეგის დადგომის შემდეგ სახეზე იქნება ქმედების შემადგენლობა. მხოლოდ მუქარის განხორციელება, დამუქრებულში საფუძვლიანი შიშის გამოწვევის გარეშე, არ მოგვცემს სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას.

4. მუქარის ობიექტური შემადგენლობა განხორციელებულია, როცა დამუქრებულს გაუჩნდა სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების, ან ქონების განადგურების საფუძვლიანი შიში.

5. მუქარის სუბიექტური შემადგენლობა გულისხმობს პირდაპირ განზრახვას. ქმედების მოტივი და მიზანი კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს. მოტივი მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნისას. რაც შეეხება მიზანს, დამმუქრებელს შეიძლება სამომავლოდ დასახული ჰქონდეს ან არ ჰქონდეს მუქარის განხორ-

ციელება. მუქარის განხორციელების მიზნის მიხედვით იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია მარტივი და რთული მუქარა.

მარტივია მუქარა, როცა დამმუქრებელს სურს ადამიანის მხოლოდ დაშინება და არ აპირებს მუქარის განხორციელებას. რთულია მუქარა, როცა დამმუქრებელს გამიზნული აქვს მომავალში მუქარის განხორციელება.

ასეთ შემთხვევაში, მუქარის განხორციელებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ქმედების კვალიფიკაციაზე. თუკი დამმუქრებელი რეალურად შეუდგა შეპირებული მუქარის განხორციელებას, ე.ი. სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ან ქონების განადგურების მომზადებას ან მცდელობას, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება არა მუქარის მუხლით (სსკ-ის 151 მუხ.), არამედ შესაბამისი დანაშაულის (მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანება, ნივთის დაზიანება ან განადგურება) მომზადებით ან მცდელობით. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს სხვა სამართლებრივი სიკეთის – სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების უფლების ხელყოფას, ამიტომ ქმედებაც შესაბამისად სხვა მუხლით დაკვალიფიცირდება.

მუქარის დროს დამმუქრებლის მიზანია ადამიანის დაშინება; აფორიაქება, მშვიდ და მყუდრო გარემოში ცხოვრების უფლების ხელყოფა, რასაც იგი ახერხებს სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ან ქონების განადგურების მუქარით. როგორც კი დამმუქრებელი შეუდგება შეპირებული მუქარის განხორციელებას (მაგალითად, სოცოცხლის მოსპობა, შესაბამისად მკვლელობისათვის მზადება), მუქარა მაშინვე გადაიზრდება შესაბამისი დანაშაულის მომზადებასა ან მცდელობაში. სწორედ ამიტომ აღარ არის საჭირო მუქარის მუხლზე დამატებით მითითება და ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს შესაბამისი დანაშაულის მომზადებით ან მცდელობით.

6. ისევე როგორც იძულების, მუქარის დროსაც, როდესაც იგი არის რომელიმე დანაშაულის შემადგენელი ნაწილი, უპირატესობა მიენიჭება მთელ ნორმას და ქმედება დაკვალიფიცირდება შესაბამისი მუხლით ისე, რომ მუქარის მუხლზე მითითება საჭირო არ არის. მაგალითად, სიცოცხლის მოსპობის მუქარა არის გაუპა-

ტიურების შემადგენელი ნაწილი, ამიტომ ასეთ დროს ქმედება დაკვალიფიცირდება გაუპატიურების მუხლით და მუქარის მუხლზე მითითება საჭირო აღარ არის.

7. სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა არის მუქარის ზოგადი ნორმა. ამიტომ იგი განსხვავდება მუქარის სპეციალური შემადგენლობისაგან, მაგალითად, მუქარა ან ძალადობა სამართალწარმოების განხორციელებასთან ან წინასწარ გამოძიებასთან დაკავშირებით (სსკ-ის 365-ე მუხ.), თუკი ასეთ მუქარას ექნება ადგილი, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 365-ე მუხლით და არა 151-ე მუხლით. ზოგად და სპეციალურ ნორმათა კოლიზიის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალურ ნორმას.

ამიტომ ქმედების სსკ-ის 151-ე მუხლით კვალიფიკაციისას უნდა დავადგინოთ, ხომ არ არის სახეზე მუქარის სხვა, სპეციალური შემადგენლობა ან მუქარა ხომ არ წარმოადგენს სხვა დანაშაულის შემადგენელ ნაწილს.

8. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისევე როგორც იძულების, ასევე მუქარის შემადგენლობის დოქტრინალური განმარტების მიუხედავად, ხშირია ფაქტობრივად ჩადენილ ქმედებათა დანაშაულად შეცდომით კვალიფიკაციის შემთხვევები.

ასე, მაგალითად, „ს. მურღულიას... მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109 მუხლის „ა“, „ზ“, და „კ“ ქვეპუნქტებით, 151-ე მუხლით, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში“!

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიხედვით, „ს. მურღულია უსაფუძვლოდ დანაშაულებდა ზ. ბაბუნაშვილს თავისი ძმის მ. მურღულიას მკვლელობის ხელშეწყობაში, რომელიც ჩაიდინა ბაბუნაშვილმა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების ვითარებაში. 2001 წ. თებერვლის დასაწყისში, ამ თემაზე სასაუბროდ, რამდენ-

---

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2003წ. №7, გვ. 802.

ჯერმე შეხვდა ჭ. ბაბუნაშვილს, რა დროსაც სიცოცხლის მოსპობით, ჯანმრთელობის დაზიანებითა და ქონების განადგურებით დაემუქრა ამ უკანასკნელს, შეეხვედრებინა იგი მისი ძმის მკვლელთან – ვ. ბაბუნაშვილთან, რითაც ჭ. ბაბუნაშვილს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2001წ. 16 თებერვალს, იგი მივიდა ჭ. ბაბუნაშვილის სახლში და ამ უკანასკნელს კვლავ სიცოცხლის მოსპობის მუქარით მოსთხოვა მომდევნო დღეს შეეხვედრებინა ვ. ბაბუნაშვილთან<sup>1</sup>.

ქმედება, თუნდაც იგი ამ სტადიაზე, ამ საფეხურზე დამთავრებულიყო, ვფიქრობთ, რომ იგი არ უნდა დაკვალიფიცირებულიყო მუქარად, რადგან ს. მურღულია ემუქრებოდა ჭ. ბაბუნაშვილს იმისათვის, რომ ამ უკანასკნელს იგი შეეხვედრებინა ვ. ბაბუნაშვილთან. ე.ი. მუქარა ს. მურღულიასათვის იყო ჭ. ბაბუნაშვილის იძულების საშულება.<sup>2</sup>

თუმცა ს. მურღულიას მიერ ჩადენილი ქმედება ამ საფეხურზე არ დამთავრებულა და მან ჰპოვა შემდგომი განვითარება, კერძოდ „2001 წ-ის 17 თებერვალს, დაახლოებით 22 საათზე ს. მურღულია დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარით შეიარაღებული, ჭ და ხ. ბაბუნაშვილების მოკვლის განზრახვით, მივიდა ამ უკანასკნელთა სახლში

ჩაამსხვრია მინა და საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარა, ჭ. და ხ. ბაბუნაშვილების განზრახ მოკვლის მიზნით, შეაგდო სახლის პირველი სართულის საძინებელ ოთახში, რითაც საფრთხე შეუქმნა როგორც ჭ. და ხ. ბაბუნაშვილების, ასევე მეზობელ ოთახში მყოფ კ. ბაბუნაშვილის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას“.<sup>3</sup>

აღნიშნული შემთხვევის შესაბამისად, ს. მურღულიამ განახორციელა ჭ. ბაბუნაშვილისათვის შეპირებული მუქარის რეალიზაციის მცდელობა, ე.ი. ის რეალურად შეუდგა შეპირებული მუქარის

1 იქვე, გვ. 802.

2 მსგავს შემთხვევათა კვალიფიკაციის თაობაზე იხ. სსკ-ის 150-ე მუხლის განმარტების შესაბამისი პუნქტები.

3 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2003 წ. №7, გვ.803.

განხორციელებას, ამიტომ მისი ქმედება გადაიზარდა სიცოცხლის მოსპობის მცდელობაში.<sup>1</sup> აქედან გამომდინარე, მუქარის მუხლზე მითითება არ არის საჭირო. სსკ-ის 19-109 მუხლით კვალიფიკაცია ასეთ შემთხვევაში გამოირიცხავს სსკ-ის 151-ე მუხლზე მითითებას. ვფიქრობთ, რომ სასამართლოს მიერ ს. მურდულისა ქმედება განხილულ ეპიზოდში სსკ-ის 151-ე მუხლით არასწორად არის დაკვალიფიცირებული.

9. მუქარის მუხლის არასწორად შეფარდების შემთხვევაა მოცემული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებაშიც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2004 წ-ის 23 აგვისტოს განაჩენით მსჯავრდებულ ბ. საბაშვილის, ც. საბაშვილის, ნ. ბაზერაშვილის და მ. მნაცკანიანის სისხლის სამართლის საქმე. აღნიშნულ საქმეზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, „ბ. საბაშვილმა, ც. საბაშვილმა და მათმა ბიძაშვილმა ნ. ბაზერაშვილმა გადაწყვიტეს სახლში მისულიყვნენ ზ. ნეფარიძესთან და აეძულებინათ იგი, ფული დაებრუნებინა. ამ მიზნით 2002 წ. 13 ნოემბერს ისინი მივიდნენ ქ. თბილისში, მე-12 ბინაში, სადაც დახვდნენ ზ. ნეფარიძის არასრულწლოვანი ბავშვები. ოჯახის დიასახლისის მ. ნეფარიძის გამოჩენის შემდეგ სამივე ლანძღვა-გინებითა და მუქარით, რომ მოიტაცებდნენ ბავშვებს და მოკლავდნენ, ითხოვდნენ ფულის გადახდას. ამის გამო მ. ნეფარიძეს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში“.<sup>2</sup>

მიუხედავად იმისა, რომ „მ. ნეფარიძეს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში“ ამ შემთხვევაშიც ბ. საბაშვილის, ც. საბაშვილისა და ნ. ბაზერაშვილის მიერ მ. ნეფარიძის მიმართ განხორციელებული მუქარა იყო საშუალება, რათა „აეძულებინათ იგი, ფული დაებრუნებინა“. ე.ი. მუქარა იყო იძულების

1 ამ საკითხზე იხ. დაწვრილებით 3-5.

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2004წ, №12, გვ. 2508.



საშუალება, ამიტომ ქმედებაც უნდა დაკვალიფიცირებულიყო სსკ-ის 150-ე მუხლით და არა სსკ-ის 151-ე მუხლით.

ამავე გადაწყვეტილებაში მოცემულია სხვა ეპიზოდი, რომლის მიხედვითაც „ბ. საბაშვილმა, მ. ბერძენიშვილმა და ც. საბაშვილმა მ. მნაცკანიანს გატაცებული თანხიდან მისცეს შეპირებული 15 ათასი აშშ დოლარი და დააფალეს, წყალში გადაეყარა ლ. ლიაპკუსოვას გვამის ნაწილები და ტანსაცმელი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრნენ შვილის მკვლელობით“.<sup>1</sup> ვფიქრობთ, რომ ეს ეპიზოდიც უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც იძულება.

აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სამართლიანად არ მიიჩნია ზემოთ განხილული ეპიზოდის მუქარის მუხლით კვალიფიკაცია და მიუთითა თავის გადაწყვეტილებაში, რომ „ბ. საბაშვილის, ც. საბაშვილისა და ნ. ბაზერაშვილის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს ნ. ნეფარიძის მიმართ განხორციელებული მუქარის ეპიზოდში ხელახალი სასამართლო გამოკვლევა და სამართლებრივი შეფასება სჭირდება“.<sup>2</sup> ამით უზენაესი სასამართლო არ დაეთანხმა ზემოთ აღნიშნული ეპიზოდის მუქარის მუხლით კვალიფიკაციას და ვფიქრობთ, რომ საესებით სამართლიანად მოიქცა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ეს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც იძულება.

10. საკმაოდ არაკვალიფიციურად გამოიყურება მუქარის მუხლით მსჯავრდების სასამართლო პრაქტიკაში არსებული სხვა შემთხვევებიც. ასე, მაგალითად, „საბრალოდებო დასკვნით მ. სულთანთან ბრალი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა მძევლად ხელში ჩაგდება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ანგარებით, ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით, სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარა, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და „ი“ ქვეპუნქტებითა და 151-ე მუხლით“<sup>3</sup> – კვითხულობთ საქა-

1 იქვე, გვ. 2511.

2 იქვე, გვ. 2515.

3 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2006წ., №2, გვ.19.

რთველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში. მ. სულთანინის მიერ ჩადენილი ქმედების ასეთ კვალიფიკაციას არ დაეთანხმა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, რომლის „განაჩენით მ. სულთანინი გამართლდა საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და „ი“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში, მის ქმედებაში სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით“<sup>1</sup>

განსხვავებული პოზიცია ჰქონდა ამის გამო პროკურორს. მისი აზრით, სასამართლოს „საქმეზე შეკრებილი და სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით მ. სულთანინი უნდა ეცნო დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით, 144-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და „ი“ ქვეპუნქტებით.“<sup>2</sup>

ერთი და იგივე ქმედების განსხვავებული მუხლებით კვალიფიკაცია სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე, მიუთითებს რომელიმე სტადიაზე ქმედების შეცდომით კვალიფიკაციას. ეს სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული. მთავარია ამ მიზეზთა დადგენა და აღმოფხვრა. ეს კი უზრუნველყოფს ქმედების სწორად კვალიფიციერებას ან აუცილებლობის შემთხვევაში გადაკვალიფიციერებას.

ზემოთ განხილულ შემთხვევაში, იცვლებოდა ქმედების სსკ-ის 144-ე მუხლით ან 150-ე მუხლით კვალიფიკაციის მიზანშეწონილობის საკითხი მუქარის, სსკ-ის 151-ე მუხლთან ერთად. მუქარის მუხლით მ. სულთანინის ქმედების კვალიფიკაციაზე სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა. თუმცა მ. სულთანინის მიერ ჩადენილი ქმედების სსკ-ის 151-ე მუხლით კვალიფიკაცია ეჭვს იწვევს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, „ა. ლვინიაშვილი და მ. სულთანინი ჩაეიდნენ ქარელის რ-ნის სოფ.... ნ. კოპაძესთან. მათ ნ. კოპაძეს მოსთხოვეს

1 იქვე, გვ. 19.

2 იქვე, გვ. 21.

ვალის დაბრუნება, დაემუქრნენ და ვითარებაში უკეთ გარკვევის მიზნით წაიყვანეს თბილისის აეროპორტის დასახლებაში<sup>1</sup>. ამ შემთხვევაშიც მუქარა არის სხვა დანაშაულის შემადგენელი ნაწილი და მასზე დამატებით მითითება საჭირო აღარ იყო. ვფიქრობთ, მ. სულთანინის ქმედების კვალიფიკაცია სხვა მუხლთან ერთად მუქარის მუხლით არასწორია. საკმარისია მხოლოდ იმ მუხლით კვალიფიკაცია; რომლის შემადგენელ ნაწილსაც ამ ვითარებაში მუქარა წარმოადგენს.

11. სასამართლო პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევა, როცა ქმედება სწორად არის დაკვალიფიცირებული მუქარის მუხლით, მაგრამ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა სხვა გარემოების გამო.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2005 წ. 27 ივლისის განაჩენით კ. ბობოხიძე ცნობილი იყო დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 151-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა, აგრეთვე სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების, ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებოდა, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში<sup>2</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, „კ. ბობოხიძე დაემუქრა ზ. ფანცხავას და მისი ოჯახის წევრებს სიცოცხლის მოსპობით, ასევე ქონების განადგურებით, რა დროსაც ამ უკანასკნელს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.“<sup>3</sup>

კ. ბობოხიძის მიერ აღნიშნული ქმედების მუქარად კვალიფიკაცია სწორ სამართლებრივ შეფასებად უნდა მივიჩნიოთ. აქ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი გახდა არა ის, რომ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია არასწორი იყო, არამედ კ. ბობოხიძის ექსტრადიციის საკითხის გადაწყვეტა. საქმე

1 იქვე, გვ. 20, დაწვრილებით იხ. გვ. 20-21.

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2006 წ. №3, გვ. 37.

3 იქვე, გვ. 37.

ის არის, რომ კ. ბობოხიძე დანაშაულებრივ ქმედებათა ჩადენის შემდეგ იმყოფებოდა რუსეთში. მისი ექსტრადიციისათვის კი საქართველოს პროკურატურას გარკვეული მოთხოვნების შესრულება დასჭირდა. კერძოდ, „პროკურორმა იშუამდგომლა იმის შესახებ, რომ კ. ბობოხიძეს მოეხსნას სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდება, რადგან რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ არ დააკმაყოფილა გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის კ. ბობოხიძის ექსტრადიციის შესახებ იმ მოტივით, რომ ამ დანაშაულისათვის კანონი არ ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას.“<sup>1</sup>

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „საქართველოს 2006 წ. 31 მაისამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლი სასჯელად არ ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას. ამასთან, რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის მოადგილის დადგენილებით, კ. ბობოხიძე საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს გადაეცა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენისა და შენახვის გამო სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად.“<sup>2</sup>

სასამართლომ გაითვალისწინა პროკურატურის შუამდგომლობა და თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდში კ. ბობოხიძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს.“<sup>3</sup>

ამ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო დაეყრდნო საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის მე-3 ნაწილს, რომლის შესაბამისადაც „საქართველოში ექსტრადირებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს ბრალდების იმ ნაწილში, რომლისთვისაც იგი არ ყოფილა გადმოცემული საერთა-

1 იქვე, გვ. 39.

2 იქვე, გვ. 41.

3 იქვე, გვ. 42.

შორისო ხელშეკრულების შესაბამისად.<sup>41</sup>

12. მუქარის მუხლთან მიმართებაში სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების მიუხედავად, არც თუ ისე მცირეა ამ მუხლით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა. ასე, მაგალითად, 2005 წელს სასამართლოთა წარმოებაში იყო სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 10 სისხლის სამართლის საქმე. 2006 წ.-სათვის კი ეს რიცხვი გაიზარდა 51-მდე. 2007 წელს კი განაჩენის გამოტანით სასამართლოებმა განიხილა 77 სისხლის სამართლის საქმე სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე.<sup>2</sup> როგორც ვხედავთ, სასამართლოში მუქარის მუხლით განხილულ საქმეთა რაოდენობა წლების მიხედვით საკმაოდ იზრდება.

## მუხლი 152. ადგილსამყოფელის თავისუფლად არჩევის უფლების ხელყოფა

1. საქართველოში კანონიერად მყოფისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის ან საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლების, აგრეთვე საქართველოს მოქალაქისათვის საქართველოში თავისუფლად შემოსვლის უფლების განხორციელებაში უკანონოდ ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი საბუშართი ვადით ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი საბუშართი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

---

1 იქვე, გვ. 42.

2. ეს სტატისტიკა მოყვანილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლო სტატისტიკისა და ინფორმაციზაციის განყოფილების მონაცემების მიხედვით.

## ქმედების შემაღვენლობა

ა) ქმედების შემაღვენლობის ობიექტური შხარე

ამ მუხლით დაცულია მოქალაქის კონსტიტუციით აღიარებული თავისუფლება. საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის თანახმად „ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება“ (16აწ.)

„საქართველოში კანონიერად მყოფი“, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს საქართველოს მოქალაქეს. მოქალაქეობის არმქონე „საქართველოში კანონიერად მყოფად“ მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ ის ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრობს. კანონიერად მყოფი სხვაც შეიძლება იყოს, თუნდაც დროებით მცხოვრები.

ტერმინი „საქართველო“ ნიშნავს დედამიწის იმ ტერიტორიას (ხმელეთი, წყალი, ჰაერი), რომელიც მოქცეულია საქართველოს სახელმწიფოებრივ საზღვარში.

„ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების“ უფლება ნიშნავს იმას, რომ საქართველოში კანონიერად მყოფს ვერავენ შეუშლის ხელს მონახულოს ქვეყნის ნებისმიერი ადგილი საკუთარი სურვილისამებრ.

„საქართველოში კანონიერად მყოფს“ ასევე თავისუფლად, საკუთარი მიზედულებისამებრ შეუძლია აირჩიოს საქართველოში ნებისმიერი საცხოვრებელი ადგილი და მას ამისათვის არავის ნებართვა არ სჭირდება.

ნებისმიერი ადგილის მონახულების უფლება არ ნიშნავს, „მაგალითად, ვინმეს ბინაში თავისუფლად შესვლას ან რომელიმე სახელმწიფო დაწესებულების თუ კერძო ორგანიზაციის შენობაში დაუკითხვად და დაუბრკოლებლად შესვლას. აქ იგულისხმება გარე ტერიტორია (სოფელი, ქალაქი, სხვა დაუსახლებელი ადგილი და ა.შ.).

ასევე თავისუფლად შეუძლია შემოვიდეს საზღვარგარეთი-

დან ადამიანი საქართველოს ტერიტორიაზე, თუ ის საქართველოს მოქალაქეა და გავიდექს საზღვარგარეთ თავისი ნებით. „თავისი ნებით“, ესე იგი თავისუფლად გასვლა-შემოსვლა არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მოქალაქემ არ დაიცვას ის წესი, რაც საზღვარზე გადმოსვლის და გადასვლის დროს არის საჭირო. მოთავარია ის, რომ საქართველოს მოქალაქეს საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლის დროს ხელი არავინ შეუშალოს „უკანონოდ“.

1996 წ. 27 ივნისის საქართველოს კანონით გაუქმდა ჩაწერის წესი, რომელიც საბჭოთა პერიოდიდან მომდინარეობდა შემოვიდა რეგისტრაციის წესი. ეს წესი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს თავისუფლად გადაადგილებას და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევას. ადამიანს ამ წესის მიხედვით შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, მაშინ, როცა საკმარისია ერთ საცხოვრებელ ადგილას იყოს რეგისტრირებული.

„მნიშვნელოვანი ზიანი“ სასამართლოს შეფასების საგანია. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ადამიანის თავისუფლად გადაადგილებას განსასჯელმა უკანონოდ შეუშალა ხელი, მაგრამ ამ უკანონობას არ მოჰყოლია „მნიშვნელოვანი ზიანი“, მაშინ შეიძლება დადგეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი. ყოველ შემთხვევაში განსასჯელის მიმართ სასამართლომ უნდა გამოითქანოს გამამართლებელი განაჩენი.

152-ე მუხლის მე-2 ნაწილით აღწერილია ქმედების სპეციალური შემადგენლობა, რომლის მიხედვით პასუხისმგებლობას ამძიებებს ამ მუხლის პირველი ნაწილით აღწერილი ქმედება, თუ ის ჩადენილია „ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით“.

„ძალადობა“ ფართო ცნებაა. მაგრამ, ჩემი აზრით, აქ ეს ცნება უფრო ვიწროდ უნდა გავიგოთ. მაგალითად, წინ გადაუდგა, ხელებით შებოჭა და არ გაუშვა დამნაშავემ დაზარალებული, რომელიც თავისი გზით მიდიოდა.

„ძალადობის მუქარა“ ნიშნავს იმას, რომ დამნაშავემ დაზარალებულს სიტყვიერად ან მოქმედებით აგრძნობინა წინააღმდეგობა იმ შემთხვევაში, თუ ის შესაბამისი მიმართულებით ან განსაზღვრული ადგილისაკენ გადაადგილებას შეეცდებოდა.

„სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება“, როგორც ამ დანაშაულის ჩადენის ხერხი, გვექნება მაშინ, როცა დაზარალებულის გადაადგილებას ხელს უშლის ვინმე თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით. ამის ნიმუში, უპირველეს ყოვლისა, იქნება სახელმწიფო საზღვრის სამსახურის მუშაკი, რომელიც ხელს უშლის დაზარალებულის საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლას.

## ბ) ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარე

სუბიექტური მხარე ქმედებისა განზრახვაა. განზრახვა უნდა იყოს პირდაპირი. მოტივი შეიძლება იყოს სხვადასხვა (ანგარება, შურისძიება და სხვა). გამონაკლისი შეიძლება იყოს ქმედების შემადგენლობის ისეთი ნიშანი, როგორცაა „არსებითი ზიანი“, რომელიც არ უნდა იყოს მოცული დამნაშავეის განზრახვით.

## II

### ქმედების მართლწინააღმდეგობა

ქმედების მართლწინააღმდეგობა გამოიხატება საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის დარღვევით; ეს მუხლი უფლებას აძლევს ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, თავისუფლად გადაადგილდეს და აირჩიოს ნებისმიერი საცხოვრებელი ადგილი.

მაგრამ მართლწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც 22-ე მუხლით ადამიანისათვის მინიჭებულ უფლებას ზღუდავს კანონის საფუძველზე. კონსტიტუციის 22-ე მუხლით გარანტირებული უფლებები შეიძლება იყოს კანონით შეზღუდული, რაც აუცილებელია „დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით“ (3-ე ნაწ.).



საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ნორმა, რომლითაც საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის გადაადგილების უფლება იზღუდება, დაკონკრეტებულია ცალკეული კანონებით. ასეთია, მაგალითად, „უცხოელის სამართლებრივი მდგომარეობის“ კანონი, „საქართველოს მოქალაქის საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესის“ კანონი და სხვა.

„უცხოელის სამართლებრივი მდგომარეობის“ კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად უცხოელ მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონეს საქართველოდან გასვლა ეკრძალება: ა) თუ მისი გასვლა ეწინააღმდეგება სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებს – ამ გარემოებათა მოქმედების შეწყვეტამდე; ბ) თუ იგი ეჭვმიტანილია ან ბრალდებულია დანაშაულის ჩადენაში – მის მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტამდე; გ) თუ გასამართლებულია დანაშაულისათვის – სასჯელის მოხდამდე ან სასჯელისაგან გათავისუფლებამდე; დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ასევე აკრძალულია კანონით საქართველოს მოქალაქის საქართველოდან გასვლა, თუ – ა) მის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე; ბ) არ მოუხდია სასამართლოს განაჩენით გათვალისწინებული სასჯელი; გ) მის მიმართ აღძრულია სამოქალაქო სარჩელი; დ) შესრულებული არა აქვს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულება; №3) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ზუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 2005, 177-181-ე გვ.

### III

#### დანაშაულთა ერთობლიობა

152-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობა შეიძლება განხორციელდეს „ძალადობით“ (მე-2 ნაწ.). ძალადობა, როგორც ზემოთ ვთქვით, აქ ვიწროდ უნდა გავიგოთ. ამ ცნებაში გადაადგილებისათვის ხელშემშლელი ძალადობა მოიაზრება. მაგრამ შესაძლებელია ასეთ ძალადობას შედეგად მოჰყვეს რაიმე ზიანი ან ქონებრივი ზარალი. ასეთ დროს საქმე გვექნება დანაშაულთა ერთობლიობასთან. იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, ძალადობის შედეგად დაზარალებულს სხეული დაუზიანეს, მაშინ ქმედება სს კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 117-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით უნდა დაკვალიფიცირდეს.

### IV

#### ქმედების ამსრულებლობა და თანამონაწილეობა

152-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პიროვნება. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება სახელმწიფო საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლას, მაშინ საქმე გვაქვს სპეციალურ ამსრულებელთან, რომელიც თავის სამსახურებრივ მდგომარეობას იყენებს და უკანონოდ უშლის ხელს ადამიანის გადაადგილებას.

თანამონაწილე ამ დანაშაულისა ყველა შემთხვევაში შეიძლება იყოს ნებისმიერი პიროვნება.

## მუხლი 153. სიტყვის თავისუფლების ხელყოფა

სიტყვის თავისუფლების ანდა ინფორმაციის მიღების ან გავრცელების უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ანდა ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,-

ისჯება ჯარმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

სიტყვის თავისუფლება ადამიანის განუყოფელ და საყოველთაო უფლებათა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის გარეშე შეუძლებელია სხვა უფლებათა რეალიზება. უფრო მეტიც, საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის გარეშე შეუძლებელია ადამიანის პიროვნების განვითარება და დემოკრატიული საზოგადოების პროგრესი.

ეს უფლება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით არის გარანტირებული, რომლის მიხედვითაც ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. იგივე უფლებაზე განმეორებით ხაზგასმა კონსტიტუციის 24-ე მუხლშიც გვხვდება, სადაც განმარტებულია ამ უფლების შინაარსი: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით<sup>1</sup>. კონსტიტუციით დაცულია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური აზრის თავისუფლება“.

სიტყვის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტიების შემდგომი ევოლუცია და კონკრეტიზაცია განხორციელდა საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ლიბერალურ კანონად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის უფლებათა დაცვის

---

<sup>1</sup> კონსტიტუციის მე-19 მუხლში „სიტყვა“ და „აზრი“ სინონიმებად არის გამოყენებული და სრულიად იდენტური მნიშვნელობა აქვთ. იხ. კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბ. 2003, გვ. 207.

სფეროში. ეს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებად მიიჩნევს და მას სახელმწიფო ხელისუფლების თვითშეზღუდვის საფუძვლად აცხადებს.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, ხსენებული კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, გულისხმობს: აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას; პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლებას; ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას; ცენზურის დაუშვებლობას და ა. შ. ჩამონათვალი ამომწურავი არ არის და ეს კანონი არ უარყოფს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებს და გარანტიებს, რომლებიც მასში არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების პრინციპებიდან.

გამოხატვის თავისუფლების სამართლებრივი გარანტიის შექმნის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ეს კანონი შესაძლებლობას იძლევა გაიმიჯნოს აზრი (შეხედულება) და ფაქტი. სახელდობრ, კანონის მიხედვით, აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. მაშინ, როცა ფაქტში იგულისხმება ნამდვილად, რეალურად მომხდარი ან არსებული გარემოებები და საგნები, რომლებიც ექვემდებარება მტკიცებულებებით დადასტურებას. ამასთანავე, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც იმას ნიშნავს, რომ შეფასებითი შეხედულების დაცვა არ არის დამოკიდებული იმაზე, დასაბუთებულია თუ დაუსაბუთებელი, რაციონალურია თუ ემოციური, ეთიკურია თუ უხამსი და ა. შ. რამეთუ მას ყოველთვის ახასიათებს სუბიექტივიზმი, მაშინ, როცა აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცული არ არის ამკარად ცრუ ფაქტები (შეგნებული სიცრუე)<sup>1</sup>.

1 კ. კულაშვილი, „ძირითადი უფლებები“, გვ. 210-216

აზრის (შეხედულების) და ფაქტის გამიჯვნის სიროულიდან გამომდინარე კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ ადგენს, რომ „აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისთვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ“ (მუხლი 7).

საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ უფრო შორსაც მიდის და ადგენს პოლიტიკური და სასამართლო სიტყვის თავისუფლების დიდ ფარგლებს, კერძოდ, მე-5 მუხლის მიხედვით: ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობას არ იწვევს განცხადება, რომელიც გაკეთებულია:

ა) პოლიტიკური დებატების ფარგლებში, აგრეთვე, პარლამენტის ან საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

ბ) წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე, სახალხო დამცველის წინაშე, პარლამენტის ან საკრებულოს, აგრეთვე, მათი კომიტეტის სხდომაზე, პირის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში;

გ) უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნით.

აღსანიშნავია, რომ ამ კანონის ინტერპრეტაციის საფუძველად საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად აღიარებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა გვაფიქრებინებს, რომ გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მთლიანად არის ინტეგრირებული მასში და ლიბერალიზაციის თვალსაზრისით უფრო შორსაც არის წასული. უფრო მეტიც, საქართველოს სასამართლოები აქტიურად იყენებენ ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს მართლმსაჯულების განხორციელების დროს <sup>1</sup>.

---

1 იხ. კ. კორკელია, „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში“, კრე-

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცულია ნებისმიერი ინდივიდის, სოციალური ჯგუფისა თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალების გამოხატვის თავისუფლება მისი ფორმისა და შინაარსის მიუხედავად. ამავე დროს, გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება, იგი ყოველთვის არ სარგებლობს უპირატესობით სხვა ფუნდამენტურ უფლებებთან დაპირისპირების დროს. სწორედ ამიტომ კონვენცია ადგენს ამ უფლებების შეზღუდვის ლეგიტიმურ საფუძვლებსაც. საქმე იმაშია, რომ გამოხატვის თავისუფლება შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს კონვენციით გათვალისწინებულ სხვა უფლებებთან, როგორც მაგალითად, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება, რეპუტაცია, სამართლიანი სასამართლოს უფლება და სხვ. გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირების საჭიროება განპირობებულია სწორედ სხვა სამართლებრივი ინტერესების დაცვის აუცილებლობით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მესამე პუნქტი სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლად „სხვათა უფლებების“ დაცვას ასახელებს. ამ უფლებების შეზღუდვის საფუძვლები უფრო ფართოა, კონსტიტუციის 24-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს თუ ეს აუცილებელია „დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტში და ევროსასამართლოს მიერ მის საფუძველზე დადგენილია სამი პირობა (მოთხოვნა), რომელსაც უნდა

---

ბულში „ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნული და საერთაშორისო სამართალში“, თბ. 2002, გვ. 53-108

აკმაყოფილებდეს ამა თუ იმ სახელმწიფოს ლეგიტიმური ჩარევა გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში. სახელდობრ:

ა) გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა (შეზღუდვა) გათვალისწინებულ უნდა იყოს კანონით;

ბ) ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს ისეთი ინტერესის დაცვას, როგორცაა ეროვნული უშიშროება, ტერიტორიული მთლიანობა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, უწესრიგობა ან დანაშაულის თავიდან აცილება, ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვა, სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვა, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება, სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნება.

ეს ჩამონათვალი ამომწურავია და ევროკონვენციის ხელმძღვანერ სახელმწიფოებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სხვა რაიმე საფუძვლის მითითების უფლებამოსილება არა აქვთ.

გ) ჩარევა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიული საზოგადოებისთვის, რაც გულისხმობს გამოხატვის თავისუფლების დაბალანსებას სხვა ფუნდამენტურ უფლებებთან და საზოგადოებისთვის სასიცოცხლო ინტერესებთან. ამისთვის სასამართლოები უნდა დაემყარონ კოლიზიაში მოსული, დაპირისპირებული სამართლებრივი სიკეთების შედარების მეთოდს (პროპორციულობის პრინციპი) და გადაწყვიტონ კონვენციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ინტერესის დაცვის მიზნით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საშუალება არის თუ არა პროპორციული (ანუ გაარკვიონ ბალანსი, ერთი მხრივ, გამოხატვის ძირითად უფლებასა და, მეორე მხრივ, კანონით დაცულ სხვა ინტერესს შორის, რომლისთვისაც იზღუდება ძირითადი უფლება). გამოხატვის თავისუფლების ლეგიტიმური შეზღუდვის მართლზომიერების დასასაბუთებლად სასამართლოები უნდა დარწმუნდნენ, დაადგინონ, რომ კონკრეტული ჩარევა განპირობებული იყო მწვავე სოციალური საჭიროებით (გადაუდებელი სოციალური მოთხოვნილებით). ამას კი, პირველ რიგში, ეროვნული ხელისუფლება აფასებს, თუმცა იგი ვალდებულია დაემყაროს ევროპულ სტანდარტებს (ევროკონვენცია, ადამიანის უფლებათა ევროპული

სასამართლოს პრეცედენტული სამართალი) <sup>1</sup>.

ევროპის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან მიმართებით არაერთგვაროვანია იმისდა მიხედვით, თუ იგი რომელ ფუნდამენტურ უფლებასთან მოდის კოლიზიაში. ამასთან დაკავშირებით ქართულ ენაზე საკმაო ლიტერატურა შეიქმნა, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის კომენტარების, ისე ევროსასამართლოს პრეცედენტების თარგმანის თუ კომენტარის სახით, ამიტომ საუბარს აღარ გაავარძელებ. გამოხატვის თავისუფლების ლეგიტიმური შეზღუდვის საფუძვლებზე ყურადღება იმიტომ შევაჩერე, რომ ამ ძირითადი უფლების დაცვის სისხლისსამართლებრივი გარანტიები, ჩვენი კოდექსით, მისი განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლას უკავშირდება.

დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობაში სიტყვის თავისუფლების ხელყოფისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ არის დადგენილი და ამ სფეროში წარმოშობილი კონფლიქტები სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით წყდება. ასეთი ტრადიცია სამოქალაქო საზოგადოების მაღალ სამართლებრივ კულტურას ეფუძნება, სადაც უფლებისათვის ბრძოლაში ძირითადი იარაღი კანონია. ზოგიერთ ქვეყანაში სიტყვის თავისუფლების ხელყოფისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ადამიანის პირადი თავისუფლების ხელყოფისათვის დადგენილი ზოგადი ნორმის ჩარჩოებში მოიაზრება (ავსტრია, ბელგია, გერმანია და სხვ.), სხვაგან, სიტყვის თავისუფლების ხელყოფისათვის პასუხისმგებლობა პოლიტიკური უფლებების ხელმყოფი ზოგადი ნორმის ფარგლებში (ბულგარეთი, იტალია, საფრანგეთი და სხვ.). პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაში სიტყვის თავისუფლების სისხლისსამართლებრივი დაცვა ხორციელდება ისეთი ქმედებების კრიმინალიზაციით, როგორი-

1 კ. კულაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 218-219

„გამოხატვის თავისუფლება“, გზამკვლევი, ევროპის საბჭო, 2005, გვ. 108

„გამოხატვის თავისუფლება“, თავისუფლების ინსტიტუტი, I ტომი, 2005, გვ.



ცაა ინფორმაციის გაცნობაზე უარის თქმა და ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა.

გამოხატვის თავისუფლების დასაცავად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში კაზუსტიკურად დანაწევრებული რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობაა: სიტყვის თავისუფლების ხელყოფა (მუხლი 153), ჟურნალისტიკისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა (მუხლი 154), დევნა (მუხლი 156), ინფორმაციის გაცნობაზე უარის თქმა (მუხლი 167). სისხლის სამართლის კოდექსის ამავე თავში იძულებისა და მუქარის ზოგადი შემადგენლობებიც არის, რომლებიც ასევე შეიძლება ვიგულებოთ გამოხატვის თავისუფლების სისხლისსამართლებრივი დაცვის არსენალში.

მიუხედავად ასეთი მრავალფეროვანი არსენალისა, სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისით, საქართველოში სიტყვის თავისუფლების დაცვა ძირითადად სამოქალაქო სამართალწარმოების წესით ხორციელდება, ხოლო უადრესად ლიბერალური კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, პრაქტიკულად, სამომავლოდაც გამორიცხავს ამ უფლების დასაცავად სისხლისსამართალწარმოებას.

საქართველოში გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით თავისუფლების ინსტიტუტს შესწავლილი და გაანალიზებული აქვს რვაწლიანი პერიოდის (1996-2004 წლების) სასამართლო პრაქტიკა. ცილისწამებასთან დაკავშირებული ცხრა სისხლის სამართლის საქმიდან მხოლოდ ორზე გავრცელდა სისხლისსამართლებრივი დევნა, აქედან ერთი პროკურატურამ შეწყვიტა, ხოლო მეორე საქმეზე სასამართლომ ცილისწამებისთვის დამნაშავედ ცნო პირი იმ განცხადებების გამო, რომელიც მხარეებს შორის საჯარო პოლემიკის დროს გამოითქვა, თუმცა ხანდაზმულობის ვადის გავლის გამო საბოლოოდ სასჯელი არ დაკისრებია.<sup>1</sup>

ასეთი მწირი სისხლისსამართალწარმოების სტატისტიკა ადასტურებს, რომ გამოხატვის თავისუფლების დაცვის ძირითადი

---

<sup>1</sup> იხ. „გამოხატვის თავისუფლება“. თავისუფლების ინსტიტუტი, თბ. 2005, ტ. II, გვ. 159.

ინსტრუმენტი სამოქალაქო კოდექსი და ზოგადად სამოქალაქო სამართალწარმოებაა.

აქ ლოგიკურად ჩნდება კითხვა, რა საჭიროა გამოხატვის თავისუფლების დასაცავად ამდენი კაზუისტიკა სისხლის სამართლის კოდექსში?

საქართველოს სსკ 153-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გულისხმობს სიტყვის თავისუფლების ანდა ინფორმაციის მიღების ან გავრცელების უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ანდა ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ეს მუხლი ე. წ. ბლანკეტურ დელიქტს აღწერს, სახელდობრ, სიტყვის თავისუფლების ან ინფორმაციის მიღების ან გავრცელების უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი გახდება იმ შემთხვევაში, თუ მისი შეზღუდვა უკანონოდ მოხდება. გარდა ამისა, ასეთმა ჩარევამ მნიშვნელოვანი ზიანი უნდა გამოიწვიოს ანდა ჩადენილი უნდა იყოს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

იყო თუ არა აღნიშნული უფლების შეზღუდვა უკანონო, პირველ რიგში უნდა მიემართოს საქართველოს კონსტიტუციას, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და ევროსამართლოს პრეცედენტულ სამართალს, რომელსაც ისეთივე უშუალო მოქმედება აქვს საქართველოში, როგორც თავად კონვენციას; გარდა ამისა, ამ უფლების არსი, შეზღუდვის საფუძველი და წესი დეტალურად არის რეგლამენტირებული საქართველოს კანონებით სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, ასევე მათუწყებლობის შესახებ.

ზოგადად სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ საფუძველებზე ზემოთ ვისაუბრეთ, უფრო კონკრეტულად კი ხსენებული ნორმატიული აქტებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე უნდა გაირკვეს სიტყვის თავისუფლების ხელყოფა კანონიერად მოხდა თუ უკანონოდ.

სიტყვის თავისუფლების განხორციელებისათვის ხელის შეშ-

ლა კანონიერი იქნება, თუ ის მიზნად ისახავს სხვათა უფლებების შელახვას, ვთქვათ, ცილისწამებას, დიფამაციას, ასევე, დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებას, ომის პროპაგანდას, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივებას და სხვ.

და პირიქით, სიტყვის თავისუფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა უკანონო იქნება, როცა ადამიანს დაუსაბუთებელ უარს ეუბნებიან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. უზღუდავენ პოლიტიკური სიტყვის თავისუფლებას საჯარო დებატების ფარგლებში (მაგალითად, უარი პრესით ან ტელევიზიით გამოსვლაზე წინასაარჩევნო პოლიტიკურ დებატებში), ტელევიზიას უკრძალავენ პოლიტიკური შინაარსის კლიპების გაშვებას ან აჯარიმებენ ამისთვის, ჟურნალისტს უკრძალავენ პროფესიულ საქმიანობას კრიტიკული წერილების გამო, აყადალებენ გამოცემას, ჩხრეკენ სარედაქციო ოფისებს და სხვ. სიტყვის თავისუფლების ხელყოფა შეიძლება გამოიხატოს ასევე სხვადასხვა სახის სანქციების დაკისრებაში, მაგალითად, სასამართლოს მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება, ჟურნალისტური საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, პუბლიკაციის აკრძალვა, იმ საშუალებათა კონფისკაცია, რომლითაც მოსაზრება გამოხატეს (ნაბეჭდი მასალა, ფირი, დისკი ან ინფორმაციის სხვა მატერიალური მატარებელი), დაჯარიმება, ცენზურის დაწესება, ლიცენზიის შეწყვეტა და ა. შ.

სიტყვის თავისუფლების ხელყოფისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა ის, რომ ამ უფლების განხორციელებისათვის უკანონო ხელის შეშლამ გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზიანი, ანდა ეს ქმედება ჩადენილი იყოს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

მნიშვნელოვანი ზიანი დანაშაულის შეფასებითი ნიშანია, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე. იგი შეიძლება გამოიხატოს ისეთ შედეგებში, როგორცაა: სასამართლოს მიერ დაკისრებული სანქციებით გამოწვეული ზიანი (ჯარიმა, ზიანის ანაზღაურება, გამოხატვის საშუალებათა კონფისკაცია, საქმიანობის უფლების აკრძალვა და უმუშევრობით გამოწვეული სიდუხჭირე), კომერციული გამოხატვის შეზღუდვით გამოწვეული ქონებრივი ზიანი,

სარედაქციო ოფისების ჩხრეკა და მათი საქმიანობის პარალიზება, სამაუწყებლო სადგურების გათიშვა ანდა მაუწყებლობისთვის ლიცენზიის შეჩერება და ამით გამოწვეული მატერიალური თუ მორალური ზიანი და ა. შ.

რაც შეეხება სიტყვის თავისუფლების ხელყოფას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიზნებისთვის გამოხატვის თავისუფლებაში უკანონო ჩარევად ითვლება ნებისმიერი ქმედება, რომელიც განხორციელებულია თანამდებობის პირების (საჯარო მოხელეების) მხრიდან. ეს იმით არის განპირობებული, რომ ხელისუფლება სარგებლობს დისკრეციის დიდი თავისუფლებით აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობის შეფასების დროს. ამიტომ, ნებისმიერი უკანონო ქმედება მათი მხრიდან გამოხატვის თავისუფლების ხელყოფად შეიძლება შეფასდეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სიტყვის თავისუფლების ხელყოფა შესაძლებელია სამეწარმეო ან სხვა კერძო ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გზითაც. ზოგადად კი ამ დანაშაულის ამსრულებელი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული კერძო პირიც შეიძლება იყოს.

სიტყვის თავისუფლების ხელყოფის სუბიექტური შემადგენლობა განზრახვას გულისხმობს, როგორც პირდაპირს, ასევე არაპირდაპირს. სხვა სუბიექტურ ელემენტებს (მოტივი, მიზანი) კანონი კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობას არ ანიჭებს.

## მუხლი 154. ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლაში უკანონოდ ხელის შეშლა

1. ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ესე იგი მისი იძულება გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან,-

ისეუბნა ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ორმოც საათამდე ანდა გადასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი ძალადობის მუქარით ან საშსახურ-ბრივი მდგომარეობის გამოყენებით,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

*(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2937-სსმ I, 2006 წ., № 14, მუხ. 90)*

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ის როლი, რომელსაც მე-დია ასრულებს დემოკრატიულ საზოგადოებაში აზრის გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის საქმეში. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება თავის თავში მოიცავს ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების და გავრცელების უფლებას. ამგვარად, ინფორმაციის თავისუფლება არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების, არამედ მოქალაქეთა მიერ ინფორმაციის მიღების უფლებასაც გულისხმობს ყველა შესაძლო კანონიერი წყაროს მეშვეობით. ამ თვალსაზრისით კი მედიას ბადალი არ ჰყავს. ინფორმაციის მიღების თავისუფლებით სარგებლობს როგორც მე-დია, ისე საზოგადოება, რომელსაც უფლება აქვს იყოს სათანადოდ ინფორმირებული საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე, რასაც საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისთვის არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მედია სწორედ ის საშუალებაა, რომელიც საზოგადოებას აძლევს მრავალფეროვანი ინფორმაციისა და მოსაზრებების მიღებისა და გავრცელების უფლებას. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ზალხი სწორედ მედიის მეშვეობით ახორციელებს კონტროლს საჯარო ხელისუფლებაზე.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით, რომელიც აზრის თავისუფლებასთან ერთად აცხადებს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია, ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს არა აქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-

10 მუხლში პირდაპირ არ არის ნახსენები მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება, მაგრამ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში მე-10 მუხლით დადგენილი გარანტიები მთლიანად ვრცელდება მედიის თავისუფლებაზეც. მან დაადგინა ევროპული სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები მედიის მიერ მე-10 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლებებით სარგებლობისას.

დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის როლზე და უფლებებზე ევროსასამართლომ პირველად იმსჯელა ლინგენსის (Lingens-ის) საქმეში, რომელიც ყველაზე საყურადღებო პრეცედენტია პრესის თავისუფლებასთან მიმართებაში. ლინგენსი ვენის ერთ-ერთი გაზეთის ჟურნალისტი იყო, რომელმაც სტატიაში გააკრიტიკა ავსტრიის ფედერალური კანცლერი კონკრეტული პოლიტიკური ნაბიჯისთვის. კრიტიკა ეხებოდა კანცლერის გადაწყვეტილებას, კოალიცია შეექმნა იმ პარტიასთან, რომელსაც ნაციისტური წარსულის ადამიანი ხელმძღვანელობდა. კანცლერის საჩივრის საფუძველზე ავსტრიის სასამართლოებმა ეს განცხადება შეურაცხყოფლად ჩათვალეს და ჟურნალისტი დააჯარიმეს.

ევროსასამართლომ, რომელსაც ჟურნალისტმა მიმართა თავისი უფლებების დასაცავად, დაადგინა, რომ დაირღვა ადამიანთა უფლებების მე-10 მუხლი. ევროსასამართლომ ხაზი გაუსვა მთავრობის კრიტიკის თავისუფლებას და აღნიშნა, რომ „პრესას აკისრია ვალდებულება, გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები როგორც პოლიტიკურ, ასევე საზოგადოებრივი ინტერესების მქონე სხვა საკითხებზე. ამასთან, არა მარტო პრესას აქვს ასეთი ინფორმაციისა და მოსაზრებების გავრცელების ამოცანა, არამედ საზოგადოებასაც გააჩნია მათი მიღების უფლება. პრესის თავისუფლება საზოგადოებას საშუალებას აძლევს ჩამოაყალიბოს აზრი ამა თუ იმ პოლიტიკოსის იდეების ან პოზიციის შესახებ, პოლიტიკური დებატების თავისუფლება კი დემოკრატიული საზოგადოების არსია“. მანვე განმარტა, რომ ასატანი კრიტიკის ფარგლები პოლიტიკოსისთვის გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ინდივიდისთვის. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, პირველი გარდაუვლად და გაცნობიერებულად დებს თავის ყოველ სიტყვას საზოგადოების

სამსჯავროზე და შესაბამისად, შემწყნარებლობის მაღალი ხარისხიც უნდა გამოავლინოს<sup>1</sup>.

ევროსასამართლომ პრეცედენტულ სამართალში კვლავაც განავრცო და განავითარა სახელმძღვანელო პრინციპები გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, ჟურნალისტური თავისუფლება ასევე მოიცავს მოვლენების შესაძლო გაზვიადებულ ასახვას ან თუნდაც პროვოკაციას. ევროსასამართლომ კასტელსის საქმეზე ასეთი განმარტება გააკეთა: „სახელმწიფოში, რომელშიც აღიარებულია კანონის უზენაესობა, არ უნდა იყოს უგულებელყოფილი პრესის უპირატესი როლი... პრესა ყველას აძლევს საშუალებას, მონაწილეობა მიიღოს თავისუფალ პოლიტიკურ დებატებში, რაც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს კონცეფციას წარმოადგენს“<sup>2</sup>.

ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართალი არ განასხვავებს პოლიტიკურ დისკუსიას და დისკუსიას საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხების ირგვლივ. იგი პრესის თავისუფლებას ყოველთვის უპირატესობას ანიჭებს, როცა საჯაროდ განიხილება საზოგადოებისათვის მნიშვნელობის მქონე საკითხები. უფრო მეტიც, საჯარო პოლემიკის ან საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე პოლიტიკური დებატებისას, მთავრობის თუ საჯარო მოხელეების კრიტიკისას ევროსასამართლო იცავს ზღვარგადასულ კრიტიკასაც (მკაცრი ან გაზვიადებული ენით გამოხატულ შეხედულებებს).

ლინგენსის, კასტელსის და სხვათა საქმეებში ჩამოყალიბებულ პრინციპებში ხაზგასმულია, რომ პოლიტიკურმა თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ. ევროსასამართლო რეკომენდაციას აძლევს ეროვნულ სასამართლოებს თავი შეიკავონ გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საქმეებზე სისხ-

1 იხ. „გამოხატვის თავისუფლება ევროპაში“, ევროპის საბჭო, თბ. 2003, გვ. 12-13,

2 „გამოხატვის თავისუფლება“, თავისუფლების ინსტიტუტი, თბ. 2005, ტომი I, გვ. 272-275.

ლის სამართლის სასჯელის გამოყენებისაგან. ამგვარი სასჯელები საფრთხეს უქმნის გამოხატვის თავისუფლების არსს და ცენზურა მთლიანი მედიისთვის, რაც ხელყოფს პრესის, როგორც საზოგადოებრივი დარაჯის, როლს<sup>1</sup>.

საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების დიდ გარანტიებს ადგენს. სახელდობრ, გარდა იმისა, რომ ეს კანონი სისხლის სამართლის კოდექსში ცილისწამების დეკრიმინალიზაციის საფუძველი გახდა, ამავე დროს არსებითად შეზღუდა მისი (ე. ი. ცილისწამების) სამართლებრივი დევნის იარაღად გამოყენების შესაძლებლობა. კერძოდ, კანონის მე-5 მუხლის მიხედვით ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას არ იწვევს განცხადება, რომელიც გაკეთებულია პოლიტიკური დებატების ფარგლებში, აგრეთვე პარლამენტის ან საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე და სხვ.

გარდა ამისა, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. კანონის მე-7 მუხლით დადგენილი მტკიცებულების სტანდარტი და ტვირთი სრულ კარტბლანშს აძლევს მედიას ადამიანის დიფამირებისა თუ ცილისწამებისთვის, რამეთუ მტკიცების ტვირთი მას არ აწევს. უფრო მეტიც, მე-15 მუხლის მიხედვით პირს ენიჭება კვალიფიციური პრივილეგია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადებისათვის, თუ იგი მასში ჩამოთვლილ რომელიმე პირობას დაიცავს. მაგალითად, მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატებოდა ზიანს, ანდა მისი განცხადება წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ მის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებაზე თანაზომიერ პასუხს და სხვ. აქ ჩამოთვლილი გარემოებები იმდენად აბსტრაქტულია, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ინიციატორს გაუჭირდება მისი დამტკიცება.

---

<sup>1</sup> „გამოხატვის თავისუფლება“, ეროპის საბჭო, თბ. 2005, გვ. 62-67, ასევე, „გამოხატვის თავისუფლება ეროპაში“, გვ. 14.



ახალი კანონი დიდ შემწყნარებლობას ავლენს სხვადასხვა სახის საიდუმლოს გამჟღავნების მიმართაც (მუხლი 11-12), რითაც პრაქტიკულად შეიძლება დაუცველი დარჩეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. ამ კანონის მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ მის დამწერს გამოხატვის თავისუფლების საპირწონე ფასეულობების მნიშვნელობა ბოლომდე გააზრებული არ ჰქონდა.

ცხადია, ვერავინ უარყოფს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების მნიშვნელობას, მაგრამ მათი თავისუფლება აბსოლუტური არ არის. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მეოთხე პუნქტით, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტით დადგენილი შეზღუდვის საფუძვლები საერთოა როგორც სიტყვის (აზრის), ისე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებისთვის.

მედიის თავისუფლებაში სახელმწიფოებრივი ჩარევა შეიძლება გამართლებული იყოს იმ შემთხვევაში, თუ ის კანონის საფუძველზე და კონსტიტუციის 24-ე მუხლის მეოთხე პუნქტით განსაზღვრულ სამართლებრივ სიკეთეთა დაცვის მიზნით განხორციელდება.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ საფუძვლებზე ზემოთ უკვე ითქვა და აღარ შევჩერდებით, მაგრამ ამავე დროს გარკვეული სპეციფიკა ახლავს მასმედიის საქმიანობაში უკანონო ჩარევას. რა იგულისხმება „ჩარევაში“, სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევა ინფორმაციის და აზრების თავისუფალი გავრცელების შეზღუდვის მიზნით (ე. ი. წინასწარი შეზღუდვები), თუ აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე ზემოქმედების მიზნით სხვა ქმედებებიც, მაგალითად, პუბლიკაციის შემდგომი სხვადასხვა სანქციები-ცენზურა, გავრცელების აკრძალვა, ნაბეჭდი მასალის ან ფირის ჩამორთმევა, კონფიდენციალური წყაროს გამხელის იძულება, რედაქციის დახურვა, მაუწყებლისათვის ლიცენზიის შეჩერება, დაკავება, გაძევება, დეპორტაცია და ა. შ.<sup>1</sup>

რეპრესიისა და დაშინების ამგვარმა ფორმებმა შესაძლებელია სხვა ისეთი ფუნდამენტური უფლებების შელახვაც გამოიწვიოს,

---

1 იხ. „გამოხატვის თავისუფლება“, თავისუფლების ინსტიტუტი, ტომი I, გვ. 97.

როგორცაა პირადი თავისუფლება, ფიზიკური ხელშეუხებლობა და სხვ.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ჟურნალისტის (მელიის) საქმიანობაში ჩარევა ფართოდ ესმის და მასში მოიაზრებს როგორც წინასწარ, ისე გამოხატვის შემდგომ განხორციელებულ სანქციებს.

სავსებით მართებულია მოსაზრება, რომ მასალის გამოქვეყნების შემდეგ დაკისრებულ სასჯელსაც კი შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს შემდგომი ინფორმაციის გამოქვეყნებაზე <sup>1</sup>.

კ. კუბლაშვილი წერს, რომ პრესის თავისუფლებით დაცული სფეროში სახელმწიფოს ჩარევის შინაარსის განსაზღვრისას აუცილებელია გაიმიჯნოს პრესისა და აზრის თავისუფლებით დაცული სფეროები, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის მჭიდრო კავშირია. სასამართლოებმა ზუსტად უნდა განსაზღვრონ, როდის შეიღაზა პრესის თავისუფლება და როდის – აზრის თავისუფლება. პრესის თავისუფლებით დაცული სფერო მაშინ ირღვევა, როცა საქმე ეხება ამ სფეროში დასაქმებულ პირთა მიერ თავიანთი ფუნქციების განხორციელებას, ზოგადად თავისუფალ პრესას, მაგრამ, როცა საკითხი დგება, დასაშვები იყო თუ არა რომელიმე კონკრეტული მოსაზრება ან შეხედულება, მაშინ აზრის თავისუფლების ძირითადი უფლება წარმოადგენს შემოწმების საფუძველს.<sup>2</sup>

ამ საკითხზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების დამცავი რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობა: სიტყვის თავისუფლების ხელყოფა (მუხლი 153), ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა (მუხლი 154), დევნა (მუხლი 156). თუკი სიტყვის თავისუფლების ხელყოფად ჩავთვლით როგორც აზრის გამოხატვამდე, ისე გამოხატვის შემდგომ განხორციელებულ შეზღუდვებს (სანქციებს), მაშინ რაღა საჭიროა რამდენიმე სპეციალური შემადგენლობა, რომელთა შორის მიჯნის გავლება არც თუ ისე იოლია? ხომ არ აჯობებდა

1 იხ. „გამოხატვის თავისუფლება“, თავისუფლების ინსტიტუტი, ტომი I, გვ. 97.

2 იხ. კ. კუბლაშვილი, „ძირითადი უფლებები“, გვ. 258.

მათი ინტეგრაცია ერთ კანონისმიერ შემადგენლობად?!

საინტერესოა, რას ემსახურება სსკ 154-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა: მედიის თავისუფლებისა თუ აზრის თავისუფლების დაცვას? ალბათ, უფრო მასმედიის თავისუფლების დაცვის გარანტიაა, რადგან სპეციალურად არის გამოყოფილი სიტყვის თავისუფლების ხელყოფისაგან (მუხლი 153). თუმცა, ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფორმები გაცილებით მრავალფეროვანი შეიძლება იყოს, ვიდრე სსკ 154-ე მუხლით არის წარმოჩენილი (კრიმინალიზებული), იგი მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების ან მისი გავრცელებისაგან თავის შეკავების იძულებას კრძალავს. ალბათ, აჯობებდა კანონში მითითება ან სხვაგვარ ქმედებაზე, რომელმაც უკანონოდ შეზღუდა მასმედიის თავისუფლება; ვინაიდან თუ მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებაში უშლიან ხელს ჟურნალისტს, ეს ისედაც დაცულია სსკ 153-ე მუხლით, მაშინ რაღა დანიშნულება აქვს ამავე უფლების დამცავ მეორე მუხლს (მუხლი 154)? ისინი არსებითად ერთსა და იმავე ინტერესს, სიტყვის თავისუფლებას იცავენ.

ამგვარად, ჟურნალისტი, როგორც სიტყვის თავისუფლების ძირითადი უფლების მომხმარებელი, დაცულია სსკ 153-ე მუხლითაც, მაგრამ მისი იძულება, რომელიც ამავე დროს 150-ე მუხლით გათვალისწინებული იძულების ზოგადი შემადგენლობის სპეციალური შემთხვევაა, ცალკე მუხლით არის აკრძალული – ძირითადი შემადგენლობა უფრო მსუბუქი სანქციით, ხოლო კვალიფიციური – იმავე სანქციით. უნდა ვივარაუდოთ, რომ თუ ჟურნალისტს თავისი პროფესიული ფუნქციის განხორციელებაში უშლიან ხელს, სსკ 154-ე მუხლი უნდა მოვიმარჯვოთ, ხოლო თუ საკითხი ეხება მედიაში გამოქვეყნებული მოსაზრებების (შეხედულებების) დასაშვებობას, არასასიამოვნო კრიტიკის თუ შეფასების მოთმენას, მაშინ სიტყვის თავისუფლებისა და სამართლით დაცული სხვა სიკეთეების შედარების საფუძველზე უნდა გადაწყდეს, ჟურნალისტის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა ლეგიტიმური იყო თუ არა, დაირღვა თუ არა ბალანსი უფლების შეზღუდვასა და ლეგიტიმურ მიზანს შორის. მაგალითად, თემიდას სასწორზე შეიძლება აღმოჩნდეს სიტყვის თავისუფლების ძირითადი უფლება, რომელიც

153-ე მუხლით არის დაცული და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რომელიც სსკ 157-ე მუხლით არის დაცული. ამ ინტერესთა პროპორციაზე ქვემოთ ვიმსჯელებთ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოხატვის თავისუფლების დასაცავად სპეციალურ მუხლს ვხვდებით პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების, ასევე ესპანეთის, არგენტინის სისხლის სამართლის კოდექსებში. ქვეყნების უმრავლესობას ასეთი სპეციალური ნორმა არა აქვს და ამ ინტერესს ზოგადი ნორმით იცავს, ძირითადად იძულების აკრძალვის სახით.

საქართველოს სსკ 154-ე მუხლში ეს ნორმა შემდეგი შინაარსისაა: ჟურნალისტიკის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ე. ი. მისი იძულება გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან. ამრიგად, ამ ქმედების ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება ჟურნალისტიკის იძულებაში, რომლის შინაარსსაც კანონი არ განმარტავს. მაგრამ რადგან ამავე სსკ XXIII თავში გვაქვს იძულების ზოგადი შემადგენლობა, ამიტომ მისი შინაარსი იმავე მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, როგორც 150-ე მუხლშია წარმოდგენილი. ამავე დროს, იძულების მიზანი 154-ე მუხლში შეზღუდულად არის გაგებული, კერძოდ, იძულების მიზანია ინფორმაციის გავრცელება ან მისი გავრცელებისაგან თავის შეკავება. აქვე დავძენთ, რომ თუ ჟურნალისტს იძულების გარეშე უზღუდავენ სიტყვის თავისუფლებას, მაშინ ისევე 153-ე მუხლი უნდა მოვიმარჯვოთ.

უკრაინის და ბელორუსის სისხლის სამართლის კოდექსს ჟურნალისტიკის საქმიანობისთვის ხელის შეშლა უფრო ფართოდ ესმის, ვიდრე მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებაში ხელის შეშლაა. ინფორმაციის გავრცელება ჟურნალისტიკის პროფესიული საქმიანობის ბოლო ეტაპია. მანამდე მან უნდა მიიღოს, მოიძიოს, გადაამუშაოს, შექმნას ინფორმაცია და ამის შემდეგ გაავრცელოს. მის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა ნებისმიერ დასახელებულ ეტაპზე შესაძლებელია. ბოლო წლების ქართული სინამდვილე ადასტურებს, რომ გავრცელდა ჟურნალისტთა უფლებების შელახვის სხვადასხვა ფორმები – საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი, დაბრკოლებების შექმნა მის მისაღებად, ფინანსური

პრობლემები, წინასწარი ცენზურა, რედაქციის საქმიანობაში ჩარევა, სარედაქციო ოფისების ჩხრეკა, ინფორმაციის მატერიალური მატარებლების ჩამორთმევა ან განადგურება, მასმედიის პროდუქციის განადგურება (ნაბეჭდი გამოცემის ტირაჟის ანდა აუდიო ან ვიდეო პროგრამის), უკანონო ქმედებები კრიტიკული ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ (შეურაცხოვა, მუქარა, სამუშაოდან დათხოვნა, მოხელეების მიერ კაბინეტებში დაბარება, საქმის გარჩევები, შანტაჟი, პროფესიული საიდუმლოს ან ინფორმაციის წყაროს გამხელის იძულება და სხვ.)

ყველა ამგვარი ქმედება სსკ 154-ე მუხლის რეაგირების მიღმა რჩება. საკითხავია, რატომ შეზღუდა ამგვარ ქმედებათა დასჯალობა სსკ 154-ე მუხლმა მაშინ, როცა ეს პრობლემა მოხსნილია, მაგალითად, უკრაინის სსკ 171-ე მუხლით, რომელიც დასჯადად აცხადებს ჟურნალისტის კანონიერი პროფესიული საქმიანობისთვის განზრახ ხელის შეშლას ზოგადად და არ ზღუდავს მას მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებით. მედიის საქმიანობისთვის ხელი შეშლის ფორმებს ასევე ფართოდ გულისხმობს ესპანეთის სსკ (მუხლი 538), ბელორუსის სსკ (მუხლი 198), აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ძირითადი უფლებების დასაცავად უფრო ფართო ფორმულირებები აქვთ სხვა ქვეყნებს. ასეთ ვითარებაში ჟურნალისტის სიტყვის თავისუფლების ხელყოფის დასჯადობის მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებისათვის დაბრკოლების შექმნასთან დაკავშირება გაუმართლებელია.

154-ე მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს იმავე ქმედების ჩადენას ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

ძალადობის მუქარასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ 154-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ხერხი – იძულება თავის თავში გულისხმობს (მოიცავს) უკანონო ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედების გზით ჟურნალისტისთვის თავისუფალი მოქმედების შეზღუდვას, ამ შემთხვევაში ჟურნალისტის მიერ ინფორმაციის გავრცელებას თუ არგავრცელებას. უფრო მეტიც, სსკ 150-ე მუხლით (იძულება) ფიზიკურ იძულებაში იგულისხმება ცემა, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება

და სხვ.<sup>1</sup> ამ თვალსაზრისით დაზუსტებას მოითხოვს 154-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული იძულების შინაარსი, რა იგულისხმება მასში და რით განსხვავდება მეორე ნაწილით გათვალისწინებული ძალადობის მუქარისაგან. ამაზე პასუხი კანონში არ არის. უფრო მეტიც, თუ იძულების ზოგადი ნორმიდან ამოვალთ, 154-ე მუხლის პირველი ნაწილი გულისხმობს ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის რეალურად განხორციელებას, ხოლო მეორე ნაწილით უფრო მკაცრად ისჯება ძალადობის მუქარა. თუ კანონმდებელი თელის, რომ 154-ე მუხლში იძულების შინაარსი სხვაგვარად უნდა გავიგოთ, ვიდრე ეს სსკ 150-ე მუხლშია ნაგულისხმევი, მაშინ ამის დაზუსტება სპეციალურ მუხლში უნდა მოეცა (მუხლი 154), რაც არ გაუკეთებია და სასამართლო პრაქტიკას გაუჭირდება ამ მუხლის გამოყენება.

რაც შეეხება პასუხისმგებლობის დამძიმებას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, აქ გასაგებია კანონმდებლის პოზიცია, რამეთუ საჯარო მოხელეები დისკრეციის დიდი თავისუფლებით სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობის შეფასებისას (ლეგიტიმურ საფუძველზე სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაა მხედველობაში და მათ მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა, თუ ცდუნება დიდია).

154-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების სუბიექტური შემადგენლობა პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. დამნაშავეის მიზანია, ხელი შეუშალოს ჟურნალისტის კანონიერ პროფესიულ საქმიანობას. რა მოტივი ამოძრავებდა მას, კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არა აქვს.

154-ე მუხლთან დაკავშირებით საქართველოში სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს. რა ხდება, მასმედიის საქმიანობასთან დაკავშირებით არ ხდება სამართალდარღვევები, თუ მედია ზედმეტად შემწყნარებელია მის მიმართ განხორციელებულ დარღვევებზე?

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ განხორციელებული კვლევით, ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში გამოხატვის თავისუფლების ხარისხმა

---

1 იხ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, თბ. 2006, ტომი 1, გვ. 246.

საერთაშორისო რეიტინგებში წინა წლებთან შედარებით დაიწია. დაიხურა ოპოზიციური აზრის მატარებელი გაზეთები, ტელეკომპანიები, სატელევიზიო პროგრამები და ა. შ.

პოსტრევოლუციურ საქართველოში აზრისა და გამოხატვის თავისუფლების მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე ახალგაზრდა იურისტები ასკენიან, რომ საზოგადოების ყველაზე ძვირფასი მონაპოვარი, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, სერიოზული განსაცდელის წინაშე დგას<sup>1</sup>. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ეს დასკვნები გაკეთებულია საქართველოს ამ ძირითადი უფლების დამცავი საკმაოდ ლიბერალური კანონმდებლობის ფონზე. ვარდების რევოლუციის შემდეგ მედიის სავალალო მდგომარეობაზე ყურადღებას ამახვილებს ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია: „მე-19 მუხლი“, რომლის 2005 წლის დასკვნაში ჟურნალისტიკის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის არაერთი ფაქტია მოტანილი – მედიაზე ფინანსური ზეწოლით დაწეული და ჟურნალისტებზე ფიზიკური ანგარიშსწორებით დამთავრებული.

პოსტრევოლუციური საქართველოს მედიასივრცის არასახარბიელო მდგომარეობას დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოს სახალხო დამცველის 2006 წლის საანგარიშო მოხსენებაში. მასში აღნიშნულია, რომ, საზოგადოდ, ხელისუფლებას მედიასთან კონსტრუქციული ურთიერთობის დეფიციტი აქვს. ხელისუფლების წარმომადგენლებს არ მოსწონთ კრიტიკა. მედიის საქმიანობის გასაკონტროლებლად, ჟურნალისტიკისათვის საჯარო ინფორმაციის მიღება გართულებულია, ხოლო ძალოვანი უწყებებიდან ხშირად შეუძლებელია.

2004-2005 წლები განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა, ჟურნალისტებზე პირდაპირი აგრესია და ტერორი ხორციელდებოდა. ამის ნათელი მაგალითია „ომეგა ჯგუფის“ საინფორმაციო საშუალებებზე შეტევა, ტელეკომპანია „მზის“ გადაცემის „არჩევანის ზღვარზე“ დახურვა, ჟურნალისტთა ცემის ფაქტები (ვ. კომახიძე, ი. კაკაბაძე და სხვ.), რასაც მედიამ ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული ღია ტერორი უწოდა; ჟურნალისტური საქმიანობის

---

1 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება საქართველოში“, საია, თბ. 2005.

ცენზურის ქრესტომათიულ მაგალითად გამოდგება ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „დროების“ ჟურნალისტიკის გ. თარგამაძის იძულება 2005 წლის აპრილში ამოელო გადაცემიდან სიუჟეტი ფინანსური პოლიციის შესახებ, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით ჟურნალისტიკის პროფესიულ საქმიანობაში ჩარევის და სიტყვის თავისუფლების ხელყოფის კლასიკური მაგალითია; ეს პრეცედენტი განმეორდა 2006 წლის 6 ივლისს, როცა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „თავისუფალი თემის“ წამყვანმა ეკა ხოფერიამ პირდაპირ ეთერში განაცხადა ტელევიზიიდან წასვლის შესახებ და მიზეზად ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან მის პროფესიულ საქმიანობაში ჩარევა და ზეწოლა დაასახელა; 2006 წლის მეორე ნახევარში ხელისუფლებიდან ზეწოლის გამო იგივე ტელეკომპანია დატოვა რამდენიმე ცნობილმა ჟურნალისტმა (ნ. ლეჟავა, თ. რუხაძე და სხვ.). სახალხო დამცველის ანგარიშში მოხსენებულია ტელეკომპანია „თრიალეთისა“ და „თანამგზავრის“ საქმეები, რომლის ჟურნალისტებიც საუბრობენ ცენზურაზე, ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ზეწოლასა, დაუფარავ მუქარასა და მუდმივად ძალის დემონსტრირებაზე.

საანგარიშო მოხსენებაში მოტანილია ჟურნალისტთა იძულების რამდენიმე კლასიკური მაგალითი, რომელიც, ჩვენი შეხედულებით, სსკ 154-ე მუხლით აღწერილ დანაშაულის შემადგენლობის არსებობაზე მიანიშნებს. კერძოდ, ჩოხატაურის გაზეთ „გურია ნიუსის“ ოზურგეთელ კორესპონდენტს ნ. გოგელიას ოზურგეთის კინოთეატრის უხარისხო რემონტთან დაკავშირებით ჟურნალისტური გამოძიების მასალების გამოქვეყნებაში შეუშალეს ხელი. ჟურნალისტმა განაცხადა, რომ ამ საქმეში კრიმინალური ავტორიტეტები ჩაერივნენ. მასთან ერთი კვირის განმავლობაში ისმოდა მუქარის ზარები, უცნობმა პირმა, რომელიც მას ურეკავდა, იცოდა ჟურნალისტიკის ადგილსამყოფელი, ჩაცმულობა და ა.შ. გამოძიება დაწყებულა, მაგრამ „ვერაფერი“ დადგენილა.

ანგარიშში მოხსენებულია შემთხვევა, რომელშიც ტელეკომპანია „მზის“ რეგიონული კორესპონდენტის სამუშაო ავტომანქანას დაუდეს ნაღმი, რომელიც შემთხვევით აღმოაჩინეს და, ფაქტიურად, სამი ადამიანი გადარჩა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებაც დაწ-



ყებულა (გაურკვეველია რა მუხლით), მაგრამ საქმე შეწყვეტილა, რადგან სამართალდამცავებს განუცხადებიათ, რომ ნაღმი სასწავლო იყო, რომელსაც მხოლოდ ხმა ექნებოდა და არ აფეთქდებოდა (აქვე შევნიშნავ, რომ ქმედების 154-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს ნაღმის აფეთქების ძალას).

საქართველოს სახალხო დამცველს 2006 წლის 5 დეკემბერს განცხადებით მიმართა გაზეთ „ღია ბოქლომის“ რედაქტორმა ი. ჩაჩიბაიამ, რომელიც მიუთითებდა საქართველოს პრეზიდენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის რწმუნებულის აპარატის თანამშრომლების მხრიდან მის მიმართ განხორციელებული მუქარის, ცემის, იძულების და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ფაქტებზე, რომელიც მისი პროფესიული საქმიანობისთვის ხელის შეშლას ისახავდა მიზნად. ამ ფაქტზეც გამოძიება დაწყებულა...

სახალხო დამცველის ანგარიშში არაერთი სხვა მაგალითიც არის მოტანილი ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ჩარევისა: ტელეკამერის წართმევა, გადაღების აკრძალვა მაშინაც კი, როცა ჟურნალისტი თავად არის მოვლენის შემსწრე, ფოტოაპარატის თუ აუდიო და ვიდეო ფირების ჩამორთმევა, მასალის განადგურება, პუბლიკაციის თუ რეპორტაჟის შემდგომ მუქარები, შეურაცხყოფის და ძალადობის აქტები, საჯარო მოვლენების გაშუქებაში ხელის შეშლის ფაქტები...

ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე პარადოქსულად ჟღერს, რომ საქართველოში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ხელყოფის ფაქტებზე სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს. ალბათ, ნიშანდობლივია ის ტენდენციაც, რაც ხელისუფლებისა და მედიის ურთიერთობაში გაჩნდა (ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ტელეკომპანიების დამფუძნებლების მჭიდრო კავშირი, მეგობრული ურთიერთობა, რაც აისახება დღევანდელ სარედაქციო პოლიტიკაზე, ხელისუფლების სურვილებისთვის ანგარიშის გაწევაზე და ა. შ.). თუ 2004-2005 წლებში მედია ინარჩუნებდა ხელისუფლებისაგან დისტანციას და მისი კონტროლის მექანიზმი იყო, რის გამოც ჟურნალისტებზე პირდაპირი აგრესია ხორციელდებოდა, 2006 წლიდან მედია „თვითცენზურული“ გახდა. იქნებ ამგვარმა აგრესიამაც განაპირობა მედიის „თვითცენზურა“?

ან რას ნიშნავს „თვითცენზურული მედია“? ამ შეკითხვაზე ასეთი პასუხია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ გამოცემულ ნაშრომში: „თვითცენზურა“ ის ტერმინია, რომელიც შემდეგ ვითარებას ასახავს: ხელისუფლება, მედია ორგანიზაციების მფლობელების თანხმობით, ქმნის მისთვის მისაღებ ჩარჩოს, ჟურნალისტები კი, სამსახურის დაკარგვის შიშით, მუშაობენ არა საკუთარი სინდისისა და პროფესიული ეთიკის შესაბამისად, არამედ წინასწარ განსაზღვრული ჩარჩოს ფარგლებში. ამ ჩარჩოს არსი პირამიდულია. პირამიდის წვერზე იმყოფება პრეზიდენტი, წვერთან ახლოს არის ხელისუფლება, პირამიდის ძირი კი განასახიერებს ქვეყნის მოსახლეობას.“<sup>1</sup>

ამგვარად, თვითცენზურა ნიშნავს მედიის მოქმედებას წინასწარ განსაზღვრული ჩარჩოებით. ცხადია, ასეთ მდგომარეობას ძირითადად მედია-საშუალებების დამფუძნებლების და გამომცემლების კაპიტულანტური პოზიცია განაპირობებს, რომლებსაც ამ ხელისუფლებასთან პრობლემების შექმნა არ სურს და დათმობებზე მიდიან. ამავე დროს, იმავე ახალგაზრდა იურისტთა კვლევის მონაცემებით, ჟურნალისტები „თვითცენზურას“ ხელისუფლების მიერ გამოგონილ მითს უწოდებენ, იმისთვის, რომ მან დაფაროს საკუთარი დანაშაული, ხოლო საზოგადოებას გაუღვივოს უნდობლობა ჟურნალისტთა მიმართ.

საქართველოში პარადოქსული ვითარება შეიქმნა, ცენზურის გაუქმება დემოკრატიის გამარჯვებად შევაფასეთ და ამ დროს მედია „თვითცენზურული“ გახდა.

2007 წელი ახალი ეტაპია პოსტრევოლუციურ საქართველოში ხელისუფლებისა და მედიის ურთიერთობაში. საქართველოს სახალხო დამცველის 2007 წლის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის თაობაზე სახალხო დამცველს კვლავ მიმართავდნენ ამ პერიოდშიც რეგიონული მედიის წარმომადგენლები. ეს განცხადებები ეხებოდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან მუქარას, იძულებას ინფორმაციის წყაროს გამხელის მიზნით, საჯარო

---

1 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება საქართველოში“, საია, გვ. 10

დაწესებულებებში მედიასთან ურთიერთობის დისკრიმინაციულ პოლიტიკას და ჟურნალისტთა შრომით უფლებებს. 2007 წლის მეორე ნახევარში თავისუფალი მედიის შეზღუდვამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბი და სასტიკი ფორმები მიიღო, რომლის კულმინაციას 7 ნოემბერს ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა წარმოადგენს. სახალხო დამცველი წერს: 7 ნოემბრის მოვლენებმა არამხოლოდ ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევა გამოიწვია, არამედ სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ქმედითობა, შეილახა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი. 2007 წლის 7 ნოემბერს საქართველოს ხელისუფლების მოქმედება ადამიანის უფლებათა დამცველი ერთერთი ავტორიტეტული ორგანიზაციის „Human rights watch“-ის მიერ ლაკონურად შეფასებულია როგორც ზღვარგადასული. „საქართველო პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველობის ქვეშ მიჩნეული იყო, როგორც დემოკრატიაზე გარდამავალი წარმატებული ქვეყანა, მაგრამ 7 ნოემბრის ამბებმა გაამჟღავნა საქართველოს ხელისუფლების სისუსტე ადამიანის უფლებების დაცვასთან მიმართებით. მიუხედავად ხელისუფლების მტკიცებისა, რომ იგეგმებოდა სახელმწიფო გადატრიალება, მის მიერ გამოყენებული ძალა თანაფარდობაში არ იყო მოსალოდნელ საფრთხესთან. ზოგადად ძალის გამოყენება და მისი გამოყენების ხარისხი პროპორციული უნდა იყოს საფრთხისა, რომელსაც დემონსტრაცია უქმნის სახელმწიფოს უსაფრთხოებას. მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევისას ძალის გამოყენება, განსაკუთრებით კი იმედის დარბევის ფაქტი იყო ზღვარს გადასვლა—კითხულობთ მათ დასკვნაში.“<sup>1</sup> ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ეუთო, ნატო, გაერო — ეს არის იმ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომლებმაც მკაცრი შეფასება მისცეს 7 ნოემბრის მოვლენებს საქართველოში. უხეშად დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10-ე მუხლი — გამოხატვის თავისუფლება. სავსებით მართებულია საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრება, რომ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით გაკეთებული განცხადებები პოლიტიკური სიტყვისა თუ საზოგადოე-

---

1 <http://hrw.org/reports/2007/georgia1207/1.htm>, 12.03.2008.

ბრივი ინტერესის მქონე საკითხებზე, რაც მისი დარბევის საბაბი გახდა,დაცულია გამოხატვის თავისუფლების პრინციპით და სრულად შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. როგორც უკვე ითქვა ზემოთ,ევროკონვენციის მე-10-ე მუხლის მე-2 პუნქტის შემზღვეველი მოქმედება არ ვრცელდება პოლიტიკური სიტყვისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე,ნებისმიერი ტიპის,თუნდაც ყველაზე აგრესიული განცხადების საზოგადოებისათვის მიწოდება ლეგიტიმურია,თუ ის მოვლენების რეალისტურ ასახვასა და გაშუქებას ისახავს მიზნად. ამიტომ,დამოუკიდებელი ტელეკომპანიის დარბევა და ჟურნალისტებზე განხორციელებული ძალადობა ნიშნავს არა მარტო სიტყვის თავისუფლების ხელყოფას,არამედ ზოგადად დემოკრატიულ ფასეულობებზე უარის თქმას. ტელეიმედში სპეცდანიშნულების რაზმის შეჭრამ და დარბევამ,მისთვის სამაუწყებლო ლიცენზიის შერჩერებამ წერტილი დაუსვა თავისუფალ სიტყვას საქართველოში. 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების შემდგომ დაიხურა რადიო იმედი, საკაბელო ტელეკომპანია „მაესტრო“, დარბევისა და ლიცენზიის შერჩერების მუქარით სარედაქციო პოლიტიკის შეცვლა მოსთხოვეს კახეთის რეგიონის სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთს“და სხვა მედიასაშვალეებს. დღეს საქართველოს მოსახლეობა მედიასაშვალეებიდან მხოლოდ გაფილტრულ და ხელისუფლებისათვის მისაღებ ინფორმაციებს იღებს. სახალხო დამცველი წერს: სარედაქციო დამოუკიდებლობის არ არსებობა ქართულ მედიაში კვლავ მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს დღესაც. მედია მფლობელები და მმართველები კვლავ აქტიურად ერევიან ახალი ამბების რედაქციისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების საქმიანობაში. ზოგჯერ მედია მფლობელი თავად განსაზღვრავს არხის სარედაქციო პოლიტიკას,ზოგჯერ კი ტელეარხის პოლიტიკური მიმართულება განისაზღვრება გენერალური დირექტორის კუთვნილებით კონკრეტული ბიზნეს თუ პოლიტიკური ჯგუფისადმი. პოლიტიკური ელიტის ცვლილება ან გავლენის შესუსტება ავტომატურად იწვევს ცალკეულ ეროვნულ სატელევიზიო მედიაში ხელმძღვანელების ცვლილებას. ტელევიზიის ხელმძღვანელის მეშვეობით მმართველი პოლიტიკური ძალა ატარებს თავის ინტერესებს.სარედაქციო საქმი-

ანობაში ჩარევა გამოიხატება როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამის ზოგადი მიმართულების განსაზღვრაში, ასევე კონკრეტული თემის დაბლოკვასა და აშკარა ცენზურაში. მაგალითად, რუსთავი - 2-ის დირექტორმა „ახალი ადამიანის შექმნის“ კონცეფციაც კი წარუდგინა თავის ჟურნალისტებს. დირექტორმა კ.დავარაშვილმა ჟურნალისტებისაგან აზროვნებაში „რევოლუციის მოხდენა“ მოითხოვა. როგორც ჟურნალისტები განმარტავენ „ახალი ადამიანის აღზრდის“ კონცეფცია გულისხმობდა ცენზურასა და განსხვავებული აზრის იგნორირებას.<sup>1</sup>

ამ აპოკალიფსიდან თავის დაღწევის მცდელობად უნდა შეფასდეს საქართველოს ჟურნალისტების გაერთიანება ასოციაციაში „ჟურნალისტები – სიტყვის თავისუფლებისათვის“. შეძლებს ქართული მედია ამ აპოკალიფსიდან თავის დაღწევას?! ეს კითხვა მთელ ქართულ საზოგადოებას აწუხებს<sup>2</sup>.

დაბოლოს, ჩვენში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელოვან ხელშემშლელ ფაქტორად ითვლებოდა ცილისწამებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსებობა.

თავისუფლების ინსტიტუტი თვლის, რომ ამ ნორმას ე. წ. „გამყინავი ეფექტი“ ჰქონდა, რაც გულისხმობს იმ საფრთხეს, რომლის გამოწვევაც შეუძლია სისხლის სამართლის სასჯელს; როდესაც ამგვარი სანქციის შიშით ჟურნალისტი მომავალში უარს იტყვის კრიტიკული წერილის (აზრის) გამოქვეყნებაზე, საფრთხე ექმნება თავისუფალი მედიის არსებობას. აქედან გამომდინარე, ცილისწამების დეკრიმინალიზაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია

---

1 იხ. [www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge) 2007 წლის საანგარიშო მოხსენება.

2 ქართული მედიის უუფლებობამ კიდევ ერთხელ იჩინა თავი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის დროს 2008 წლის აგვისტოში. ამასთანავე, მათ უუფლებობას დაემატა უპასუხისმგებლობა და არაპროფესიონალიზმიც, რაც საბედისწერო აღმოჩნდა კონფლიქტის ზონის მოსახლეობისათვის. ისინი ენდობოდნენ სატელევიზიო და რადიო ეთერით გადაცემულ ინფორმაციებს და დროულად არ იფიქრეს საომარი ზონის დატოვება, რის გამოც ზოგი დაიღუპა, ზოგი მძევლად იქცა, მაშინ როცა ყველა სამთავრობო ელექტრონული მედია საშუალება ერთხმაში ქართული ჯარის „ძლევამოსილ წარმატებებზე“ საუბრობდა, სინამდვილე კი სულ სხვაგვარი იყო, რაც ქვეყნისათვის კატასტროფით დამთავრდა. ამ ფაქტმა ჟურნალისტთა მთელი კორპუსის საბოლოო დისკრედიტაცია მოახდინა საქართველოში.

სიტყვის თავისუფლების გარანტიების შექმნის მხრივ ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში, რათა მთავრობამ ეს ბერკეტი არ გამოიყენოს კრიტიკული აზრის ჩასახშობად.<sup>1</sup>

ფაქტია, რომ ცილისწამების დეკრიმინალიზაციამ ვერ აამაღლა გამოხატვის თავისუფლების ხარისხი საქართველოში, მის ე. წ. „გამყინავ ეფექტს“ ჩაენაცვლა მედიის „თვითცენზურა“, რაც არანაკლებ დამლუპველი შეიძლება აღმოჩნდეს დემოკრატიული საზოგადოებისათვის<sup>2</sup>. თუ თავისუფლების ინსტიტუტის მიერვე ჩატარებულ კვლევას დავეყრდნობით, 1996-2004 წლების განმავლობაში ცილისწამებისთვის გამამტყუნებელი განაჩენი არ დადგენილა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მთავრობა ამ ბერკეტს არ იყენებდა კრიტიკული აზრის ჩასახშობად და იგი მხოლოდ პრევენციულ როლს ასრულებდა სიტყვის თავისუფლების ისეთი საპირწონე ფასეულობის დასაცავად, როგორცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, პატივი და ღირსება, რომელიც ასევე გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. კონვენციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგალურ საფუძვლად უთითებს პიროვნების რეპუტაციის და სხვა უფლებების დაცვას, როგორც მართლზომიერ მიზანს.

ო. გამყრელიძე წერს: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ცენზურა აიკრძალა, თავისუფალი სიტყვის გამოთქმა ჯერჯერობით მაინც ძნელდება. არავის შეუსწავლია სიტყვის თავისუფლებას რეალურად რა უშლის ხელს ჩვენში და ამ ხელისშემშლელ ფაქტორთა შორის რა როლს ასრულებს ცილისწამებისა და შეურაცხყოფის კრიმინალიზება. ამ ქმედებათა დეკრიმინალიზაცია აქ არაფერ შუაშია და სიტყვის თავისუფლების ჭეშმარიტად დამკვიდრებას სულ სხვა გარემოებები უშლის ხელს<sup>3</sup>.

1 „გამოხატვის თავისუფლება“, თავისუფლების ინსტიტუტი, ტომი II, გვ. 23

2 აშშ უზენაესი სასამართლოს განცხადებით, პრესა დემოკრატიულ ქვეყნებში ისეთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რომ მისი დაცვა საჭიროა თვითცენზურისგანაც კი. ა. შაიო, „ხელისუფლების თვითშეზღუდვა“, თბ. 2003, გვ. 350. თუკი ამერიკული ყველაფერი მოგვეწონს, ამ შეგონებას რატომ უგულუბელვყოფთ?!

3 ო. გამყრელიძე, „რამდენად მიზანშეწონილია ცილისწამებისა და შეურაცხყოფის დეკრიმინალიზება?“ ადამიანი და კონსტიტუცია, №4, 2000 წ., გვ. 290.

## მუხლი 155. რელიგიური წმინდის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლა

1. ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესის თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,–

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უაპრობო.

რელიგიის თავისუფლება ადამიანის ბუნებითი და უნივერსალური უფლებაა. იგი ეფუძნება, ერთი მხრივ, შინაგან რწმენას, რაც გულისხმობს მოსაზრებებს სხვადასხვა საკრალურ საგნებსა და მოვლენებზე და, მეორე მხრივ, რელიგიის გამოხატვას, რაც თავში მოიცავს ღვთისმსახურებას, რიტუალების შესრულებას, წეს-ჩვეულებათა დაცვას. ამგვარად, რელიგია მხოლოდ რწმენის საკითხი არაა, იგი ცხოვრების წესია, ქმედებაა<sup>1</sup>.

რელიგიური რწმენის ქონა თუ არქონა ნებაყოფლობითი აქტია, რწმენა და იძულება შეუთავსებელია ერთმანეთთან, ისევე როგორც შეუძლებელია ამა თუ იმ მსოფლმხედველობრივი მრწამსის იძულებით გაზიარება, ეს აღარ იქნება მრწამსი. ალბათ, რელიგიური რწმენის ნებაყოფლობითობის პრინციპის ევოლუციის ლოგიკური შედეგია ეკლესიისა და საერო სახელმწიფოს გამიჯვნა. თანამედროვე ლიბერალური პოლიტიკური კულტურის აუცილებელი მახასიათებლებია, ერთი მხრივ, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების და, მეორე მხრივ, სახელმწიფოსაგან ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარება.

1 „რელიგიის თავისუფლება“, თავისუფლების ინსტიტუტი, თბ. 2004, გვ. 108.

XX საუკუნეში მნიშვნელოვანი პროგრესული ნაბიჯები გადაიდგა რელიგიური უფლებების სამართლებრივი აღიარების თვალსაზრისით. ამ უფლებამ ასახვა ჰპოვა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (მუხლი 18), ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში (მუხლი 9), ხოლო ამ საერთაშორისო აქტების აღიარებისა და რატიფიკაციის საფუძველზე მსოფლიო მასშტაბით სახელმწიფოთა კონსტიტუციების უმრავლესობაში აისახა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა აღმსარებლობის ან რწმენის გამო.

კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცული სფერო მოიცავს როგორც ადამიანის შინაგან რელიგიურ და მსოფლმხედველობრივ რწმენას (შინაგანი თავისუფლება), ისე რელიგიური თუ მსოფლმხედველობრივი რწმენის გამოვლინების თავისუფლებას (გარეგანი თავისუფლება)<sup>1</sup>. ეს ნიშნავს ადამიანის უფლებას, ერთი მხრივ, დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი რელიგიური და სხვა მსოფლმხედველობრივი შეხედულებები და, მეორე მხრივ, საჯაროდ გამოხატოს ისინი, რაც გულისხმობს რიტუალების შესრულებას (წირვა, ლოცვა, პროცესიები და სხვ.), წეს-ჩვეულებათა დაცვას და ა. შ. მე-19 მუხლით თანაბრად არიან დაცული ყველა რელიგიური მიმდევრობის ადამიანები.

რწმენის და რელიგიის თავისუფლება სახელმწიფოს აკისრებს როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ პასუხისმგებლობას. იგი არა მხოლოდ შეზღუდულია ამ უფლებაში ჩარევის შესაძლებლობით, არამედ თვითონ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მე-19 მუხლით გარანტირებული უფლებით მშვიდობიანი სარგებლობა ყველა რელიგიური მიმდინარეობისა თუ მსოფლმხედველობრივი ჯგუფის წევრისათვის.

საქართველოს სსკ 155-ე მუხლით დადგენილი პასუხისმგებლობა კიდევ ერთი გარანტიაა რელიგიის თავისუფლებისათვის. ეს მუხლი რელიგიური რწმენის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას აკრძალავს.

1 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბ. 2005, გვ. 111.



ლუდვის მხოლოდ ერთი ასპექტის კრიმინალიზაციას ახდენს, სახელდობრ, ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლას ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა.

ანალოგიური ნორმა სახელმწიფოთა უმრავლესობის კანონმდებლობაში გვხვდება. ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონში დასჯადი ქმედების აღწერა ძალიან ფართო ფორმულით ხდება – რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვა (ჩეხეთი, ჩინეთი, თურქმენეთი), რაც სასამართლო მიხედულების დიდ გასაქანს იძლევა. სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში ამ დანაშაულს აღწერილობითი სახე აქვს და რელიგიის თავისუფლების ხელყოფა გარკვეული დათქმებით ითვლება დანაშაულად, კერძოდ, თუ შესაბამისი მოქმედება უკანონოდ ზორციელდება (ბულგარეთი, ლატვია, ესტონეთი, რუსეთი). ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებელი ანალოგიურ ნორმაში რელიგიური წეს-ჩვეულების გვერდით მოიხსენიებს აღმსარებლობის კულტს, რელიგიურ მსახურებას, ცერემონიას, დღესასწაულს და სხვ. ზოგან კრიმინალიზებულია სამგლოვიარო ცერემონიისთვის ხელის შეშლაც (გერმანია, ავსტრია, პოლანდია, შვედეთი და სხვ.); არის ქვეყნები, სადაც საგანგებო ხაზგასმა კეთდება რელიგიური გრძნობების და მორწმუნეთა შეურაცხყოფაზე (პოლონეთი, შვეიცარია, ესპანეთი და სხვ.).

აღსანიშნავია, რომ რელიგიური საქმიანობის ძირითად სახედ ითვლება რელიგიური კულტი, რომელშიც ცენტრალური ადგილი უკავია ღვთისმსახურებას, ე. ი. წესებისა და მოქმედებების სისტემას, რომელიც მორწმუნის ღმერთთან უშუალო კავშირურთიერთობის ილუზიას ქმნის. ღვთისმსახურება შეიძლება იყოს კოლექტიური ან ინდივიდუალური. ქრისტიანული კოლექტიური ღვთისმსახურების მთავარი კომპონენტია ლიტურგია. ლიტურგიის დროს შესაძლებელია რიტუალების, ლოცვების შესრულება. რელიგიური წეს-ჩვეულებები ქმნიან რიტუალური მოქმედებების რთულ სისტემას, რომლის ცენტრში ღვთისმსახურება დგას, ანუ კოლექტიური რელიგიური წესი, რომელსაც მორწმუნეები ასრულებენ ეკლესიაში ან სხვა სპეციალურ ადგილას. რაც შეეხება

რელიგიურ ჩვეულებებს, ისინი პრაქტიკული საქმიანობის სისტემაშია უშუალოდ ჩართული.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის მიხედვით, ყველას აქვს თავისუფლება მართო ან საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად, საჯაროდ ან კერძოდ გამოხატოს თავისი რელიგია და რწმენა ღვთისმსახურებით, სწავლებით, რიტუალების შესრულებით ან წესჩვეულებების დაცვით.

საქართველოს სსკ 155-ე მუხლში ევროკონვენციის მე-9 მუხლით აღიარებული უფლება შედარებით შეზღუდულად არის დაცული, კერძოდ, მასში აქცენტი კეთდება მხოლოდ რელიგიურ რწმენაზე და მისი გამოხატვის ისეთ ფორმებზე, როგორცაა ღვთისმსახურება ან სხვა რელიგიური წეს-ჩვეულება. კანონის ტექსტიდან ნათლად არ ჩანს, მხოლოდ კოლექტიური ღვთისმსახურების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ითვლება დანაშაულად, თუ ინდივიდუალურისაც. მაგალითად, 155-ე მუხლი მოიცავს თუ არა ისეთი რელიგიური მოქმედებების აღსრულებისათვის ხელის შეშლას, რომლებიც ინდივიდუალურად სრულდება (აღსარება, ლოცვა, მარხვა). ჯერ ერთი, ინდივიდის გადასაწყვეტია, როგორი ფორმით ჯობს რელიგიის გამოხატვა და, მეორეც, ინდივიდუალური ღვთისმსახურებისათვის ხელის შეშლა მორწმუნისათვის არანაკლებ შეურაცხყოფელი შეიძლება იყოს, ვიდრე ჯგუფური და საჯარო გამოხატვისა. ალბათ, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონში ხაზგასმა კეთდება საჯარო ღვთისმსახურებისათვის ხელის შეშლაზე.

გაურკვეველია, მოიცავს თუ არა ეს შემადგენლობა რელიგიური წეს-ჩვეულებების მიღმა მყოფ ისეთ მოქმედებას, როგორცაა ქადაგება (სწავლება). აქედან გამომდინარე, უნდა დაისაჯოს თუ არა პროზელიტიზმიც? მე-9 მუხლი კონვენციისა რელიგიის გამოხატვის საერთაშორისოდ აღიარებულ ოთხ ფორმას ჩამოთვლის, სსკ 155-ე მუხლით კი მხოლოდ გამოხატვის ორი ფორმისთვის ხელის შეშლაა კრიმინალიზებული. ქმედების ობიექტური შემადგენლობის აღწერის დროს, ალბათ, გამოხატვის სხვა ფორმებიც უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

155-ე მუხლის ტექსტიდან გამომდინარეობს, რომ რელიგიური

წესის აღსრულებისათვის ხელის შემლა მხოლოდ ნეგატიურად არის აკრძალული, ამიტომ თუ ვინმეს იძულებენ შეასრულოს ესა თუ ის რელიგიური წეს-ჩვეულება, მისი მოქმედება სსკ 150-ე მუხლით გათვალისწინებულ იძულებად უნდა შევაფასოთ. 155-ე მუხლში შეიძლება პოზიტიური იძულებაც ჩაგვეღო.

155-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური შემადგენლობის მიხედვით, რელიგიური წესის აღსრულებისათვის ხელის შემლა დანაშაულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ იგი ჩადენილია ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა. რელიგიური წესის აღსრულებისათვის ხელის შემლა ძალადობით მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ ძალადობას (მუქარას). იგი შეიძლება გამოიხატოს ამა თუ იმ რელიგიური წეს-ჩვეულების აღსრულებისათვის დაბრკოლების შექმნაში, მის ჩაშლაში, დარბევაში, მორწმუნეებზე ფიზიკურ ზემოქმედებაში (ცემა, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება), ღვთისმსახურის ან მორწმუნის მიმართ ძალადობის მუქარაში და სხვა ძალმომრეობით მოქმედებაში, რასაც კი შეუძლია უკანონოდ ხელი შეუშალოს რელიგიური წესის აღსრულებას.

რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შემლის მეორე ალტერნატიული ხერხია მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა. ეს მოქმედება შეიძლება გამოიხატოს რელიგიური სიმბოლოს, წესის, დოგმის დაცინვაში, აბუჩად აგდებაში, დაკინებაში, გამასხარავებაში, საკულტო საგნების და რელიგიური თაყვანისცემის სხვა ობიექტების შებლაღვაში, წაბილწვასა და სხვა მსგავს უწესო ქმედებაში, რასაც ცივილიზებულ საზოგადოებაში რელიგიური გრძნობის დამცირება შეუძლია. სწორედ ამგვარ ქმედებათა თანამდევ შედეგად მიიჩნევენ კანონმდებელი მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფას. მაშასადამე, აქ საუბარია არა საზოგადოდ მორწმუნე ადამიანთა შეურაცხყოფაზე, არამედ მათი რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფაზე, როგორც რელიგიური წესის აღსრულებისთვის ხელშემშლელ სხვადასხვა უკანონო მოქმედებათა თანამდევ შედეგზე. თუკი მორწმუნეთა შეურაცხყოფა არ უკავ-

შირდება რელიგიური წესის აღსრულებისათვის ხელის შეშლას, მაშინ ადამიანის ან საზოგადოებრივი წესრიგის საწინააღმდეგო მოქმედებასთან გვექნება საქმე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის საკმარისად შეურაცხმყოფელი ამა თუ იმ რელიგიური ჯგუფისათვის, რაც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი შეიძლება გახდეს, სწორედ ის საკითხია, სადაც ქვეყნებს ფართო დისკრეციული უფლება და შესაძლებლობა აქვთ მიიღონ ზომები საზოგადოების წევრთა რელიგიური გრძნობების დასაცავად.

საქართველოს სსკ 155-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი. ამასთანავე, პასუხისმგებლობა მკაცრდება, თუ იგი ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. მაშინ როცა ეკლესია სახელმწიფოსგან გამოყოფილია და რელიგიის თავისუფლებაში სახელმწიფოს ლეგიტიმური ჩარევის საფუძველები მკაცრად შეზღუდულია, ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლებს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების უფლება არა აქვთ. მათი მხრიდან რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა უფრო მკაცრად გაიცხვას იმსახურებს.

რაც შეეხება ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას, იგი განზრახვას გულისხმობს, რაზეც სიტყვა „უკანონო“ მიანიშნებს. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ე. ი. უკანონოდ ხელის შეშლა რელიგიის თავისუფლებისათვის და სურს ამ მოქმედების განხორციელება. ამგვარი ქმედების მოტივი შეიძლება იყოს რელიგიური შეუწყნარებლობა, შუღლი და სხვა.

როგორც უკვე აღინიშნა, რელიგიური წესის აღსრულებისათვის ხელის შეშლა დანაშაულად ჩაითვლება, თუ ის უკანონოდ ხორციელდება. მაშასადამე, სამართლებრივად დაცულია ცივილიზებულ საზოგადოებაში მიღებული ფორმებით რელიგიის თავისუფლების გამოხატვა. მაგრამ, ამავე დროს, რელიგიის თავისუფლება

აბსოლუტური უფლება არ არის, მისი შეზღუდვაც შეიძლება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით რელიგიის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ მისი გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს. მაშასადამე, კონსტიტუცია დასაშვებად მიიჩნევს რელიგიური რწმენის გარეგანი გამოხატვის შეზღუდვის შესაძლებლობას. კერძოდ, რელიგიის კონკრეტული გამოხატვის ფორმები (რიტუალების შესრულება, პროცესები და სხვა) შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის ლახავს კონსტიტუციით აღიარებულ და გარანტირებულ სხვა ფუნდამენტურ უფლებებს. საქართველოს კონსტიტუცია რელიგიის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მხოლოდ ერთ საფუძველს ადგენს – „სხვათა უფლებების“ დაცვა. სხვა საფუძველით არ შეიძლება შეზღუდვა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის მეორე პუნქტი რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის რამდენიმე საფუძველს ითვალისწინებს, კერძოდ, რელიგიის გამჟღავნების თავისუფლება მხოლოდ იმ პირობით შეიზღუდება, თუ ასეთი შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

ჩნდება კითხვა: რა განაპირობებს სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობას რელიგიის გამოხატვის თავისუფლებაში?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ როცა სახელმწიფოში რამდენიმე რელიგია არსებობს, დიდი ალბათობა იქმნება იმისა, რომ მისი გამოხატვის ესა თუ ის ფორმა კონფლიქტში მოვა ადამიანის სხვა უფლებებთან, ამიტომ აუცილებელია გარკვეული შეზღუდვების დაწესება, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესების შეთანხმება, ყველა რელიგიური რწმენის პატივისცემის და თანასწორობის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, მორწმუნეთა გარკვეული ნაწილისთვის რელიგიური მოთხოვნები აბსოლუტური ხასიათისაა და მზად არიან ნებისმიერი ქმედებისათვის (წამებისა და სიკვდილის ჩათვლით) საკუთარი რწმენის დასაცავად. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფომ მორწმუ-

ნეთა ყოველგვარ გადაწყვეტილებას უნდა სცეს პატივი. თუნდაც ისეთი ფუნდამენტური თავისუფლება, როგორც არის რელიგიური მრწამსი, განხორციელებული უნდა იყოს საზოგადოებრივ ინტერესებთან შესაბამისობაში, ადამიანის სხვა ძირითადი უფლებების დაცვის მიზნით<sup>1</sup>. აქედან გამომდინარე, სადავო არ არის რომ რელიგიის თავისუფლება გარკვეულ შემთხვევაში უნდა შეიზღუდოს სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით. ამავე დროს არაერთი საკამთო საკითხი წამოიჭრება სხვათა უფლებების საზღვრებსა (მასშტაბსა) და რელიგიის გამოხატვის თავისუფლებას შორის ბალანსის დადგენისას; კოლიზიაში მყოფ სხვადასხვა სამართლებრივ ინტერესს შორის პროპორციის განსაზღვრისას, ამ უფლებაში სახელმწიფოს ჩარევის რელევანტურობის დასაბუთებისას მით უფრო, როცა საქმე რელიგიური გრძნობების ხელყოფას ეხება, აღსანიშნავია, რომ ამ მიმართებით ევროპის სასამართლოს პრაქტიკა არაერთგვაროვანი და ზოგჯერ არათანმიმდევრულიცაა. ამას განაპირობებს, ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა არც ერთი დოკუმენტი არ შეიცავს რელიგიისა და რწმენის განსაზღვრებას და მისი განმარტება სასამართლოს შეხედულებით ხდება. სასამართლო პრაქტიკაში ხშირად პრობლემურია რელიგიური რწმენისა და სხვა მსოფლმხედველობრივი რწმენის გამიჯვნა; არ არის ნათელი ინდივიდუალიზებული რელიგია ან რწმენა დაცულია თუ არა კონვენციის მე-9 მუხლით, მაშინ როცა არსებობს ამ უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა სხვადასხვა ინდივიდების მიერ (მაგალითად, პატიმრები, სადომაზონისტური ჯგუფის წევრები და სხვა). საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა კომიტეტმა უარი თქვა რელიგიად ისეთი ჯგუფის აღმსარებლობის აღიარებაზე, რომელიც ნარკოტიკებს იყენებდა „ღვთისმსახურების“ პროცესში. კომიტეტის გადაწყვეტილებით, რწმენა, რომელიც ძირითადად ღვთისმსახურებისა და ნარკოტიკული საშუალებების გავრცელებაში მდგომარეობს, სავარაუდოდ, არ შეიძლება კონვენციით დაცულ სფეროში მოექცეს. ტერმინ „რელიგიის და რწმენის“ ფარგლებში პრეზუმირე-

1 იხ. „რელიგიის თავისუფლება“, თბ. 2004, გვ. 152.

ბული უნდა იყოს თუ არა ისეთი მარგინალური შემთხვევები, როგორცაა ე. წ. „ახალი რელიგიები“ (კვაზირელიგიები) <sup>1</sup>.

მართალია, ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართალი რელიგიისა და რწმენის უფრო შეზღუდულ გაგებას ანიჭებს უპირატესობას, თუმცა, ხშირად კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევის აღიარებას სათანადო დასაბუთების გარეშე ახდენს (მაგალითად, სან-მარინოს პარლამენტის დეპუტატების იძულება ბიბლიაზე ფიცის დადებაზე ჩაითვალა მე-9 მუხლის დარღვევად). ასევე პრობლემურია რელიგიის მანიფესტაციის ფორმები. ზოგჯერ სადავო ხდება კონვენციის მე-9 მუხლში რელიგიური გამოხატვის ფორმები ექსკლუზიურია თუ შეიძლება მათი გავრცობა? და, თუკი, გამოხატვა ამ ფორმით არ მოხდა, დაცულია თუ არა კონვენციით? უფრო მეტიც, ზოგჯერ კითხვა ჩნდება, არის თუ არა საერთოდ ესა თუ ის ქმედება რელიგიის გამოხატვა კონვენციის საფუძველზე და ექვემდებარება თუ არა დაცვას რელიგიის თავისუფლების საფუძველზე? (მაგალითად, ერეტიკოსთა წამება, სადომაზონის-ტური ან ჰომოსექსუალური აქტები და სხვ.) რელიგიური წესჩვეულებების დაცვა, როგორც რელიგიური რწმენის გამოხატვის ფორმა, ყველაზე ძნელად განსასაზღვრად ჩათვალა ევროსასამართლომ. მართლაც, ძნელია განსაზღვროთ ამა თუ იმ ტიპის მოქმედება რამდენად სავალდებულოა ან შეუსაბამოა რომელიმე რელიგიურ რწმენასთან. მით უფრო რთულია ამ უფლებაში უკანონო ჩარევის საზღვრების დადგენა, რათა სხვათა რელიგიური გრძნობა არ შეურაცხყო. მაგალითად, რელიგიური სამოსის ტარების აკრძალვა უნდა ჩაითვალოს თუ არა რელიგიური წესის ხელყოფად? <sup>2</sup>

ზემოაღნიშნული სირთულეებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამგვარ საქმეებში დიდ დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებს ეროვნულ სახელმწიფოებს რელიგიის გამოხატვის თავისუფლების, შეზღუდვისათვის სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით. ამასთანავე, ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართალი მოითხოვს, რომ

1 იხ. „რელიგიის თავისუფლება“, გვ. 95-98.

2 იხ. „რელიგიის თავისუფლება“, გვ. 146-147.

სახელმწიფომ მაღალი სტანდარტი უნდა დააკმაყოფილოს რელიგიის გამოხატვაზე შეზღუდვის დასაბუთების დროს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ევროპის სასამართლო ძალზე ფართო სივრცეს ანიჭებს სახელმწიფოებს იმის განსასაზღვრავად, შეზღუდვები რელიგიის გამოხატვაზე აუცილებელია თუ არა. ალბათ, ეს ბუნებრივიცაა, რადგან თითოეულ ქვეყანაში განსხვავებული რელიგიური მრავალფეროვნებაა, ტრადიციებია, ზნეობაა და ა.შ. საერთოდ, რელიგიის მნიშვნელობის განსხვავებული გაგებაა.

ევროკონვენციის მე-9 მუხლის მეორე პუნქტი ადგენს დაპირისპირებულ ინტერესთა საერთაშორისოდ აღიარებულ ბალანსს – რელიგიის გამოხატვის თავისუფლებასა და სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზანს შორის, რათა ერთი უფლების განხორციელება მეორის ხელყოფის ხარჯზე არ მოხდეს. როგორც აღინიშნა, საქართველოს ძირითადი კანონი ამ მიზნის მისაღწევად ერთადერთ საფუძველს ადგენს სხვათა უფლებების დასაცავად. ერთი შეხედვით, საქართველოს კონსტიტუცია კონვენციასთან შედარებით ავიწროებს (ვიწროდ ესმის) რელიგიის გამოხატვის შეზღუდვის საფუძველებს, თუმცა „სხვათა უფლებების“ ფართო ინტერპრეტაცია ამ ხარვეზს შეავსებს. მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობა, როგორც რელიგიის გამოხატვის შეზღუდვის კონვენციით აღიარებული საფუძველი, ადვილად თავსდება კონსტიტუციით დადგენილ შეზღუდვის ერთადერთ საფუძველში – „სხვათა უფლებები“.

ამ საკითხზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ ჯანმრთელობის დაზიანების პოტენციური საფრთხე ზოგიერთი რელიგიის ტრადიციის ბუნებიდან მომდინარეობს, მაგრამ როცა საქმე სხვა ადამიანთა ჯანმრთელობას ეხება, მათი დაცვის მიზნით სახელმწიფოს ჩარევა რელევანტური ქმედებაა რელიგიის გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად, მაგრამ გაცილებით პრობლემურია საკითხი, როცა მორწმუნე ადამიანი თავად უქმნის საფრთხეს საკუთარ ჯანმრთელობას. მაგალითად, მკურნალობაზე უარის თქმა რელიგიურ ნიადაგზე. უფლებამოსილია თუ არა სახელმწიფო, აიძულოს საკუთარი ჯანმრთელობის დაცვა იმას, ვინც რელიგიური რწმენის გამო უარს აცხადებს ამაზე? ევროპაში არსებობს პრეცე-



დენტი, რომელიც სიქ მობოციკლისტს ეხებოდა, როცა ადამიანის უფლებათა კომისიამ აღიარა სახელმწიფოს უფლება, აეძულებინა ინდივიდი საკუთარი ჯანმრთელობის დაცვაზე. ეს მიდგომა სხვა საქმეებშიც დაფიქსირდა <sup>1</sup>.

კიდევ უფრო პრობლემურია ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით შვილების სახელით მშობლების უარი ბავშვების მკურნალობაზე, ანდა ბავშვების ჩართვა ისეთ რელიგიურ რიტუალებში, რომელიც მათთვის ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის მომტანია. ამ საკითხში კონსენსუსი არ არსებობს, თუმცა, ვფიქრობთ, საღი აზრი ამგვარ ჩარევას სახელმწიფოს მხრიდან რელევანტურად ჩათვლის.

ერთ-ერთ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ დაადგინა, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია ჩაერიოს მშობლების მიერ რელიგიის გამოხატვაში მათივე შვილების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით <sup>2</sup>. ასევე სიფრთხილით ეკიდება ამ საკითხს ევროპის სასამართლო და არ კიცხავს სახელმწიფოს ისეთი ქმედებისათვის, რომლის მიზანიც ბავშვის დაცვაა მისი მშობლების რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე ფიზიკური ზიანისაგან. ეს მიდგომა შესაბამისობაშია ბავშვთა უფლებების კონვენციის მოთხოვნებთანაც <sup>3</sup>. მართალია, საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ განმარტავს, რომ პაციენტს უფლება აქვს უარი განაცხადოს სამედიცინო ჩარევაზე, მაგრამ ჩარევა მართლზომიერი იქნება თუ საფრთხე სხვა პირთა ჯანმრთელობას ექმნება.

არასრულწლოვანის მაგიერ მშობლების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე ეს კანონი პირდაპირ მითითებას შეიცავს, კერძოდ, 25-ე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, თუ ქმედუნარიო ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარს მოკლებული პაციენტი გადაუდებლად საჭიროებს სამედიცინო მომსახურებას, რომლის გაწევის გარეშეც გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, ხოლო მისი ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი სამედიცინო

1 იხ. „რელიგიის თავისუფლება“, გვ. 169

2 იხ. „რელიგიის თავისუფლება“, გვ. 170

3 იხ. „რელიგიის თავისუფლება“, გვ. 171

მომსახურების წინააღმდეგია, სამედიცინო მომსახურების გამწევი გადაწყვეტილებას იღებს პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესების შესაბამისად.

ეს მიდგომა გამომდინარეობს კონსტიტუციის მე-19 მუხლიდან, რომლის მიხედვითაც ჩარევა „სხვათა უფლებების“ დასაცავად, ვფიქრობთ, რომ მართლზომიერად უნდა ჩაითვალოს, როცა საკითხი ადამიანის ისეთ აბსოლუტურ და განუყოფელ უფლებას ეხება, როგორც სიცოცხლეა.

და ბოლოს, ამ მუხლთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს, თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს პრობლემის არარსებობას. საქართველოს არცთუ დიდი ხნის წინანდელი გამოცდილებით, ზოგიერთი რელიგიური ჯგუფი ჩართული იყო ძალადობის პროვოცირებასა და ორგანიზებაში, რაც უხეშად არღვევდა როგორც რელიგიის თავისუფლებას, ისე საზოგადოებრივ წესრიგს.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა ამგვარი ქმედებები რელიგიურ ტერორიზმად შეაფასეს. ქართული სახელმწიფო არ ასრულებდა კონსტიტუციით მინიჭებული ძირითადი უფლების დაცვის პრიმიტიულ ვალდებულებას და ქვეყანაში არსებული რელიგიური დაპირისპირება არაფრად მიაჩნდა <sup>1</sup>.

საქართველოს სახალხო დამცველის 2007 წლის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოში შემცირდა რელიგიურ ნიადაგზე განხორციელებული ძალადობისა და დისკრიმინაციის ფაქტები.

---

1 ე. ლორია და სხვები. „სახელმწიფო და რელიგია“, თბ. 2002, გვ. 28.

1. ადამიანის დეკა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით,

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2 იგივე ქმედება:

ა) ძალადობით ან ძალადობის მუქარით;

ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

*(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2937-სსმ I, 2006 წ., №14, მუხ. 90)*

ეს მუხლი დგას ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სადარაჯოზე, რომელიც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით. კონსტიტუციის მე-19 მუხლის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დეკა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ“.

ადამიანის დეკა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ და სხვა საქმიანობასთან დაკავშირებით „შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით: მისთვის სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმით, სამუშაოდან უკანონო დათხოვნით, მეცნიერულ მოღვაწეობაში დაბრკოლებათა შექმნით, პროფესიული საქმიანობის უკანონოდ აკრძალვით, პრემი-

ის მიუცემლობით, დაწინაურებაზე უარის თქმით, სამსახურში ცრუ ბრალდების შეთითხნით და მრავალი ზერხით. უკეთუ ცრუ ბრალდება შეთხზულია სპეციალური სუბიექტის მიერ (პროკურორი, გამომძიებელი), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 146-ე მუხლით (უდანაშაულო პირის მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში) ანდა სამოხელეო დანაშაულის შესაბამისი მუხლით“<sup>1</sup>.

განსახილველი დანაშაული, გარდა მეორე ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული შემადგენლობისა (იგივე ქმედება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია), ფორმალურ შემადგენლობათა რიცხვს განეკუთვნება და დამთავრებულია 156-ე მუხლში ჩამოთვლილ მოქმედებათა განხორციელების მომენტიდან.

დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ ახორციელებს ადამიანის დევნას სიტყვის, აზრის, სინდისის და ა.შ. გამო, ასევე მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ ან სხვა საქმიანობასთან დაკავშირებით და სურს ეს. დანაშაულის ჩადენის მოტივი მრავალგვარია იმის მიხედვით, თუ დაზარალებულის საქმიანობის რომელ სფეროსთან არის დაკავშირებული მის მიმართ დევნის განხორციელება. როდესაც ადამიანის დევნა ხდება მაგალითად, მისი აღმსარებლობის ან რელიგიური მოღვაწეობის გამო, სახეზეა რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივი.

156-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს წარმოადგენს ადამიანის დევნა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ადამიანის დევნა ძალადობის გამოყენებით გვექნება მაშინ, როდესაც მას თან ახლდა ცემა ან ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება. თუ ძალადობის შედეგად დაზარალებულმა მიიღო ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 156-ე და 117-ე ან 118-ე მუხლების ერთობლიობით.

ძალადობის მუქარა გულისხმობს მოკვლის, ჯანმრთელობის

---

<sup>1</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2006, გვ. 264.

დაზიანების, დაზარალებულის მიმართ სექსობრივი დანაშაულის ჩადენის მუქარას და ა.შ. მუქარა მიმართული უნდა იყოს დაზარალებულის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, პროფესიული და სხვა მოღვაწეობისათვის ხელის შეშლისაკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში განსახილველი კვალიფიციური შემადგენლობა არ გვექნება.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით განსახილველი დანაშაულის ჩადენის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლება მისი რწმენის, აღმსარებლობის და ა.შ. გამო, ანდა მის პოლიტიკურ, რელიგიურ ან სხვაგვარ საქმიანობასთან დაკავშირებით.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა დანაშაულის შედეგად მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევა. მნიშვნელოვანი ზიანი შეფასებითი კატეგორიაა და სასამართლომ იგი უნდა დაადგინოს კონკრეტული საქმის გარემოებებისა და დაზარალებულის ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე. ეს ნიშანი არ მოიცავს მხოლოდ მატერიალურ ზიანს. აქ იგულისხმება ასევე მორალური და სხვა სახის ზიანი.

შალვა მ-ძე მონაწილეობას იღებდა 2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, 2006 წლის 1 ოქტომბერს სამაუწყებლო კომპანია “ეთერით გავიდა საინფორმაციო ანალიტიკური გადაცემა, სადაც საუბარი იყო რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის შალვა მ-ძეზეც. ამ უკანასკნელზე ითქვა, რომ „მან გადაწყვიტა გამგებლობა, რადგან მობეზრდა დომინოს და კარტის თამაში. მიზნის მიღწევაში კი გავლენიანი მეგობრები დაეხმარებიან“. შალვა მ-მ ეს ამბავი ახლობლებისგან შეიტყო. მან სთხოვა მეგობარს – მერაბ უ-შვილს, მისუღიყო რადიო“. „შესაბამის რედაქციაში და გადაეწერა მასზე გასული სიუჟეტის ფირი. მერაბ უ-ს რადიოს თანამშრომლებმა ფირის მიცემაზე უარი უთხრეს და ურჩიეს ამ თხოვნით რადიოს დირექტორის სოსო ა-ძისტვის მიემართა. ამ უკანასკნელმა სატელეფონო საუბრისას დაუდასტურა, რომ შალვა მ-ძეზე გასული სიუჟეტი მისი მომზადებული იყო,

ფირის გადაცემაზე კი უარი უთხრა და ურჩია სასამართლოსთვის მიემართა. პასუხად მერაბ უ-შვილი „თავისებური სასამართლოთი“ დაემუქრა. ამის შემდეგ სოსო ა-ძეს ურეკავდნენ და ემუქრებოდნენ, რის შესახებ რადიო მა“აცნობა საზოგადოებას.

2006 წლის 9 ოქტომბერს, დაახლოებით 12 საათზე შალვა მ-ძე და მერაბ უ-შვილი მეგობრებთან ერთად იმყოფებოდნენ ქალაქ ში მ-ძის საცხოვრებელი სახლის გვერდით მდებარე საბავშვო ბაღის ეზოში. მათ დაინახეს ქუჩაში მიმავალი სოსო ა-ძე. შალვა მ-მ დაუძახა მას და საუბარი დაუწყო რადიოს ეთერით გასულ სიუჟეტზე. კერძოდ, უთხრა, რომ შეურაცხყოფილი იყო იმ გამონათქვამებით, რაც “დომინოსა და კარტის თამაშს უკავშირდებოდა” და მოსთხოვა რეპორტაჟის დამკვეთის დასახელება. მ-ძის საუბარი თანდათან აგრესიული გახდა, რასაც გინება, ფიზიკური შეურაცხყოფა და სოსო ა-სა და მისი ოჯახის წევრების ლიკვიდაციის მუქარა მოჰყვა. ცემის დროს სოსო ა-ძე ორჯერ წაიქცა. იგი ცდილობდა შალვა მ-ძისაგან თავის დაღწევას, მაგრამ მერაბ უ-შვილი არ აძლევდა ბაღის ტერიტორიის დატოვების საშუალებას. მ-ძემ რეპორტაჟის შემკვეთის დასახელებისთვის სოსო ა-ს დრო დაუთქვა, რასაც მისი და ოჯახის წევრების, ასევე მისი რადიოს მისამართით მუქარა დააყოლა. რადიოს ლიკვიდაციით იმუქრებოდა მერაბ უ-შვილიც.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ცემის შედეგად სოსო ა-ძემ მიიღო ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება, რასაც შრომისუნარიანობის დაკარგვა არ მოჰყოლია.

რაიონულმა სასამართლომ შალვა მ-ძესა და მერაბ უ-შვილს მსჯავრი დასდო საქართველოს სსკ-ის 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით – სიტყვის, აზრის გამო, პროფესიულ (ჟურნალისტურ) საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული დევნისათვის და შეუფარდა ჯარიმა ერთს – 8000, ხოლო მეორეს 4000 ლარის ოდენობით.

შალვა მ-ძისა და მერაბ უ-შვილის მიერ ჩადენილ ქმედებათა კვალიფიკაცია სწორია. მართალია, სახეზეა დაზარალებულის ვიქტიმური ქცევა (არჩევნებამდე ოთხი დღით ადრე მ-ძის მიერ მომზადებულმა სიუჟეტმა, რომელიც რადიოთი გადაიცა, შელახა

არჩევნებში მონაწილე კანდიდატის რეპუტაცია), მაგრამ ეს არცვლის მ-ძისა და უ-შვილის მიერ ჩადენილ ქმედებათა დანაშაულებრივ ხასიათს და მხოლოდ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისათვის შეიძლება კჭონდეს მნიშვნელობა. როგორც განაჩენშია აღნიშნული, მ-ძეს შეეძლო მიემართა სასამართლოსათვის და მოეთხოვა დარღვეული უფლების აღდგენა ან ბოდიშის მოხდა იმავე რადიოს მეშვეობით. განაჩენში მოტანილია ამონარიდი ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან საქმეზე – კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ, რომლის თანახმად „აზრის გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს ისეთი განცხადებისა და გამოთქმის უფლებასაც, რომელიც შეურაცხყოფელი, აღმაშფოთებელი და შემაწუხებელია“. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განაჩენიდან გამომდინარე, თვალში საცემია სასამართლოს ზედმეტად ლოიალური დამოკიდებულება დაზარალებულის, ჩვენს შემთხვევაში ჟურნალისტის ხსენებული არაეთიკური სიუჟეტის მიმართ, რამაც დანაშაულის ჩადენა გამოიწვია. გარდა ამისა, სასამართლომ სრულად უგულებელყო დაზარალებულის კიდევ ერთი ვიქტიმური ქცევა – მ-ძისათვის მასზე გასული სიუჟეტის ფირის გადაწერაზე უარის თქმა.

ის რაიონის სოფელ მცხოვრები ლევან ი-ძე იმყოფებოდა თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში. ეზოს ჭიშკართან შენიშნა ორი კაცი, რომელთაგან ერთ-ერთმა თავისთან მოიხმო და სთხოვა ესწავლებინა ქალაქისკენ მიმავალი გზა, შემდეგ კი მიაწოდა ბროშურა. ლევან ი-ძის კითხვაზე: ეს რა არის? უცნობმა უპასუხა „შიგ სწერიაო“ და თანმხლებთან ერთად განაგრძო გზა. ბროშურის გარეკანის დახედვისთანავე ლევან ი-ძე მიხვდა, რომ ეს იყო „იეპოვას მოწიგების“ ლიტერატურა. იგი საკუთარი ავტომანქანით დაედევნა ხსენებული ორგანიზაციის წევრებს, მალევე დაეწია და მანქანიდან გადმოსვლისთანავე სახეში გაარტყა მუშტი ბროშურის გადამცემს – გივი ნ-შვილს, რომელიც წაიქცა. წაქცეულს კი ფეხი ფერდში ჩაარტყა. გივი ნ-შვილის თანმხლები – ალექსი გ-ძე გაიქცა. ლევან ი-ძე მანქანით დაედევნა მას, მაგრამ მალე უკან გამობრუნდა, რადგან ალექსი გ-ძე გადავიდა გზიდან და თავი ვენახის ზერიან ნაკვეთებს შეაფარა. ცემის შედეგად გივი ნ-შვილს ჯანმრთელობა მსუბუქად დაუზიანდა.

რაიონულმა სასამართლომ ლევან ი-ძეს მსჯავრი დასდო საქართველის სსკ-ის 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით და შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა ერთი წელი. სასჯელის განსაზღვრისას შემამსუბუქებელი გარემოების სახით გათვალისწინებული იქნა ის, რომ „განსაჯელის წარსული არაფრით არ არის შებღალული, შეურიგდა დაზარალებულებს და ინანიებს ჩადენილ ქმედებას.“ მიმაჩნია, რომ ამ ჩამონათვალში უნდა ყოფილიყო ასევე ლევან ი-ძის, როგორც მორწმუნე მართლმადიდებლის ემოციური მდგომარეობა დანაშაულის ჩადენის დროს, რომელიც გამოიწვია მიწოდებული ბროშურის სახელწოდებამ: „ცრუ რელიგიის აღსასრული ახლოსაა“. ცხადია, ეს გარემოება არ გამორიცხავს მის მიერ ჩადენილი ქმედების დანაშაულებრივ ხასიათს, მაგრამ ამცი-რებს ბრალის ხარისხს.

ის რაიონის მცხოვრები მადონა ფ-ძის სახლში ბათუმიდან სტუმრად ჩამოვიდნენ „იეჰოვას მოწმეები“, სულ ცხრა კაცი. მეორე დღეს ისინი ქუთაისში დაესწრნენ „იეჰოვას მოწმეთა“ კონგრესს. საღამოს, დაახლოებით 18 საათზე, მადონა ფ-ძე სტუმრებთან ერთად თავისი სახლის აივანზე იმყოფებოდა. ქუჩაში მიმავალმა ნუგზარ თ-შვილმა სახლის წინ ჩაველისას მათი მისამართით დაიძახა: „ერთ დღეს ამოწყდითო“ და გზა განაგრძო. მადონა ფ-ძე მივიდა მასთან და მისი და სტუმრების შეურაცხყოფისთვის უსაყვედურა. ნუგზარ თ-მ, რომელიც მთვრალი იყო, უხეშად მიუგო – ეს იეღოველები მოაშორე აქედანო. იგი გინებით გაემართა ფ-ძის სახლისაკენ და აივანზე მყოფი სტუმრები რწმენისა და მრწამსის გამო შეურაცხყო, ლანძღავდა და უცენზურო სიტყვებით მიმართავდა მათ. გიორგი ე-ძე და ელიზბარ ს-შვილი გართულების თავიდან აცილების მიზნით ქალებმა სახლში შეიყვანეს. ნუგზარ თ-შვილი დაედევნა მათ და რამდენჯერმე დაარტყა, რის შედეგადაც გიორგი ე-ძემ ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიიღო. ნუგზარ თ-ს სწორად დაედო მსჯავრი საქართველის სსკ-ის 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით.

2004 წლის                      დავით გ-ძე იმყოფებოდა მეზობლის, დალი



ე-ვას ბინაში. დაახლოებით 15.00 საათზე სახლში შესვლა ითხოვა ორმა ქალბატონმა, რომლებიც აღმოჩნდნენ რელიგიური ორგანიზაცია „იეჰოვას მოწმეების“ წევრები ნანა ვ-ძე და თეონა ნ-შვილი. მათ დალი ე-ვას შესთავაზეს საუბარი იეჰოვას სამეფოს შესახებ, რაზეც უარი მიიღეს და გაბრუნდნენ უკან. დალი ე-ვასთან სტუმრად მყოფმა დავით გ-ძემ, გაიგო რა ქალბატონების მოსვლის მიზეზი, გამოედევნა მათ და დაუწყო ლანძღვა-გინება. სადარბაზოდან სამივენი ერთად გავიდნენ ქუჩაში. დავით გ-მ წიხლი ჩაარტყა თეონა ნ-შვილს, რომელიც წაიქცა, თან აგინებდა და იძახდა „დაგზოცავთო.“ გასაშველებლად მისულ ნანა ვ-ძეს კი თმებში ჩაავლო ხელი, წააქცია და მუშტებს ურტყამდა. დავით გ-ძე უყვიროდა და ემუქრებოდა მათ: სხვა დროს არ მოსულიყვნენ ამ საკითხთან დაკავშირებით, თორემ უარესი დაემართებოდათ. ისინი ეზოში მყოფმა მოქალაქეებმა გააშველეს. ცემის შედეგად ნანა ვ-ძეს და თეონა ნ-შვილს ჯანმრთელობა მსუბუქად დაუზიანდათ.

დავით გ-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით და 239-ე მუხლის პირველი ნაწილით – ძალადობით ჩადენილი დევნისა და ხულიგნობისათვის.

დავით გ-ს ქმედების კვალიფიკაციას სსკ-ის 239-ე მუხლით ვერ დავეთანხმებით. როგორც ჩანს, სასამართლო ხელმძღვანელობდა იმით, რომ „იეჰოვას მოწმეთა“ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა გ-ძის მიერ ხდებოდა ეზოში მყოფი ხალხის თვალწინ. სასამართლოს განაჩენში ვკითხულობთ: „დავით გ-ძე გამოედევნა მათ და სადარბაზოში დაუწყო ლანძღვა-გინება, რითაც უხეშად არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს. ქუჩაში გასვლის შემდეგაც იგი აგრძელებდა მათ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, რითაც აშკარა უპატივცემულობას გამოხატავდა საზოგადოებისადმი.“

ხულიგნობის დროს ქმედება მარტო ობიექტურად კი არ უნდა იყოს საზოგადოებისადმი უპატივცემულობის გამომხატველი, არამედ სუბიექტურადაც აქეთკენ მიმართული. „ხულიგნობის მოტივს წარმოადგენს პირის მისწრაფება დაუპირისპირდეს საზოგადოებას, დაუმტკიცოს მას აგრესიული ქმედების ჩადენით, რომ არაფრად თვლის გაბატონებულ ზნეობრივ ნორმებს, რაც მისი აზრით მის

უპირატესობას ადასტურებს საზოგადოების სხვა წევრების მიმართ.

თუ პირის შეგნება არ მოიცავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობის გამოხატვას, ძალადობით ან ძალადობის მუქარით ჩადენილ ქმედებას რომც მოჰყვეს შედეგად საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა, ხულიგნობას ადგილი არ ექნება.<sup>1</sup> როდესაც დაზარალებულის მიმართ განზორციელებული აგრესიული ქმედება განპირობებულია არა დამნაშავეის მისწრაფებით დაუპირისპირდეს საზოგადოებას, არა საზოგადოებისადმი უპატივცემულო, აბუჩად ამგდები დამოკიდებულებით, არამედ პირადი ან რაიმე სხვა მოტივით, მაშინ ხულიგნობის შემადგენლობა არ გვექნება. მოცემულ შემთხვევაში დავით გ-ს ქმედებამ მართალია გამოიწვია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, მაგრამ იგი ჩადენილია მკაფიოდ გამოკვეთილი რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით და არა საზოგადოებისადმი აგდებული, უპატივცემულო დამოკიდებულებიდან გამომდინარე, რაც ხულიგნობისათვისაა დამახასიათებელი. ამიტომ მას არ უნდა ეგო პასუხი სსკ-ის 239-ე მუხლით. რაც შეეხება მსჯავრდებას 156-ე მუხლის მეორე ნაწილის “ა” პუნქტით, სავსებით სწორი და დასაბუთებულია – გ-მ ჩაიდინა დევნა ადამიანის რელიგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, რასაც თან ახლდა ძალადობა.

თუ „იეჰოვას მოწმეთა“ დევნას თან ახლავს მათთვის რელიგიური ლიტერატურის წართმევა და განადგურება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 156-ე და 187-ე მუხლების ერთობლიობით, რადგან ეს ლიტერატურა რელიგიური ორგანიზაციის საკუთრებას წარმოადგენს. სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა დამნაშავე დაზარალებულის წინააღმდეგობის გამო ვერ ახერხებს მისთვის ლიტერატურის წართმევას. ასეთ შემთხვევებს მოიცავს 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა – დევნა ძალადობით.

2006 წლის 18 ნოემბერს, „იეჰოვას მოწმეები“ დ. ლ-ძე და არასრულწლოვანი შ. ბ-შვილი დილის საათებში მიდიოდნენ

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გვ.544,543.

გამზირზე და ქუჩაში შემხვედრ ადამიანებს ურიგებდნენ „იეჰოვას მოწმეთა“ ლიტერატურას. ქუჩის მოპირდაპირე მხრიდან ისინი დაინახა გ. მ-ძემ, რომელიც რამდენჯერმე იყო მხილებული „იეჰოვას მოწმეთა“ მიმართ აგრესიულ ქმედებებში. მ-ძე მივიდა მათთან და მოსთხოვა ჩანთაში ჩაწყობილი ლიტერატურის გადაცემა. დ. ლ-ძემ, რომელსაც ხელში ჩანთა ეკავა, განუცხადა, რომ ლიტერატურა არ ჰქონდათ. მ-ძემ მას შეახსენა სარწმუნოებრივი კრელო სიცრუესთან დაკავშირებით და ჩანთის გახსნა მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. მაშინ მან მკლავში ხელი მაგრად ჩაავლო დ. ლ-ძეს და სახეში გაარტყა. ეს უკანასკნელი ხელიდან დაუსხლტა. მ-ძე ახლა არასრულწლოვან შ.ბ-შვილს მიუტრიალდა და ტუჩები გადაუგრიხა. ძალადობის შედეგად არც ერთ დაზარალებულს ჯანმრთელობის დაზიანება არ მიუღია.

მ-ძის მიზანი ლიტერატურის მისაკუთრება რომ ყოფილიყო, მისი წართმევისაკენ მიმართული მოქმედება დაკვალიფიცირდებოდა როგორც ძარცვის მცდელობა. როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, მას „იეჰოვას მოწმეთა“ ლიტერატურის დაუფლება სურდა არა მისაკუთრების, არამედ განადგურების მიზნით, რათა მისი გავრცელების შესაძლებლობა მოესპო. ამიტომ მისი ქმედება არ შეიძლება ძარცვის მცდელობად შეფასდეს. რუსთავის საქალაქო სასამართლომ მ-ძეს სწორად დასდო მსჯავრი 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით – ძალადობით განხორციელებული ძარცვისათვის. მის მიერ ჩადენილ ქმედებას სწორედ ხსენებული დანაშაულის შემადგენლობა მოიცავს და დამატებით კოდექსის სხვა მუხლით კვალიფიკაცია საჭირო არ არის.

ცხადია, სახელმწიფომ უნდა დაიცვას ყველა რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანთა უფლებები და რელიგიურ ორგანიზაციათა შეუფერხებელი საქმიანობა. რწმენის, აღმსარებლობის, რელიგიური მოღვაწეობის თავისუფლება განმტკიცებულია ყველა ცივილიზებული ქვეყნის კონსტიტუციით, ასევე ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტებითა და კონვენციებით. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის თანახმად, „თითოეულ ადამიანს აქვს აზროვნების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება. ეს

უფლება შეიცავს თავისუფლებას ჰქონდეს ან იღებდეს რელიგიასა თუ მრწამსს საკუთარი არჩევანით და თავისუფლებას აღიარებდეს თავის რელიგიასა და მრწამსს როგორც ერთპიროვნულად, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ თუ კერძო წესით, ასრულებდეს კულტს, რელიგიურ და რიტუალურ წეს-ჩვეულებებსა და მოძღვრებას“. ეს პრინციპები დეკლარირებულია ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპის კონვენციითა (მუხლი მე-9) და სხვა საერთაშორისო აქტებით. არავის, მათ შორის არც სახელმწიფოს არა აქვს უფლება ხელი შეუშალოს რელიგიური გაერთიანების ან მისი წევრების საქმიანობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას თან ერთვის ძალადობა ადამიანის მიმართ.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სისხლისსამართლებრივად დასჯადი დევნის წინააღმდეგ ბრძოლა მარტო რელიგიური რწმენის გამო დევნის შემთხვევათა აღკვეთით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. 2005-2007 წლების განმავლობაში საქართველოში სსკ-ის 156-ე მუხლით მსჯავრდების შეიღი შემთხვევა დაფიქსირდა. როგორც სასამართლო პრაქტიკის მაგალითებიდან დავინახეთ, მათი უმეტესობა, (ერთის გარდა) შეეხება ადამიანის დევნას რელიგიურ საქმიანობასთან დაკავშირებით, კერძოდ, „იეჰოვას მოწმეთა“ მიმართ განხორციელებული დევნის ფაქტებს. თუ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებს გავეცნობით, დავინახავთ, რომ დევნის შემთხვევები გაცილებით მეტია და არა მხოლოდ რელიგიური საქმიანობის გამო. სამწუხაროდ, ეს შემთხვევები სამართლებრივი რეაგირების მიღმა რჩება.

## მუხლი 157. პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა

1. პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა ან გავრცელება,-

ისჯება ჯარიმით ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ გამოყენება ანდა გავრცელება ამა თუ იმ ხერხით გავრცელებულ ნაწარმოებში, მასობრივი მაუწყებლობით ან სხვა საჯარო გამოსვლისას, -

ისჯება ჯარიმით ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:

ა) ანგარებით;

ბ) არაერთგზის;

გ) იმის მიერ, ვისაც სამსახურებრივი მდგომარეობის, პროფესიული საქმიანობის ან სხვა გარემოების გამო ვეალებოდა ამ საიდუმლოს დაცვა;

დ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

*(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2937-სსმ I, 2006 წ., № 14, მუხ. 90)*

პირადი ცხოვრების ხელშეუვალობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლიბერალური ფასეულობაა დემოკრატიულ საზოგადოებაში. იგი ადამიანის ბუნებითი უფლებაა და მისი ინდივიდუალური თავისუფლების ერთ-ერთი არსებითი გამოვლინება. ეს უფლება ადამიანის თვითმყოფადობისა და თვითრეალიზაციის გარანტიაც არის.

ამ უფლების დაცვის აუცილებლობა განსაკუთრებით აქტუალ-

ურია საინფორმაციო ტექნოლოგიების საუკუნეში, როდესაც მილიონობით ადამიანისათვის ძალიან ადვილად ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაცია.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მიხედვით „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო ან სხვა ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია“, თუმცა ეს უფლებები აბსოლუტური არ არის და ის შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება საყოველთაოდ არის აღიარებული, დაწყებული ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ დეკლარაციით და დამთავრებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით.

ევროკონვენციის მე-8 მუხლი ეთმობა პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებას, რომლის მიხედვითაც ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა. თუმცა კონვენცია ამ უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას უშვებს თუ ის კანონის შესაბამისად ხორციელდება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამრიგად, ევროკონვენციის მე-8 მუხლით დაცული სფერო მოიცავს: 1) პირად და ოჯახურ ცხოვრებას, 2) საცხოვრებლის ხელშეუხებლობას, 3) მიმოწერის საიდუმლოების უფლებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების უფლება ასევე რამდენიმე ელემენტს მოიცავს, რომლებიც დაკავშირებულია: ა) პირის ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობასთან, ბ) სახელმწიფოს მიერ პირადი მონაცემების შეგროვებასა და შენახვასთან და პირადი ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან, გ) სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოებასთან და დ) სახელთან <sup>1</sup>.

---

1 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბ. 2005, გვ. 123.

აღსანიშნავია, რომ არც ერთი ნორმატიული აქტი (საერთაშორისო თუ შიდა სახელმწიფო) არ შეიცავს „პირადი ცხოვრების“ ცნების განმარტებას. ალბათ, ეს შეუძლებელიცაა, რადგან ადამიანებს შორის ურთიერთობები კერძო სფეროში ძირითადად ზნეობის ნორმებით წესრიგდება. საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არასოდეს განუსაზღვრავს ამომწურავად პირადი ცხოვრების კონცეფცია. იგი თვლის, რომ პირადი ცხოვრება ფართო კონცეფციაა, რომელიც არ ექვემდებარება ამომწურავად განსაზღვრას.<sup>1</sup> თუმცა, მის მიერვე დადგენილი პრეცედენტებით შესაძლებელია ამ საკითხზე მსჯელობა. ევროპის სასამართლოს განმარტებით, პირადი ცხოვრების პატივისცემა გულისხმობს ინდივიდის პირად ცხოვრებაში ჩაურევლობას, მის ხელშეუხებლობას, პირის უფლებას იცხოვროს ისე, როგორც მას სურს. პირადი ცხოვრების პატივისცემა ასევე მოიცავს, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას. თუმცა სასამართლოს განმარტებით, ეს არ არის პირადი ცხოვრების ამომწურავი განმარტება, იგი მოიცავს საკითხთა გაცილებით ფართო წრეს.<sup>2</sup>

სწორედ ამიტომ არის, რომ სხვადასხვა ქვეყნის ნორმატიულ აქტებში უფრო მეტი აქცენტი კეთდება არა პირადი ცხოვრების კონცეფციაზე, არამედ პირად ცხოვრებაში შეჭრის ლეგალური პროცედურის ამომწურავად განსაზღვრაზე, რაც მისაღები იქნება ცივილიზებული დემოკრატიული სახელმწიფოსთვის. ძირითად უფლებებში ჩარევის ფარგლების განსაზღვრა და სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვა ინდივიდს შესაძლებლობას აძლევს, თავად განსაზღვროს პირადი სფერო და საკუთარი პიროვნება თავისი შეხედულებისამებრ განავითაროს.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სისხლისსამართლებრივი გარანტიები ასახულია საქართველოს სსკ 157-160 მუხლებში. სსკ 157-ე მუხლით, ხელყოფისაგან დაცულია პირადი ცხოვრების

---

1 იქვე, გვ. 123.

2 „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და თქვენი ფუნდამენტური უფლებები“, თბ. 2005, გვ. 55.

შემადგენელი მხოლოდ ისეთი ელემენტი, როგორცაა პირადი ან ოჯახური საიდუმლობა.

არის ქვეყნები, რომლებიც, საქართველოს მსგავსად, მხოლოდ პირად, პროფესიულ ან სამსახურებრივ საიდუმლოს გამჟღავნებას აცხადებენ დასჯადად (იაპონია, ბულგარეთი, ლატვია), უფრო დიდი ნაწილი ქვეყნებისა დასჯადად თვლის და სისხლის სამართლის კოდექსით პასუხისმგებლობას ადგენს როგორც საიდუმლოს გამჟღავნება-გაცემისთვის, ისე, საზოგადოდ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევისთვის (ესპანეთი, პოლონეთი, გერმანია, ლიტვა, ავსტრია, საფრანგეთი).

სსკ 157-ე მუხლის სისტემური ადგილიდან გამომდინარე (სსკ 23-ე თავი, დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ), მისი სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების უფლებაა. ქმედების ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ მოპოვებაში, შენახვასა და გავრცელებაში. ამრიგად, პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მოპოვება თუ გავრცელება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის პირად ან ოჯახურ საიდუმლოს წარმოადგენდა. მთელ რივ ქვეყნებში ასეთი შეზღუდვა არ არსებობს.

რა უნდა ჩაითვალოს ასეთ საიდუმლოდ? კონსტიტუციის მე-20 მუხლიდან გამომდინარე, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა გულისხმობს ინდივიდის პირადი ცხოვრების შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის შეკრების, შენახვის, გამოყენების ან გავრცელების აკრძალვას.

რა თანაფარდობაა „პირადი ცხოვრების შესახებ“ ინფორმაციასა და „პირადი და ოჯახური საიდუმლოს“ შემადგენელ ინფორმაციას შორის, შეიძლება საკამათოდ იქცეს. რას იცავს სსკ 157-ე მუხლი კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას საზოგადოდ (მათ შორის ღირსებას, რეპუტაციას), თუ მის მხოლოდ ნაწილს – პირად და ოჯახურ საიდუმლოს.

საყურადღებოა, რომ არც ერთი საერთაშორისო სამართ-



ლებრივი აქტი, რომელიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას ეხება, „საიდუმლოს“ ცნებას არ იყენებს.

რამდენადაც სსკ 157-ე მუხლის მიზანი კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვაა, იქნებ პირად და ოჯახურ საიდუმლოში ფართოდ გვეგულისხმა პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია და ამით ეს შემადგენლობა კონსტიტუციის მე-17 მუხლით აღიარებული ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის დაცვის გარანტიც იქნებოდა, რამეთუ ამ უფლების დამცავი მექანიზმი სისხლის სამართალში აღარ დარჩა.

შეიძლება უფრო გონივრული იყოს 157-ე მუხლის რედაქტირება და პასუხისმგებლობის დადგენა ადამიანის პირადი ცხოვრების შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის (მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა საიდუმლოს სტატუსი) მოპოვების, გამოყენების ან გავრცელებისათვის. ამით რეპუტაციის დამცავი ვაკუუმიც შეივსებოდა ჩვენს კოდექსში. ეს ცილისწამების დეკრიმინალიზაციის ნაწილობრივი კომპენსაციაც იქნებოდა.<sup>1</sup>

პირადი საიდუმლოს შინაარსი მეტნაკლებად განსაზღვრულია ქართულ კანონმდებლობაში. კონსტიტუციის 41-ე მუხლის მეორე პუნქტიდან გამომდინარე, პირად საიდუმლოდ ჩაითვლება ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან. „სხვა კერძო საკითხები“ გულისხმობს ისეთ ინფორმაციას, რომელიც პირის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა. ამრიგად, „ინფორმაციაში“ უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ პიროვნებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური მონაცემები. ამ კავშირის ინტენსივობასა და მნიშვნელობას განსაზღვრავს თავად ინდივიდი<sup>2</sup>.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიებს ადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიც, რომლის მე-2 მუხლის

---

1 აღსანიშნავია, რომ სსკ-ს ფართოდ ესმის პირადი ცხოვრება და არ იზღუდება საიდუმლოთი (მუხლი 13).

2 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, გვ. 353.

მიხედვით, საიდუმლო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პირად საიდუმლოებას. კოდექსი ასევე ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დამუშავების წესს, 43-ე მუხლის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, არ დაუშვას საჯარო დაწესებულების მიერ ისეთი სახის პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა ან გაცემა, რომელიც დაკავშირებულია პირის რელიგიურ, სექსუალურ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ ან მსოფლმხედველობივ შეხედულებებთან...

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მიხედვით, პირადი საიდუმლოება არის პირადი ფასეულობის მქონე ინფორმაცია, რომლის საიდუმლოების დაცვასაც მოითხოვს კანონი, აგრეთვე ყველა ის ინფორმაცია და გარემოება, რომელთან დაკავშირებითაც ადამიანს აქვს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი.

ოჯახური საიდუმლოს დეფინიცია არსად არ გვხვდება და პირადი საიდუმლოსაგან მისი გამიჯვნაც რთულია. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ საქორწინო-საოჯახო ურთიერთობები, მეურვეობისა და მზრუნველობის საკითხები, შვილად აყვანა, ცხოვრების წესი და ურთიერთობა სხვა ადამიანებთან, მამობის დადგენა, კერძო სფეროს მიეკუთვნება პირის ოჯახური ცხოვრება, ოჯახის წევრებთან და უახლოეს ნათესავებთან დაკავშირებული ურთიერთობები, საცხოვრებელი ადგილი, რელიგიურ თუ სხვა მსოფლმხედველობრივ ჯგუფებთან ურთიერთობის საკითხები, შემოსავლების და ქონების საკითხები და სხვ.<sup>1</sup>

157-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის

1 კ.კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, გვ. 113.

აუცილებელი პირობაა საიდუმლო ინფორმაციის უკანონოდ მოპოვება, შენახვა თუ გავრცელება. სიტყვა „უკანონო“ მიანიშნებს, რომ ინდივიდის თანხმობით ან კანონით დადგენილი სხვა საფუძვლით შესაძლებელია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა, რაც დანაშაულად არ ჩაითვლება. კონსტიტუციის 41-ე მუხლით პირადი საიდუმლო შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფოს უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებების და თავისუფლების დასაცავად.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მეორე პუნქტი ასევე დასაშვებად თვლის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში საჯარო ხელისუფალთა ჩარევის ლეგალურ შესაძლებლობას.

ინფორმაციის მოპოვება ყოველთვის უკანონოდ ჩაითვლება, როცა ის ინდივიდის თანხმობის გარეშე ანდა კანონით დადგენილი საფუძვლების გარეშე ხდება.

ინფორმაციის უკანონოდ მოპოვება გულისხმობს სხვადასხვა ხერხითა და საშუალებებით ინდივიდის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მოძიებას და შეგროვებას. ინფორმაცია შეიძლება მოძიებული იყოს ფარულად (სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით: თვალთვალი, გადაღება, ჩაწერა, შემოწმება, დოკუმენტების დაუფლება) ან ღიად, ორგანიზაცია-დაწესებულებებში ოფიციალური დოკუმენტების გაცნობის გზით, ნათესავეებისა და ახლობლების გამოკითხვით და სხვ. ამასთანავე, მოპოვება ფართოდ უნდა გავიგოთ, როგორც ინფორმაციის დაუფლების ყველა შესაძლო ხერხი.

თუ პირადი ან ოჯახური საიდუმლოს შემცველი ინფორმაციის მოპოვება ხდება სსკ 158-159 მუხლებით აღწერილი ხერხით, მაგალითად, პირადი მიმოწერის ან ტელეფონით საუბრის საიდუმლოების დარღვევით, მაშინ დანაშაულთა ერთობლიობასთან გვექნება საქმე.

პირადი საიდუმლოების შემცველი ცნობების შენახვაში იგულისხმება უკვე მოპოვებული ინფორმაციის ფლობა მათი შენახვის ადგილსამყოფელის მიუხედავად. ზოგჯერ პირადი ინფორმაციის

შენახვა დაზარალებულის შანტაჟის საშუალებაა, როცა დამნაშავე ამ ცნობებს იყენებს დაზარალებულის ნებაზე ზემოქმედების მიზნით. თუმცა უმეტეს შემთხვევაში ინფორმაციის შენახვა მისი გავრცელების წინაპირობას წარმოადგენს. ცნობების გავრცელებად ჩაითვლება მისი შინაარსის გაცნობა სხვა პირისათვის.

სსკ 157-ე მუხლი ჩამოყალიბებულია ფორმალური დელიქტის სახით, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება საიდუმლო ინფორმაციის მოპოვების, შენახვის ან გავრცელების მომენტიდან. რაიმე მავნე შედეგის დადგომის დამტკიცება საჭირო არ არის.

პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მეორე ნაწილში მითითებულია გავრცელების მასობრიობა, კერძოდ, პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ გამოყენება ანდა გავრცელება ამა თუ იმ ხერხით გავრცელებულ ნაწარმოებში, მასობრივი მაუწყებლობით ან სხვა საჯარო გამოსვლისას.

ყურადღებას შევაჩერებ 157-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ ისეთ დამამძიმებელ გარემოებაზე, როგორცაა პირადი საიდუმლოს ხელყოფა იმის მიერ, ვისაც სამსახურებრივი მდგომარეობის, პროფესიული საქმიანობის ან სხვა გარემოების გამო ევალებოდა ამ საიდუმლოს დაცვა. ეს საკითხი საგანგებო ყურადღებას იმსახურებს.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება თავის თავში მოიცავს პროფესიული საიდუმლოს გაუმჟღავნებლობის (დაცვის) გარანტიასაც. პროფესიულ საიდუმლოებაში შედის ის ინფორმაცია, რომელიც მინდობილი აქვთ შესაბამისი პროფესიის ადამიანებს ამა თუ იმ ინდივიდის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ამ შემთხვევაში ინფორმაციას საიდუმლოდ მიიჩნევს თავად ის კანონი, რომელიც ავალდებულებს ამა თუ იმ პირს არ გაამჟღავნოს მინდობილი საიდუმლო. შესაბამისი პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები თავად შეიცავენ პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გაზმაურების აკრძალვას. ამით ის ემიჯნება სხვა სახის პირად საიდუმლოს, რომლის განსაზღვრაც თავად ინდივიდზეა დამოკიდებული. კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ

პროფესიულ საიდუმლოებად თელის აღსარების საიდუმლოებას, პარლამენტის წევრის, ექიმის, ჟურნალისტის, უფლებადამცველის, დამცველის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით მათთვის განდობილ ინფორმაციას, აგრეთვე პროფესიული ფასეულობის მქონე ინფორმაციას, რომელიც პირისათვის ცნობილი გახდა კონფიდენციალობის დაცვის პირობით, მის მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და რომლის გამჟღავნებამ შეიძლება დააზიანოს პირის პროფესიულ რეპუტაციას.

ამგვარად, სსკ 157-ე მუხლის მიზნებისათვის და კონსტიტუციით გარანტირებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად დანაშაულად ჩაითვლება სამსახურებრივი და პროფესიული საიდუმლოს გამჟღავნებაც. ამგვარ ინფორმაციას ფლობენ როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებები. მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოს მუშაკები ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელებისას ეცნობიან პირად ან ოჯახურ საიდუმლოს, რომლის გამჟღავნების უფლებაც მათ არ აქვთ. სამოქალაქო და საჯარო რეესტრის თანამშრომლები, ნოტარიუსები, ადვოკატები, ექიმები, სასულიერო პირები და სხვები ასევე ფლობენ ამ ინფორმაციას. ამ კატეგორიის პირთა მიერ თავიანთი სამსახურებრივი თუ პროფესიული მოვალეობის არაკეთილსინდისიერად შესრულებისთვის უფრო მკაცრი პასუხისმგებლობაა დადგენილი 157-ე მუხლის მესამე ნაწილით.

აღსანიშნავია ისიც, რომ კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში სახელმწიფოს უფლება აქვს შეაგროვოს პირადი მონაცემები. აქედან გამომდინარე, პირადი მონაცემების დაცვას მესამე პირებისა თუ საზოგადოებისაგან დიდი მნიშვნელობა აქვს პირადი ცხოვრების უფლებით სარგებლობისათვის. ეს მონაცემები შეიძლება ეხებოდეს ინდივიდის ჯანმრთელობას, სქესის შეცვლას, სახელისა და გვარის შეცვლას, შვილების მეურვეობას ან მზრუნველობას და სხვ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი აწესრიგებს პირადი მონაცემების შეგროვებას, შენახვას და გამოყენებას სახელმწიფოს მიერ და პირადი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. იგი ამავე დროს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის

მნიშვნელოვან გარანტიებსაც ადგენს. კოდექსის 44-ე მუხლის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალსიწინებულ შემთხვევაში სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე.

რაც შეეხება პირადი ან ოჯახური საიდუმლოს გახმაურებით გამოწვეულ მნიშვნელოვან ზიანს, ის დანაშაულის შეფასებითი ნიშანია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე. ამასთანავე, მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება გამოიხატოს როგორც მატერიალურ, ისე მორალურ ზიანში (ოჯახის დაშლა, რეპუტაციის შელახვა და მისთ.)

პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფის სუბიექტური შემადგენლობა განზრახვას გულისხმობს, რაზეც სიტყვა „უკანონო“ მიანიშნებს. ამასთანავე, განზრახვა ყოველთვის პირდაპირია, როცა ის ანგარების მოტივით არის განპირობებული. თუმცა, არც არაპირდაპირი – ევენტუალური განზრახვის გამორიცხვა შეიძლება, განსაკუთრებით პროფესიული საიდუმლოს გამჟღავნებისას.

დანაშაულის მოტივი შეიძლება იყოს როგორც პირადი ხასიათის, ისე არასწორად გაგებული სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესი. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური უფლება სისხლის სამართლის კანონით დაცულია იმისდამიუხედავად, თუ რა მოტივი ამოძრავებდა დამნაშავეს.

ბოლოს მინდა შევეხოთ ისეთ საკამათო თემას, როგორიცაა დაპირისპირება აზრის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის.

პირადი ან ოჯახური საიდუმლოს გამჟღავნება ხშირად კონფლიქტში მოდის გამოხატვის თავისუფლებასთან და თემიდას სასწორზე ორი ძირითადი უფლება აღმოჩნდება ხოლმე: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და სიტყვის თავისუფლება. რომელს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა ასეთი სამართლებრივი სიკეთეების დაპირისპირების (კოლიზიის) დროს?!

ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის სფეროში როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული ნორმატიული აქტების ანალიზი ცხადყოფს, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ

ლეგიტიმურ საფუძველს, სწორედ ადამიანის სხვა უფლებათა, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემა წარმოადგენს. ცხადია, არსებობს ამ ორი ძირითადი უფლების წონასწორობის საკითხი, რომელიც სახელმწიფომ და მისმა სასამართლო ორგანოებმა უნდა გადაწყვიტონ დარღვეული იქნა თუ არა ეს ბალანსი და რომელ მათგანს უნდა მიენიჭოს უპირატესობა ასეთი კოლიზიის დროს. ალბათ სადავო არ უნდა იყოს, რომ ნებისმიერმა სახელმწიფომ, თუ მას დემოკრატიულობის პრეტენზია აქვს, შესაძლებლობა უნდა მისცეს ღირსების, რეპუტაციის თუ ზოგადად პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დასაცავად ადამიანს, რომელმაც დაზარალებულად (მსხვერპლად) ჩათვალა თავი საზოგადოებაში გავრცელებული შეურაცხმყოფელი ან ცილისმწამებლური განცხადების საფუძველზე.

ადამიანის ამა თუ იმ ფუნდამენტური უფლების შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი და პროპორციული მისალწევ მიზანთან, ასეთია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სტანდარტები. როგორც ევროპის სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი მოწმობს, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისათვის ყველაზე ხშირად გამოსაყენებელი საფუძველია პიროვნების რეპუტაცია.

გამოხატვის თავისუფლების მასშტაბის საპირწონედ ევროპული პრაქტიკა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, უფრო კონკრეტულად კი ღირსების და რეპუტაციის უფლებას მიიჩნევს.

სად მთავრდება გამოხატვის თავისუფლება და სად იწყება სხვისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა? ამ შეკითხვაზე ერთგვაროვანი პასუხი არ არსებობს.

3. შვარცი წერს: ამერიკის და ევროპის საზოგადოებების დამოკიდებულება სიტყვის თავისუფლების მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ევროპელები მას განიხილავენ როგორც უფლებას, რომელიც სხვა უფლებების მსგავსად გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება. ამერიკელებისთვის კი სიტყვის, აზრის გამოთქმისა და შესაბამის თავისუფლებებს უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია <sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ციტატა მოტანილია ო. გამყრელიძის სტატიიდან „რამდენად მიზანშეწონი-

აზრის თავისუფლებასა და პიროვნების ღირსებას შორის კოლიზიის შემთხვევაში აბსოლუტური უპირატესობა აზრის თავისუფლებას ენიჭება – ასეთია ამერიკული გზა. ამ დამოკიდებულებას საფუძვლად უდევს ამერიკის ინდივიდუალისტური საზოგადოების ღრმა რწმენა იმისა, რომ აბსოლუტურად შეუზღუდავი აზრთა ჭიდილი დადებითად იმოქმედებს ჭეშმარიტების დადგენაზე და საზოგადოების საკეთილდღეოდ. იმავე პ. შვარცის სიტყვებით, ამერიკელებისათვის სიტყვის თავისუფლება ნიშნავს არა მარტო აზრის გამოთქმის თავისუფლებას, არამედ ემოციის გამოხატვის თავისუფლებასაც როგორც პოლიტიკური, ასევე ინდივიდუალური თვითრეალიზაციის თვალსაზრისით <sup>1</sup>.

განსხვავებული მიდგომა არსებობს ევროპაში, სადაც აზრის თავისუფლება არ სარგებლობს განსაკუთრებული უპირატესობით სხვა ძირითად უფლებებს შორის. არც ერთ ძირითად უფლებას არა აქვს წინასწარ დადგენილი უპირატესობა. ამავე დროს დიფერენცირებული დამოკიდებულება არსებობს ერთი მხრივ, ფაქტებისა და შეხედულებების გამოხატვას შორის, და მეორე მხრივ, კერძო და საჯარო პირთა ღირსებისა თუ რეპუტაციის დაცვას შორის.

ევროპაში გამოხატვის თავისუფლების დაბალანსება ხდება ისეთი საპირწონე ფასეულობით, როგორიცაა სხვათა რეპუტაცია, ღირსება, პირადი თუ ოჯახური ცხოვრების ხელშეუვალობა. ამასთან, ინტერესთა დაბალანსების თვალსაზრისით კერძო პირები უფრო მეტად არიან დაცული, ვიდრე საჯარო პირები.

კ. კუბლაშვილი გერმანიის სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე წერს: პიროვნებისა და მისი ღირსების დაცვა აქ, როგორც წესი, ყოველთვის უპირატესობას იძენს. აზრის თავისუფლებამ ყოველთვის უკან უნდა დაიხიოს, როდესაც შეხედულებით შელახულია ადამიანის ღირსება. დაუშვებელია ადამიანის

---

ლია ცილისწამებისა და შურაცხყოფის დეკრიმინალიზება“, ადამიანი და კონსტიტუცია, №4, 2000, გვ. 285.

<sup>1</sup> კ. კუბლაშვილი, „აზრის თავისუფლება – ადამიანის უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლება“, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში“, თბ. 2002, გვ. 122 (პ. შვარცის სიტყვები ციტირებულია ამავე ნაშრომიდან)



ღირსების, როგორც ყველა სხვა ძირითადი უფლების საფუძვლის, შედარება სხვა სიკეთებთან. თუმცა არსებობს გამონაკლისიც, შემთხვევები, როდესაც საქმე ეხება საჯარო პირს და მისი ღირსების შელახვას აზრის თავისუფლებით. საჯარო პირების მიმართ საზოგადოების ინტერესი ყოველთვის ლეგიტიმურია და ხშირად ეს დავები აზრის თავისუფლების სასარგებლოდ მთავრდება. მაგრამ საჯარო პირებთან მიმართებაშიც კი პიროვნების ღირსების დაცვის ინტერესი უპირატესობას ინარჩუნებს, როდესაც გამონათქვამი შეფასდება, როგორც ფორმალური შეურაცხყოფა ან უხამსი კრიტიკა <sup>1</sup>.

არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლება ევროპის სასამართლოს პრაქტიკიდან, როცა მან სიტყვის თავისუფლებასა და ღირსების (რეპუტაციის) დაცვის უფლებებს შორის კოლიზიის დროს საქმე ღირსების (რეპუტაციის) დაცვის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ასე, მაგალითად, მაკ-კეიკარი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ლესნიკი სლოვაკეთის წინააღმდეგ, ნადრეას ვაბლი ავსტრიის წინააღმდეგ, ფუნტეს ბობო ესპანეთის წინააღმდეგ, იანოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ, საფრანგეთის რადიო საფრანგეთის წინააღმდეგ, პრინცესა კაროლინა გერმანიის წინააღმდეგ და სხვ. <sup>2</sup>

ევროპის სასამართლომ საგულისხმო განმარტებები გააკეთა პირად ცხოვრებაზე, საქმეში პრინცესა კაროლინა გერმანიის წინააღმდეგ. ევროსასამართლომ განიხილა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონცეფცია და აღნიშნა, რომ ის შედგება მრავალი ელემენტისაგან, მათ შორის პირის ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობისაგან, მისი იდენტიფიკაციისაგან და სხვა ელემენტებისაგან. გერმანიის სხვადასხვა ყურნალის მიერ იმ ფოტოების გამოქვეყნება, რომლებზეც პრინცესა კაროლინა გამოსახული იყო ყოველდღიური ცხოვრებისას თუ სხვა პირებთან ერთად, მართლაც შედიოდა მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კატეგორიაში.

1 კ. კუბლაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 124-125.

2 „ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი“, განჩინებათა და გადაწყვეტილებათა მიმოხილვა, თბ. 2005.

ასევე, „გამოხატვის თავისუფლება“, თავისუფლების ინსტიტუტი, ტ. I, 2005

სასამართლომ მიიჩნია, რომ პირადი ცხოვრების დაცვასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის დაბალანსების გადამწყვეტი ფაქტორი ის იყო, თუ რას წარმოადგენდა გამოქვეყნებული ფოტოები და სტატიები საჯარო ინტერესის თვალსაზრისით და რა წვლილი შექმნდა მათ საჯარო დებატებში. მოცემულ საქმეში არსებულ ფოტოებზე გამოსახული იყო პრინცესას ყოველდღიური ყოფითი ცხოვრების სცენები, რომელსაც აშკარა პირადი ხასიათი ჰქონდა. ფოტოები გადაღებული იყო მისი ცოდნისა და თანხმობის გარეშე, ზოგჯერ ფარულად. ამ ფოტოების გამოქვეყნებას არავითარი წვლილი არ შეუტანია საჯარო დებატებში, ვინაიდან იგი არ ახორციელებდა ოფიციალურ ფუნქციას. შესაბამისად, ფოტოები და სტატიები დაკავშირებული იყო ექსკლუზიურად მისი პირადი ცხოვრების დეტალებთან. სასამართლომ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა პირადი ცხოვრების დაცვის ფუნდამენტურ მნიშვნელობას პიროვნების განვითარებისათვის და აღნიშნა, რომ ყველას, მათ შორის, საზოგადოებაში ცნობილ პირებს, უნდა ჰქონდეთ ლეგიტიმური მოლოდინი, რომ დაცული იქნება მათი პირადი ცხოვრება<sup>1</sup>.

რა ხდება საქართველოში? რა ბალანსი შეიძლება არსებობდეს, ერთი მხრივ, სიტყვის თავისუფლებასა და, მეორე მხრივ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის; როგორ შეიძლება დაპირისპირებულ ინტერესთა ისეთი დაბალანსება, რომ სამართლიანად იქნეს რეალიზებული საზოგადოების უფლება ინფორმაციის მიღებაზე და სახელმწიფოს კანონიერი მიზანი – დაცვას ადამიანის რეპუტაცია, ღირსება, პირადი თუ ოჯახური საიდუმლოება.

რამდენადაც პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ბევრი ელემენტი მორალთან არის დაკავშირებული, ევროპის სასამართლო ეროვნულ ხელისუფლებას ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას უტოვებს, რამეთუ ზნეობრივ ღირებულებათა დაცვის სფეროში ერთიანი ევროპული მიდგომა არ არსებობს; სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება კი, ხშირ შემთხვევაში, კონ-

---

<sup>1</sup> „გამოხატვის თავისუფლება“, თავისუფლების ინსტიტუტი, ტომი I, გვ. 371-372.

ფლიქტშია საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობისა და მორალის მოთხოვნებთან (პრინციპებთან). განსაკუთრებით მტკივნეულად ეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან დაპირისპირების დროს აღიქმება.

საქართველოში ზოგიერთმა ადამიანმა, განსაკუთრებით კი მასმედიაში, სიტყვის თავისუფლება აბსოლუტურ უფლებად აღიქვა, ანუ ყველაფრის თქმის და გავრცელების უფლებად, რაც, რა თქმა უნდა, მცდარი შეხედულებაა.

ქ. კუბლაშვილს ზემოაღნიშნულ დაპირისპირებულ სიკეთებს შორის კოლიზიის გადაჭრის ქართული გზა ასე ესახება: აზრის თავისუფლებასა და პიროვნების ღირსებას შორის კოლიზიის გადაწყვეტის საკითხს, ამ ორივე უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ძალიან ფრთხილად უნდა მივუდგეთ. საქართველოს კონსტიტუცია ორივე უფლებას თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს, ამიტომ უნდა მოხდეს მათი (ე. ი. ძირითადი უფლებების) შედარება ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით. ნამდვილი ფაქტების შემთხვევაში აზრის თავისუფლებას ყოველთვის უპირატესობა უნდა მიენიჭოს (გამონაკლისი შეიძლება მხოლოდ ინტიმური სფერო იყოს). შედარება, და არა თავიდანვე ღირსების დაცვისათვის უპირატესობის მიცემა, უნდა მოხდეს მაშინაც, როცა საქმე ეხება ფორმალურ შეურაცხყოფას ან უხამს კრიტიკას. მოცემული საქმის ყოველი დეტალი ზედმიწევნით უნდა შემოწმდეს, რათა აზრის თავისუფლება უსაფუძვლოდ არ შეიზღუდოს.

შემდეგ დასძენს, რომ აღნიშნული კოლიზიების გადაწყვეტისას მოსამართლეებმა უნდა გამოიყენონ ე. წ. ვარაუდის წესი, რომლის მიხედვითაც იმ შემთხვევაში, თუ საქმე საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის საგანს ეხება, წინასწარ უპირატესობა ენიჭება აზრის თავისუფლებას. თუკი დადგინდება, რომ გამონათქვამით შეგნებულად გავრცელდა ცრუ ფაქტები და უხამსი კრიტიკით დაირღვა სხვა პირის კანონიერი უფლებები, მაშინ შედარების შედეგად ღირსების დაცვას შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა, ხოლო როდესაც გამონათქვამი ეხება საჯარო პირს ან საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხს და ხელს უწყობს საჯარო აზრის ჩამოყა-

ლიბების პროცესს, შედარების საფუძველზე, ვარაუდი წინასწარ აზრის თავისუფლების სასარგებლოდ უნდა გამოითქვას<sup>1</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მწირი სასამართლო პრაქტიკა სწორედ ამ მიმართულებით ვითარდებოდა ე. წ. ვარდების რევოლუციამდე. ასე მაგალითად, საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის და სამინისტროს სხვა მაღალი თანამდებობის პირების პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვასთან დაკავშირებული სარჩელი ჟურნალისტ ე. ჩაფიძისა და გაზეთ „რეზონანსის“ წინააღმდეგ თბილისის საოლქო სასამართლომ აზრის გამოხატვის ძირითადი უფლების სასარგებლოდ გადაწყვიტა<sup>2</sup>. სასამართლომ გაზეთის მეშვეობით გავრცელებული ინფორმაცია ჟურნალისტის მოსაზრებად შეაფასა, რაც მას ჩამოუყალიბდა ჟურნალისტური გამოძიების მასალების გაანალიზების შედეგად. თბილისის საოლქო სასამართლო დაეყრდნო ევროპის სასამართლოს პრეცედენტებსაც და აღნიშნა, რომ სახელმწიფო მოხელეთა მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე რიგითი მოქალაქეების მიმართ, რაც მათ აკისრებს ასეთი კრიტიკის მოთმენის ვალდებულებას, მიუხედავად მისი შეურაცხყოფელი, აღმამფოთებელი და შემაწუხებელი ხასიათისა.

სრულიად საპირისპირო გადაწყვეტილება მიიღო თბილისის საოლქო სასამართლომ ვ. ასათიანის სარჩელის საფუძველზე სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „ნ0 წუთის“ წამყვანის ა. გოგიჩაიშვილისა და ი. კერესელიძის წინააღმდეგ.

ჟურნალისტმა ა. გოგიჩაიშვილმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მეშვეობით გაავრცელა მოსარჩელის პატივის, ღირსებისა და რეპუტაციის შემლახველი ინფორმაცია, რომლითაც მოსარჩელე დაადანაშაულა მკვლელობაში, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობასა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად

---

1 კ. კუბლაშვილი, „აზრის თავისუფლება – ადამიანის უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლება“, გვ. 127-128.

2 საქმე ეხებოდა გაზეთ „რეზონანსში“ 2001 წლის 16, 17 და 21 მარტს გამოქვეყნებულ სტატიებს. პუბლიკაციებში გატარებულია აზრი, რომ მოსარჩელეებმა მოტყუებით ჩაიგდეს ხელში და მინსაკუორეს საფეხბურთო კლუბი „თბილისის დინამო“.

გამოყენებაში. ტელეკომპანია და ჟურნალისტი ტექნიკური, აუდიო და ვიზუალური მონტაჟის საშუალებით, მაყურებლის ქვეცნობიერზე ზემოქმედებით ცდილობდნენ გავლენა მოეხდინათ მრავალათასიან პუბლიკაზე და დაერწმუნებინა გავრცელებული ინფორმაციის („ფაქტების“) სინამდვილეში.

თბილისის საოლქო სასამართლომ დაადგინა როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-17 და 24-ე მუხლების, ისე ევროკონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. მან მოიმარჯვა ევროპის სასამართლოს პრეცედენტული სამართალიც და აღნიშნა, რომ ტელევიზიით გავრცელებული ინფორმაცია იყო ცნობები ფაქტების შესახებ, რომელთაც დამტკიცება სჭირდება, ეს კი მათ ვერ მოახერხეს. გავრცელებულმა ცნობებმა აშკარად შელახა ვ. ასათიანის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. უფრო მეტიც, ტელევიზიით საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია ვ. ასათიანის შვილის სასიკვდილო დიაგნოზის შესახებ წარმოადგენდა მისი პირადი და ოჯახური საიდუმლოს ხელყოფას. სასამართლომ აღნიშნა, რომ პირადი ცხოვრების საიდუმლოს გახმაურება არის კონსტიტუციის მე-20 მუხლით და ევროპის კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლების ხელყოფა. სასამართლომ სწორად მოახდინა პირადი ცხოვრების უფლების განმარტებაც. ცნობები მოსარჩელის შვილის ავადმყოფობის შესახებ წარმოადგენდა მისი პირადი, ოჯახური ცხოვრების საიდუმლოს, ვინაიდან ის არ ეხება პიროვნების საზოგადოებრივ ცხოვრებას და გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის. ამ ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნებით ჟურნალისტმა სულიერი ტრამვა მიაყენა როგორც თავად ავადმყოფს, რომელმაც არ იცოდა სასიკვდილო დიაგნოზი, ასევე მის ოჯახს.

ეს საქმე წარმოადგენს ცილისწამებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ხელყოფის კლასიკურ მაგალითს. საკითხავია, რატომ წარიმართა იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით და არა სისხლის სამართლის წესით?! ჯერ ერთი, იმ პერიოდისთვის ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობა დეკრიმინალიზებული არ იყო (მუხლი 148), მეორეც, სახეზე იყო პირადი და ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა დამამძიმებელ გარემოებებში, რაც ღღესაც დანაშაულად ითვლება (მუხლი 157).

ამ საქმით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მართალია ევროპული პრეცედენტული სამართალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მედიის თავისუფლებას და არც ჩვენთან უარყოფს ვინმე აზრის თავისუფლების მნიშვნელობას, მაგრამ მედია მაინც არ სარგებლობს აბსოლუტური პრივილეგიით და ეკრძალება სხვისი ღირსების, პატივისა და პირადი ცხოვრების საიდუმლოს დაუსაბუთებლად ხელყოფა. ჟურნალისტმა ყველა გონივრულ ზომას უნდა მიმართოს, რათა დარწმუნდეს გაშუქებული ინფორმაციის უტყუარობაში, დაიცვას ეთიკის ნორმები <sup>1</sup>.

პოსტრევოლუციურ საქართველოში სიტყვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებათა თანაფარდობაში არსებითი ცვლილებები მოხდა.

2004 წლის კანონმა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ განაპირობა მთელი რიგი ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში, კერძოდ, მოხდა ცილისწამების მთლიანად დეკრიმინალიზაცია, ცვლილებები შევიდა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში. აიკრძალა ცილისმწამებლური ცნობების უარყოფის მოვალეობა და მტკიცების პროცესი შებრუნდა. ახლა თავად მოსარჩელეა ვალდებული ამტკიცოს მის მიმართ გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობა.

ამ მუხლის ძველი რედაქციით დიფამაციური შინაარსის ცნობების გამავრცელებელს შეიძლებოდა დაკისრებოდა ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის დასაცავად ცნობების უარყოფა, თუ ის ვერ დაამტკიცებდა მათ სინამდვილეს. ამგვარი მოვალეობა აზრის გამოხატვის იძულებად იქნა შეფასებული. აღსანიშნავია, რომ ამგვარ ცვლილებას სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში თავის დროზე მხარი არ დაუჭირა საქართველოს საკონსტიტუციო სამართლომ, რაც, პირველ რიგში, რომანულ-გერმანული სამართლის სისტემისადმი ერთგულებით ახსნა, ამასთანავე ხაზი გაუსვა ჩვენს საზოგადოებაში გაბატონებულ ღირებულებებს, რომლებიც

---

1 კ. კორკელია, „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში“, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვა“, თბ. 2002, გვ. 53-108, ასევე „გამოხატვის თავისუფლება“, ტომი II, გვ. 139-142.

ხალხის ზნე-ჩვეულებებიდან მომდინარეობს<sup>1</sup>.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი პოლიტიკური დებატების ფართო გარანტიები, მტკიცების სტანდარტი და ტვირთი, გარანტიები საიდუმლოს გამხელისთვის, პასუხისმგებლობის ფარგლები ცილისწამებისათვის სრულ კარტბლანშს აძლევს მასმედიას თუ ჩვეულებრივ მოკვდავს პიროვნების დიფამირებისათვის. დღეს, საქართველოში პატივისა და ღირსების დაცვის სისხლისსამართლებრივი გარანტიები აღარ არსებობს. ამ ფუნდამენტური უფლებების დასაცავად ბრძოლა მხოლოდ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. თუ შეიძლება, ისიც ძალიან შეზღუდულია, ვინაიდან სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონით დადგენილი აბსტრაქტული დებულებები ადამიანის ღირსებასა და პატივს პრაქტიკულად დაუცველს ტოვებს.

როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, ახალი კანონი სრულიად გაუცხოვებულია პატივისა და ღირსების დაცვის ევროპულ სამართალში მიღებულ გაგებასთან. იგი ინგლისურ-ამერიკულ პრინციპებზეა აგებული და აშკარა კონფლიქტშია საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ღირებულებებთან<sup>2</sup>.

ამ კანონის ერთ-ერთი კრიტიკოსი დ. გაბეხაძე წერს: „გამოხატვის თავისუფლებისათვის ნორმატიულ დონეზე ამგვარი ცალმხრივი უპირატესობის მინიჭება არ შეესაბამება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით ჩამოყალიბებულ დებულებებს, არღვევს კოლიზირებულ სიკეთეთა კონკრეტული შედარების პრინციპს და აკნინებს რეპუტაციას, როგორც დაცული ფასეულობის ღირებულებას“<sup>3</sup>.

სავსებით ვიზიარებთ ამ შეხედულებას და მიგვაჩნია, რომ

---

1 იხ. ბ. ზოიძე, „საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებების წესრიგი საქართველოში“, თბ. 2007, გვ. 100.

2 ბ. ზოიძე, დასახ. შრომა, გვ. 161.

3 დ. გაბეხაძე, „რეპუტაცია, როგორც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი“, სტატიათა კრებული, გვ. 63, ასევე, „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე“, სტატიათა კრებული, თბ. 2006.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საპირწონე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაა. ამ სამართლებრივი ღირებულების დაცვის მოთხოვნა სრულებითაც არ ნიშნავს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას. რას ვუწუნებთ ევროპულ დემოკრატიას, სადაც პიროვნების ღირსებისა თუ ზოგადად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას საგანგებო ყურადღებას უთმობენ გერმანია, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი.

აღსანიშნავია, რომ თავად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-17 მუხლი კრძალავს აზრის გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებას, რომ აღარაფერი ვთქვათ მე-10 მუხლის მეორე პუნქტით დადგენილ აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველზე, რომელთა შორის სხვათა რეპუტაციის დაცვაც არის ხაზგასმული.

აღბათ, შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მეოთხე პუნქტი აზრის გამოხატვის შეზღუდვის საფუძველად ხაზგასმას აკეთებს ღირსების დაცვაზე. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილმა შემწყნარებლობამ გამოხატვის თავისუფლებისადმი შეიძლება მიგვიყვანოს პატივისა და ღირსების, როგორც ადამიანური ფასეულობის, სრულ დევალვაციამდე და იგნორირებამდე.

უფრო პესიმისტურ დასკვნას აკეთებს ო. გამყრელიძე, რომელიც წერს: „ცილისწამებისა და შეურაცხყოფის დეკრიმინალიზაცია საქართველოში სიტყვის თავისუფლების უკეთ დაცვის საბაბით მოვახდინეთ და მხედველობიდან გამოგვრჩა საქართველოში არსებული ვითარება, ტრადიცია და ზნე-ჩვეულებები. ამით, პრაქტიკულად, ჩვენ გზა გავუხსენით ყოველგვარ ბილწსიტყვაობას და აღვირახსნილობას, რამაც შეიძლება საზოგადოებრივი ზნეობის დაქვეითება გამოიწვიოს“<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ო. გამყრელიძე, რამდენად მიზანშეწონილია ცილისწამებისა და შეურაცხყოფის დეკრიმინალიზება? „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2002 წ.



## მუხლი 158. კერძო საუბრის საიდუმლოების დარღ- ვევა

1. კერძო საუბრის უკანონოდ ჩაწერა ან მიყურადება ტექნიკური საშუალების გამოყენებით, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. კერძო საუბრის ტექნიკური საშუალებით მიღებული ჩანაწერის ანდა ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის უკანონოდ გამოყენება ან გავრცელება, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:

ა) ანგარებით;

ბ) არაერთგზის;

გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

*(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი – საქართველოს საკანონ-  
მდებლო მაცნე 1, 2006, №14, მუხ. 90)*

პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელ-  
შეუხებლობის უფლებები განეკუთვნება ადამიანის ძირითად  
უფლებებს. კონსტიტუციურ დონეზე ისინი უზრუნველყოფილია  
საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით, რომლის პირველი  
ნაწილის თანახმად, ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პი-  
რადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი  
სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე  
ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინება ხელშეუხებე-  
ლია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს

გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

პირადი სფეროს დაცვა და მისი ხელშეუხებლობა გარანტირებულია ასევე 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, რომლის პირველი პუნქტი ადგენს ნათლად განსაზღვრულ უფლებებს, რომლებიც გარანტირებულ უნდა იქნეს ინდივიდისთვის სახელმწიფოს მიერ. ეს უფლებებია: პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, საცხოვრებელი და მიმოწერა. როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე ადამიანი უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით აღნიშნული უფლებები არ არის აბსოლუტური, რაც იმაში გამოიხატება, რომ გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა, დასაშვები გახდეს საჯარო ხელისუფლების მიერ მათი შეზღუდვა<sup>1</sup>. ასეთი შეზღუდვა ნიშნავს სახელმწიფოს მიერ ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც პირს საერთოდ უკრძალავს ან უზღუდავს კონსტიტუციით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების, მიმოწერის ან საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის უფლებით სარგებლობას. სწორედ ასეთი გამონაკლისი გარემოებები მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლში და კანონში „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. იმ შემთხვევაში კი, როცა ასეთი უფლებების ხელყოფა ხდება კანონის დარღვევით, უკვე მოქმედებას იწყებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის 158-ე მუხლი მიუთითებს კონსტიტუციით დაცული სფეროს – კერძო საუბრის საიდუმლოების დარღვევაზე.

განსახილველი მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ობიექტურ შემადგენლობას ქმნის კერძო საუბრის უკანონოდ ჩაწერა ან მიყურადება ტექნიკური საშუალების გამოყენებით. იგი გულისხ-

---

1 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბ., 2004, გვ. 256

მობს ამ საუბრის შინაარსის ჩაწერას იმ პირის თანხმობის გარეშე, რომელიც საუბრობს და, მეორე მხრივ, ამგვარი საუბრის მოსმენას კანონიერი საფუძვლის გარეშე<sup>1</sup>. „უკანონოდ“ მოქმედება იმას ნიშნავს, რომ ბრალდებული, რომელიც კანონის ან კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე არაა აღჭურვილი სათანადო უფლებამოსილებით, დაზარალებულის თანხმობის გარეშე, ე.ი. მისი ნების საწინააღმდეგოდ, ახდენს ასეთი საუბრის ჩაწერას ან მიყურადებას, რაც დაზარალებულის პირად ან ოჯახურ საიდუმლოებას წარმოადგენს. ასეთი საუბრის ჩაწერა კი, პირის თანხმობით დანაშაულის შემადგენლობას არ გვაძლევს. ამასთან, იურიდიულ ლიტერატურაში საკამათოა ისეთი შემთხვევა, როცა დაზარალებულმა წინასწარი იცის, რომ მისი საუბარი იწერება, მაგრამ იგი მაინც განაგრძობს საუბარს, ანუ ადგილი აქვს დაზარალებულის ე.წ. „დუმილით თანხმობას“<sup>2</sup>. აღნიშნულთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია არ არსებობს. ნაწილი მეცნიერებისა მიიჩნევს, რომ ეს არის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, ხოლო ნაწილი თვლის, რომ ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველი გარემოებაა. ამრიგად, თუ ადგილი ექნა ასეთ ჩაწერას ან მიყურადებას ტექნიკური საშუალების გარეშე, აღნიშნული მუხლის შემადგენლობა არ გვექნება, თუნდაც ეს მოხდეს მოსაუბრის თანხმობის გარეშე.

რაც შეეხება ტექნიკურ საშუალებას, ასეთად უნდა მივიჩნიოთ ყოველგვარი ტექნიკური მოწყობილობა, რომლის დახმარებითაც ხელმისაწვდომი ხდება კერძო საუბრის უკანონო ჩაწერა ან მიყურადება. მას მიეკუთვნება, მაგალითად, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, კინო და ფოტოგადაღებები და სხვა ტექნიკური საშუალება, რაც ზიანს არ აყენებს პიროვნების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას<sup>3</sup>. კერძო საუბრად კი, შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი დია-

---

1 იხ. მ. ლეკვიშვილი წიგნში: მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გვენტაძე, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1, მე-3 გამოცემა, 2008, გვ. 291

2 იხ. Lackner, StGB: Strafgesetzbuch mit Erläuterungen, 21. Auflage, 1995, გვ. 830, აგრეთვე, Dreher/Tröndle, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 45. Auflage, 1991, გვ. 1069

3 იხ. ზ. წულაია, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, პირველი ტომი, 2000, გვ. 290

ლოგი, რომელიც საჯარო ხასიათს არ ატარებს და მიმართული არ არის ფართო მასებისკენ<sup>1</sup>. კერძო საუბარი შესაძლებელია როგორც კერძო პირთან, ისე ორგანიზაცია-დაწესებულებების წარმომადგენლებთან<sup>2</sup>, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ხდება სხვადასხვა პირებს შორის უბრალოდ აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ან დისკუსია, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის შემადგენლობა სახეზე არ არის, თუმცა, ეს საკითხი შესაძლოა, საკამათოც გახდეს, ვინაიდან ასეთი დიალოგი კონკრეტული პირებისთვის შესაძლებელია, საიდუმლო საუბარსაც წარმოადგენდეს<sup>3</sup>.

ამრიგად, კერძო საუბრის საიდუმლოების ხელყოფა წარმოადგენს კონსტიტუციით დაცულ უფლებათა სფეროს დარღვევას, რაც სახელმწიფოს აკისრებს არა მარტო ნეგატიურ, არამედ ასევე პოზიტიურ ვალდებულებას, კერძოდ, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ ის, რომ სახელმწიფო ორგანოები და მისი წარმომადგენლები არ ჩაერევიან პირადი ცხოვრების ხელშეუხებელ უფლებათა სარგებლობაში, არამედ ისიც, რომ უზრუნველყოფილი იქნება ამ უფლების დაცვა მესამე პირის ხელყოფისგან<sup>4</sup>. აქედან გამომდინარე, თუ არ არსებობს თვით ინდივიდის თანხმობა ან კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევები, დაუშვებელია, რომელიმე ფიზიკური პირი ჩაერიოს სხვის პირად ცხოვრებაში, ფარულად თვალყური ადევნოს მას, მოუსმინოს მის საუბარს, მოახდინოს ფარული ჩანაწერები და ა. შ.

საკითხავია, ვრცელდება თუ არა ასეთი წესები საჯარო პირების მიმართ? საჯარო პირებზე, რომლებიც მნიშვნელოვან საჯარო ფუნქციებს ასრულებენ და, შესაბამისად, გამუდმებით, საზოგადოების ყურადღების ცენტრში არიან, ჩვეულებრივ მოქალაქეებთან შედარებით, უფრო სუსტად ვრცელდება ძირითა-

---

1 იხ. Wessels/Hettinger, Strafrecht, Besonderer Teil/1, 23. Auflage, 1999, გვ. 132

2 იხ. Lackner, StGB: Strafgesetzbuch mit Erläuterungen, 21. Auflage, 1995, გვ. 827

3 იხ. Wessels/Hettinger, Strafrecht, Besonderer Teil/1, 23. Auflage, 1999, გვ. 132-133

4 იხ. ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 2005, გვ. 123

დი უფლებებით უზრუნველყოფილი დაცვა. როგორც იურიდიულ ლიტერატურაშია მითითებული, ისინი იძულებული არიან, შეეგუონ ისეთ მდგომარეობას, რაც მათივე სამსახურებრივი საქმიანობით არის გამოწვეული და, ამასთან, შეასრულონ ისეთი ფუნქციები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ საზოგადოებისათვის. აქედან გამომდინარე, მათი ყოველი შეცდომა მკაცრად იქნება შეფასებული და გაკრიტიკებული საზოგადოების მიერ პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით. სწორედ ამიტომ, უნდა განვასხვავოთ საჯარო პირის პირადი ცხოვრება ჩვეულებრივ მოქალაქეთა პირადი ცხოვრებისგან, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი საზოგადოებისათვის საჯარო პირია და მისი საუბრებისა თუ საქმიანობის მიმართ საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი გაზრდილია. შესაბამისად, კერძო საუბარი თუ ურთიერთობა, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს ძირითადად საკუთარ სახლში, თავისი ოჯახის წევრებთან და სხვა უახლოეს ნათესავებთან, ხელშეუხებელია, მაგრამ როცა საჯარო პირი სამსახურებრივი უფლებამოსილებებისა და მოვალეობების შესრულებისას ესაუბრება კერძო პირს, ეს უკვე კერძო საუბარი აღარ არის. საჯარო პირი ამ დროს თავის საჯარო ფუნქციებს ასრულებს და, შესაბამისად, იგი არ არის დაცული პირადი ცხოვრების, კერძო საუბრისა და მიმოწერის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებებით.<sup>1</sup> ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო პირის მიერ ნებისმიერი ფორმით მიღებული ან გაცემული ინფორმაცია არის საჯარო ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, როცა საჯარო პირი, იქნება ეს მინისტრი, პროკურორი, მოსამართლე თუ სხვა, ინდივიდს საუბრისას მოსთხოვს ქრთამს ან შესთავაზებს სხვა უკანონო გარიგებას და ასეთ საუბარს პიროვნება ჩაიწერს, ცხადია, რომ ასეთი ჩანაწერის საფუძველზე უნდა განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო სასამართლომ უნდა გამოიყენოს იგი მტკიცებულებად გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის დროს<sup>2</sup>.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხ-

1 იხ. კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 2003, გვ. 166-167

2 ასეთი პოზიცია იხ. იქვე, გვ. 167

ლის მიხედვით, მტკიცებულებად სისხლის სამართლის პროცესში დასაშვებია ნებისმიერი სახის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი, რომლის მოპოვებისას ადგილი არ ჰქონია პირადი ცნობების საიდუმლოების დარღვევას. ასეთ შემთხვევაში ფარული საუბრის მწარმოებელი პირი სასამართლოს მიერ იკითხება ფარული ჩანაწერის წარმომავლობასთან დაკავშირებით. ფარული ჩანაწერი სისხლის სამართლის პროცესში იმ შემთხვევაში დაიშვება პირის ჩვენების სარწმუნოების შესაფასებლად, თუ იგი ფარულად დაფიქსირებულია იმ პირის მიერ, რომლის წინააღმდეგ მიმართული იყო დანაშაული და რომელიც არის საუბრის ან ქმედების მონაწილე ან თუ იგი დაფიქსირებულია ტექნიკური საშუალებით, შემთხვევით. არის თუ არა ფარული ჩანაწერი დასაშვები მტკიცებულება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს სასამართლოს მიერ.

ამ დანაშაულის ჩადენისთვის პასუხისმგებლობა მძიმდება, თუ პირი კერძო საუბრის ტექნიკური საშუალებით მიღებულ ჩანაწერს ანდა ტექნიკური საშუალებით მოპოვებულ ინფორმაციას უკანონოდ გამოიყენებს ან გაავრცელებს. მოპოვებული ინფორმაციის უკანონო გამოყენება უნდა გავიგოთ ისეთნაირად, როცა ბრალდებული აღნიშნული გზით მოპოვებულ მონაცემებს გამოსადეგად გაიხდის და ისარგებლებს იმით. მისი გამოყენება შეიძლება მიზნად ისახავდეს შანტაჟს, პირის რეპუტაციის შელახვას და სხვ., ხოლო უკანონო გავრცელებაში უნდა მოვიაზროთ, როგორც მონაცემების შეტყობინება ერთი ან რამდენიმე პირისათვის. გავრცელება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით. გავრცელებაში იგულისხმება ასევე ინფორმაციის მიწოდება მასმედისათვის და ა.შ.<sup>1</sup>

ამ მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ ქმედებათა ჩადენას ანგარებით; არაერთგზის; რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

ანგარება გულისხმობს იმას, რომ ბრალდებული აღნიშნულ

---

<sup>1</sup> იხ. მ. ლეკვიშვილი წიგნში: მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გვენეტაძე, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1, მე-3 გამოცემა, 2008, გვ. 292, აგრეთვე, ზ. წულაია „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, პირველი ტომი, 2000, გვ. 290

ქმედებას ჩადის მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით. ცხადია, რომ ეს მოქმედება ზრდის დანაშაულის საშიშროებას და ამძიმებს მისთვის პასუხისმგებლობას. ანგარებას ადგილი აქვს მაშინაც, როდესაც დამნაშავე გარკვეული საზღაურის მიღებით ავრცელებს ან ყიდის მოპოვებულ ინფორმაციას.

რაც შეეხება არაერთგზისი დანაშაულის ცნებას, საქართველოს სსკ-ის მე-15 მუხლის თანახმად, არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ აღნიშნული დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მიერ განმეორებით იგივე ქმედების ჩადენას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დანაშაული არაერთგზისი ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ პირი კანონით დადგენილი წესით წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, ანდა თუ მას ნასამართლობა წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.

თუ კერძო საუბრის უკანონოდ ჩაწერამ ან მიყურადებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ეს უკვე დანაშაულის მატერიალურ შემადგენლობას ქმნის. აქ მნიშვნელოვანია, რომ ზიანის ცნება შეფასებით მომენტს შეიცავს და ყველა შემთხვევაში, საბოლოოდ სასამართლომ უნდა დაადგინოს. ერთ შემთხვევაში შეიძლება ზიანი იყოს მატერიალური, მეორე შემთხვევაში კი, ზიანს შეიძლება მორალური სახეც ჰქონდეს (მაგალითად, ოჯახის „დანგრევა“, საქმიანი რეპუტაციის შელახვა და სხვ.).

დამამძიმებელ გარემოებად გვევლინება აგრეთვე ისეთი შემთხვევა, როცა კერძო საუბრის უკანონოდ ჩაწერა ხდება პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. აქ შეიძლება ვიგულისხმოთ ისეთი პირები, რომლებსაც ასეთი ჩაწერის კომპეტენცია გააჩნიათ. ესენი კი, შეიძლება იყვნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, კერძოდ, პროკურორები, პოლიციის თანამშრომლები, მოსამართლეები და ა.შ. ასევე, დამნაშავედ შეიძლება მოგვევლინონ მოსამსახურეები, რომლებსაც გააჩნიათ დამატებითი შესაძლებლობა, თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გაეცნონ კერძო საუბარს ან ჩანაწერს სხვადასხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით და უკანონოდ გამოიყენონ ან გაავრცელონ იგი.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტური მხარე ხა-  
სიათდება პირდაპირი განზრახვით. ბრალდებულს შეგნებული აქვს,  
რომ არღვევს მოქალაქის კემო საუბრის საიდუმლოს და სურს  
ასეთი ქმედების ჩადენა. რაც შეეხება მოტივთა სპექტრს, ასეთად  
ლიტერატურაში მითითებულია: ანგარება, მტრობა, შური და სხვ.<sup>1</sup>

## მუხლი 159. პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბ- რის ან სსკაგვარი ხერხით შემტყობინე- ბის საიდუმლოების დარღვევა

1. პირადი მიმოწერის ან საფოსტო გზავნილის, ტელეფონით ან  
სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის ანდა ტელეგრაფით, ფაქსით ან  
სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული ან გადაცემული შეტყობინების  
საიდუმლოების უკანონოდ დარღვევა, –

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვა-  
დით სამოციდან ას ოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით  
ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. იგივე ქმედება:

ა) ანგარებით;

ბ) არაერთგზის;

გ) საშსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

დ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე,  
თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით  
სამ წლამდე.

პირადი მიმოწერის ან საფოსტო გზავნილის, ტელეფონით  
ან სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის ანდა ტელეგრაფით,  
ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული ან გადაცე-  
მული შეტყობინების საიდუმლოების ხელშეუხებლობის ძირითადი

---

<sup>1</sup> იხ. მ. ლეკვეიშვილი წიგნში: მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გვენეტაძე,  
გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1, მე-3 გამოცემა, 2008, გვ.  
292, აგრეთვე, ზ. წულაია, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, პირველი ტომი,  
2000, გვ 291



უფლებით დაცულია ადამიანის კერძო სფერო, აგრეთვე ადამიანთა უფლება, ერთმანეთთან იქონიონ სხვა ადამიანების ყოველგვარი კონტროლისა და თვალთვალისგან თავისუფალი სოციალური ურთიერთობა. ეს ძირითადი უფლება, უპირველეს ყოვლისა, გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით. იგი აძლევს საშუალებას ადამიანს, პირადად, კერძო სფეროში საზოგადოების ჩარევისა და ყურადღებისაგან თავისუფალ პირობებში, მოახდინოს ინფორმაციების, მოსაზრებებისა და შთაბეჭდილებების გაცვლა-გაზიარება. აღნიშნული უფლებით შეიძლება ისარგებლოს ნებისმიერმა ადამიანმა, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა თუ მოქალაქეობის არქონისა, აგრეთვე, ყველა კერძო სამართლის იურიდიულმა პირმაც. რაც შეეხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ისინი ვერ სარგებლობენ ამ უფლებით, ვინაიდან, მიიჩნევა, რომ დაუშვებელი და შეუძლებელია, სახელმწიფო ერთდროულად იყოს ძირითადი უფლებების მფლობელიც და მისი ადრესატიც<sup>1</sup>.

პირადი ცხოვრების კონცეფცია მოიცავს ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობას<sup>2</sup>. როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ისე ევროპული კონვენცია იცავს პირის ამ უფლებას. საჯარო ხელისუფლების ნებისმიერი წამომადგენელი, ერთი მხრივ, ვალდებულია უკანონოდ არ ჩაერიოს პირის პირად ცხოვრებაში, მეორე მხრივ, კი, თავად პატივი სცეს სხვის პირად ცხოვრებასა და მის ხელშეუხებლობას (ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულება). საქმეში – *X & Y v. the Netherlands* სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ „მე-8 მუხლი არა მხოლოდ ავალდებულებს სახელმწიფოს, თავი შეიკავოს შეზღუდვებისაგან: ამ ძირითად ნეგატიურ ვალდებულებასთან ერთად, შეიძლება არსებობდეს პოზიტიური პირადი და ოჯახური ცხოვრების ეფექტიანი პატივისცემის ვალდებულება... ასეთმა ვალდებულებამ შეიძლება

1 იხ. კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 2003, გვ. 155

2 იხ. ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 2005, გვ. 131

საჭირო გახდოს ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას, თუნდაც ინდივიდებს შორის ურთიერთობათა სფეროში.<sup>41</sup> თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში კანონმდებლობა მის შეზღუდვასაც ითვალისწინებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხსენებული უფლებები არ არის აბსოლუტური. ასეთი შეზღუდვა სახელმწიფოს მიერ ისეთი ღონისძიებების გატარებას გულისხმობს, რომლებიც პირს საერთოდ უკრძალავენ ან უზღუდავენ კონსტიტუციით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის უფლებით სარგებლობას. კონსტიტუციის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი ითვალისწინებს, რომ „აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას“. უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო, რომელიც ამ უფლებათა შეზღუდვის გარემოებებზე საუბრობს, ახდენს შედარებას ამ მუხლით დაცულ სიკეთესა და იმ სიკეთეს შორის, რომლის დაცვასაც მიზნად ისახავს ასეთი შეზღუდვა.

პირადი მიმოწერის შემოწმებისა და სატელეფონო საუბრების მოსმენის ზუსტი წესების მოწესრიგება ხდება პრევენციული და რეპრესიული ამოცანებიდან გამომდინარე. პირველი მათგანი მიზნად ისახავს დანაშაულისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის წინასწარ აღკვეთას, ხოლო მეორე – სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისა და ამოცანების შესრულებას წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პროცესში. ეს საკითხები რეგულირდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და კანონით „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“. აღნიშნული კანონი ადგენს ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მიზნებს. კერძოდ, ძირითადი უფლების შეზღუდვის მიზანია:

(ა) დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება;

---

1 იხ. X & Y v. the Netherlands, 1985 26 მარტის განაჩენი. ციტირებულია წიგნიდან: ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, სტატიათა კრებული, რედ. კ. კორკელია, 2007. გვ. 208

(ბ) იმ პირის დადგენა, რომელიც ამზადებს, სჩადის ან რომელსაც ჩადენილი აქვს დანაშაული ან სხვა მართლსაწიანდამდეგო ქმედება;

(გ) იმ პირის ძებნა და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის წარდგენა, რომელიც ემალება გამოძიებას, სასამართლოს, თავს არიდებს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ან იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიების მოხდას;

(დ) დანაშაულებრივი ან სხვა მართლსაწიანადმდეგო ხელყოფის შედეგად დაკარგული ქონების ძებნა და დადგენა;

(ე) უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ძებნა;

(ვ) სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება.

სწორედ ამ მიზნების მისაღწევად კანონი უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს ანიჭებს უფლებას, განახორციელოს ვიზუალური კონტროლი<sup>1</sup>, დაკავებულის, დაპატიმრებულის და მსჯავრდებულის კორენსპოდენციის ცენზურა<sup>2</sup>, მოსამართლის ბრძანებით სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა, ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან, საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილთა კონტროლი (გარდა დიპლომატიური ფოსტისა), ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენებაც ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს.<sup>3</sup> გარდა ამისა, კანონი ითვალისწინებს ასევე გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებსაც, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როდესაც შეუძლებელია მოსამართლის ბრძანების მიღება მისი ადგილზე არყოფნის გამო და ადგენს, რომ ასეთი ღონისძიებები შეიძლება განხორციელდეს მოსამართლის ბრძანების გარეშეც<sup>4</sup>.

1 იხ. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი

2 იხ. იქვე, მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი

3 იხ. იქვე, მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი

4 იხ. ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 2005, გვ. 138-139

მასასადაბე, ზემოთ დავასახელებთ ის შემთხვევები, როცა პირადი მიმოწერისა და ტელეფონით საუბრის შეზღუდვა ხდება კანონით დადგენილ ფარგლებში. იმ დროს კი, როცა ასეთი უფლებების ხელყოფა ხდება კანონის დარღვევითა და მისი უგულველყოფით, პირს პასუხისმგებლობა სისხლისსამართლებრივად ეკისრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლით.

აღნიშნული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა ხორციელდება პირადი მიმოწერის ან საფოსტო გზავნილის, ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის ანდა ტელეგრაფით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული ან გადაცემული შეტყობინების საიდუმლოების უკანონოდ დარღვევით<sup>1</sup>.

სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლის განხილვის გამარტივების მიზნით, იგი შეიძლება დაეყოს ორ ნაწილად: პირველი ნაწილი მოიცავს წერილობით მიმოწერას („პირადი მიმოწერა ან საფოსტო გზავნილი“), მეორე ნაწილი კი – ტელეფონით, ტელეგრაფით, ფაქსითა და სხვა ტექნიკური საშუალებით ურთიერთობას. თუმცა ასეთი დაყოფა პირობითია, ვინაიდან მიმოწერა თავის თავში მოიცავს წერილობით მასალას, რომელიც ასევე გულისხმობს როგორც ფოსტით გაგზავნილ მასალას, ასევე სატელეფონო კომუნიკაციებს<sup>2</sup> და ტელექსით გადაცემულ შეტყობინებებს<sup>3</sup>.

პირად მიმოწერაში იგულისხმება არა მხოლოდ პირადი ნაწერები, ჩანაწერები და დღიურები, არამედ გამგზავნისა და მიმღებს შორის მოძრავი ყველა სახის წერილობითი ინფორმაცია და შეტყობინება<sup>4</sup>. მასში არ მოიაზრება წერილის მარკები, ბანკნოტები, სარეკლამო ქაღალდები და ა.შ.<sup>5</sup> გარდა ამისა, დაცულია ამ ინფორ-

---

1 იხ. მ. ლეკვიშვილი წიგნში: მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გვენეტაძე, გამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, მე-3 გამოცემა, 2008, გვ. 293

2 იხ. *Klass v. Germany*, 1978 წლის 6 სექტემბრის განაჩენი

3 იხ. განაცხადი №21482/93, *Campbell Christie v. the United Kingdom*, 1994 წლის 27 ივნისი, DR 78A, გვ. 119, ციტირებულია წიგნიდან: ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, 2004, გვ. 271

4 იხ. კ. კულაშვილი, ძირითადი უფლებები, 2003, გვ. 156

5 იხ. *Wessels/Hettinger, Strafrecht, Besonderer Teil/1*, 23. Auflage, 1999, გვ. 136

მაციისა და შეტყობინების გაგზავნა როგორც ფოსტის (საფოსტო გზავნილების, პაკეტების, ბანდეროლების და სხვ. სახით), ისე ნებისმიერი სხვა საშუალებით. ფოსტის საშუალებათა გამოყენების გარეშე ცნობების გაგზავნა ხდება წერილობითი გზავნილის, შიკრიკის ან კურიერის მეშვეობით მიწოდების შემთხვევაში. დაცულია ამ წერილობითი შეტყობინებების საიდუმლოება, ანუ დაუშვებელია, სახელმწიფომ რაიმე საშუალებით გაიგოს მათი შინაარსი. შესაბამისად, დაუშვებელია შეკრული გზავნილების გახსნა, აგრეთვე ცნობების შეკრება იმის შესახებ, თუ ვინ, ვისგან, როდის და რამდენად ხშირად იღებს წერილებს.<sup>1</sup> ამ მხრივ, ყურადსაღებია ევროპული სასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვითაც, პირის მიმოწერის დაცვის უფლება წარმოადგენს სხვა პირებთან განუწყვეტელი და აკრძალული კომუნიკაციის უფლებას<sup>2</sup>. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ამ უფლების განხორციელებისას, გარდა ისეთი ჩარევისა, რომელიც დაშვებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, ან უწესრიგობის, ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის, ან ზნეობის, ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად<sup>3</sup>. გამომდინარე აქედან, ყველა ის პირი, ვინც შეეცდება ამგვარი უფლების ხელყოფას, იქნება ეს კერძო პირი, თუ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი, პასუხისმგებლობა დაეკისრება, უპირველეს ყოვლისა, კოდექსის 159-ე მუხლით. ასე, რომ აღნიშნული დანაშაულის ამსრულებლად შესაძლებელია, მოგვევლინოს როგორც კერძო პირი, ისე სპეციალური სუბიექტიც.

მნიშვნელოვანია ასევე საკითხის სწორად გადაწყვეტა, როცა საქმე ეხება მსჯავრდებულის პირადი მიმოწერის საიდუმლოების დარღვევას, კერძოდ, შეუძლია თუ არა ასეთ პირს გაასაჩივროს იმ სასჯელალსრულებითი ორგანოს წარმომადგენლის

1 იხ. კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 2003, გვ. 156

2 იხ. ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, 2004, გვ. 271

3 იხ. იქვე, გვ. 174

ქმედება, რომელმაც მსჯავრდებულის პირადი წერილი გახსნა და წაიკითხა?

„პატიმრობის შესახებ“ 1999 წლის კანონის 50-ე მუხლი მიუთითებს მსჯავრდებულის უფლებაზე, შეუზღუდავი რაოდენობით მიიღოს ან გააგზავნოს წერილები, თუმცა, მიღებული ან გაგზავნილი წერილების შემოწმებასა და კონტროლზე მასში არაფერია ნათქვამი, განსხვავებით სატელეფონო საუბარისაგან, რომლის განხორციელება კანონით დადგენილი წესით ადმინისტრაციის კონტროლით ხდება. გამომდინარე აქედან, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მსჯავრდებულზეც იგივე სტანდარტები და წესები ვრცელდება პირადი მიმოწერის დროს, რაც ჩვეულებრივ სამოქალაქო პირზე. ევროპულმა სასამართლომ საქმეში „Campbell v. the United Kingdom“<sup>1</sup>, სადაც მსჯავრდებული ასაჩივრებდა მისი მიმოწერის პატივისცემის უფლების შეზღუდვას, დაადგინა, რომ ამ საქმეში ადგილი ჰქონდა შეზღუდვას კონვენციის მიზნებისათვის, ვინაიდან არსებული ციხის რეჟიმი იძლეოდა წერილების გახსნისა და წაკითხვის საშუალებას. ასეთ გარემოებებში კი, განმცხადებელს შეეძლო თავი გამოეცხადებინა კონვენციის მე-8 მუხლის ჭრილში მისი მიმოწერის პატივისცემის უფლების შეზღუდვის მსხვერპლად<sup>2</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირს მაშინ დაეკისრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, როცა იგი კორესპონდენციას ადრესატის ნებართვის გარეშე გაეცნობა. ამასთან, პრობლემურია იურიდიულ ლიტერატურაში ის საკითხი, როცა ასეთი კორესპონდენციის გაცნობა ხდება ოჯახის წევრების ან კიდევ სამსახურებრივად უფლებამოსილი პირების მიერ. კერძოდ, როდესაც ოჯახის ერთ-ერთი წევრი, ნებართვის გარეშე, სხვა წერილებთან ერთად იმ წერილის შინაარსს გაეცნობა, რომლის წაკითხვის უფლებასაც წერილის ადრესატი რეალურად მას არ მისცემდა. თითქოს, ერთი შეხედვით, ამ შემთხვევაში კოდექსის 159-ე მუხლის შემადგენ-

1 იხ. Campbell v. the United Kingdom, 1992 წლის 25 მარტის განაჩენი

2 იხ. ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, 2004, გვ. 274

ლობის შესრულება ზდება, მაგრამ თუ საკითხს დოგმატურად და-  
ეუკვირდებით, მართლწინააღმდეგობის ერთ-ერთი გამომრიცხველი  
გარემოება – დაზარალებულის სავარაუდო თანხმობა იკვეთება, მა-  
გრამ გაბატონებული შეხედულებით ასეთი თანხმობა არა მართლ-  
წინააღმდეგობას, არამედ ქმედების შემადგენლობას გამორიცხავს<sup>1</sup>.  
თუ პირი შეცდომას უშვებს პასუხისმგებლობის გამომრიცხველი  
გარემოების არსებობასთან დაკავშირებით, საკითხი გადაწყდება  
შეცდომის შესახებ ზოგადი დებულებების საფუძველზე.

რაც შეეხება სატელეფონო საუბრის ან სხვაგვარი ხერხით  
შეტყობინების საიდუმლოების დარღვევას, ევროპულმა სასამართ-  
ლომ საქმეებში – *Kruslin v. France* და *Huvig v. France*<sup>2</sup> დაადგინა,  
რომ „სატელეფონო საუბრების მოსმენა, სხვაგვარი მიყურადება  
პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის უფლების განსაკუთრებით  
მნიშვნელოვანი შეზღუდვაა და ამიტომ უნდა ემყარებოდეს კანონს,  
რომელიც განსაკუთრებით ზუსტია. მნიშვნელოვანია ზუსტი და  
დეტალური წესების არსებობა ამ საკითხზე, განსაკუთრებით  
იმის გათვალისწინებით, რომ ტექნოლოგია, რომელიც შეიძლება  
გამოყენებულ იქნეს, განუწყვეტლივ ვითარდება“<sup>3</sup>. მოთხოვნა –  
პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევა უნდა იყოს კანონზე და-  
ფუძნებული, ნიშნავს, რომ ჩარევას უნდა ჰქონდეს სამართლებრივი  
საფუძველი, შესაბამისი კანონი უნდა იყოს საკმარისად ზუსტი  
და შეიცავდეს საჯარო ხელისუფლების უკანონობისგან დაცვის  
გარანტიებს. სწორედ ასეთ გარანტიებზე საუბრობს საქართველოს  
სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლი, რო-  
მელიც ადგენს: „არავის არა აქვს უფლება, თვითნებურად ან  
უკანონოდ ჩაერიოს სხვის პირად ცხოვრებაში. საცხოვრებელი  
ბინის ან სხვა მფლობელობის, მიმოწეროს, საფოსტო გზავნილის,  
პირადი ჩანაწერის, სატელეგრაფო შეტყობინების, სატელეფონო

1 იხ. Wessels, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 25. Auflage, 1999, გვ 96-97

2 იხ. *Kruslin v. France* და *Huvig v. France* 1990 წლის 24 აპრილის  
განაჩენი

3 იხ. ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამარ-  
თალი, 2004, გვ. 278

საუბრის, სხვა ტექნიკური საშუალებით გადაცემული ან მიღებული პირადი ხასიათის ინფორმაციის ხელშეუხებლობა გარანტირებულია კანონით“. მაშასადამე, საქართველოს კანონმდებლობა იცავს ყოველი ადამიანის მიმოწერისა და სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით საუბრის უფლებას. მიმოწერის მსგავსად, სახელმწიფოს ეკრძალება გაეცნოს სატელეფონო ან სხვა სახის ტექნიკური საშუალებით საუბრის შინაარსს, დააწესოს კონტროლი ვისთან და რა ინტესივობით შედგა ასეთი საუბარი<sup>1</sup>. ამ დაცულ სფეროში ჩარევა შესაძლებელია, თუ არსებობს კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევები, რაზეც კონკრეტულად მიუთითებს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“. კერძოდ, ნებადართულია მოსამართლის ბრძანებით სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა, ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან. ამასთან, უფლებადამცველები კრიტიკას გამოთქვამენ იმის გამო, რომ კანონის გვერდით ავლით ასეთი საუბრების ფარულ მოსმენას ხშირად აქვს ხოლმე პრაქტიკაში ადგილი.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2007 წლის ანგარიშში ასახულ იქნა 2007 წლის ნოემბერში გამართული პრეს-კონფერენციის დროს პენიტენციალური სისტემის უფროსის მიერ საჯაროდ გავრცელებული სახალხო დამცველსა და სახალხო დამცველის ოფისის თანმშრომელს შორის მიმდინარე სატელეფონო საუბრის ჩანაწერი. სახალხო დამცველის მოთხოვნა, წარედგინათ მისთვის ამ სატელეფონო საუბრის ჩაწერაზე გაცემული ნებართვა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა უპასუხოდ დატოვეს<sup>2</sup>. რეაგირების გარეშე დარჩა ასევე აღნიშნული ფაქტი სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

მაშასადამე, ნებისმიერი სატელეფონო, თუ პირადი მიმოწერის ხელყოფა კანონით გათვალისწინებული ნებართვის გარეშე

---

1 იხ. ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 2005, გვ. 132

2 იხ. ანგარიში ადამიანის უფლებების დაცვის პრაქტიკის შესახებ ქვეყნების მიხედვით – 2007, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი – დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის ბიურო, 6 მარტი, 2007, გვ. 29



სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს კოდექსის 159-ე მუხლით. აღნიშნული დანაშაული დამთავრებულად უნდა მივიჩნიოთ იმ მოქმედებათა განხორციელების მომენტიდან, რომელიც მითითებულია 159-ე მუხლის დისპოზიციაში<sup>1</sup>. სუბიექტური მხრივ, კი იგი შეიძლება ჩაღენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი არღვევს პირის კონსტიტუციურ უფლებას, სახელდობრ, პირადი მიმოწერისა და საუბრის საიდუმლოების შესახებ უფლებას და სურს მისი განხორციელება. მოტივთა სპექტრი მრავალგვარობით ხასიათდება, კერძოდ, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია: ცნობისმოყვარეობა, ეჭვიანობა, შურისძიება და ა.შ.<sup>2</sup>

რაც შეეხება დამამძიმებელ გარემოებებს, იგი სსკ-ის 158-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების ანალოგიურია.

## მუხლი 160. ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეშობის ხელშეშობის დარღვევა

1. ბინაში ან სხვა მფლობელობაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლა, უკანონო ჩხრეკა ან სხვა ქმედება, რომელიც არღვევს ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეშებლობას, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. იგივე ქმედება:

ა) ძალადობით ან ძალადობის მუქარით;

ბ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩაღენილი:

---

1 იხ. ზ. წულაია, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, პირველი ტომი, 2000, გვ. 293

2 იხ. მ. ლეკვიშვილი წიგნში: მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გვენეტაძე, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1, მე-3 გამოცემა, 2008, გვ. 294

ა) ჯგუფურად;

ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის ან იარაღის გამოყენებით, – ისევეა ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I, 2006, №14, მუხ. 90)

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით უზრუნველყოფილია ადამიანის ძირითადი უფლება საცხოვრებლის ხელშეუხებლობაზე. აღნიშნული მუხლები ანიჭებს პირს თავის საცხოვრებელში მშვიდად ცხოვრების უფლებას სახელმწიფოსა და მისი წარმომადგენლების ჩარევის გარეშე.<sup>1</sup> ამ უფლებით კი, დაცულია ადამიანის პირადი სფერო. „ყველას აქვს საკუთარ საცხოვრებელ ბინაში მშვიდად, სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი გარეგანი შემოჭრისა თუ ჩარევისაგან თავისუფალ, წყნარ პირობებში ცხოვრების უფლება“<sup>2</sup>. კონსტიტუციის მე-20 მუხლი განმარტავს, რომ არავის არა აქვს უფლება, შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა ან სხვა საგამომძიებო მოქმედება, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული აუცილებლობა.

კონსტიტუციური დებულებიდან გამომდინარე, მისი შესრულების უზრუნველსაყოფად სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლი კრძალავს ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევას. სახელმწიფო ჩარევისაგან ინდივიდის საცხოვრებლის დაცვა უზრუნველყოფს მისი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის აუცილებელ ელემენტარულ საცხოვრებ-

1 იხ. ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 2005, გვ. 133

2 იხ. კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 2003, გვ. 159

ელ გარემოს. სწორედ ამიტომ, განსახილველი დანაშაულის ობიექტია ის სამართლებრივი სიკეთე, რასაც მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლება ჰქვია. თავად საცხოვრებლის კონცეფცია კი, მოიცავს საცხოვრებლით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებას<sup>1</sup>. გამომდინარე აქედან, აღნიშნული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა ითვალისწინებს ბინაში ან სხვა მფლობელობაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლას, უკანონო ჩხრეკას ან სხვა ქმედებას, რომელიც არღვევს ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობას<sup>2</sup>.

საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლების სუბიექტია ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც კანონიერად ცხოვრობს საცხოვრებელში. იმ შემთხვევაში კი, თუ პირი ქირავნობის ან გირაოს საფუძველზე კანონიერად ფლობს და სარგებლობს ბინით, მაშინ საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოიყენოს სწორედ ამ პირმა და არა ბინის მესაკუთრემ<sup>3</sup>.

სიტყვები „საცხოვრებელი ბინა და სხვა მფლობელობა“ ფართოდ უნდა განიმარტოს. ზოგადად „საცხოვრებელი“ ის ადგილია, სადაც პირი მუდმივად ცხოვრობს. საქმეზე – *Niemiets v. Germany* – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სამსახურებრივი სათავსო შეიძლება მოცულ იქნეს „საცხოვრებლის“ ცნებით, ვინაიდან, „პროფესიასთან ან მეწარმეობასთან დაკავშირებული საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს პირის კერძო საცხოვრებელი სახლიდან, ხოლო საქმიანობა, რომელიც არ ეხება მას, შეიძლება განხორციელდეს ოფისში ან კომერციულ სათავსოში. გამომდინარე აქედან, ყოველთვის შესაძლებელი არ არის მათი ზუსტი გამიჯვნა“<sup>4</sup>. თავის მხრივ, საქართველოს სამოქალაქო კოდ-

1 იხ. Wessels/Hettinger, *Strafrecht, Besonderer Teil/1*, 23. Auflage, 1999, გვ. 142

2 იხ. მ. ლეკვიშვილი წიგნში: მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გვენტაძე, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, მე-3 გამოცემა, 2008, გვ. 295

3 იხ. კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 2003, გვ. 159

4 იხ. *Niemiets v. Germany*, 1992 წლის 16 დეკემბერი, ციტირებულია წიგნიდან: ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ზუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 2005, გვ. 133

ექსის მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილი განსაზღვრავს, თუ რა ითვლება პირის საცხოვრებელ ადგილად. იგი ადგენს, რომ „ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს“. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბინისა და მფლობელობის ცნებაში იგულისხმება არა მარტო სახლი, საცხოვრებელი ბინა, არამედ მასში შეიძლება ვიგულისხმოთ „სამსახურებრივი სათავსო“, სასტუმროს ნომერი, ოთახი საერთო საცხოვრებელში, სარდაფი, ავტოფარეხი და სხვ.<sup>1</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2004 წელს განიხილა გ. ს.-ს საქმე, რომელიც ახალციხის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 25 ივნისის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილით და 160-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით. გ. ს.-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან, მთვრალმა, ჩაიდინა კ. ი.-ს მფლობელობის – ავტოფარეხის ხელშეუხებლობის დარღვევა. კერძოდ, ტექნიკური საშუალების გამოყენებით გატეხა მისი კუთვნილი ავტოფარეხი, საიდანაც დროებითი გამოყენების მიზნით გაიტაცა ავტომანქანა „ჟიგული“ ვაზ-2106, რომელიც იმავე დღეს მიატოვა ერთ-ერთი მოქალაქის სახლის ეზოში<sup>2</sup>. სასამართლოს მიერ გაკეთებული კვალიფიკაცია არ არის სწორი. მიუხედავად იმისა, რომ კოდექსის 184-ე მუხლი დამამძიმებელ გარემოებას – სადგომში ან საცავეში უკანონო შეღწევას საერთოდ არ ითვალისწინებდა, ეს შემთხვევა დანაშაულთა ერთობლიობით არ უნდა დაკვალიფიცირებულიყო. დღევანდელი მდგომარეობით კი, სსკ-ის 184-ე მუხლი 2007 წლის 23 მაისის კანონით სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულია და იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება მსგავს ქმედებას, კვალიფიკაცია უკვე მოხდება არა ზემოთაღნიშნული მუხლებით, არამედ სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილი

1 იხ. მ. ლეკვეიშვილი წიგნში: მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გვენეტაძე, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, მე-3 გამოცემა, 2008, გვ. 295

2 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 26 თებერვლის №64-ა გადაწყვეტილება, წიგნში: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე. 2004, №2, გვ. 195

„ბ“ ქვეპუნქტით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ევროპელი მეცნიერი აღნიშნული მუხლის დეფინიციაში მოიაზრებს ასევე საჯარო თავშეყრის ადგილებსაც, მაგალითად: სკოლა, ეკლესია, მაღაზია. უფრო მეტიც, მასში გულისხმობენ აგრეთვე, ისეთი საჯარო გადაადგილების საშუალებებს, როგორცაა ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი და ა.შ.<sup>1</sup>

საკითხავია, იგულისხმება თუ არა საცხოვრებელი ბინის ცნებაში ის ადგილიც, სადაც მოქალაქე დიდი ხნის განმავლობაში არ ცხოვრობს. ამასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ საქმეში – „Gillow v. the United Kingdom“ ცალსახად დაადგინა, რომ განმცხადებლებს, რომლებსაც საკუთრებაში გააჩნდათ სახლი, მაგრამ 19 წლის განმავლობაში იქ არ ცხოვრობდნენ, უეჭველად შეეძლოთ მისთვის საცხოვრებელი ეწოდებინათ კონვენციის მე-8 მუხლის გაგებით. მიუხედავად მათი ხანგრძლივი არყოფნისა, ყოველთვის გააჩნდათ დაბრუნების განზრახვა. მათ შეინარჩუნეს „განგრძობადი კავშირები“ ქონებასთან. ეს კი, საქმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ჩათვლილიყო საცხოვრებლად. დაახლოებით მსავსი პრეცედენტი იყო საქართველოს სასამართლო პრაქტიკაშიც. კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2004 წლის განჩინებით მ. მ. დამნაშავედ სცნო ბინის მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევაში. იგი ქ. ბათუმში მდებარე ბინაში რკინის კარის სატეხის გამოყენებით ბინის მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ თავის ოჯახის წევრებთან ერთად შეიჭრა და იქ დასახლდა, რომელიც სინამდვილეში ეკუთვნოდა ც. ბ.-ს. სასამართლო პროცესზე მ. მ. ითხოვდა განაჩენის გაუქმებას და გამართლებას წარდგენილ ბრალდებაში იმ მოტივით, რომ იგი ამ ბინაში ცხოვრობს ათ წელზე მეტია, ამ ხნის განმავლობაში არ მომხდარა მისი ბინიდან გამოსახლება, იგი აღნიშნულ ბინას მიიჩნევს თავის საკუთრებად და არაფერი იცის იმის შესახებ, თუ

---

1 იხ. Dreher/Tröndle, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 45. Auflage, 1991, გვ 778, აგრეთვე, Wessels/Hettinger, Strafrecht, Besonderer Teil/1, 23. Auflage, 1999, გვ. 144

როგორ ან როდის გახდა ბინის მესაკუთრე ც. ბ. აღნიშნული არ-გუმენტი უზენაესი სასამართლოსთვის არადამაჯერებელი გამოდგა და მ. მ. კანონიერად ცნობილ იქნა დამნაშავედ<sup>1</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბინის მფლობელობის ხელშეუხებლობა ნიშნავს იმას, რომ დაცულია პირის საცხოვრებელი განზრახ ზიანის მიყენებისაგან სახელმწიფოსა და მისი წარმომადგენლების მხრიდან. თუმცა, საცხოვრებლის ხელშეუხებლობა არ არის აბსოლუტურად შეუზღუდავი ძირითადი უფლება. სახელმწიფო შეიძლება ჩაერიოს ამ ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში და მფლობელთა ნების საწინააღმდეგოდ შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, რომელიც წარმოადგენს ყველაზე მძიმე ჩარევას დაცულ სფეროში, მაგრამ არანაკლებ მძიმეა ისეთი ჩარევა, როგორიცაა ადამიანის საცხოვრებლის თვალთვალი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით<sup>2</sup>. აღნიშნული ქმედებები კი, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ კონკრეტულ შემთხვევებში, რასაც საფუძვლად უნდა ედოს მოსამართლის გადაწყვეტილება. ჩარევა შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. ეს შემთხვევები კი, დადგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 315-ე-332-ე მუხლებით, სადაც განსაზღვრულია ჩხრეკისა და ამოღების განხორციელების წესი, და ასევე კანონით „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“.

ბინის ხელშეუხებლობის დარღვევა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ნაკარნახევია გადაუდებელი აუცილებლობით, მაგალითად, ხანძრის თავიდან ასაცილებლად, დანაშაულის აღსაკვეთად და ა.შ., მართლსაწინააღმდეგო ქმედებად არ ითვლება და დანაშაულის ნიშნების არსებობას გამოორიცხავს. მართალია, ამგვარი ქმედება თუმცა ფორმალურად არღვევს ბინის ხელშეუხებლობას, მაგრამ უკიდურესი მდგომარეობის გარემოებების არსებობის გამო ქმედების

---

1 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 28 დეკემბრის №349-ა გადაწყვეტილება, წიგნში: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2005, №1, გვ. 195

2 იხ. კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 2003, გვ. 160

მართლწინააღმდეგობა გამორიცხულია<sup>1</sup>. აქედან გამონაკლისია მხოლოდ აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევა, რადროსაც შესაძლებელია, პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა და ისიც სამოქალაქო წესით<sup>2</sup>. დანაშაულის ქმედების შემადგენლობა გამორიცხულია იმ შემთხვევაშიც, როცა პირი თავისი ნებით (დაზარალებულის თანხმობა) შეუშვებს სხვას საცხოვრებელ სახლში ან ბინაში და შემდეგ ითხოვს სასამართლოს წესით მის გამოსახლებას<sup>3</sup>.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2004 წელს გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი მ. ი.-სა და თ. ჩ.-ს საქმეზე, რომელთაც ბრალი ედებოდათ ლ. ს.-ს ბინის ხელშეუხებლობის დარღვევაში. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მ. ი. თავის მეუღლესთან, შვილებთან და დედასთან – თ. ჩ.-სთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა თავისივე მეუღლის ნათესავის ლ. ს.-ს საცხოვრებელ ბინაში, რომელიც მდებარეობდა ზუგდიდის რაიონის ერთ-ერთ სოფელში. მას შემდეგ კი, რაც მ. ი. მეუღლეს გაშორდა, დავა დაიწყო საცხოვრებელ სახლზე, ვინაიდან არც მ. ი. და არც დედამისი აღნიშნულ ბინას არ ტოვებდნენ. მართალია, დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესითაც მიმდინარეობდა, მაგრამ დაზარალებული ამ პირების სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემასაც მოითხოვდა, რაც ამავე რაიონის პროკურორის მიერ გაზიარებულ იქნა. როგორც რაიონულმა სასამართლომ, ასევე სააპელაციო პალატამ მ. ი. და თ. ჩ. კანონიერად გაამართლეს. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ვინაიდან გამართლებულებს მ. ს.-მ სახლის გასაღები ნებაყოფლობით გადასცა, ამიტომ მათი ქმედებები არ შეიცავდნენ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, ამასთან, აღნიშნულ პირებს არ ჰქონიათ სხვისი ბინის ხელშეუხებლობის დარღვევის განზრახ-

---

1 იხ. Wessels/Hettinger, Strafrecht, Besonderer Teil/1, 23. Auflage, 1999, გვ. 146, აგრეთვე, Dreher/Tröndle, Strafgesetzbuch und Nebengesetz, 45. Auflage, 1991, გვ. 780-781

2 იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეშვიდე გამოცემა, 2008, გვ. 219

3 იხ. Wessels/Hettinger, Strafrecht, Besonderer Teil/1, 23. Auflage, 1999, გვ. 144

ვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამაც კანონიერად ჩათვალა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და აღნიშნული განაჩენი უცვლელად დატოვა<sup>1</sup>.

ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე საბრალდებო დასკვნით განსასჯელ ა. ს.-ს ბრალი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა ბინაში ან სხვა მფლობელობაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლა და სხვა ქმედება, რომელიც არღვევს ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობას. ა.ს.-ს ქმედება წინასწარი გამოძიების მიერ დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლის პირველი ნაწილით.

განსასჯელისათვის ბრალად შერაცხული ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2007 წლის 19 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ა. ს. და მისი ოჯახის წევრები გამოსახლებულ იქნენ დაბა წყნეთიდან, რის შემდეგაც აღნიშნული საცხოვრებელი სახლის მესაკუთრემ მ. უ.—მ მისი საკუთრების დაცვის მიზნით დაიქირავა დაცვის სამსახური, რომლის თანამშრომლები უზრუნველყოფდნენ ობიექტის დაცვას. ა. ს., თვლიდა რა პრივატიზაციასა და სასამართლო გადაწყვეტილებებს უკანონოდ, განიზრახა მ. უ.-ს საცხოვრებელ ბინაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლა და სხვა ქმედება, რომელიც დაარღვევდა მფლობელობის ხელშეუხებლობას. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2007 წლის 18 ნოემბერს ა. ს., ოჯახის წევრებთან და სხვა თანმხლებ პირებთან ერთად, დაბა წყნეთში ჩავიდა. მიუხედავად დაცვის სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან კანონიერი მოთხოვნისა, მან მუქარით აიძულა დაცვის თანამშრომლები, ხელი არ შეეშალათ მოქმედებაში და საცხოვრებლად შევიდა დაბა წყნეთში მდებარე ამ საცხოვრებელ სახლში, რის გამოც დაზარალებული მ. უ. ვერ ახორციელებდა კანონით მინიჭებულ საკუთრების უფლებას თავის საცხოვრებელ სახლზე. განსასჯელი განმარტავდა, რომ წასასე-

---

1 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 28 დეკემბრის №349-ა გადაწყვეტილება, წიგნში: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2004, №1, გვ. 83-86



ლელი არსად არ ჰქონდა, თვრამეტი წელია ამ ბინაში ცხოვრობდა, მისი ოჯახი მიეკუთვნება მეწყერით დაზარალებულთა ოჯახებს, ეს ბინა მის ოჯახს გამგეობამ გამოუყო 17-18 წლის წინ, რის შემდეგაც იგი იქ ცხოვრობდა, მ. გ.-ს ამ ბინაში არასდროს უცხოვრია, მისი გამოსახლება მოხდა შეცდომით და ა.შ.

მ. გ.-მ სასამართლოს წარუდგინა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდნენ მის საკუთრებას საცხოვრებელ ბინაზე, კერძოდ, თავის დროზე სამივე ინსტანციის სასამართლომ სახლი, თავისი მიწის ნაკვეთით, მიაკუთვნა მ. გ.-ს, რაზედაც გამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, რითაც ა. ს. გამოსახლეს ამ სახლიდან. მ.გ.-მ 1996 წელს მოახდინა ამ ფართის პრივატიზაცია, ხოლო მის სახელზე აღირიცხა 2000 წელს სასამართლო განჩინების საფუძველზე. ა. ს.-ს ოჯახი ამ სახლიდან ნებაყოფლობით არ გამოდიოდა, რის გამოც დაიწყო მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, რომელიც საბოლოოდ დამთავრდა სსკ-ის 160-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრდებით, სასჯელის ზომად კი, განესაზღვრა ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით.

ამ სისხლის სამართლის საქმეში დანაშაულის კვალიფიკაცია მოხდა მხოლოდ სსკ-ის 160-ე მუხლით, მაშინ, როდესაც სხვა ზოგიერთ ანალოგიურ საქმეზე კვალიფიკაცია ხდება თვითნებობასთან ერთობლიობაში (სსკ-ის 360-ე მუხლი). კერძოდ, მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მცხეთის ერთ-ერთ სოფელში მცხოვრები ლ. ს. და მისი ოჯახი მოქალაქე ნ. დ.-ს ვალის გადაუხდელობის გამო გამოსახლებულ იქნა მისი კუთვნილი სახლიდან. ტექნიკენტარიზაციის ბიუროში 1999 წელს ბინა აღირიცხა ნ. დ.-ს სახელზე და წარმოადგენდა მის ერთადერთ მესაკუთრეს. მიუხედავად ამისა, 2006 წლის იანვარში ლ. ს. მივიდა ნ. დ.-ს კუთვნილ ამ ბინაში, რომელიც მესაკუთრის სურვილით დალუქული იყო აღმასრულებლის მიერ, ახსნა სახლის კარებზე დადებული ლუქები და მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შევიდა მასში, რითაც დაარღვია ბინის მფლობელობის ხელშეუხებლობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (სსკ-ის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). აღნიშნული ქმედება იმავდროულად ჩაითვალა თვითნებობად (სსკ-

ის 360-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), რადგან იგი ფიქრობდა ამ ბინის გამოსყიდვას, რის გამოც მიიჩნევდა, რომ მანამდე შექმნილი ეცხოვრა მასში: განაჩენის მიხედვით, ნ. დ.-ს ქმედება შეფასდა, როგორც მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევი, მაგრამ არ არის დასაბუთებული, თუ რაში გამოიხატა იგი. კერძოდ, განაჩენში მითითებულია მხოლოდ იმის შესახებ, რომ დაზარალებულ ნ. დ.-ს მიერ მის კუთვნილ ბინაში ლ. ხ.-ს შეჭრის გამო გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 8 000 ლარი, რითაც მან მიიღო მნიშვნელოვანი ზიანი.

საქმის სასამართლო წარმოება დამთავრდა მხარეთა შორის დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებით. დანიშნული სასჯელი – სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულს ჩათვალა პირობით და დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა.

სხვა სისხლის სამართლის მიხედვით, დ. შ.-ს ბრალი დაედო იგივე დანაშაულის ჩადენისათვისის დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ, ბინის ხელშეუხებლობის დარღვევაში ჯგუფურად, ძალადობით ან ძალადობის მუქარით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (სსკ-ის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). ამ საქმეზეც სასამართლოს მიერ განაჩენი გამოტანილ იქნა საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

განაჩენის მიხედვით, ძალადობა ან ძალადობის მუქარა გამოიხატა იმაში, რომ პირველ ეპიზოდში იგი პირთა ჯგუფთან ერთად განზრახ მართლსაწინააღმდეგოდ შეიჭრა თავისუფლების მოედანზე მდებარე ერთ-ერთი კერძო სამართლის იურიდიული პირის კუთვნილ ფართში, კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის სამუშაო ოთახში, რადგან მიაჩნდა, რომ ეს ფართი მას ეკუთვნოდა, სინამდვილეში კი, იურიდიულად იმყოფებოდა სხვის საკუთრებაში. მეორე ეპიზოდში კი, მისი ბრალდება გამოიხატა იმაში, რომ ფიზიკური პირის – მესაკუთრის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ დაკეტილ ოთახში და სათავსოებში მოხდა მისი მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, ძალის გამოყენებით უკანონოდ შეჭრა. კერძოდ, გატეხეს ბინის დაკეტილი კარები, რითაც დაირღვა ბინის მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლება. საღამოს

კი, სამსახურიდან დაბრუნებული მეპატრონე სახლში არ შეუშვებს. ამ განაჩენშიც მითითებულია, რომ ჩადენილმა ქმედებამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი, რომელიც განმარტებულია, როგორც ბინის მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლების განზრახ დარღვევა, რაც არ არის დასაბუთებული. აღნიშნულით შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულის ძირითადი შემადგენლობის ჩადენის დამტკიცება, ხოლო რაც შეეხება მნიშვნელოვან ზიანს, იგი დამატებით დასაბუთებას მოითხოვს.

პრაქტიკაში ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როცა ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევას თან ახლავს პირის (პირთა) თავისუფალი გადაადგილების უფლების ხელყოფა. ერთ-ერთი საქმის ფაბულის მიხედვით, პირთა ჯგუფი შეიჭრა კერძო სამართლის იურიდიული პირის კომერციულ ფართში მისი დაკავების მიზნით. ამ დროს მათ შეგნიდან ჩაკეტეს შენობის კარები, რითაც თანამშრომლებს რამდენიმე საათის განმავლობაში არ ჰქონდათ თავისუფალი გადაადგილების საშუალება. ამ ადამიანებმა მობილური ტელეფონებით დაურეკეს ახლობლებს და საპატრულო პოლიციას, რის შემდეგაც მოხდა შენობის კარების გაღება. აღნიშნულ საქმეში ბრალდების წარდგენა მოხდა მხოლოდ სსკ-ის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით და დამატებით 143-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაცია არ მომხდარა. ვფიქრობ, საკითხისადმი ასეთი მიდგომა სწორია, რადგან დამნაშავეთა მიზანი არ იყო ადამიანებისათვის თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობის მოსპობა, არამედ მიზნად ისახავდნენ შენობის დაკეტვას, რათა მეპატრონე არ შემოსულიყო შენობაში. ამასთან, დაკეტილ შენობაში მყოფი პირები სამუშაო საათების განმავლობაში აგრძელებდნენ თავიანთ სამსახურებრივ საქმიანობას.

არის შემთხვევები, როცა ჩადენილი ქმედების სსკ-ის 160-ე მუხლით კვალიფიკაცია ხდება ხულიგნობის შემადგენლობასთან ერთობლიობაში (სსკ-ის 239-ე მუხლი). ვ. ხ.-ს ბრალი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ხულიგნობა და სხვა მფლობელობაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლა ძალადობით და ძალადობის მუქარით, რითაც დაირღვა მფლობელობის ხელშეუხებლობა.

2004 წლის 2 ოქტომბერს ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებ კარის მეზობლებს ერთმანეთში მოუვიდათ კამათი, რაც გადაიზარდა ერთმანეთის მიმართ სიტყვიერ შეურაცხყოფაში. სახლში დაბრუნებულმა ერთ-ერთი ქალბატონის მეუღლემ ვ.გ.-მ ვერ აიტანა მისი მეუღლის მიმართ განხორციელებული სიტყვიერი შეურაცხყოფა და სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტი. მან თავის სახლში აიღო დანა და დანით ხელში უცენზურო სიტყვებითა და ძალადობის მუქარით გამოვიდა ქუჩაში. აღნიშნული მოქმედება, რითაც უხეშად დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი და გამოიხატა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობაში, სასამართლოს მიერ შეფასდა ხულიგნობად. ამის შემდეგ იგი გაემართა ვ. კ.-ს საცხოვრებელი სახლის მიმართულებით. ვ. ხ. დანით ხელში, ძალადობის მუქარით ვ. კ.-სა და მისი ოჯახის წევრების ნების საწინააღმდეგოდ შევიდა მათი საცხოვრებელი სახლის შემორაგულ ეზოში, რა დროსაც აღკვეთილ იქნა მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედება და სხვა პირთა დაზარალებით მოხდა მისი განიარაღება და შეპყრობა.

სასამართლომ, დაეთანხმა რა წაყენებულ ბრალდებას, დაამტკიცა მხარეთა შორის დადებული საპროცესო შეთანხმება და განაჩენი გამოიტანა სსკ-ის 239-ე მუხლითა და 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

ამ სასამართლო განაჩენში მნიშვნელოვანია ის მომენტი, რომ „საცხოვრებელი სახლის შემორაგულ ეზოში“ მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ შესვლა ჩაითვალა სსკ-ის 160-ე მუხლით გათვალისწინებულ სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დართვევად.

ამასთან, ამ კატეგორიის საქმეთა დიდ ნაწილზე განაჩენის გამოტანა ხდება საქმის არსებითი განხილვის გარეშე, მხარეთა შორის დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების გზით, რაც, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ სწორია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ძირითადად მოიპოვება ის სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება კერძო პირის და არა სახელმწიფოს მხრიდან

ბინის ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას. თუმცა, ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც მომდინარეობს ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან და მიმართულია მოქალაქის კონსტიტუციური უფლების, საკუთრებისა და მფლობელობის ხელშეუხებლობის ხელყოფისკენ, აღნიშნული მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს, რაც ნაკლებად ხორციელდება. კერძოდ, საუბარია სახელმწიფოს იმ წარმომადგენლებზე, რომლებიც, ყოველგვარი კანონიერი საფუძვლისა თუ სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, შეიჭრებიან ბინაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ და ძალის გამოყენებით გამოასახლებენ იქ მყოფ ადამიანებს. გარკვეულწილად ასეთმა ფაქტებმა ასახვა ჰპოვა ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიურ საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც სწორედ საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტებს ეხება<sup>1</sup>. თუმცა, მეორე მხრივ, შეიძლება სადავო გახდეს, იგულისხმება თუ არა აღნიშნული მუხლის დეფინიციაში პირის საცხოვრებელი სახლიდან უკანონო გამოსახლება, მაშინ როცა ეს პირდაპირ იყო მითითებული 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის დისპოზიციაში. მოქმედმა სისხლის სამართლის კოდექსმა სიტყვები: „უკანონო გამოსახლება“ საერთოდ ამოიღო მუხლის დისპოზიციიდან, მაგრამ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ქმედება მაინც უნდა მოიაზრებოდეს 160-ე მუხლის ფარგლებში, ვინაიდან ამ მუხლმა უფრო გააფართოვა შემადგენლობის მოქმედების არეალი და დასჯადად გამოაცხადა ყველა ის ქმედება, რომელიც არა მარტო ბინის, არამედ, ზოგადად, მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლებას უკანონოდ არღვევს. ამრიგად, ნებისმიერი მოქალაქისა თუ სახელმწიფოს წარმომადგენლის ქმედება, რომელიც მიმართული იქნება მესაკუთრის ან მფლობელის ხელშეუხებლობისკენ და უკანონოდ დაარღვევს აღნიშნულ უფლებას, სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს.

აღნიშნული დანაშაულის პირველი ნაწილით გათვალისწინებ-

---

1 აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწერილებით იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება, 2006 წლის მეორე ნახევარი, გვ. 126

ული ქმედება ფორმალურ შემადგენლობებს მიეკუთვნება. იგი დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს უკანონო შესვლის ან უკანონო ჩხრეკის თუ სხვა მოქმედების ჩატარების მომენტიდან, ხოლო რაც შეეხება ამ დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, იგი პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება<sup>1</sup>.

კოდექსის 160-ე მუხლს აქვს ასევე მაკვალიფიცირებული გარემოებები, კერძოდ, იგივე ქმედება, თუ იგი ჩადენილია ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით, ანდა რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ფიზიკური ძალის გამოყენება გულისხმობს ჯანმრთელობისათვის მსუბუქი დაზიანების მიყენებას ან ცემას. თუკი ძალადობას ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება მოჰყვა, ქმედება დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირდება. მნიშვნელოვან ზიანს რაც შეეხება, იგი შეფასებით მომენტს წარმოადგენს და სასამართლოს მიერ უნდა დადგინდეს საქმის ყველა გარემოების შესწავლისა და შეფასების შემდეგ. მნიშვნელოვან ზიანად უნდა მივიჩნიოთ პიროვნებაზე მიყენებული მორალური, ფსიქიკური და მატერიალური ზიანი, ასევე ისეთი შემთხვევა, როცა ჩხრეკამ ან სხვა ქმედებამ გამოიწვია ბინის ან სხვა მფლობელობის დანგრევა, დაზიანება, საარსებო შემოსავლის დაკარგვა და ა.შ.<sup>2</sup> ამ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მძიმდება, თუ იგი ჩადენილია ჯგუფურად ან სამსახურებრივი მდგომარეობის, ან იარაღის გამოყენებით.

ყურადღებას შევაჩერებთ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებაზე, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ (იქნება ეს სამართალდამცავი ორგანოს, თუ სპეციალური სამსახურის მუშაკი), სათანადო ნებართვის გარეშე ბინაში შესვლასა და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას, ან ისეთი ქმედების განხორციელებას, რომელიც სხვაგვარად არღვევს ბინის მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლებას. იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულებით, ასეთ ვითარებაში აღნიშ-

1 იხ. მ. ლეკვიშვილი წიგნში: მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გვენტაძე, გ. მაბულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, მე-3 გამოცემა, 2008, გვ. 296

2 იხ. ზ. წულაია, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, პირველი ტომი, 2000, გვ. 298

ნული ქმედების უკანონოდ განხორციელებამ შესაძლებელია, ასევე დანაშაულთა ერთობლიობა მოგვეცეს და სსკ-ის 160-ე მუხლთან ერთად მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაქტებაშიც გამოიხატოს.

## მუხლი 161. შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფა

1. შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის ანდა მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი იარაღის გამოყენებით, ან რამაც მასობრივი არეულობა, სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

*(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2937-სსმ I, 2006 წ. № 14, მუხ. 90)*

1. სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის ერთ-ერთ ძირითად და აუცილებელ პირობას წარმოადგენს ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა აღიარება და დაცვა. საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულია ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. კონსტიტუციის მეორე თავი საქართველოს მოქალაქეობასა და ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს ეძღვნება.

ადამიანის ძირითად უფლებათა აღიარებისას საქართველოს

კონსტიტუცია ეყრდნობა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებით ოქმებს და სხვა საერთაშორისო – სამართლებრივ დოკუმენტებს, რომლებიც ადამიანის ძირითადი უფლებების აღიარებასა და დაცვას ეხება.

საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებები საჭიროებს დაცვას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

ხშირია შემთხვევები როდესაც ადგილი აქვს ადამიანის კონსტიტუციით აღიარებული ძირითადი უფლებების ხელყოფას. ადამიანის უფლებებისა და სხვა სამართლებრივი სიკეთეების დაცვა სისხლის სამართლის ფუნქციაა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXIII თავს ეწოდება დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ. ამ თავით გათვალისწინებულ დანაშაულთა ძირითადი შემადგენლობა იცავს ადამიანის ძირითად უფლებებს, რომლებიც აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით.

სისხლის სამართლის კოდექსის XXIII თავით გათვალისწინებულ დანაშაულთა ზოგიერთი შემადგენლობის დისპოზიციის სწორად გაგებისათვის აუცილებელია იმ უფლების შინაარსის განმარტება, რასაც იცავს მოცემული მუხლის შემადგენლობა. ეს განპირობებულია იმით, რომ სისხლის სამართლის კოდექსის XXIII თავით გათვალისწინებული დანაშაულთა ძირითადი ნაწილი ბლანკეტური დისპოზიციის მქონეა.

2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლის – შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფა – დისპოზიციის გაგებისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია სათანადო მოცულობით შეკრების ან მანიფესტაციის უფლების განხილვა, შემდგომ კი ამ უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის ფორმები. საჭიროა ჯერ განვიხილოთ, თუ როდის არის შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობა ანდა მასში მონაწილეობა კანონიერი ან კანონსაწინააღმდეგო. ამისათვის აუცილებელია იმ სამართლებრივ წყაროთა განხილვა, რასაც ეყრდნობა ადამიან-



ნის ერთ-ერთი ძირითადი უფლება – შეკრების ან მანიფესტაციის უფლება.

3. სამართლებრივ წყაროთაგან, რომელსაც საქართველოს სსკ-ის 161-ე მუხლით დაცული სამართლებრივი სიკეთე – შეკრების ან მანიფესტაციის უფლება – ეყრდნობა, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუციის 25 -ე მუხლი.

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლში აღნიშნულია, რომ; „1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალების და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ ისე გარეთ.

2. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრებები ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.

3. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.“<sup>1</sup>

შეკრების ან მანიფესტაციის უფლება „საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა.“<sup>2</sup>

ადამიანის ძირითადი უფლების – შეკრების ან მანიფესტაციის უფლების მნიშვნელობაზეა მითითება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-11 მუხლში, რომელსაც შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება ეწოდება. ამ მუხლის თანახმად:

„1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა, აგრეთვე სხვებთან გაერთიანების თავისუფლებისა, მათ შორის, უფლება პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანებისა საკუთარი ინტერესების დასაცავად.

2. დაუშვებელია რაიმე შეზღუდვის დაწესება ამ უფლებათა განხორციელებაზე, გარდა ისეთი შემთხვევისა, რომელიც

1 საქართველოს კონსტიტუცია, თბ, 2007, გვ.16.

2 კ. კუბლაშვილი „ძირითადი უფლებები“, თბ, 2003, გვ. 299.

გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოს, დააწესოს კანონიერი შეზღუდვები ამ უფლებათა განხორციელებაზე შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიმართ.<sup>1</sup>

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლისაგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე - 11 მუხლი, გარდა შეკრებისა, აღიარებს ადამიანის სხვა, არა ნაკლებ მნიშვნელოვან უფლებებს, როგორცაა გაერთიანების, პროფესიული კავშირების შექმნის, მათში გაერთიანებისა და სხვა უფლებები.

საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით აღიარებული შეკრების ან მანიფესტაციის უფლების განხორციელებას აწესრიგებს საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე 1997 წლის 12 ივნისს მიღებული კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ.“

4. შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების განხილვის დროს იურიდიულ მეცნიერებაში არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც შეკრებების თავისუფლება გაცილებით ფართო და ყოვლისმომცველი უფლებაა, ხოლო მანიფესტაციების თავისუფლება, ანუ უფლება საკუთარი მოსაზრების ერთობლივ საჯარო გაცხადებაზე, წარმოადგენს შეკრების თავისუფლების ერთ-ერთ გამოხატულებას.<sup>2</sup>

ამის ნათელ დადასტურებად შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-11 მუხლის რედაქცია, სადაც აღიარებულია მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლება. ამ მუხლში არ არის მოხსენიებული მანი-

---

1 კ.კორკელია „ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება“, თბ, 2007, გვ.98.

2 იხ. კ. კუბლაშვილი, ზემოთ დასახ. ნაშრომი, გვ. 300.

ფესტაცია, თუმცა იურიდიულ მეცნიერებაში ზემოთ მოხსენებულ მოსაზრებას თუ გავითავალისწინებთ, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ კონვენციის მე -11 მუხლი აღიარებს როგორც შეკრებების, ისე მანიფესტაციების უფლებას.

შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება საკომუნიკაციო უფლებაა და იცავს მოქალაქის თავისუფალ განვითარებას საზოგადოებაში. ადამიანის ეს ძირითადი უფლება სათავეს იღებს ბუნებითი სამართლიდან და წარმოადგენს პასუხმგებლობის მქონე მოქალაქის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ნიშანს. შეკრებებისა და მანიფესტაციების ძირითადი უფლება უზრუნველყოფს ადამიანთა თავისუფლებას, რომლის მიხედვითაც, ძირითადი უფლებები, რომლებიც ყოველ ინდივიდს ცალ - ცალკე აქვს, ამ ინდივიდებმა ერთად გამოიყენონ.<sup>1</sup>

შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების აღიარება არის სახელმწიფოს დემოკრატიულობის და ადამიანის ღირსების და პიროვნული თავისუფლების პატივისცემის ნიშანი.

სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „დემოკრატიული სახელმწიფო ვერ იარსებებს, თუ მის მოქალაქეებს არ ექნებათ შესაძლებლობა, შეკრებებზე გამოთქვან თავიანთი პოლიტიკური შეხედულება, მოუსმინონ სხვა მოქალაქეთა მოსაზრებებს და მანიფესტაციების საშუალებით, ანუ სხვა მოქალაქეებთან ერთად, საჯაროდ გამოხატონ თავიანთი შეხედულებები.“<sup>2</sup>

შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების აღიარებით სახელმწიფო თავის დემოკრატიულობასთან ერთად გამოხატავს ადამიანის ღირსებისა და პიროვნული თავისუფლების პატივისცემას. ადამიანის ელემენტარული მოთხოვნილებაა არა სხვა ადამიანებისაგან იზოლირება, არამედ მათთან ურთიერთობა, საუბარი და დისკუსია. შეკრებებისა და მანიფესტაციების ძირითადი უფლებით დაცულია როგორც საჯარო, ისე კერძო, როგორც პოლიტიკური, ისე არაპოლიტიკური შეკრებები.

1 იხ. კ. კუბლაშვილი, ზემოთ დასახ. ნაშრომი, გვ. 300.

2 იქვე, გვ. 301.

ყოველივე ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, თუ რა რაოდენ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების აღიარება და დაცვა.

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ამ ძირითადი უფლების მოწესრიგებას ემსახურება საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, ხოლო ამ უფლების დაცვას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან საქართველოს სსკ-ის 161-ე მუხლი.

შეკრებების და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მიხედვით განსაზღვრულია, რომ „ეს კანონი აწესრიგებს პირებისათვის საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლების განხორციელებას – წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბონ საჯაროდ და უიარალოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.... აღნიშნული უფლება არ ვრცელდება სამხედრო ძალების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში მყოფ პირებზე, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სპეციალური უფლებამოსილების მქონე მოსამსახურეებზე. ამ კანონით გათვალისწინებულია ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხის და ტრანსპორტის სამომძრაო ადგილას იმართება“.<sup>1</sup>

შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის სათანადო მუხლების განხილვა აუცილებელია იმისათვის, რომ განვსაზღვროთ თუ როდის იქნება შეკრება ან მანიფესტაცია კანონიერი, როდის ღებულობს იგი კანონსაწინააღმდეგო ხასიათს და უფლება ეძლევა სახელმწიფოს კონსტიტუციურ – სამართლებრივი ჩარევისა შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტის ან აკრძალვის სახით.

სსკ-ის 161-ე მუხლის დისპოზიცია მოითხოვს აღნიშნული „უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლას“. ამიტომ აუცილებელია ვიცოდეთ, თუ როდის არის ამ უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა კანონიერი. ეს კი აუცილებლად მოითხოვს კანონის შესაბამისად შეკრებისა და „მანი-

---

1 იხ. საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, მუხ-1-ლი.

ფესტაციის“ ცნების განხილვას.

5. შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად „შეკრება“ არის მოქალაქეთა ჯგუფის შეკრება ჭერქვეშ ან გარეთ, მიტინგი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სოლიდარობისა ან პროტესტის გამოხატვის მიზნით. „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი „მანიფესტაცია“ არის მოქალაქეთა დემონსტრაცია, მასობრივი საჯარო გამოსვლა, ქუჩაში მსვლელობა სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით, ან მსვლელობა პლაკატების, ლოზუნგების, ტრანსპარანტების და სხვა სახითი საშუალებების გამოყენებით.

საქართველოს კანონმდებლობით დაკულია როგორც საჯარო, ისე არასაჯარო შეკრებები, რომლებიც იმართება როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ, ანუ ღია ცის ქვეშ. საგულისხმოა, რომ ადამიანების ერთად ყოფნის ყოველი ფაქტი არ განიხილება შეკრებად, მაგალითად, ისინი შეიძლება სრულიად შემთხვევით აღმოჩნდნენ ერთსა და იმავე ადგილზე. ეს რასაკვირველია, ვერ მოხვდება შეკრების თავისუფლების შინაარსში. ამისათვის აუცილებელია შინაგანი კავშირები. ამიტომ ადამიანების თავმოყრა (მაგალითად, საგზაო შემთხვევის დროს) არ წარმოადგენს შეკრებას, თუმცა ადამიანთა ასეთი შემთხვევითი თავმოყრაც განსაზღვრულ პირობებში შეიძლება იქცეს შეკრებად.<sup>1</sup>

ამიტომ აუცილებელია განვასხვავოთ მოულოდნელი შეჯგუფება და წინასწარ ორგანიზებული შეკრება, რომლის ძირითადი მახასიათებელი ნიშანია ერთობლივი, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი მიზნის საფუძველზე ადამიანთა წინასწარი შეთანხმება და შეხვედრა.

შეკრების სათანადო კვალიფიკაციისას აუცილებელია ცალკეული პირების არაკორექტული ქცევის განხილვა. თუ სამართალდარღვევა ხორციელდება არა მთელი შეკრების, არამედ მხოლოდ ცალკეული პირების მიერ შეკრების ფარგლებში და შეკრება მთლიანობაში ატარებს მშვიდობიან ხასიათს, მაშინ მათი მოქ-

---

<sup>1</sup> პ. ცნობილადე „ საქართველოს კონსტიტუციური სამართალი I. თბ, 2005. გვ. 361.

მედებით შეკრების ხასიათი არ შეიცვლება, ანუ შეკრება იქნება მშვიდობიანი, ხოლო ცალკეული სამართალდამრღვევები პასუხს აგებენ მათ მიერ ჩადენილი ქმედებისათვის.<sup>1</sup>

ამ საკითხის განხილვა მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა განვსაზღვროთ თუ როგორი ხასიათისაა შეკრება. ცალკეულმა სამართალდარღვევებმა გავლენა არ უნდა მოახდინოს შეკრების კვალიფიკაციაზე. მაგალითად, პროვოცირების მიზნით ჩადენილი ქმედების გამო არ უნდა შეიცვალოს შეკრების მშვიდობიანი ხასიათი. თუკი ასე მოხდა, მაშინ შეკრება კარგავს მართლზომიერ, კანონიერ ხასიათს და სახელმწიფო ორგანოებს უფლება ეძლევათ მისი ხელყოფისა. სახელმწიფო ორგანოთა მიერ ხელყოფისაგან დაცულია მხოლოდ მშვიდობიანი, უიარაღო შეკრება.

შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად „შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს ეკრძალებათ:

ა) იქონიონ იარაღი, ფეთქებადი, ადვილად აალებადი, ცრემლდენი, რადიო აქტიური, ნერვულ – პარალიტიკური მოქმედების და მომწაპველელი ნივთიერებანი, ალკოჰოლიანი სასმელები;

ბ) განზრახ შეუქმნან დაბრკოლებები საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობას“<sup>2</sup>

კანონმდებლობის მიერ შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებისათვის ამა თუ იმ ქმედების ჩადენის ან იარაღისა თუ სხვა საშუალებების ქონების აკრძალვა ემსახურება შეკრების ან მანიფესტაციისათვის მშვიდობიანი ხასიათის განსაზღვრას. მხოლოდ კანონის მოთხოვნითა და დაცვით ჩატარებული შეკრება ან მანიფესტაცია შეიძლება იყოს კანონიერი, მართლზომიერი და არ მიიღოს კანონსაწინააღმდეგო, მართლსაწინააღმდეგო ხასიათი. ამიტომ შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ კანონის თითოეული მოთხოვნისა თუ აკრძალვის შესრულებას არსებითი მნიშვნელობა აქვს შეკრების ან მანიფესტაციის კანონიერების საკითხის გადაწყვეტისათვის. ეს მოთხოვნები და აკრძალვები შეეხება შეკრების ან

---

1 იქვე, გვ. 362.

2 იხ. საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ.

მანიფესტაციის როგორც მომზადებას, ისე ჩატარებას. შეკრებების და მანიფესტაციების შესახებ კანონის მე - 4 მუხლის მე- 2 ნაწილის თანახმად „ დაუშვებელია შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისას და ჩატარებისას მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამზობის ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც წარმოადგენს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს“<sup>1</sup>

თუკი შეკრების ან მანიფესტაციის დროს, კანონის მოთხოვნათა მიუხედავად, ადგილი ექნება ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ქმედების განხორციელებას, მაშინ ის შეიძლება გახდეს შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტის საფუძველი.

შეკრების ან მანიფესტაციის შესახებ კანონის მე-9 მუხლის თანახმად აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება: საქართველოს პარლამენტის შენობაში, საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სასამართლოების, პროკურატურის, პოლიციის, სასჯელთა აღსრულებისა და სამართალდამცავი ორგანოების შენობებში, სამხედრო ნაწილებსა და ობიექტებში, რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში, საავადმყოფოებში, დიპლომატიურ დაწესებულებებში და მათგან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე სამთავრობო დაწესებულებების, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, შრომის უსაფრთხოების სპეციალური რეჟიმის ან შეიარაღებული დაცვის მქონე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შენობებში, დაუშვებელია ამ ობიექტების შესასვლელების სრული ბლოკირება.<sup>2</sup>

კანონმდებლის მიერ ადგილების განსაზღვრის შემდეგ, სადაც აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება, მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ ის გარემოება, რომ „დემონ-

---

1 იქვე

2 იქვე

სტრაციების თავისუფლება არ შეიძლება შეიზღუდოს იმით, რომ შეკრებები და მანიფესტაციები დაშვებული იქნეს მხოლოდ ხალხის მოძრაობის ადგილებიდან მოშორებით მდებარე ტერიტორიაზე და ამით შეკრებას და მანიფესტაციას ფაქტობრივად გამოეცალოს საზოგადოებაზე, მოსახლეობაზე ზემოქმედების ძალა“.<sup>1</sup>

მართალია კანონმდებელი კრძალავს გარკვეულ ადგილებში შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებას, მაგრამ არ გამორიცხავს მისი ისეთ ადგილებში ჩატარების შესაძლებლობას, საიდანაც ეფექტურია ხელისუფლებასა და მოსახლეობაზე ზემოქმედება, იმ მიზნის მიღწევა, რის გამოც ტარდება შეკრება ან მანიფესტაცია.

6. შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება შესაძლებელია კანონის მოთხოვნათა დაცვით. სსკ-ის 161 მუხლი დასჯადად აცხადებს მხოლოდ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით ჩატარებული შეკრების ან მანიფესტაციის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლას სხვადასხვა ფორმით.

თუკი შეკრება ან მანიფესტაცია კანონის მოთხოვნათა დარღვევით იმართება, თუკი მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო, მაშინ სახელმწიფო უფლებამოსილია შეწყვიტოს შეკრება ან მანიფესტაცია. უფრო, მეტიც, კანონმდებლობის შესაბამისად, სათანადო საფუძვლების არსებობისას, ხელისუფლება უფლებამოსილია მოახდინოს შეკრების ან მანიფესტაციის აკრძალვა, ანუ მისი ჩატარების არდაშვება.<sup>2</sup>

ამდენად, კანონმდებლობა ითვალისწინებს შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებისათვის ხელის შეშლის კანონიერ შემთხვევებს. ამიტომ, როდესაც შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა ან აკრძალვა ხდება კანონის მოთხოვნათა დაცვით, მისი ფორმების მიუხედავად, იგი არ შეიძლება გახდეს სსკ-ის 161-ე მუხლით გათვალისწინებული დისაოზიციისათვის მნიშვნელობის მქონე. 161-ე მუხლისათვის მნიშვნელოვანია უკანონო ხელის შეშლის შემთხვევები.

1 კ. კუბლაშვილი, ზემოთ დასახ. ნაშრომი, გვ. 305.

2 ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. კ. კუბლაშვილის ზემოთ დასახ. ნაშრომი გვ. 306-307.



კანონმდებლობის შესაბამისად კი „ხელისუფლება უფლებამოსილია შეწყვიტოს შეკრება ან მანიფესტაციები, რომელიც კანონის მოთხოვნათა დარღვევით იმართება“<sup>1</sup>

შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონით განსაზღვრულია ასევე შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების აკრძალვის, არდაშვების საფუძვლები. კანონის მე - 14 მუხლის თანახმად „ ადგილობრივი მმართველობის ორგანო უფლებამოსილია არ დაუშვას შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება, თუ არსებობს პოლიციის მიერ შემოწმებული აშკარა მონაცემები, რომელთა შესაბამისად შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების შედეგად უშუალო საფრთხე ემუქრება კონსტიტუციურ წყობილებას, მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას“.<sup>2</sup>

ამრიგად, საქართველოს სსკ-ის 161-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დისპოზიციაზე მსჯელობის დროს, აუცილებლად უნდა გავანალიზოთ შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის ის მუხლები, რომლებიც განსაზღვრავენ შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების ან შეწყვეტისა თუ აკრძალვის სამართლებრივ საფუძვლებს.

7. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონით განსაზღვრულია სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობების პირებისა და მოქალაქეებისათვის შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებისათვის სათანადო პირობების შექმნისა და ხელის შეშლისაგან თავის შეკავების ვალდებულება. კანონის მე-12 მუხლის თანახმად „ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის სათანადო პირობები. სახელმწიფო დაწესებულებებს, თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს უფლება არა აქვთ ხელი შეუშალონ ამ კანონით დადგენილი წესის დაცვით შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციას და ჩატარებას, მოქალაქეთა მიერ საკუთარი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებ-

---

1 იხ. კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ. მუხ. 11.

2 იქვე

ბებისათვის შეკრებაზე ან მანიფესტაციაზე ცნობების მიღებასა და გავრცელებაში ხელის შეშლა ისჯება კანონით<sup>1</sup>

ამდენად, „კანონით დადგენილი წესის დაცვით შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებისათვის“ ხელის შეშლის უფლება არავის არ აქვს.

შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების, ასევე მათი შეწყვეტის ან აკრძალვის კანონიერი საფუძვლების განხილვის შემდგომ, შეიძლება განვიხილოთ უკანონოდ ხელის შეშლის შემთხვევები. უკანონოდ უნდა მივიჩნიოთ ისეთი ხელის შეშლა, რომელსაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, უფრო ზუსტად კი ისეთი შემთხვევები, რომლის უფლებასაც კანონმდებლობა არ გვაძლევს, გვიკრძალავს.

თუმცა სსკ-ის 161 მუხლის დისპოზიციის მიხედვით, მნიშვნელოვანია არა ნებისმიერი უკანონოდ ხელის შეშლა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც ჩადენილია ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლი, შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე - 2 ნაწილისაგან განსხვავებით, შეკრების ან მანიფესტაციისათვის ხელის შეშლის ნებისმიერ უკანონო ფაქტს კი არ კრძალავს, არამედ დასჯადად აცხადებს მხოლოდ ისეთ უკანონო ხელის შეშლას, რაც ჩადენილი იქნება ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა არის შეკრების ან მანიფესტაციის უფლების რეალიზაციისათვის ხელის შეშლის ფორმა. სწორედ ამ ფორმით უკანონოდ ხელის შეშლას აცხადებს დასჯადად სისხლის სამართლის კანონმდებლობა.<sup>2</sup>

შეკრების ან მანიფესტაციის უფლების რეალიზაციისათვის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით უკანონოდ ხელის შეშლას გულისხმობს სსკ-ის 161 მუხ-ის 1-ლი ნაწილის დის-

1 იქვე

2 ამ საკითხზე დაწერილებით იხ. სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ, 2005, გვ- 239-242; ძალადობის შესახებ იხ. სსკ-ის 126-ე მუხ-ის კომენტარი.

პოზიცია. სწორედ აღნიშნულის გამო, ამ დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც საერთო, ისე სპეციალური.

შეკრების ან მანიფესტაციის უფლებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით შეუძლია ნებისმიერ ამსრულებელს, ხოლო სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მხოლოდ სპეციალურ უფლებამოსილების მქონე მოხელეს, ანუ სპეციალურ ამსრულებელს. ამ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა შესაძლებელია როგორც აქტიური მოქმედებით, ისე უმოქმედობით. ამავე დროს ამსრულებელი უნდა მოქმედებდეს პირდაპირი განზრახვით.

8. სსკ-ის 161-ე მუხლის II ნაწილში მაკვალიფიცირებელ გარემოებებად ჩამოყალიბებულია შეკრების ან მანიფესტაციისათვის უკანონოდ ხელის შეშლა: ა) იარაღის გამოყენებით ბ) რამაც მასობრივი არეულობა გამოიწვია გ) სიცოცხლის მოსპობა ან დ) სხვა მძიმე შედეგი.

აღნიშნული მაკვალიფიცირებელი გარემოებები, ძირითადი შემადგენლობისაგან განსხვავებით, წარმოადგენენ შეკრების ან მანიფესტაციისათვის უკანონოდ ხელის შეშლის ისეთ შემთხვევებს, რომლებიც კმნიან დანაშაულთა ერთობლიობას ან ხელის შეშლის საშუალების, იარაღის გამოყენებით აძლიერებენ ძალადობის, ძალადობის მუქარის ხარისხს. კვალიფიკაციაზე გავლენა არ უნდა იქონიოს იმან, ჰქონდა თუ არა იარაღის ტარების უფლება იმას, ვინც იარაღის გამოყენებით უკანონოდ ხელი შეუშალა შეკრების ან მანიფესტაციის უფლების რეალიზაციას. იარაღის უკანონოდ ტარების და მისი გამოყენებით უკანონოდ ხელის შეშლის შემთხვევაში, ადგილი ექნება დანაშაულთა ერთობლიობას.

დანაშაულთა ერთობლიობის საკითხი დაისმება ასევე მაშინ, როცა შეკრების ან მანიფესტაციისათვის უკანონოდ ხელის შეშლამ მასობრივი არეულობა გამოიწვია.<sup>1</sup>

შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფისას, ამსრულებელი პირდაპირი განზრახვით უკანონოდ ხელს უშლის მოქა-

---

<sup>1</sup> ამ საკითხზე იხ. სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ. 2005, გვ.242, მასობრივი არეულობის შესახებ იხ. სსკ-ის 225-ე მუხ-ის კომენტარი.

ლაქეს თავისი უფლებების რეალიზაციაში. მაგრამ მისი განზრახვა არ მოიცავს მოქალაქის სიცოცხლის ხელყოფას ან ჯანმრთელობის დაზიანებას. თუკი ასეთი შედეგი დადგა, მაშინ ამ შედეგის მიმართ ამსრულებელს უნდა ჰქონდეს დამოკიდებულება გაუფრთხილებლობით მაინც. ამსრულებელი არ მოქმედებს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის მიზნითა და განზრახვით, მაგრამ შეკრების ან მანიფესტაციისათვის მის მიერ უკანონოდ ხელის შეშლას მოჰყვა ასეთი შედეგი. ასეთ შემთხვევაში ადგილი გვექნება თანამდევნი შედეგით კვალიფიცირებულ განზრახ დანაშაულთან.

9. სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო სტატისტიკის გაცნობის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს სასამართლოებში 2006 და 2007 წწ-ში სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეები არ განხილულა. არ არსებობს ბოლო წლების სასამართლო პრაქტიკა სსკ-ის 161-ე მუხლთან დაკავშირებით.<sup>1</sup>

თუმცა ეს სულაც არ მიუთითებს იმაზე, რომ სსკ-ის 161-ე მუხლის პრაქტიკული მნიშვნელობა მცირეა. ხშირად სასამართლო სტატისტიკა, და საერთოდ ციფრები, არ ასახავს იმ რეალურ ვითარებას, რაც ქვეყნის ცხოვრებაში ხდება.

შესაძლებელია შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფის არაერთ ფაქტს ჰქონდა ადგილი, მაგრამ არ მომხდარა მათი სამართლებრივი შეფასება და შესაბამისად სასამართლო სტატისტიკაში ასახვა. ეს კი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არ ხდება სსკ-ის 161-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობები. სსკ-ის 161-ე მუხლის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლების – შეკრების ან მანიფესტაციის უფლების – დაცვაში დანაშაულებრივი ხელყოფისაგან უდაოდ მნიშვნელოვანია.

---

<sup>1</sup> ამის თქმის საფუძველს გვაძლევს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლო სტატისტიკისა და ინფორმაციზაციის განყოფილების მიერ სსკ-ის 161-ე მუხლთან დაკავშირებით მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები 2006-2007 წწ-ის მიხედვით.

მუხლი 162. არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლემისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა

1. არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლემისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. იგივე ქმედება ჩადენილი:

ა) სამსახურებრივი მდგომარეობის ან იარაღის გამოყენებით;

ბ) მოტყუებით;

გ) ძალადობით ან ძალადობის მუქარით;

დ) ჯგუფურად

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან სამ წლამდე.

*(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2937-სსმ I, 2006 წ. № 14, მუხ. 90)*

1. არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლემისციტში. მონაწილეობის მოქალაქისათვის მინიჭებული საარჩევნო უფლების, მათ შორის როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლების დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. უფლების დასაცავად აუცილებელია მისი აღიარება, არსებობა.<sup>1</sup>

როდესაც ვსაუბრობთ საარჩევნო უფლებაზე, უნდა ვიგულისხმოდ არა მხოლოდ არჩევნებში, არამედ რეფერენდუმსა და პლემისციტში მონაწილეობის საარჩევნო უფლება.

საარჩევნო უფლების აღიარება არის არა მხოლოდ ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებისა და თავისუფლების აღიარება, არამედ იმავდროულად სახელმწიფოს სამართლებრივი განვითარების გამოხატულება. არ შეიძლება ვისაუბროთ სახელმწიფოს სამართ-

---

<sup>1</sup> ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა აღიარებისა და დაცვის მნიშვნელობის შესახებ იხ. 161-ე მუხ-ის განმარტება.

ლებრივ განვითარებაზე, თუ იგი არ აღიარებს და იცავს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

იმისათვის, რომ კარგად გავაანალიზოთ სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მხულით დაცული სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობა, აუცილებელია სათანადო მოცულობით განვიხილოთ არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის, მასში მონაწილეობის საარჩევნო უფლება. მით უმეტეს, არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის აუცილებელი და საკმარისი, სათანადო მოცულობით ცოდნა აუცილებელია ასევე სსკ-ის 163-164<sup>3</sup> მუხლებით გათვალისწინებული დისპოზიციების სწორად გაგებისათვის.

სანამ ვიმსჯელებდეთ არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის საარჩევნო უფლების დაცვაზე, მიზანშეწონილია ამ უფლების მნიშვნელობის გაანალიზება.<sup>1</sup>

2. საარჩევნო უფლება, როგორც ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლება აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით და სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162-164<sup>3</sup> მუხლები იცავს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებას ე.წ. საარჩევნო უფლებას. შეიძლება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXIII თავში – დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ – მოცემული 162-164<sup>3</sup> მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს ეწეოდნენ ადამიანის საარჩევნო უფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. მართალია, ზემოთ აღნიშნული მუხლების დისპოზიციები განსხვავდებიან საარჩევნო უფლების ხელყოფის ხერხის, სუბიექტების, საგნისა და სხვა ნიშნების მიხედვით, მაგრამ სხვა დანაშაულებისაგან განსხვავებით, მათთვის საერთო უმთავრეს ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ისინი იცავენ ადამიანის, მოქალაქის საარჩევნო უფლებას.

3. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხ-ის თანახმად

---

1 არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილეობის საარჩევნო უფლების ნაცვლად შემდგომ გამოყენებული იქნება საარჩევნო უფლება.

1. „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისი ქვეყნის მართვაში მიიღოს მონაწილეობა უშუალოდ ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეოხებით.

2. ყოველ ადამიანს უფლება აქვს სხვების თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი თავისი ქვეყნის მართვაზე.

3. ხალხის ნება უნდა იყოს მთავრობის ძალაუფლების საფუძველი; ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და არაფალსიფიციურებულ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარებოდეს საყოველთაო და თანაბარი საარჩევნო უფლებით, ფარული კენჭისყრის ან თავისუფალი კენჭისყრის უზრუნველყოფელი სხვა მნიშვნელოვანი ფორმებით“.<sup>1</sup>

უმნიშვნელოვანესია საარჩევნო უფლების აღიარება. ამ უფლების რეალიზაციისათვის კი აუცილებელია სრულყოფილი საარჩევნო კანონმდებლობა. სწორედ საარჩევნო კანონმდებლობაში, საქართველოს კონსტიტუციასა და სხვა საერთაშორისო – სამართლებრივ აქტებზე დაყრდნობით უნდა აისახოს ის ნორმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადამიანის საარჩევნო უფლების რეალიზაციას. საარჩევნო კოდექსის სრულყოფილებაზე დიდად არის დამოკიდებული ადამიანის საარჩევნო უფლების რეალიზაცია და დაცვა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მხოლოდ საარჩევნო კოდექსის სრულყოფილება არ არის საკმარისი ადამიანის საარჩევნო უფლების დასაცავად. აუცილებელია საარჩევნო კოდექსის ნორმათა დაცვა. ადამიანის საარჩევნო უფლების დასაცავად მნიშვნელოვანია როგორც ადამიანის საარჩევნო ნების, უფლების გამოხატვისათვის სათანადო ნორმების შემცველი კანონმდებლობა, ისე ამ ნორმების დაცვა.

საარჩევნო კანონმდებლობამ, მისი ნორმების დაცვასთან ერთად ხელი უნდა შეუწყოს ხალხის ნება-სურვილის თავისუფალ გამოტახვას. მოქალაქისათვის საარჩევნო ნების განხორციელებაზე ხელის შეშლა შესაძლებელია არა მხოლოდ რაიმე ქმედების ჩადენით, არამედ ისეთი საარჩევნო კანონმდებლობის მიღებითაც,

---

1 იხ. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, საკანონმდებლო აქტების კრებული, თბ, 2004, გვ 264.

რომელიც ზღუდავს საარჩევნო უფლების რეალიზაციას.

სწორედ ამ საკითგებზეა გამახვილებული ყურადღება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმის მე-3 მუხლში, რომელსაც თავისუფალი არჩევნების უფლება ეწოდება. ამ მუხლის თანახმად, „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, გონივრული პერიოდულობით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით ისეთ პირობებში რომელიც საკანონმდებლო ორგანოების არჩევისას უზრუნველყოფს ხალხის ნება-სურვილის თავისუფალ გამოხატვას“.<sup>1</sup>

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლით აღიარებულია ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლება-საარჩევნო უფლება. ამ უფლების რეალიზაციისათვის აუცილებელია, რომ დროულად, კონსტიტუციით აღიარებულ ვადებში ჩატარდეს არჩევნები. საარჩევნო უფლების ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლის ნაირსახეობად უნდა მივიჩნიოთ საარჩევნო ვადის გაზრდა ან კანონით გათვალისწინებულ ვადებში არჩევნების ჩატარებლობა.

კონსტიტუციის 28-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ ხელისუფლებისა და თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილების ვადა უნდა იყოს გონივრული. არაკონსტიტუციური იქნება კანონი, რომელიც დაადგენს წარმომადგენლობითი ორგანოების უფლებამოსილების არაგონივრულ ვადებს და ამ ფორმით შეზღუდავს არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია იმსჯელოს არჩევითი ორგანოს უფლებამოსილების ვადის გონივრულობაზე.<sup>2</sup>

საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის დადგე-

---

1 იხ. კ. კორკელია „ევროპული ინტეგრაციისკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება“, თბ, 2007, გვ. 115.

2 იხ. ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კულაშვილი, გ. ხუბუა „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები“ ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფებანი, თბ, 2005, გვ. 244.



ნილი ვადა საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის თანახმად საქართველოს პარლამენტი აირჩევა 4 წლის ვადით, 70-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს არჩევნები არ ტარდება. სხვა შემთხვევაში, არჩევნები უნდა ჩატარდეს კანონით განსაზღვრულ ვადებში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა არ მიუთითებს, თუ რა ვადა შეიძლება იყოს „არასათანადო“ ან „არაგონივრული“. ადამიანის უფლებათა კომისიის შეხედულებით, საარჩევნო პერიოდი არ უნდა იყოს იმდენად ხანმოკლე, რომ შეუძლებელი გახდეს გრძელვადიანი პროექტების განხორციელება, მეორე მხრივ, საარჩევნო პერიოდი არ შეიძლება იმდენად გახანგრძლივდეს, რომ არჩევითი ორგანოების შემადგენლობამ ვერ ასახოს ამომრჩეველთა ნება და არ გაითვალისწინოს ამომრჩეველთა განწყობაში მომხდარი ფუნდამენტური ცვლილებები. ქვემო საქსონიის (გერმანიის ფედერალური მიწა) პარლამენტთან დაკავშირებულ საქმეზე კომისიამ მიიჩნია, რომ ხუთწლიანი საარჩევნო პერიოდი „გამართლებული“ იყო. ჩვეულებრივ, მიღებულია, რომ საარჩევნო პერიოდი მერყეობდეს 5-დან 8-წლამდე და არ უნდა აღემატებოდეს 8 წელს.<sup>1</sup>

ვფიქრობთ, სამართლიანია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „არჩევნებში მონაწილეობის უფლება დაირღვა იმ შემთხვევაშიც, თუ სათანადო საფუძვლების გარეშე გადაიწევა მორიგი არჩევნების ჩატარების ვადა და ამ ფორმით ამომრჩეველს არ მიეცემა საკუთარი ნების თავისუფალი გამოვლინების შესაძლებლობა“.<sup>2</sup>

საარჩევნო უფლების განხორციელების უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს არჩევნების კანონით გათვალისწინებულ ვადაში ჩატარება.

4. არჩევნებისაგან განსხვავებით, რეფერენდუმსა და პლებისციტს არ ახასიათებს კანონით გათვალისწინებულ ან „გონივრულ“

---

1. იქვე, გვ. 245.

2. იქვე, გვ. 245;

ვადებში ჩატარება. ეს იმიტომ, რომ არჩევნები არის საარჩევნო პროცესი, რომლის დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევა საყოველთაო არჩევნებით. რადგან ასარჩევ ორგანოთა და თანამდებობის პირთა უფლებამოსილების ვადა განსაზღვრულია, ამიტომ არჩევნებს ახასიათებს პერიოდულობა. აქედან გამომდინარეობს, ის რომ ადამიანის საარჩევნო უფლებათა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენას აქვს მისთვის განსაზღვრული პერიოდი - ე.წ. საარჩევნო პერიოდი.

არჩევნებისაგან განსხვავებით „რეფერენდუმი არის კენჭისყრა, რომლის მეშვეობითაც ამომრჩევლები სახელმწიფოებრივ ან თვითმმართველობრივ საკითხებს წყვეტენ. პლებისციტიც ასეთივე კენჭისყრაა და იურიდიული თვალსაზრისით, როგორც წესი, რეფერენდუმისაგან არ განსხვავდება“.<sup>1</sup>

რეფერენდუმის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, რეფერენდუმი არის საერთო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად. ამავე კანონის მე-8<sup>1</sup> მუხლის თანახმად კი პლებისციტი არის კენჭისყრით საერთო-სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე საქართველოს ამომრჩეველთა ან მისი ნაწილის აზრის გასაკებად.<sup>2</sup>

რეფერენდუმი და პლებისციტი საერთო-სახალხო გამოკითხვაა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე. ასეთი საკითხებისათვის კანონით გათვალისწინებული ან „გონივრული“ ვადის დაწესება კი მიზანშეუწონელია და შეუძლებელიც. სახელმწიფოს განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე ყოველთვის წამოიჭრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხი, რომლის გადასაწყვეტად აუცილებელია ხალხის მონაწილეობა ან მისი აზრის გათვალისწინება. ამიტომ ასეთ საკითხებზე რეფერენდუმის ან პლებისციტის დანიშვნაზე უარის

1 იხ. ავტორთა კოლექტივი, კონსტიტუციური სამართალი, თბ, 2005, გვ. 251;

2 იხ. საქართველოს ორგანული კანონი რეფერენდუმის შესახებ;

თქმითაც შესაძლებელია ადამიანის საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა.

საქართველოს საარჩევნო კოდექსით, საქართველოს ორგანული კანონით რეფერენდუმის შესახებ, განსაზღვრულია საქართველოს მოქალაქისათვის საარჩევნო უფლების რეალიზაციის პირობები. კანონმდებლობით განსაზღვრულია ასევე საარჩევნო უფლების შეზღუდვის ფარგლები. ამიტომ საარჩევნო უფლების ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლით ქმედების დაკვალიფიცირებისათვის, აუცილებელია საარჩევნო უფლების როგორც რეალიზაციის, ისე შეზღუდვის კანონიერი პირობების ცოდნა.

საარჩევნო უფლების რეალიზაციისათვის ხელისშემშლელი ყოველგვარი ჩარევა, რომელსაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, იქნება სსკ-ის 162-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენელი ნაწილი, მისი შესაბამისი. მით უმეტეს, რომ კანონმდებელი არ მიუთითებს საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის ხერხზე. ამიტომ უნდა მივიჩნიოთ ამ მუხლის შესაბამისი ყოველი ხელის შეშლა, რომლის სამართლებრივი საფუძვლებიც არ არის განსაზღვრული კანონმდებლობით.

5. საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის დასადგენად, რასაც დასჯადად აცხადებს სსკ-ის 162-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დისპოზიცია, აუცილებელია თვით საარჩევნო უფლების მნიშვნელობის სწორად განსაზღვრა. საარჩევნო კოდექსის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საარჩევნო უფლება არის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება.<sup>1</sup> იქვე „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებში მოცემულია ამ უფლებათა მნიშვნელობა.

აქტიური საარჩევნო უფლება – მოქალაქის უფლება, ხმის მიცემის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ხალხის წარმომადგენელთა ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებული საყოველთაო არჩევნებსა და რეფერენდუმში;

პასიური საარჩევნო უფლება – მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში

1 იხ. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხ. 3.

ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად.<sup>1</sup>

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით განსაზღვრულია საქართველოს მოქალაქეთა წრე, ვისაც აქვს აქტიური საარჩევნო უფლება და პასიური საარჩევნო უფლება.

საარჩევნო უფლებებთან ერთად, მოცემულია შეზღუდვების ცენზი, რომლის მიხედვითაც მოქალაქეს უფლება არ აქვს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებსა და რეფერენდუმში. ასეთ შეზღუდვათა ცენზს მიეკუთვნება მოქალაქეობის, ბინადრობის, ასაკობრივი, განათლების, შეუთავსებლობის, აურჩევლობის, ქმედუნარიობის და მორალური ცენზი.<sup>2</sup>

თუკი საქართველოს მოქალაქე არ არის შეზღუდული ზემოთ დასახელებული რომელიმე ცენზის მიხედვით, მაშინ მას უნდა მიეცეს საარჩევნო უფლების განხორციელების შესაძლებლობა. ეს უნდა გავრცელდეს საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებზეც.

6. საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია საარჩევნო კანონმდებლობის, განსაკუთრებით კი მისი პრინციპების დაცვა. არჩევნების ძირითადი პრინციპებია საყოველთაობა, თავისუფლება, თანასწორობა, პირდაპირობა და ფარულობა. ამ პრინციპების მოთხოვნათა დაუცველობით ხელი ეშლება მოქალაქის საარჩევნო უფლების განხორციელებას.

6.1. საარჩევნო უფლება სახელმწიფოს ყველა მოქალაქის უფლებაა. საყოველთაო არჩევნების კონსტიტუციური პრინციპი გამორიცხავს არჩევნებში მონაწილეობისაგან მოქალაქის უსამართლო და არაკანონიერ გამოთიშვას. იგი უკრძალავს კანონმდებელს, მოსახლეობის რომელიმე ნაწილს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური საფუძვლით უარი უთხრას საარჩევნო უფლებაზე და მოითხოვოს, რომ ყოველმა მოქალაქემ საკუთარი საარჩევნო

---

1 იქვე.

2 ამ საკითხზე იხ. ავტორთა კოლექტივი, კონსტიტუციური სამართალი, თბ, 2005, გვ 232-234.

უფლება შეძლებისდაგვარად თანაბრად გამოიყენოს.<sup>1</sup> ამ პრინციპის საფუძველზე ყოველ მოქალაქეს, თუ მასზე არ მოქმედებს შეზღუდვის ცენზი, ეძლევა საარჩევნო უფლების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი.

საყოველთაო არჩევნების კონსტიტუციური პრინციპებით დაცული საარჩევნო უფლების განხორციელების შეზღუდვა შესაძლებელია ცალკეული მოქალაქეების მიმართ. მათ მიეკუთვნებიან ქმედუნარო, დროებით მეურვეობის ქვეშ მყოფი, სასამართლო გადაწყვეტილებით საარჩევნო უფლების არმქონე პირები და პირები, რომლებსაც მოცემულ საარჩევნო უბანში არა აქვთ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი.<sup>2</sup>

ასეთ პირთა მიმართ საარჩევნო უფლების განხორციელები-სათვის ხელის შეშლა კანონიერია და არ შეიძლება განვიხილოთ როგორც სსკ-ის 162-ე მუხლის შემადგენლობის შესაბამისი.

6.2. საარჩევნო უფლების, ნების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია პირდაპირი არჩევნების პრინციპი, რომლის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ ამომრჩეველს ჰქონდეს საბოლოო და გადამწყვეტი სიტყვა. ეს პრინციპი გამორიცხავს ისეთი საარჩევნო სისტემის არსებობას, რომლის დროსაც არჩევნების შემდეგ ამომრჩეველის ნებასა და ასარჩევ პირთა შორის წარმოიშობა კიდევ ერთი ინსტანცია, რომელიც საკუთარი შეზღუდულებისამებრ აირჩევს წარმომადგენელს და ამით ამომრჩეველს წაართმევს საშუალებას პირდაპირ, საკუთარი ხმის მიცემით აირჩიოს თავისი წარმომადგენელი სახალხო წარმომადგენლობაში.<sup>3</sup>

პირდაპირი არჩევნების პრინციპის დაცვის გარეშე შეუძლებელია მოქალაქის საარჩევნო უფლების, ნების განხორციელება. ეს პრინციპი ხელს უწყობს მოქალაქის საარჩევნო ნების თავისუფალ და პირდაპირ გამოხატვას. ამიტომ პირდაპირი არჩევნების პრინციპის დარღვევის ყოველი შემთხვევა იქნება საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა.

---

1 კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბ, 2003, გვ. 331.

2 იქვე, გვ. 331.

3 იქვე, გვ. 332.

6.3. თავისუფალი არჩევნების პრინციპი უზრუნველყოფს ყოველი მოქალაქის მიერ თავისი საარჩევნო უფლების გამოყენებას რაიმე იძულების თუ სხვა ნებისმიერი გარეგანი ზეწოლის გარეშე, ამომრჩეველი დაცული უნდა იყოს ნებისმიერი ზეწოლისაგან, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მის საარჩევნო გადაწყვეტილებაზე, აქ იგულისხმება არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოთა ზეგავლენა, არამედ დაუშვებელი ზეწოლა სხვა მოქალაქეთა თუ საზოგადოებრივი ჯგუფებისაგან, მაგალითად, სამსახურიდან განთავისუფლების მუქარა.

თავისუფალი არჩევნების პრინციპი უზრუნველყოფს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლინებას. სწორედ ამომრჩევლის ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლას გულისმხობს სსკ-ის 162-ე მუხლის დისპოზიცია. ნებისმიერი საშუალებით ხელის შეშლა, რომელიც ამომრჩეველს ართმევს ან უზღუდავს არჩევანის თავისუფლად გაკეთების შესაძლებლობას, გვაძლევს დანაშაულის შემადგენლობას. შეუძლებელია ამომწურავი ჩამონათვალის გაკეთება ისეთი ქმედებებისა, რომლებმაც შეიძლება მოქალაქეს ხელი შეუშალონ არჩევანის თავისუფლად გაკეთებაში. ამიტომ ყველა ასეთი ქმედება თავისუფალი არჩევნების პრინციპის ხელყოფით ახდენს საარჩევნო ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლას და შეესაბამება აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობას.

6.4. თანასწორი არჩევნების კონსტიტუციური პრინციპი მოითხოვს, რომ ყოველ მოქალაქეს ჰქონდეს შესაძლებლობა, თავისი (აქტიური თუ პასიური) საარჩევნო უფლება შეძლებისდაგვარად თანაბრად (თანასწორად) გამოიყენოს. ყოველი მოქალაქის ხმას აქვს თანასწორი წონა და მნიშვნელობა, დაუშვებელია მოქალაქის ხმა დიფერენცირებული იქნეს განათლების, რელიგიის, ქონების, სოციალური მდგომარეობის ან პოლიტიკური შეხედულების შესაბამისად. ამასთან კანდიდატებს გარანტირებული აქვთ შანსების თანასწორობა.<sup>1</sup>

თანასწორი არჩევნების კონსტიტუციური პრინციპი, ისე

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 333.

როგორც სხვა პრინციპები, ძალიან მნიშვნელოვანია საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის. ისე, როგორც სხვა ნებისმიერი პრინციპის დარღვევა, ასევე თანასწორი არჩევნების კონსტიტუციური პრინციპის დაუცველობაც, წარმოადგენს საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლას.

კონსტიტუციის 28-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ არჩევნები უნდა იყოს თანასწორი თანასწორობის მოთხოვნა ვრცელდება, როგორც უშუალოდ ხმის მიცემის პროცესზე, ისე არჩევნების მოსამზადებელ პროცედურებზე. თანასწორობის პრინციპი, ასევე თანაბრად მოიცავს არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიასა და ინდივიდს.<sup>1</sup>

6.5. ფარული არჩევნების კონსტიტუციური პრინციპი იცავს მოქალაქის თავისუფალ საარჩევნო გადაწყვეტილებას. ყოველი მოქალაქე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საარჩევნო გადაწყვეტილების მიღებისათვის მის წინააღმდეგ არ იქნება გამოყენებული რაიმე სანქცია, რადგან არავის არ აქვს უფლება, იცოდეს ვინ ვის მისცა ხმა. ფარული არჩევნების კონსტიტუციური პრინციპი წინასაარჩევნო კამპანიის დროსაც მოქმედებს.<sup>2</sup>

საარჩევნო ნების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია, რომ დაცული იყოს ფარული არჩევნების კონსტიტუციური პრინციპი. ხმის მიცემის ფარულობის დარღვევას ითვალისიწნებს სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე მუხლის დისპოზიცია. ამიტომ სსკ-ის 162-ე მუხლის დისპოზიციის შესაბამისად უნდა ვიგულისხმოთ ის შემთხვევები, რომლებსაც ადგილი აქვს წინასაარჩევნო კამპანიის დროს.

კანონმდებლობის შესაბამისად, არავინ არ არის ვალდებული წინასაარჩევნო კამპანიის დროს საჯაროდ გამოთქვას თავისი აზრი ან დამოკიდებულება რომელიმე პარტიის ან კანდიდატის მიმართ. ყოველ მოქალაქეს უნდა შეეძლოს ის, რომ წინასწარ და არც კენჭისყრის დღეს, არავის არ გაანდოს თავისი პოზიცია. მოქალაქე

---

1 ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, ზემოთ დასახელებული ნაშრომი გვ 245.

2 კ. კუბლაშვილი, ზემოთ დასახ. ნაშრომი, გვ 334.

არ არის ვალდებული ასევე გამოხატოს თავისი აზრი არჩევნების შემდეგ.

ფარული არჩევნების კონსტიტუციური პრინციპი დაცული უნდა იქნას არა მხოლოდ კენჭისყრის დროისათვის, რაც უადრესად მნიშვნელოვანია, არამედ მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში და არჩევნების ჩატარების შემდეგაც. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ მოქალაქეს ხელი არ შეეშალოს, რაიმე ზემოქმედების გამო, საარჩევნო უფლების თავისუფლად, თავისი ნების შეხედულებისამებრ განხორციელებაში.

7. საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლით დადგენილია, რომ „უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება“. შესაბამისად, საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით „აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას და კონტროლი ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე“.

საარჩევნო უფლების დაცვას აქვს დიდი მნიშვნელობა როგორც მოქალაქის უფლების დაცვის, ისე არჩევნების გზით ხალხის ნდობით აღჭურვილი მანდატით წარმომადგენლობითი ორგანოების ან თანამდებობის პირთა არჩევის თვალსაზრისით.

ასარჩევ ანდა არჩეულ წარმომადგენლობით ორგანოთა თუ თანამდებობის პირთა ლეგიტიმურობის ხარისხი პირდაპირ კავშირშია ამომრჩეველთა ნების თავისუფალ განხორციელებასთან. თუკი საარჩევნო პროცესი ჩატარდება ისეთ პირობებში, როდესაც ამომრჩეველს ნების თავისუფლად განხორციელებაში ხელი ეშლება, მაშინ გამარჯვების შემთხვევაშიც კი არჩეული ხელისუფლების ორგანოების ან თანამდებობის პირთა ნდობის მანდატი, რეიტინგი დაბალია და იწვევს ამომრჩეველთა, მოქალაქეთა უკმაყოფილებას. ამიტომ ხელისუფლების ორგანოებისა და თანამდებობის პირთა ლეგიტიმაციისათვის აუცილებელია, რომ საარჩევნო პროცესში შეიქმნას ამომრჩევლისათვის ნების თავისუფლად განხორციელების პირობები.

არჩევნებში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა შესაძლებელია, როგორც ცალკეული მოქალაქის. ისე პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო სუბიექტის ან თუნდაც ხელისუფლების



მხრიდან. რა თქმა უნდა, საარჩევნო ნების განხორციელებაზე ხელის შეშლის მასშტაბები დიდია, როცა ამას აკეთებენ ხელისუფლების წარმომადგენლები. ასეთი შემთხვევები იწვევს ამომრჩეველთა დიდ უკმაყოფილებას.

კანონმდებლობის შესაბამისად, არ დაიშვება ხელისუფლების მიერ არჩევნების მართვა (მანიპულაცია) და მხოლოდ ერთი სიით არჩევნები-ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს არჩევანის საშუალება. ნების თავისუფალი გამოვლინების უფლება არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტზე ვრცელდება.<sup>1</sup>

არჩევნებში ნების თავისუფალ გამოვლინებას, განხორციელებას სხვადასხვა ქმედებით შეიძლება შეეშალოს ხელი. „ხელის შეშლა შეიძლება გამოიხატოს წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისაგან ჩამოშორებაში, საარჩევნო სიის გაცნობისათვის წინააღმდეგობის შექმნაში, სიაში შეტანის თაობაზე განცხადების მიღებაზე უარის თქმაში და სხვა“.<sup>2</sup>

სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით შეიძლება მოქალაქისათვის არჩევნებში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა. მთავარია იმის დადგენა, რომ მოქალაქეს ჰქონდა არჩევნებში ნების გამოხატვის კონსტიტუციური უფლება – აქტიური საარჩევნო უფლება – და არ არსებობდა მისი შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი. საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის ფორმას ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია იმის დადასტურება, რომ ქმედებამ მოქალაქეს ხელი შეუშალა თავისუფალად გამოეხატა თავისი საარჩევნო ნება ამა თუ იმ კანდიდატის ან პარტიის მხარდასაჭერად

საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია, რომ არჩევნები უნდა წარიმართოს ყოველგვარი სახელმწიფო, პოლიტიკური და ეკონომიკური ზემოქმედების გარეშე. არჩევნების თავისუფლება უნდა იყოს რეალიზებული არა მარტო ფორმალურად, არამედ ფაქტობრივადაც. დაუშვებელია პოლიტიკური ზეწოლა

---

1 ლ.იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, ზემოთ დასახ. ნასრომი, გვ 249.

2 სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ, 2005 გვ 243.

როგორც სახელმწიფოს, ისე სხვა ამომრჩეველებისა და ჯგუფების მხრიდან. არჩევნებში ნების თავისუფლების შეზღუდვად ჩათვლება, როგორც პირდაპირი მუქარა, ასევე სამსახურებრივი, პროფესიული ან ეკონომიკურ-ფინანსური დამოკიდებულების გამოყენება.<sup>1</sup>

არჩევნებში ნების განხორციელებაზე ზემოქმედების სხვადასხვა ზერხს მიმართავენ დაინტერესებული მხარეები. არაერთი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც ამომრჩეველს ემუქრებიან, რათა მან ხმა მიცეს ამა თუ იმ კანდიდატს. ხშირია სამსახურიდან გათავისუფლების მუქარაც, რათა ამით გავლენა მოახდინონ ამომრჩეველზე. არც თუ იშვიათად აქვს ადგილი ფინანსური დამოკიდებულების გამოყენებას ამომრჩეველზე ზემოქმედების მიზნით.

მართალია, ხმის მიცემის, კენჭისყრის პროცესი ფარულია, მაგრამ ამომრჩეველზე ასეთი ზემოქმედება გავლენას ახდენს მისი ნების ფორმირებაზე. ამომრჩეველი ასეთი ზემოქმედების დროს, მაგალითად, სამსახურის დაკარგვის, ფინანსური დახმარების შეწყვეტის შიშით, ხშირად ღებულობს თავისი ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას და ამით ხელი ეშლება საარჩევნო უფლების თავისუფლად განხორციელებაში. უფრო მეტიც, არის შემთხვევები, როდესაც ემუქრებიან მეუღლის, მშობლის ან შვილის სამსახურიდან გათავისუფლებით, ჰუმანიტარული ან სხვა დახმარების შეწყვეტით, თუ ამომრჩეველი არ მიიღებს დაინტერესებული მხარისათვის სასურველ გადაწყვეტილებას. ასეთი სახის ზემოქმედებაც გავლენას ახდენს ამომრჩეველის ნების ფორმირებაზე და წარმოადგენს საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის ნაირსახეობას. ამიტომ, ყველა ასეთი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 162-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით.

ნების თავისუფალი გამოვლინების პრინციპი მოქმედებს არჩევნებამდე, არჩევნების პროცესში და არჩევნების შემდეგაც. სახელმწიფო ვალდებულია ნების თავისუფალი გამოვლინება დაიცვას არასამთავრობო ორგანიზაციების, სხვა პირებისა და ჯგუფების მხრიდანაც.

---

1 ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 249.

არასამთვარობო ორგანიზაციებსა თუ სხვა პირებს თავისუფლად უნდა შეეძლოთ თავიანთი ნების გამოხატვა. მათ შორის არჩევნების შემდეგაც, მაგალითად, არჩევნების მსვლელობაზე უარყოფითი შეფასების გაკეთების ფორმით.

საარჩევნო ნების გამოხატვა დაცულია ყველა სტადიაზე არჩევნებამდე, არჩევნების პროცესში და არჩევნების შემდეგაც. ამიტომ ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ფორმით საარჩევნო ნების გამოხატვისათვის ხელის შეშლა ქმნის სსკ-ის 162-ე მუხლის შემადგენლობას.

მართალია, ხმის მიცემის პროცესი არის ფარული, მაგრამ „ამავე დროს ხმის მიცემამდე და ხმის მიცემის შემდეგ ამომრჩეველი უფლებამოსილია თავისი გადაწყვეტილება განაცხადოს ღიად და საჯაროდ“.<sup>1</sup>

ასეთი შემთხვევაც არის საარჩევნო უფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა. ამიტომ ამ ფორმით საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლაც მოგვეცემს განსახილველი დანაშაულის, სსკ-ის 162-ე მუხლის, შემადგენლობას. მოქალაქის მიერ ამა თუ იმ კანდიდატის სასარგებლოდ თავისი გადაწყვეტილების ღიად და საჯაროდ განცხადება შეიძლება მიუღებელი იყოს სხვა კანდიდატის ან მისი მომხრეებისათვის. მაგრამ ეს მათ არ აძლევთ უფლებას, ხელი შეუშალონ მოქალაქეს განცხადების გაკეთებაში. ამიტომ ღიად და საჯაროდ, კანონის ფარგლებში გაკეთებული განცხადებისათვის ხელის შეშლის შემთხვევაც უნდა განვიხილოთ სსკ-ის 162-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შესაბამისად.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ „ნების თავისუფალი გამოვლინება არ გულისხმობს მხოლოდ რომელიმე კანდიდატის ან პარტიის თავისუფალ არჩევას. ნების თავისუფლება ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს საარჩევნო კანდიდატების წამოყენების დროსაც. მაგალითად, პარტიის წევრებს უნდა მიეცეთ კანდიდატის წამოყენების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა“.<sup>2</sup>

---

1 იქვე, გვ 250.

2 იქვე, გვ 250.

ვინაიდან ნების თავისუფალი გამოვლინების პრინციპი მოქმედებს არჩევნებამდე, არჩევნების პროცესში და არჩევნების შემდეგაც, ბუნებრივია, ამომრჩევლის, მოქალაქისათვის საარჩევნო ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლაც შესაძლებელია ყველა ზემო აღნიშნულ პერიოდში.

ამომრჩევლის ნების თავისუფლება დაცული უნდა იყოს არა მხოლოდ ხმის მიცემის პროცესში, კენჭისყრის დროს, არამედ არჩევნებამდე საარჩევნო კანდიდატების წამოყენების დროსაც. თუკი ამომრჩეველს არ მიეცა მისთვის სასურველი კანდიდატის წამოყენების შესაძლებლობა, მაშინ ამით მისი საარჩევნო ნების თავისუფალ გამოხატულებას ხელი ეშლება. ამიტომ ასეთი შემთხვევებიც უნდა მივიჩნიოთ განსახილველი დანაშაულის შესაბამისად.

ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლინებას არღვევს არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობა. ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა თითოეული კანდიდატის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება გამოხატოს. ამავე დროს, ამომრჩეველს შეუძლია არც ერთ კანდიდატს არ მისცეს ხმა და არავინ არ აიჩიოს.

ამიტომ არჩევნებში მონაწილეობის მიღების იძულების მიზნით ჩადენილი ნებისმიერი ქმედება ხელყოფს ამომრჩევლის თავისუფალი ნების განხორციელებას და შესაბამისად შეესაბამება დანაშაულის შემადგენლობას, რომელიც იცავს მოქალაქის საარჩევნო უფლებას.

ამ დანაშაულის შემადგენლობა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან იცავს ამომრჩევლის, მოქალაქის საარჩევნო ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლის ნებისმიერ შემთხვევას, გარდა კანონით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, რომლებიც აუცილებელია საარჩევნო უფლების სამართლებრივ ჩარჩოებში რეალიზაციისათვის.

8. საქართველოს კონსტიტუციით, საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულია საარჩევნო უფლების განხორციელების შეზღუდვის ფარგლები. ამიტომ კანონით გათვალისწინებული შეზღუდვის ფარგლებში ჩადენილი ქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს საარჩევნო ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს „... როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლება, თუმცა ეს შეზღუდვები თვითნებური არ უნდა იყოს შეზღუდვები დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გონივრული თავისუფალი არჩევნების უფლებაზე არსებული შეზღუდვები არ შეიძლება შეფასდეს როგორც რაიმე დისკრიმინაცია“.<sup>1</sup>

როდესაც საუბარია შეზღუდვების გონივრულობაზე, პირველ რიგში, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ არ მოხდეს საარჩევნო უფლების შეზღუდვა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში განსაზღვრული ნიშნების მიხედვით.

კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“. ამიტომ, თუკი რომელიმე ამ ნიშნით მოხდა მოქალაქის საარჩევნო უფლების შეზღუდვა, მაშინ ადგილი ექნება დანაშაულთა ერთობლიობას: ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა (სსკ-ის 142-ე მუხლი) და საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა (სსკ-ის 162-ე მუხლი).

დასაშვებია არჩევნებში მონაწილეობის უფლების შეზღუდვა (მაგალითად, განსაზღვრული ასაკით, გარკვეულ ტერიტორიაზე ცხოვრებით, ენის ცოდნით და სხვა). ამავე დროს, ამ შეზღუდვის მიზანი უნდა იყოს ლეგიტიმური, ხოლო შეზღუდვის ფარგლები უნდა განისაზღვროს თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე.<sup>2</sup>

ყოველი ისეთი შეზღუდვა, რომელიც არ არის ლეგიტიმური, კანონმდებლობით გათვალისწინებული, უნდა მივიჩნიოთ საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლად.

ქმედების დანაშაულად დაკვალიფიცირებისათვის, საკმარის-

---

1 იქვე, გვ. 251.

2 იქვე, გვ. 255.

ია საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის ფაქტის დადგენა. შედეგის დადგომა, იმის დადგენა, რეალურად დაირღვა თუ არა მოქალაქის საარჩევნო უფლება, ქმედების კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს.

მოქალაქემ მის მიმართ შექმნილი წინააღმდეგობის, საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის მიუხედავად, შეიძლება მაინც მოახერხოს საარჩევნო ნების თავისუფალი გამოვლინება. მაგრამ მის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედება ხელყოფს მოქალაქის საარჩევნო უფლებას. ამიტომ იგი კვალიფიცირდება როგორც უკვე დამთავრებული დანაშაული.

9. სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს მაკვალიფიცირებელ გარემოებებს. ესენია: ქმედების ჩადენა სამსახრეობრივი მდგომარეობის ან იარაღის გამოყენებით, მოტყუებით, ძალადობით ან ძალადობის მუქარით ჯგუფურად.

როდესაც საუბარია სამსახრეობრივი მდგომარეობის გამოყენებით საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლაზე, მხედველობაში მიიღება სპეციალური ამსრულებელი. სხვა შემთხვევაში ამ დანაშაულის ჩადენა შეუძლია ნებისმიერ ამსრულებელს. სპეციალური ამსრულებლის საკითხი დაისმება მაშინ, როდესაც ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც სამსახრეობრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი.

არჩევნებში ნების თავისუფალის გამოვლინების პროცესში სახელმწიფოს ეკრძალება ნებისმიერი ფორმით ჩარევა. და თუ ეს ხდება, ძირითადად, თანამდებობის, სამსახრეობრივი მდგომარეობის მქონე მოქალაქეების აქტიურობით. არჩევნების პროცესში თანამდებობის პირების (მერები, გამგებლები, პრეზიდენტის წარმომადგენლები) ჩარევა შეუთავსებელია მათ სახელმწიფო ფუნქციებთან. ამიტომ ასეთი თანამდებობის პირთა ჩარევა რომელიმე კანდიდატის ან პარტიის სასარგებლოდ, უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც სამსახრეობრივი მდგომარეობის გამოყენებით საარჩევნო ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს დანაშაულთა ერთობლიობას. თანამდებობის პირებისაგან განსხვავებით, კერძო დაწესებულებ

ბების, აგრეთვე ეკლესიის, პროფკავშირის ზეგავლენა ამომრჩევლის ნების ფორმირებაზე არ ეწინააღმდეგება ნების თავისუფალი გამოვლინების პრინციპს.

იარაღის გამოყენებით, ძალადობით ან ძალადობის მუქარით დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის თაობაზე, აღვნიშნეთ სსკ-ის 161-ე მუხლის განხილვისას.

რაც შეეხება მოტყუებით საარჩევნო ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლას, იგი შესაძლებელია აქტიური და პასიური მოტყუებით. „მოტყუება გულისხმობს პირის შეცდომაში შეყვანას ამა თუ იმ მოქმედების ან მოვლენის ნამდვილი თვისების, დანიშნულებისა და მიზნის შესახებ, მაგალითად, მოქალაქის შეცდომაში შეყვანა დეპუტატობის კანდიდატის მონაცემების შესახებ“.<sup>1</sup>

მოტყუების საშუალებით შეცდომაში შეჰყავთ ამომრჩეველი და ამით გავლენას ახდენენ მისი ნების ფორმირებაზე. ამომრჩეველი გადაწყვეტილებას ღებულობს იმ არასწორი ინფორმაციის, მონაცემების საფუძველზე, რაც მას მიაწოდეს. ამომრჩეველი მოტყუებით შეცდომაში რომ არ შეეყვანათ, მაშინ ის სულ სხვა გადაწყვეტილებას მიიღებდა, სხვაგვარ ნებას გამოხატავდა. ამიტომ, მოტყუების გამო ამომრჩეველს ხელი შეეშალა საარჩევნო ნების თავისუფლად განხორციელებაში.

სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლში ჩამოყალიბებულია ჯგუფური დანაშაულის მნიშვნელობა. სსკ-ის 162-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი გარემოება, ქმედების ჩადენა ჯგუფურად, არ აკონკრეტებს თუ რა სახის ჯგუფთან გვაქვს საქმე. სსკ-ის 27-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება ჯგუფი წინასწარი შეთანხმებით და წინასწარ შეუთანხმებლად. ორგანიზებულ ჯგუფზე მითითება სსკ-ის 162-ე მუხლში არ გვაქვს – ამიტომ იგულისხმება დანაშაულის ჩადენა ჯგუფურად წინასწარ შეუთანხმებლად ან წინასწარი შეთანხმებით.

არჩევნების მიმდინარეობის პროცესებში მართლაც ხშირია შემთხვევები, როდესაც რომელიმე კანდიდატის მხარდამჭერი ჯგუფები ამომრჩეველზე ზეგავლენის მიზნით ჩადიან სხვადასხვა

---

1 სისხლის სამართალი, კ/ნ. წიგნი I, თბ 2005, გვ 244.

ქმედებებს. რა თქმა უნდა, ამომრჩეველზე ჯგუფის ზეწოლა უფრო დამთრგუნველად და ძლიერ მოქმედებს ნების ფორმირებაზე, ვიდრე ერთი მოქალაქის. ამიტომ ასეთი ქმედება უფრო მეტად ხელს უშლის მოქალაქეს საარჩევნო ნების განხორციელებაში.

როგორც ჯგუფურად, ისე ცალკეული ადამიანის მიერ ამომრჩეველზე ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ქმედების ჩამდენს გაცნობიერებული აქვს, რომ ხელს უშლის მოქალაქეს საარჩევნო ნების განხორციელებაში და სურს ამ ქმედების ჩადენა.

მოტივი შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგრამ იგი ქმედების კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს.

10. აღნიშნული დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სტატისტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სასამართლოების ბოლო 2-3 წლის პრაქტიკაში არც თუ ისე ხშირია სსკ-ის 162-ე მუხ-ით გათვალისწინებული სისხლის სამართლის საქმეები. ასე, მაგალითად, 2005 წელს სასამართლო პრაქტიკაში წარმოებაში იყო მხოლოდ 1 სისხლის სამართლის საქმე № 1-077 თბილისის საოლქო სასამართლოში შ. თინიკაშვილის მიმართ სსკ-ის 162-ე მუხ-ით გათვალისწინებულ დანაშაულზე. მან ჩაიდინა არჩევნების ჩატარებაში ხელის შეშლა.<sup>1</sup>

2006 წელს კი ასეთი დანაშაულით გათვალისწინებულ საქმეთა როცხვი 2-მდე გაიზარდა. წყალტუბოს სასამართლოში წარმოებაში იყო სისხლის სამართლის საქმე №1-182 ნ. ბაქრაძისა და №1-195 სს-ის საქმე ი. ბაქრაძის მიმართ. მათი ქმედება დაკვალიფიცირდა არჩევნებში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლად. სასამართლოს განაჩენით, მათ მსჯავრი დაედოთ სსკ-ის 162-ე მუხ-ის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც გულისხმობს არჩევნებში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლას ძალადობით ან ძალადობის მუქარით („გ“ ქვეპუნქტი) და ჯგუფურად („დ“ ქვეპუნქტი).

---

<sup>1</sup> მონაცემები აღებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლო სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის განყოფილებიდან. იხ. [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)



სსკ-ის 162-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა სასამართლოებში წარმოების რიცხვი არ შეცვლილა 2007 წელს.

2007 წლის განმავლობაში სასამართლოებში განხილულ იქნა 2 სისხლის სამართლის საქმე 2 პირის მიმართ სსკ-ის 162-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე. აქედან ერთს მიესაჯა პირობითი მსჯავრი, მეორეს კი ჯარიმა.

ვფიქრობ, სასამართლო სტატისტიკა არ ასახავს იმ რეალურ ვითარებას, რასაც ადგილი აქვს საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლასთან დაკავშირებით. საქართველოში ბოლო პერიოდში ჩატარებული არჩევნების დროს არაერთხელ ჰქონია ადგილი ამომრჩევლის საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის ფაქტებს.

სამწუხაროდ, სასამართლო სტატისტიკაში სსკ-ის 162-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების მცირე რიცხვი, არ ასახავს იმ ფაქტების რიცხვს, რასაც სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. მიუხედავად ამისა, ამომრჩეველთა ნების განხორციელების დაცვისათვის სსკ-ის 162-ე მუხლის მნიშვნელობა უდავოდ დიდია. ამ მუხლის სასამართლო პრაქტიკაში სწორედ გამოყენებისათვის კი აუცილებელია მისი სამეცნიერო კომენტარი, თუნდაც მცირე პრაქტიკის მაგალითზე.

## მუხლი 163. საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა

სარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა, რამაც არჩევნების, რეფერენდუმის ან პლემისციტის ანდა საარჩევნო უბანში ხმის მიცემის პროცესის ჩაშლა გამოიწვია –

ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

1. ამ დანაშაულის შემადგენლობით ისე, როგორც სსკ-ის 162-ე მუხ-ის შემადგენლობით, გათვალისწინებულია მოქალაქის, ამომრჩევლის საარჩევნო ნების განხორციელებისათვის ხელის

შეშლა. შემადგენლობათა შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ სსკ-ის 162-ე მუხლისაგან განსხვავებით, განსახილველი დანაშაულის დისპოზიცია გულისხმობს ამომრჩევლის ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლის არა ნებისმიერ, არამედ საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლის შემთხვევას. ამავე დროს საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისთვის ხელის შეშლას შედეგად უნდა მოჰყვეს არჩევნების, რეფერენდუმის ან პლემისციტის ანდა საარჩევნო უბანში ხმის მიცემის პროცესის ჩაშლა.

დანაშაულის შემადგენლობის აღწერიდან ჩანს, რომ მისი დადგენისათვის აუცილებელია საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისი მუხლების განხილვა, რომლებიც აწესრიგებს საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიების შექმნისა და მუშაობის წესს.<sup>1</sup>

2. საქართველოს საარჩევნო კოდექსის III თავი ეხება საარჩევნო ოლქებსა და საარჩევნო უბნებს. ეს თავი სულ ორი მე-15 და მე-16 მუხლისაგან შედგება, რომლებშიც შესაბამისად მოცემულია საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები.<sup>2</sup>

საარჩევნო კოდექსის შემდეგი მე-4 თავი საარჩევნო ადმინისტრაციას ეხება. ეს თავი მოიცავს 17-39<sup>1</sup> მუხლებს, თუმცა განსახილველი დანაშაულის შემადგენლობის დადგენისათვის მნიშვნელოვანია 22-ე მუხლი – საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი.

საარჩევნო და სარეფერენდუმო კომისიები მუშაობენ საქართველოს საარჩევნო კოდექსის, რეფერენდუმის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

რეფერენდუმის შესახებ კანონის მე-16 მუხლის – სარეფერენდუმო კომისიების – თანახმად, 1. რეფერენდუმის მომზადებასა და გამართვას უზრუნველყოფენ ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია, საოლქო სარეფერენდუმო კომისიები, საუბნო სარეფერენდუმო კომისიები. 2. ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიისა და საოლქო სარეფერენდუმო კომისიების მოვალეობების შესრულება

---

1 საარჩევნო უფლების, არჩევნების, რეფერენდუმის და პლემისციტის მნიშვნელობაზე, ასევე საარჩევნო უფლების დაცვის თაობაზე იხ. 162-ე მუხ-ის კომენტარი. 2 იხ. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხ. მე-15 და მე-16;

ეკისრებათ შესაბამისად საქართველოს ცენტრალურ და საოლქო საარჩევნო კომისიებს. საუბნო სარეფერენდუმო კომისიები იქმნება საქართველოს ორგანული კანონის „ საქართველოს საარჩევნო კოდექსი-ს“ შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნისათვის დადგენილი წესით.<sup>1</sup>

ამდენად, საქართველოს საარჩევნო კოდექსით, რეფერენდუმის შესახებ კანონით განსაზღვრულია საარჩევნო და საფერენდუმო კომისიების ე.ი. ცენტრალური, საოლქო და საუბნო კომისიების შექმნისა და მუშაობის წესი, მათი კომპეტენცია, უფლებამოსილება. რეფერენდუმის შესახებ კანონის მე-19 მუხლში სარეფერენდუმო კომისიების უფლებამოსილება – მოცემულია თითოეული კომისიის კომპეტენცია რეფერენდუმის მომზადებისა და მოწყობის პერიოდში. ვინაიდან ხმის მიცემის პროცედურა, კენჭისყრის ჩატარება უშუალოდ საარჩევნო უბანზე ხდება, მაგალითისათვის, განვიხილოთ საუბნო სარეფერენდუმო კომისიის უფლებამოსილება.

რეფერენდუმის შესახებ კანონის მე-19 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად „საუბნო სარეფერენდუმო კომისია: ა) მოქალაქეებს აცნობს კენჭისყრის მონაწილეთა სიებს, იხილავს სიებში არსებული უზუსტობათა განცხადებებს და წყვეტს მათში სათანადო ცვლილებების შეტანის საკითხს; ბ) უზრუნველყოფს კენჭისყრისათვის საჭირო შენობის, ყუთების და ოთახების მომზადებას; გ) რეფერენდუმის დღეს ორგანიზაციას უკეთებს კენჭისყრას; დ) აუქმებს სარეფერენდუმო უბანში კენჭისყრის შედეგებს; ე) იხილავს განცხადებებსა და საჩივრებს რეფერენდუმის მომზადებისა და კენჭისყრის ორგანიზაციის საკითხებზე. იღებს გადაწყვეტილებებს მათ გამო“.<sup>2</sup>

იმისათვის, რომ საარჩევნო პროცესი ნორმალურად წარიმართოს, აუცილებელია საარჩევნო და სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ისეთ გარემოებას, როცა საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიას შეუძლია თავისი უფლებამოსილების განხ-

1 იხ. საქართველოს ორგანული კანონი რეფერენდუმის შესახებ, მუხ. 16.

2 იხ. იქვე, მუხ. 19.

ორციელება შეუფერხებლად. საარჩევნო და სარეფერენდუმი კომისიების მუშაობა საარჩევნო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ამიტომ მისი ხელყოფით ასევე მნიშვნელოვნად ირღვევა მოქალაქის საარჩევნო უფლება. თუკი საარჩევნო ან სარეფერენდუმი კომისიები ხელის შეშლის გამო ვერ იმუშავენ და ვერ განახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებას, მაშინ ამან შეიძლება არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის ჩაშლა გამოიწვიოს. ასევე შესაძლებელია საარჩევნო უბანში ხმის მიცემის პროცესის ჩაშლა.

სარჩევნო ან სარეფერენდუმი კომისიის მუშაობისათვის ხელის შემშლელ ქმედებათა ამომწურავი ჩამონათვალის გაკეთება შეუძლებელია. იგი სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოიხატოს. მაგალითად, „საარჩევნო კომისიისათვის შენობის მიუცემლობაში, შენობის ბლოკირებაში, საარჩევნო კომისიის წევრისათვის სხდომაზე დასწრების თუ ხმების დათვლაში მონაწილეობის აკრძალვაში და სხვა.“<sup>1</sup>

კვალიფიკაციის დროს მნიშვნელოვანია ის, რომ დავადგინოთ ქმედებით კომისიის წევრის მიმართ თავისი უფლებამოსილების განხორციელებისათვის ხელის შეშლა, რასაც შედეგად მოჰყვა არჩევნების ან საარჩევნო უბანში ხმის მიცემის პროცესის ჩაშლა. თუ აღნიშნული შედეგი არ დადგა, თუმცა ადგილი ჰქონდა კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლას, მაშინ ქმედება არ შეიძლება დავაკვალიფიციროთ როგორც სსკ-ის 163-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შესაბამისი.

საარჩევნო ან სარეფერენდუმი კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა ისეთი მნიშვნელობის უნდა იყოს, რომ მან გამოიწვიოს არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის ჩაშლა.

3. ქმედების კვალიფიკაციისათვის საკმარისია ასევე, რომ საარჩევნო ან სარეფერენდუმი კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლას შედეგად მოჰყვეს საარჩევნო უბანში ხმის მიცემის პროცესის ჩაშლა.

საარჩევნო უბანში ხმის მიცემის პროცესი რეგულირდება საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-8 თავით – კენჭისყრა. ამ

---

1 სისხლის სამართალი, კან. წიგნი 1, თბ, 2005, გვ. 246.

თავში მოთავსებული 54-ე და 56-ე მუხლებით, შესაბამისად, რეგულირებულია კენჭისყრის ჩატარებისა და გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის საკითხები.

საარჩევნო კოდექსის 54-ე მუხლში საკმაოდ დეტალურად არის აღწერილი ხმის მიცემის პროცედურა.<sup>1</sup> განსაზღვრულია თუ როგორი წესითა და თანმიმდევრობის დაცვით უნდა ჩატარდეს ხმის მიცემის პროცედურა, რა არის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა უფლებამოსილება.

როგორც ცნობილია, ცალკეულ ამომრჩევლებს ხმის მიცემა შეუძლიათ გადასატანი ყუთის საშუალებით. საარჩევნო კოდექსის 56-ე მუხლით მოცემულია გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის პროცედურის რეგლამენტაცია. ყოველი ქმედება, რომელიც ხელს შეუშლის საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიას, საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, ხმის მიცემის პროცესის ჩატარებაში და ჩაშლის ამ პროცესს, უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც სსკ-ის 163-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

შესაძლებელია, მომავალში საარჩევნო კოდექსში შეტანილი იქნეს გარკვეული სახის ცვლილება-დამატებები. ამან კი გამოიწვიოს ხმის მიცემის პროცესთან დაკავშირებული მუხლების ახლებური რედაქციით ჩამოყალიბება.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა დაიცავს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან საარჩევნო უბანში ხმის მიცემის ისეთ პროცესს, როგორსაც საკანონმდებლო ხელისუფლების ნების შესაბამისად, გაითვალისწინებს საარჩევნო კოდექსი.

ისევე, როგორც სსკ-ის 162-ე მუხლით, ასევე სსკ-163-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა – ჩადენა შესაძლებელია განზრახვით. მოქმედმა იცის თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგი და სურს ამ შედეგის დადგომა. იგი შეიძლება სხვადასხვა მოტივით მოქმედებდეს. მოტივი ამ შემთხ-

---

1 იხ. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხ. 54.

ვევაში ქმედების კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს.

4. საარჩევნო უფლების განხორციელების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც არჩევნების ჩატარების პერიოდულობასა და შესაბამისად, მხოლოდ ამ პერიოდში მათი ჩადენის შესაძლებლობას გულისხმობს, განსხვავებულია სასამართლო სტატისტიკა სხვა დანაშაულებთან შედარებით.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საარჩევნო უფლების განხორციელების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის სასამართლო სტატისტიკა ძალზე მცირეა თვით საარჩევნო წლების დროსაც კი. ასე მაგალითად, სსკ-ის 163-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მხოლოდ ერთი სისხლის სამართლის საქმე იყო წარმოებაში ბოლო სამი წლის, 2005-2007 წ.წ., განმავლობაში სასამართლოში. 2005წ-ს ქობულეთის სასამართლოში წარმოებაში იყო სისხლის სამართლის საქმე №1-088 თ. შამილიშვილის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა საარჩევნო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა.

2006 და 2007 წლებში სასამართლოებში სსკ-ის 163-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე სისხლის სამართლის საქმეები წარმოებაში არ ყოფილა.

## მუხლი 164. ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა, ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება

არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილის ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის წევრის ან ასეთ კომისიაში რწმუნებულად ამ მეთვალყურედ დანიშნულის მიერ საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლებისციტო დოკუმენტის გაყალბება, ხმების განზრახ არასწორად დათვლა, არჩევნების შედეგების განზრახ არასწორად შეჯამება ანდა რეფერენდუმის ან პლებისციტის შედეგების განზრახ არასწორად დადგენა, —

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი საბუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

1. საარჩევნო უფლების განხორციელების მნიშვნელოვან წინაპირობას სხვა გარემოებებთან ერთად წარმოადგენს ფარული არჩევნების კონსტიტუციური პრინციპის დაცვა.<sup>1</sup> განსახილველი დანაშაულის დისპოზიციის მიხედვით, ფარული არჩევნების კონსტიტუციური პრინციპის დარღვევა, ანუ ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა ზდება სპეციალური ამსრულებლის მიერ. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სსკ-ის 164-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დისპოზიცია გულისხმობს სპეციალურ ამსრულებელს არა მხოლოდ ხმის მიცემის ფარულობის დარღვევისას, არამედ ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული სხვა ქმედებების ჩადენისასაც. ასეთ ქმედებებს კი დანაშაულის დისპოზიციის შესაბამისად, წარმოადგენს:

საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის წევრის ან ასეთ კომისიაში რწმუნებულად ან მეთვალყურედ დანიშნულის მიერ საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლებისციტო დოკუმენტის გაყალბება;

ხმების განზრახ არასწორად დათვლა;

არჩევნების შედეგების განზრახ არასწორად შეჯამება ანდა რეფერენდუმის ან პლებისციტის შედეგების განზრახ არასწორად დადგენა;

2. ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებები უნდა განახორციელოს საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლებისციტო კომისიის წევრმა ან ასეთ კომისიაში რწმუნებულად ან მეთვალყურედ დანიშნულმა პირმა.<sup>2</sup>

საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლებისციტო კომისიაში რწმუნებულად, წარმომადგენლად ან მეთვალყურედ, დამკვირვებლად პირის დანიშვნისა და მისი უფლებამოსილების საკითხი რეგულირებულია საქრთველოს საარჩევნო კოდექსით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სისხლის სამართლის კოდექ-

---

1 არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის, ასევე მათში მონაწილეობის თაობაზე იხილეთ 162-ე მუხლის განმარტება, რაც შეეხება საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის წევრს, ამის თაობაზე იხილეთ 163-ე მუხლის განმარტება.

2 საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლებისციტო კომისიის წევრის თაობაზე იხ. 163-ე მუხლის განმარტება.

სის 164-ე მუხლის დისპოზიციისგან განსხვავებით, სადაც მოხსენიებულია საარჩევნო კომისიაში რწმუნებულად ან მეთვალყურედ დანიშნული, საარჩევნო კოდექსში გამოყენებულია დამკვირვებელი და წარმომადგენელი.

მათ სწორედ ის უფლებამოსილება და ფუნქცია აქვთ, რასაც გულისხმობს სსკ-ის 164-ე მუხლის თანახმად რწმუნებული და მეთვალყურე.

სსკ-ის 164-ე მუხლის დისპოზიციის განხილვისას უნდა დავეყრდნოთ უპირველეს ყოვლისა, თვით მუხლის დისპოზიციის შინაარსს, მასში მოყვანილ ტერმინებსა და მათ მნიშვნელობებს. ამავე დროს, როგორც ბლანკეტური დისპოზიციის მქონე მუხლისათვისაა დამახასიათებელი, ყურადღებით უნდა განვიხილოთ ის კანონმდებლობა, რომელსაც ეყრდნობა აღნიშნული მუხლის დისპოზიცია. აღნიშნულ შემთხვევაში საქართველოს საარჩევნო კოდექსი წარმოადგენს ასეთს, კერძოდ კი, საარჩევნო კოდექსის ის მუხლები, სადაც განსაზღვრულია დამკვირვებლისა და წარმომადგენლის უფლებამოსილება.

სისხლის სამართლის კოდექსსა და საარჩევნო კოდექსში მოყვანილ ტერმინებს შორის შეუსაბამობა, შეიძლება კანონმდებლობის ერთგვარ ხარვეზადაც მივიჩნიოთ, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეგვიშალოს მათ სწორად ახსნა-განმარტებაში და შესაბამისად პრაქტიკაში გამოყენებაში. რა თქმა უნდა, უმჯობესია ერთიანი ტერმინების გამოყენება, დისპოზიციაში იმ სიტყვების მოშველიება, რომელიც გამოიყენება საარჩევნო კოდექსში და რომელთა მიერაც შესაძლებელია განსახილველი დანაშაულის ჩადენა.

შესაძლებელია უახლოეს მომავალში მოხდეს საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანა, რაც უფრო სრულყოფილ სახეს მისცემს მას. ამჟამად კი ჩვენ უნდა დავეყრდნოთ მოქმედ საარჩევნო კოდექსს, რომლის მე-8 თავი ეხება საჯაროობას, არჩევნების მომზადებისას და ჩატარებისას, სწორედ ამ თავის შესაბამის მუხლებშია ჩამოყალიბებული დამკვირვებლისა და წარმომადგენლის უფლებამოსილებანი.

საარჩევნო კოდექსის 68-ე მუხლის – ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები – თანახმად, არჩევნებზე დაკვირვების



უფლება აქვთ ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კანონით დადგენილ პირობებს და რეგისტრაციას გაივლიან საქართველოს ცენტრალურ ან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.<sup>1</sup>

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 69-ე მუხლში – დამკვირვებელ ორგანიზაციათა რეგისტრაცია – რეგლამენტირებულია საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციათა რეგისტრაციის წესი. საარჩევნო კოდექსის 70-ე მუხლში კი მოცემულია დამკვირვებლის უფლებები.

დამკვირვებელთან ერთად მნიშვნელოვანია წარმომადგენლის უფლებამოსილების განსაზღვრა. საარჩევნო კოდექსის 71-ე მუხლის თანახმად, საარჩევნო სუბიექტის (არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის) წარმომადგენელი საარჩევნო სუბიექტს წარმოადგენს შესაბამის საარჩევნო კომისიასთან ურთიერთობაში.

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვს დანიშნოს ორი წარმომადგენელი ყოველ საარჩევნო კომისიაში, ხოლო ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში კანდიდატის წარმდგენ საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს ორ-ორი წარმომადგენელი დანიშნოს შესაბამის საოლქო და მის ქვემდებარე საარჩევნო კომისიებში.<sup>2</sup>

3. მიზანშეწონილია სპეციალურ ამსრულებელთან ერთად განვიხილოთ იმ პირთა წრე, რომელთაც კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ. მართალია, ისინი არ შეიძლება უყვნენ განსახილველი დანაშაულის ამსრულებელი, მაგრამ მათ უფლება აქვთ იმყოფებოდნენ კენჭისყრის შენობაში. შესაბამისად, მეტია შესაძლებლობა სხვა მოქალაქეებისაგან განსხვავებით, რომ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები გახდნენ განსახ-

1 იხ. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხ 68;

2 იქვე მუხ 71;

ილველი დანაშაულის თვითმხილველები და თანამონაწილენი ან პირიქით, მათ აქვთ ყველაზე მეტი შესაძლებლობა, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების გამო, რომ ხელი შეუშალონ საარჩევნო კომისიის წევრებს ან ასეთ კომისიაში დამკვირვებლად ან წარმომადგენლად დანიშნულ პირებს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში.

საარჩევნო კოდექსის 67-ე მუხლის შესაბამისად, საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრებს, შესაბამისი და ზემდგომი საარჩევნო კომისიების აპარატის თანამშრომლებს, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესაბამის კომისიაში აკრედიტებულ წარმომადგენლებს, საარჩევნო სუბიექტების თითო წარმომადგენელს შესაბამის კომისიაში, აგრეთვე შესაბამის კომისიაში რეგისტრირებულ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის და ცესკოში რეგისტრირებულ საერთაშორისო ორგანიზაციის თითო დამკვირვებელს თარჯიმანთან ერთად, თუ შენობის ფართობი არ იძლევა საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისა და დამკვირვებლების მეტი რაოდენობის დასწრების შესაძლებლობას.<sup>1</sup>

4. განსახილველი დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ერთ-ერთ ნიშანს, უფრო ზუსტად კი, ობიექტური შემადგენლობის გამოვლენის სახეს წარმოადგენს ზემოთ განხილული სპეციალური ამსრულებლის მიერ არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილის ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა.

ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლინება მჭიდროდ არის დაკავშირებული არჩევნების ფარულ ხასიათთან. ამავე დროს, ფარული არჩევნების პრინციპს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც იგი ხმის მიცემამდეც მოქმედებს. მართალია, ფარული არჩევნების პრინციპი, ძირითადად სწორედ ხმის მიცემის დროსაა რეალიზებული, მაგრამ მოქმედებს მთელი საარჩევნო პროცესის განმავლობაში.<sup>2</sup>

---

1 იქვე, მუხ 67;

2 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ, 2005, გვ. 249;

მართალია, ფარული არჩევნების კონსტიტუციური პრინციპი მოქმედებს მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში, ხმის მიცემის ფარულობა დაცული უნდა იყოს არა მხოლოდ კენჭისყრის დროს, არამედ წინასაარჩევნო კამპანიის დროსაც. ეს განპირობებულია იმით, რომ ყოველი მოქალაქე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საარჩევნო გადაწყვეტილების მიღებისათვის მის წინააღმდეგ არ იქნება გამოყენებული რაიმე სანქცია, რადგან არავის არ აქვს უფლება, იცოდეს, ვინ ვის მისცა ხმა.<sup>1</sup> ამის გარანტს კი სწორედ ხმის მიცემის ფარულობა წარმოადგენს. განსახილველი დანაშაულის დისპოზიცია გულისხმობს ფარული არჩევნების კონსტიტუციური პრინციპის დაცვას არა მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში, არამედ უშუალოდ კენჭისყრის ჩატარებისას, ხმის მიცემის დროს.

თუკი ადგილი ექნება ფარული არჩევნების კონსტიტუციური პრინციპის დარღვევას ხმის მიცემის პროცედურის გარდა, სხვა საარჩევნო პერიოდში, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 162-ე მუხლით და არა სსკ-ის 164-ე მუხლით.

სსკ-ის 164-ე მუხლი წარმოადგენს სსკ-ის 162-ე მუხლის სპეციალურ შემადგენლობას. მასში დაკონკრეტებულია ფარული არჩევნების კონსტიტუციური პრინციპის დარღვევის დრო – ესაა კენჭისყრის ჩატარება, ხმის მიცემის პროცედურა. ეს საკითხები რეგლამენტირებულია საქართველოს საარჩევნო კოდექსის 54-ე მუხლით – კენჭისყრის ჩატარება. ამ მუხლში საკმაოდ დეტალურად არის მოცემული ხმის მიცემის პროცედურა და მისი ჩატარებისათვის აუცილებელი პირობები. მნიშვნელოვანია, რომ კენჭისყრა ჩატარდეს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად. შესაძლებელია, დროთა განმავლობაში საარჩევნო კოდექსში შევიდეს ცვლილებები და შეიცვალოს ხმის მიცემის პროცედურა, მაგრამ ხმის მიცემის ფარულობის დაცვას ყოველთვის მიენიჭება სათანადო მნიშვნელობა. თუნდაც იმიტომ, რომ „ნების თავისუფალი გამოვლინება არის არა მარტო ამომრჩევლის უფლება, არამედ ვალდებულებაც. ამომრჩეველი არ არის უფლებამოსილი, რომ სხვა პირთა თანდას-

---

1 კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბ, 2003, გვ 334;

წრებით შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი ან ღიად მისცეს ხმა“.<sup>1</sup> ამავე დროს, კანონით გათვალისწინებულია ცალკეული გამონაკლისებიც. „ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს ფარული კენჭისყრის კაბინაში დახმარებისათვის მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა“.<sup>2</sup>

როგორც ცნობილია, საქართველოს საარჩევნო კოდექსით მოწესრიგებულია ხმის მიცემის პროცედურა, მისი ფარულობა არა მხოლოდ საარჩევნო უბნებზე, არამედ გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებითაც. საარჩევნო კოდექსის 56-ე მუხლში დეტალურად არის აღწერილი გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის პროცედურა. აუცილებელია მისი მოთხოვნების დაცვა, რათა ადგილი არ ჰქონდეს ხმის მიცემის ფარულობის დარღვევას.

ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, საარჩევნო უბნის დატოვებაში კაბინების გარეშე, დაუნომრავი ბიულეტენის გაცემაში, ხმის მიცემისას კაბინაში პირთა დასწრებაში და სხვა.<sup>3</sup>

ხმის მიცემის ფარულობა სხვადასხვა ქმედებით შეიძლება დაირღვეს. შეუძლებელია მათი ამომწურავი ჩამონათვალის გაკეთება. მთავარია კონკრეტული ქმედებით ამომრჩეველს ხელი შეეშალოს ხმის ფარულად მიცემაში. შეიძლება ითქვას, რომ ხმის მიცემის პროცედურა, რომელიც ფარულობას გულისხმობს, განსხვავდება კენჭისყრის ჩატარებისას განხორციელებული სხვა ქმედებებისგან, რომლებიც შეიძლება ღიად, სხვა ამომრჩეველების თანდასწრებითაც ჩატარდეს. მაგალითად, მარკირების პროცესი, ბიულეტენის მიღება, ბიულეტენის დამოწმება სპეციალური ბეჭდით და ა.შ.

ხმის მიცემა ფარულობის მოთხოვნით გულისხმობს საარჩევნო კოდექსის 54-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ

---

1 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ, 2005, გვ. 250;

2 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ, 2005, გვ. 247;

3 იქვე, გვ. 247;

ქმედებას, კერძოდ, „საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) დამოწმების შემდეგ ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში და ავსებს ბიულეტენს (ბიულეტენებს) ამ კანონის შესაბამისად დადგენილი წესით. ბიულეტენის (ბიულეტენების) შევსების შემდეგ ამომრჩეველმა იგი (ისინი) ისე უნდა დაკეცოს, რომ არ ჩანდეს, ვის მისცა ხმა“<sup>1</sup>; სწორედ ამ კონკრეტული ქმედების განხორციელებაში არ უნდა შეეშალოს ხელი ამომრჩეველს საარჩევნო კომისიის წევრის ანდა კომისიაში წარმომადგენლად ან დამკვირვებლად დანიშნულის მიერ. თუკი მომავალში საარჩევნო კოდექსში სხვაგვარად იქნება ჩამოყალიბებული ხმის მიცემის ფარულობა, მაშინ განსახილველი დანაშაულის შემადგენლობაც, ბლანკეტური დისპოზიციის თვისების გამო, დაიცავს იმ პროცედურას, რაც მოქმედი საარჩევნო კოდექსით იქნება გათვალისწინებული.

5. დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ისეთი სახის ქმედების განსახილველად, როგორცაა საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის წევრის ან ასეთ კომისიაში რწმუნებულად ან მეთვალყურედ დანიშნულის მიერ საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლებისციტო დოკუმენტის გაყალბება, აუცილებელია დავეყრდნოთ საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-3 მუხლში მოცემულ ტერმინთა განმარტებას.<sup>2</sup> ამ მუხლის „ჩ“ ქვეპუნქტის თანახმად „საარჩევნო დოკუმენტაცია-საარჩევნო კომისიებში შემოსული და საარჩევნო კომისიებიდან გასული განცხადებები, საჩივრები, წერილები, საქმიანი ქაღალდები, ოქმები, საარჩევნო ბიულეტენები, სპეციალური კონვერტები, საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტები, საკონტროლო ფურცლები, სარეგისტრაციო ფურნალები, ამომრჩეველთა სიები, ამომრჩეველის ბარათები და სხვა დოკუმენტაცია.“<sup>3</sup>

შესაძლებელია საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, შეიცვალოს საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული

1 იხ. საარჩევნო კოდექსი, მუხ. 54.

2 საარჩევნო კომისიის წევრის თაობაზე იხ. 162-ე მუხლის განმარტება, საარჩევნო კომისიაში რწმუნებულად ან მეთვალყურედ დანიშნულის თაობაზე იხ. ამ მუხლის მე-3 პუნქტი.

3 იხ. საარჩევნო კოდექსი, მუხ.3.

საარჩევნო დოკუმენტაციის ჩამონათვალი. თუმცა იგი გავლენას ვერ მოახდენს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაზე. ეს განპირობებულია იმით, რომ ამა თუ იმ სახის საარჩევნო დოკუმენტაციის გაყალბება დამთავრებული დანაშაულია იმის მიუხედავად, მოჰყვა თუ არა მას რაიმე შედეგი, გაყალბდა თუ არა არჩევნების შედეგები. რა თქმა უნდა, სხვადასხვა საარჩევნო დოკუმენტის გაყალბებას განსხვავებული მასშტაბი აქვს არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების თვალსაზრისით. მაგრამ ეს გავლენას ვერ ახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე, თუმცა შეიძლება და კიდევაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სასჯელის დანიშვნის დროს.

გაყალბება გულისხმობს „დოკუმენტებში ცრუ ცნობების შეტანას, ნამდვილი დოკუმენტის შინაარსის შეცვლას, ტექსტის ნაწილის შესწორებას, სხვა რიცხვით დათარიღებას, ასევე ყალბი შინაარსის ახალი დოკუმენტის შექმნას (მაგალითად საარჩევნო სიაში მკვდარი სულების ან ისეთი პირების შეყვანას, რომელთაც არა აქვთ საარჩევნო უფლება).“<sup>1</sup> მთავარია იმის დადგენა, რომ საარჩევნო დოკუმენტი გაყალბებულია და არ ასახავს არჩევნების რეალურ შედეგს, მასში არ არის ან დამახინჯებით, განზრახ შეცდომითაა შეყვანილი არჩევნებისათვის მნიშვნელობის მქონე ესა თუ ის მონაცემი. გაყალბების სხვადასხვა ხერხი შეიძლება იქნეს გამოყენებული. მით უმეტეს, ამის შესაძლებლობას იძლევა თანამედროვე ტექნოლოგიები. იგი ქმედების კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს.

საარჩევნო დოკუმენტაცია საკმაოდ მრავალრიცხოვანია. შესაბამისად მრავალმხრივია მათი გაყალბების ხერხი და საშუალება. ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს გაყალბებული დოკუმენტის ნაირსახეობა და მისი გაყალბების ხერხი ან საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ ამან არ შეიძლება შეცვალოს ქმედების შემადგენლობა. ასევე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა გავლენა მოახდინა ან შეეძლო მოეხდინა არჩევნების შედეგებზე კონკრეტული დოკუმენტაციის გაყალბებამ. მართალია, ეს გარემოება არ ცვლის ქმედების შემადგენლობას, მაგრამ აუცილებელი წინაპირობაა სამართლიანი სასჯელის დანიშვნისათვის.

---

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ, 2005, გვ 247.

6. ხმების განზრახ არასწორად დათვლის განხილვისას აუცილებელია საარჩევნო კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა გათვალისწინება. ამ მუხლით განსაზღვრულია საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის წესი. აუცილებელია, რომ ხმის დათვლა მოხდეს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული წესების მოთხოვნათა დაცვით.

განსახილველი დანაშაულის დისპოზიციის მოთხოვნიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით ხმების არა ნებისმიერი დათვლა, არამედ ხმების მხოლოდ განზრახ არასწორად დათვლა, რაც გამოიხატება ხმის მიცემის შედეგების განზრახ დამახინჯებაში.

საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ხმის დათვლის გარკვეული პროცედურის დასრულების შემდეგ „ითვლება თითოეული საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობა და საარჩევნო სუბიექტის კუთვნილი ბიულეტენების დასტა ცალკე უნდა შეიფუთოს და დაილუქოს. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს შესაბამის შემაჯამებელ ოქმში (ოქმების ბლოკნოტის ყდის უკანა ფურცელში), სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში“<sup>1</sup>

საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ სწორედ ამ მოთხოვნათა განზრახ ხელყოფას გულისხმობს განსახილველი დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ერთ-ერთი სახის ქმედება – ხმების განზრახ არასწორად დათვლა. ხმის დათვლის პროცედურის ზემოთ აღნიშნულ ეტაპზე ხდება ამა თუ იმ კანდიდატის სასარგებლოდ ხმის მიმცემთა რაოდენობის შემცირება ან გაზრდა. აღნიშნული შემადგენლობა გულისხმობს როგორც საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საზიანოდ ხმის მიმცემთა რაოდენობის განზრახ შემცირებას ან გაზრდას, ასევე სარეფერენდუმო ან საპლებისციტო საკითხის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მიცემულ ხმათა რაოდენობის განზრახ შემცირებას ან გაზრდას.

---

<sup>1</sup> იხ. საარჩევნო კოდექსი, მუხ. 59.

7. ხმების განზრახ არასწორად დათვლისაგან უნდა განვასხვავოთ არჩევნების შედეგების განზრახ არასწორად შეჯამება და რეფერენდუმისა და პლებისციტის შედეგების განზრახ არასწორად დადგენა. იგი წარმოადგენს ხმის დათვლის საბოლოო ეტაპს და მის გამოქვეყნებას.

ხმის დათვლისათვის გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდეგ, კომისიის მდივანი საუბნო საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილი შემაჯამებელი ოქმის მიხედვით ავსებს ოქმის 2 ეგზემპლარს.

საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების დროს დგება 2 შემაჯამებელი ოქმი. ერთი ოქმი დგება პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების, ხოლო მეორე ოქმი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დროს დგება 1 შემაჯამებელი ოქმი.<sup>1</sup>

საუბნო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო კოდექსის შესაბამისი მუხლის მოთხოვნათა დაცვით ივსება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი. მაგრამ საუბნო საარჩევნო კომისიაში არ ხდება კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება. საარჩევნო კოდექსის თანახმად, ეს პროცედურები მიმდინარეობს საოლქო საარჩევნო კომისიაში და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. აქედან გამომდინარე, ამ ქმედების ამსრულებელი არ შეიძლება იყოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ან საუბნო კომისიაში რწმუნებულად ან მეთვალყურედ დანიშნული.

არჩევნების შედეგების განზრახ არასწორად შეჯამება შეიძლება განახორციელოს საოლქო საარჩევნო კომისიის ან ცესკოს წევრმა ან ამ კომისიებში რწმუნებულად ან მეთვალყურედ დანიშნულმა.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად განსაზღვრულია საოლქო საარჩევნო კომისიასა და ცესკოში კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება.

---

<sup>1</sup> იხ. საარჩევნო კოდექსი, მუხ. 60;



საქართველოში ამჟამად მოქმედი საარჩევნო კოდექსის თანახმად „ცესკო საოქლო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე კენჭისყრის ჩატარებიდან არა უგვიანეს მე-10 დღისა თავის სხდომებზე აჯამებს საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს და განკარგულებით ამტკიცებს არჩევნების შედეგებს და განკარგულებით ამტკიცებს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს“.<sup>1</sup>

არჩევნების შედეგების განზრახ არასწორად შეჯამება ანდა რეფერენდუმის ან პლებისციტის შედეგების განზრახ არასწორად დადგენა გულისხმობს ცრუ, არასწორი შედეგის გამოცხადებას, როგორცაა რეალურად არსებული შედეგის საწინააღმდეგოდ სულ სხვა შედეგის დადგენა, რეფერენდუმის შედეგების მიღებული სინამდვილის საწინააღმდეგოდ დადგენა და გამოცხადება და ა.შ. ეს ქმედება ძირითადად გულისხმობს არჩევნებისა თუ რეფერენდუმის შედეგად რეალურად მიღებული შედეგების განზრახ არასწორად შეჯამებას, შეცვლას ამსრულებლისათვის სასურველი შედეგების დაფიქსირებით, რაც უნდა აისახოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში.

ამჟამად მოქმედი საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკო აჯამებს არჩევნების შედეგებს და ადგენს: ა) ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას; ბ) არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობას; გ) ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენტა რაოდენობას; დ) საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობას.<sup>2</sup>

არჩევნების შედეგების განზრახ არასწორად შეჯამება შეიძლება მოხდეს ყველა ზემოთ დასახელებული რაოდენობის განზრახ არასწორად დადგენით. მით უმეტეს, რომ თოთოეული ამ რაოდენობის არასწორად დადგენას შეუძლია გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგებზე. თუმცა ქმედების კვალიფიკაცია რეალურად შედეგის დადგომას არ მოითხოვს და საკმარისია მხოლოდ ქმედების განხორციელება – არჩევნების შედეგების განზრახ არასწორად შეჯამება.

---

1 იქვე, მუხ. 64;

2 იქვე;

სასამართლო პრაქტიკაში ყველაზე უფრო ხშირად ხდება საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობის განზრახ არასწორად დადგენა. რა თქმა უნდა, სასურველი კანდიდატისათვის რეალურად მიცემულ ხმათა რაოდენობის განზრახ გაზრდით და არასასურველი კანდიდატისათვის რეალურად მიცემულ ხმათა რაოდენობის განზრახ შემცირებით. ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება ერთი საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობის შემცირება და იმავე რაოდენობით სხვა, სასურველი საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობის გაზრდა, რათა არ შეიცვალოს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა ანდა ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენტა რაოდენობა.

განხილულ ქმედებათა ჩაღენა ხდება სხვადასხვა მოტივითა და მიზნით. აღნიშნულ ქმედებათა ჩაღენა შეიძლება მოტივირებული იყოს საკუთარი პოლიტიკური შეხედულებით, მაგალითად, საარჩევნო კომისიის წევრი რომელიმე პარტიიდან ან საარჩევნო სუბიექტის რწმუნებული საარჩევნო კომისიაში დაინტერესებულია მისი პოლიტიკური პარტიის გამარჯვებით და ამიტომ ყველაფერს აკეთებს პარტიის გამარჯვებისათვის. ამსრულებლის ქმედება შეიძლება მოტივირებული იყოს მის მიერ არასწორად გაგებული სახელმწიფო ინტერესით, მაგალითად, კომისიის წევრის თვალსაზრისით ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს რეფერენდუმის ამა თუ იმ შედეგის მიღებას და ამიტომ იგი ყველაფერს აკეთებს, მისი აზრით, ქვეყნისათვის სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი რეფერენდუმის შედეგების დასადგენად. ამსრულებლის ქმედება შეიძლება მოტივირებული იყოს ასევე პირადი გამორჩენის მიღებით – ანგარებით, მაგალითად, საარჩევნო კომისიის წევრს საარჩევნო სუბიექტი შეპირდა კარგ სამუშაოს ან გარკვეულ თანხას საარჩევნო უბანში მისთვის სასურველი ხმების რაოდენობის დაფიქსირების შემთხვევაში. მოტივი სხვადასხვა შეიძლება იყოს. იგი გავლენას არ ახდენს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაზე.

ამსრულებელი, მას შემდეგ, რაც იგი მოტივირებულია ქმედების ჩასადენად, მიზნად ისახავს გარკვეული შედეგის მიღწევას. ეს შედეგი უნდა განსხვავდეს არჩევნების შედეგად რეალურად მიღებული შედეგისაგან და ამსრულებელმა განზრახ უნდა შეცვალოს

იგი მისთვის სასურველი მიმართულებით. ასმრულებელს შეიძლება მიზნად ჰქონდეს რომელიმე საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობის გაზრდა ან, პირიქით, მიცემულ ხმათა რაოდენობის შემცირება. ეს იმ შემთხვევაში, როცა მისი მიზანია, რომ საარჩევნო სუბიექტმა ვერ მიიღოს საკმარისი ხმათა რაოდენობა.

საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობის შემცირების ერთ-ერთი ხერხია ბიულეტენების გაბათილება, მაგალითად, იმავე ბიულეტენში (ბიულეტენებში) სხვა საარჩევნო სუბიექტის შემოხაზვა. ხშირად, როდესაც კომისიის წევრი ან სხვა დაინტერესებული პირი, ხედავს რა, რომ მისთვის არასასურველი საარჩევნო სუბიექტი ხმათა აშკარად დიდ რაოდენობას ღებულობს, სხვადასვა ხერხით აბათილებს ამ სუბიექტისათვის მიცემულ ხმათა გარკვეულ რაოდენობას და ამით ცვლის არჩევნების შედეგების რეალურ სურათს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხშირად ხდება ერთი საარჩევნო სუბიექტისათვის მიღებულ ხმათა რაოდენობის შემცირება და სხვა სუბიექტისათვის გაზრდა. მიზანი, ისევე როგორც მოტივი, არ ცვლის ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას. თვით მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარეობს, რომ აღნიშნულ ქმედებათა ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

8. სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის ანალიზიდან ჩანს, რომ საქართველოს სსკ-ის 164-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო 2005 წელს – 62 სისხლის სამართლის საქმე. 2006 წელს ასეთ საქმეთა რაოდენობა იყო 3, 2007 წელს კი მათი რაოდენობა 2-მდე შემცირდა.

როგორც სსკ-ის 162-ე მუხლის განხილვისას აღვნიშნეთ, საარჩევნო უფლების განხორციელების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს ახასიათებს პერიოდულობა. ეს გულისმობს იმას, რომ ე.წ. „საარჩევნო დანაშაულები“ შეიძლება ჩადენილი იქნას მხოლოდ საარჩევნო პერიოდში.<sup>1</sup> ამავე დროს, არ ხდება საარ-

---

1 ვფიქრობ, საარჩევნო უფლების განხორციელების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს შეიძლება შემოკლებით ეუწოდოთ „საარჩევნო დანაშაული“.

ჩვენო პერიოდში ჩადენილი ყველა ქმედების სათანადოდ გამოკვლევას, მათი სწორი კვალიფიცირება და შესაბამისად სასამართლოში გადაგზავნა.

საარჩევნო დანაშაულის სტატისტიკის სიმცირე გარკვეულწილად ამ გარემოებითაც არის განპირობებული. თუმცა 62 სისხლის სამართლის საქმეც არ არის მცირე რიცხვი. თუ ვივარაუდებთ იმ ფაქტს, რომ რეალურად მომხდარი ყველა ქმედება არ დაფიქსირებულა ან სასამართლოში არ გადაგზავნილა, მაშინ ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. აქედან გამომდინარე, სსკ-ის 164-ე მუხლის მნიშვნელობა საარჩევნო დანაშაულთა შორის საკმაოდ დიდია.

აღსანიშნავია, რომ 2005 წელს სსკ-ის 164-ე მუხლით გათვალსწინებულ დანაშაულთა დიდი უმრავლესობა განხილულია ქუთაისის საოლქო სასამართლოში, თბილისის საოლქო სასამართლოში 4 სისხლის სამართლის საქმე 7 პირის მიმართ, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 7 სისხლის სამართლის საქმე 7 პირის მიმართ, სენაკის სასამართლოში 1 სისხლის სამართლის საქმე №1-091 2 პირის მიმართ, ლანჩხუთში 1 სისხლის სამართლის საქმე №1-074 1 პირის მიმართ, ჩოხატაურში სისხლის სამართლის საქმე № 1-081 2 პირის მიმართ.

თბილისის საოლქო სასამართლოში განხილულ სისხლის სამართლის საქმეთა ფაბულა ადასტურებს იმას, რომ დამნაშავემ ჩაიდინა საარჩევნო ოქმების გაყალბება, სისხლის სამართლის საქმე № 1ა-203; 1ა-213; 1ა-258 ან ჩაიდინა საარჩევნო დოკუმენტის გაყალბება, სისხლის სამართლის საქმე № 1ა-375.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში განხილული სისხლის სამართლის საქმეების ფაბულის მიხედვით, დამნაშავეებს ბრალად ედებათ ის, რომ მათ გააყალბეს საარჩევნო დოკუმენტი, მოახდინეს ხმების არასწორად დათვლა და არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება. სენაკის სასამართლოში განხილული № 1-091 სისხლის სამართლის საქმის მიხედვით ვ-გ-სა და გ-რ-ს მსჯავრი დაედოთ მასში, რომ მათი ხემძღვანელობით ამომრჩეველთა რაოდენობა გაიზარდა 279 კაცით შემაჯამებელ ოქმში.

ლანჩხუთის სასამართლოში 2005 წელს განხილული №1-074 სისხლის სამართლის საქმეზე გ.ფ-ს მსჯავრი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა არჩევნების შედეგების განზრახ არასწორად შეჯამება.

ჩოხატაურის სასამართლოში განხილულ №1-081 სისხლის სამართლის საქმეზე რ.მ-ს და უ.კ-ს მსჯავრი დაედო მასში, რომ მათ გააყალბეს საარჩევნო დოკუმენტი, მოახდინეს ხმების არასწორად დათვლა და არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება.

მსგავსი ქმედებისათვის დაედო მსჯავრი დამნაშავეებს ქუთაისის საოლქო სასამართლოში. ასე, მაგალითად, № 1ა-123 სისხლის სამართლის საქმეზე თ.ბ-ს მსჯავრი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა საარჩევნო დოკუმენტის გაყალბება, ხმების განზრახ არასწორად დათვლა, არჩევნების შედეგების განზრახ არასწორად შეჯამება, შემაჯამებელ ოქმში ნაცვლად 737 ხმისა დააფიქსირა 818 ხმა, რომელსაც მოაწერა ხელი და წარადგინა სამტრედიის საარჩევნო კომისიაში.

ამდენად, საარჩევნო პერიოდში სსკ-ის 164-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა რაოდენობა არც თუ ისე მცირეა. ამ მუხლის, ისე როგორც, სხვა საარჩევნო დანაშაულის გამოყენებისათვის, მნიშვნელოვანია საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა სწორად გაგება-განმარტება. საარჩევნო დანაშაულთა დისპოზიცია ყოველთვის დაეყრდნობა მოქმედ საარჩევნო კოდექსს. ამიტომ ზემოთ განხილული დებულებები შეიძლება შეიცვალოს საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებასთან ერთად, რაც დღეისათვის ასე აქტუალურია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

## მუხლი 164<sup>1</sup>. ამომრჩევლის მოსყიდვა

არჩევნების დანიშნვის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე ამომრჩევლისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასებში გადაცემა ან მიყიდვა, უფასო მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან არჩევნებში ხმის მიცემისაგან თავის შეკავების მიზნით, გარდა საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა, —

იხვება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

*(საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2261-სსმ I, 2005 წ., № 55, მუხ. 366)*

1. ამომრჩევლის მოსყიდვა არის სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლით გათვალისწინებული არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლის სპეციალური შემადგენლობა.<sup>1</sup> მათ შორის ისეთი დამოკიდებულებაა, რაც გათვალისწინებულია საერთო და სპეციალურ ნორმათა შორის თანაფარდობით.

ამომრჩევლის ნების ფორმირებასა და გამოვლენაზე ზემოქმედების სხვადასხვა გზა და ხერხი არსებობს.<sup>2</sup> კანონმდებელმა მათგან ცალკე, სპეციალურ შემადგენლობად გამოიჯნა და სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანა დასჯად ქმედებად ამომრჩევლის ნების გამოვლენისათვის ხელის შეშლა მოსყიდვის გზით.

საარჩევნო უფლების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულის მსგავსად, ამომრჩევლის მოსყიდვა ეყრდნობა საქართველოს საარჩევნო კოდექსს. ამომრჩევლის მოსყიდვის შემადგენლობის დისპოზიცია დამოკიდებულია საარჩევნო კოდექსის შესაბამის მუხლთან. აქედან გამომდინარე, გარდა იმისა, რომ ამომრჩევლის მოსყიდვის შემადგენ-

1 დაწერილობით იხ. 162-ე მუხლის განმარტება.

2 იხ. ამ საკითხებზე 162-ე მუხლის განმარტება.

ლობა ბლანკეტური დისპოზიციისაა, ამავე დროს, მისი მოქმედება დამოკიდებულია საარჩევნო კოდექსის იმ ნორმების მოქმედებასთან, რომლებსაც ეფუძნება იგი. ეს დამახასიათებელია ბლანკეტური დისპოზიციის მქონე სისხლის სამართლის ნებისმიერი ნორმისათვის – ბლანკეტური დისპოზიციის მქონე სისხლის სამართლის ნორმის განმარტებისათვის აუცილებელია სამართლის სხვა დარგის ან ნორმატიული აქტის იმ მუხლის გაანალიზება, რომელსაც ეფუძნება ბლანკეტური დისპოზიციის მქონე სისხლის სამართლის ნორმა.

ბლანკეტური დისპოზიციის მქონე სისხლის სამართლის ნორმის მნიშვნელობა შეიცვლება იმ ნორმის ცვლილებასთან ერთად, რასაც იგი ეყრდნობა.

სისხლის სამართლის კოდექსის 164<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული ნორმა – ამომრჩევლის მოსყიდვა – ეყრდნობა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლით განსაზღვრულ წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის დადგენილ წესებს.

2. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლით განსაზღვრულია წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარების წესები. ამ მუხლის შესაბამის ნაწილებში საკმაოდ დეტალურად არის მოცემული წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) განხორციელების პირობები.<sup>1</sup> ამ მუხლის მე-9 ნაწილში ჩამოყალიბებულია ის აკრძალვები, რომლებიც არ შეიძლება განხორციელდეს წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) დროს და რომლებსაც ეყრდნობა სსკ-ის 164<sup>1</sup> მუხლის – ამომრჩევლის მოსყიდვის – დისპოზიცია.

საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „არჩევნების დანიშნვის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე აკრძალულია:

ა) საარჩევნო სუბიექტებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით ამომრჩევლებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა, შეღავათიან ფასად საქონლის მიყიდვა, უფასოდ ნებისმიერი საქონლის (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული სააგი-

1 იხ. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხ. 73

ტაციო მასალისა) მიწოდება ან გავრცელება, აგრეთვე ამომრჩეველების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით“<sup>1</sup>.

სისხლის სამართლის კოდექსის 164<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დისპოზიცია მთლიანად ემთხვევა საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში აკრძალულ ქმედებებს.

3. დანაშაულის ამსრულებელია საარჩევნო სუბიექტი, მისი წარმომადგენელი ან სხვა პირი. მთავარია იმის დადგენა, რომ ამსრულებელი მოქმედებს საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან არჩევნებში ხმის მიცემისაგან თავის შეკავების მიზნით, ეს ქმედება შეიძლება განახორციელოს, როგორც საარჩევნო სუბიექტმა და მისმა წარმომადგენელმა<sup>2</sup>, ისე სხვა ნებისმიერმა ფიზიკურმა პირმა. უმეტეს შემთხვევაში, ამომრჩევლის მოსყიდვით დაინტერესებულია საარჩევნო სუბიექტი და სწორედ მის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ ხდება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა, მაგრამ ქმედების ჩადენა შეუძლია სხვა ფიზიკურ პირსაც. ამიტომ აქ არ შეიძლება ვისაუბროთ სპეციალურ ამსრულებელზე.

რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ, მხარდასაჭერად ან მის საწინააღმდეგოდ, ხმის მიცემისაგან თავის შესაკავებლად ამომრჩევლის მოსყიდვა სხვადასხვა მოტივით შეიძლება განახორციელოს ნებისმიერმა ფიზიკურმა პირმა. სწორედ ამას გულისხმობს საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად აკრძალული ქმედების ჩადენა საარჩევნო სუბიექტის და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან „ვინმეს“ მეშვეობით. დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი „ვინმე“ შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი. მიუხედავად საარჩევნო სუბიექტისა და მის წარმომადგენელზე მითითებისა, დანაშაულის ამსრულებელი საერთოა – ნებისმიერი ფიზიკური პირი.

4. ამომრჩევლის მოსყიდვის შემადგენლობა არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის

1 იქვე

2 ამ საკითხებზე იხ. 162-ე მუხლის განმარტება.



შეშლისაგან განსხვავდება ქმედების ჩადენის ხერხითაც. სსკ-ის 162-ე მუხლის დიპსოზიცია არ მიუთითებს დანაშაულის ჩადენის ხერხზე. ამომრჩევლის მოსყიდვა, დანაშაულის დისპოზიციიდან გამომდინარე შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ქმედებებით:

1. ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასებში გადაცემა ან მიყიდვა;

2. უფასო მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალური ფასეულობათა გადაცემის დაპირება;

დანაშაულის დისპოზიციიდან გამომდინარე, აღნიშნული ქმედებები სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოიხატოს. არ არის აუცილებელი მათი ამომწურავი ჩამონათვალის გაკეთება. შემადგენლობის განხორციელებისათვის საკმარისია ქმედების ჩადენა და არ არის სავალდებულო, რომ ამან გავლენა მოახდინოს ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე.

ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასებში გადაცემა ან მიყიდვა შეიძლება გამოიხატოს „აქტიური საარჩევნო უფლების მქონე, სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების დარიგებაში, ან სოფლად მცხოვრები ამომრჩევლისათვის საკვები პროდუქტების, ჰირველადი მონარების საგნების უსასყიდლოდ დარიგებაში, ასევე სასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მოწყობილობების შეღავათიან ფასებში გადაცემაში და სხვა.

რაც შეეხება უფასო მომსახურების გაწევას – იგულისხმება სხვადასხვა სასოფლო – სამეურნეო, სამედიცინო, სადაზღვეო ან სხვა სახის მატერიალურ ფასეულობათა სამომავლოდ გადაცემის დაპირება“.<sup>1</sup>

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, თუ რაში გამოიხატა აღნიშნულ ქმედებათა განხორციელება – რა რაოდენობის ფულადი სახსრები (ეროვნულ თუ უცხოურ ვალუტაში),

---

<sup>1</sup> სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი 1, თბ 2006, გვ 285

რა სახისა და ღირებულების საჩუქარი, რა სახის მატერიალური ფასეულობა გადაეცა უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასებში ამომრჩეველს. უნდა დადგინდეს, გაეწია თუ არა უფასო მომსახურება და რა სახის იყო ეს მომსახურება. ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებას. აუცილებელია იმის დადგენა, თუ რა რაოდენობის ფულად სახსრებს, თანხებს დაპირდნენ ამომრჩეველს საარჩევნო სუბიექტისათვის მხარდაჭერის ან ხმის მიცემისაგან თავის შეკავების სანაცვლოდ.

ამომრჩეველის მოსყიდვა უნდა მოხდეს იმ ხერხით, რასაც ითვალისწინებს დანაშაულის შემადგენლობა. სწორედ დანაშაულის ჩადენის ხერხის სპეციფიურობა განასხვავებს ძირითადად ამ შემადგენლობას საარჩევნო უფლების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულისაგან.

5. საარჩევნო უფლების განხორციელების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულისაგან, ამომრჩეველის მოსყიდვა განსხვავდება ასევე დანაშაულის ჩადენის დროით. დისპოზიციის თანახმად, ამომრჩეველის მოსყიდვა შესაძლებელია არჩევნების დანიშვნის შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე. თუმცა სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „ამომრჩეველის ყოველგვარი მოსყიდვის მცდელობა ან მოსყიდვის განხორციელება საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან ხმის მიცემისაგან თავის შეკავების მიზნით, შესაძლებელია არჩევნებისა და არჩევნების დღეს ხმის მიცემის დამთავრებამდე და არა არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე, რომელსაც საარჩევნო კანონდმებლობის შესაბამისად ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს“.<sup>1</sup>

საარჩევნო სუბიექტი, მისი წარმომადგენელი ან სხვა პირი დაინტერესებულია საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან ხმის მიცემისაგან თავის შესაკავებლად ამომრჩეველის ნების ფორმირებით. ეს შესაძლებელია ხმის მიცემამდე. ამის შემდეგ ამომრჩეველის მოსყიდვა კარგავს დამნაშავისათვის დასახული მიზნის მიღწევის

---

1 იქვე, გვ. 285-286;

შესაძლებლობას. დამნაშავეს, ამსრულებლის მიზანია ამომრჩევლის მიერ რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერა ან არჩევნებში ხმის მიცემისაგან თავის შეკავება.

ზემოთ განხილულ ქმედებათა ობიექტურად განხორციელება არ არის საკმარისი მათი დანაშაულად კვალიფიკაციისათვის. სავალდებულოა დადგენა ამ დანაშაულისათვის აუცილებელი სუბიექტური ნიშნების – განზრახვისა და მიზნის. ამსრულებელმა იცის, რომ სჩადის საარჩევნო კანონმდებლობით წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციისათვის) აკრძალულ ქმედებას და სურს მისი ჩადენა სასურველი მიზნის მისაღწევად. ასევე აუცილებელია იმ მიზნის მისაღწევად იყოს ჩადენილი ქმედება, რასაც დანაშაულის შემადგენლობა ითვალისწინებს.

ქმედების კვალიფიკაციისათვის, დამთავრებულად ცნობისათვის, შემადგენლობის დისპოზიციიდან გამომდინარე, საკმარისია ქმედების განხორციელება (გადაცემა, მიყიდვა, დაპირება), ამსრულებლისათვის სასურველი შედეგის დადგომას, დასახული მიზნის მიღწევას მნიშვნელობა არ აქვს.

6. ამომრჩევლის მოსყიდვა, საარჩევნო უფლების წინააღმდეგ მიმართული ძირითადი დანაშაულისაგან-არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლემბისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა – განსხვავდება ქმედების შემადგენლობის სხვადასხვა ნიშნით: ხერხი, მიზანი, დრო, საგანი და ა.შ.

ამომრჩევლის მოსყიდვა შეიძლება განხორციელდეს არა ნებისმიერი ხერხითა და საგნით, არამედ მხოლოდ ისეთით, რასაც ითვალისწინებს საარჩევნო კანონმდებლობა და მასზე დაყრდნობით განსაზღვრული დანაშაულის დისპოზიცია. ასეთ საგნებს მიეკუთვნება: ფულადი სახსრები, საჩუქრები, მატერიალური ფასეულობები, ფასიანი ქაღალდები.

არ არის აკრძალული, ამომრჩეველს გადაეცეს სააგიტაციო მასალა. საარჩევნო კანონმდებლობის 75-ე მუხლით განსაზღვრულია სააგიტაციო მასალა (საარჩევნო სუბიექტის მომავალი საქმიანობის პროგრამა, ბეჭვდითი სააგიტაციო მასალა, საარჩევნო პლაკატები და ა.შ.)

საარჩევნო კოდექსში მოსალოდნელი ცვლილებებით შეიძლება

შეიცვალოს წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) განსაზღვრული წესები. ეს შეეხება წინასაარჩევნო აგიტაციის დროს როგორც ნებადართულ, ისე აკრძალულ ქმედებებს. ეს ცვლილება კი აუცილებლად აისახება ბლანკეტური დისპოზიციის მქონე ამომრჩევლის მოსყიდვის მუხლზე, რომელიც ახალია სისხლის სამართლის კოდექსში.

7. ამომრჩევლის მოსყიდვა, ისე როგორც ყალბი დოკუმენტის საფუძველზე არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილეობის მიღება (სსკ-ის 164<sup>2</sup> მუხლი) და არჩევნების გაყალბება (სსკ-ის 164<sup>3</sup> მუხლი) საარჩევნო უფლების განხორციელების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სპეციალური შემადგენლობები და ახლად მიღებული ნორმებია.

საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის ახალმა გამოვლინებებმა შეიძლება განაპირობოს საარჩევნო დანაშაულის ძირითად შემადგენლობასთან ერთად, ახალი სპეციალური შემადგენლობების შემოღება.

164<sup>1</sup>, 164<sup>2</sup> და 164<sup>3</sup> მუხლები სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილია 2005 წლის 16 დეკემბრის კანონით. ამომრჩევლის მოსყიდვის – 164<sup>1</sup> მუხლის სსკ-ში შეტანიდან დღემდე სასამართლო პრაქტიკაში სისხლის სამართლის საქმე წარმოებაში არ ყოფილა. თუმცა ეს სულაც არ მიუთითებს იმაზე, რომ ამ პერიოდში ჩატარებულ არჩევნებში ადგილი არ ჰქონია ამომრჩევლის მოსყიდვას.

კანონმდებლობაში მუხლის (ნორმის) არსებობასთან ერთად უადრესად მნიშვნელოვანია მისი პრაქტიკაში გამოყენება. პრაქტიკაში ნორმის სამართლიანად გამოყენებისათვის კი აუცილებელია როგორც ნორმის თეორიული შინაარსის სათანადო მეცნიერული განმარტება, ასევე ამ ნორმის შინაარსით გათვალისწინებულ ქმედებებზე საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების რეაგირება. ამიტომ, სსკ-ის თუნდაც იმ მუხლების მეცნიერულ განმარტებას, რომელთა სასამართლო პრაქტიკაც არ არსებობს, ან ძალიან მცირეა, აქვს თეორიულთან ერთად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. მით უმეტეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასამართლო სტატისტიკა ყოველთვის არ ასახავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ რეალურ სურათს. ასეა ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევებთან დაკავშირებით.

მუხლი 164<sup>2</sup>. ყალბი დოკუმენტის საფუძველზე არჩევნებში, რეფერენდუმში ან კლემისციტში მონაწილეობის მიღება

არჩევნების, რეფერენდუმის ან პლემისციტის დროს სხვისი პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის ან ყალბი დოკუმენტის საფუძველზე ან არაერთგზის ხმის მიცემა, –

ინსჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

(საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2261-სსმ I, 2005 წ. № 55, მუხ. 366)

1. განსახილველი დანაშაული სხვა საარჩევნო დანაშაულისაგან ძირითადად განსხვავდება იმ ნიშნით, რომ დანაშაულის ამსრულებელს წარმოადგენს ამომრჩეველი. თუკი სხვა საარჩევნო დანაშაულის დროს ადგილი აქვს ამომრჩეველის საარჩევნო უფლების ხელყოფას სხვადასხვა ამსრულებლის მიერ სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით, დროსა და ვითარებაში, რაც საარჩევნო დანაშაულის განსხვავებული შემადგენლობების საკანონმდებლოდ ჩამოყალიბების საფუძველია, განსახილველი დანაშაული ითვალისწინებს თვით ამომრჩეველის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა ხელყოფას.

მართალია სხვა საარჩევნო დანაშაულიც შეიძლება ჩაიდინოს ამომრჩეველმა, ე.ი. იყოს დანაშაულის ამსრულებელი, თუ საჭირო არ არის სპეციალური ამსრულებლის მიერ ქმედების ჩადენა, მაგრამ განსახილველი დანაშაულისაგან განსხვავებით, დანაშაულის ჩამდენი ამსრულებელი – ამომრჩეველი მოქმედებს სხვა ამომრჩეველის საარჩევნო უფლების ხელყოფის გზით. სხვა საარჩევნო დანაშაულში ამსრულებელი ხელყოფს სხვა ამომრჩეველის საარჩევნო უფლებას.<sup>1</sup>

ამათგან განსხვავებით, სსკ-ის 164<sup>2</sup> მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა ამომრჩეველი თვითონ არღვევს საარჩევნო კოდექსით ხმის მიცემისათვის განსაზღვრული პროცედურის წესსა და თანმიმდევრობას.

1 ამ საკითხზე დაწერილებით იხ. 162-164<sup>1</sup> მუხლების განმარტება.

აქედან გამომდინარე, დანაშაულის ამსრულებელია ამომრჩეველი — აქტიური საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქე.<sup>1</sup>

2. ისევე, როგორც ყველა სხვა საარჩევნო დანაშაულის, ყალბი დოკუმენტის საფუძველზე არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლენისციტში მონაწილეობის მიღების მნიშვნელობის განმარტებისათვის აუცილებელია საარჩევნო კოდექსის სათანადო მოთხოვნათა გათვალისწინება.

საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულია ხმის მიცემის პროცედურის წესი და თანმიმდევრობა. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული საარჩევნო უფლების განხორციელება ამომრჩეველს შეუძლია მხოლოდ პირადად.

საარჩევნო კოდექსის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად „თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა პირის ნაცვლად.“<sup>2</sup> თითოეულმა ამომრჩეველმა პირადად უნდა განახორციელოს თავისი საარჩევნო უფლება და მისცეს ხმა. ამავე დროს, ამომრჩეველმა ხმა უნდა მისცეს საარჩევნო კოდექსით ხმის მიცემისათვის განსაზღვრული პროცედურის წესისა და თანამიმდევრობის დაცვით.

საქართველოს მოქმედი საარჩევნო კოდექსის 52<sup>1</sup>-54 მუხლებში საკმაოდ დეტალურად არის განსაზღვრული ამომრჩეველის მიერ ხმის მიცემის პროცედურა. საარჩევნო კოდექსის 52<sup>1</sup> მუხლში მოცემულია ამომრჩეველთა მარკირების პროცესი, რომლის დაცვამ უნდა გამორიცხოს ამომრჩეველის მიერ არაერთგზის ხმის მიცემა. საარჩევნო კოდექსის 53-ე მუხლის მიხედვით, დადგენილია საარჩევნო ბიულეტენისა და სპეციალური კონვერტის გაცემა. ეს პროცედურა უნდა მოხდეს „ამომრჩეველთა სიის (საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) წარდგენის შემთხვევაში“.<sup>3</sup>

ამომრჩეველის საარჩევნო ბიულეტენისა და სპეციალური კონვერტის მისაღებად საარჩევნო კომისიისათვის საქართველოს მო-

1 ამ საკითხზე იხ. 162-ე მუხ-ის განმარტება.

2 იხ. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხ 54.

3 იქვე, მუხ. 53.

ქალაქის პირადობის მოწმობის წარდგენა მოეთხოვება იმისათვის, რომ კომისია დარწმუნდეს მის ვინაობაში, ამომრჩეველმა პირადად მისცეს ხმა და ადგილი არ ჰქონდეს ხმის მიცემას სხვა პირის ნაცვლად.

საარჩევნო კოდექსის 54-ე მუხლის მე-2 ნაწილში დეტალურად არის აღწერილი ხმის მიცემის პროცედურის წესი და თანმიმდევრობა. კანონმდებლობით გათვალისწინებული ხმის მიცემის პროცედურის დაცვამ უნდა უზრუნველყოს თითოეული ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა პირადად და გამორიცხოს ხმის მიცემა სხვა პირის ნაცვლად ან არაერთგზის ხმის მიცემა. სწორედ ამ ურთიერთობას იცავს სსკ-ის 164<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა – ყალბი დოკუმენტის საფუძველზე არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილეობის მიღება.

საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებამ შეიძლება დაადგინოს ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის ახალი წესები, მაგარამ ისინი ყოველთვის იქნება მიმართული იქითკენ, რომ უზრუნველყოს ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა პირადად, გამორიცხოს ხმის მიცემა სხვა პირის ნაცვლად ან არაერთგზის ხმის მიცემა. მიუხედავად ამისა, განსახილველი დანაშაულის დისპოზიცია ყოველთვის იქნება დამოკიდებული საარჩევნო კოდექსის შესაბამისი მუხლების მოთხოვნებზე.

3. საარჩევნო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების მიუხედავად, „ ხშირად ხდება სხვისი პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის ან ყალბი დოკუმენტის გამოყენება და ხმის მიცემა, ანდა არაერთგზის ხმის მიცემა, ე.წ. საარჩევნო კარუსელის გავრცელებული ხერხები“<sup>1</sup>. სხვა საარჩევნო დანაშაულისაგან განსახილველი დანაშაული განსხვავდება იმითაც, რომ ამომრჩეველმა იცის რა, რომ მას საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, არ აქვს ხმის მიცემის უფლება, საარჩევნო კომისიის მოტყუების გზით, ცდილობს ხმის მიცემას და ახერხებს კიდევც.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის აუცილებელია დაეადგინოთ, რომ ამომრჩეველმა იცოდა რა მას კონკრეტულ

---

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ, 2006, გვ. 287.

უბანზე არ ჰქონდა ხმის მიცემის უფლება, საარჩევნო კომისიის მოტყუების გზით მონაწილეობა მიიღო არჩევნებში. თუ სხვა საარჩევნო დანაშაულის დროს ადგილი აქვს ამომრჩევლის საარჩევნო უფლების ხელყოფას, სსკ-ის 164<sup>2</sup> მუხლის შესაბამისად ამომრჩეველს არ აქვს კონკრეტული საარჩევნო უფლება — ხმის მიცემის უფლება და მიუხედავად ამისა, მაინც მონაწილეობს არჩევნებში საარჩევნო კომისიის მოტყუების გზით.

ამომრჩეველს ხმის მიცემის უფლება შეიძლება არ ჰქონდეს იმიტომ, რომ იგი არ იყოს კონკრეტული საარჩევნო უბნის ამომრჩეველი, უკვე მისცა ხმა სხვა საარჩევნო უბანზე, არ აქვს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა და ა. შ.

ამომრჩეველმა იცის, რომ მას არ აქვს რომელიმე საარჩევნო უბანზე კანონით დადგენილი წესით ხმის მიცემის უფლება და საუბნო საარჩევნო კომისიის მოტყუების გზით მონაწილეობს არჩევნებში. ამომრჩევლის მიზანია კანონით დადგენილი აკრძალვების მიუხედავად, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. ამომრჩეველს შეიძლება სხვადასხვა მოტივი ამოძრავებდეს, მაგალითად, ანგარება, როცა ხმას აძლევს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად გარკვეული ფულადი სახსრების სანაცვლოდ. მოტივი ამ შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს. ამომრჩეველი თავისი მიზნის მისაღწევად — არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, მოტყუების სხვადასხვა ზერხს მიმართავს.

4. მოტყუების სახეს წარმოადგენს ყალბი დოკუმენტის საფუძველზე ან სხვისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე ხმის მიცემა, ასევე არაერთგზის ხმის მიცემა.

ამომრჩეველს ყალბი დოკუმენტის გამოყენებით შეცდომაში შეჰყავს საარჩევნო კომისია და ასერხებს არჩევნებში მონაწილეობას. ამომრჩეველმა იცის, რომ ყალბი დოკუმენტის წარდგენის გარეშე მონაწილეობას ვერ მიიღებდა არჩევნებში, შეცდომაში ვერ შეიყვანდა, ვერ მოატყუებდა საარჩევნო კომისიას. ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ამომრჩეველმა მოახერხა ხმის მიცემა და ამით გარკვეულწილად არჩევნების შედეგების გაყალბებაც. როდესაც არჩევნებში ხმას აძლევს ის, ვისაც არ აქვს ამის უფლება ან ხმის მიცემის უფლების მქონე ამომრჩეველი არაერთგზის აძლევს ხმას,



მაშინ ადგილი აქვს არჩევნების შედეგების გაყალბებას. გაყალბების მაშტაბი დამოკიდებულია ასეთი ფაქტების რაოდენობაზე.

ყალბი დოკუმენტების გამოყენებით არჩევნებში მონაწილეობა და არჩევნების გაყალბება რომ გამოირიცხოს, საჭიროა სათანადოდ შემოწმდეს ამომრჩევლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის ნამდვილობა. ეს არც თუ ისე ადვილია საარჩევნო პროცესში.

ყალბი დოკუმენტის გამოყენებით არჩევნებში მონაწილეობა წარმოადგენს 164<sup>2</sup>-ე მუხლის კონსტრუქციულ ელემენტს და დამატებით სსკ-ის 362-ე მუხლით კვალიფიკაციას არ საჭიროებს. სსკ-ის 362-ე მუხლით – ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება – კვალიფიკაცია დამატებით საჭიროა მაშინ, როცა არჩევნებში ყალბი დოკუმენტის გამომყენებელი მხილებული იქნება ასევე მათ დამზადებასა ან გასაღებაში.

საარჩევნო კომისია ამომრჩეველმა შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს, მოატყუოს ასევე სხვისი პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. ასეთი დოკუმენტის წარდგენით ამომრჩეველმა შეიძლება მიიღოს საარჩევნო ბიულეტენი ამომრჩეველთა სიაში რეალურად არსებული რომელიმე ამომრჩევლის ნაცვლად, როცა მისთვის ცნობილია, რომ იგი არ იმყოფება ადგილზე ან არ შეუძლია საარჩევნო უბანზე გამოცხადება. ასეთი მოტყუების გზით, ამსრულებელი მონაწილეობს არჩევნებში, ხმას აძლევს „უკანონოდ“ და ხელს უწყობს არჩევნების შედეგების გაყალბებას.

არჩევნების შედეგების გაყალბების საკმაოდ გავრცელებული და კარგად ცნობილი ხერხია არაერთგზის ხმის მიცემა ე. წ. საარჩევნო კარუსელები. ასეთ დროს ამომრჩეველი არაერთგზის, სხვადასხვა საარჩევნო უბანში მონაწილეობს არჩევნებში, აძლევს ხმას ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტს.

საარჩევნო კარუსელებს ხელს უწყობენ საარჩევნო სუბიექტები და უმთავრესად ამომრჩეველთა მიერ ხმის არაერთგზის მიცემის ორგანიზება სწორედ რომელიმე საარჩევნო სუბიექტის ან მათი წარმომადგენლის მიერ ხდება. მათ მიერ ხდება იმ ამომრჩეველთა წინასწარ შერჩევა, რომლებიც ხმას მისცემენ კონკრეტულ საარჩევნო სუბიექტს. ამომრჩეველის მიერ კონკრეტული საარჩევ-

ნო სუბიექტისათვის ხმის მიცემა სხვადასხვა მოტივით შეიძლება იყოს განპირობებული.<sup>1</sup> ამას კონკრეტული ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია ის, რომ საარჩევნო სუბიექტი დარწმუნებულია ამომრჩევლის ერთგულებაში და დაინტერესებულია ამ ამომრჩევლის მიერ არაერთგზის ხმის მიცემით, რათა ამგვარი გაყალბების გზით დააგროვოს ხმათა სასურველი რაოდენობა.

ამომრჩეველს ყოველთვის ამოძრავებს რაიმე მოტივი ან ინტერესი არაერთგზის ხმის მიცემის დროს. მაგალითად, სამსახურის დაკარგვის შიშით, სხვა თანამდებობაზე გადაყვანის დაპირებით, გარკვეული თანხის მიღებით და ა. შ. ამომრჩეველი რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ არაერთგზის აძლევს ხმას. თუკი ამომრჩეველი არ იქნება მოტივირებული, მაშინ მისი თვითმიზანი არ შეიძლება იყოს არაერთგზის ხმის მიცემა, ე. წ. საარჩევნო კარუსელებში მონაწილეობა.

ამომრჩეველს კანონმდებლობის შესაბამისად, თუკი რაიმე შეზღუდვები არ არსებობს, შეიძლება ჰქონდეს კონკრეტულ საარჩევნო უბანში ხმის მიცემის უფლება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მას არ ექნება ორჯერ ხმის მიცემის უფლება, თუნდაც სხვადასხვა საარჩევნო უბანზე.

ზემოთ განხილული მოტყუების ხერხებისაგან განსხვავებით, როცა ყალბი დოკუმენტის ან სხვისი პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის გამოყენებით არჩევნებში მონაწილეობა უკვე დანაშაულია, არაერთგზის ხმის მიცემის დროს საწყის ეტაპზე შეიძლება ადგილი ჰქონდეს მართლზომიერ ქმედებას. ასე მაგალითად, ამომრჩეველმა პირველი ხმის მიცემა განახორციელა საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, მივიდა იმ უბანში, სადაც შეტანილია საარჩევნო სიაში, წარადგინა ნამდვილი პირადობის მოწმობა, მიიღო საარჩევნო ბიულეტენი და ა. შ. მეორედ ხმის მიცემა კი განახორციელა ყალბი დოკუმენტის გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში, როცა პირველი ხმის მიცემა მართლზომიერია და მეორე ხმის მიცემა მოხდა ყალბი დოკუმენტის გამოყენებით,

---

1 იხ. 162-ე მუხ-ის განმარტება.

ადგილი ექნება ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ხმის მიცემას თუ არაერთგზის ხმის მიცემას? რა თქმა უნდა, სსკ-ის 164<sup>2</sup>-ე მუხლის ამჟამინდელი დისპოზიციიდან გამომდინარე, ქმედების კვალიფიკაციაზე ეს გავლენას ვერ მოახდენს, მაგრამ აუცილებლად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული სასჯელის დანიშვნის დროს. უნდა განსხვავდეს ერთმანეთისაგან არაერთგზის ხმის მიცემის ისეთი შემთხვევა როცა ხმის მიცემის ერთ-ერთი შემთხვევა მართლზომიერია და ისეთი შემთხვევა, როცა ხმის მიცემის ყველა შემთხვევა კანონსაწინააღმდეგოა. საარჩევნო კარუსელები ხომ სწორედ არაერთგზის ხმის მისაცემად იქმნება.

განსახილველი დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია არა მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში, არამედ მხოლოდ ხმის მიცემის დროს, რაც გულისხმობს არჩევნების ჩატარების დღის შუალედს 8 საათიდან 20 საათის ჩათვლით. ეს ის დროა როცა მიმდინარეობს კენჭისყრა, ხმის მიცემის პროცედურა. ამ თვალსაზრისითაც, ეს დანაშაული განსხვავდება სხვა საარჩევნო დანაშაულისაგან.

5. სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყალბი დოკუმენტის საფუძველზე არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილეობის მიღების მუხლით სისხლის სამართლის საქმეები სასამართლოებში წარმოებაში არ ყოფილა. ბოლო პერიოდში საქართველოში ჩატარებული არაერთი არჩევნების თაობაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებით საზოგადოებაში გავრცელებულ ინფორმაციასა და შექმნილ აზრს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ როგორც სსკ-ის ზოგიერთ მუხლთან მიმართებაში, ამ შემთხვევაშიც, სასამართლო სტატისტიკა არ ასახავს ჩვენ სინამდვილეში არსებულ რეალურ სურათს.<sup>1</sup>

---

1 ამ საკითხზე იხ. 162-164<sup>1</sup> მუხლების განმარტება.

## მუხლი 164<sup>3</sup>. არჩევნების გაყალბება

არჩევნებთან დაკავშირებული დოკუმენტების: საარჩევნო სიების, ოქმების, ბიულეტენების, სარეგისტრაციო ფურცლების და საკონტროლო ფურცლების განხრახ გაყალბება –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

(საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2261-სსმ I, 2005 წ., № 55, მუხ. 366)

1. განსახილველი დანაშაული სხვა საარჩევნო დანაშაულთან ყველაზე ახლოსაა სსკ-ის 164-ე მუხლით – ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება – გათვალისწინებულ შემადგენლობასთან. თუმცა სსკ-ის 164<sup>3</sup> და 164-ე მუხლებს შორის არსებობს განსხვავება, რაც მათი შემადგენლობების ერთმანეთისგან გამიჯვნის საფუძველია. შეიძლება ითქვას, რომ სსკ-ის 164<sup>3</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა წარმოადგენს სსკ-ის 164-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სპეციალურ შემადგენლობას.

2. საკმაოდ საკმათოა დანაშაულის ამსრულებლის საკითხი არჩევნების გაყალბების შემადგენლობასთან დაკავშირებით. სსკ-ის 164-ე მუხლისგან განსხვავებით, 164<sup>3</sup>-ე მუხლის დისპოზიციაში მითითება არ ხდება საარჩევნო კომისიის წევრზე, ასეთ კომისიაში რწმუნებულად ან მეთვალყურედ დანიშნულზე.<sup>1</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ სსკ-ის 164<sup>3</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – არჩევნების გაყალბების – ამსრულებელი საერთოა, არასპეციალურია, რომ სსკ-ის 164<sup>3</sup>-ე მუხლის „ ნორმა სუბიექტზე მითითებას არ საჭიროებს“. <sup>2</sup> რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება სპეციალური სუბიექტი, სპეციალური ამსრულებელი.<sup>3</sup>

1 ამ საკითხზე დაწერილებით იხ. სსკ-ის 164-ე მუხლის განმარტება.

2 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ. 2006, გვ 288.

3 დანაშაულის ამსრულებლისა და დანაშაულის სუბიექტის საკითხი საქ-

ასევე არსებობს მოსაზრება, რომ „ობიექტურად საარჩევნო სიების, ოქმების, ბიულეტენების, სარეგისტრაციო ჟურნალებისა და საკონტროლო ფურცლების განზრახ გაყალბება, ანუ მასში ცრუ ცნობების შეტანა, ნამდვილი დოკუმენტაციის შინაარსის შეცვლა, ტექსტის ნაწილის შესწორება, სხვა რიცხვით დათარიღება არასპეციალური სუბიექტის მიერ ძნელად განსაზოორციელებელია“.<sup>1</sup>

მართალია, „კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს კოდექსში არჩევნების გაყალბებისათვის ნორმაში დანაშაულის საერთო სუბიექტზე მითითებას“<sup>2</sup>, მაგრამ, არჩევნების გაყალბების ჩადენა ძირითადად მაინც სპეციალური ამსრულებლის მიერ ხდება. თუკი არჩევნების გაყალბების შემადგენლობა განაზოორციელა საერთო ამსრულებელმა, ე.ი. ისეთმა ამსრულებელმა, რომელიც არ არის საარჩევნო კომისიის წევრი ან ასეთ კომისიაში რწმუნებულად ან მეთვალყურედ დანიშნული, მაშინ შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვა დანაშაულის შემადგენლობას, მაგალითად, იძულებას, როცა ამომრჩეველი, საერთო ამსრულებელი აიძულებს. სპეციალურ ამსრულებელს, ვის ხელშიც შეიძლება აღმოჩნდეს გაყალბების საგანი, – საარჩევნო სიები, ოქმები, ბიულეტენები, სარეგისტრაციო ჟურნალები და საკონტროლო ფურცლები – მათ გაყალბებას.

ამომრჩეველს, საერთო ამსრულებელს, არ შეიძლება ხელი მიუწვდებოდეს საარჩევნო დოკუმენტაციაზე, რომელთაგან სპეციალურად გამოყოფილი ზოგიერთი დოკუმენტის გაყალბებას ითვალისწინებს განსაზიღველი დანაშაული.

საარჩევნო დოკუმენტაციაზე ხელი მიუწვდება და რეალურია მათი გაყალბების განზოორციელების შესაძლებლობა კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთაგან.<sup>3</sup> ამიტომ სსკ-ის 164-ე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური ამსრულებლისაგან,

---

მაოდ აქტუალურია სისხლის სამართლის მეცნიერებაში. კერძო ნაწილის მუხლების განმარტებისას, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება „დანაშაულის სუბიექტი“, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია. შინაარსობრივი თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, გამოვიყენოთ „დანაშაულის ამსრულებელი“.

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ, 2006, გვ. 288.

2 იქვე, გვ. 288.

3 იხ. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხ. 67.

სსკ-ის 164<sup>3</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სპეციალური ამსრულებელი გულისხმობს არა მხოლოდ საარჩევნო კომისიის წევრს ან ასეთ კომისიაში რწმუნებულად ან მეთვალყურედ დანიშნულს, არამედ მათთან ერთად კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს საარჩევნო კოდექსით.<sup>1</sup> სწორედ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთაგან ზდება საარჩევნო დოკუმენტაციის გაყალბება. ნებისმიერ ამომრჩეველს, საერთო ამსრულებელს არ შეუძლია განახორციელოს საარჩევნო დოკუმენტის გაყალბება.

საარჩევნო დოკუმენტაციასთან მუშაობა ევალება სპეციალური უფლებამოსილების მქონე მოქალაქეებს. ეს უფლებამოსილება განსაზღვრულია საარჩევნო კანონმდებლობით. ამდენად, განსახილველი დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია.

3. განსახილველი დანაშაული ითვალისწინებს არა ნებისმიერი საარჩევნო დოკუმენტის, არამედ მხოლოდ საარჩევნო სიების, ოქმების, ბიულეტენების, სარეგისტრაციო ჟურნალებისა და საკონტროლო ფურცლების გაყალბებას.<sup>2</sup>

ისევე, როგორც ყველა საარჩევნო დოკუმენტის, განსახილველი დანაშაულის დისპოზიციით გათვალისწინებული დოკუმენტების მნიშვნელობაც, განსაზღვრულია საარჩევნო კანონმდებლობით.<sup>3</sup> საარჩევნო დოკუმენტაციიდან მხოლოდ საარჩევნო სიების, ოქმების, ბიულეტენების, სარეგისტრაციო ჟურნალებისა და საკონტროლო ფურცლების გამიჯვნა და მათი გაყალბების ცალკე, სპეციალურ შემადგენლობად ჩამოყალიბების მიზანშეწონილობა ეჭვს იწვევს.

რამდენად აუცილებელი და მიზანშეწონილია სსკ-ის 164<sup>3</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური ნორმების შემოღება? ნუთუ ამ ქმედებებს არ ითვალისწინებს სსკ-ის 164-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა? რა სპეციალური ნიშნებით განსხვავდება არჩევნების გაყალბების შემადგენ-

1 იქვე.

2 საარჩევნო დოკუმენტაციასა და მის გაყალბებასთან დაკავშირებით იხ. 164-ე მუხლის განმარტება.

3 იხ. საარჩევნო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

ლობა სსკ-ის 164-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობისაგან?

მნელია სსკ-ის 164-ე და 164<sup>3</sup>-ე მუხლებს შორის, როგორც საერთო და სპეციალურ ნორმათა შორის განსხვავების დასაბუთება, რაც ამავდროულად 164<sup>3</sup>-ე მუხლის სსკ-ში შემოღების მიზანშეწონილობის დასაბუთებაც იქნებოდა.

თუკი სსკ-ის 164-ე და 164<sup>3</sup>-ე მუხლების ამჟამინდელი რედაქციების შემადგენლობებს გაეანალიზებთ, ვნახავთ, რომ მათ შორის განსხვავება შეიძლება იყოს მხოლოდ დანაშაულის ამსრულებელში და დანაშაულის საგანში.

სსკ-ის 164-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია.<sup>1</sup> სსკ-ის 164<sup>3</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი, ზოგი მეცნიერის აზრით, საერთო, არასპეციალურია.<sup>2</sup>

ჩვენი აზრით, არჩევნების გაყალბების ამსრულებელიც სპეციალურია. შეიძლება ვიმსჯელოთ სპეციალურ ამსრულებელთა ფართო წრეზე სსკ-ის 164-ე მუხლით გათვალისწინებულ სპეციალურ ამსრულებელთან შედარებით.

საპირისპირო დამოკიდებულებაა დანაშაულის საგანთან მიმართებაში. თუ სსკ-ის 164-ე მუხლის დისპოზიცია ითვალისწინებს საერთოდ საარჩევნო დოკუმენტის გაყალბებას, სსკ-ის 164<sup>3</sup>-ე მუხლით დასჯადია საარჩევნო დოკუმენტებიდან მხოლოდ საარჩევნო სიების, ოქმების, ბიულეტენების, სარეგისტრაციო ფურნალებისა და საკონტროლო ფურცლების გაყალბება. ამდენად, გასაყალბებელ საარჩევნო დოკუმენტთა წრე მცირეა, სპეციალურია. ე.ი. სსკ-ის 164<sup>3</sup>-ე მუხლით გათვალისწინებულ ამსრულებელთა წრე ფართოა სსკ-ის 164-ე მუხლთან შედარებით და დანაშაულის საგნის – საარჩევნო დოკუმენტების წრე მცირეა, სპეციალურია.

თუ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ სსკ-ის 164<sup>3</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი საერთოა, მაშინ ამ მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სსკ-ის 164-ე მუხლით

---

1 იხ. სსკ-ის 164-ე მუხლის განმარტება.

2 იხ. ამავე მუხლის განმარტება, პ-2.

გათვალისწინებული სპეციალური ამსრულებლისგან განსხვავებული ამსრულებლის მიერ ჩადენილი არჩევნების გაყალბება. ყველა სხვა შემთხვევას სსკ-ის 164-ე მუხლის დისპოზიცია გულისხმობს.<sup>1</sup>

4. მიუხედავად სსკ-ის 164-ე და 164<sup>3</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებათა სწორად ურთიერთგამიჯვნისა და კვალიფიკაციის პრობლემისა, სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით სსკ-ის 164<sup>3</sup>-ე მუხლით განხილულ საქმეებს. 2006-2007 წლების სასამართლო სტატისტიკის მიხედვით, სასამართლო წარმოებაში იყო არჩევნების გაყალბების სულ 3 სისხლის სამართლის საქმე 8 პირის მიმართ. სამივე საქმე განხილულია 2007 წელს. სსკ-ის 164-ე მუხლით განხილულ სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა კი გაცილებით დიდია“.<sup>2</sup>

სასამართლო პრაქტიკაში შეცდომების თავიდან აცილებისათვის აუცილებელია სსკ-ის 164-ე და 164<sup>3</sup>-ე მუხლების დისპოზიციათა მნიშვნელობის განმარტება. ამ მუხლების ამჟამინდელ რედაქციათა განმარტების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სსკ-ის 164<sup>3</sup>-ე მუხლის შემოტანა, ან ყოველ შემთხვევაში, ამ რედაქციით შემოტანა, არ გვაძლევს სსკ-ის 164-ე მუხლისაგან დიდათ განსხვავებულ ახალ ნორმას.

## მუხლი 165. ბაზიციის უფლების ხელყოფა

გაფიცვის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით პირის იძულება, თავი შეიკავოს გაფიცვისაგან,

– ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

საქართველის კონსტიტუციის 33-ე მუხლში ნათქვამია:

---

1 ეს შემადგენლობები სხვა ნიშნებით არ განსხვავდება. ამიტომ მათ განხილვას აქ აღარ შევუდგებით. სხვა ნიშნებთან მიმართებაში იხ. 164-ე მუხლის განმარტება.

2 იხ. 164-ე მუხლის განმარტება.



„გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით. კანონი ადგენს აგრეთვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების საქმიანობის გარანტიებს“.

გაფიცვის უფლება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული შრომის უფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტიას წარმოადგენს, და ამავე დროს თავად არის ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი სოციალური უფლება და ინდივიდუალური და კოლექტიური შრომითი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებზე შედარებით ფართო უფლების ნაწილი კანონით დადგენილი პროცედურების გამოყენებით. გაფიცვა გულისხმობს მუშებისა და მოსამსახურეების მიერ სამუშაოს კოლექტიურ შეწყვეტას და მეწარმეების და სახელმწიფოსადმი ეკონომიკური (ხანდახან პოლიტიკურიც) მოთხოვნების წაყენებას.<sup>1</sup>

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული გაფიცვის უფლების რეალიზაციის წესი რეგლამენტირებულია საქართველოს შრომის კოდექსი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს აწესრიგებს.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, თუ როდის იქნება გაფიცვა კანონიერი, როდის ღებულობს იგი კანონსაწინააღმდეგო ხასიათს და რომელ შემთხვევაში ეძლევა სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარევის უფლება გაფიცვის აკრძალვას ან შეწყვეტაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ საქართველოს შრომის კოდექსის იმ მუხლების შინაარსი, რომლებშიც განსაზღვრულია გაფიცვის უფლების განხორციელების წესი.

საქართველოს შრომის კოდექსის 49-ე მუხლის პირველ პუნქტში კანონმდებელი შემდეგნაირად განმარტავს გაფიცვას: „გაფიცვა არის დავის შემთხვევაში დასაქმებულის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე“. იმისათვის, რომ გაფიცვა ჩაითვალოს კანონიერად, ამ უფლების გამოყენებამდე სავალდებულოა გამაფრთხილებელი გაფიცვის მოწ-

---

1 პაატა ცნობილამე „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, ტომი I, თბილისი, 2005, გამომცემლობა „უნივერსალი“, გვ. 393-394.

ყოფა, ხოლო მანამდე კი – არანაკლებ სამი კალენდარული დღით ადრე – დამსაქმებლის შეტყობინება დავის საგნის და წარმოშობის საფუძვლის, გაფიცვის დროის, ადგილისა და ხასიათის შესახებ. გამაფრთხილებელი გაფიცვის შემდეგ წარმოშობილი დავის მხარეები ვალდებული არიან კვლავ მიიღონ მონაწილეობა შემათანხმებელ პროცედურებში.

შრომის კოდექსის 49-ე მუხლის მე-ნ პუნქტის თანახმად, გაფიცვის უფლება წარმოიშვება მხოლოდ გამაფრთხილებელი გაფიცვის შემდეგ არანაკლებ 24 საათის და არა უმეტეს 14 კალენდარული დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე ემუქრება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას ან მესამე პირის საკუთრებას, აგრეთვე სასიცოცხლო მნიშვნელობის სამსახურის საქმიანობას, სასამართლოს ენიჭება უფლება გადადოს გაფიცვის დაწყება არა უმეტეს 30 დღით, ხოლო დაწყებული გაფიცვა შეაჩეროს ამავე ვადით (შრომის კ-ის 50-ე მუხლი)<sup>1</sup>.

ამასთანავე, კანონმდებელი ამომწურავად ჩამოთვლის იმ შემთხვევათა რიცხვს, როდესაც სასამართლოს თავისი გადაწყვეტილების საფუძველზე უფლება აქვს უკანონოდ სცნოს გაფიცვა. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობება მხარეებს და ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას. ეს შემთხვევები ჩამოთვლილია შრომის კოდექსის 51-ე მუხლში, რომლის თანახმად: საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს გაფიცვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით<sup>2</sup> (1-ლი პუნქტი); დაუშვებელია უშალოდ სამუშაო პრო-

---

1 საქართველოს შრომის კოდექსი, გაფიცვის წესის რეგლამენტირებასთან პარალელურად, აგრეთვე განსაზღვრავს ლოკაუტის განზოცოების წესს. ლოკაუტს კანონმდებელი განმარტავს როგორც დავის შემთხვევაში დამსაქმებლის დროებით ნებაყოფლობით უარს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე (შრომის კ-ის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ჩამოთვლილი მოთხოვნები ანალოგიურად ვრცელდება ლოკაუტზეც.

2 იხ. 1997 წლის 17 ოქტომბრის საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ (მე-4 მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი) და 1997 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს კანონი „საომარი მდგომარეობის შესახებ“ (მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი).

ცესის დროს გაფიცვის უფლების გამოყენება იმ დასაქმებულთა მიერ, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან, ან თუ ტექნოლოგიური ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია ამ საქმიანობის შეჩერება (მე-2 პუნქტი); თუ ერთ-ერთმა მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას და მოაწყო გაფიცვა, ასეთი გაფიცვა უკანონოდ ჩაითვლება (მე-3 პუნქტი); უკანონოდ ჩაითვლება იმ დასაქმებულთა გაფიცვა, რომლებიც შრომითი ხელშეკრულების მოშლის შესახებ ინფორმირებული იყვნენ დავის წარმოშობამდე (მე-4 პუნქტი); თუ გაფიცვის უფლება წარმოიშვა ვადიანი შრომითი ხელშეკრულების დასრულებამდე, გაფიცვა ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ უკანონოდ ჩაითვლება (მე-5 პუნქტი).

გაფიცვის უფლების განხორციელების შეზღუდვები აგრეთვე დაწესებულია საქართველოს ზოგიერთი კანონით, რომელიც სხვადასხვა სახის სახელმწიფო საქმიანობას არეგულირებს. კერძოდ: 1993 წლის 27 ივლისის კანონით „პოლიციის შესახებ“ (21-ე მუხლის მე-2 პუნქტი), 1996 წლის 20 თებერვლის კანონით „სახელმწიფო დაცვის სამსახურის შესახებ“ (მე-16 მუხლის მე-7 პუნქტი), 1997 წლის 21 ნოემბრის კანონით „პროკურატურის შესახებ“ (31-ე მუხლის მე-8 პუნქტი), 1998 წლის 18 თებერვლის კანონით „საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ (მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი), 1999 წლის 19 მარტის კანონით „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ (მე-9 მუხლის მე-7 პუნქტი). აღნიშნული კანონებით გათვალისწინებული გაფიცვის მოწყობასა ან გაფიცვაში მონაწილეობის პირდაპირი აკრძალვა ამ ორგანოების თუ სამსახურების თანამშრობლებისათვის ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. როგორც უკვე ავლნიშნეთ, საქართველოს შრომის კოდექსში დეტალურად არის რეგლამენტირებული გაფიცვის უფლების რეალიზაციის წესი იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე ემუქრება სასიცოცხლო მნიშვნელობის სამსახურის საქმიანობას. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი სასიცოცხლო მნიშვნელობის სამსახურის თანამშრომელს თავისი შრომითი და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვის მიზნით უნდა ჰქონდეს

უფლება მოაწყოს გაფიცვა ან მონაწილეობა მიიღოს მასში.<sup>1</sup>

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული გაფიცვის უფლების დაცვას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან ემსახურება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლი.

სსსკ-ის 165 მუხლი დასჯადად აცხადებს მხოლოდ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით ჩატარებული გაფიცვის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლას ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით პირის იძულებას, თავი შეიკავოს გაფიცვისაგან.

ძალადობა შეიძლება გამოიხატოს დაზარალებულის ჯანმრთელობისათვის ნებისმიერი ხარისხის დაზიანების მიყენებაში. სსსკ-ის 165-ე მუხლი მოიცავს ისეთ ძალმომრეობით მოქმედებებს, როგორცაა ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, ასევე ფსიქიკურ ძალადობას (მუქარას), იმ პირობით, თუ ეს ძალადობა დანაშაულის ჩადენის ხერხს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში დამატებითი კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით არ არის საჭირო, ხოლო თუ ძალადობამ ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გამოიწვია, ქმედება დანაშაულის ერთობლიობას ქმნის და უნდა დაკვალიფიცირდეს სსსკ-ის 165-ე და 118-ე ან 117-ე მუხლებით.

ძალადობის გამოყენების მუქარა უნდა იყოს რეალური. დაზარალებულს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ეს მუქარა რეალიზებული იქნება, ან ამის საფუძვლიანი ეჭვი უნდა ჰქონდეს. მუქარის გამოვლენის ფორმას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, იგი შეიძლება გამოიხატოს როგორც სიტყვიერად, ისე მოქმედებით.

დაზარალებულის იძულება თავი შეიკავოს გაფიცვისაგან შესაძლებელია სხვადასხვა ხერხით. კანონმდებელი არ იძლევა ყველა ხერხის ამომწურავ ჩამონათვალს, იგი მიუთითებს, რომ ასეთი

---

1 იხ. აგრეთვე: ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“, თბილისი, 2005, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 293.

იძულება შეიძლება განხორციელდეს მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით. დამნაშავესა და დაზარალებულს შორის მატერიალური დამოკიდებულების მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს შვილის მშობელთან მატერიალური დამოკიდებულება, რომელსაც მშობელი იყენებს იმისათვის, რომ შეიღმა თავი შეიკავოს გაფიცვისაგან. სამსახურებრივი დამოკიდებულების გამოყენება სახეზეა, როდესაც თანამდებობის პირი აიძულებს სამსახურებრივად მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომელს თქვას უარი გაფიცვის უფლების განხორციელებაზე. სხვაგვარი დამოკიდებულების მაგალითია, როდესაც დამნაშავე და დაზარალებული ერთი და იგივე პოლიტიკური პარტიის წევრები არიან, და დამნაშავე იყენებს ამ გარემოებას, რათა ზეგავლენა მოახდინოს დაზარალებულზე და ათქმევინოს მას უარი გაფიცვის უფლების განხორციელებაზე.

სსსკ-ის 165-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა შესაძლებელია როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით.

განსახილველი დანაშაული ფორმალურ ანუ ე.წ. „შედგგარეშე“ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება: იგი დამთავრებულად ჩაითვლება ქმედების ჩადენისთანავე, შედეგის დადგომას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

გაფიცვის უფლებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ასევე მატერიალური ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით შეუძლია ნებისმიერ ამსრულებელს, ხოლო სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მხოლოდ სპეციალური უფლებამოსილების მქონე მოხელეს, ანუ სპეციალურ ამსრულებელს. ამავე დროს ამსრულებელი უნდა მოქმედებდეს პირდაპირი განზრახვით. ქმედების მოტივი შეიძლება იყოს არასწორად გაგებული სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან უწყებრივი ინტერესი, შური, შურისძიება ან სხვა პირადი მოტივი, თუმცა მას ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, სასამართლომ ის უნდა გაითვალისწინოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს.

სასამართლო პრაქტიკა ამ მუხლთან დაკავშირებით არ არსებობს, ისევე, როგორც არ არსებობს გაფიცვის უფლების რე-

ალიზაციის ფაქტები საქართველოში. და ეს სულაც არ არის გასაკვირი. დასაქმებულთა და დამსაქმებელს შორის ათწლეულების განმავლობაში შრომითი ურთიერთობების ე.წ. „კომუნისტურ საწყისებზე“ არსებობამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ადამიანთა პოლიტიკურ და სოციალურ თვითშეგნებაზე. მას მერე გავიდა გარკვეული დრო, მაგრამ დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, კვლავ არსებობს უმუშევრობის პრობლემა, რომელიც, ჩვენი აზრით, შრომითი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დაკების გადაწყვეტისას გაფიცვის უფლების განხორციელების ძირითად მუხრუჭს წარმოადგენს.

## მუხლი 166. პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნილი ან მისი საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,

პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნილათვის ან მისი საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,

– ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი საშუალოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

გაერთიანების შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-11 მუხლითა და საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლით. ეს უფლება დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანების თვითგანვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, მრავალპარტიული სისტემა საქართველოს კონსტიტუციით შექმნილი თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების არსებითი შემადგენელი ნაწილი და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის განსამზ-

ღერელი ძირითადი პრინციპია. მრავალპარტიული სისტემის გარეშე შეუძლებელია რომელიმე სახელმწიფოს დემოკრატიულობაზე ლაპარაკი. აქედან გამომდინარე, 26-ე მუხლის დებულება საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის შესახებ არის საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური ნორმა.<sup>1</sup>

„საზოგადოებრივი გაერთიანებები“-ს ქვეშ იგულისხმება ადამიანთა ნებაყოფლობითი გაერთიანებები, მათ შორის პროფესიული კავშირები, შექმნილი ინტერესთა ერთიანობის მიხედვით საერთო მიზნების საერთაღიზაცოდ, და პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბების პროცესში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 166-ე მუხლი სისხლისსამართლებრივ პასუხისმდებლობას აწესებს, როგორც პოლიტიკური და საზოგადოებრივი, ასევე რელიგიური გაერთიანების შექმნისა ან მისი საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლისათვის. კონსტიტუციის 26-ე მუხლი არ მიუთითებს რელიგიური გაერთიანების და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლებაზე, მაგრამ, ამავე დროს, აღიარებს სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას (საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი). რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებით ადამიანს შეუძლია სარგებლობა როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად, ხოლო კოლექტიურად ეს თავისუფლება შეიძლება განხორციელდეს იურიდიული პირის, რელიგიური და მსოფლმხედველობრივი გაერთიანების მეშვეობით.<sup>2</sup>

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ამ უფლების

---

1 ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: კონსტანტინე კუბლაშვილი „ძირითადი უფლებები“, თბილისი, 2003, გამოცემლობა ჯისიაი, გვ. 308-316; ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“, თბილისი, 2005, გამოცემლობა „მერიდიანი“, გვ. 224-235.

2 ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“, თბილისი, 2005, გამოცემლობა „მერიდიანი“, გვ. 111-112.

განხორციელების წესი რეგლამენტირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და სხვადასხვა კანონით: 1997 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს ორგანული კანონით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“, 1997 წლის 02 აპრილის საქართველოს კანონით „პროფესიული კავშირების შესახებ“, 1999 წლის 08 ივნისის საქართველოს კანონით „შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“. აღნიშნული კანონებით აგრეთვე განისაზღვრება ამ გაერთიანებათა საკანონმდებლო ცნება.

სამწუხაროდ, დღეისათვის საქართველოში არ არსებობს კანონი, რომელშიც საგანგებოდ იქნება განსაზღვრული რელიგიურ გაერთიანებათა შექმნის წესი, თუმცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ჯერ კიდევ 2005 წელს შემუშავებული იყო კანონპროექტი სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ. ამ მიმართულებით საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 6 აპრილს გადადგა გარკვეული ნაბიჯი, როდესაც ცვლილება შეიტანა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლში, რომლის საფუძველზეც რელიგიურ გაერთიანებებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსით. მაგრამ მიუხედავად ამისა, საქართველოს სახალხო დამცველი არაერთხელ მიუთითებს თავის ანგარიშში, რომ კათოლიკური ეკლესიის, სომხური სამოციქულო ეკლესიისა, ლუთერულ-ევანგელური და სხვა ეკლესიის მესვეურები უარს აცხადებენ კერძო სამართლის იურიდიული სუბიექტის სტატუსის მოპოვებაზე, ვინაიდან მათთვის მიუღებელია ასეთი სტატუსით არსებობა, მით უფრო, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს. შესაბამისად, ისინი ითხოვენ ან რელიგიური გაერთიანებების შესახებ კანონის მიღებას, ან ამა თუ იმ კონფესიასა და სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების გაფორმებას.<sup>1</sup> აღნიშნული

---

<sup>1</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2005 წლის (პირველი ნაწილი) ანგარიში, [www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge), გვ. 74. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ვერ გავიზიარებთ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარების ავტორების მოსაზრებას, რომლის მიხედვით რელიგიური გაერთიანებები წარმოადგენენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, კერძოდ კი – საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძ-



საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგებით შესაძლებელი გახდება რელიგიური გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის ირგვლივ არსებული პრობლემების მოგვარება.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დაუშვებელია გაერთიანების უფლების განხორციელებაზე რაიმე შეზღუდვის დაწესება, გარდა ისეთი შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშალის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. გამომდინარე აქედან, იმისათვის, რომ განესაზღვროთ, თუ როდის იქნება პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისათვის ხელის შეშლა კანონიერი და როდის ღებულობს იგი კანონსაწინააღმდეგო ხასიათს, უნდა განვიხილოთ ამ უფლების განხორციელების პროცესში სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარევის საფუძვლები.

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობრივად შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს“. ამავ მუხლის მე-6 პუნქტში კი განსაზღვრულია ის სამართლებრივი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ამ განსახილველ ძირითად უფლებაში ჩარევა: „საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით“.

---

ველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში არ არის მითითება რელიგიურ გაერთიანებებზე. იხ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 112, სქოლიო 1.

ბით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით“.

საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული დებულებების შესაბამისად, 1997 წლის 14 ნოემბერს მიღებულია საქართველოს ორგანული კანონი „საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ“, რომლის თანახმად სასამართლოს შეუძლია: „სამ თვემდე ვადით შეაჩეროს იმ საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობა, რომელიც არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე“ (მე-3 მუხლის პირველი პუნქტი); „...აკრძალოს საზოგადოებრივი გაერთიანება, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება, ან სასამართლოს მიერ მისი საქმიანობის შეჩერების შემდეგ განაახლებს ამ კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ საქმიანობას (მე-4 მუხლი). კანონში აგრეთვე განსაზღვრულია, რომ „საზოგადოებრივი გაერთიანებისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან მისი ლიკვიდაცია შეიძლება საზოგადოებრივი გაერთიანების მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე“ (მე-4<sup>1</sup> მუხლი). ანალოგიური დებულებები გათვალისწინებულია საქართველოს კანონით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“: „პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით (35-ე მუხლი); საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია აკრძალოს პარტია, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება (36-ე მუხლი).

გამომდინარე აღნიშნულიდან, ცხადია, რომ სისხლისსამართლებრივი დაცვის ქვეშ იმყოფება ისეთი პოლიტიკური, საზოგადოებრივი და რელიგიური გაერთიანება, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული არ არის. ისეთი რელიგიური, პოლიტიკური ან საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნა, რომლის საქმიანობას თან ერთვის ძალადობა ადამიანის მიმართ, ასეთი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა, სსსკ-ის 252-ე მუხლის თანახმად, დასჯად ქმედებად ითვლება.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით დადგენილია კიდევ ერთი შეზღუდვა: საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნის და მათში გაერთიანების უფლება აქვს საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა, ხოლო პოლიტიკური პარტიების შექმნის და მათ საქმიანობაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს ენიჭება. სახელმწიფოს მიერ ასეთი შეზღუდვის დაწესების შესაძლებლობა დაშვებულია კონსტიტუციის 27-ე მუხლით, რომელშიც ნათქვამია: „სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა“.

საქართველოს კონსტიტუცია აგრეთვე ითვალისწინებს შეზღუდვას მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიის მიმართ. კერძოდ, კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პოლიტიკური პარტიის წევრობა შეუწყდება პირს, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების, სახელმწიფო უშიშროების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, ან თუ გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 166-ე მუხლი პოლიტიკური, საზოგადოებრივი და რელიგიური გაერთიანების შექმნის და მისი საქმიანობაში მონაწილეობის კონსტიტუციური უფლების განხორციელების სისხლისსამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს.

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გამოხატულია პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლაში

ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ხელის შეშლა შეიძლება გამოიხატოს გაერთიანების რეგისტრაციაზე უკანონო უარის თქმაში, ისეთ მოქმედებაში, რომლის შედეგადაც იქმნება დაბრკოლება ანდა სულაც შეუძლებელი ხდება გაერთიანების საქმიანობის განხორციელება (მაგალითად, პოლიტიკური პარტიისათვის დაბრკოლების შექმნა აწარმოოს საარჩევნო კამპანია, რელიგიური ორგანიზაციისათვის დაბრკოლების შექმნა ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებაში, და სხვა).

განსახილველი დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია დანაშალებრივი ქმედების ჩადენა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

ძალადობა შეიძლება გამოიხატოს დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანებაში. სსსკ-ის 166-ე მუხლი მოიცავს ისეთ ძალმომრეობით მოქმედებებს, როგორცაა ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, ასევე ფსიქიკურ ძალადობას (მუქარას), იმ პირობით, თუ ეს ძალადობა დანაშაულის ჩადენის ხერხს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში დამატებითი კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით არ არის საჭირო, ხოლო თუ ძალადობამ ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გამოიწვია, ქმედება დანაშაულთა ერთობლიობით უნდა დაკვალიფიცირდეს.

ძალადობის გამოყენების მუქარა უნდა იყოს რეალური. დაზარალებულს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ეს მუქარა რეალიზებული იქნება, ან ამის საფუძვლიანი ეჭვი უნდა ჰქონდეს. მუქარის გამოვლენის ფორმას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, იგი შეიძლება გამოიხატოს როგორც სიტყვიერად, ისე მოქმედებით.

სსსკ-ის 166-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა შესაძლებელია როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. ეს დანაშაული ფორმალურია და დამთავრებულად ჩაითვლება ქმედების ჩადენისთანავე. რაიმე შედეგის დადგომის შემთხვევაში სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა.

გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით შეუძლია ნებისმიერ ამსრულებელს, ხოლო სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით – მხოლოდ სპეციალური უფლებამოსილების მქონე მოხელეს, ანუ სპეციალურ ამსრულებელს.

რაც შეეხება ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას, იგი პირდაპირ განზრახვას გულისხმობს, რაზეც სიტყვა „უკანონოდ“ მიანიშნებს. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ე.ი. უკანონოდ ხელის შეშლა პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისათვის და სურს ამ ქმედების განხორციელება. ამგვარი ქმედების მოტივი ისევე, როგორც მიზანი, სხვადასხვა შეიძლება იყოს, და დანაშაულის კვალიფიკაციაზე ზეგავლენას არ ახდენს.

აქვე ყურადღება გვინდა გავამახვილოთ შემდეგ გარემოებაზე. როგორც ავლნიშნეთ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა რელიგიური გაერთიანების საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლისათვის ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გათვალისწინებულია სსსკ-ის 166-ე მუხლით. რელიგიური გაერთიანების საქმიანობა ძირითადად ვლინდება ღვთისმსახურების, სხვა რელიგიური წესისა და ჩვეულების აღსრულებაში. ამავე დროს სსსკ-ის 155 მუხლით გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლისათვის ძალადობით ან ძალადობის მუქარით ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა (155-ე მუხლის პირველი ნაწილი), ანდა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (155-ე მუხლის მე-2 ნაწილი). სსსკ-ის 166-ე და 155-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ობიექტური შემადგენლობა ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ 166-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შედეგად ილაზება რელიგიური გაერთიანების ინტერესები, ხოლო 155-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული მიმართულია როგორც თვით რე-

ლიგიური გაერთიანების, ასევე ცალკეული ადამიანის უფლებების ხელყოფისაკენ. თითქმის ერთნაირია ამ მუხლების სანქციებიც, იმ განსხვავებით, რომ 155-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) სასჯელი უფრო მკაცრია – ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ. ყოვლად გაუმართლებელია, ერთი და იგივე ქმედება სხვადასხვა ნორმაში იყოს გათვალისწინებული და ერთმანეთისაგან მხოლოდ სანქციით განსხვავდებოდეს. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს კანონის კოლიზიას.

სსსკ-ის 166-ე მუხლთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს, თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს პრობლემის არარსებობას. ამის დასტურია საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში მოყვანილი მაგალითი, როდესაც საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის ხელმძღვანელს სხვადასხვა ნოტარიუსის მიერ არაერთხელ ეთქვა უარი ევანგელისტური ეკლესიის წესდების დამოწმებაზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია: ამ ნოტარიუსების წინააღმდეგ აღძრა დისციპლინარული წარმოება და მიიღო გადაწყვეტილება ერთი წლის ვადით მათი დისკვალიფიკაციის შესახებ.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2005 წლის (მეორე ნაწილი) ანგარიში, [www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge), გვ. 130-131.

## მუხლი 167. ინფორმაციის გაცნობაზე უარის თქმა ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა

პირისათვის უკანონოდ უარის თქმა მასზე არსებული ინფორმაციის ან ოფიციალური დოკუმენტის გაცნობაზე, ანდა იმ დოკუმენტის ან მასალის წარდგენაზე, რომელიც უშუალოდ შეეხება მის უფლებებს და თავისუფლებებს, აგრეთვე ასეთი ინფორმაციის, დოკუმენტის ან მასალის არასრულად ან დამახინჯებულად წარდგენა, ანდა მის გასაცნობად სხვაგვარად უკანონოდ ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია,

– ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით განმტკიცებულია საქართველოს მოქალაქის უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

ინფორმაციის მიღების უფლება აგრეთვე განმტკიცებულია კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტითა (ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს ინფორმაცია...) და 37-ე მუხლის მე-5 პუნქტით (ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ). განსხვავებით 41-ე მუხლისაგან, რომელიც, როგორც ავლნიშნეთ, ითვალისწინებს მოქალაქის უფლებას გაეცნოს მის შესახებ არსებულ ინფორმაციას, „აღნიშნული მუხლები ეხება „სხვათა“ იდეებისა და შეხედულებების მიღებისა და გამოყენების შესაძლებლობას“<sup>1</sup>

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საქართველოს ყველა მოქალაქეს, უცხოელს, მოქალაქეობის

1 ლ. იზორია, ქ. კორკელია, ე. კუბლაშვილი, გ. ხუბუა „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“, თბილისი, 2005, გამოშვებულია „მერიდიანი“, გვ. 352.

არმქონე პირს უფლება აქვს მოითხოვოს საჯარო დაწესებულებაში დაცული ყველა ინფორმაცია, თუ იგი არ განეკუთვნება სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ და პირად საიდუმლოებას. ინფორმაციის მოთხოვნისას პირი არ არის ვალდებული მიუთითოს ინფორმაციის მიღების მოტივი და მიზანი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებას მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი აწესებს საჯარო ინფორმაციის გაცემის კონკრეტულ წესსა და ვადებს. იმისათვის რომ პირმა მიიღოს სასურველი საჯარო ინფორმაცია, მან უნდა წარადგინოს წერილობითი განცხადება შესაბამის საჯარო დაწესებულებაში. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო ინფორმაცია გასცეს დაუყოვნებლივ ან კონკრეტული გარემოებების არსებობისას – არაუგვიანეს 10 დღისა.

თუ რომელი ინფორმაცია ჩაითვლება სახელმწიფო, პროფესიულ და კომერციულ საიდუმლოებად, განსაზღვრავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საიდუმლოებად ჩაითვლება „ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მონაცემებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოების და მართლწესრიგის დაცვის სფეროში, რომელთა გამჟღავნებას ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს ან საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე მხარის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, რაც ამ კანონით ან/და საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას“.

ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემულია კომერციული



და პროფესიული საიდუმლოების განმარტება: კომერციულ საიდუმლოებას მიეკუთვნება „ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას“ (27<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტი), ხოლო „პროფესიულ საიდუმლოებას – ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას“ (27<sup>3</sup>-ე მუხლი).

სისხლის სამართლის კოდექსის 167-ე მუხლი სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას აწევებს იმ დანაშაულისათვის, რომელიც ხელყოფს ადამიანის ამ ძირითად კონსტიტუციურ უფლებას.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება: ქმედებაში, შედეგში (მნიშვნელოვანი ზიანის დადგომა) და მიზეზობრივ კავშირში ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. დანაშაულებრივი ქმედება, თავის მხრივ, გამოიხატება: 1) პირისათვის უკანონოდ უარის თქმაში მასზე არსებული ინფორმაციის ან ოფიციალური დოკუმენტის გაცნობასა, ანდა იმ დოკუმენტის ან მასალის წარდგენაზე, რომელიც უშუალოდ შეეხება მის უფლებებს და თავისფლებებს, 2) ასეთი ინფორმაციის, დოკუმენტის ან მასალის არასრულად ან დამახინჯებულად წარდგენაში, 3) ინფორმაციის გასაცნობად სხვაგვარად უკანონოდ ხელის შეშლაში.

რა იგულისხმება ინფორმაციის ქვეშ? არც კონსტიტუციის 41-ე და არც სისხლის სამართლის კოდექსის 167-ე მუხლში კანონმდებელი არ განმარტავს ტერმინს „ინფორმაცია“. მოქალაქე დამოუკიდებლად განსაზღვრავს, თუ რა სახის ინფორმაციის გაცნობის საშუალება უნდა მიეცეს მას სახელმწიფო დაწესებულებებ-

ში.<sup>1</sup> გამომდინარე აქედან, ინფორმაციის ქვეშ უნდა ვიგულისხმოდ ისეთი პერსონალური მონაცემები, მასალები და დოკუმენტები, რომლებიც შეკრებილია კანონით დადგენილი წესით და შეიცავს ცნობებს, რომლებიც აინტერესებს მოქალაქეს იმის გამო, რომ ისინი უშუალოდ შეეხება მის უფლებებსა და თავისუფლებებს.

აღნიშნული დანაშაულის ჩადენა შეიძლება როგორც მოქმედებით (მაგალითად, ინფორმაციის გაცემა განზრახ დამახინჯებული სახით, როდესაც მისი შინაარსი არ შეესაბამება დოკუმენტში დაცულ ინფორმაციას), ისე უმოქმედობით (მაგალითად, კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ინფორმაციის წარდგენაზე ნებისმიერი ფორმით უარის თქმა).

არსებული ინფორმაციის ან ოფიციალური დოკუმენტის გაცნობაზე უარის თქმა უკანონოდ ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ მათი წარდგენის მოვალეობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. მოქალაქისათვის ინფორმაციის არასრულად წარდგენა ნიშნავს შესაბამისი მოვალეობისა და მოთხოვნილი ინფორმაციის წარდგენის შესაძლებლობის პირობებში მხოლოდ მისი ნაწილის წარდგენას, ხოლო დამახინჯებულად წარდგენა – ისეთი ინფორმაციის წარდგენა, რომელიც განზრახ დამახინჯებულია და არ შეესაბამება სინამდვილეს.

განსახილველი დანაშაული მატერიალურ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება და, შესაბამისად, დამთავრებულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულებრივმა ქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. იგი შეიძლება იყოს როგორც ქონებრივი, ისე მორალური, იმისდა მიხედვით, კონსტიტუციით აღიარებული რა უფლებები და თავისუფლებები ილახება დანაშაულებრივი ქმედების შედეგად: შრომითი, პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა. მნიშვნელოვანი ზიანი შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისი დადგომა, ისევე როგორც მიზეზობრივი კავშირი ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის, სასამართლოს მიერ უნდა იყოს დადგენილი და დასაბუთებული საქმის მასალების შესწავლისა და შეფასების საფუძველზე.

---

1 დასახელებული ნაშრომი, გვ. 353.

რაც შეეხება ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას, იგი პირდაპირ განზრახვას გულისხმობს, რაზეც სიტყვა „უკანონოდ“ მიანიშნებს, ანუ დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებს ასეთი შედეგის განხორციელების გარდუვალობას. ქმედების მოტივი, ისევე როგორც მიზანი, სხვადასხვა შეიძლება იყოს: შურისძიება, სიძულვილი, ეჭვიანობა და სხვა. მოტივი და მიზანი დანაშაულის კვალიფიკაციაზე ზეგავლენას არ ახდენენ.

განსახილველი დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია, იგი შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირი, რომელიც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე ფლობს დადგენილი წესით დაცულ ინფორმაციას, რომელიც შეეხება მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, და ვალდებულია ეს ინფორმაცია წარუდგინოს მოქალაქეს მისი მოთხოვნის საფუძველზე.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში სსსკ-ის 167-ე მუხლით მსჯავრდების შემთხვევები არ გვხვდება, თუმცა საქართველოს სახალხო დამცველის წლიურ ანგარიშებში მოყვანილია საჯარო ინფორმაციის გაცნობისათვის ხელის შეშლის არაერთი მაგალითი, რაც უმეტეს შემთხვევაში ინფორმაციის გაცემის გაჭინანურებაში გამოიხატება.<sup>1</sup>

## მუხლი 168. შრომის თავისუფლების ხელყოფა

შრომის თავისუფლების ხელყოფა, ესე იგი ნებისმიერი სახის კანონიერ შრომით საქმიანობაში ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მქარით, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

---

<sup>1</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2006 წლის (პირველი ნაწილი-2, გვ. 405-408) და 2007 წლის (პირველი ნაწილი, გვ. 450-451; მე-2 ნაწილი, გვ. 293) ანგარიშები, [www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge).

შრომის უფლება ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალური უფლებაა და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა განხორციელების წინაპირობა.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ჰელსინკის შემაჯამებელ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სოციალური და ეკონომიკური უფლებები ადამიანის ღირსებიდან გამომდინარეობს და არსებითი მნიშვნელობა აქვს მისი თავისუფალი და სრული განვითარებისათვის.

ამავე ორგანიზაციის ვენის თათბირის შემაჯამებელ დოკუმენტში ჩაიწერა, რომ ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა უფლებებსა და თავისუფლებებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ და ყველა სათანადო საშუალებით სრულად უნდა განხორციელდეს მონაწილე სახელმწიფოთა მიერ. ეს დოკუმენტი შეიცავს კონკრეტულ ვალდებულებებს ამ უფლებათა ეფექტურად განხორციელების სამართლებრივი გარანტიების შესაქმნელად. იგი მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორცაა დასაქმება, სოციალური უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვა და სხვ. (ვენა – 1989)<sup>1</sup>.

სოციალური უფლებები აღიარებულია ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო დოკუმენტებით, როგორცაა 1961 წლის ევროპის სოციალური ქარტია, 1966 წლის პაქტი ეკონომიკურ; სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ და სხვ. შრომის სფეროში ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს მიეკუთვნება შრომის თავისუფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა შრომაში, უფლება უსაფრთხო შრომაზე, პროფკავშირების შექმნის უფლება და სხვ.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მიხედვით შრომა თავისუფალია. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას...

შრომის უფლების კონსტიტუციური განმტკიცებით სახელმწიფო თავის თავზე იღებს მისი განხორციელების ვალდებულებას, თუმცა მისი შესრულება შორსაა სახელმწიფოს რეალური

---

1 „Обязательства ОБСЕ в области человеческого измерения“, Варшава, 2001, с. 73-74.

შესაძლებლობისაგან, რადგან მისი სრული განხორციელება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე დამოკიდებული. ამავე დროს შრომის თავისუფლება არაფრისმთქმელ დეკლარაციად დარჩებოდ. თუ სახელმწიფოს მისი განხორციელების რეალური პირობები შექმნის ვალდებულება არ ექნებოდა. სახელმწიფოს კონსტიტუცი ავალდებულებს ქმედითი ნაბიჯები გადადგას სოციალური სამართლიანობის და თანასწორობის უზრუნველსაყოფად. ეს ნათლად ჩანს კონსტიტუციის 32-ე მუხლით დადგენილი ვალდებულებების დანაც. მაშასადამე, თუ პოლიტიკური უფლებები სახელმწიფო ძალაუფლების თვითნებური და გადამეტებული გამოყენებისაგან ინდივიდუალური თავისუფლების დაცვის მიზნით არის შექმნილ (ე. ი. სახელმწიფო ძალაუფლების „ნეგატიური“ შემაკავებელ ფაქტორის ფუნქციას ასრულებს), სოციალური უფლებების პაქტ სახელმწიფოსაგან აქტიურ ჩარევას მოითხოვს ამ უფლებათა რეალური განხორციელების უზრუნველსაყოფად (ე. ი. სახელმწიფო „პოზიტიური“ ვალდებულების ფაქტორის ფუნქციას ასრულებს)

ლ. იზორია წერს: კონსტიტუციის 30-ე მუხლის ფორმული რეგულირება – შრომა თავისუფალია, ნიშნავს ისეთი პროგრამული დეკლარაციების კონსტიტუციურ განმტკიცებას, რომელიც სახელმწიფო უმუშევრობის თავიდან აცილების და დასაქმების რეალური პირობების შექმნის ერთგვარ სამოქმედო გეგმას უწესებს<sup>1</sup>.

კონსტიტუციური ნორმა შრომის თავისუფლების შესახებ თვისთადად არ წარმოშობს ინდივიდუალურ უფლებებს, რომელიც დაცვა სასამართლოს მეშვეობით შეიძლება. ამ შრომის უფლების კონკრეტიზაცია და დაცვის მექანიზმები სპეციალურ კანონმდებლობაშია მოცემული.

შრომის კონსტიტუციური უფლების დეტალური რეგულაციები მოცემულია შრომის კოდექსში, რომელიც შრომითი ურთიერთობის მონაწილეთა ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს.

შრომის კოდექსი აკონკრეტებს შრომითი ურთიერთობის არსს, მის მონაწილეს სუბიექტებს და მათ უფლება-მოვალეობებს

---

1 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბ. 2005, გვ. 272-273.

შრომის უფლების შემადგენელ თითოეულ კომპონენტს შრომითი ურთიერთობის დაწყებიდან შეწყვეტამდე. შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით, შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, ნების თავისუფალი გამოვლინების შედეგად მიღწეული შეთანხმებით. ეს ნიშნავს, რომ ადამიანს უფლება აქვს აირჩიოს საქმიანობის სფერო და პროფესია.

სადავო არ არის, რომ შრომის უფლება, პირველ რიგში, გულისხმობს პროფესიის (დასაქმების ადგილის) თავისუფლად არჩევის თავისუფლებას. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო, ამავე დროს მას მინიჭებული აქვს საქმიანობის თავისუფლებაც – თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები უკვე არჩეულ პროფესიულ შრომით საქმიანობაში.

ლ. იზორია კონსტიტუციის 30-ე მუხლის შინაარსს ასე განმარტავს: შრომის უფლება სამი ძირითადი ასპექტით გამოიხატება – მოქალაქეს შეუძლია პროფესიული საქმიანობის თავისუფლად განხორციელება, მას უფლება აქვს თავისუფლად აირჩიოს ესა თუ ის პროფესია და, აგრეთვე, უარი თქვას რომელიმე პროფესიის არჩევაზე <sup>1</sup>.

სხვა კონსტიტუციური უფლებებისაგან განსხვავებით სოციალური და, მათ შორის, შრომის უფლების უზრუნველყოფის არსი სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა დამცავი მექანიზმების დადგენას გულისხმობს; პირველ რიგში, სოციალური უფლებების საკანონმდებლო რეგლამენტაციის გზით, თუმცა ამ უფლებათა დაცვის გარანტიებს სასამართლოს სხვა დარგებში ვხვდებით, მათ შორის სისხლის სამართალში. შრომის უფლების დაცვის გარანტიები მოცემულია საქართველოს სსკ 168-170 მუხლებში, სპეციალურ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს 190-ე მუხლიც.

აღსანიშნავია, რომ შრომის უფლების დაცვის სფეროში ამა თუ იმ ქმედებათა კრიმინალიზაციის ფარგლები (მასშტაბი) მრავალფეროვნებით ხასიათდება, რასაც იმით ხსნიან, რომ ძირითადი უფლებებისაგან (სამოქალაქო პოლიტიკური) განსხვავებით,

---

<sup>1</sup> კონსტიტუციის კონტარები, თბ. 2005, გვ. 276.

შრომის უფლების დაცვის სისხლისსამართლებრივი ტრადიცია ხანმოკლე პერიოდს მოიცავს. ამიტომ სამართლებრივი დაცვის მექანიზმები ამ სფეროში ევოლუციის პროცესშია. თუ გადავხედავთ სხვადასხვა ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობას, დავინახავთ, რომ ზოგან არა მხოლოდ შრომის უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა ითვლება დანაშაულად, არამედ ჯანმრთელობისათვის საზიანო შრომის პირობების დადგენაც, არასამართლიანი ანაზღაურება ან უარი შრომის ანაზღაურებაზე (საფრანგეთი, ესპანეთი და სხვ.), შრომითი საქმიანობის იძულება (უკრაინა, მოლდოვა, შვედეთი, ჩინეთი და სხვ.).

საქართველოს სსკ 168-ე მუხლი შრომის უფლების მხოლოდ ერთ ასპექტს იცავს, კერძოდ, მოქალაქის მიერ შრომითი საქმიანობის თავისუფლად განხორციელების შესაძლებლობას. სიტყვა-სიტყვით ეს აკრძალავს ასე ეღერს: „შრომის თავისუფლების ხელყოფა, ე. ი. ნებისმიერი სახის კანონიერ შრომით საქმიანობაში ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ისჯება ...“

ამ კანონის ტექსტიდან არ ჩანს, ისჯება თუ არა ამა თუ იმ გარკვეული პროფესიული საქმიანობის შესრულების იძულების მიზნით განხორციელებული ძალადობა. მაგალითად, ვინმე აიძულო, მაღალმთიან რეგიონში იმუშაოს (ექიმად, მასწავლებლად და სხვ.), რადგან იქ კადრების დეფიციტია, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ამ პროფესიით არ ამუშავენ. იძულებითი შრომისაგან თავისუფლება შრომის უფლების მნიშვნელოვანი ელემენტია. შრომის თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივი გაგება გამორიცხავს იძულებით შრომას.

168-ე მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე, თუ ადამიანს უზღუდავენ რომელიმე პროფესიის არჩევის ან მასზე უარის თქმის თავისუფლებას, მაშინ სხვა დანაშაულთან გვექნება საქმე – მაგალითად, იძულებასთან (მუხლი 150).

168-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გულისხმობს ნებისმიერი სახის კანონიერი შრომით საქმიანობაში ხელის შეშლას ძალადობით ან ძალადობის მუქარით. ძალადობის გარეშე შრომის თავისუფლების ხელყოფა დანაშაულს არ წარმოადგენს. ძალადობის ხარისხი მოიცავს ცემას, ჯანმრთ-

ელობის მსუბუქ დაზიანებას, ხოლო ძალადობის მუქარის შინაარსი უფრო ფართოც შეიძლება იყოს, რადგან აქ მუქარის (მუხლი 150) სპეციალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ამასთანავე, ძალადობის მიზანია არჩეული პროფესიული შრომითი საქმიანობისათვის წინააღმდეგობის გაწევა, ხელოვნურად დაბრკოლებების შექმნა, პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ჩარევა და სხვ. დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება ძალადობის რეალურად გამოყენების ან მისი მუქარის წარმოქმნის მომენტიდან.

საყურადღებოა, რომ კანონი დასჯადად თელის მხოლოდ და მხოლოდ კანონიერ შრომით საქმიანობაში ხელის შეშლას. სხვა კონსტიტუციური უფლებების მსგავსად ამ შემთხვევაშიც ადამიანს სახელმწიფოს უკანონო ჩარევისაგან თავის დაცვის უფლება აქვს. მაგრამ, ამავე დროს, პროფესიული საქმიანობის თავისუფლება გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება. შეზღუდვა შეიძლება შეეხოს პროფესიის უფლების ორ ასპექტს, კერძოდ, სახელმწიფომ შეიძლება კანონით შეზღუდოს ან პროფესიული საქმიანობის თავისუფალი განხორციელების უფლება, (საქმიანობის თავისუფლება) ან გარკვეული პროფესიის თავისუფალი არჩევის უფლება (არჩევის თავისუფლება) <sup>1</sup>. ამგვარ შეზღუდვას საერთაშორისო პრაქტიკა, ცხადია, დისკრიმინაციად არ განიხილავს.

შრომის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ საფუძველზე მითითება კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეოთხე პუნქტშივე ხდება. საზოგადოდ, ლეგიტიმურად შრომითი საქმიანობის შეზღუდვის საფუძველი შეიძლება იყოს უკანონო სამეწარმეო, საექიმო ან ფარმაცევტული საქმიანობა, ანდა ისეთი სახის საქმიანობა, რომელიც დანაშაული არ არის, მაგრამ ამორალურია, მაგალითად, პროსტიტუცია, ზოგიერთი აზარტული თამაშის ბიზნესი.

ამა თუ იმ პროფესიული საქმიანობის თავისუფლების შეზღუდვა შეზღუდვის მიზნის პროპორციული უნდა იყოს. კონსტიტუციურ სამართალში ამ უფლების შეზღუდვის თანაზომიერების პრინციპებიცაა შემუშავებული. მაგალითად, ადამიანის უსაფრთხოების, მისი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით პროდუქციის წარმოე-

---

1 იხ. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბ. 2005, გვ. 277-278.



ბის და რეალიზაციის სათანადო წესის დადგენა და ამ გზით სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვა კონსტიტუციურად გამართლებული და მიზანშეწონილი იქნებოდა. შრომითი საქმიანობის თავისუფლების შეზღუდვა ასევე გამართლებული იქნება, თუ იგი განპირობებულია შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობებით უზრუნველყოფის აუცილებლობით<sup>1</sup>.

სსკ 168-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ამსრულებელი ნებისმიერი ფიზიკური პირი შეიძლება იყოს. თუ მოხელე ხელყოფს შრომის თავისუფლებას, მაშინ მას დამატებით შეიძლება სსკ 332-ე ან 333-ე მუხლით დაეკისროს პასუხისმგებლობა.

რაც შეეხება ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას, ეს დანაშაული პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. დამნაშავეს განზრახვით აქვს, რომ არღვევს კონსტიტუციით გარანტირებულ შრომის თავისუფლებას ისეთი მართლსაწინააღმდეგო ხერხით, როგორცაა ძალადობა ან ძალადობის მუქარა და სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგი, ან ითვალისწინებს ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას.

ქმედების მოტივი შეიძლება იყოს არასწორად გაგებული სახელმწიფო ინტერესი, შური, შურისძიება ან სხვა პირადი მოტივი, თუმცა მას ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია და შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს.

პრაქტიკა ამ მუხლთან დაკავშირებით ვერ ვნახეთ.

## მუხლი 169. შრომის კანონმდებლობის დარღვევა

სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნა, სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან შრომის კანონმდებლობის სხვა არსებითი დარღვევა,

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

<sup>1</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბ. 2005, გვ. 278.

ეს მუხლი შრომის თავისუფლების დამცავ მექანიზმებს განაერცობს დასაქმების უფლებიდან ნაწარმოებ სხვა უფლებებზეც, რომლებიც შეეხება სამუშაოს შესრულების პირობებს, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებს და სხვ.

169-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნაში, სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში ან შრომის კანონმდებლობის სხვა არსებით დარღვევაში.

ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნების გადმოცემას ჩვენ ამ უკანასკნელი ნიშნის აღწერით დავიწყებდით, ვინაიდან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტამდე შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს შრომის უფლების ისეთ არსებით დარღვევებს, როგორიცაა ამა თუ იმ ნიშნით დისკრიმინაცია, თანაბარი შრომისათვის არათანაბარი ხელფასის ან საერთოდ არასამართლიანი გასამრჯელოს გადახდა, ქალთა და ბავშვთა შრომის სპეციფიკური პირობების უგულებელყოფა, შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა და სხვ.

შრომითი ურთიერთობის სტაბილურობისა და ხელშეუხებლობის განმსაზღვრელი მთელი რიგი ასპექტები მოცემულია ისეთ საერთაშორისო დოკუმენტებში, როგორიცაა ევროპის სოციალური ქარტია, საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ და სხვ. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ შრომის უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია დასაქმების დაცვის უფლება, ანუ სამართლებრივი და სხვა ღონისძიებები შრომითი ურთიერთობების შენარჩუნების და დაცვისათვის. ამ უფლების ყველაზე მნიშვნელოვან დარღვევად მიჩნეულია სამსახურიდან უსამართლოდ დათხოვნა <sup>1</sup>.

დასაქმების უფლების ამ ასპექტის მნიშვნელობაზე ისიც მიანშინებს, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ სპეციალური

---

1 იხ. „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები“, რედაქტორები: კ. ეიდე, კ. კრაეზე, ა. როსია, გვ. 280.

კონვენციაც მიიღო დამსაქმებლის ინიციატივით დასაქმების შეწყვეტის შესახებ (№158 – 1982 წელი). იგი უზრუნველყოფს დამსაქმებლის ინიციატივით მუშაკთა განთავისუფლებისაგან დაცვის მასშტაბურ სისტემას. ამ დოკუმენტის დამსახურებაა დასაქმების შეწყვეტისთვის „დასაბუთებული მიზეზების“ კონცეფციის შემუშავება<sup>1</sup>, საერთაშორისო სტანდარტების დადგენა, რომელიც დაცული უნდა იყოს დასაქმების შეწყვეტამდე და შეწყვეტის დროს.

169-ე მუხლში ქმედების ობიექტური ნიშნების აღწერა იწყება სამუშაოდან უკანონო დათხოვნით. საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლი ამომწურავად ჩამოთვლის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებს: შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება, შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა, ერთ-ერთი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა, შრომითი ხელშეკრულების მოშლა (ერთ-ერთი მხარის ინიციატივით), მხარეთა შეთანხმება და სხვ. სულ ცხრა საფუძველი. 169-ე მუხლით დანაშაულად ჩაითვლება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა შრომის კოდექსში მითითებული საფუძვლების საწინააღმდეგოდ. აღსანიშნავია, რომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დაუშვებელ საფუძვლებზე ყურადღება გამახვილებულია თავად შრომის კოდექსშიც. ასე მაგალითად, 37-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა დაუშვებელია დასაქმებულის სამხედრო-სარეზერვო სამსახურში გაწვევის გამო ანდა დასაქმებულის მიერ სამხედრო-სარეზერვო სამსახურის გავლის პერიოდში, 36-ე მუხლის მიხედვით, დაუშვებელია შრომითი ხელშეკრულების მოშლა შრომითი ურთიერთობის შეჩერებისას (შვებულება, დროებითი შრომისუუნარობა და სხვ.)

სსკ 169-ე მუხლით დანაშაულად ითვლება, ასევე, სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სასამართლო აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყენებული მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ აღსასრულებელს მიაკუთვნებს (მუხლი 268).

აღნიშნული ქმედება ამავე დროს სსკ 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სპეციალურ შემთხვევას წარმოადგენს (განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა), რომელთა სანქციებს თუ შევადარებთ, ასეთი სპეციალური შემადგენლობის მიზანშეწონილობა ეჭვქვეშ დადგება.

სსკ 169-ე მუხლი ამომწურავად არ ჩამოთვლის აკრძალულ ქმედებებს და მიუთითებს შრომის კანონმდებლობის სხვა არსებით დარღვევაზე, რაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს. შრომის კანონმდებლობის სხვა არსებითი დარღვევა შეიძლება გამოიხატოს ისეთ უკანონო მოქმედებებში, როგორცაა დასაქმებულთა დისკრიმინაცია, დაუსაბუთებელი უარი სამსახურის დაწყებაზე ქალისათვის ორსულობის ან მცირეწლოვანი ბავშვის ყოლის მოტივით (ან ქალთა სხვაგვარი დისკრიმინაცია დასაქმების სფეროში), ხელფასის გადაუხდელობა რამდენიმე თვის განმავლობაში, დასაქმება (შრომითი საქმიანობა) სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნების შეუსაბამო ანდა ადამიანური ღირსებისათვის შეუსაბამო პირობებში, შრომითი ხელშეკრულებით არაგონივრული და დასაქმებულის ინტერესისათვის არაპროპორციული შეზღუდვების დაწესება, შრომის ისეთი პირობების დადგენა, რომელიც ლახავს ან ზღუდავს დასაქმებულის ინტერესებს და სხვ.

არის თუ არა ესა თუ ის დარღვევა არსებითი, ეს სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე. აქ მას დისკრეციის დიდი ფარგლები აქვს მინიჭებული. დანაშაულს ფორმალური შემადგენლობა აქვს და ჩადენილად ჩაითვლება თავისთავად მოქმედების განხორციელების შემდეგ (მაგალითად, სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნა), ან უმოქმედობის მომენტიდან (მაგალითად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა), რაიმე საზიანო შედეგის დადგომა საჭირო არ არის.

მართალია, კანონი არ უთითებს, მაგრამ მისი შინაარსიდან გამომდინარე, დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია – დამსაქმებელი, ფიზიკური პირი, რომელსაც სამუშაოზე მიღება-გათავისუფლების უფლებამოსილება გააჩნია, აგრეთვე ის, ვისაც შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების, შრომის სათანადო პირობების უზრუნველყოფის მოვალეობა აკისრია. ის შეიძლება იყოს ინდ-მეწარმე, სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი ან სხვა საჯარო მოხელე, რომელიც შესაბამისი უფლებამოსილებით არის აღჭურვილი (მაგალითად, კადრების სამსახურის ან სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი, ხელმძღვანელი).

რაც შეეხება ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას, იგი განზრახვას გულისხმობს, ამასთანავე, სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნა ან სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი. რაც შეეხება შრომის კანონმდებლობის სხვა არსებით დარღვევას, ვერ გამოვრიცხავთ ევენტუალური განზრახვით ჩადენის შესაძლებლობას. ალბათ, ამ საკითხს სპეციალური შესწავლა სჭირდება.

მოტივი არ წარმოადგენს ამ დანაშაულის სავალდებულო ნიშანს. დამნაშავეს შეიძლება ამოძრავებდეს რაიმე პირადი მოტივი, ანდა არასწორად გაგებული სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან უწყებრივი ინტერესი. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებელი საგანგებო მინიშნებას ახდენს ანალოგიური ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშანზე (უკრაინა, რუსეთი და სხვ.)

სასამართლო პრაქტიკა ამ მუხლთან დაკავშირებით ვერ ვნახეთ, მაგრამ საქართველოს სახალხო დამცველის 2006 წლის ანგარიშში წავაწყდით ამ დანაშაულის შესაბამის ქმედებას. სახელდობრ, უფლებათა დამცველი წერს: ტელეკომპანია „თრიალეთის“ ხელმძღვანელი არსებითად არღვევდა შრომის კანონმდებლობას. ტელეკომპანიის თანამშრომლებს არ ჰქონდათ გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, არ იცოდნენ საკუთარი ხელ-

ფასის ოდენობა, არ ჰქონდათ გახსნილი შრომის წიგნაკები და ღათხოვნის შემდეგ უარს ეუბნებოდნენ შრომის წიგნაკის გაცემაზე და შესაბამისი შრომითი საქმიანობის სტაჟის დაფიქსირებაზე, დასაქმებულ პირებს არ ეძლეოდათ შვებულება, ხელმძღვანელის შეხედულებით დისციპლინის დამრღვევ მუშაკს ექვეითებოდა ერთი თვის ხელფასი. მსგავსი დისციპლინური ზემოქმედების ზომას არც ძველი და არც ახალი შრომის კოდექსი არ იცნობს.

ეს მაგალითი ნათლად მოწმობს, რომ საქართველოში სერიოზულ შესწავლას მოითხოვს შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობა როგორც კერძო, ისე საჯარო ორგანიზაციებში.

## მუხლი 170. შრომის დაცვის წესის დარღვევა

1. უსაფრთხოების ტექნიკის ან შრომის დაცვის სხვა წესის დარღვევა ამ წესის დაცვისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება,

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოაპობა,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

(საქართველოს 2000 წლის 30 ივნისის კანონი №458-სსმ I, 2000 წ., № 27, მუხ. 83; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2937-სსმ I, 2006 წ., № 14, მუხ. 90)

შრომის კონსტიტუციური უფლების ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია ჯანსაღ და უსაფრთხო პირობებში შრომითი საქმიანობის უფლება. იგი შრომითი საქმიანობის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი ფორმალური საფუძველია, რომელზეც საუბარია საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეოთხე პუნქტში.

დამსაქმებელი ვალდებულია შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობები შეუქმნას დასაქმებულს. შრომის უფლების არსი, ცხადია, პროფესიის არჩევისა და საქმიანობის განხორციელების თავისუფლებაშია, მაგრამ არჩეულ პროფესიაში პიროვნების თვითრეალიზაციისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია შრომის პირობების უფლება.

ამგვარად, შრომის კონსტიტუციური უფლების სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, ძალზედ მნიშვნელოვანია შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების უზრუნველყოფა. ეს კონსტიტუციური მოთხოვნა შემდგომ ევოლუციას (განვითარებას და კონკრეტიზაციას) კპოვებს შრომის კოდექსში, რომლის 35-ე მუხლი მიუთითებს, რომ დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი. იგი ვალდებულია დანერგოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფი პრევენციული სისტემა და ა.შ.<sup>1</sup>

შრომის უფლების ამ ასპექტის რეალიზაციისთვის ერთ-ერთი დამცავი მექანიზმი გათვალისწინებულია სსკ 170-ე მუხლით, რომელიც ჩამოყალიბებულია ე. წ. ბლანკეტური ნორმის სახით – უსაფრთხოების ტექნიკის ან შრომის დაცვის სხვა წესის დარღვევა ამ წესის დაცვისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება.

ამ დანაშაულის სისტემური ადგილიდან გამომდინარე ნათელია, რომ სისხლისსამართლებრივი დაცვის ძირითად ობიექტს

---

<sup>1</sup> მძიმე, მკვლელობა და სპონტანური სამუშაოთა ნუსხა, შრომის უსაფრთხოების წესები, დასაქმებულთა დაცვის წესები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №147/ნ ბრძანებით დამტკიცდა „მძიმე, მკვლელობა, სპონტანური სამუშაოთა ნუსხა“.

წარმოადგენს ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოში შრომის უფლებას, ამავე დროს სისხლისსამართლებრივი დაცვის დამატებითი ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

სისხლის სამართლის კოდექსი შრომის უსაფრთხო პირობების დაცვის აღსანიშნავად რამდენიმე ტერმინით სარგებლობს: უსაფრთხოების ტექნიკის წესი (მუხლი 170), უსაფრთხოების წესი სამუშაოს წარმოებისას (მუხლი 240), საწარმოო-ტექნიკური უსაფრთხოების წესი აფეთქებასაშიშ საწარმოში (მუხლი 242). რა განსხვავებაა შრომის დაცვის წესსა და შრომის უსაფრთხოების წესს შორის, ეს სპეციალური კანონმდებლობის გასარკვევია, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსი ორივე ტერმინით სარგებლობს მაშინ, როცა სპეციალურ ნორმებში მათ შორის მიჯნა გაურკვეველია<sup>1</sup>.

საქართველოში შრომის უსაფრთხოების ერთიანი სახელმწიფო სტანდარტები არ არსებობს. არსებობს შრომის პირობების დაცვის ზოგადი მოთხოვნა შრომის კოდექსის მე-8 თავის სახით, რომელიც სავალდებულოა ნებისმიერი სახის საქმიანობის განხორციელების დროს, მაგრამ ამავე დროს არსებობს დარგობრივი, საუწყებო შრომის დაცვის სპეციფიკური წესები, რომლებიც ამა თუ იმ პროფესიული საქმიანობის თავისებურებებიდან გამომდინარეობს. მაშასადამე, გარდა შრომის პირობების დაცვის ზოგადი მოთხოვნებისა, რომლებიც შრომის კოდექსის 35-ე მუხლით არის დადგენილი, სამუშაოთა ცალკეული სახეების საწარმოებლად შემუშავებულია სპეციალური წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ უსაფრთხოებას; მაგალითად, სამთო სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების წესები განსაზღვრულია სხვადასხვა კანონქვემ-

---

<sup>1</sup> კიპოთეტურად შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ, ერთი მხრივ, შრომის დაცვის ზოგადი წესის დარღვევასა და, მეორე მხრივ, სამთო, სამშენებლო ანდა აფეთქებასაშიშ საწარმოში უსაფრთხოების სპეციალური წესის დარღვევას შორის განსხვავება მათი საშიშროების ხარისხშია, კერძოდ, აღნიშნულ სამუშაოთა წარმოების სპეციალური წესის დარღვევამ შეიძლება ზიანი მიაყენოს არა მარტო აქ დასაქმებულ პერსონალს, არამედ ყველა გარშემომყოფსაც. მაშინ როცა შრომის დაცვის ზოგადი წესის მოთხოვნა მიზნად ისახავს დასაქმებული პერსონალის შრომის პირობების დაცვას.



დებარე ნორმატიული აქტებით, დამოუკიდებელი ნორმატიული აქტით არის მოწესრიგებული სამშენებლო საქმეშათა წარმოების წესი და ა. შ.<sup>1</sup>

სისხლის სამართლის დოგმატიკა და განვლილი წლების სასამართლო პრაქტიკა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად თელის შრომის დაცვის წესების დარღვევის ორ სახეს: ა) უსაფრთხოების ტექნიკის და ბ) შრომის ჰიგიენისა და სანიტარული წესის დარღვევას. ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვა დასაქმებულს იცავს საწარმოო ტრამპებისაგან, ხოლო შრომის ჰიგიენა და სანიტარული წესები – პროფესიული და სხვა დაავადებებისაგან.

ამა თუ იმ პირის ქმედებაში სსკ 170-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური ნიშნების დასადგენად ზუსტად უნდა გაირკვეს შრომის დაცვის რომელი წესი დაირღვა. დანაშაულს მატერიალური შემადგენლობა აქვს და ჩადენილად ჩაითვლება კანონში მითითებული ერთ-ერთი შედეგის დადგომისთანავე. პასუხისმგებლობის გრადაცია სწორედ შედეგის სიმძიმის მიხედვით ხდება, პირველი ნაწილი მოიცავს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე და მძიმე დაზიანებას, მეორე ნაწილი – ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობას, ხოლო მესამე – ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობას.

სსკ 170-ე მუხლის ტექსტიდან გამომდინარე, დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია – შრომის წესის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი ანუ ის, ვისაც სპეციალურად დავალებული ჰქონდა უსაფრთხოების ტექნიკის ან შრომის სხვა წესის დაცვაზე ზედამხედველობა სხვა დასაქმებულთა მხრიდან.

რაც შეეხება ამ დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობას, იგი გაუფრთხილებლობას გულისხმობს. მართალია, კანონმდებელი პასუხისმგებლობის დიფერენციას არ ახდენს გაუფრთხილებლობის სახეების მიხედვით, მაგრამ ამ დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე ბრალის ხარისხი თვითიმედოვნების დროს უფრო მე-

---

1 ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, ნ. გვენეტაძე, „დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ“, თბ. 2005, გვ. 90-100.

ტია, რადგან შეგნებულად ხდება შრომის უსაფრთხოების წესის დარღვევა, რაც უფრო მკაცრად გაკიცხვას იმსახურებს, ვიდრე დაუდევრობისას – როცა გაუცნობიერებლად ხდება შრომის დაცვის წესის დარღვევა. შრომის დაცვის წესის განზრახ დარღვევა შეიძლება შეფასდეს როგორც ადამიანის საწინააღმდეგო დანაშაული, შეიძლება საბოტაჟიც იყოს, თუ სპეციალური მიზანი დადგინდება.

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით უსაფრთხო შრომის უფლება დაცულია არა მარტო 170-ე მუხლით, არამედ 240-ე მუხლითაც – სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა. მართალია, კანონმდებელი ამ უკანასკნელი ქმედების კრიმინალიზაციით საზოგადოებრივი უშიშროების დაცვას ისახავს მიზნად, მაგრამ ამ მუხლით (ე. ი. 240-ე მუხლით) პასუხისმგებლობისთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება მსხვერპლი – კონკრეტულ წარმოებაში დასაქმებული პირი თუ გარეშე ვინმე. აქედან გამომდინარე, პრობლემაა ამ ორი დანაშაულის გამოიჯენა. სსკ 240-ე მუხლში სამუშაოთა ჩამონათვალი ამომწურავი არ არის (ღიაა), ის არა მარტო სამთო და სამშენებლო, არამედ სხვა სამუშაოებსაც მოიცავს. რომელი სამუშაოები უნდა ვიგულისხმოთ „სხვა სამუშაოებში“, გაურკვეველია.

დავუშვათ, ამა თუ იმ სახის სამუშაოს (გარდა სამთო ან სამშენებლო სამუშაოსი) შესრულების უსაფრთხოების წესი დაარღვია მის დაცვაზე პასუხისმგებელმა პირმა და დასაქმებულმა მუშაკმა მძიმე დაზიანება მიიღო, რომელი მუხლი უნდა გამოვიყენოთ, 170-ე თუ 240-ე? ორივე დანაშაულის ნიშნები სახეზეა.

სსკ 240-ე მუხლის დღევანდელი რედაქციიდან გამომდინარე, ნებისმიერი სახის სამუშაოს შესრულებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა შესაბამისი შედეგით თავსდება ორივე დანაშაულის შემადგენლობაში და მათი გამოიჯენა შესრულებული სამუშაოს ხასიათის მიხედვით შეუძლებელია. რომელია მათ შორის ზოგადი და რომელი სპეციალური ნორმა, ძნელი დასადგენია, რომ პრობლემა კანონთა კონკურენციის წესით გადავწყვიტოთ. რაღაც ნაწილში ისინი ერთმანეთის დუბლირებას ახდენენ. შესაძლებელია, ასეთი

გამოსავალი მოვებნით: დასაქმებულ მუშაკთა უსაფრთხო და ჯან-სალი სამუშაო გარემოს უფლების ხელყოფა შრომის კოდექსის 35-ე მუხლით დადგენილი შრომის დაცვის ზოგადი პირობების დარღვევით შევაფასოთ 170-ე მუხლით გათვალისწინებულ და-ნაშაულად, ხოლო ნებისმიერი სპეციალური წესის (სამთო, სამ-შენებლო და სხვ.) დარღვევა, განურჩევლად იმისა, დასაქმებულთა თუ გარეშეთა დაზიანება მოჰყვა – საზოგადოებრივი უშიშროების საწინააღმდეგო დანაშაულად. თუმცა, არც შრომის უსაფრთხოების ზოგადი და სპეციალური წესების ცნებათა ერთიანი გაგება არსე-ბობს, თანაც ასეთი გამოსავლისათვის საჭიროა 240-ე მუხლიდან სიტყვების – „სხვა სამუშაოები“, ამოღება.

არსებობს კი დღეს ორივე ამ ნორმის (170-ე და 240 მუხ-ლები) ერთდროულად არსებობის საჭიროება? იქნებ გონივრული იყოს მათი ერთ შემადგენლობად ინტეგრაცია?!

არის ქვეყნები, სადაც შრომის უსაფრთხო პირობების დაც-ვა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად დად-გენილი ზოგადი ნორმების მეშვეობით ხდება (ავსტრია, ბელ-გია, დანია, შვედეთი და სხვ.), მეორე ნაწილი ქვეყნებისა ასეთ ზოგად ნორმებში სპეციალურად გამოყოფენ გაუფრთხილებლობას (წინდაუხედაობას) პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს და დიფერენცირებულ სასჯელს ადგენენ ასეთი ქმედებისათ-ვის (იტალია, იაპონია, პოლანდია და სხვ.)

ამგვარად, უსაფრთხო შრომის უფლების დაცვა სხვა გზითაც შეიძლება და საჭირო არ არის ამდენი კაზუსტიკურად დანაწ-ვერებული დანაშაულის შემადგენლობები სისხლის სამართლის კოდექსში.

ამ უფლების დასაცავად ახალი ნორმის შესაქმნელად შეიძლე-ბა ნიმუშად ავიღოთ უკრაინის სსკ 272-ე მუხლი – უსაფრთხოე-ბის წესების დარღვევა მომეტებული საშიშროების მქონე სამუშაო-თა შესრულებისას. როგორც ვხედავთ, ამ ნორმაში აბსტრაქციის საკმაოდ დიდი მასშტაბია და შემთხვევათა ფართო წრეს მოიცავს, ვიდრე ჩვენს კოდექსში არსებული კაზუსტიკური ნორმები.

საქართველოს სსკ 170-ე და 240-ე მუხლებს შორის მიჯნის გაკლება რომ პრობლემურია სასამართლოს შემდეგი პრეცედენტი-

თაც დასტურდება: 1996 წელს ქალიევმა შექმნა ინდივიდუალური საწარმო „კამალ ალიევი“ და გარდაბნის რაიონის სოფელ ფონიჭალაში დაიწყო მუშაობა პარიკმახერად. ამავე წელს ქალიევის თხოვნით საპარიკმახერო ჯიხურის გარე და შიდა ელექტროგაყვანილობა გააკეთა გარდაბნის რაიონის „ელექტროსერვისის“ ელექტრომონტიორმა ა.ამამდოვმა. მან საპარიკმახერო ჯიხურის ელექტროგაყვანილობა დაამონტაჟა იზოლაციის გამოყენების გარეშე, რადგან შესაბამისი მასალებით არ უზრუნველყო ინდემწარმე ქალიევმა, თუმცა ეს უკანასკნელი გააფრთხილა, რომ ჯიხურის ელექტროგაყვანილობა გამართული არ იყო და კიდევ საჭიროებდა უსაფრთხოების დამატებითი ზომების მიღებას, რათა ელექტროდენის ზემოქმედებით ვინმე არ დაშავებულიყო. ელექტროენერჯის შეფერხებით მიწოდების გამო, 2000 წლის გაზაფხულზე ქალიევის თხოვნით საპარიკმახერო ჯიხურში ელექტროდენის მეორე ხაზი შეიყვანა ელექტრომონტიორმა ს.ყურბანოვმა. ეს სამუშაოც შესრულდა უსაფრთხოების წესების დარღვევით, კერძოდ, ს.ყურბანოვმა საპარიკმახეროში იზოლაციის გარეშე შეიყვანა ელექტროდენი. მან სამუშაოს წარმოებისას არ დაამონტაჟა ელექტროავტომატური გამომრთველი, დამცველი საშუალებები მრიცხველი, არ მოახდინა მეტალის ჯიხურის დამიწება, რითაც დაარღვია ელექტროდანადგართა და ელექტროენერჯის მოხმარების წესები. ელექტროგაყვანილობის გაუმართაობის გამო 2000 წლის 8 ივლისს საპარიკმახეროში მისულმა ნ.ვალიევმა ჯიხურის კარზე ხელის შეხებისას მიიღო ელექტროტრაჟმა და გარდაიცვალა. მომხდარ ფაქტს გარდაბნის რაიონის სასამართლომ ასეთი კვალიფიკაცია მისცა: ელექტრომონტიორების ა.ამამდოვის და ს.ყურბანოვის ქმედება დააკვალიფიცირა სსკ 170-ე მუხლის მეორე ნაწილით, ხოლო ინდემწარმე ქალიევის ქმედება – სსკ 240-ე მუხლის მეორე ნაწილით და 116-ე მუხლის პირველი ნაწილით. თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატამ 2002 წლის 26 თებერვლის განაჩენით გარდაბნის რაიონული სასამართლოს განაჩენში შეიტანა ცვლილებები, სახელდობრ, ქალიევს (ინდემწარმე-პარიკმახერი) 240-ე მუხლით წარდგენილი ბრალდება მოუხსნა და გაამართ-

ლა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, ხოლო ელექტრომონტიორების ქმედება კვლავ სსკ 170-ე მუხლის მეორე ნაწილით დააკვალიფიცირა. ეს განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2002 წლის 28 მაისის განჩინებით უცვლელად დატოვა. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002 №7, გვ.819).

ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ საპარიკმახერო ჯიხურში დარღვეული იყო ტექნიკური უსაფრთხოების წესები. წინდახედულების დაწერილი ნორმები დაარღვიეს როგორც ელექტრომონტიორებმა, ისე პარიკმახერმა (ინდემწარმემ). სახელდობრ, ელექტრომონტიორებმა დაარღვიეს ელექტროდანადგართა, ასევე ელექტროენერგიის მოხმარების წესების მოთხოვნები. რაც შეეხება პარიკმახერს, მან იცოდა, რომ საპარიკმახერო ჯიხურში ელექტროენერგია შეყვანილი იყო უსაფრთხოების წესების დარღვევით და არ მიიღო ზომები ტექნიკურად გაემართა ელექტროსაზები, ელექტროგაყვანილობა ჯიხურში და მის გარეთ, რასაც მოჰყვა ადამიანის სიკვდილი. როგორც საწარმოს ხელმძღვანელს მას ევალეობდა ჯიხურის ტექნიკურად უსაფრთხოდ აღჭურვა ისე, რომ საფრთხე არ შექმნოდა როგორც მომსახურე პერსონალს, ასევე კლიენტთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. როგორც ამ საქმის შინაარსიდან ირკვევა, ელექტრომონტიორთა მიერ სპეციალურ სამუშაოთა წარმოებისას უსაფრთხოების წესი დაირღვა. ელექტროსამუშაოთა წარმოების წესის დარღვევა გარკვეული პერიოდი საფრთხეს უქმნიდა არა მხოლოდ საპარიკმახეროში დასაქმებულ თუ მომსახურებისათვის შესულ პერსონალს (კლიენტებს), არამედ ნებისმიერ გარშემომყოფსაც, რადგან მსხვერპლი გარედან ჯიხურის კართან შეხებით გარდაიცვალა. სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა გათვალისწინებულია სსკ 240-ე მუხლით, მაშინ როცა უსაფრთხოების ტექნიკის ან შრომის დაცვის სხვა ზოგადი წესის დაცვის მოთხოვნა (სსკ 170-ე მუხლი) მიზნად ისახავს დასაქმებული პერსონალისათვის შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფას. რამდენადაც ზემოაღწერილ შემთხვევაში მსხვერპლი გარეშე პირია, ჩემი შეხედ-

ულეებით, ელექტრომონტიორების მოქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო სსკ 240-ე მუხლით, ხოლო ინდმეწარმის (პარიკმახერი) ქმედება წინდახედულების დაწერილი ნორმების დარღვევისათვის, რასაც ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა ანუ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის (სსკ 116-მუხლი), რაც სწორად გააკეთა თბილისის საოლქო სასამართლომ. ამასთანავე, რამდენადაც საწარმოს ხელმძღვანელის ქმედება 116-ე მუხლით შეფასდა, მაშინ საფუძველი აღარ იყო ელექტრომონტიორთა ქმედების 170-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის. 170-ე მუხლის ადრესატი პირველ რიგში საწარმოს ხელმძღვანელია. უხეში შეცდომა დაუშვა პირველი ინსტანციის სასამართლომ, როცა საწარმოს ხელმძღვანელის ქმედება 240-ე მუხლით, ხოლო ელექტრომონტიორთა მოქმედება კი 170-ე მუხლით დააკვალიფიცირა. 240-ე მუხლში საუბარია სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევაზე, სამუშაო კი აწარმოეს ელექტრომონტიორებმა და არა ინდივიდუალურმა მეწარმემ. მოტანილი სასამართლო პრეცედენტი ნათელი დასტურია იმისა, რომ სსკ 170-ე და 240-ე მუხლები კოლიზიურია და საჭიროებს სრულყოფას.

## თავი XXIV

### დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ

მუხლი 171. არასრულწლოვნის ჩაბმა ანტიისაზოგადოებრივ ქმედებაში

1. არასრულწლოვნის დაყოლიება მათხოვრობაზე ან სხვა ანტი-საზოგადოებრივ ქმედებაზე, –

ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასსა-მოცდაათიდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი საბუშართი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. არასრულწლოვნის ჩაბმა გამაბრუებელ ან სამკურნალწამლო საშუალებათა არასამედიცინო მიზნებისათვის, –

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

3. არასრულწლოვნის ჩაბმა პროსტიტუციაში ძალადობის, ძალადობის მუქარის ან მოტყუების გარეშე, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

(საქართველოს 2003 წლის 20 ივნისის კანონი №2458-სსმ I, 2003 წ., № 21, მუხ. 149; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2937-სსმ I, 2006 წ., №14, მუხ. 90)

ამ ნორმის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ დაიცვას არასრულწლოვანთა ნორმალური ზნეობრივი და ფიზიკური განვითარება უფროსების მხრივ მავნე ზემოქმედებისაგან.

არასრულწლოვნის ანტიისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმის სპეციალური ნორმა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 1935 წლიდან არსებობს. დროთა განმავლობაში ამ

ნორმამ გარკვეული სახეცვლილება განიცადა. იცვლებოდა იმ ანტისაზოგადოებრივ ქმედებათა ჩამონათვალი, რომელთა ჩადენაზე არასრულწლოვნის დაყოლიება ისჯება სისხლის სამართლის წესით. 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლი ითვალისწინებდა „არასრულწლოვანის ჩაბმას დანაშაულებრივ საქმიანობაში, ჩათრევას ლოთობაში, დაყოლიებას მათხოვრობაზე, პროსტიტუციაზე, აზარტულ თამაშზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედების ჩადენაზე“. იმავე კოდექსის 236<sup>2</sup>-ე მუხლით ისჯებოდა „არასრულწლოვანის ჩაბმა იმ სამკურნალწამლო და სხვა საშუალებათა არასამედიცინო მოხმარებაში, რომლებიც ნარკოტიკულს არ მიეკუთვნებიან და გაბრუებას იწვევენ.“

სსკ-ის 171-ე მუხლი რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობას შეიცავს. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

არასრულწლოვნის დაყოლიება მათხოვრობაზე. ეს დანაშაული ხელყოფს არასრულწლოვანის პიროვნებას, მის ნორმალურ ზნეობრივ განვითარებას. იგი თრგუნავს მოზარდში ადამიანური ღირსების გრძნობას, თავმოყვარეობას.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, დაყოლიება მაშინ გვაქვს, როცა: 1) პირი აიძულებს სხვას დაჰყვეს მას; ან 2) დაითანხმებს რაიმე ქმედების ჩადენაში.<sup>1</sup> სსკ-ის 171-ე მუხლში ეს სიტყვა წმინდა ეტიმოლოგიურ მნიშვნელობაზე უფრო ფართო გაგებით იხმარება. ცნობილია, რომ ზოგიერთ ცნებათა ეტიმოლოგიური მნიშვნელობა ყოველთვის არ ემთხვევა მის სამართლებრივ შინაარსს. დაყოლიება არ გულისხმობს მათხოვრობაში ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში არასრულწლოვანის მარტოოდენ იძულებით ჩაბმას, როგორც ეს ამ სიტყვის პირველი მნიშვნელობიდან გამომდინარეობს. დაყოლიების საშუალება, გარდა იძულებისა, შეიძლება იყოს უბრალოდ წინადადების მიცემა, თხოვნა, რჩევა და ა.შ. მეორეს მხრივ, განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობის არსებობისათვის არ არის საკმარისი, რომ პირმა დაითანხმოს არასრულწლოვანი მათხოვრობაზე ან სხვა ანტი-

---

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკვ. პირველი (ა-ლ), შთ. რედ. არნ. ჩიქობავა. თბილისი., 1990, გვ. 382.



საზოგადოებრივ ქმედებაზე. (სიტყვა „დაყოლიების“ მეორე მნიშვნელობა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით). საჭიროა, ეს უკანასკნელი რეალურად შეუდგეს ამ საქმიანობას, ე.ი. დაიწყოს მათხოვრობა, ლოთობა, აზარტული თამაში ან სხვა ანტისაზოგადოებრივი საქმიანობა.

არასრულწლოვნის მათხოვრობაზე დაყოლიების ქვეშ იგულისხმება მისი დაყოლიება უცხო პირთაგან ფულის ან სხვა ფასეულობათა სისტემატურ გამოთხოვაზე. ამ განმარტებაში ხაზგასმულია მათხოვრობისათვის დამახასიათებელი სამი ძირითადი ნიშანი: 1) მატერიალური დაინტერესება – ფულის ან სხვა ფასეულობათა გამოთხოვნა, 2) მოქმედების სისტემატურობა, 3) მოწყალეების თხოვნა უცხო პირთაგან.

სხვა მატერიალურ ფასეულობაში იგულისხმება ტანსაცმელი, კვების პროდუქტი, აგრეთვე საოჯახო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები. განსახილველი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია სისტემატურობა. მათხოვრობაში ჩაბმის ერთეული შემთხვევების დადგენისას ეს დანაშაული არ გვექნება.<sup>1</sup> ასეთი შემთხვევები, თუ უფროსის მოქმედების საბოლოო მიზანი მოზარდის სისტემატურ მათხოვრობაში ჩაბმა იყო, დაკვალიფიცირდება როგორც ამ დანაშაულის ჩადენის მცდელობა.

ვინაიდან სისტემატურობა 171-ე მუხლით გათვალისწინებულ სხვა შემადგენლობათა აუცილებელი ნიშანიცაა, მასზე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

სისტემატურობის ცნების შესახებ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ერთი რამ დადგენილად უნდა ჩაითვალოს: სისტემატურობა გულისხმობს ერთგვაროვან ქმედებათა რამდენჯერმე ჩადენას. მაგრამ იგი არ არის ასეთ ქმედებათა უბრალო ჯამი. სისტემატურობა გვაქვს მაშინ, როცა დამნაშაულის მიერ ჩადენილი მოქმედებები ერთიანი მიზნითაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ამ მოქმედებებიდან ჩანს, რომ პირის ფსიქიკაში გარკვეული დანაშაუ-

---

1 ის გარეშობა, რომ სისტემატურობა განსახილველი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია, კარგად ჩანს რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი 151-ე მუხლის დისპოზიციიდან – „Вовлечение несовершеннолетних в занятие проституцией“.

ლებრივი ჩვევები საკმაოდ მყარად არის ფესვგადგმული. მოტივები, რომლებმაც განაპირობეს მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენა, საკმაოდ მტკიცეა. ეს სისტემატურობის ცნების აუცილებელი თვისობრივი ნიშანია. სწორედ ამ ნიშნით უნდა ვიხელმძღვანელოთ სისტემატურობისათვის დამახასიათებელი სხვა ნიშნების გარკვევისას.

სისტემატურობის ცნების მეორე აუცილებელი ნიშანია რაოდენობრივი ნიშანი. გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, სისტემატურობა გულისხმობს ერთგვაროვან მოქმედებათა ჩადენას სამჯერ ან მეტად.<sup>1</sup> მართლაც, ერთი და იგივე ქმედების ორჯერ ჩადენა ჯერ კიდევ არ მიუთითებს მყარი დანაშაულებრივი ჩვევების არსებობაზე, რაც სისტემატურობისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ნიშანია. მეორეს მხრივ, ასეთი ჩვევების არსებობის დასადგენად საკლებით საკმარისია პირის მიერ ერთგვაროვან ქმედებათა ჩადენის სამი შემთხვევის დადგენა.

თუ ერთგვაროვან მოქმედებათა შორის შუალედები ძალიან დიდია, ისინი არ ჩაითვლება სისტემატურად ჩადენილად. არც ასეთ შემთხვევებში შეიძლება ლაპარაკი მყარი დანაშაულებრივი ჩვევების არსებობაზე. არ შეიძლება ერთნაირად შეფასდეს იმ პირის ქმედება, რომელიც რამდენიმე თვის ან ერთი წლის მანძილზე სამჯერ ან მეტად ჩააბამს არასრულწლოვანს მათხოვრობაში და იმ პირისა, რომელიც ამდენჯერვე ჩააბამს მას ამ ქმედებაში დროის უფრო დიდი მონაკვეთის, ვთქვათ, ორი წლის განმავლობაში. უკანასკნელ შემთხვევაში მათხოვრობის ცალკეულ ეპიზოდებს შორის შუალედები იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია ვილაპარაკოთ ამ ეპიზოდთა შორის რაიმე კავშირზე. როგორც აღნიშნული იყო, სისტემატურობა არ არის განცალკევებული აქტების უბრალო ჯამი, არამედ გულისხმობს მათ შინაგან, ლოგიკურ კავშირს. სისტემატურობა მაშინ გვაქვს, როცა დამნაშავის მიერ ჩადენილი მოქმედებები ერთიანი მიზნითაა ერთმანეთ-

---

1 Маалков В. Понятие систематичности в уголовном законодательстве, „Советская юстиция“, 1970, №1, с.21-22. Куснидённов К.К. Уголовно-правовая борьба с вовлечением несовершеннолетних в пьянство. Автореферат канд. дис., М., 1978, с.12. Уголовное право России, Особенная часть, М., 1996, с.101.

თან დაკავშირებული. მიგვაჩნია, რომ დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც მათხოვრობაში სამჯერ ან მეტად ჩაბმა შეიძლება სისტემატურად ჩაითვალოს, ერთ წელს არ უნდა აღემატებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედება აღარ არის იმდენად საშიში, რომ პირს სისხლის სამართლის წესით ვაგებინოთ პასუხი.

მათხოვრობის აუცილებელი ნიშანია ფულის ან სხვა ფასეულობათა თხოვნა უცხო პირებისათვის. აქედან გამომდინარე, განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება, თუ პირმა დაიყოლია არასრულწლოვანი მშობლების, ნათესავების, მეგობრების, ან სხვა ახლობლებისათვის ფულის ან სხვა ფასეულობათა თხოვნაზე.

როგორც სიტყვა „დაყოლიება“ მიგვანიშნებს, ამ დანაშაულის ჩადენა შეიძლება მოქმედებით, არასრულწლოვანზე აქტიური ზემოქმედებით (ფიზიკური ან ფსიქიკური). უფროსი მიზნად ისახავს დაუმორჩილოს არასრულწლოვანი თავის ნებას, დაითანხმოს იგი უცხო პირთაგან ფულის ან სხვა ფასეულობათა გამოთხოვაზე.

აქედან გამომდინარე, ვერ დავეთანხმებით იმ ავტორებს, რომლებიც თვლიან, რომ განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა გვაქვს მაშინაც, როცა მშობელი ან მეურვე განზრახ ისეთ მძიმე მატერიალურ პირობებში აყენებს არასრულწლოვანს, რომ იგი იძულებულია ხელი მიჰყოს მათხოვრობას.<sup>1</sup>

ასეთი მაგალითი, თავიც რომ დავანებოთ მის ხელოვნურ ხასიათს, მოკლებულია დამაჯერებლობას. შეუძლებელია კაცი სერიოზულად ითვალისწინებდეს მიზეზობრივი კავშირის სწორედ ამ მიმართულებით განვითარების შესაძლებლობას. სახელდობრ, შეუძლებელია სერიოზულად იმედოვნებდეს, რომ არასრულწ-

---

1 Арсеньева М.И., Фокин В. М., Яковлева Н.Г. Характеристика особенностей вовлечения несовершеннолетних в иные (кроме преступления) формы антиобщественного поведения. „Проблемы борьбы с вовлечением несовершеннолетних в антиобщественное поведение“. (Сборник научных трудов Всесоюзного института по изучению причин и разработке мер предупреждения преступности), М., 1981, с.24; Матюшенко М., Шость Н. Ответственность за вовлечение несовершеннолетних в преступную и иную антиобщественную деятельность. „Советская юстиция“, 1982, №16, с. 7.

ლოვანისათვის მძიმე პირობების შექმნის შედეგად ის მათხოვრობის გზას დაადგება. როცა მას ასეთი შედეგის დადგომა სურს, მაშინ უფრო აქტიურ ზომებს მიმართავს ამისათვის. კერძოდ, არასრულწლოვანზე აქტიურ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ზემოქმედებას. ამგვარ შემთხვევებს ცხოვრებაში კიდევ რომ ჰქონდეს ადგილი და მართლაც დადგეს პირისათვის სასურველი შედეგი, მან არ შეიძლება პასუხი აგოს არასრულწლოვნის მათხოვრობაში ჩაბმისათვის, რადგან მისი „მოქმედება არ ქმნის შედეგის იმ გზით წარმოშობის რეალურ შესაძლებლობას, რა გზითაც იგი ფაქტიურად განხორციელდა“.<sup>1</sup>

თუ მშობელი განზრახ მძიმე მატერიალურ პირობებში აყენებს არასრულწლოვანს იმ მიზნით, რომ შემდგომში გაიადვილოს მისი დაყოლიება მათხოვრობაზე, გვექნება დანაშაულისათვის მზადება, ე.ი. პირობების განზრახ შექმნა შემდგომში დანაშაულის ჩასადენად. მაგრამ ვინაიდან არასრულწლოვანის მათხოვრობაზე დაყოლიება არ მიეკუთვნება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, მისი მომზადება სისხლის სამართლის წესით არ დაისჯება.

არასრულწლოვნის მათხოვრობაზე დაყოლიების საშუალება შეიძლება იყოს თხოვნა, რჩევა, წინადადების მიცემა, დავალება, დარწმუნება, მუქარა და ა. შ. დაყოლიების რა საშუალებას გამოიყენებს უფროსი, ეს დამოკიდებულია არასრულწლოვნის ხასიათის თავისებურებებზე (ზოგჯერ წინადადების მიცემაც კი საკმარისია, რომ დაიყოლიო მოზარდი მათხოვრობაზე, ზოგჯერ კი საჭიროა მასზე ხანგრძლივი ფსიქიკური ზემოქმედება), უფროსისა და არასრულწლოვანის ურთიერთობაზე, კონკრეტულ პირობებზე, რომელშიც ხდება დაყოლიება და ა.შ. როდესაც არასრულწლოვანი უფროსისადმი დამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფება, დაყოლიების საშუალება შეიძლება იყოს დავალება. ამ დროს უფროსი კატეგორიული ფორმით აძლევს მოზარდს წინადადებას. თხოვნა, როგორც მათხოვრობაზე დაყოლიების საშუალება მაშინ იქნება, როცა არასრულწლოვანსა და უფროსს შორის ნათესაური, მეგობ-

---

<sup>1</sup> თ. წერეთელი, გ. ტყეშელაძე. მოძღვრება დანაშაულზე, თბილისი, 1969, გვ. 274.

ბრული ან სხვაგვარი ახლო ურთიერთობაა. თუ მათხოვრობა დაყოლიებას თან ერთვის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება: ცენჯანმრთელობის დაზიანება და ა.შ., მოქმედება დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

ხშირად მათხოვარს გამვლელ-გამომვლელთათვის თავის შეოდეების მიზნით ქუჩაში გამოჰყავს ჩვილი ბავშვები. ასეთ შემთხვევებში მან არ უნდა აგოს პასუხი სსკ-ის 171-ე მუხლი ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს ნორმა იცავს არასრულწლოვნ პიროვნებას, მის ნორმალურ ზნეობრივ განვითარებას. მათხოვრობაში ჩაბმა თრგუნავს მოზარდში თავმოყვარეობის, ღირსებ განცდას. სწორედ ეს გარემოება უდევს საფუძვლად ხსენებულ ქმედების დანაშაულად აღიარებას. ჩვილ ბავშვს კი საერთოდ შეუძლია გაიგოს მის მიმართ განხორციელებული მოქმედება არსი. ამიტომ ზემოთ მოტანილ მაგალითში არავითარი ზიანი ადგება მის სწორ ზნეობრივ განვითარებას. გარდა ამისა, თუ სიტყვა „დაყოლიების“ ეტიმოლოგიური მნიშვნელობიდან გამომდნარე, შეუძლებელია ჩვილი ბავშვის დაყოლიება რაიმე მოქმედ ბაზე, მათ შორის მათხოვრობაზეც.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არ გვხვდება არასრულწლოვნის მათხოვრობაზე დაყოლიებისათვის მსჯავრდებ შემთხვევები. 2005-2007 წლებში ამ დანაშაულისათვის მსჯავრდების მხოლოდ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა. მათხოვარ ბავშვებს კი საკმაოდ ხშირად ვხვდებით ქუჩაში და საზოგადოებრივ თავშეყრის სხვა ადგილებში. საზოგადოებას ღიდი ხანია აწუხებს ე.წ. „ქუჩის ბავშვების“ პრობლემა. ამ პრობლემისადმი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მეტი ყურადღების შემთხვევა არასრულწლოვნის მათხოვრობაზე დაყოლიებისათვის მსჯავრდებ შემთხვევები უფრო მეტი იქნებოდა.

ი.გ-ძე დასთან – ე.გ-ძესთან ერთად თავის მცირეწლო შვილს უ.ა-ძეს ცემის მუქარით აიძულებდა ემათხოვრა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. 2007 წლის ზაფხულის პერიოდში, კერძოდ, ივნისის თვეში, უ.ა-ძე ყოველ ღილით გადიოდა სახლიდან და დგებოდა მეტროპოლიტენის სადგურების შესასვლელ კარებთან სამათხოვროდ. შეგროვილ თანხას კი გადასცემ

დედას და დეიდას. ი. და ე. გ-ძეებს მსჯავრი დაედოთ სსკ-ის 171-ე მუხლის პირველი ნაწილით და შეეფარდათ ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვალათ პირობით იმავე გამოსაცდელი ვადით.

როდესაც განსახილველი დანაშაულის ამსრულებლის როლში არასრულწლოვნის მშობელი გვევლინება, სასამართლომ უნდა გაარკვიოს, ზომ არ იყო გამოწვეული შვილის მათხოვრობაში ჩაბმა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით; კერძოდ, აუცილებელი საარსებო სახსრების მოპოვების სურვილით. ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გასაცემად მხოლოდ მშობლის უმუშევრობა ან მძიმე მატერიალური მდგომარეობა საკმარისი არ არის. საჭიროა იმის დადგენაც, რომ საარსებო სახსრების მოპოვების სხვა, კანონიერი გზა არ არსებობდა. (მაგალითად, მშობელს ავადმყოფობის ან ფიზიკური ნაკლის გამო არ შეუძლია საკუთარი თავისა და შვილის რჩენა). ზემოთ მოტანილი საქმის მასალები ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს არ იძლევა. ორივე მსჯავრდებული ჯანმრთელი და შრომისუნარიანი იყო და არსებობის საშუალებათა მოსაპოვებლად შეეძლოთ სხვა, კანონიერი გზა აერჩიათ. ამიტომ მათ სწორად დაედოთ მსჯავრი არასრულწლოვნის მათხოვრობაზე დაყოლიებისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ი. და ე. გ-ძეების ქმედებაში სსკ-ის 143<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (არასრულწლოვნით ვაჭრობა) ნიშნებიც იკვეთება. დედა და დეიდა მცირეწლოვანს აიძულებდნენ ემათხოვრა და ამ გზით ნაშოვნი თანხა მათთვის გადაეცა. ასე რომ, ისინი ეწეოდნენ მის შრომით ექსპლოატაციას შემოსავლის მიღების მიზნით. ასეთ ქმედებას კი მოიცავს ხსენებული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა – არასრულწლოვნის გადაბირება ექსპლოატაციის მიზნით.

არასრულწლოვნის დაყოლიება „სხვა ანტისაზოგადობრივ ქმედებაზე“. სსკ-ის 171-ე მუხლი შეიცავს იმ ანტისაზოგადობრივ ქმედებათა სანიმუშო და არა ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა ჩადენაშიც არასრულწლოვნის ჩაბმა იხჯება სისხლის სამართლის წესით. ამ მუხლში სახელდებით ჩამოთვლილ მოქმედებათა გარდა

(მათხოვრობა, გამაბრუებელ ან სამკურნალწამლო საშუალებათა არასამედიცინო მოხმარება, პროსტიტუცია), მოსამართლეს შეუძლია პირს პასუხისმგებლობა დააკისროს სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში არასრულწლოვანთა ჩაბმისთვისაც, თუ ჩათვლის, რომ ამ ქმედებაში ჩაბმა აზიანებს მოზარდის პიროვნებას, მის სწორ ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარებას. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს 171-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, რომლითაც ისჯება „არასრულწლოვნის დაყოლიება მათხოვრობაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე“.

„ანტისაზოგადოებრივი ქმედება“ შეფასებითი ნიშანია. არის თუ არა ქმედება ანტისაზოგადოებრივი, შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ მოსამართლის მიერ ამ ქმედების ზნეობრივი ნორმების თვალსაზრისით შეფასების მეშვეობით. „დანაშაულის შემადგენლობაში შეფასებითი ნიშნების გამოყენება – წერს გ. ტყეშელიაძე – დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა ისინი არ ეწინააღმდეგებიან დანაშაულის შემადგენლობის საგარანტიო ფუნქციას, როცა ისინი არ იქცევიან კაუჩუკურად“.<sup>1</sup>

ანტისაზოგადოებრივი ქმედება უამრავი შეიძლება იყოს და მის ჩადენაზე დაყოლიება რაღაც ზომით ყოველთვის ხელს უშლის მოზარდის სწორ ზნეობრივ აღზრდას. ყოველთვის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ შეიძლება დადგეს. ჩვენს შემთხვევაში მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს, წარმოადგენს თუ არა ესა თუ ის ანტისაზოგადოებრივი მოქმედება იმდენად საშიშს, რომ მის ჩადენაზე არასრულწლოვნის დაყოლიება ჩაითვალოს დანაშაულად. ამან კი შეიძლება პრაქტიკაში უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს. მოსამართლის თავისუფალი მიხედულების სფეროს ასეთი გაფართოება ხელს უშლის კანონის ერთგვაროვნად გამოყენებას და ეწინააღმდეგება დანაშაულის შემადგენლობის საგარანტიო ფუნქციას, რომლის მიხედვითაც არავინ არ შეიძლება დაისაჯოს ისეთი ქმედებისათვის, რომელიც პირდაპირ არ არის აღწერილი კანონში დანაშაულის შემადგენლობის სახით. მოსამართლეს

---

<sup>1</sup> Ткешелиадзе Г.Т. Судебная практика и уголовный закон, Тбилиси, 1975, с.81.

არა აქვს უფლება თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს ის საკითხი, წარმოადგენს თუ არა ესა თუ ის ქმედება დანაშაულს. ეს მხოლოდ კანონის კომპეტენციაა, რაც მოქალაქეთა პირადი თავისუფლების საიმედო გარანტიაა.

ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევაში „კანონში დანაშაულის შემადგენლობა ისე ზოგადადაა აღწერილი, რომ იგი კონკრეტულ შემთხვევათა მეტად ფართო წრეს მოიცავს კანონის შინაარსი იმდენად ფართოდება, რომ მასში გარკვევა თითქმის შეუძლებელი ხდება“.<sup>1</sup> „როგორ დაუვსაბუთოთ ამ პირობებში ადამიანს, რომ მას ჰქონდა შესაძლებლობა გასცნობოდა კანონს?“<sup>2</sup> რაც სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა. ასეთ შემთხვევაში კანონის გამაფრთხილებელი ზემოქმედება თითქმის სრულიად ქრება. „თუკი ადამიანმა არ იცის და არც შეიძლება იცოდეს, რომ ესა თუ ის მოქმედება აკრძალულია, იგი ამ მოქმედების ჩადენისაგან, რაღა თქმა უნდა, თავს არ შეიკავებს“.<sup>3</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლის დისპოზიციიდან ამოღებულ იქნას „სხვა ანტისაზოგადობრივ ქმედებაზე არასრულწლოვნის დაყოლიების“ შემადგენლობა. ასეთი შემადგენლობის არსებობის პირობებში სისხლის სამართლის კოდექსი აღარ არის მოქალაქეთა თავისუფლების საიმედო გარანტია, „თავისუფლების ქარტია“, როგორც მას ლისტი უწოდებდა. ამგვარ შემადგენლობათა არსებობა დასაშვები იყო სისხლის სამართალში ანალოგიის არსებობის პირობებში. „ანალოგიის აკრძალვა – წერს ნ. კუზნეცოვა – ავალდებულებს კანონმდებელს უაღრესად ზუსტად განსაზღვროს დასჯად ქმედობათა წრე. სხვა გზას ისევ ანალოგიის გამოყენებისაკენ მივყავართ“.<sup>4</sup>

სასამართლო პრაქტიკისათვის რეკომენდაციის მიცემის

---

1 ო. გამყრელიძე, ამართლებს ადამიანს კანონის უცოდინარობა? „ქმნა მართლისა“. (საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა საბჭოს წერილების კრებული), 1979, №1, გვ.99.

2 იქვე, გვ. 100-101.

3 იქვე, გვ. 101.

4 Кузнецова Н.Ф. Преступление и преступность, М., 1969, с.100.



მიზნით განვიხილოთ რამდენიმე ქმედება, რომლებში ჩაბმაც ხელყოფს არასრულწლოვნის პიროვნებას, მის ნორმალურ ზნეობრივ და ფიზიკურ განვითარებას. ამიტომ ასეთ შემთხვევებში პირმა პასუხი უნდა აგოს სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლით – არასრულწლოვნის ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე დაყოლიებისათვის. ასეთი შეიძლება იყოს არასრულწლოვნის ჩაბმა ლოთობაში, აზარტულ თამაშში, დაყოლიება სქესობრივ გარყვნილებაზე, წვრილმან ქურდობაზე და ა.შ.

არასრულწლოვნის ჩაბმას ლოთობაში და აზარტულ თამაშში ითვალისწინებდა საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლი. ამჟამად მოქმედი კოდექსის შესაბამისი 171-ე მუხლი, მართალია, სპეციალურად არ ითვალისწინებს ასეთ ქმედებებს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ დასჯადობას მოიცავს ხსენებული მუხლის დისპოზიციის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია არასრულწლოვნის ჩაბმაზე „სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში“.

ლოთობაში ჩაბმა ძლიერ აზიანებს არასრულწლოვანის ჯანმრთელობას, მის ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარებას. ალკოჰოლი დამღუპველად მოქმედებს მოზარდის ორგანიზმზე, აზიანებს ღვიძლს, თირკმლებს, გულს. მაგრამ ყველაზე მეტად თავის ტოქსიკურ ზემოქმედებას იგი წარმართავს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.<sup>1</sup> როგორც სამედიცინო ლიტერატურაშია აღნიშნული, მოზარდის მიერ სპირტიანი სასმელების მცირე დოზებით ერთჯერადი გამოყენებაც კი ნერვული სისტემის საგრძნობ დაზიანებას იწვევს.<sup>2</sup>

ალკოჰოლის ზემოქმედების შედეგად ფერხდება მოზარდის პიროვნების ჰარმონიული განვითარება, სუსტდება მისი გონებრივი შესაძლებლობანი, ქვეითდება ინტელექტი, შრომის უნარი, ვიწროვდება ინტერესთა წრე. გარდა ამისა, ლოთობა საკმაოდ ძლიერი კრიმინოგენური ფაქტორია. კავშირი ლოთობასა და დამნაშავეობას შორის საყოველთაოდ ცნობილია. ხშირად ლოთო-

1 მ. მესტიაშვილი, მოზარდთა ალკოჰოლიზმი და მასთან ბრძოლა, თბილისი, 1981, გვ.13.

2 Братусь Б. С., Сидоров П. И. Психология, клиника и профилактика раннего алкоголизма. М., 1984, с.50.

ბა არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის წინა სტადიაა. ზოგჯერ უფროსები დანაშაულში ჩაბმის გაადვილების მიზნით წინასწარ ათრობენ არასრულწლოვანს. ასე რომ, არასრულწლოვანთა ლოთობისა და ალკოპოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არასრულწლოვანთა დამნაშავეობათან ბრძოლის შემადგენელი ნაწილია. ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ნათელი უნდა იყოს უფროსის მიერ არასრულწლოვნის ლოთობაში ჩათრევის საშიშროება.

არასრულწლოვნის ლოთობაში ჩათრევის ქვეშ იგულისხმება სრულწლოვანი პირის აქტიური მოქმედება, რომელიც მიმართულია იქეთკენ, რომ ჩააბას არასრულწლოვანი სპირტიანი სასმელების სისტემატურ გამოყენებაში. სისტემატურობის ცნება აქაც ისევე უნდა გავიგოთ, როგორც ამ პარაგრაფის დასაწყისში გვაქვს განმარტებული.

სიტყვა „ლოთობა“ ჩვეულებრივად იხმარება პირის მიერ ალკოპოლური სასმელების ძალიან ხშირი და ჭარბი სმის გამო-სახატავად,<sup>1</sup> პირის ისეთი მდგომარეობის აღსანიშნავად, როცა მას აღარ შეუძლია უარი თქვას სპირტიანი სასმელების სისტემატურ მიღებაზე. ცხადია, 171-ე მუხლი ვერ უზრუნველყოფდა არასრულწლოვანთა ინტერესების ჯეროვნად დაცვას, თუ ამ მუხლს მანამ არ გამოვიყენებდით, სანამ უფროსი არასრულწლოვანს ასეთ უკიდურეს მდგომარეობამდე არ მიიყვანს. „სხვა ანტისაზოგადებრივ ქმედებაზე“ დაყოლიების შემადგენლობის არსებობისათვის საკმარისია არასრულწლოვნის დათრობის სულ მცირე სამი შემთხვევის დადგენა. ამასთან, ალკოპოლური სასმელების მიღების ყველა შემთხვევაში უნდა დადგეს ალკოპოლური სიმთვრალის მდგომარეობა. საკმარისია სიმთვრალის ნებისმიერი ხარისხის არსებობა. დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც არასრულწლოვნის სამჯერ ან მეტად დათრობა შეიძლება ლოთობაში ჩათრევად ჩაითვალოს, ერთ წელს არ უნდა აღემატებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება, ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო, მიზანშეუწონლად

---

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: რვატომეული, ტ. IV, თბილისი, 1955.

უნდა ჩაითვალოს. იგივე უნდა ითქვას ისეთ შემთხვევებზე, როცა დათრობის ფაქტებს შორის ძალიან მოკლე შუალედებია. მაგალითად, როცა პირი ერთი დღის განმავლობაში სამჯერ ან მეტად დაათრობს არასრულწლოვანს. „ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთიან (განგრძობად) აქტთან. არასრულწლოვნის ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობა, რომელიც დადგა ალკოჰოლის პირველივე დოზების მიღების შედეგად, ნარჩუნდება მთელი დღის განმავლობაში. ამიტომ ეს არ არის სისტემატური დათრობა.“<sup>1</sup> სისტემატურობის ნიშნის არარსებობის შემთხვევაში კი სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ქმედების მცირემნიშვნელობის გამო, არ უნდა დადგეს.<sup>2</sup>

არასრულწლოვანის ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმის შემადგენლობა არ გვექნება მაშინ, როცა მშობლის ან მეურვის უყურადღებობის შედეგად არასრულწლოვანი ხელს მიჰყოფს ლოთობას, ასევე, როცა ისინი ხელს არ უშლიან მას სპირტიანი სასმელების მიღებაში. ასეთ შემთხვევებში არ გვაქვს ასაკოვანი პირის მოქმედება, არასრულწლოვანზე მისი აქტიური ზემოქმედება.

ლოთობაში ჩაბმის ქვეშ იგულისხმება არა მხოლოდ ისეთი

---

1 მ.ი. არსენიევა, ვ.მ. ფოკინი, ნ.გ. იაკოვლევა, დასახ. ნაშრ., გვ.19.

2 აღსანიშნავია, რომ საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსით, გარდა არასრულწლოვანის ლოთობაში ჩათრევისა, ისჯებოდა აგრეთვე „არასრულწლოვანის დათრობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელზედაც იგი სამსახურებრივად არის დამოკიდებული“. (მ.236<sup>1</sup>-ე). როგორც კანონის მოტანილი ტექსტიდან ჩანს, ამ დანაშაულის შემადგენლობის არსებობისათვის არ იყო აუცილებელი არასრულწლოვანის მიერ სპირტიანი სასმელების სისტემატური მიღება. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგებოდა ერთხელ დათრობის შემთხვევაშიც, თუ ამ ქმედებას ის ჩაიდინდა, ვისზედაც არასრულწლოვანი სამსახურებრივად იყო დამოკიდებული. როგორც სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში აღნიშნავდნენ, კანონმდებელი გამოდიოდა იქედან, რომ ასეთ პირს მოზარდზე მზრუნველობისა და მისი აღზრდის განსაკუთრებული მოვალეობა აკისრია. უფროს ადამიანში, რომელსაც არასრულწლოვანი სამსახურებრივად ექვემდებარება, იგი ზედავს მაღალი ზნეობისა და სამართლიანობის ნიმუშს, ცხოვრების ყველა სფეროში მისაბამ მაგალითს. ამიტომ ასეთი პირის მიერ არასრულწლოვანის თუნდაც ერთხელ დათრობა ძლიერ აზიანებს ამ უკანასკნელის პიროვნებას, მის ზნეობრივ განვითარებას (Горелик И.И. Квалификация преступлений, опасных для жизни и здоровья, Минск, 1973, с.124).

შემთხვევები, როცა უფროსი თვითონ უმასპინძლებდა არასრულწლოვანს სპირტიანი სასმელებით, არამედ სხვაგვარი მოქმედებანიც, თუ ისინი პირდაპირაა მიმართული არასრულწლოვნის ღოთობაში ჩათრევისაკენ. მაგალითად, პირი სისტემატურად ამარაგებს არასრულწლოვანს სპირტიანი სასმელებით, აძლევს ფულს მათ შესაძენად და ა.შ.

განსახილველი დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის საჭიროა უფროსის ზემოქმედებას არასრულწლოვანზე შედეგად მოჰყვეს ამ უკანასკნელის მიერ ალკოჰოლური სასმელების სისტემატური მიღება. თუ პირის მოქმედება მიმართული იყო იქითკენ, რომ ჩაეთრია არასრულწლოვანი ღოთობაში, მაგრამ ეს ვერ შეძლო მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ვთქვათ, მშობლების, პედაგოგების აქტიურმა ჩარევამ ხელი შეუშალა), მაშინ გვექნება ამ დანაშაულის ჩადენის მცდელობა.

ღოთობაში ჩათრევას შეიძლება მოჰყვეს არასრულწლოვანის ჯანმრთელობის შერყევა, დაშავება (გადმოვარდნა, ტრანსპორტის ქვეშ მოყოლა), მის მიერ დანაშაულის ჩადენა და ა.შ. თუმცა ამ მოქმედებამ არც ერთი ზემოაღნიშნული შედეგიც რომ არ გამოიწვიოს, იგი ხელყოფს არასრულწლოვანის ნორმალურ ზნეობრივ განვითარებას, რაც 171-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს წარმოადგენს. ამიტომ ეს დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმისგან დამოუკიდებლად, მოჰყვა თუ არა არასრულწლოვანის მიერ ალკოჰოლის გამოყენებას რაიმე მძიმე შედეგი: მის მიერ დანაშაულის ჩადენა, ჯანმრთელობის დაზიანება და ა.შ. მძიმე შედეგის დადგომა კი მხედველობაში მიიღება 171-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება.

სხვა საქმეა, თუ მძიმე შედეგის მიმართ პირს განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება აქვს. მაგალითად, კაცმა, რომელმაც იცის მოზარდის მძიმე დაავადებისა და მასზე ალკოჰოლის დამღუპველი ზემოქმედების შესახებ, ჩაითრია იგი ღოთობაში, რასაც შედეგად არასრულწლოვანის ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვა. იგი პასუხს აგებს 171-ე და სისხლის სამართლის.

კოდექსის შესაბამისი მუხლით – ჯანმრთელობის დაზიანებისათვის.

ზოგჯერ არასრულწლოვანის ლოთობაში ჩაბმა არ წარმოადგენს უფროსის მოქმედების საბოლოო მიზანს, არამედ სხვა მიზნის მიღწევის საშუალებაა. მაგალითად, უფროსმა ჩაითრია არასრულწლოვანი ლოთობაში შემდგომ მისი დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმის გაადვილების მიზნით. ლოთობაში ჩაბმას ზოგჯერ განაპირობებს თანამოსუფრის პოვნის, არასრულწლოვანის ხარჯზე დაღვეის და ა.შ. მოტივები. შესაძლებელია შედარებით უწყინარი, ყოფითი ხასიათის მოტივებიც: დაბადების დღის, ინსტიტუტში მოწყობის აღნიშვნა, პირველი ხელფასის „დასვენება“, გაწეული სამსახურისათვის მაღლიერების გამოხატვა და ა.შ.

სასჯელის დანიშვნისას მხედველობაშია მისაღები ლოთობაში ჩაბმული არასრულწლოვანის ასაკი. რაც უფრო დაბალია იგი, მით უფრო დამლუპველად მოქმედებს ალკოჰოლი ორგანიზმზე. ამიტომ უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს უფროსი.

როგორც აღვნიშნეთ, სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე დაყოლიების შემადგენლობის არსებობისათვის საჭიროა არასრულწლოვანის დათრობა სამჯერ ან მეტად. ცხადია, სასჯელი უფრო მკაცრი იქნება არასრულწლოვანის დათრობის მრავალი ეპიზოდის დადგენისას. 3-4 ჯერ დათრობის შემთხვევაში კი, თუ დათრობის ცალკეულ ეპიზოდებს შორის შუალედები საკმაოდ დიდია, დამნაშავე უფრო მსუბუქად უნდა დაისაჯოს.

არასრულწლოვანის ლოთობაში ჩათრევის შემთხვევების დროულ გამოვლენას და პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას დიდი პროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს. იგი საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ მოზარდის მიერ დანაშაულის და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედების ჩადენა.

სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე დაყოლიების ქვეშ ივულისხმება აგრეთვე არასრულწლოვანის დაყოლიება აზარტულ თამაშზე. აზარტული თამაში აზიანებს არასრულწლოვანის ზნეობრივ განვითარებას, წარმოშობს უხეშობას, სიხარბეს, სისასტიკეს, უარყოფითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე. წაგებული თანხის დაფარვის მიზნით მოზარდი შეიძლება დანაშაულის გზას დაადგეს.

სიტყვა „აზარტი“ წარმოსდგება ფრანგული სიტყვიდან –

hazard (შემთხვევა) და ნიშნავს თავდავიწყებით გატაცებას (თამაშობაში). აქედან გამომდინარე, აზარტული თამაში არის თავდავიწყებით, გატაცებით თამაში.<sup>1</sup>

გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, აზარტულ თამაშში ჩაბმა ნიშნავს არასრულწლოვანის დაყოლიებას ფულზე ან სხვა მატერიალურ ფასეულობათა სისტემატურ თამაშზე. როგორ უნდა შეფასდეს უფროსის მოქმედება, რომელმაც არასრულწლოვანი ჩააბა არა ფულზე, არამედ ნაძღვევზე თამაშში, როცა ნაძღვევის პირობა არის წაგებულისათვის ჯანმრთელობის დაზიანების, ფიზიკური ტკივილის მიყენება, მოგებულის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესრულება და ა.შ.?

მიგვაჩნია, რომ აზარტული თამაშის ცნება ასეთ შემთხვევებსაც უნდა მოიცავდეს, მით უმეტეს, რომ მათი საზოგადოებრივი საშიშროება ფულზე თამაშთან შედარებით არანაკლებია. აზარტული თამაშის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ფულზე ან სხვა მატერიალურ ფასეულობებზე თამაში, ასევე ანგარებითი ხასიათის სანაძღვეოს დადება, ან კიდევ სანაძღვეოს დადება ამორალური, ანტისაზოგადოებრივი ან საკუთარი ჯანმრთელობისათვის საშიში მოქმედების ჩადენის პირობით. სწორედ აზარტული თამაშის ზემოთმოტანილი განმარტებით უნდა ვიხელმძღვანელოთ არასრულწლოვანის აზარტულ თამაშზე დაყოლიების ცნების გარკვევისას.

ამრიგად, გათამაშების საგანს უმეტესად ფული წარმოადგენს, თუმცა არ არის გამორიცხული მატერიალური ღირებულების შემცველ სხვადასხვა ნივთებსა და საგნებზე თამაში. უფრო მეტიც, შეიძლება ანგარებითი ან სხვა ხასიათის სანაძღვეოს დადება.

ვერ დავეთანხმებით იმ ავტორებს, რომლებიც თვლიან, რომ არასრულწლოვანის ჩაბმა აზარტულ თამაშში გულისხმობს მის დაყოლიებას ისეთ თამაშზე, სადაც მოგება დამოკიდებულია არა მოთამაშის ცოდნაზე, არამედ შემთხვევითობაზე.<sup>2</sup> ასეთმა შეხედ-

1 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რეატომეული, ტ. I, თბილისი, 1950.

2 Граевский В.И. Азартные игры, „Административный вестник“, 1926, №10, с. 20; Худяков Е.А. Уголовная ответственность за вовлечение несовершеннолетних в преступную деятельность, Автореферат кандидатской диссертации, М., 1967, с.10.

ულეზამ სავსებით სამართლიანი კრიტიკა გამოიწვია სისხლის-სამართლებრივ ლიტერატურაში.<sup>1</sup> ხსენებული თვალსაზრისის ავტორები გამოდიან სიტყვა „აზარტის“ წმინდა ეტიმოლოგიური მნიშვნელობიდან. როგორც აღნიშნული იყო, იგი წარმოსდგება ფრანგული სიტყვიდან „hasard“ და ნიშნავს შემთხვევას. ფულზე ან სხვა მატერიალურ ფასეულობაზე, აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის ნაძლევზე თამაში ყოველთვის აზიანებს არასრულწლოვანის ნორმალურ ზნეობრივ განვითარებას, წარმოშობს სიხარბეს, სისასტიკეს და ა.შ. აქ განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება თამაშის ჩატარების პირობებს და არა იმას, მოგება შემთხვევითობაზე დამოკიდებული თუ ცოდნაზე.

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობის არსებობისთვის არა აქვს მნიშვნელობა, კონკრეტულად რა თამაშში ჩააბეს არასრულწლოვანი (ბანქო, კამათელი, ბილიარდი და სხვა). დანაშაული დამთავრებულად ითვლება მაშინ, როცა დადგინდება უფროსის მიერ არასრულწლოვანის აზარტულ თამაშში ჩაბმის სულ ცოტა სამი შემთხვევა.

არასრულწლოვანის ჩაბმა გამაბრუებელ ან სამკურნალწამლო საშუალებათა არასამედიცინო მოხმარებაში. დანაშაულის საგანი არის გამაბრუებელი ან სამკურნალწამლო საშუალებები. მათი მიღება სპეციფიკურად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და იწვევს მოღუნებას. არასამედიცინო მოხმარება გულისხმობს მათ გამოყენებას არა ექიმის დანიშნულებით, არამედ თვითნებურად, არა სამკურნალოდ, არამედ გასაბრუებლად. ამ საშუალებათა ასეთმა უკონტროლო გამოყენებამ შეიძლება გამოუსწორებლად დააზიანოს მოზარდის ჯანმრთელობა. მართალია, ისინი არ მიეკუთვნებიან ნარკოტიკულ ან ფსიქოტროპულ საშუალებებს, მაგრამ გამაბრუე-

---

1 Андрусенко Е.А. Уголовная ответственность за вовлечение несовершеннолетних в преступную деятельность, „Актуальные проблемы применения советского законодательства, Душанбе, 1974, с.94-95; Игнатов А.Н. Уголовный закон охраняет права несовершеннолетних, М., 1971, с.68-69; Щедрина А.К. Некоторые вопросы ответственности за вовлечение несовершеннолетних в антиобщественную деятельность, „Сборник учёных трудов Свердловского юридического института“, Вып.28, Свердловск, 1973, с.133-134.

ბელი ზემოქმედების გამო გავლენას ახდენენ არასრულწლოვანის ფსიქიკასა და ქცევაზე, რაც ზოგჯერ შეიძლება სასიკვდილო შედეგითაც დასრულდეს.

თუ არასრულწლოვანი ჩააბეს ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალების, ან მათი ანალოგის მოხმარებაში, პასუხისმგებლობა დადგება სისხლის სამართლის კოდექსის 272-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

სიტყვა „ჩააბმა“ გულისხმობს მონაწილეობის მიღებას, ჩარევას რაიმე საქმიანობაში.<sup>1</sup> ასე რომ, განსახილველი დანაშაული დამთავრებულად მხოლოდ მაშინ უნდა ჩაითვალოს, როცა უფროსის ზემოქმედების შედეგად არასრულწლოვანმა დაიწყო გამაბრუებელ ან სამკურნალწამლო საშუალებათა მოხმარება.

არასრულწლოვნის ჩაბმა პროსტიტუციაში. სქესობრივი ცხოვრების ნაადრევი დაწყება, მისი ზშირი და უწესო წარმოება ძლიერ აზიანებს არასრულწლოვანის ჯანმრთელობას, მის ნორმალურ სქესობრივ და ზნეობრივ განვითარებას.

პროსტიტუციის აუცილებელი თანამგზავრია ვენერიული ავადმყოფობა. ჯერჯერობით უძლეველი დაავადების – შიდსის გავრცელების პირველ წყაროსაც სწორედ პროსტიტუცია წარმოადგენს. მართალია, მსოფლიო სტატისტიკით საქართველო მიეკუთვნება შიდსის დაბალი პრევალენტობის ქვეყნებს და ამ ქვეყნებს შორისაც ერთ-ერთი ბოლო ადგილი უკავია, მაგრამ ეს დამშვიდების საფუძველს არ იძლევა. 2008 წლის 5 სექტემბრის მონაცემებით, უკურნებელი სენით დაავადებული 379 ადამიანი უკვე გარდაიცვალა. აღრიცხულია 1754 ვირუსმატარებელი. ეს მხოლოდ ოფიციალური მონაცემებია. საქმე იმაშია, რომ შიდსის ეპიდემიის კანონზომიერებიდან გამომდინარე, შიდსით რეგისტრირებული 900-მდე შემთხვევის უკან დგას დაახლოებით 3000-მდე არარეგისტრირებული შემთხვევა. ეს კი ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, უკვე საკმაოდ სოლიდური რიცხვია. მხედველობაშია მისაღები, რომ საქართველო

---

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რეატომეული, ტ. VIII, თბილისი, 1964.



კურორტების ზონაა, რაც შიდსის ვირუსის გავრცელების სერიოზულ საფრთხეს გვიქმნის. ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ნათელია არასრულწლოვანის პროსტიტუციაში ჩათრევის დიდი საზოგადოებრივი საშიშროება.

პროსტიტუცია წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან „prostitueze“ და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „გასაყიდად გამოფენას“. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აღნიშნულია, რომ პროსტიტუცია არის „ქალების ვაჭრობა თავიანთი სხეულით არსებობის საშუალებათა მოსაპოვებლად, — მეძავობა“.<sup>1</sup> ამ განმარტებაში ჩაზგასმულია პროსტიტუციისათვის დამახასიათებელი შემდეგი ნიშნები: 1. ქალის მიერ საკუთარი სხეულის გაყიდვა. მატერიალური გასამრჯელოს აღება პროსტიტუციის აუცილებელი ნიშანია. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება იგი გარყვნილების სხვა სახეებისაგან, როგორცაა მაგალითად, ხშირი სქესობრივი კავშირები სხვადასხვა მამაკაცებთან და ა.შ. გასამრჯელო, როგორც წესი, გამოიხატება ფულადი სახით, თუმცა არ არის გამორიცხული მატერიალური ღირებულების შემცველი სხვადასხვა ნივთებისა და საგნების გადაცემა მეძავისათვის. 2. საკუთარი სხეულის გაყიდვის გზით მიღებული შემოსავალი ქალისათვის არსებობის ძირითადი ან დამხმარე საშუალება უნდა იყოს. 3. პროსტიტუციისათვის დამახასიათებელია სისტემატურობა, რადგან არსებობის საშუალებანი საკუთარი სხეულის გაყიდვის ერთი-ორი შემთხვევით ვერ მოიპოვება.

პროსტიტუციისათვის არ არის აუცილებელი სქესობრივი კავშირის დამყარება პარტნიორთან. საკმარისია გარყვნილი ქმედება, სქესობრივი უინის გარყვნილ ფორმებში დაკმაყოფილება გასამრჯელობის ფასად და ა.შ. მისთვის დამახასიათებელია პარტნიორების ხშირი ცვლა, შემთხვევით მამაკაცებთან კავშირი.

სისხლის სამართლის კანონმდებლობით პროსტიტუცია, როგორც ასეთი, არ ისჯება. დასჯადია მხოლოდ: 1. არასრულწლოვანის ჩაბმა პროსტიტუციაში ძალადობის, ძალადობის მუქარის ან მოტყუების გარეშე (171-ე მუხლის მესამე ნაწილი), 2. პროსტი-

---

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: რეატომეული, ტ. VI, თბილისი, 1960.

ტუციაში ჩაბმა (როგორც სრულწლოვნის, ისე არასრულწლოვნის) ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით (253-ე მუხლი) და 3. პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა (254-ე მუხლი). აქედან გამომდინარე, თვით არასრულწლოვანი, რომელიც დაიყოლიეს პროსტიტუციაზე, სისხლის სამართლის წესით პასუხს არ აგებს.

როდესაც ვლადპარაკობთ<sup>1</sup> არასრულწლოვნის პროსტიტუციაში ჩაბმაზე, ვფიქრობთ, არ გამოგვადგება სიტყვა „პროსტიტუციის“ ისეთი ფართო გაგება, როგორც ეს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშია მოცემული და ყოველდღიურ ცხოვრებაში იხმარება. აქ უადგილო არ იქნება მოვიშველიოთ რუსი მეცნიერის ს. ალექსეევის სიტყვები: „მეცნიერული კვლევის „ტერმინოლოგიურმა“ მიმართულებამ შეიძლება გამოიწვიოს თვისობრივად განსხვავებული მოვლენების ნიველირება, მთელი ცნებითი აპარატის გარკვეულობისა და გამართულობის დარღვევა, აზრობრივი ხასიათის განსაზღვრული ზედმეტობა“.<sup>1</sup>

როგორც აღვნიშნეთ, წმინდა ეტიმოლოგიური მნიშვნელობით პროსტიტუცია ნიშნავს სისტემატურ სქესობრივ კავშირებს შემთხვევით მამაკაცებთან და ამ გზით საარსებო საშუალებათა მოპოვებას. 171-ე მუხლით პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მისაცემად ჩვენ არ შეგვიძლია ველოდოთ, როდის მიიყვანს უფროსი არასრულწლოვან გოგონას ისეთ უკიდურეს მდგომარეობამდე, რომ გარყვნილი ცხოვრების გზით მიღებული შემოსავალი მისთვის არსებობის ძირითადი ან დამხმარე საშუალება გახდეს. სისტემატურობის ცნება ამ შემთხვევაშიც უფრო ვიწრო მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. 171-ე მუხლით პასუხისმგებლობისათვის საკმარისია წლის განმავლობაში უფროსის მიერ არასრულწლოვნის სქესობრივ გარყვნილებაში ჩაბმის სამი შემთხვევის დადგენა, რა თქმა უნდა, მატერიალური გასამრჯელოს ფასად. ერთი-ორი შემთხვევის დადგენისას, თუ უფროსის მოქმედების საბოლოო მიზანი მოზარდის პროსტიტუციაში ჩათრევა იყო, გვექნება ამ დანაშაულის ჩადენის მცდელობა.

<sup>1</sup> Алексеев С.С. Общая теория права: Курс в 2-х т. т.1, М., 1981, с.275.

პროსტიტუციაში ჩათრევის შემადგენლობა სახეზეა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს არასრულწლოვანის დაყოფილებას უცხო მამაკაცებთან სქესობრივ კავშირზე, არამედ მაშინაც, როცა არასრულწლოვანს მატერიალური გასამრჯელოს ფასად აბამენ გაუკულმართებული ფორმით სექსუალურ კონტაქტში ან გარყვნილ ქმედებაში.

ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ განსახილველი დანაშაულის ობიექტი არის ორივე სქესის არასრულწლოვანის ნორმალური განვითარება.<sup>1</sup> თუ ჩვენ ამ ნორმას განვიხილავთ არა ადრე მოქმედი კანონმდებლობისაგან მოწყვეტით, არამედ მასთან სისტემურ კავშირში, ვფიქრობთ, სხვა დასკვნამდე მივალთ. ჯერ კიდევ საქართველოს 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 176-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებდა ქალების მოგროვებას პროსტიტუციისათვის. ამ მუხლის მეორე ნაწილით კი ისჯებოდა ისეთი შემთხვევა, როცა „საპროსტიტუციოდ შეცდენილი სრულწლოვანებას არ იყო მიღწეული. „ზემთ მოტანილი ტექსტიდან აშკარაა, რომ კანონმდებელი იცავს არასრულწლოვანი გოგონას ნორმალურ ზნეობრივ და ფიზიკურ განვითარებას. ანალოგიური შინაარსის იყო საქართველოს 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 172-ე მუხლი. ვფიქრობთ, ასეთივე აზრია ჩადებული ამჟამად მოქმედ კანონმდებლობაშიც. ეს ნორმა იცავს მხოლოდ არასრულწლოვანი გოგონას ინტერესებს. ამგვარი დასკვნა თვით სიტყვა „პროსტიტუციის“ განმარტებიდანაც გამომდინარეობს. როგორც აღნიშნული იყო, პროსტიტუცია ნიშნავს „ქალების ვაჭრობას თავიანთი სხეულით არსებობის საშუალებათა მოსაპოვებლად.“<sup>2</sup>

მაშასადამე, ამ დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატე-

---

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2006, გვ. 305; შ. ა. არსენიევა, ვ. მ. ფოკინი, ნ. იაკოვლევა, დასახ. ნაშრ., გვ. 27; Жижиленко А.А., Преступления против половой неприкосновенности по Уголовному кодексу РСФСР, „Право и жизнь“, 1924, №2, с.48; Вроблевский А.Б., Утевский Б.С. Уголовный кодекс. Комментарий, М., 1928, с.313.

2 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: რეატიმუელი, ტ. VI, თბილისი, 1960.

ბა არასრულწლოვანი გოგონას წაქეზებაში მატერიალური გასამრჯელოს ფასად უცხო მამაკაცებთან სისტემატური სქესობრივი კავშირის ან გაუკუღმართებული ფორმით სექსუალური კონტაქტის დაჭერაზე.

გასამრჯელოს ფასად არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების ან გარყვნილი ქმედების ერთი ფაქტი არ ქმნის განსახილველი დანაშაულის შემადგენლობას, თუნდაც ამის შემდეგ გოგონა პროსტიტუციის გზას დაადგეს. ასეთ შემთხვევაში უფროსმა შეიძლება პასუხი აგოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე (სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან) ან 141-ე (გარყვნილი ქმედება) მუხლებით.

არასრულწლოვანის პროსტიტუციაში ჩაბმას შეიძლება წინ უსწრებდეს გაუპატიურება (137-ე მუხლი), სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან (140-ე მუხლი), გარყვნილი ქმედება (141-ე მუხლი), არასრულწლოვანის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადება (255-ე მუხლის მეორე ნაწილი) და ა.შ. ცხადია, ასეთ შემთხვევებში პირი პასუხს აგებს დანაშაულთა ერთობლიობისათვის.

აანალიზებდა რა ქალების პროსტიტუციაში ჩაბმის შემადგენლობას, ცნობილი რუსი მეცნიერი მ.ს. სტროგოვიჩი წერდა, რომ ამ დანაშაულის შემადგენლობის არსებობისათვის საჭიროა ქალი, თუნდაც ბოლო პერიოდში, არ ეწეოდეს პროსტიტუციას.<sup>1</sup> ანალოგიური შეხედულება, ოღონდ არა პროსტიტუციაში, არამედ არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმის შემადგენლობასთან დაკავშირებით, გამოთქმული აქვს კროვოჩინკოს. იგი თვლის, რომ პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის უნდა დადგეს მხოლოდ მაშინ, როცა უფროსი დანაშაულებრივ საქმიანობაში აბაძს იმ არასრულწლოვანს, რომელსაც ადრე არ ჩაუდენია

---

1 Строгович М.С. Борьба с проституцией путём уголовной репрессии, „Еженедельник советской юстиции“, 1925, №37, с.1214.

დანაშაული, ან რომელმაც, მართალია, ადრე ჩაიღინა იგი, მაგრამ შემდეგ გამოსწორების გზას დაადგა.<sup>1</sup>

ამგვარმა შეხედულებამ ვერ ჰპოვა გავრცელება სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში. ავტორთა უმეტესობა თვლის, რომ განსახილველი დანაშაულის შემადგენლობის არსებობისათვის არა აქვს მნიშვნელობა მოზარდის ქცევას უფროსის მიერ ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმამდე. კერძოდ, ადრე სჩადიოდა დანაშაულს ან სხვა ანტისაზოგადოებრივ მოქმედებას თუ არა.<sup>2</sup> ასევე უნდა გადაწყდეს საკითხი არასრულწლოვანის პროსტიტუციაში ჩაბმისას. ამ დანაშაულის შემადგენლობის არსებობისათვის არა აქვს მნიშვნელობა, გოგონა ადრე ეწეოდა თუ არა ამ საქმიანობას.

მართლაც, თუ უფროსი ეხმარება არასრულწლოვან გოგონას „კლიენტების“ შოვნაში, უთმობს ბინას, რჩევა-დარიგებას აძლევს გასამრჯელოს ოდენობაზე, ურჩევს განაგრძოს ეს საქმიანობა და ა.შ., მან პასუხი უნდა აგოს არასრულწლოვანის პროსტიტუციაში ჩაბმისთვის მაშინაც, როცა ეს უკანასკნელი ადრეც ეწეოდა ამ საქმიანობას. ამ შემთხვევაში უფროსი ხელს უწყობს არასრულწლოვანის შემდგომ მორალურ გაზრწნას.

განსახილველი დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ახლო ნათესავეები, ოჯახის წევრები, მეგობრები, (როგორც მამაკაცი, ასევე ქალი), რომლებიც თვითონ ეწევიან გარყვნილ ცხოვრებას და რჩევით, დარწმუნებით, წინადადების მიცემით ან სხვა საშუალებით უბიძგებენ არასრულწლოვან გოგონას პროსტიტუციისაკენ. თუ პროსტიტუციაში ჩაბმა ხდება ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით, მაშინ დამნაშავე პასუხს აგებს სსკ-ის 253-ე მუხლით, კერძოდ

---

1 Кривоченко А.И. О понятии вовлечения несовершеннолетних в преступную деятельность, „Проблемы социалистической законности на современном этапе развития советского государства“, Харьков, 1968, с.208.

2 ასეთივე თვალსაზრისი იყო ასახული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1976 წლის 3 დეკემბრის დადგენილებაში, რომელიც არასრულწლოვანის დანაშაულებრივ და სხვა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმის შემადგენლობას ეხებოდა (Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924-1986, М., 1987, с.742).

ამ მუხლის მეორე ნაწილით. დანაშაულის ამსრულებლის როლში შეიძლება მოგვევლინონ შემთხვევითი პარტნიორები, ასევე მაჭანკლები: სასტუმროს თანამშრომლები, ტაქსის მძღოლები, რომლებიც გასამრჯელოს ფასად ორგანიზაციას უკეთებენ არასრულწლოვანი გოგონას შეხვედრას სქესობრივ პარტნიორთან.

პროსტიტუციაში ჩათრევისათვის პირის დროულად პასუხისგებაში მიცემას დიდი პროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს. იგი თავიდან აგვაცილებს არასრულწლოვანის დანაშაულის გზაზე დადგომას, მისი კენერიული სენით დაავადებას და ა.შ.

სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკაში იშვიათად იყენებენ ამ ნორმას. 2005-2007 წლებში საქართველოში არასრულწლოვანის პროსტიტუციაში ჩაბმისათვის მსჯავრდების მხოლოდ ორი შემთხვევა დაფიქსირდა. ამ საქმეების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ სასამართლო პრაქტიკაში სირთულეებია არასრულწლოვანის პროსტიტუციაში ჩაბმისა და არასრულწლოვანით ვაჭრობის (143<sup>2</sup>-ე მუხლი) შემადგენლობათა გამიჯვნის თვალსაზრისით.

ბოლნისის რაიონის დაბა მცხოვრებმა ლალი თ-ძემ, რომელიც თავს პროსტიტუციით ირჩენდა, რესტორანში, ნაცნობ მამაკაცებთან ქეიფის დროს გაიცნო არასრულწლოვანი ლოლა ნ-იანი.<sup>1</sup> გოგონას მშობლები და ახლობლები არ ჰყავდა. შეპირებით, რომ ფულს აშოვნინებდა, ლალი თ-მ დაითანხმა იგი გადასახლებულიყო მასთან საცხოვრებლად. ისინი შეთანხმდნენ, რომ თ-ძე არასრულწლოვანს მიუყვანდა სახლში მამაკაცებს, რომლებიც სქესობრივი კავშირის საფასურად გადაიხდიდნენ თხუთმეტ ლარს. აქედან ათ ლარს თ-ძე გოგონას მისცემდა, ზოლო ხუთს თვითონ დაიტოვებდა. თ-მ თავის ოთხოთახიან იზოლირებულ ბინაში ერთი ოთახი საცხოვრებლად გამოუყო ლოლა ნ-იანს. წინასწარმა გამოძიებამ დაადგინა, რომ 2003 წლის სექტემბრიდან 2004 წლის აპრილის ჩათვლით თ-მ არასრულწლოვანი შეახვედრა გამოძიებით დაუდგენელ ასამდე მამაკაცს, რომლებმაც თხუთმეტი ლარის სანაცვლოდ მასთან სქესობრივი კავშირი დაამყარეს. აღებულ თანხას თ-ძე და ნ-იანი შეთანხმებისამებრ იყოფდნენ. გაირკვა

---

<sup>1</sup> სახელები და გვარების ინიციალები ამ თავში ყველგან შეცვლილია.

ასევე, რომ თ-ს სახლში ხშირად მიდიოდნენ ახალგაზრდა ქალები და გასამრჯელოს სანაცვლოდ სქესობრივ კავშირს ამყარებდნენ სახლის პატრონის მიერ მიყვანილ მამაკაცებთან. თანხის ნაწილს თ-ძე იტოვებდა.

წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოსათვის მიცემულ ჩვენებებში ლალი თ-ძე აღნიშნავდა, რომ შეეცოდა უპატრონო გოგო, რომელიც ძალიან ბინძური და მოუვლელი იყო; წაიყვანა სახლში, დაბანა, ჩააცვა სუფთა ტანსაცმელი და გამოუყო ცალკე ოთახი საცხოვრებლად. გოგონა ვენერიული სენით იყო დაავადებული. მან იგი ექიმთან მიიყვანა, რომელმაც განკურნა. ანალოგიური ჩვენება მისცა არასრულწლოვანმა ლოლა ნ-იანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ თ-მ მას უპატრონა, მისცა თავშესაფარი და აშოვნინა ფული. მანვე განმარტა, რომ თ-სთან შეხვედრამდე ეწეოდა სქესობრივ ცხოვრებას სხვადასხვა მამაკაცებთან, რომლებიც ზოგჯერ გასამრჯელოსაც უტოვებდნენ. თ-ს მხრიდან არასრულწლოვანზე რაიმე სახის ძალადობა გამოიციხეს მოწმეებმა რუსუდან ა-იანმა, ლარისა ს-ძემ და გიული ნ-ვამ. ისინი ხშირად მიდიოდნენ ლალი თ-ს სახლში, სადაც გასამრჯელოს სანაცვლოდ სქესობრივ კავშირს ამყარებდნენ შემთვევით მამაკაცებთან.

თ-ძის ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით (არასრულწლოვნის ჩაბმა პროსტიტუციაში ძალადობის, ძალადობის მუქარის ან მოტყუების გარეშე) და 254-ე მუხლით (პროსტიტუციისათვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა). საბოლოო სასჯელის სახით მას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ორი წლით, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების შესაბამისად არ იყო გამოყენებული ორი წლის გამოსაცდელი ვადით.

თ-ს ქმედებაში სსკ-ის 254-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის არსებობა გამოიხატება არა მხოლოდ ლოლა ნ-იანის, არამედ საკუთარი სხეულით მოვაჭრე სხვა ქალებისათვის ოთახის დათმობასა და მათი მამაკაცებთან შეხვედრის ორგანიზებაში. რაც შეეხება მისი ქმედების სსკ-ის 171-ე მუხლით კვალიფიკაციას, იგი სადავოდ უნდა ჩაითვალოს. მართალია, თ-მ დაიყოლია არასრულწლოვანი გოგონა პროსტიტუციაზე, მაგრამ ამ უკანასკნელის მიერ საკუთარი სხეულით ვაჭრობა ერთგვარ ბი-

ზნესად აქცია, საიდანაც რვა თვის განმავლობაში სისტემატურად ღებულობდა შემოსავალს. მას მოჰყავდა მამაკაცები არასრულწლოვან ლოლა ნ-სთან, რომლებიც ამ უკანასკნელთან სქესობრივი ურთიერთობის საფასურს თ-ს აძლევდნენ. თანხის ნაწილს იგი თვითონ იტოვებდა, ნაწილს კი არასრულწლოვანს აძლევდა. ამგვარ ქმედებას მოიცავს სსკ-ის 143<sup>2</sup>-ე მუხლით (არასრულწლოვნით ვაჭრობა – ტრეფიკინგი) გათვალისწინებული დანაშაულის ის შემადგენლობა, სადაც ლაპარაკია „არასრულწლოვნის გადაბირებაზე ექსპლოატაციის მიზნით.“ თ-მ თავის სახლში მიიყვანა არასრულწლოვანი მისი სექსუალური ექსპლოატაციის მიზნით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 143<sup>2</sup>-ე მუხლში, 143<sup>1</sup>-ე მუხლისაგან განსხვავებით, სიტყვა „გადაბირება“ უფრო ვიწრო მნიშვნელობით იხმარება და არ გულისხმობს არასრულწლოვანზე ხანგრძლივ ფსიქიკურ ზემოქმედებას, რადგან „არასრულწლოვნის ფსიქიკა ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული და მასზე ზეგავლენის მოხდენა გაცილებით იოლია“<sup>1</sup>. ჩვენს მაგალითში არასრულწლოვანი სულ თხუთმეტი წლისაა და ასაკობრივი განუვითარებლობის გამო ადვილია მისგან თანხმობის მიღება. მართალია, იგი იოლად დათანხმდა თ-ს წინადადებას, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ სახეზეა არასრულწლოვნის გადაბირება ექსპლოატაციის მიზნით, ანუ არასრულწლოვნით ვაჭრობა. ექსპლოატაციის მიზანი 143<sup>1</sup>-ე მუხლის შენიშვნაში მოცემული განმარტების თანახმად, მოიცავს სექსუალურ ექსპლოატაციასაც, რასაც ჩვენს მაგალითში აქვს ადგილი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლალი თ-ს პასუხი უნდა ეგო არა სსკ-ის 171-ე მუხლის მესამე ნაწილით – არასრულწლოვნის პროსტიტუციაში ჩაბმისათვის, არამედ 143<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით – არასრულწლოვნის გადაბირებისათვის ექსპლოატაციის მიზნით. 171-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული მა-

---

1 დ. ჯულუხაძე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ტრეფიკინგისათვის, თბილისი, 2006, გვ. 44. იხ. აგრეთვე: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2006, გვ.208.



შინ გვექნებოდა, თ-ს ქმედება მარტო არასრულწლოვნის პროსტიტუციაში ჩაბმით რომ შემოფარგულიყო და ამ უკანასკნელის მიერ გარყვნილი ცხოვრების გზით მიღებული შემოსავლიდან მას სარგებელი არ ჰქონოდა. ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვნის პროსტიტუციაში ჩაბმის შემადგენლობის არსებობას ხელს ვერ შეუშლიდა ის გარემოება, რომ ნ-იანი ადრეც ეწეოდა უწესო სქესობრივ ცხოვრებას შემთხვევით მამაკაცებთან. თ-მ ხელი შეუწყო არასრულწლოვნის შემდგომ მორალურ გახრწნას, სისტემატური და ორგანიზებული ხასიათი მისცა მის „საქმიანობას“ და პროსტიტუციის გზით მიღებული შემოსავალი გოგონას ძირითად საარსებო წყაროდ აქცია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თ-ს ქმედებაში სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის (სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან) ორგანიზატორის ნიშნებიც იკვეთება. დიდი ხნის განმავლობაში იგი ახორციელებდა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი გოგონას სქესობრივ პარტნიორობთან შეხვედრის ორგანიზებას.

დაახლოებით იგივე ხასიათის შეცდომებს ეხვდებით ციალა ი-ძის საქმეზე. საქმის ფაბულა ასეთია: ქ. თბილისის №... საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები, მაგდა ვ-შვილი და თონა ბ-ძე 2007 წლის აპრილს გამოიპარნენ სახლიდან და ჩავედნენ რაიონის სოფელ .ში, სადაც იქირავეს ოთახი ამავე სოფელში მცხოვრები ციალა ი-ძის სახლში. ამ უკანასკნელმა შესთავაზა მათ გასამრჯელოს სანაცვლოდ დაემყარებინათ სქესობრივი კავშირი მის სახლში მისულ მამაკაცებთან, თითოეული „კლიენტისაგან“ აღებული თანხიდან კი მისთვის მიეცათ 10 აშშ დოლარი. გოგონები დათანხმდნენ მის წინადადებას, რადგან, როგორც თავად აღნიშნეს, ფული სჭირდებოდათ. ი-ს მხრიდან რაიმე ძალადობას ან მუქარას მათ მიმართ აღვილი არ ჰქონია. თანხმობის მიღების შემდეგ ი-მ გოგონები გადაიყვანა მისი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე მდებარე იზოლირებულ ოთახში, სადაც ისინი ერთი კვირის განმავლობაში ეწეოდნენ უწესო სქესობრივ ცხოვრებას სხვადასხვა მამაკაცებთან. სქესობრივი კავშირის სანაცვლოდ

თითოეული პარტნიორისგან იღებდნენ 50 აშშ დოლარს, საიდანაც 10 დოლარს შეთანხმებისამებრ აძლევდნენ ციალა ი-ს. წინასწარი და სასამართლო გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებებში ი-მ წარდგენილ ბრალდებაში თავი მთლიანად სცნო დამნაშავედ და აღნიშნა, რომ მისი მდგმურები ისედაც გზას აცდენილი გოგონები იყვნენ და ამიტომ გადაწყვიტა მათი მეშვეობით დამატებითი შემოსავლის მიღება. მანვე განმარტა, რომ იცოდა გოგონების ასაკი, კერძოდ, თხუთმეტი წლისანი რომ იყვნენ.

ციალა ი-ს მსჯავრი დაედო სსკ-ის 171-ე მუხლის მესამე ნაწილით და 254-ე მუხლით. საბოლოო სასჯელის სახით კი შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა ოთხი წელი. დამატებით სასჯელად კი განესაზღვრა ჯარიმა 6000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

აქაც, ისევე როგორც წინა მაგალითში, ციალა ი-ს ქმედების კვალიფიკაცია სსკ-ის 171-ე მუხლით არასწორად მიგვაჩნია. ი-ს ქმედება ერთი შეხედვით მართლაც ძალიან ჰგავს ამ მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს, რომ არა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება. ი-მ დაიყოლია გოგონები პროსტიტუციაზე იმ მიზნით, რომ დამატებითი შემოსავლის წყარო ჰქონოდა. არასრულწლოვნები საკუთარი სხეულის გაყიდვით მიღებული გასამრჯელოს ნაწილს მას აძლევდნენ. ეს გარემოება მთლიანად ცვლის ი-ს მიერ ჩადენილი ქმედების შინაარსს და ახალ, უფრო მძიმე უმართლობას აფუძნებს. კერძოდ, არასრულწლოვნით ვაჭრობის უმართლობას. ი. ეწეოდა არასრულწლოვანი გოგონების სექსუალურ ექსპლოატაციას და ამ გზით ღებულობდა შემოსავალს. ეს კი წარმოადგენს 143<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს – არასრულწლოვნის გადაბირებას ექსპლოატაციის მიზნით. ვინაიდან ეს უკანასკნელი მოიცავს არასრულწლოვნის პროსტიტუციაში ჩაბმის ნიშნებს, დამატებით 171-ე მუხლით კვალიფიკაცია საჭირო არის.

ი-ს ქმედების სსკ-ის 143<sup>2</sup>-ე მუხლით კვალიფიკაციაზე გაველენას ვერ მოახდენს ის გარემოება, რომ მაგდა ვ-შვილი და თონა ბ-ძე მართლაც გზას აცდენილი ბავშვები იყვნენ. საქმის

მასალებიდან ირკვევა, რომ ისინი ადრეც ეწეოდნენ სქესობრივ ცხოვრებას (ოლონდ გასამრჯელოს გარეშე) და ნარკოტიკებთანაც ჰქონდათ შეხება. ი-მ ბოროტად ისარგებლა ამ გარემოებით და არასრულწლოვანთა კიდევ უფრო გახრწნის ხარჯზე შემოსავლის წყარო იშოვა.

წინა მაგალითისაგან განსხვავებით, სადაც ტრეფიკორი დროის უფრო ხანგრძლივი პერიოდის (რვა თვის) განმავლობაში ეწეოდა არასრულწლოვნის სექსუალურ ექსპლოატაციას, მოცემულ შემთხვევაში ეს ქმედება სულ ერთი კვირა გრძელდებოდა. ამ გარემოებამ შეიძლება დამნაშავეისათვის შეფარდებული სასჯელის ზომაზე მოახდინოს ზეგავლენა და არა ქმედების კვალიფიკაციაზე. არასრულწლოვნის სექსუალური ექსპლოატაციის ერთი ფაქტიც კი უკვე გვაძლევს 143<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 171-ე მუხლის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ დაიცვას არასრულწლოვანთა ნორმალური ზნეობრივი და ფიზიკური განვითარება უ ფ რ ი ს ე ბ ი ს მხრივ მავნე ზემოქმედებისაგან.

პირი, რომელიც აბამს არასრულწლოვანს ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში, უხეშად არღვევს ზნეობრივი ნორმის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც მოზარდი თაობისათვის ზრუნვა ყველა ადამიანის მოვალეობაა. ეს მოვალეობა, უპირველეს ყოვლისა, სრულწლოვნებს აკისრიათ. ამიტომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არასრულწლოვნის ზნეობრივი აღზრდის ინტერესთა დარღვევისათვის მხოლოდ სრულწლოვანს შეიძლება დაეკისროს.

არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში განზრახი დანაშაულია. განზრახი დანაშაულის ჩადენისას კი პირს შეგნებული უნდა ჰქონდეს თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა. ეს განზრახვის მოთხოვნაა. ჩვენს მიერ განსახილველი დანაშაულის მართლწინააღმდეგობა იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავე აზიანებს არასრულწლოვანის სწორ ზნეობრივ განვითარებას, ახდენს მის სულიერ დეგრადაციას. მაშასადამე, ამ დანაშაულის

ჩადენისას წამქეზებელს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ანტი-საზოგადოებრივი ქმედებისაკენ წაქეზებით ხელყოფს არასრულწლოვანის ნორმალურ განვითარებას, დამღუპველ ზემოქმედებას ახდენს მისი პიროვნების ფორმირებაზე. ამის სრული შეგნება კი მხოლოდ სრულწლოვანს შეიძლება მოეთხოვოთ. არასრულწლოვანს, რომლის ზნეობრივი განვითარება ჯერ კიდევ არ დასრულებულა, შეუძლებელია სისხლის სამართლის წესით ვაგებინოთ პასუხი სხვისი აღზრდისა და განვითარების ინტერესთა ხელყოფისათვის.

ინტელექტუალური განვითარების ნაკლები დონე, ცხოვრებისეული გამოცდილების უქონლობა განაპირობებს იმას, რომ არასრულწლოვანი ყოველთვის ვერ ახერხებს ამა თუ იმ სიტუაციაში სწორ ორიენტირებას, არ შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს თავისი ან სხვისი მოქმედება. ნებისყოფის სისუსტის, გულუბრყვილობის, დამყოლი ბუნების გამო იგი ადვილად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ, არა აქვს აქტიური წინააღმდეგობის გაწვევის უნარი.

არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიის ეს თავისებურებანი განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როცა მათზე ზემოქმედებას უფროსები ახდენენ. უფროსის სიტყვას მოზარდისათვის სულ სხვა წონა აქვს. ის უფრო მეტად უჯერებს უფროსს, ვიდრე თავის თანატოლს. ადვილად, ბევრი ყოყმანისა და ფიქრის გარეშე ექცევა მისი გავლენის ქვეშ.

„ერთი არასრულწლოვანის ზემოქმედება მეორეზე კი ნაკლებ საშიშია. მოზარდთა მოქმედება, როცა მათ უფროსები არ ხელმძღვანელობენ, მოკლებულია გაბედულებას. გარდა ამისა, არასრულწლოვანის მიერ არასრულწლოვანის წაქეზებისას უფრო მეტია წამქეზებლისათვის წინააღმდეგობის გაწვევის შესაძლებლობა, ვიდრე უფროსის მიერ არასრულწლოვანის წაქეზებისას.“<sup>1</sup>

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი 1976 წლის 3 დეკემბრის დადგენილებაში, რომელიც ეხებოდა არასრულწლოვა-

---

1 Миньковский Г., Каневский А., Борьба с вовлечением несовершеннолетних в преступную деятельность – важное направление профилактической работы. „Советская юстиция“, 1967, №18, с. 21.

ნის დანაშაულებრივ და სხვა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმას, მიუთითებდა სასამართლოებს, რომ ამ დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ იმას უნდა დაეკისროს, „ვინც 18 წლის ასაკს მიაღწია“.<sup>1</sup> პლენუმის ეს მითითება სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გავრცელებულ თვალსაზრისს ეფუძნებოდა.

საქართველოს სსკ-ის 171-ე მუხლში არაფერია ნათქვამი დანაშაულის სუბიექტზე. მაშასადამე, კანონმდებლობის ანალიზიდან გამოდის, რომ ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს 14 წლის ასაკს მიღწეული პირი. საკითხის ასეთი გადაწყვეტა ზემოთ მოტანილი არგუმენტებიდან გამომდინარე გაუმართლებლად მიგვაჩნია. უმჯობესი იქნება კოდექსის 171-ე მუხლი შეიცავდეს მითითებას განსახილველი დანაშაულის ამსრულებლის ასაკზე, როგორც ეს არის მაგალითად, სსკ-ის 140-ე მუხლში, სადაც ვკითხულობთ: „სრულწლოვნის სქესობრივი კავშირი, მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლთან.“ –

ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმა შეგნებული და მიზანდასახული მოქმედებაა. წამქეზებელს უნდა სურდეს ჩააბას არასრულწლოვანი პროსტიტუციაში, მათხოვრობაში და ა.შ. ასეთი მიზნის გარეშე განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა არ არსებობს. მაშასადამე, ეს დანაშაული მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება იქნეს ჩადენილი. თუ კაცის მოქმედება მიმართული არ იყო მოზარდის ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმისაკენ, მან კიდევ რომ გამოიწვიოს ასეთი შედეგი, 171-ე მუხლით პასუხისმგებლობა არ დადგება. ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არ არსებობს, თუ უფროსი (მაგალითად, მშობელი) საერთოდ ამორალურ ზემოქმედებას ახდენს არასრულწლოვანზე, ლოთობს, მათხოვრობს, ეწევა გარყვნილ ცხოვრებას, რის შედეგადაც არასრულწლოვანიც პროსტიტუციის გზას დაადგა, დაიწყო მათხოვ-

---

<sup>1</sup> Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924-1986, М., 1987, с.741.

რობა, სპირტიანი სასმელების სმა, აზარტული თამაში და ა.შ.

ცალკე განხილვის ღირსია არასრულწლოვნის ასაკისადმი დამნაშავეის ფსიქიკური დამოკიდებულების საკითხი. არასრულწლოვანთა წინააღმდეგ მიმართულ ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობაში პირდაპირ არის მითითებული, რომ დამნაშავეისათვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი დაზარალებულის ასაკი. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ სსკ-ის 140-ე (სრულწლოვნის სქესობრივი კავშირი, მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევდნენ) და 141-ე (ძალადობის გარეშე გარყვნილი ქმედება დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევდნენ) მუხლები. მართალია, 171-ე მუხლის დისპოზიცია დაზარალებულის არასრულწლოვანების წინასწარ შეცნობაზე მითითებას არ შეიცავს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი აქაც ზემოხსენებული 140-ე და 141-ე მუხლების ანალოგიურად უნდა გადაწყდეს. კერძოდ, დამნაშავემ უნდა იცოდეს, რომ ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში აბამს სწორედ არასრულწლოვანს. თუ მან არ იცის დაზარალებულის არასრულწლოვანების შესახებ, პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ განსახილველი დანაშაულისათვის არ უნდა დადგეს.

ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა სსკ-ის მე-11 მუხლის მეორე ნაწილი, რომლის მიხედვითაც, „განზრახი დანაშაულის სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშანი (გარდა შედეგისა – თ.ე.) პირს ბრალად შეერაცხება მხოლოდ მაშინ, როცა ამ ნიშანს მოიცავდა მისი განზრახვა“. მართალია, სსკ-ის მე-11 მუხლში ლაპარაკია კვალიფიციური შემადგენლობისათვის დამახასიათებელ ნიშანზე (მაგალითად, დაზარალებულის მცირეწლოვნება გაუპატიურების კვალიფიციურ შემადგენლობაში), მაგრამ კანონის ლოგიკური განმარტებიდან გამომდინარე, ეს დებულება მით უმეტეს უნდა გავავრცელოთ მარტივი შემადგენლობის დამაფუძნებელ ნიშნებზეც.

როგორც აღვნიშნეთ, არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში განზრახი დანაშაულია. განზრახ დანაშაულებ-

ში კი „განზრახვით მოცული უნდა იყოს ყველა ნიშანი, რომელიც დანაშაულის ობიექტურ მხარეს ეკუთვნის. ერთ-ერთი მათგანის გაუთვალისწინებლობაც კი გამორიცხავს ამ დანაშაულის ჩადენის განზრახვას“.<sup>1</sup>

არასრულწლოვანება 171-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობაში დაზარალებულისათვის დამახასიათებელი ნიშანია. „დაზარალებულის ნიშნები განუყოფლად არის დაკავშირებული ხელყოფის ობიექტთან და ზიანთან. თუ პირს განზრახი დამოკიდებულება აქვს ზიანის მიმართ, შეუძლებელია იმავდროულად გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება ჰქონდეს დაზარალებულის მიმართ, რომელსაც ადგება ზიანი“<sup>2</sup>.

განზრახვისათვის აუცილებელია მოქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება. საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლის თანახმად, ქმდება პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, „თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა...“ მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებისათვის კი საჭიროა კაცს გაცნობიერებული ჰქონდეს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომლებიც გათვალისწინებულია კანონში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების სახით. ზემოთქმულიდან გამომდინარე, 171-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას პირს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ თავისი მოქმედებით ხელყოფს არასრულწლოვნის სწორ ზნეობრივ განვითარებას. ეს კი ცხადია,

---

1 Макашвили В.Г. Понятие умысла в уголовном праве, „Вестник Отд-ния обществ. наук АН ГССР, 1966, №6, с.79. აღსანიშნავია, რომ განზრახ ჩადენილ დანაშაულში შემადგენლობის ცალკეული ელემენტების მიმართ გაუფრთხილებლობის არსებობა დასაშვებად მიიჩნდა ვ. კუდრიავეცეს. (Кудрявцев В.И. Теоретические основы квалификации преступлений, М., 1963, с. 195). თუმცა შემდგომში მან არსებითად შეცვალა თავისი თვალსაზრისი და აღნიშნა, რომ „განზრახ დანაშაულში შემადგენლობის ყველა ნიშანი გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს დამნაშავეს“ (Кудрявцев В.И. Общая теория квалификации преступлений, М., 1972, с. 178).

2 Кузнецова Н.Ф. О квалификации вины, Советская юстиция, 1980, №23, с 25.

მაშინ ექნება შეგნებული, როცა იცის, რომ ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმული არასრულწლოვანია.

171-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის თავის დაღწევის მიზნით, უფროსმა შეიძლება განაცხადოს, რომ მან არ იცოდა, თუ ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმული არ იყო მიღწეული თვრამეტი წლის ასაკს. სასამართლომ არასრულწლოვნის ასაკისადმი დამნაშავეს ფსიქიკური დამოკიდებულების გასარკვევად გულდასმით უნდა შეისწავლოს უფროსისა და არასრულწლოვანის ურთიერთობა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმამდე. სახელდობრ, რა დამოკიდებულება იყო მათ შორის (ნათესაური, მეგობრული, ერთად მუშაობდნენ, ერთ უბანში ცხოვრობდნენ და სხვ.), რამდენი ხანია იცნობენ ერთმანეთს, მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის გარეგნობა, მისი ფიზიკური განვითარება და ა.შ.

როგორც აღნიშნული იყო, საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმასთან ერთად, ითვალისწინებდა „არასრულწლოვანის ჩაბმას დანაშაულებრივ საქმიანობაში“. (მუხლი 236-ე). ამჟამად მოქმედი კოდექსის 171-ე მუხლი არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმის შემადგენლობას აღარ ითვალისწინებს. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას, შესაძლოა, კოდექსის ავტორები ხელმძღვანელობდნენ შემდეგი ორი მოსაზრებიდან ერთ-ერთით: 1. კაცი, რომელმაც წააქეზა არასრულწლოვანი დანაშაულის ჩასადენად, დაუსჯელი არ დარჩება. ის პასუხს აგებს არასრულწლოვანის მიერ ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეობის, კერძოდ, წამქეზებლობისათვის. ხოლო თუ არასრულწლოვანი არ არის მიღწეული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს, მაშინ — შუალობითი ამსრულებლობისათვის. ამიტომ არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმის ცალკე შემადგენლობის სახით გათვალისწინება საჭირო არ არის. 2. შესაძლოა, კოდექსის ავტორებმა ჩათვალეს, რომ რაკი დანაშაული ანტისაზოგადოებრივ ქმედებას წარმოადგენს, სსკ-ის 171-ე მუხლის შემადგენლობა მოიცავს არასრულწლოვნის დანაშაულებრივ საქმიანობაში



ჩაბმასაც და კანონის ტექსტში ამ უკანასკნელის სპეციალურად გათვალისწინება საჭიროდ არ მიიჩნის.

თავდაპირველად განვიხილოთ პირველი მოსაზრება. პირი, რომელმაც წააქეზა არასრულწლოვანი დანაშაულის ჩასადენად, მართალია, პასუხს აგებს თანამონაწილეობისათვის არასრულწლოვანის მიერ ჩადენილ დანაშაულში, მაგრამ მარტო თანამონაწილეობით არ ამოიწურება მის მიერ ჩადენილი ქმედების შინაარსი.

სსკ-ის 145-ე მუხლის კომენტარებისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ „კანონმდებელმა, რომელიც თანამონაწილეობის დასჯადობას მიზეზობრიობაზე აფუძნებს, კოდექსის კერძო ნაწილში დამოუკიდებელი დანაშაულის სახით უნდა გაითვალისწინოს წამქეზებლის მოქმედება, რომელიც სხვა ობიექტთან ერთად ამსრულებლის პიროვნებასაც ხელყოფს, ამსრულებლის პიროვნების წინააღმდეგ არის მიმართული“<sup>1</sup>. სწორედ ასეთ მოქმედებათა რიცხვს განეკუთვნება არასრულწლოვანის წაქეზება დანაშაულის ჩასადენად. ამ შემთხვევაში წამქეზებლის მოქმედება, გარდა იმისა, რომ მიზეზობრივ კავშირშია ამსრულებლის მიერ გამოწვეულ შედეგთან, თვით ამსრულებლის – არასრულწლოვანის პიროვნებასაც აზიანებს, ახდენს მასზე გამხრწნელ ზემოქმედებას. მაგალითად, როცა კაცი არასრულწლოვანს აქეზებს ქურდობის ჩასადენად, იგი ხელყოფს ორ სიკეთეს: 1. საკუთრებას და 2. თვით წაქეზებულის – არასრულწლოვანის. პიროვნებას, მის ნორმალურ ზნეობრივ განვითარებას. ეს სიკეთე – არასრულწლოვანის ნორმალური ზნეობრივი განვითარება, სრულიად დამოუკიდებელი შინაარსის არის. ამიტომ წამქეზებლის მოქმედება გასცილდა დანაშაულში თანამონაწილეობის ფარგლებს. ამსრულებლის პიროვნების ხელყოფით მან კიდევ სხვა უმართლობა განაზოროციელა. ამიტომაც არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმის შემადგენლობას ჰქონდა სისხლის სამართლის კოდექსში არსებობის უფლება და საეხებით გამართლებული იყო ასეთ შემთხვევებში წამქეზებლის პასუხისმგებლობა დანაშაულთა იდეალური ერთობლიობისათვის: 1. არასრულწლოვანის მიერ ჩად-

---

1 ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბილისი, 1989, გვ.35.

ენილ დანაშაულში თანამონაწილეობისა და 2. არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმისათვის.

როგორ უნდა მოვიქცეთ ამჟამად, როცა სსკ-ის 171-ე მუხლი არ ითვალისწინებს არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმის შემადგენლობას? ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანია.

გორის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 27 თებერვლის განაჩენით მ. ბ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 171-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-19, 177-ე მუხლის მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2006 წ. 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში და საბოლოოდ მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საერთო რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით.

ბ-ძესთან ერთად ქურდობის მცდელობისათვის მსჯავრი დაედო ორ არასრულწლოვანს – რ-ძესა და გ-შვილს. ორივეს შეეფარდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, რაც პირობით არ იყო გამოყენებული და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდათ 2 წელი.

განაჩენის მიხედვით, ბ-ძეს, რ-ძესა და გ-შვილს მსჯავრი დაედოთ ქურდობის მცდელობისათვის წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონო შეღწევით; ბ-ძეს მსჯავრი დაედო აგრეთვე იმაში, რომ ჩაიდინა არასრულწლოვანის დაყოლიება ანტისაზოგადობრივ ქმედებაზე, რაც გამოიხატა შემდეგში:

მ. ბ-ძე ცხოვრობს ქ. გორში, ...№... მდებარე ბინაში. მის მეზობლად ცხოვრობს დაზარალებული ზ. ა-შვილი, რომელიც ძირითადად გორის რაიონის სოფელ იმყოფებოდა, ხოლო ქ. გორში მდებარე ბინის გასაღები ჩაბარებული ჰქონდა მ. ბ-ძის ოჯახის წევრთათვის.

2005 წლის 19 ნოემბერს მ. ბ-ძე დაუკავშირდა არასრულწლოვნებს – ს. რ-ძესა და გ. გ-შვილს, რომლებსაც უთხრა, რომ აქვს ჩაბარებული ბინის გასაღები და დაიყოლია ისინი მის გაქურდვაზე. მათ გადაწყვიტეს, დაახლოებით 3 საათზე აივნიდან შესულიყვნენ ზ. ა-შვილის ბინაში. პატარა ფანჯრიდან ჯერ შე-

ვიდა მ. ბ-ძე, გააღო აივნის კარი, რის შემდეგაც შევიდნენ ს. რ-ძე და გ. გ-შვილი. მათ სხვადასხვა ნივთები გააჩვიეს საწოლის გადასაფარებელში, მაგრამ ბინიდან გატანა ვერ შეძლეს, რადგან სამივე ზ. ა-შვილის საცხოვრებელ ბინაში დააკავეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 2 მაისის განაჩენით რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელი.

განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა მ. ბ-ძემ, რომელიც ითხოვდა სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელის შეცვლას პირობითი მსჯავრით იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომ პირველადაა სამართალში, დედისერთაა, ობოლი, ჰყავს პენსიონერი, ინვალიდი დედა, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ კასატორის საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და გასაჩივრებული განაჩენი შეცვალა მსჯავრდებულის სასიკეთოდ. პალატის განჩინებაში ვკითხულობთ: „სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ბ-ძემ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 171-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ე.ი. არასრულწლოვნის დაყოლიება ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე.“

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ქმედება გულისხმობს არასრულწლოვნის დაყოლიებას სხვადასხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე, რომელიც არ წარმოადგენს დანაშაულს. ამდენად, გასაჩივრებული განაჩენიდან მ. ბ-ძის მიმართ უნდა ამოირიცხოს საქართველოს სსკ-ის 171-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრი.“

პალატამ საქმეში არსებული მასალებით სრულიად დადასტურებულად მიიჩნია მ. ბ-ძის მიერ საქართველოს სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2006 წ. 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, თუმცა ჩათვალა, რომ მისთვის დანიშნული სასჯელი მეტისმეტად მკაცრია.

საკასაციო პალატამ დაადგინა, რომ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მ. ბ-ქემ დანიშნული სასჯელიდან მოიხადოს 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 9 თვით თავისუფლების აღკვეთა ჩათვალოს პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.<sup>1</sup>

სსკ-ის 171-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ გ. ვ-შვილის საქმეზე.

2002 წლის ნოემბრის თვეში, რიცხვი დაუდგენელია, გ. ვ-შვილმა რაიონის სოფელ ...ში შეიძინა არაყი და არასრულწლოვან ნ. ბ-ურთან და სხვებთან ერთად დალია. ამის შემდეგ მთვრალმა, ქურდობის ჩადენაზე დაიყოლია ნ. ბ-ური. იმავე დამეს ისინი მივიდნენ მათ სოფელში მცხოვრებ ლ-შვილის საცხოვრებელ სახლთან, სადაც გ. ვ-შვილმა ფანჯარასთან დააყენა არასრულწლოვანი ნ. ბ-ური, ხოლო თვითონ გატეხა ფანჯარა და ამ გზით შეაღწია ბინაში. მან ნ. ბ-ურს ფანჯრიდან გადმოაწოდა ორი ცალი უცხოური წარმოების მაგნიტოფონი, სულ 120 ლარის ღირებულების, მაგნიტოფონის ფირები და კასეტები, მაჯის საათი და სხვა ნივთები. სულ დაზარალებულს მიაღვა 222 ლარის მატერიალური ზარალი.

გ. ვ-შვილს მსჯავრი დაედო პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, არაერთგზის და ბინაში უკანონო შეღწევით ჩადენილი ქურდობისათვის, ასევე, არასრულწლოვანის ანტისაზოგადობრივ ქმედებებზე – ლოტობასა და ქურდობაზე დაყოლიებისათვის. არასრულწლოვან ბ-ურს კი – პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითა და ბინაში უკანონო შეღწევით ქურდობის ჩადენისათვის. ამგვარი კვალიფიკაცია მართებულად მიიჩნია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ. (2006 წლის 23 თებერვლის განჩინება).<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, უზენაესი სასამართლოს პალატა არ არის

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2006, №5, გვ.191-195.

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2006, №5, გვ.15-18.

თანმიმდევრული. ერთ შემთხვევაში პალატამ მიიჩნია, რომ არასრულწლოვნის დაყოლიება ქურდობაზე არ უნდა ჩაითვალოს ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმად და შესაბამისად არ უნდა დააკალიფიცირდეს სსკ-ის 171-ე მუხლით, რადგან „ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ქმედება გულისხმობს არასრულწლოვნის დაყოლიებას სხვადასხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე, რომელიც არ წარმოადგენს დანაშაულს“. მეორე, ზუსტად ანალოგიურ შემთხვევაში კი, პალატამ არასრულწლოვნის ქურდობაზე დაყოლიება ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმად ჩათვალა და დააკალიფიცირა სსკ-ის 171-ე მუხლით.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, ზემოთ მოტანილი ორი განჩინებიდან ჩვენ მართებულად მიგვაჩნია მეორე. დანაშაული ანტისაზოგადოებრივი ქმედებაა. ამიტომ არასრულწლოვნის დანაშაულში (ჩვენს მაგალითში – ქურდობაში) ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმად უნდა ჩაითვალოს.<sup>1</sup> კაცი, რომელმაც წააქეზა არასრულწლოვანი დანაშაულის ჩასადენად, მართალია, პასუხს აგებს არასრულწლოვანის მიერ ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეობის, კერძოდ, წამქეზებლობისათვის, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მართო თანამონაწილეობის ჩარჩოებში ვერ თავსდება მის მიერ ჩადენილი ქმედება. პასუხისმგებლობა ქურდობაში თანამონაწილეობისათვის ნიშნავს პასუხისმგებლობას სხვისი საკუთრების ხელყოფისათვის, მაგრამ გარდა საკუთრებისა, წამქეზებელმა დანაშაულში ჩაბმით ხელყო თვით ამსრულებლის – არასრულწლოვნის პიროვნებაც, მისი ნორმალური ზნეობრივი განვითარება. ამ სიკეთის ხელყოფა სამართლებრივი რეაგირების მიღება არ უნდა დარჩეს და წამქეზებლის ქმედების კვალიფიკაციაზე

---

1 აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული განჩინების მიხედვით, დანაშაულის ქმედების სსკ-ის 171-ე მუხლით კვალიფიკაციას საფუძვლად დაედო არასრულწლოვნის დაყოლიება „ანტისაზოგადოებრივ ქმედებებზე ლოთობასა და ქურდობაზე“. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ არასრულწლოვნის ერთხელ დათრობა არ ნიშნავს მის ლოთობაში (და შესაბამისად ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში) ჩაბმას. ამიტომ ამ ნაწილში უზენაესი სასამართლოს პალატის განჩინებას ვერ დავეთანხმებით. რაც შეეხება იმას, რომ პალატამ არასრულწლოვნის ქურდობაზე დაყოლიება ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმად მიიჩნია, ეს საესებო სწორი და დასაუთუებელია.

უნდა აისახოს. 171-ე მუხლი იცავს სწორედ არასრულწლოვანის პიროვნებას, მის სწორ ზნეობრივ და ფიზიკურ განვითარებას. ამ სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფს როგორც არასრულწლოვანის დაყოლიება მათხოვრობაზე, გამაბრუებელ ან სამკურნალწამლო საშუალებათა არასამედიცინო მოხმარებაზე, ასევე (და უფრო მეტად) მისი დანაშაულში ჩაბმა. ამიტომ ალოგიკური იქნებოდა უკანასკნელ შემთხვევაში უფროსს არ ვაგებინოთ პასუხი სსკ-ის 171-ე მუხლით. ამ მუხლში ანტისაზოგადოებრივ ქმედებათა ჩამონათვალი სანიმუშოა და არა ამომწურავი. მიგვაჩნია, რომ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმას მოიცავს „სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე“ არასრულწლოვნის დაყოლიების შემადგენლობა.

საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტის შემთხვევაში შესაძლოა შემდეგი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდეთ: როგორ უნდა დავაკვალიფიციროთ ისეთი შემთხვევა, როცა უფროსი კონკრეტულად განსაზღვრული დანაშაულის ჩასადენად არ აქეზებს არასრულწლოვანს, მაგრამ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმის მიზნით სისტემატურად ახდენს მასზე გამზრუნველ ზემოქმედებას, აღუბრავს ინტერესს „დანაშაულებრივი რომანტიკისადმი“, ეწევა „ქურდული ცხოვრების“ პროპაგანდას და ა.შ. მისი მავნე ზემოქმედების შედეგად არასრულწლოვანმა მართლაც ჩაიდინა დანაშაული. ამ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის უფროსს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, რადგან თანამონაწილეობა, კერძოდ კი – წაქეზება გულისხმობს სხვის დაყოლიებას კონკრეტულად განსაზღვრული დანაშაულის ჩასადენად. თუ ჩავთვლით, რომ 171-ე მუხლი არ მოიცავს არასრულწლოვანის ჩაბმას დანაშაულებრივ საქმიანობაში, იგი ვერც ამ მუხლით აგებს პასუხს და საერთოდ დაუსჯელი დარჩება. საკითხის ასეთი გადაწყვეტა კი გაუმართლებელი და მიზანშეუწონელი იქნებოდა.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკაში გაუგებრობის თავიდან აცილებისა და მისი ერთგვაროვნად განხორციელების მიზნით, უმჯობესი იქნება სსკ-ის 171-ე მუხლის დისპოზიციაში დაფიქსირდეს არასრულწლოვნის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმის შემადგენლობა, როგორც ეს იყო ადრე მოქმედი კოდექსის 236-ე მუხლში.

მუხლი 172. არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგებების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით

1 არასრულწლოვნის ყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით,-

ისეუბნება გამასწორებელი საბუშართი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე.

2. (ამოღებულია)

3. (ამოღებულია)

4. (ამოღებულია)

*(საქართველოს 2000 წლის 30 ივნისის კანონი №458-სსმ I, 2000 წ. №27, მუხ. 83; საქართველოს 2003 წლის 6 ივნისის კანონი №2355-სსმ I, 2003 წ., № 18, მუხ. 117)*

ამ ქმედების დასჯადობა ეფუძნება იმას, რომ ადამიანი, სრულწლოვანი იქნება ის თუ არასრულწლოვანი, არ შეიძლება იყოს ყიდვა-გაყიდვის საგანი. მართალია, ამ შემთხვევაში არასრულწლოვნის ყიდვა ხდება კეთილშობილური მოტივით, მისი შვილად აყვანისა და ოჯახურ გარემოში აღზრდის მიზნით, მაგრამ არასრულწლოვანი გაიგივებულია ნივთთან, რომელიც შეიძლება იყოს სამოქალაქო ბრუნვის საგანი. ხდება მყიდველის – შვილად ამყვანის მიერ გამყიდველისათვის ფულის გადახდა არასრულწლოვანში, რის სანაცვლოდაც იგი გადასცემს გაყიდულ არასრულწლოვანს მყიდველს. ეს უკანონო გარიგებაა, რომელიც გარდა იმისა, რომ ბათილია, დანაშაულებრივი და დასჯადიც არის.

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა ალტერნატიულია. დასჯადია „არასრულწლოვნის ყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება“. დანაშაულის ობიექტური მხარის დახასიათებისას საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ყიდვა და სხვა უკანონო გარიგება. არასრულწლოვნის ყიდვა უკანონო გარიგების ერთ-ერთი სახეა, მაგრამ კანონმდებელმა იგი, როგორც უფრო ტიპიური და გავრცელებული, საგანგებოდ გამოიკყო. არასრულწლოვნის ყიდვა მხოლოდ შეთანხმებული ფა-

სის გადახდით ხორციელდება. ვერ დავეთანხმებით სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვნის ყიდვა ნიშნავს ასევე მის შეძენას „სხვა ნივთში გაცვლით, ვალში ჩათვლით“.<sup>1</sup> უფრო სწორი იქნებოდა, არასრულწლოვნის გაცვლა რაიმე ნივთში, ან მისი გადაცემა ვალის სანაცვლოდ (ვალში ჩათვლა) არა ყიდვად, არამედ „სხვა უკანონო გარიგებად“ ჩაგვეთვალა.<sup>2</sup> გაცვლა და ყიდვა-გაყიდვა, მართალია, ემსგავსებიან ერთმანეთს, მაგრამ „მათ შორის არსებობს ისეთი განსხვავება, რაც გაცვლის ხელშეკრულების დამოუკიდებელი სახის ხელშეკრულებად მიჩნევის საფუძველს წარმოადგენს. ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, გაცვლის დროს ეკვივალენტის სახით გამოდის არა ფული, არამედ ტოლფასიანი ქონება“.<sup>3</sup> „სხვა უკანონო გარიგებად“ და არა ყიდვად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე არასრულწლოვნის გადაცემა ვალის სანაცვლოდ (ვალში ჩათვლა).

“არასრულწლოვნის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება გულისხმობს არასრულწლოვანის შეძენას სხვა პირისაგან, როცა შემძენი ჰპირდება არასრულწლოვანის გამსხვისებელს, რომ სანაცვლოდ ხელს შეუწყობს სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებაში, მოაწყობს სამუშაოზე, დაეხმარება საზღვარგარეთ გამგზავრებაში, იზრუნებს იმაზე, რომ მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდეს და ა.შ. ამდენად, სხვა უკანონო გარიგების განხორციელება გულისხმობს არასრულწლოვანის გამყიდველისათვის სასარგებლო მოქმედების განხორციელებას ან მისი განხორციელების პირობების მიცემას“.<sup>4</sup>

პასუხისმგებლობა სსკ-ის 172-ე მუხლით არ უნდა დადგეს იმ შემთხვევაში, როცა შეილად ამყვანი ბავშვის გამშვილებელს წინასწარი შეთანხმების გარეშე, საკუთარი სურვილით გადასცემს გარკვეულ თანხას (ან მატერიალური ღირებულების მქონე ნივთს),

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2006, გვ.307.

2 სწორად მსჯელობს ამ საკითზე დოდო ჯულუხაძე. იხ. მისი „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ტრეფიკინგისათვის“. თბილისი, 2006, გვ.12.

3 ზურაბ ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 112.

4 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გვ. 307.



მადლიერების ნიშნად ან სიბრალულის გამო. სასამართლოებმა ყურადღებით უნდა შეისწავლონ საქმის გარემოებები და დაადგინონ, თანხის გადაცემა წინასწარ იყო თუ არა პირობადებული. სასამართლო პრაქტიკის გაცნობამ გვიჩვენა, რომ ბავშვის მყიდველი და გამყიდველი თავის გამართლების მიზნით ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მადლიერების ან სიბრალულის გამო შეიღად ამყვანმა აჩუქა გამშვილებელს გარკვეული თანხა ყოველგვარი შეთანხმების გარეშე და ეს არ იყო ბავშვის ყიდვის საფასური.

რაიონულმა სასამართლომ მსჯავრი დასდო ირაკლი ჩ-ძეს საქართველოს სსკ-ის 172-ე მუხლით – შეიღად აყვანის მიზნით არასრულწლოვნის ყიდვისათვის. მან მეზობლის, გიორგი ლ-შვილისგან შეიტყო, რომ რაიონის სოფელ ში მცხოვრები ცოლ-ქმარი ნინო ი-ლი და გელა ნ-ძე აპირებდნენ მეორე შვილის, ექვსი დღის ახალშობილის გაშვილებას. ირაკლი ჩ-ს და მის მეუღლეს დიდი ხანია ბავშვის შვილება უნდოდათ. 2005 წლის 25 იგი მეუღლესთან ერთად ჩავიდა რაიონის სოფელ

.ში ბავშვის სანახავად. გიორგი ლ-შვილის შვილმა ლალი ლ-შვილმა, რომელიც იმავე სოფელში ცხოვრობდა, მიიყვანა ისინი ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ნინო ი-ლისა და გელა ნ-ძის ოჯახში. მათ მოეწონათ ახალშობილი, მისცეს მშობლებს 500 ლარი და ბავშვი იმავე დღეს წაიყვანეს.

განსასჯელმა ირაკლი ჩ-მ წარდგენილ ბრალდებაში თავი არ ცნო დამნაშავედ. როგორც წინასწარი გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებაში, ასევე საქმის სასამართლო განხილვისას მან აღნიშნა, რომ .ში ჩავიდა ბავშვის სანახავად, რათა გადაეწყვიტა შეიღად აყვანის საკითხი. ოჯახში მისვლისას მან და მისმა მეუღლემ ნახეს, თუ როგორ სიდუხჭირეში ცხოვრობდნენ ბავშვის მშობლები. მათ მოეწონათ ახალშობილი და გადაწყვიტეს მისი შეიღად აყვანა. ვინაიდან ოჯახს ძალიან უჭირდა და ბავშვი იყო მოუვლელი, გადაწყვიტეს იმ დღესვე წაეყვანათ. მას შეეცოდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი და მათი მეორე მცირეწლოვანი შვილი, რომლებიც მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ და წამოსვლისას დაუტოვა მათ 500 ლარი, რათა ძროხა ეყიდათ და მეორე ბავშვი გამოეკვებათ. ანალოგიური ჩვენება მისცა და ბავშვის ყიდვის ფაქტი უარყო

მოწმის სახით დაკითხულმა ირაკლი ჩ-ძის მეუღლემაც.

ბავშვის ბიოლოგიურმა მშობლებმა – ნინო ი-ლმა და გელა ნ-ძემ, ასევე უარყვეს რაიმე გარიგება მათსა და მშვილებლებს შორის და ბავშვის გაყიდვის ფაქტი. მათ აღნიშნეს, რომ მშვილებლებმა მადლიერების ნიშნად წასვლისას დაუტოვეს 500 ლარი.

ბავშვის მშობლებისა და შვილად აყვანთა ჩვენებები, მათ შორის თანხის გამო შეთანხმების არარსებობა, არ დადასტურდა მოწმეთა მიერ. მოწმე ლალი ლ-შვილის ჩვენებით, მან მეზობლისგან გაიგო, რომ გელა ნ-ძე და ნინო ი-ლი აპირებდნენ მეორე ბავშვის გაყიდვას 500 აშშ დოლარად. ამ დროს მასთან სტუმრად იმყოფებოდა მამამისი, რაიონის სოფელ ში მცხოვრები გიორგი ლ-შვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ მის მეზობელს – ირაკლი ჩ-ს სურს ბავშვის შვილად აყვანა და სთხოვა ეცნობებინათ ახალშობილის მშობლებისათვის. თვითონ კი სოფელში ჩასვლისთანავე ირაკლი ჩ-ს დაელაპარაკებოდა. როდესაც ეს უკანასკნელი მეუღლესთან ერთად ჩამოვიდა ბავშვის სანახავად, ლალი ლ-შვილმა მიიყვანა ისინი გელა ნ-ძის ოჯახში. მათ მოეწონათ ბავშვი და გადაწყვიტეს იმ დღესვე წაეყვანათ. მშობლებს კი უთხრეს, რომ თანხას ამჟამად მთლიანად ვერ მისცემდნენ, მხოლოდ ნაწილი ჰქონდათ წამოღებული. მათ დატოვეს 500 ლარი და ბავშვი წაიყვანეს. ლალი ლ-შვილმა ასევე აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ მშვილებლები ტელეფონით დაუკავშირდნენ მას და სთხოვეს ბავშვის მშობლებისთვის გადაეცა, რომ დანარჩენ თანხას დათქმულ დღეს ჩამოიტანდნენ.

ასეთივე ჩვენება მისცა მოწმე დავით გ-ძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ 2005 წლის მას დაუძახა მეზობელმა გელა ნ-მ და უთხრა: ახალშობილის წასაყვანად არიან მოსულები, 500 აშშ დოლარი უნდა გადამიხადონ და თანხის გადაცემას დაესწარიო. მშვილებლებმა გადაუხადეს 500 ლარი და დაპირდნენ, რომ დანარჩენ ფულს ერთ კვირაში მიუტანდნენ.

ირაკლი ჩ-ს სწორად დაედო მსჯავრი სსკ-ის 172-ე მუხლით – ბავშვის ყიდვისათვის შვილად აყვანის მიზნით. ცოლ-ქმარს, რომლებმაც ბავშვი გაყიდეს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაკისრებიათ. საკითხის ასეთი გადაწყვეტა არასწორია,

რის შესახებაც მოგვიანებით გვექნება საუბარი. სისხლის სამართლის წესით პასუხი უნდა ეგო ირაკლი ჩ-ძის მეუღლესაც დანაშაულის თანამსრულებლობისათვის; ხოლო მამა-შვილს გიორგი და ლალი ლ-შვილებს კი – ბავშვის მყიდველისა და გამყიდველის მიერ ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის.

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობის არსებობისათვის აუცილებელია შვილად აყვანის მიზნის არსებობა. ასე რომ, სახეზეა მიზნით დაფუძნებული დელიქტი. თუ არასრულწლოვნის ყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგება შვილად აყვანის მიზნის გარეშე ხდება, (მაგალითად, არასრულწლოვნის შრომითი ან სექსუალური ექსპლოატაციის მიზნით და ა.შ.), მაშინ 172-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არ გვექნება. ასეთ შემთხვევებში პირი პასუხს აგებს სსკ-ის 143<sup>2</sup>-ე მუხლით (არასრულწლოვნით ვაჭრობა), რომელიც გაცილებით უფრო მძიმე დანაშაულს წარმოადგენს და შესაბამისად, უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე შვილად აყვანის მიზნით არასრულწლოვნის ყიდვა. ეს ის შემთხვევაა, როცა მიზანმა სხვა შინაარსი შესძინა უმართლობას და უფრო მძიმე ხარისხის უმართლობა დააფუძნა.

სახვასმით უნდა აღინიშნოს, რომ შვილად აყვანის მიზანი 172-ე მუხლით გათვალისწინებული ორივე შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია და ეხება როგორც არასრულწლოვნის მყიდველს, ისე მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განმახორციელებელს. აქედან გამომდინარე, ამ მუხლით არ შეიძლება პასუხი აგოს მშობელმა, რომელმაც ბავშვი შვილად ამყვანს მიჰყიდა. ცხადია, გამყიდველს არ შეიძლება შვილად აყვანის მიზანი ჰქონდეს. ამ საკითხზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ სასამართლო პრაქტიკის გაცნობამ სრულიად საპირისპირო სურათი დაგვანახა: მშობელს, რომელმაც არასრულწლოვანი გაყიდა და მიჰყიდა შვილად ამყვანს, არასწორად ედება მსჯავრი სსკ-ის 172-ე მუხლით, კერძოდ, „არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელებისათვის შვილად აყვანის მიზნით“. ასე რომ, კანონის სიტყვები „სხვა უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით“ გაგებულია, როგორც არასრულწლოვნის გაყიდვა, მისი მიყიდვა შვილად ამყვანისათვის.

2005 წლის ზაირა ლ-ძეს შეეძინა გოგონა – დალი ლ-ძე. ამ დროისათვის ის მეუღლესთან ფაქტიურად დაშორებული იყო. ბავშვის დაბადებიდან ცოტა ხანში კი მეუღლე გარდაიცვალა. ზაირა ლ-მ ბავშვი დედასთან წაიყვანა და იქ ზრდიდა. 2006 წლის თებერვალში მას ბავშვი ცუდად გაუხდა და დააწვინა რაიონული სააკადემოფოს ბავშვთა განყოფილებაში. რადგან ეკონომიურად ძალიან უჭირდა და არ ჰქონდა შვილის გაზრდის შესაძლებლობა, გადაწყვიტა ბავშვი გაეშვილებინა. ეს ამბავი შეიტყო თბილისში მცხოვრებმა ნანა ი-შვილმა, რომელიც ხშირად მოდიოდა სააკადემოფოში იქ მწოლიარე დედის მოსანახულებლად. ნანა ი-სა და მის მეუღლეს შვილი არ ჰყავდათ. მან ინახულა ზაირა ლ. და უთხრა, რომ სურდა მისი ბავშვის შვილად აყვანა. ისინი შეთანხმდნენ, რომ ნანა ი-შვილი ზაირა ლ-ს გადაუხდიდა 500 ლარს და ბავშვს წაიყვანდა, რაც რამდენიმე დღის შემდეგ განახორციელეს.

ნანა ი-ს ქმედება, რომელმაც ბავშვი შვილად აყვანის მიზნით იყიდა, რატომღაც სისხლისსამართლებრივი რეაგირების მიღმა დარჩა. 172-ე მუხლი სწორედ ასეთი შვილად აყვანის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. მუხლის დისპოზიციაში შავით თეთრზე წერია: „არასრულწლოვნის ყიდვა შვილად აყვანის მიზნით“. ბავშვის დედას კი მსჯავრი დაედო სსკ-ის 172-ე მუხლით – არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელებისათვის შვილად აყვანის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ზაირა ლ-ძეს, გარდა ძირითადი სასჯელი-სა (თავისუფლების შეზღუდვა ორი წლის ვადით, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა ორი წელი), შეეფარდა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. გაუგებარია, რა მოსაზრებით იხელმძღვანელა სასამართლომ, როცა დედას, რომელმაც მატერიალური გაჭირვების გამო საკუთარი შვილი გაყიდა, დამატებითი სასჯელის სახით 500 ლარის ოდენობით ჯარიმა დააკისრა.

ზემოთ მოტანილი მაგალითი გამყიდველის ქმედების არასწორი კვალიფიკაციისა სსკ-ის 172-ე მუხლით, სამწუხაროდ გამონაკლისს არ წარმოადგენს. 2005-2007 წლების განმავლობაში

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში შეიღად აყვანის მიზნით არასრულწლოვნის ყიდვის ცხრა შემთხვევა დადგინდა. ყველა მათგანში გამყიდველის როლში მშობელი გვევლინება. აქედან ხუთ შემთხვევაში მშობელმა, რომელმაც ბავშვი შეიღად ამყვანს მიჰყიდა, პასუხი აგო სსკ-ის 172-ე მუხლით. არადა, ეს მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ არასრულწლოვნის მყიდველთა და სხვა უკანონო გარიგების გზით შემძენთა პასუხისმგებლობას, რომლებიც ბავშვის შეიღად აყვანის მიზნით მოქმედებენ. დანარჩენ ოთხ შემთხვევაში მშობლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაკისრებიან.

რაიონულმა სასამართლომ ელენე ნ-მეს მსჯავრი დასდო საქართველოს სსკ-ის 172-ე მუხლით. მან თავისი ახალშობილი მიყიდა მზია გ-შვილს 500 ლარად. საბრალდებო დასკვნასა და განაჩენში აღნიშნულია, რომ ელენე ნ-მ განახორციელა არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგება შეიღად აყვანის მიზნით. ბავშვის გამყიდველის ქმედების ასეთი კვალიფიკაცია ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გამყიდველს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს შეიღად აყვანის მიზანი. ეს მიზანი 172-ე მუხლით გათვალისწინებული ორივე შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია. ვინაიდან ელენე ნ-ს საქმესთან დაკავშირებით სხვებსაც დაეკისრათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მოკლეთ გავეცნოთ მის შინაარსს.

2004 წლის ე. ნ-ს შეეძინა უკანონო შვილი. უსახსრობის გამო მან გადაწყვიტა ბავშვის გაყიდვა და მეგობრებს გაანდო ეს ამბავი. რამდენიმე დღის შემდეგ მასთან პალატაში მივიდა უშვილო ცოლ-ქმარი, რომლებმაც განუცხადეს, რომ ბავშვის შეიღად აყვანა სურდათ და დაითანხმეს 500 ლარად მათთვის მიეშვილებინა. საავადმყოფოდან გამოწერისთანავე ე.ნ-მ საავადმყოფოს ეზოში ბავშვი გადასცა მზია გ-შვილს და მიიღო შეპირებული თანხა.

მზია გ-მ დაითანხმა რაიონული საავადმყოფოს გინეკოლოგიური განყოფილების მედლა თეა ს-ძე დაემზადებინა ყალბი ოფიციალური დოკუმენტი მისი საავადმყოფოში ყოფნისა და მშობიარობის შესახებ. მედლამ დაამზადა დაბადების სამედიცინო ცნობა №47, რომელშიც შეიტანა ბავშვის მშობლების ყალბი მონაცემები.

ამ ცნობის საფუძველზე რაიონის სოფელ გამგეობამ გასცა ბავშვის დაბადების მოწმობა.

მზია გ-ს სწორად დაედო მსჯავრი სსკ-ის 172-ე მუხლით – შვილად აყვანის მიზნით არასრულწლოვნის ყიდვისათვის. ასევე ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებაში თანამონაწილეობის, კერძოდ წაქეზებისა და ამ დოკუმენტის გამოყენებისათვის.

ამავე საქმეზე მსჯავრი დაედოთ გინეკოლოგიური განყოფილების მედღას – ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისა და გასაღებისათვის (სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილი) და განყოფილების გამგეს – სამსახურებრივი გულგრილობისათვის (სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამ უკანასკნელმა მედღის მიერ შედგენილ ყალბ დოკუმენტს ისე მოაწერა ხელი, რომ არ შეუმოწმებია მისი სინამდვილე.

თუ შვილება ზდება მეუღლეების მიერ, განსახილველი დანაშაულის თანამსრულებლობა გვექნება მაშინ, როცა ორივე მეუღლე მონაწილეობს ბავშვის ყიდვისა და წამოყვანის პროცესში. ზემოთ მოტანილი საქმის მიხედვით, მზია გ-ს ქმარი მხოლოდ ბავშვის დედასთან გარიგების დროს ახლდა. იგი ცოლთან ერთად შეუთანხმდა მას თანხის ოდენობასა და ბავშვის გადაცემის დროზე, ე.ი. მონაწილეობა მიიღო დანაშაულის მოსამზადებელ საქმიანობაში. 172-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული კი ნაკლებად მძიმეთა კატეგორიას განეკუთვნება და მისი მომზადება არ ისჯება. ბავშვი იყიდა ცოლმა – მზია გ-მ, რომელმაც დათქმულ დროსა და ადგილზე ფული გადასცა ელენე ნ-ს და ბავშვი წამოიყვანა. ამიტომ სასამართლომ მხოლოდ მას დასდო მსჯავრი სსკ-ის 172-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და არა ქმარს, რომელსაც ბავშვის ყიდვის პროცესში მონაწილეობა არ მიუღია. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ როდესაც მეუღლეები ერთობლივად, თანამსრულებლობით სჩადიან დანაშაულს და ორივე მონაწილეობს ბავშვის ყიდვისა და გადაცემის პროცესში, რატომღაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ ერთერთ მათგანს აკისრებენ. ამის მაგალითად გამოდგება თუნდაც ზემოთ მოტანილი ირაკლი ჩ-ძის საქმე, ასევე ჩვენს მიერ შესწავლილი სხვა საქმეებიც, რომლებსაც მოგვიანებით განვიხილავთ.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: როგორ უნდა გადაწყდეს გამყიდველის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი? ამ საკითხზე სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სახელმძღვანელოს ავტორთა აზრით, ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით „პირი, რომელმაც არასრულწლოვანი გაყიდა (მაგალითად, მშობელმა) და ამ გზით გააშვილა (ე.ი. დარწმუნებულია, რომ მიჰყიდა შვილად ამყვანს), სისხლის სამართლის წესით პასუხს არ აგებს“.<sup>1</sup> კანონმდებელს რომ სურდეს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამყიდველსაც დააკისროს, მაშინ ამას კანონში პირდაპირ მიუთითებდა, როგორც ეს გააკეთა 143<sup>1</sup>-ე და 143<sup>2</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ობიექტური მხარის დახასიათებისას, სადაც ლაპარაკია არასრულწლოვნის ყიდვაზე ან გაყიდვაზე. ყოველივე ზემოთქმული, სახელმძღვანელოს ავტორთა აზრით, ეხება მშობელსაც, რომელიც შვილს გაყიდვის გზით გააშვილებს. მათი დასკვნა ასეთია: ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით ასეთი მშობელი არ აგებს პასუხს სისხლის სამართლის წესით. თუმცა საკითხის ამგვარი გადაწყვეტა კანონმდებლის მიერ მათ არასწორად მიაჩნიათ და თვლიან, რომ მშობელი უნდა ისჯებოდეს.<sup>2</sup>

ჩვენ ვეთანხმებით სახელმძღვანელოს ავტორთა პოზიციას, რომ „მშობელი, რომელიც ყიდის თავის შვილს, როგორც ნივთს, თუნდაც იმ პირზე, ვისაც შვილად აყვანის მიზანი ამოძრავებს, უნდა დაისაჯოს“.<sup>3</sup> მაგრამ ვერ დავეთანხმებით მათ იმაში, რომ ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით ასეთი მშობელი არ ისჯება. სადაო არ არის ის, რომ სსკ-ის 172-ე მუხლი გამყიდველის პასუხისმგებლობას არ მოიცავს. ეს მუხლი ეხება მხოლოდ მყიდველს, ან სხვა უკანონო გარიგების განმახორციელებელს, რომელსაც ბავშვის შვილად აყვანის მიზანი აქვს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გამყიდველი, მათ შორის მშობელიც, რომელმაც ბავშვი

---

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გვ.308.

2 იქვე, გვ.307-308.

3 იქვე, გვ.308.

შვილად ამყვანს მიჰყიდა, საერთოდ არ აგებს პასუხს სისხლის სამართლის წესით.

სახელმძღვანელოს ავტორთა ზემოთ ციტირებული თვალსაზრისის განმარტებისას დოღო ჯულუხაძე წერს: „მსგავს შემთხვევაში მშობელი, რომელმაც ბავშვი გაყიდა, არა თუ არ ისჯება, არამედ, იმაზე უფრო მკაცრად აგებს პასუხს, ვიდრე ამას სსკ-ის 172-ე მუხლი ითვალისწინებს. უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი პირისათვის, მშობელი იქნება თუ სხვა პირი, აკრძალულია ადამიანით, როგორც სრულწლოვნით, ისე არასრულწლოვნით ვაჭრობა. შესაბამისად, მშობლის მიერ ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 143<sup>2</sup>-ე მუხლით, როგორც არასრულწლოვნით ვაჭრობა, რადგან მას ანგარება ამოძრავებდა. კანონმდებელი, როგორც ვხედავთ, სსკ-ის 172-ე მუხლით გათვალისწინებული არასრულწლოვნის ყიდვისას, ანგარიშს მხოლოდ მშვილებელს უწევს, რადგან მას კეთილშობილური მიზანი ამოძრავებს, ამიტომ პასუხსაც გაცილებით მსუბუქად სთხოვს, ვიდრე მშობელს, რომელმაც ბავშვი გაყიდა.“<sup>1</sup> ამრიგად, დ. ჯულუხაძის აზრით, მშობელი ან სხვა პირი, რომელმაც ბავშვი მიჰყიდა შვილად ამყვანს, პასუხს აგებს სსკ-ის 143<sup>2</sup>-ე მუხლით – არასრულწლოვნით ვაჭრობისათვის.

ამ, ჩემი აზრით, საკვებით სწორი პოზიციის გასამყარებლად მიზანშეწონილად მიმაჩნია გადავხედოთ არასრულწლოვნით ვაჭრობის შესახებ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების ისტორიას. ამჟამად მოქმედი კოდექსის თავდაპირველი რედაქციით 172-ე მუხლი ოთხი ნაწილისაგან შედგებოდა. მუხლის პირველი ნაწილი ამჟამინდელი რედაქციის იდენტური იყო და ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას არასრულწლოვნის ყიდვის ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებისათვის შვილად აყვანის მიზნით. მუხლის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილში კი მოცემული იყო კვალიფიციური შემადგენლობები. კერძოდ: არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ანდა მის მიმართ სხვა უკანონო გარიგება (მეორე ნაწილი); ამ მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი

---

<sup>1</sup> დოღო ჯულუხაძე, დასახ. ნაშრ., გვ.42.



არაერთგზის, ორი ან მეტი არასრულწლოვნის მიმართ, ჯგუფურად და ა.შ. (მესამე ნაწილი) და ამ მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია არასრულწლოვნის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

როგორც ვხედავთ, 172-ე მუხლის მეორე ნაწილით ისჯებოდა არასრულწლოვნის ყიდვა, ოღონდ შეილად აყვანის მიზნის გარეშე. რაც შეეხება ამავე ნაწილით გათვალისწინებულ არასრულწლოვნის გაყიდვას, იგი მოიცავდა გაყიდვის ყველა შემთხვევას, იმისგან დამოუკიდებლად, შეილად ამყვანს მიჰყიდეს არასრულწლოვანი თუ სხვას. ამავე შემადგენლობით იყო მოცული ისეთი შემთხვევებიც, როცა მშობელი შეიღს გაყიდვის გზით გააშვილებს. 2003 წლის 6 ივნისის კანონით ეს შემადგენლობა, დანარჩენ ორ კვალიფიციურ შემადგენლობასთან ერთად 172-ე მუხლიდან გადატანეს 143<sup>2</sup>-ე მუხლში (არასრულწლოვნით ვაჭრობა – ტრეფიკინგი), რომელიც სისხლის სამართლის კოდექსს იმავე 2003 წლის 6 ივნისის კანონით დაემატა და რომლითაც არასრულწლოვნით ვაჭრობის შემადგენლობა შეივსო ახალი ნიშნებით.<sup>1</sup> ასე რომ, მოხდა არა ქმედების (შეილად ამყვანისათვის არასრულწლოვნის მიყიდვის) დეკრიმინალიზაცია, არამედ მისი გადატანა 172-ე მუხლიდან 143<sup>2</sup>-ე მუხლში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ, მართალია, სსკ-ის 172-ე მუხლიდან არასრულწლოვნის გაყიდვის შემადგენლობა ამოიღეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გამყიდველი, მათ შორის მშობელი, რომელმაც ბავშვი შეილად ამყვანს მიჰყიდა, საერთოდ არ აგებს პასუხს სისხლის სამართლის წესით. ეს მოჩვენებითი დეკრიმინალიზაციაა. ასეთი გამყიდველის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს სსკ-ის 143<sup>2</sup>-ე მუხლი – არასრულწლოვნით ვაჭრობა.

მართლაც, სრულიად ალოგიკური იქნებოდა სისხლის სამართლის წესით პასუხი ვაგებინოთ მყიდველს, რომელიც მოქმედებს

---

<sup>1</sup> გარდა არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვის ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგებისა, სისხლის სამართლის წესით აიკრძალა არასრულწლოვნის გადაბირება, გადაყვანა, გადაძალა და ა.შ. ექსპლოატაციის მიზნით.

ბავშვის შვილად აყვანისა და ოჯახურ გარემოში აღზრდის მიზნით და იმავდროულად არ დავსაჯოთ გამყიდველი, მათ შორის მშობელი, რომელიც საკუთარ შვილს ნივთივით ყიდის და ამ გზით აშვილებს. 172-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული აუცილებელი თანამონაწილეობის შემთხვევათა რიცხვს განეკუთვნება. ვინმემ უნდა გაყიდოს არასრულწლოვანი, რომ შვილად ამყვანმა შეძლოს მისი ყიდვა. უკანონო გარიგების მონაწილე ორივე მხარე უნდა დაისაჯოს. მეტიც, გამყიდველი უფრო მკაცრ სასჯელს იმსახურებს.

რაკი სიტყვა სასჯელზე ჩამოვარდა, ყურადღება უნდა შევაჩეროთ 143<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციის, კერძოდ, მისი მინიმალური ზღვარის, მეტისმეტ სიმკაცრეზე. ამ მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას რვიდან თორმეტ წლამდე. მეორე ნაწილი კი - თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე. მშობელი, რომელმაც ბავშვი გაყიდვის გზით გააშვილა, სწორედ მუხლის მეორე ნაწილით აგებს პასუხს. კერძოდ, მისი „ბ“ პუნქტით, რომელიც ითვალისწინებს 143<sup>2</sup>-ე მუხლში ჩამოთვლილ ქმედებათა განხორციელებას „დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ“. მიუხედავად მშობლის ქმედების ამორალურობისა, კანონით გათვალისწინებული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 11-იდან 15 წლამდე, მეტისმეტად მკაცრია. ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, სასჯელის მინიმუმს. 143<sup>2</sup>-ე მუხლი, გარდა ჩვენს მიერ განსახილველი შემთხვევებისა (არასრულწლოვნის გაშვილება გაყიდვის გზით) უფრო საშიშ ქმედებათა დასჯადობასაც ითვალისწინებს. ესენია: არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვა, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადაძალვა და ა.შ. ექპლოატაციის მიზნით, ასეთ შემთხვევებში ცხადია დამნაშავე მკაცრ სასჯელს იმსახურებს. ამიტომ კანონით გათვალისწინებული მაღალი მაქსიმალური ზღვარი სავსებით გამართლებულია. თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით სასჯელის მინიმუმზე. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ექპლოატაციის მიზნის არარსებობის შემთხვევაში დამნაშავეს ნაკლებად მკაცრი სასჯელი შეუფარდოს.

მიგვაჩნია, რომ ზედმეტად მკაცრი სასჯელი უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ სასამართლო პრაქტიკა ასეთი მშობლის პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას გვერდს უკლის სსკ-ის 143<sup>2</sup>-ე მუხლს და სრულიად გაუმართლებლად ქმედებას აკვალფიცირებს 172-ე მუხლით. ეს არასწორი გამოსავალია. კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათების, თუნდაც, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით, მოსამართლემ უნდა შეძლოს ქმედების სწორი კვალიფიკაციის პირობებში დამნაშავეისათვის ისეთი სასჯელის შეფარდება, რომელიც შეესაბამება მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და ბრალის ხარისხს.

არასწორი სასამართლო პრაქტიკის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ სსკ-ის 143<sup>2</sup>-ე მუხლის დისპოზიციაში ნათლად არ არის გამოკვეთილი, რომ ექსპლოატაციის მიზანი ამ მუხლში ჩამოთვლილი ყველა შემადგენლობის სავალდებულო ნიშანი არ არის. ამ თვალსაზრისით 143<sup>2</sup>-ე (ისევე როგორც 143<sup>1</sup>-ე) მუხლის დისპოზიცია დასახეწია. როგორც სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაშია აღნიშნული, „არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება“, რაზეც 143<sup>2</sup>-ე მუხლშია ლაპარაკი, ექსპლოატაციის მიზანს არ მოიცავს. „როცა ადამიანს ეპყრობიან როგორც ნივთს, თვით ეს ქმედებაა მართლსაწინააღმდეგო და აქ მიზანს უკვე არ უნდა მიენიჭოს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა“.<sup>1</sup> „როცა არასრულწლოვანი ზდება ყიდვა-გაყიდვის ობიექტი, დამნაშავეს თუნდაც არ ამოძრავებდეს მისი ექსპლოატაციის მიზანი, ქმედება მაინც უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 143<sup>2</sup>-ე მუხლით“.<sup>2</sup> აქედან გამომდინარე, სავსებით გამართლებული იქნებოდა, ანგარებით მოქმედი მშობელი, რომელიც საკუთარ შვილს ნივთივით ყიდის და ამ გზით აშვილებს, სსკ-ის 143<sup>2</sup>-ე მუხლით – არასრულწლოვნის გაყიდვისათვის რომ დაგვესაჯა.

მადონა გ-ძეს მეგობარმა – ლალი ჩ-შვილმა შეატყობინა, რომ ამ უკანასკნელის დას – დიანა ჩ-შვილს გადაწყვეტილი აქვს

---

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გვ. 204.

2 იქვე, გვ. 209.

გარკვეული თანხის სანაცვლოდ ახალშობილის გაშვილება და სთხოვა დახმარება მშვილებლის პოვნაში. რამდენიმე დღის შემდეგ მადონა გ-ძე დაუკავშირდა დიანა ჩ-ს და ურჩია ახალშობილი მისი ნაცნობი ქალისთვის მიეყიდა, რომელიც კარგად გადაუხდიდა. მშობიარობიდან ორი კვირის შემდეგ დიანა ჩ-მ დის – ლალი ჩ-ს სახლში ახალშობილი გადასცა მადონა გ-ძეს, რომელმაც იგი სახლში მიუყვანა შვილად ამყვანს – რუსუდან ე-ურს. ამ უკანასკნელმა მადონა გ-ს მისცა 400 აშშ დოლარი, რომლის ნაწილი მან შეთანხმებისამებრ ბავშვის დედას გადასცა, ნაწილი კი თვითონ დაიტოვა.

ბავშვის დედას – დიანა ჩ-ს და შვილად ამყვანს – რუსუდან ე-ურს წინასწარი გამოძიების მიერ ბრალი დაედოთ სსკ-ის 172-ე მუხლით. შვილად ამყვანს – არასრულწლოვნის ყიდვისათვის შვილად აყვანის მიზნით, დედას კი – სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული არასწორი ტენდენციის შესაბამისად – არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგებისათვის შვილად აყვანის მიზნით. თუმცა საქალაქო სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის დადგენილებით, მათ მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე შეწყდა სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველის ნაწილის „ლ“ პუნქტის საფუძველზე – ვითარების შეცვლის გამო. სასამართლო განმწესრიგებელი სხდომის დადგენილებაში ვკითხულობთ: „განმწესრიგებელ სხდომაზე განსასჯელებმა წარმოადგინეს

საქალაქო სასამართლოს 2005 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც დასტურდება რუსუდან ე-ურის მიერ ლევან ვ-ას შვილად აყვანის ფაქტი. სადაო არ არის, რომ რუსუდან ე-ური უკვე მზრუნველობს და როგორც კანონიერ შვილს ზრდის შვილად აყვანილს.

მართალია, რუსუდან ე-ურსა და დიანა ჩ-შვილს შორის თავდაპირველად დადებული შეთანხმებები შვილად აყვანასთან დაკავშირებით შეიცავდა სისხლისსამართლებრივი წესით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებებს, მაგრამ დღეის მდგომარეობით, ვინაიდან ბავშვი აყვანილია, მხარეებს შორის სამოქალაქო სამართლებრივი წესით ურთიერთობები გადაწყვეტილია, სასამართლოს აზრით, მათმა ქმედებებმა დაკარგა საზოგადოებრივი საშიშროება

და ზემოაღნიშნული ვითარების შეცვლის გამო შესაძლებელია განსასჯელთა მიმართ საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ პუნქტის საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა“. (სტილი დაცულია – თ.ე.).

რაც შეეხება მადონა გ-მეს, რომელიც შუამავლის ფუნქციას ასრულებდა ბავშვის დედასა და შვილად ამყვანს შორის, საქალაქო სასამართლომ მას მსჯავრი დასდო საქართველოს სსკ-ის 172-ე მუხლით – არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელებისათვის შვილად აყვანის მიზნით და შეუფარდა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მადონა გ. შვილად აყვანის მიზნის არარსებობის გამო არ შეიძლება იყოს 172-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი. იგი არც გამყიდველია, რადგან ბავშვის გაყიდვის არავითარი უფლებამოსილება არ გააჩნდა. ბავშვი დედამ გაყიდა. მადონა გ. კი მის მიერ ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილე, კერძოდ დამხმარეა. რაკი სასამართლომ ჩათვალა, რომ ბავშვის მყიდველისა (შვილად ამყვანის) და გამყიდველის (დედის) ქმედებებმა ვითარების შეცვლის გამო დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი და მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოება შეწყვიტა, არც თანამონაწილეს – მადონა გ-ს უნდა ეგო პასუხი სისხლის სამართლის წესით.

პირები, რომლებიც შუამავლის ფუნქციებს ასრულებენ ბავშვის მყიდველსა და გამყიდველს შორის, აკავშირებენ მათ ერთმანეთთან და ეხმარებიან შვილად აყვანასა(ყიდვას) და გაშვილება-გაყიდვაში, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილენი არიან და პასუხი უნდა აგონ სსკ-ის 25-172-ე ან 25-143<sup>2</sup>-ე მუხლებით. სასამართლო პრაქტიკაში კი ასეთ დამხმარეთა ქმედება კვალიფიცირდება თანამონაწილეობის მუხლზე მითითების გარეშე, კერძოდ, სსკ-ის 172-ე მუხლით. უფრო მეტიც, ზოგჯერ დანაშაულის ამსრულებელთა – ბავშვის მყიდველის და გამყიდველის ქმედება სისხლისსამართლებრივი რეაგირების გარეშე რჩება და მსჯავრი მხოლოდ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილეს ედება, ისიც არასწორი კვალიფიკაციით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამონაწილეთა ქმედების კვალიფიკაციისას სასამართლომ უნდა დაადგინოს,

ვისი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა იგი – მყიდველის თუ გამყიდველის და ამის მიხედვით გადაწყვეტოს მისი ქმედების კვალიფიკაციის საკითხი 25-172-ე ან 25-143<sup>2</sup>-ე მუხლებით.

ნანა ბ-მე მუშაობდა დედათა და ბავშვთა დაცვის რაიონული ცენტრის მთავარ ექიმად. 2005 წლის დედათა და ბავშვთა სახლში იმშობიარა ნათია დ-შვილმა. მან გადაწყვიტა ბავშვის გაშვილება, რადგან ოჯახი უკანონო შვილის სახლში მიყვანის წინააღმდეგი იყო და დახმარება სთხოვა სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს – ნანა ბ-ს. ამ უკანასკნელმა აღუთქვა, რომ გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ დაეხმარებოდა.

ნანა ბ-მემ ნათია დ-შვილს გამოართვა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ბავშვის გაშვილებასთან დაკავშირებული საბუთების შესადგენად. მანვე დაავალა თანამშრომელს წაეღო ეს მოწმობა სამოქალაქო რეესტრის სამსახურში, რათა გაეცათ დაბადების მოწმობა. ნანა ბ-მ მოძებნა პირი, რომელსაც ბავშვის შვილად აყვანა სურდა და სამშობიარო სახლის პალატაში შეახვედრა ბავშვის დედას. მშვილებელმა ამ უკანასკნელს გადასცა 500 ლარი და ბავშვი წაიყვანა. ნანა ბ-მ მოსთხოვა ნათია დ-შვილს აღებული ფულიდან მისთვის გადაეხადა 150 ლარი, რის შემდეგაც მისცემდა სახლში დაბრუნების უფლებას. ნათია დ-მ გადასცა მოთხოვნილი თანხა და გაეწერა საავადმყოფოდან.

ნანა ბ-ს მსჯავრი დაედო სსკ-ის 172-ე მუხლით – არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელებისათვის შვილად აყვანის მიზნით. მისი ქმედება ბრალად შერაცხული დანაშაულის არც ერთ ნიშანს არ შეიცავს. 172-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვისაც არასრულწლოვნის შვილად აყვანის მიზანი აქვს. ნანა ბ-ს კი ასეთი მიზანი არ ჰქონდა. გარდა ამისა, არავითარი გარიგება არასრულწლოვნის მიმართ მას არ განუხორციელებია და ვერც განხორციელებდა, რადგან მასზე არანაირი უფლებამოსილება არ გააჩნდა. ამიტომ იგი არც 143<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელია. „არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება“, რაზეც ამ მუხლშია ლაპარაკი, შეუძლია იმას, ვისაც რაიმე

უფლებამოსილება, კანონიერი ან თუნდაც უკანონო გააჩნია არასრულწლოვანზე. სწორედ ასეთი პირი შეიძლება იყოს გარიგების მხარე. განსახილველი საქმის მიხედვით, ახალშობილი ნანა ბ-ს არ გაუსხვისებია და არც შეეძლო მისი გასხვისება, რადგან მასზე არავითარი უფლებამოსილება არ გააჩნდა. იგი გაყიდა დედამ და მიყიდა შეილად ამყვანს. სწორედ მათ შორის დაიდო არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვის უკანონო გარიგება. ამიტომ პირველ რიგში მათ უნდა ეგოთ პასუხი სისხლის სამართლის წესით. თუმცა არც ერთ მათგანს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაკისრებია. დედას, რომელმაც საკუთარი შეილი ნივთივით გაყიდა, პასუხი უნდა ეგო სსკ-ის 143<sup>2</sup>-ე მუხლით – არასრულწლოვნის გაყიდვისათვის. კერძოდ, ამ მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტით, რომელიც ითვალისწინებს ამ ქმედების ჩადენას „დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ“. შეილად ამყვანს კი სსკ-ის 172-ე მუხლით – არასრულწლოვნის ყიდვისათვის შეილად აყვანის მიზნით. რაც შეეხება ნანა ბ-ს, იგი არ არის ამ მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ამსრულებელი. მისი როლი შემოიფარგლება იმით, რომ დახმარება გაუწია დედას ბავშვის გაყიდვაში: მოამზადა ბავშვის გაშვილებისათვის საჭირო დოკუმენტაცია, მოძებნა მშვილებელი, განახორციელა მისი და ბავშვის დედის შეხვედრის ორგანიზება. ამიტომ ის არის 143<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – არასრულწლოვნის გაყიდვის თანამონაწილე, კერძოდ დამხმარე და პასუხი უნდა ეგო სსკ-ის 25-143<sup>2</sup>-ე მუხლებით.

აღსანიშნავია, რომ წინასწარი გამოძიების საწყის ეტაპზე ნანა ბ-ს ბრალი წარედგინა სწორედ სსკ-ის 143<sup>2</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „ზ“ პუნქტით (იმ დროს მოქმედი რედაქციით – თ.ე.) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (არასრულწლოვნით ვაჭრობა, ჩადენილი დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ), ოღონდ თანამონაწილეობის მუხლზე მითითების გარეშე. ამგვარი კვალიფიკაცია სწორი მაშინ იქნებოდა, დედას რომ ბავშვი სამშობიარო სახლში უპატრონოდ

მიეტოვებინა და წასულიყო, ნანა ბ-ს კი ამის შემდეგ გაეყიდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნანა ბ-სათვის შეფარდებული სასჯელი – გამასწორებელი სამუშაო ექვსი თვის ვადით, სამუშაო ადგილზე მოხდით, ხელფასიდან 10 %-ის დაქვითვით და ჯარიმა 500 ლარის ოდენობით, აშკარად არ არის მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ადეკვატური და ზედმეტად მსუბუქია. მიგვაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმაზე უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, რადგან დანაშაულის ჩადენა ნანა ბ-ს მიერ სწორედ მის სამსახურებრივ საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

შორენა ა-ძემ უსახსრობის გამო გადაწყვიტა ახალშობილი შვილის გაშვილება და დახმარებისათვის მიმართა მეზობლებს – სალომე ო-შვილსა და მაგული გ-იანს. ამ უკანასკნელმა მოძებნა მშვილებელი, ქ. თბილისში მცხოვრები გრიგოლ ე-ური და შეუთანხმდა თანხასა და ბავშვის გადაცემასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. სამშობიარო სახლიდან გამოწერილ შორენა ა-ს საავადმყოფოს ეზოში დახვდნენ მაგული გ-იანი და სალომე ო-შვილი. სამივენი ბავშვთან ერთად გაემგზავრნენ ქ. თბილისში, სადაც შეხვდნენ შვილად ამყვანის – გრიგოლ ე-ურის გამოგზავნილ პირს, რომელსაც შორენა ა-მ გადასცა ბავშვი, მისგან კი მიიღო 800 აშშ დოლარი. თანხის ნაწილი მან უწილადა მაგული გ-სა და სალომე ო-ს.

ამ საქმეში მონაწილე პირთაგან სისხლის სამართლის წესით პასუხი აგო დედამ, რომელმაც ბავშვი გაყიდა და მისი დანაშაულის თანამონაწილეებმა – მაგული გ-მ და სალომე ო-მ. მათაც, ზემოთ მოტანილი შემთხვევების ანალოგიურად, საქალაქო სასამართლოს 2007 წლის განაჩენით არასწორად დაედოთ მსჯავრი სსკ-ის 172-ე მუხლით და კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით შეეფარდათ ჯარიმა თითოეულს ხუთასი ლარის ოდენობით. შვილად ამყვანისა და მისი ახლობლის ქმედება კი სისხლის-სამართლებრივი რეაგირების მიღმა დარჩა.

დედას, რომელმაც ბავშვი გაყიდა, პასუხი უნდა ეგო სსკ-ის 143<sup>2</sup>-ე მუხლით, ხოლო მის მეგობრებს – ამ მუხლით გათვალ-



ისწინებულ დანაშაულში თანამონაწილეობის, კერძოდ დახმარებისათვის. 172-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირებულიყო შვილად ამყვანის – გრიგოლ ე-ს ქმედება. მისი ახლობლისა კი, რომელიც შეხვდა გამშვილებლებს, გადასცა თანხა და წაიყვანა ბავშვი – 25-172-ე მუხლებით.

სასამართლო პრაქტიკაში სირთულეებია დანაშაულის დამთავრების მომენტის განსაზღვრასთან დაკავშირებით. “სსკ 172-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა პირი იყიდის არასრულწლოვანს ან უკვე განახორციელებს მის მიმართ სხვაგვარ უკანონო გარიგებას და ეს არასრულწლოვანი გადავა მის მფლობელობაში”.<sup>1</sup> დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის არ არის აუცილებელი გამყიდველის მიერ თანხის მიღება. მთავარია შეთანხმება მყიდველსა და გამყიდველს შორის თანხასა და მისი გადაცემის დროზე და არასრულწლოვნის გადასვლა მყიდველის განკარგულებაში.

რაიონის სოფელ .ში მცხოვრებ ლია მ-მეს ბავშვობის მეგობარმა მარიამ ჩ-შვილმა სთხოვა დახმარება ჩვილი ბავშვის შვილად აყვანაში. ორი თვის შემდეგ ლია მ-მ ინახულა მის სოფელში მცხოვრები, ფეხმძიმედ მყოფი ლელა ნ-ური, რომელსაც ახალშობილის გაშვილება სურდა და შეუთანხმდა, რომ ბავშვს გარკვეული თანხის სანაცვლოდ მის მეგობარს მიაშვილებდა. როდესაც ლელა ნ-ს დაეწყო მშობიარობის წინა მოვლენები, ლია მ-მემ იგი მეზობლის მანქანით წაიყვანა რაიონის მცხოვრები ირმა კ-ძის სახლში, სადაც ამ უკანასკნელმა ამშობიარა. იმავე დღეს ლია მ-მემ დაურეკა მის მეგობარს – მარიამ ჩ-შვილს და უთხრა, რომ შეეძლო ახალშობილის წაყვანა. მარიამ ჩ. ლია მ-ს დახმარებით შეხვდა ბავშვის დედას, რომელიც დათანხმდა მის მიერ შეთავაზებულ პირობებს და გაატანა ახალშობილი. ბავშვთა პოლიკლინიკაში შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ახალშობილი დაბადებიდან იყო განუვითარებელი. ამის გამო მარიამ ჩ-მ ბავშვი მეორე დღესვე დაუბრუნა დედას.

რაიონულმა სასამართლომ მარიამ ჩ-ს მსჯავრი დასდო სსკ-

---

1. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, გვ. 308.

ის 172-ე მუხლით – დამთავრებული დანაშაულისათვის. როგორც აღვნიშნეთ, განსახილველი დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა პირი იყიდის არასრულწლოვანს და ეს უკანასკნელი გადავა მის მფლობელობაში. ცხადია, აქ იგულისხმება არა ღროებით, არამედ სამუდამო მფლობელობაში გადასვლა. ყიდვა მაშინ არის დამთავრებული, როდესაც არასრულწლოვანი გადადის მყიდველის უვადო განკარგულებაში. ზემოთ მოტანილი საქმის მასალებიდან კარგად ჩანს, მარიამ ჩ-ს ბავშვის წაყვანისას მისი შვილად აყვანის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ ჰქონდა. როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, მან ბავშვი წაიყვანა, რათა ექიმს გაესინჯა და თუ ჯანმრთელი აღმოჩნდებოდა, იმ შემთხვევაში იშვილებდა. ეს დასტურდება როგორც ბავშვის დედის, ასევე მარიამ ჩ-სა და ლია მ-ს მიერ წინასწარი გამოძიებისა და სასამართლისათვის მიცემული ჩვენებებით. განაჩენში ვკითხულობთ: „2005 წლის მარიამ ჩ-შვილი ლია მ-ძესთან ერთად მივიდა ირმა კ-ს სახლში, საიდანაც მარიამ ჩ-შვილმა წაიყვანა ახალშობილი სამედიცინო შემოწმების მიზნით, რის შემდეგაც აპირებდა ბავშვის შვილად აყვანას. ბავშვი წაიყვანა ქალაქ „, ბავშვთა პოლიკლინიკაში, სადაც შემოწმებით აღმოჩნდა, რომ ახალშობილი დაბადებიდან იყო განუვითარებელი. ამ მიზეზის გამო მარიამ ჩ-შვილმა ლია მ-ძესთან ერთად მეორე დღესვე დააბრუნა ბავშვი“. ციტირებული სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ სახეზეა არა დამთავრებული დანაშაული, არამედ მცდელობა. ბავშვის წაყვანისას მარიამ ჩ-ს მისი შვილად აყვანის საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ ჰქონდა. ამ გადაწყვეტილებას მაშინ მიიღებდა, თუ ბავშვი ჯანმრთელი აღმოჩნდებოდა. ამიტომ ბავშვი ექიმთან წაიყვანა, რათა შემდეგ გადაეწყვიტა შვილად აყვანის საკითხი. დანაშაული დამთავრებული მაშინ იქნებოდა, მარიამ ჩ-ს თანხაზე შეთანხმების შემდეგ, ახალშობილი ყოველგვარი პირობის გარეშე, შვილად აყვანის საბოლოო გადაწყვეტილებით რომ წაეყვანა. ასეთ შემთხვევაში შემდეგში ბავშვის დაბრუნება დანაშაულის დამთავრების საკითხზე გავლენას ვეღარ მოახდენდა.

2005-2007 წლების განმავლობაში საქართველოში 172-ე მუხლით მსჯავრდების ცხრა შემთხვევა დადგინდა. ამ საქმეების

გაცნობამ დაგეარწმუნა, რომ შვილად აყვანის მიზნით არასრულწლოვნის ყიდვის საქმეთა განხილვისას სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ დიდი სირთულეების წინაშე დგას. მშობელს, რომელმაც ბავშვი შვილად ამყვანს მიჰყიდა, არასწორად ედება მსჯავრი სსკ-ის 172-ე მუხლით, მაშინ როცა ეს მუხლი მხოლოდ მყიდველის – შვილად ამყვანის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. ზოგჯერ შვილად ამყვანი საერთოდ არ აგებს პასუხს სისხლის სამართლის წესით, მიუხედავად იმისა, რომ მისი ვინაობა უმეტეს შემთხვევაში ცნობილია. არასწორად ხდება დანაშაულში თანამონაწილეთა ქმედების კვალიფიკაციაც. სასამართლო პრაქტიკაში არსებულ გაურკვეველობას მეტწილად საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილება განაპირობებს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სსკ-ის 172-ე მუხლს კვალიფიციური შემადგენლობის სახით დაემატოს „არასრულწლოვნის გაშვილება გაყიდვის გზით“. ასეთი საკანონმდებლო ნოველა ხელს შეუწყობს აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის სწორად და ერთგვაროვნად განხორციელებას.

**მუხლი 172<sup>1</sup>. შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების წინასწარი შერჩევის წინასწარი შერჩევა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა, –**  
**საქართველოს საპარტოველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა, –**  
**ან ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა**

1. შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების წინასწარი შერჩევა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის ან პირთა ჯგუფის მიერ, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.

(საქართველოს 2003 წლის 26 აგვისტოს კანონი №3078-სსმ I, 2003 წ., №29, მუხ. 223; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2937-სსმ I, 2006 წ., № 14, მუხ. 90)

ეს მუხლი საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში 2003 წლიდან არსებობს და ქვეყანაში შექმნილ დემოგრაფიულ ვითარებაზე, საქართველოს გენოფონდზე სახელმწიფოს ზრუნვის გამოხატულებაა. საქმე იმაშია, რომ ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში საქართველოში მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, ქვეყანა დემოგრაფიული პრობლემის წინაშე დადგა. ერის გამრავლების მთავარი ფაქტორი – შობადობა სახიფათო ზღვრამდე დავიდა. სტატისტიკური მონაცემებით, შობადობის „განსაკუთრებით მკვეთრი შემცირება 1991 წლის შემდეგ დაიწყო, რაც განპირობებული იყო ეკონომიკურ-სოციალური პირობების უაღრესად და ერთბაშად გაუარესებით. ცხოვრების შედარებით მაღალი პირობებიდან მოსახლეობის უმრავლესობა უცბად აღმოჩნდა სიღარიბის ზღვარს მიღმა. ადამიანებმა უკეთესი მერმისის მოლოდინში თავი შეიკავეს ოჯახის შექმნისა და ბავშვის გაჩენისაგან, მაგრამ მოლოდინი საკმარისად გაზანაღრძლივდა და ერიც შეეჩვია დაბალ შობადობას.“<sup>1</sup> დეპოპულაციის (მოსახლეობის კლების) ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ქვეყნიდან მოსახლეობის გაღინებაცაა. ეს პროცესი 1990 წლიდან მიმდინარეობს. ისტორიულად ქართველები საკუთარ კერას მიჯაჭვული ხალხი ვართ, მაგრამ 90-იანი წლებიდან გამეფებულმა ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ქართველი კაცი სამშობლოდან შორს წაიყვანა. ასეთ პირობებში, ფეხმძიმე ქალების საქართველოდან გაყვანა, რათა მათ საზღვარგარეთ იმშობიარონ და იქ გააშვილონ გაჩენილი ბავშვები; ცხადია, კიდევ უფრო ამძიმებს ისედაც მძიმე დემოგრაფიულ ვითარებას. როგორც დემოგრაფები ამბობენ, „ახლომხედველია ის ერი, რომელიც არ არის დაინტერესებული თავისი მოსახლეობის ზრდით“.<sup>2</sup> სწორედ ამ დაინტერესების გამოხატულებაა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 172<sup>1</sup>-ე მუხლის არსებობა, რომლითაც ისჯება „შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების წინასწარი შერჩევა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა“.

1 კვირის პალიტრა, 2007 წ., №30.

2 კვირის პალიტრა, 2007 წ., №32..

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა ალტერნატიულია. მისი არსებობისათვის საჭიროა ერთ-ერთი შემდეგი ქმედების განხორციელება: 1) შეილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების წინასწარი შერჩევა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან 2) ასეთ გაშვილებაში ხელშეწყობა. თავდაპირველად განვიხილოთ პირველი შემადგენლობა. იგი ფაქტიურად ორი მოქმედებისგან შედგება და მხოლოდ ორივე მათგანის არსებობა მოგვცემს ამ დანაშაულის შემადგენლობას. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის საჭიროა პირმა ჯერ შეარჩიოს ორსული ქალები და შემდეგ შექმნას პირობები მათი საზღვარგარეთ გაყვანისათვის. თუ ორსული ქალების შერჩევის შემდეგ მან ვერ შეძლო მათი საზღვარგარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა, გვექნება ამ დანაშაულის მცდელობა (და არა მომზადება, რადგან დამნაშავემ უკვე დაიწყო დანაშაულის შემადგენლობაში შემავალი ქმედების განხორციელება).

დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის საჭირო არ არის არა მხოლოდ ბავშვის საზღვარგარეთ გაშვილება, არამედ ფეხმძიმე ქალების საზღვარგარეთ გაყვანაც კი. საკმარისია მათი საზღვარგარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა. 172<sup>1</sup>-ე მუხლში აღწერილი ქმედება „თავის იმანენტურ თვისებად იმთავითვე გულისხმობს პირობების შექმნას სამართლით დაცული სიკეთის შესაძლო დაზიანებისათვის.“<sup>1</sup> ასე რომ, სახეზეა ფორმალური შემადგენლობა ანუ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი.

შესაძლოა ერთი ქმედება – ფეხმძიმე ქალების შერჩევა, ერთმა ადამიანმა განახორციელოს, მეორე ქმედება კი – მშობიარობისათვის საზღვარგარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა, მეორემ. ორივე პასუხს აგებს დანაშაულის თანამსრულებლობისათვის.

თანმიმდევრულად განვიხილოთ ყველა ის ნიშანი, რომელიც განსახილველი დანაშაულის შემადგენლობას ქმნის. ქალების წინასწარ შერჩევაში იგულისხმება მათი გამოძებნა, დაყოლიება საზღვარგარეთ გასვლასა და ბავშვის გაშვილებაზე. დაყოლიების საშუალება შეიძლება იყოს მოსყიდვა (ფულის ან სხვა მატერი-

1 . მ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბილისი, 1982, გვ.3.

ალური ფასეულობის მქონე ნივთის ან რაიმე სამსახურის გაწევის შეპირება), დარწმუნება (მაგალითად, ორსულ ქალს, რომელიც მომავალი ბავშვის მამამ მიატოვა, დამნაშავე არწმუნებს, რომ საქართველოში ბავშვის გაჩენა და გაზრდა გაუჭირდება, რადგან საყოველთაო გაკიცხვას დაიმსახურებს უკანონო შვილის გაჩენისათვის; ჰპირდება, რომ საზღვარგარეთ მუშაობას დააწყებინებს, ცხოვრების ნორმალურ პირობებს შეუქმნის, იზრუნებს, რათა საქართველოში მისი საქციელის შესახებ არაფერი გაიგოს და ა.შ.). დაყოლიების საშუალება შეიძლება იყოს მუქარა, შანტაჟი. მაგალითად, ფეხმძიმე ქალს ეუბნებიან – თუ არ დათანხმდება საზღვარგარეთ წასვლისა და ბავშვის გაშვილების წინადადებას, გაავრცელებენ ინფორმაციას, რომ ის უკანონო ბავშვს ელოდება. უკანასკნელ შემთხვევაში დამნაშავე აიძულებს ქალს შეასრულოს საკუთარი ნების საწინააღმდეგო მოქმედება. ამიტომ მან, გარდა 172<sup>1</sup>-ე მუხლისა, პასუხი უნდა აგოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლითაც – იძულებისათვის. იგი ხელყოფს სისხლის სამართლის კანონით დაცულ ორ სიკეთეს – ადამიანის მოქმედების თავისუფლებას, ერთი მხრივ და მეორე მხრივ, საფრთხეს უქმნის საქართველოს გენოფონდს.

კანონის ტექსტიდან გამომდინარე, დამნაშავე ახდენს იმ ქალების შერჩევას და საზღვარგარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნას, რომლებიც უკვე ორსულად არიან. განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება, თუ კაცმა ბავშვების შვილად აყვანის მიზნით შეარჩია ქალები, რომლებიც არ არიან ორსულად და გაიყვანა ისინი საზღვარგარეთ. მაშინაც კი, როდესაც ეს ქალები საზღვარგარეთ დაორსულდებიან, იმშობიარებენ და იქვე გააშვილებენ ბავშვებს, იგი არ აგებს პასუხს სისხლის სამართლის წესით, რადგან კანონმდებელი ლაპარაკობს „ფეხმძიმე ქალების შერჩევაზე.“ შერჩევისას კი ქალები ფეხმძიმედ არ იყვნენ. ასევე არ გვექნება ეს დანაშაული, როდესაც „წინასწარ შეარჩევენ ორსულ ქალებს, რომლებიც იმშობიარებენ საქართველოში და ამის შემდეგ მოხდება ბავშვთან ერთად მათი საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა, რათა ამ ქალებმა საზ-

ღვარგარეთ გააშვილონ ბავშვები.“<sup>1</sup> 172<sup>1</sup>-ე მუხლი რომ ასეთ შემთხვევებს არ მოიცავს, ეს ჩემი აზრით, კანონის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს. ზემოთ მოტანილ ქმედებათა ჩამდენიც ხელყოფს იმ სამართლებრივ სიკეთეს, რაც ხსენებული მუხლის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს წარმოადგენს. კერძოდ, საფრთხეს უქმნის საქართველოს გენოფონდს.

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება, როცა პირი საზღვარგარეთ გასაყვანად შეარჩევს უცხოელ ქალებს, რომლებიც დროებით იმყოფებიან საქართველოში. (მაგალითად, ტურისტი, დამსვენებელი და ა. შ.). სხვა საქმეა, როცა ხდება იმ უცხოელი ქალების შერჩევა, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში. მაგალითად, საქართველოს მოქალაქეზე გათხოვილი უცხოელი ქალები. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა იქედან გამომდინარეობს, რომ ამ ნორმის მიზანია საქართველოს გენოფონდის დაცვა და გაფრთხილება.

საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა გულისხმობს საზღვარგარეთ წასვლისათვის საჭირო დოკუმენტაციის მოგვარებას (ვიზის, ტურისტული საგზურის შოვნა, თვითმფრინავის ბილეთის ყიდვა). თუ ადგილი აქვს საზღვარგარეთ გაყვანისათვის ყალბი დოკუმენტის დამზადებას ან გამოყენებას, პასუხისმგებლობა დადგება დანაშაულთა ერთობლიობით. (სსკ-ის 362-ე და 172<sup>1</sup>-ე მუხლები).

მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე (სადაც ლაპარაკია „ქალების“ და არა „ქალის“ შერჩევაზე), დანაშაულის შემადგენლობის არსებობისათვის საჭიროა სულ მცირე ორი ფეხმძიმე ქალის შერჩევა და საზღვარგარეთ გაყვანისათვის შესაძლებლობის შექმნა. მიგვაჩნია, რომ ასეთი კონსტრუქცია გაუმართლებლად ზღუდავს 172<sup>1</sup>-ე მუხლის მოქმედების ფარგლებს. ქვეყანაში დღეს არსებული მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, ერთი ფეხმძიმე ქალის საზღვარგარეთ გაყვანა და იქ ახალშობილის გაშვილება საფრთხეს უქმნის იმ სამართლებრივ სიკეთეს,

---

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2006, გვ. 310.

რასაც ეს მუხლი იცავს. ასეთი შემთხვევები კი არ არის მოცული 172<sup>1</sup>-ე მუხლის დისპოზიციით.

კანონის ტექსტში ლაპარაკია შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების შერჩევასა და საქართველოდან გაყვანის შესაძლებლობის შექმნაზე. მასასადამე, ეს მიზნით დაფუძნებული დელიქტია. პირი მოქმედებს საზღვარგარეთ გაჩენილი ბავშვების შვილად აყვანის მიზნით. ამასთან, ეს მიზანი სწორედ იმას უნდა ჰქონდეს, ვინც განახორციელა ფეხმძიმე ქალების შერჩევა და მათი საქართველოდან გაყვანის პირობების შექმნა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი მიზნის გარეშე მოქმედი სისხლის სამართლის წესით პასუხს არ აგებს. ამავე მუხლით გათვალისწინებული მეორე შემადგენლობა — „ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა“ შვილად აყვანის მიზანს არ მოიცავს. „როცა პირი ამ ქმედებას სჩადის არა შვილად აყვანის, არამედ ბავშვების სხვა პირებზე გაშვილების მიზნით, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც ასეთ გაშვილებაში ხელშეწყობა.“<sup>1</sup>

ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა იქნება შვილებისა და გაშვილებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მოგვარებაში დახმარება; ორსული ქალის, რომელსაც ახალშობილის გაშვილება სურს და მშვილებლის შეხვედრის ორგანიზება, საქართველოდან გასვლაში დახმარების გაწევა, მშვილებლის მოძიება და ა.შ. აქ არ იგულისხმება მხოლოდ ფეხმძიმე ქალების წინასწარ შერჩევასა და მშობიარობისათვის საქართველოდან გაყვანის შესაძლებლობის შექმნაში ხელის შეწყობა. კანონმდებელს არც დასჭირდებოდა ამგვარი ქმედების ცალკე შემადგენლობის სახით გათვალისწინება, რადგან ხელის შეწყობა დანაშაულის ჩადენაში არის თანამონაწილეობა დანაშაულში, კერძოდ, დახმარება. ამიტომ ასეთი ქმედების ჩამდენი დაუსჯელი არ დარჩებოდა და პასუხს აგებდა იმავე 172<sup>1</sup>-ე მუხლით, თანამონაწილეობის მუხლზე მითითებით. კანონის ტექსტში წერია არა „ასეთ ქმედებაში ხელის შეწყობა“, არამედ „ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა“, რომელიც შემთხვევათა უფრო ფართო წრეს მოიცავს. გარდა ქალების შერჩევასა და საზღვარგა-

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გვ. 311.



რეთ გაყვანაში იმ ადამიანისათვის დახმარების გაწევისა, ვისაც საზღვარგარეთ გაჩენილი ბავშვების შვილად აყვანა სურს, აქ იგულისხმება ასევე გამშვილებლის – ფეხმძიმე ქალისათვის ხელის შეწყობა იმის მიერ, ვისაც ბავშვის შვილად აყვანის მიზანი არა აქვს, მაგრამ რაიმე მოსაზრებით (ანგარება, მეგობრული ან ნათესაური ურთიერთობიდან გამომდინარე და ა.შ.) სურს დაეხმაროს ორსულ ქალს ბავშვის საზღვარგარეთ გაშვილებაში. ასეთ შემთხვევებს კი არ მოიცავს 172<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული წინა შემადგენლობა (ფეხმძიმე ქალების შერჩევა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა), რადგან მისი არსებობისათვის შვილად აყვანის მიზანია საჭირო. ცხადია, არც დანაშაულში თანამონაწილეობა გვექნება, რადგან გამშვილებელი სისხლის სამართლის წესით არ ისჯება და ამიტომ ბუნებრივია, მისთვის დახმარების გაწევაც არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულში თანამონაწილეობად. ამ ქმედების ჩამდენი პასუხს აგებს „ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობისათვის“, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, შვილად აყვანის მიზანს არ მოიცავს.

172<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილით ისჯება „იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის ან პირთა ჯგუფის მიერ“. საგანგებო განხილვის ღირსია პირველი კვალიფიციური შემადგენლობა – იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის. არაერთგზისობა არ გვექნება, თუ კაცმა შეარჩია ფეხმძიმე ქალები, გაიყვანა საზღვარგარეთ და იქვე მოხდა ბავშვების შვილად აყვანა, შემდეგ კი კვლავ განახორციელა იგივე ქმედება, ოღონდ არა ორი ან მეტი, არამედ ერთი ფეხმძიმე ქალის მიმართ. აქ არ გვაქვს „იგივე“, ე. ი. მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ხელშეორედ ჩადენა, რადგან 172<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილი მოითხოვს სულ ცოტა ორი ფეხმძიმე ქალის არსებობას. ამიტომ, თუ პირი პირველად ჩადენილი ქმედებისათვის მსჯავრდებული არ ყოფილა, იგი პასუხს აგებს 172<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით. წინააღმდეგ შემთხვევაში კი საერთოდ არ აგებს პასუხს სისხლის სამართლის წესით. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ხსენებული მუხლის

დისპოზიცია დასახვეწია: დანაშაულად უნდა ითვლებოდეს თუნდაც ერთი ფეხმძიმე ქალის შერჩევა და საზღვარგარეთ გაყვანისათვის შესაძლებლობის შექმნა.

განსახილველ კვალიფიციურ შემადგენლობასთან დაკავშირებით, საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება: ფეხმძიმე ქალების შერჩევა და საქართველოდან გაყვანისათვის შესაძლებლობის შექმნა ჩადენილი უნდა იყოს იმის მიერ, ვისაც საზღვარგარეთ გაჩენილი ბავშვების შეილად აყვანის მიზანი ამოძრავებს. გარდა ამისა, კანონი მოითხოვს ორი ან მეტი ფეხმძიმე ქალის არსებობას, ე.ი. ორი ან მეტი ბავშვის შეილად აყვანის მიზანს. თუ კაცმა პირველ ქმედებაზე წარმატებით განახორციელა ჩანაფიქრი, (ე.ი. გაიყვანა სულ მცირე ორი ფეხმძიმე ქალი საზღვარგარეთ და შემდეგ იქ გაჩენილი ბავშვები იშვილა), ძნელი წარმოსადგენია (თუმცა გამორიცხული არ არის), რომ მან კვლავ განახორციელოს იგივე ქმედება ბავშვების (და არა ერთი ბავშვის) შეილად აყვანის მიზნით. (განა რამდენი ბავშვის შეილად აყვანა უნდა სურდეს ერთ კაცს). უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი ქმედების ხელმეორედ ჩამდენი უმეტეს შემთხვევაში მოქმედებს საზღვარგარეთ გაჩენილი ბავშვების შეილად აყვანის მიზნის გარეშე. ეს კი წარმოადგენს „ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობას.“ ასეთ შემთხვევებშიც პასუხისმგებლობა უნდა დადგეს 172<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილით – იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის. ასე რომ, განსახილველი კვალიფიციური შემადგენლობა გვექნება მაშინაც, როცა კაცმა ჯერ განახორციელა 172<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთი შემადგენლობა (ფეხმძიმე ქალების წინასწარი შერჩევა და მშობიარობისათვის საქართველოდან გაყვანის შესაძლებლობის შექმნა), შემდეგ კი – მეორე (ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა). წინააღმდეგ შემთხვევაში მეტისმეტად შეიზღუდება ამ კვალიფიციური შემადგენლობის გამოყენების შესაძლებლობა.

პრაქტიკული თვალსაზრისით უფრო ადვილი წარმოსადგენია ისეთი შემთხვევა, როცა პირმა შეარჩია ფეხმძიმე ქალები და შექმნა პირობები მათი საქართველოდან გაყვანისათვის (სათანადო დოკუმენტაციის მომზადება, ვიზების საკითხის მოგვარება

და ა.შ.), მაგრამ რაღაც მიზეზთა გამო ჩანაფიქრი ვერ განახორციელა და ქალების საზღვარგარეთ გაყვანა და ბავშვების შვილება ვერ შეძლო. (172<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამის შემდეგ მან კვლავ განახორციელა იგივე ქმედება ბავშვების შვილად აყვანის მიზნით. ცხადია, სახეზეა არაერთგზისობა და დამნაშავე პასუხს აგებს 172<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილით.

სასამართლო პრაქტიკა 172<sup>1</sup>-ე მუხლთან დაკავშირებით არ არსებობს, რაც, ცხადია, დაბლა სწევს ამ ნორმის პრევენციულ მნიშვნელობას და არ უწყობს ხელს იმ სამართლებრივი სიკეთის ეფექტურ დაცვას, რაც განსახილველი დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს. შესაძლოა, ამის მიზეზი თვით ნორმის არასრულყოფილებაში უნდა ვეძებოთ, რის შესახებაც ზევით ვისაუბრეთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 172<sup>1</sup>-ე მუხლი იცავს საქართველოს გენოფონდს და მიმართულია ქვეყანაში არსებული მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით უფრო მეტია გასაკეთებელი. სასარგებლო იქნებოდა სხვა ქვეყნების გამოცდილებათა გაზიარებაც. მაგალითად, 1992 წლის 28 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მორატორიუმი დაადო უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ რუსეთში მცხოვრები ბავშვების შვილად აყვანას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბავშვი საჭიროებს ისეთ სამედიცინო დახმარებას, რომელსაც რუსეთში ვერ აღმოუჩენენ. მიგვაჩნია, რომ საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ყურადღების ღირსია. საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით სხვა სახელმწიფოში ბავშვის გაშვილების აკრძალვა შეუძლებელია, რადგან ჰააგის 1993 წლის 29 მაისის კონვენციით, რომელიც საქართველოში ძალაშია 1999 წლის 1 აგვისტოდან, დაშვებულია ბავშვის სხვა სახელმწიფოში გაშვილება, როგორც ბავშვის მოვლის ალტერნატიული საშუალება.

დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებაზე ზრუნვა სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა უნდა გახდეს. დემოგრაფიული პრობლემა მარტო საქართველოში არ არსებობს. იგი მსოფლიოს ბევრ ქვეყანას აწუხებს. პრობლემის დასაძლევად ამ

ქვეყნებში შემუშავებულია მკაფიოდ განსაზღვრული დემოგრაფიული პროგრამები და ხდება მათი რეალიზაცია, რამაც დემოგრაფიული მდგომარეობის თანდათანობითი გაუმჯობესება უნდა გამოიწვიოს. 2003 წელს საქართველოშიც შემუშავებიათ ასეთი პროგრამა დემოგრაფებს, მაგრამ სახელმწიფო დონეზე განხილვის საგანი იგი არ გამხდარა.

## მუხლი 173. შვილად ან შვილობილად აყვანის წესის დარღვევა

1. შვილად ან შვილობილად აყვანის წესის დარღვევა, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

*(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2937-სსმ I, 2006 წ., № 14, მუხ. 90)*

ოჯახურ გარემოში ცხოვრება ბავშვის ნორმალური აღზრდისა და განვითარების აუცილებელი პირობაა. შვილად აყვანის ინსტიტუტის მიზანია მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვისათვის აღზრდისა და მოვლის ნორმალური პირობების შექმნა. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ შვილად აყვანა განხორციელდება სათანადო წესის შესაბამისად, რაც ბავშვის კეთილდღეობასა და ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს. ამ წესის დარღვევას შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს როგორც თვით არასრულწლოვნის, ასევე მშვილებლისთვისაც. ამიტომაც „შვილად აყვანისათვის ზრუნვა სახელმწიფოს განსაკუთრებული პრეროგატივაა. ...იგი უნდა განხორციელდეს ბავშვის

ინტერესებისა და საერთაშორისო სამართლით აღიარებული ბავშვთა უფლებების საფუძველზე“.<sup>1</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 173-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შვილად ან შვილობილად აყვანის წესის დარღვევისათვის. განსახილველი მუხლის დისპოზიცია ბლანკეტურია. შვილად აყვანის საკითხებს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა, კერძოდ საოჯახო სამართლის ნორმები (სამოქალაქო კოდექსის 1239-1274 მუხლები), 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონი „შვილად აყვანის წესის შესახებ“<sup>2</sup> და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. (ამ უკანასკნელს მიეკუთვნება მაგალითად, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება, სადაც მოცემულია იმ დაავადებათა ნუსხა, რომელთა არსებობის შემთხვევაში მშვილებელს არ შეუძლია ბავშვის შვილად აყვანა). ბავშვების სხვა სახელმწიფოში გაშვილებას ეხება 1993 წლის 29 მაისის კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც საქართველოში ძალაშია 1999 წლის 1 აგვისტოდან. კონვენციის ძირითადი დებულებები ასახულია ხსენებულ კანონში „შვილად აყვანის წესის შესახებ“.

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა მატერიალურია. შვილად ან შვილობილად აყვანის წესის დარღვევა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ მან მძიმე შედეგი გამოიწვია. წინააღმდეგ შემთხვევაში წესის დარღვევი პასუხს აგებს დისციპლინური ან ადმინისტრაციული წესით. მძიმე შედეგი უმეტესად გამოიხატება მორალურ ზიანში, თუმცა გამორიცხული არ არის არც ფიზიკური და არც მატერიალური ზიანი. მაგალითად, საოჯახო კანონმდებლობის თანახმად, მეუღლეებს შეუძლიათ ბავშვი ერთად იშვილონ. არ შეიძლება ერთმა მეუღლემ ცალკე იშვილოს ბავშვი. ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი. კერძოდ, ერთ-ერთ მეუღლეს შეუძლია იშვილოს თავისი ქორწინების გარეშე დაბადე-

---

1 საქართველოს კანონი „შვილად აყვანის წესის შესახებ.“

2 ეს კანონი არეგულირებს 18 წლამდე ასაკის ბავშვის შვილად აყვანის წესსა და პროცედურას.

ბული ბავშვი (სამოქალაქო კოდექსის 1246-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა (მ.1247).<sup>1</sup> „მის მიღებას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდაზე კეთილმოყოფილი ზეგავლენის მოსახდენად. თუ პირი წინააღმდეგია იმისა, რომ მისმა მეუღლემ იშვილოს ქორწინების გარეშე გაჩენილი თავისი ბავშვი ან გერი, ბუნებრივია, ასეთ პირობებში მშვილბელი თავის ფუნქციას ნაშვილების მიმართ სრულყოფილად ვერ შეასრულებს.“<sup>2</sup> კანონის ამ მოთხოვნის შეუსრულებლობას, ე.ი. მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე პირისათვის ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის შვილად აყვანის უფლების მიცემას, შეიძლება ოჯახის დანგრევა, ბავშვის ფსიქიკური ტრავმა ან სხვა მძიმე შედეგც მოჰყვეს. მაგალითად, მამინაცვალი სასტიკად ეპყრობა, უმოწყალოდ სცემს გერს, რომლის შვილად აყვანის წინააღმდეგი იყო. ასეთ შემთხვევებში, ცხადია, პასუხისმგებლობა უნდა დადგეს სსკ-ის 173-ე მუხლით.

ნორმატიული აქტები, რომლებიც შვილად აყვანის საკითხებს არეგულირებენ, შემუშავებულია, უპირველეს ყოვლისა, შვილად ასაყვანის ინტერესებიდან გამომდინარე, რათა უზრუნველყოფილი იქნას მისი ოჯახის გარემოცვაში, ბედნიერებისა და სიყვარულის ატმოსფეროში ცხოვრება. სამოქალაქო კოდექსის თანახმად, „შვილება (შვილად აყვანა) დაიშვება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის, თუკი მოსალოდნელია, რომ მშვილბელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშვას ისეთივე ურთიერთობა, როგორიცაა მშობელსა და შვილებს შორის“ (მ. 1239). ამიტომაც კანონი მშვილბელს გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს. კერძოდ: მშვილბელი შეიძლება იყოს სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი. ცხადია, არასრულწლოვანი და არაქმედუნარიანი ადამიანი ვერ შეიძლება მშობლის უფლება-მოვალეობათა განხორციელებას. გარდა ამისა, არ შეიძლება მშვილბელი იყოს

---

1 იმავე მუხლის მიხედვით, ასეთი თანხმობა საჭირო არ არის, თუ მეორე მეუღლე აღიარებულია ქმედუნარიად, ან თუ მეუღლეებს ფაქტობრივად შეწყვეტილი აქვთ საქორწინო ურთიერთობა ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ანდა მეორე მეუღლის საცხოვრებელი ადგილი უცნობია.

2 რ.შენგელია, საოჯახო სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 250-251.

ის, ვისაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება და არ აღმდგარა პირვანდელ მდგომარეობაში ან ვისაც ადრე ნაშვილები ჰყავდა ბავშვი, მაგრამ შვილება გაუქმდა მის მიერ მშვილებლის მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო. არ შეიძლება მშვილებელი იყოს ასევე პირი, რომელსაც ავადმყოფობის, მორალური ან სხვა პირადი თვისებების გამო არ შეუძლია განახორციელოს მშობლის ფუნქციები (სამოქალაქო კოდექსის 1245-ე მუხლი). მაგალითად, ტუბერკულოზით ან სხვა მძიმე გადამდები ავადმყოფობით დაავადებული პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანამ შეიძლება ამ უკანასკნელის დაავადება გამოიწვიოს. რაც შეეხება მშვილებლის „მორალური ან სხვა პირადი თვისებების“ გათვალისწინებას, არ შეიძლება მაგალითად, შვილად აყვანის უფლება მიეცეს პირს, რომელიც პასუხისგებაშია ნამყოფი შვილისათვის აღიმენტის გადახდისაგან თავის არიდებისათვის. ვინაიდან შვილება მიზნად ისახავს ბავშვის აღზრდისა და რჩენისათვის ნორმალური პირობების შექმნას, კანონი მოითხოვს, რომ მშვილებელი უფროსი იყოს შვილად ასაყვანზე თექვსმეტი წლით მაინც. პატივსადები მიზეზების არსებობისას სასამართლოს შეუძლია შეამციროს ასაკობრივი სხვაობა. (მ. 1250). თუ სასამართლო ამ წესის უგულებელყოფით შვილად აყვანის უფლებას მისცემს პირს, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს და მას მძიმე შედეგი მოჰყვება, პასუხისმგებლობა უნდა დადგეს სსკ-ის 173-ე მუხლით.

ცხადია, შვილება უმეტესად ხდება არასრულწლოვანი ბავშვისა. თუმცა კანონი არ გამორიცხავს სრულწლოვანის შვილად აყვანასაც. 173-ე მუხლი მოიცავს როგორც არასრულწლოვანის, ისე სრულწლოვანის შვილად აყვანის წესის დარღვევას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, „სრულწლოვანი პირის შვილება შესაძლებელია, თუ მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა, იგი არ ეწინააღმდეგება მშვილებლის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და შვილება ზნეობრივად გამართლებულია.“ (მ.1239). მაგალითად, უდედმამოდ დარჩენილი ბავშვი წლების განმავლობაში გარდაცვლილი მამის ძმის ოჯახში იზრდება. ბიძასა და მის მეუღლესთან მას ჩამოუყალიბდა მშობლისა და შვილის ფაქტო-

ბრივი ურთიერთობა. შვილად ასაყვანის სრულწლოვანების შემთხვევაშიც სასამართლოს უფლება აქვს დააკანონოს უკვე არსებული ფაქტობრივი საოჯახო ურთიერთობები მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის. თუ ზემოთ მოტანილ მაგალითში მოსამართლე დაუსაბუთებლად უარს იტყვის შვილად აყვანის გადაწყვეტილების მიღებაზე და მას მძიმე შედეგი მოჰყვება, სახეზეა სსკ-ის 173-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

სისხლის სამართლის კოდექსის 173-ე მუხლი მოიცავს როგორც საკუთრივ შვილად აყვანასთან, ისე შვილად აყვანის გაუქმებასა და ბათილად ცნობასთან დაკავშირებული წესის დარღვევასაც. როდესაც შვილად აყვანა თავის მიზანს ვერ აღწევს, იქმნება მისი გაუქმების აუცილებლობა. შვილად აყვანის გაუქმება ზდება სასამართლოს მიერ კანონით დადგენილი საფუძვლების არსებობისას. საოჯახო კანონმდებლობის თანახმად, შვილად აყვანა შეიძლება გაუქმდეს, თუ მშვილებელი თავს არიდებს მასზე დაკისრებულ მშობლის მოვალეობათა შესრულებას, სასტიკად ეპყრობა ნაშვილებს, არის ნარკომანი ან ქრონიკული ალკოჰოლიკი. ნაშვილების ინტერესებიდან გამომდინარე და პატივისაღები მიზეზების არსებობისას სასამართლოს უფლება აქვს გააუქმოს შვილად აყვანა სხვა საფუძვლებითაც. (მუხლი 1261). „პრაქტიკაში ხშირად ასეთ მიზეზად თვლიან მშვილებლისათვის თავისუფლების აღკვეთის მისჯას ზანგრძლივი დროით, რომლის განმავლობაშიც იგი ვერ შეძლებს ნაშვილების აღზრდასა და რჩენას. სასამართლოს შეუძლია გააუქმოს შვილად აყვანა არა მარტო მაშინ, როცა სახეზე მშვილებლის ბრალეული მოქმედებაა, არამედ მაშინაც, როცა ობიექტური მიზეზების გამო მას არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება. მაგალითად, მძიმე ავადმყოფობის გამო საწოლს არის მიჯაჭვული და ვერ ზრუნავს ნაშვილებზე, ან მშვილებლებისაგან ერთ-ერთი გარდაიცვალა და მეორეს კი არავითარი პირობა არ გააჩნია ნაშვილების აღსაზრდელად და სხვ.“<sup>1</sup>

საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა.

1 რ. შენგელია, დასახ. ნაშრ., გვ. 271.



კანონით შვილად აყვანის გაუქმებას შეიძლება საფუძვლად დაედოს მშვილებლის ინტერესებიც. ეს მაშინ ხდება, როცა ნაშვილები სასტიკად ეპყრობა მშვილებელსა და მის ნათესავეებს, აშკარა უპატივცემლობას იჩენს მათ მიმართ ან ეწევა დანაშაულებრივ და გარყვნილ ცხოვრებას (მ.1262).

საოჯახო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია ასევე შვილად აყვანის ბათილად ცნობა. შვილად აყვანა შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ: ა. გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ ემყარება ყალბ დოკუმენტებს; ბ. შვილად აყვანა ფიქტიურია; გ. მშვილებელი სასამართლოს მიერ ქმედუვნაროდ იყო ცნობილი; დ. მშვილებელს ჩამორთმეული ჰქონდა მშობლის უფლება. შვილად აყვანის ბათილად ცნობა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შეესაბამება ნაშვილების ინტერესებს. შვილად აყვანის ბათილად ცნობისას სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, არის თუ არა თანახმა ნაშვილები, რომელმაც ათი წლის ასაკს მიაღწია. შვილად აყვანა შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი იმ პირის მოთხოვნით, რომლის უფლებაც დარღვეულია შვილად აყვანით, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნით (მ.1272).

თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელს აქვს დადასტურებული ინფორმაცია შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის ამა თუ იმ საფუძვლის არსებობის თაობაზე და რეაგირების გარეშე დატოვებს მას ან მოსამართლე სათანადო პირობების არსებობის მიუხედავად, არ მიიღებს შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის გადაწყვეტილებას და ამას მძიმე შედეგი მოჰყვება, პასუხისმგებლობა უნდა დადგეს სსკ-ის 173-ე მუხლით.

კანონი „შვილად აყვანის წესის შესახებ“ არეგულირებს სათანადო ორგანოთა ისეთ საქმიანობასაც, რომელიც, მართალია, უშუალოდ არ არის დაკავშირებული შვილად აყვანასთან, მაგრამ მისი სწორად განხორციელების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ასეთია მაგალითად, მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა გამოვლენა, აღრიცხვა, შესაბამისი ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდება მათ შესახებ და ა.შ. კანონში

დეტალურად არის აღწერილი ამ საქმიანობათა განხორციელების წესი და პირობები. მაგალითად: სკოლამდელი, ზოგადსაგანმანათლებლო, სამკურნალო-პროფილაქტიკური, სოციალური დაცვის და სხვა მსგავსი დაწესებულებების ხელმძღვანელები, სადაც იმყოფებიან მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვები, ვალდებული არიან 7 დღის განმავლობაში აცნობონ ამის თაობაზე საქართველოს განათლების სამინისტროს ადგილობრივ ორგანოებს. (მ. მე-7). ეს უკანასკნელნი თავის მხრივ, კანონით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოფენ ბავშვის გაშვილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებას. თუ ამ წესის დარღვევას მძიმე შედეგი მოჰყვება, ხსენებულ დაწესებულებათა (სკოლამდელ, ზოგადსაგანმანათლებლო და ა.შ.) ხელმძღვანელები პასუხს აგებენ არა შვილად აყვანის წესის დარღვევისათვის, არამედ, შესაბამისი პირობების არსებობისას, სამსახურებრივი გულგრილობის (მ.342-ე) ან კიდევ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის. (მ.332-ე).

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შვილად აყვანის წესის დარღვევისათვის შეიძლება იმას დაეკისროს, ვისაც სამსახურებრივად ევალება ამ წესის დაცვა. „აქედან გამომდინარე, გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს განსახილველი მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსებობა: იგივე ქმედება, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით“.<sup>1</sup> 173-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელთა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ მოსამართლე. შვილად აყვანის გადაწყვეტილებას მშვილებლის განცხადებით იღებს სასამართლო მშვილებლის ან შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სამოქალაქო კოდექსის 1242-ე მუხლი). სასამართლოს მიერვე ხდება შვილად აყვანის გაუქმება და ბათილად ცნობა (მ. 1265).

ამ დანაშაულის ამსრულებელი, გარდა მოსამართლისა, შეიძლება იყოს ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომლები. შვილად აყვანის სფეროში ეს ორგანოები დიდი და

---

<sup>1</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2006, გვ. 314.

მნიშვნელოვანი ფუნქციებით არიან აღჭურვილნი. შვილად აყვანის საკითხის დაყენება ზდება მათი ინიციატივით. განათლების ადგილობრივი ორგანოები ახორციელებენ საქმიანობას მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა გამოსაყვანად, მათი შვილად აყვანის მიზნით. როდესაც ეს ორგანოები მიიჩნევენ, რომ „ბავშვი ექვემდებარება შვილად აყვანას, ისინი იწყებენ საქმიანობას მშვილებელთა შერჩევისა და არსებითი შემოწმებისათვის. ამასთან, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, რომ მშვილებლები შეესაბამებოდნენ ბავშვის პიროვნებას და მის განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს“ (“შვილად აყვანის წესის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლი). მშვილებლებისა და ბავშვების დაკავშირება, სასამართლოსათვის დასაბუთებული დასკვნის წარდგენა შვილად აყვანის მიზანშეწონილობის თაობაზე ზდება სწორედ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა თანამშრომლების მიერ. მათზე დაკისრებულ ფუნქციათა მნიშვნელობიდან გამომდინარე, კანონი მოითხოვს, რომ „შვილად აყვანასთან დაკავშირებულ საქმიანობას ეწეოდნენ მხოლოდ ის პროფესიონალი მუშაკები, რომლებიც თავიანთი განათლებით, ზნეობრივი თვისებებითა და გამოცდილებით ამ საქმეს შეესაბამებიან.“ (“შვილად აყვანის წესის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლი).

შვილად აყვანის გადაწყვეტილება სასამართლოს გამოაქვს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის საფუძველზე (სამოქალაქო კოდექსის 1242-ე მუხლი). კანონის იმპერატიული მოთხოვნის თანახმად, ამ ორგანომ მონაწილეობა უნდა მიიღოს ასევე შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის საქმის განხილვისას (მ. 1274).

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნას დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღებისათვის. მასში ასახულია ისეთი მონაცემები, როგორცაა „მშვილებლების შესაფერისობა შვილად აყვანის მიზნებთან, მათი ბიოგრაფია და პიროვნული დახასიათება, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა, შვილად აყვანის მოტივები, გასაშვილებელი ბავშვის ბიოგრაფია და ჯანმრთელობის მდგომარეობა, სხვა აუცილებელი ცნობები ბავშვისა და მშვილებლების შესახებ.“ (“შვილად აყვანის წესის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლი).

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო შვილად აყვანის მიზანშეწონილობის დასკვნას მაშინაც იძლევა, როდესაც არსებობს მშობლების თანხმობა კონკრეტული პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანაზე. ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმაზე, თუ ვინ არ შეიძლება იყოს მშვილებელი. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ გულდასმით უნდა შეისწავლოს მშვილებლის კონკრეტული კანდიდატურა, კერძოდ, აკმაყოფილებს თუ არა იგი კანონით დადგენილ მოთხოვნებს და ამომწურავი ინფორმაცია წარუდგინოს სასამართლოს მის შესახებ. მშვილებლის კანდიდატურის შესწავლის საფუძველზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო იძლევა დასკვნას, შეესაბამება თუ არა ასეთი გაშვილება ბავშვის ინტერესებს (მ. 1251). მაგალითად, ამ ორგანოს თანამშრომელმა არ წარუდგინა სასამართლოს სრულყოფილი ინფორმაცია მშვილებლის კანდიდატის შესახებ, დამალა ზოგიერთი ისეთი გარემოება, რომელიც დააბრკოლებდა შვილად აყვანის დადებითი გადაწყვეტილების მიღებას: დასკვნაში შეგნებულად არ დააფიქსირა, რომ მომავალი მშვილებელი დაავადებულია მძიმე გადამდები ავადმყოფობით, აღრიცხვაზე იმყოფება და მკურნალობს ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში, პასუხისმგებამაინა ნამყოფი არასრულწლოვანი შვილისათვის ალიმენტის გადახდისაგან თავის არიდების გამო და ა.შ. პასუხისმგებლობა 173-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის არც მაშინაა გამორიცხული, როდესაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელმა განზრახ კი არ დაუმალა სასამართლოს ხსენებული ფაქტები, არამედ გაუფრთხილებლობით. ეს მაშინ იქნება, როდესაც იგი ზერელედ მოეკიდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და მშვილებლის კანდიდატურის სერიოზული შესწავლის გარეშე წარადგინა სასამართლოში დასკვნა, სადაც არ აისახა ზემოთ აღნიშნული გარემოებები. ამას კი შედეგად მოჰყვა სასამართლოს მიერ არასწორი გადაწყვეტილების მიღება, რაც თავისთავად მძიმე შედეგს წარმოადგენს. რაც შეეხება მოსამართლეს, თუ მან არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა არასწორია, მაშინ იგი, ცხადია, არ დაისჯება. სათანადო პირობების არსებობისას სასამართლემ შეიძლება პასუხი აგოს სამ-

სახურებრივი გულგრილობისათვის. (სსკ-ის 342-ე მ).

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო არკვევს, თანახმაა თუ არა ათი წლის ასაკს მიღწეული ბავშვი გაშვილებაზე. (მ. 1255). ზოგჯერ ბავშვის ნამდვილი ნება შეიძლება არც შეესაბამებოდეს მის გარეგან გამოხატულებას. ამიტომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ სერიოზულად უნდა გამოიკვლიოს, მოსწონს თუ არა ბავშვს მომავალი მშვილებელი, როგორი ურთიერთობა აქვს მასთან და ა.შ. ამ გამოკვლევის საფუძველზე იგი ადგენს ბავშვის ნამდვილ ნებას, თანახმაა თუ არა იგი გაშვილებაზე. ბავშვის თანხმობა გაშვილებაზე უნდა დაფიქსირდეს შესაბამის გამოკვლევის აქტში, რომელიც წარედგინება სასამართლოს. თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელი ზერელედ მოეკიდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, სერიოზულად არ გამოიკვლია ბავშვის ნამდვილი ნება, რაც საფუძველად დაედო სასამართლოს მიერ არასწორი გადაწყვეტილების მიღებას, იგი პასუხს აგებს სსკ-ის 173-ე მუხლით.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს შვილად აყვანის გაუქმება სასამართლო წესით, თუ ამას არასრულწლოვანი ნაშვილების ინტერესები მოითხოვს. კანონის თანახმად, ცალკეული პირები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ შვილად აყვანა არ შეესაბამება ბავშვის ინტერესებს და იგი უნდა გაუქმდეს, აცნობენ ამას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, რომელიც წყვეტს შვილად აყვანის გაუქმების მოთხოვნის წარდგენის საკითხს (მ. 1268). ამ ორგანოთა თანამშრომლები მონაწილეობენ სასამართლოს მიერ შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის საქმეთა განხილვისას. კანონის ზემოთ მოტანილ მოთხოვნათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვა, პასუხისმგებლობა დგება სსკ-ის 173-ე მუხლით.

შვილად აყვანის დასკვნის მომზადებისას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ შესაძლოა ისარგებლოს პედაგოგის, პედიატრის, ბავშვთა ფსიქიატრისა და ფსიქოლოგის დახმარებით. დასახელებული პირები არ უნდა ჩაითვალოს განსახილველი დანაშაულის ამსრულებლებად.

ამ დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ასევე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს თანამშრომელი. შვილად აყვანის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში სასამართლო ვალდებულია აცნობოს თავისი გადაწყვეტილება ამ ორგანოს. შვილება ნამდვილია სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან და არა რეგისტრაციის დღიდან. რეგისტრაციას უფლების წარმომშობი მნიშვნელობა არ გააჩნია. რეგისტრაციაში ტარდება უკვე არსებული შვილად აყვანის ფაქტი. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ორგანოს თანამშრომელთა მოქმედებას იშვიათ შემთხვევაში მოჰყვება მძიმე შედეგი. ამიტომ ისინი იშვიათად შეიძლება იყვნენ განსახილველი დანაშაულის ამსრულებლები. ეს მაშინ იქნება, როდესაც მაგალითად, სასამართლოს გადაწყვეტილება დაიკარგა ან მისი ნამდვილობა სადავო გახდა. ასეთ შემთხვევაში რეგისტრაციის აქტს დიდი მნიშვნელობა აქვს და მის არქონას ან არასწორად შედგენას შესაძლოა მართლაც მოჰყვეს მძიმე შედეგი. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა უნდა დადგეს სსკ-ის 173-ე მუხლით.

ვერ დავეთანხმებით პროფ. ზაურ წულაიას, რომელიც განსახილველ დანაშაულს ე.წ. რთული ანუ ორმაგი ბრალის სფეროს მიაკუთვნებს. იგი წერს: „სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული შვილად ან შვილობილად აყვანის წესის დარღვევის ფაქტის მიმართ შეიძლება ხასიათდებოდეს როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებელი ბრალით; ხოლო ქმედობით გამოწვეული მძიმე შედეგისადმი (ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, თვითმკვლელობა და ა.შ.) ან ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობისადმი – მართოდენ გაუფრთხილებელი ბრალით.“ ამასთან დაკავშირებით ზ. წულაია იმოწმებს სსკ-ის მე-11 მუხლს, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას თანამდევნი შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაულისათვის.<sup>1</sup>

ზემოთ მოტანილ თვალსაზრისთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე სისხლის სამართალში დღეს

---

<sup>1</sup> ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, პირველი ტომი, თბილისი, 2000, გვ.351.

უკვე გავრცელებული შეხედულების მიხედვით, „ძირითად შედეგთან შემადგენლობებში, სადაც დამატებით გათვალისწინებული არაა შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი შედეგი, შეუძლებელია ვილაპარაკოთ განზრახვაზე საკუთრივ ქმედების მიმართ და გაუფრთხილებლობაზე შედეგის მიმართ. ასეთ შემადგენლობებში პრინციპულად ერთი ბრალია შესაძლებელი და იგი მხოლოდ ერთი ფორმით უნდა გამოიხატოს.“<sup>1</sup>

რა თქმა უნდა, შვილად აყვანის წესი კაცმა შეიძლება განზრახ დაარღვიოს, მძიმე შედეგის მიმართ კი მხოლოდ გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება ჰქონდეს, მაგრამ ეს ვერ გადააქცევს 173-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს ე.წ. ორმაგი ბრალით ჩადენილად. ასეთ ბრალზე მხოლოდ რთულ ანუ შენადგენ დანაშაულთან დაკავშირებით შეგვიძლია ვილაპარაკოთ. შენადგენი დანაშაული კი მხოლოდ მაშინ გვაქვს, როდესაც ორი ან მეტი თავისთავად დანაშაულებრივი ქმედება ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ მესამე ერთიან დანაშაულს ქმნის. ასეთ შემთხვევაში ცალ-ცალკე უნდა დადგინდეს ფსიქიკური დამოკიდებულება ერთიან შემადგენლობაში შემავალი მოქმედებისა და შედეგის მიმართ. რაც შეეხება ჩვენს მიერ განსახილველ შემადგენლობას, თავისთავად შვილად აყვანის წესის დარღვევა არ წარმოადგენს დანაშაულს. დანაშაული მხოლოდ მაშინ გვაქვს, თუ წესის დარღვევამ მძიმე შედეგი გამოიწვია. ამიტომ აქ ე.წ. რთულ ანუ ორმაგ ბრალზე და შესაბამისად სსკ-ის მე-11 მუხლზე საუბარი არამართებულია.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტური მხარის სწორი განსაზღვრისათვის საჭიროა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში გაირკვეს შვილად აყვანის წესის დარღვევით გამოწვეული შედეგისადმი დამრღვევის ფსიქიკური დამოკიდებულება. ამის მიხედვით, დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით. მაგალითად, კანონის თანახმად, დაქორწინებული პირის შვილად აყვანისას აუცილებელია მისი მეუღლის თანხმობა. (სამოქალაქო კოდექსის 1249-ე მუხლი). ამ წესის დარღვევამ შეიძლება მეუღლეთა შორის უთანხმოება, ოჯახ-

1 მ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბილისი, 1982, გვ. 42.

ის დანგრევა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვიოს. თუ ხსენებული წესის დარღვევისას პირი შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება ასეთი შედეგის დადგომას, მაშინ დანაშაული ჩადენილია არაპირდაპირი განზრახვით. გაუფრთხილებლობა მაშინ გვექნება, როდესაც წესის დამრღვევი უსაფუძვლოდ იმედოვნებს, რომ მის მოქმედებას მძიმე შედეგი არ მოჰყვება, ან საერთოდ არ ითვალისწინებს შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ევალებოდა და შეეძლო გაეთვალისწინებინა. მაგალითი: ტრადიციულ ქრისტიანულ ოჯახში აღზრდილი, უდელმამოდ დარჩენილი ბავშვის შვილების უფლება მიეცა ღრმად მორწმუნე მუსულმან ცოლ-ქმარს. სასამართლომ დაარღვია კანონის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, შვილად აყვანის საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული „ბავშვის აღზრდის შესაძლებლობა ეთნიკური, რელიგიური და კულტურული გარემოს გათვალისწინებით“ (“შვილად აყვანის წესის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლი). სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მის გადაწყვეტილებას რელიგიური შეუთავსებლობის გამო ბავშვისა და მშვილებლისათვის შეიძლება მძიმე შედეგი მოჰყვეს, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ. ასეთ შემთხვევაში დანაშაული ჩადენილია გაუფრთხილებლობით.

თუ პირმა დაარღვია შვილად აყვანის წესი, მაგრამ არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ მის მოქმედებას მძიმე შედეგი მოჰყვებოდა, 173-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არ გვექნება.

შვილად აყვანის წესის დარღვევისათვის სასჯელის მაქსიმალური ზღვარია თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე, ხოლო თუ ქმედება ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მაშინ – ოთხ წლამდე. მკაცრი სასჯელების მომხრე არ ვართ, მაგრამ მიგვაჩნია, რომ 173-ე მუხლის სანქცია ყოველთვის არ იძლევა დამნაშაულისათვის ადეკვატური სასჯელის შეფარდების შესაძლებლობას. ეს განსაკუთრებით შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა წესის დამრღვევი ითვალისწინებს, რომ მის მოქმედებას შესაძლოა ნაშვილებისათვის მეტად მძიმე შედეგი მოჰყვეს და შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება ამ შედეგის დადგომას



(არაპირდაპირი განზრახვა). მაგალითად, მოსამართლემ შეიღად აყვანის უფლება მისცა ქრონიკულ ნარკომანს, რომელიც ადრე პასუხისმგებლობაში ნამყოფი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე არასრულწლოვანთა დაყოფიებისათვის. გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლე ითვალისწინებს, რომ მის მოქმედებას შესაძლოა მოჰყვეს მშვილდების მიერ შეიღად აყვანილის ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებაში ჩაბმა და გულგრილად ეკიდება ასეთი შედეგის დადგომას. მართლაც დადგა ეს შედეგი. მოსამართლე პასუხს აგებს სსკ-ის 173-ე მუხლის II ნაწილით (შეიღად აყვანის წესის დარღვევა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით). მას შეიძლება შეეფარდოს მაქსიმუმ ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა. ეს მაშინ, როცა არასრულწლოვნის ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებაზე დაყოფიებისათვის ექვსიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთაა დაწესებული (272-ე მუხლის მესამე ნაწილი). ჩვენს მაგალითში კი ამგვარი შედეგის დადგომა პირის განზრახვით იყო მოცული.

სხვა მაგალითების მოტანაც შეიძლება, როცა შეიღად აყვანის წესის დარღვევას მეტად მძიმე შედეგი მოჰყვა, რომელსაც მოიცავდა დამნაშავეს განზრახვა. ასეთ შემთხვევებში განსახილველი მუხლით გათვალისწინებული სასჯელი ყოველთვის არ შეესაბამება ჩადენილი ქმედების საშიშროებასა და დამნაშავეს ბრალის ხარისხს. ამიტომ უკეთესი იქნებოდა 173-ე მუხლში პასუხისმგებლობა დიფერენცირებული ყოფილიყო იმის მიხედვით, დამდგარი მძიმე შედეგისადმი წესის დამრღვევს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება ჰქონდა თუ განზრახი. ცხადია, უკანასკნელ შემთხვევაში პირი უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს.

შეიღად აყვანის წესის დარღვევას შეიძლება თან ახლდეს ქრთამის აღება, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სამსახურებრივი სიყალბე და ა.შ. ასეთ შემთხვევებში პასუხისმგებლობა უნდა დადგეს 173-ე და სსკ-ის შესაბამისი მუხლების (338-ე, 332-ე, 341-ე) ერთობლიობით. მაგალითად, მატერი-ალური გასამრჯელოს სანაცვლოდ მოსამართლემ შეიღად აყვანის ნება დართო პირს, რომელსაც მორალური თვისებების გამო არ შეუძლია ბავშვისათვის ცხოვრებისა და აღზრდის ნორმალური

პირობების შექმნა. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოხელემ დასკვნაში შეგნებულად არ დააფიქსირა, რომ მშვილებელს ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება და არ აღმდგარა პირვანდელ მდგომარეობაში.

ზოგჯერ შვილად აყვანის წესის დარღვევა უფრო მძიმე დანაშაულის – არასრულწლოვნით ვაჭრობის შენიღბვის საშუალებას წარმოადგენს. მოსამართლე, რომელსაც კანონით დადგენილი წესების დარღვევით გამოაქვს შვილად აყვანის გადაწყვეტილება, რათა ხელი შეუწყოს ვითომდა მშვილებელს არასრულწლოვნით ვაჭრობასთან დაკავშირებულ მოქმედებათა განხორციელებაში, არის ხსენებული დანაშაულის თანამონაწილე, კერძოდ დამხმარე და გარდა 173-ე მუხლისა, პასუხს აგებს სსკ-ის 25-143<sup>2</sup>-ე მუხლებით. ცხადია, დანაშაულთა ერთობლიობა არ გვექნება, თუ წესის დამრღვევმა არ იცოდა, რომ ხელს უწყობს სხვას ტრეფიკინგის ჩადენაში. ასეთ შემთხვევაში იგი პასუხს აგებს მხოლოდ სსკ-ის 173-ე მუხლით.

ცალკე განხილვის ღირსია სხვა სახელმწიფოში ბავშვის გაშვილების საკითხი. 1993 წლის 29 მაისის კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, ბავშვის სხვა სახელმწიფოში გაშვილებას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის გაშვილება ვერ მოხერხდა იმ ქვეყანაში, სადაც იგი დაიბადა. კონვენცია ხელმომწერ სახელმწიფოებს ავალდებულებს „პრიორიტეტულ ამოცანად დაისაზოს სათანადო ზომების მიღება ბავშვის საკუთარ ოჯახში აღსაზრდელად.“ კონვენციის თანახმად, „საერთაშორისო გაშვილება ბავშვს ანიჭებს უპირატესობას, რომელიც დაკავშირებულია მუდმივი ოჯახის არსებობასთან, თუ ასეთი ოჯახი ვერ გამოიძებნა იმ ქვეყანაში, სადაც იგი დაიბადა“.

კონვენციის ძირითადი დებულებები აპაზულია საქართველოს კანონში „შვილად აყვანის წესის შესახებ“, რომელიც არეგულირებს სხვა სახელმწიფოში ბავშვის გაშვილების საკითხებს. საქართველოს გენოფონდის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო, ცხადია, დაინტერესებულია, რომ საქართველოში მცხოვრები ბავშვის გაშვილება მოხდეს საქართველოს ტერიტო-

რიაზევე. კანონის თანახმად, თუ საქართველოში არ მოიძებნა მშვილებელი, ბავშვის ერთ-ერთი უმთავრესი უფლების – ოჯახურ გარემოში ცხოვრებისა და აღზრდის უფლების რეალიზაციის მიზნით, მისი სხვა სახელმწიფოში გაშვილების საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ბავშვის მოვლის ალტერნატიული საშუალება.

საქართველოში მცხოვრები ბავშვის სხვა სახელმწიფოში გაშვილებისას გაშვილების მიზანშეწონილების დასკვნას ამზადებს უშუალოდ განათლების სამინისტრო. სხვა სახელმწიფოში ბავშვის გაშვილებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონის მოთხოვნა, რომ „საჭიროების შემთხვევაში დასკვნა უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის აღზრდის შესაძლებლობას ეთნიკური, რელიგიური და კულტურული გარემოს გათვალისწინებით“ (“შვილად აყვანის წესის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი).

საქართველოში მცხოვრები ბავშვის სხვა სახელმწიფოში გამშვილება შეიძლება მხოლოდ მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების მონაცემთა ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში აღრიცხვაზე აყვანიდან ექვსი თვის შემდეგ. ბავშვის ჯანმრთელობისათვის საშიში მდგომარეობის შემთხვევაში შესაძლებელია ამ ვადის შემცირება სასამართლოს მიერ. (მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი).

ბავშვის სხვა სახელმწიფოში გაშვილებისას საქართველოს განათლების სამინისტრო იღებს აუცილებელ ზომებს გაშვილებული ბავშვის გამგზავრების ნებართვის მისაღებად და უზრუნველყოფს მის უსაფრთხო და სათანადო წესით გადაყვანას, საჭიროების შემთხვევაში კი – მშობლების თანხლებით.

ამ და სხვა წესების დარღვევის შემთხვევაში, თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვება, პასუხისმგებლობა უნდა დადგეს სსკ-ის 173-ე მუხლით.

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება, როდესაც კაცმა ბავშვის შვილად აყვანის მიზნით წინასწარ შეარჩია ფეხმძიმე ქალები, გაიყვანა სხვა სახელმწიფოში, სადაც მოხდა ახალშობილის შვილად აყვანა. ასეთი ქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 172<sup>1</sup>-ე მუხლით (იხ. 172<sup>1</sup>-ე მუხლის განმარტება).

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში სსკ-ის 173-ე მუხლით მსჯავრდების შემთხვევები არ გვხვდება.

## მუხლი 174. ბავშვის შეცვლა

ბავშვის შეცვლა ანგარებით ან სხვა ქვენაგრძნობით, —

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2937-სსმ I, 2006 წ., № 14, მუხ. 90)

საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის თავდაპირველი რედაქცია ერთ, 127-ე მუხლში ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ორი, ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული ქმედებისათვის. ამ მუხლით ისჯებოდა „სხვისი ბავშვის მოტაცება ან ბავშვის შეცვლა, რომელიც ჩადენილია ანგარებით ან სხვა ქვენაგრძნობით.“ დიდი ხნის განმავლობაში ეს ფაქტიურად მკვდარი მუხლი იყო, რადგან მასში აღწერილ ქმედებათაგან არც ერთს პრაქტიკაში ადგილი არ ჰქონდა. 70-იანი წლების მიწურულს საქართველოში ბავშვის მოტაცების რამდენიმე შემთხვევა მოხდა. დამნაშავეებს მსჯავრი დაედოთ სსკ-ის 127-ე მუხლით. ამ მუხლით გათვალისწინებული სასჯელი — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე არ შეესაბამებოდა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და საშიშროებას, ასევე არ პასუხობდა საზოგადოების დაკვეთას — მკაცრად დაესაჯათ ასეთი დანაშაულის ჩამდენი პირები. კანონმდებელმა სწრაფად მოახდინა რეაგირება აღნიშნულ ფაქტზე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 6 დეკემბრის ბრძანებულებით სსკ-ის 127-ე მუხლში შევიდა ცვლილება — მუხლის დისპოზიციიდან ამოიღეს ბავშვის მოტაცების შემადგენლობა და დარჩა მხოლოდ ბავშვის შეცვლა. იმავდროულად, სსკ-ის 133-ე მუხლს (თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა) დაემატა კვალიფიციური შემადგენლობა — თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა 16 წლის

ასაკამდე არასრულწლოვნის მიმართ. ეს უკანასკნელი მოიცავდა ბავშვის მოტაცების შემთხვევებსაც. გამკაცრდა სასჯელიც. ნაცვლად ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთისა, რაც სსკ-ის 127-ე მუხლით ბავშვის მოტაცებისათვის იყო დაწესებული, არასრულწლოვნისათვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა (სსკ-ის 133-ე მუხლის მეორე ნაწილი) ისჯებოდა სამიდან ათ წლამდე.<sup>1</sup>

სსკ-ის 174-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ხელყოფს ბავშვის ინტერესებს, მის ნორმალურ ზნეობრივ განვითარებას, ასევე მის უფლებას, იცხოვროს და აღიზარდოს ღვიძლ მშობლებთან. დროთა განმავლობაში ბავშვის შეცვლამ შეიძლება სხვადასხვა მიზეზზე შედეგები გამოიწვიოს. (მაგალითად, ბავშვმა გაიგო, რომ ის მშობლებს მოაშორეს, რამაც მიზეზი სულიერი ტრამვა გამოიწვია, ანგარიში გაუსწორა ამის ჩამდენს და ა.შ.). ეს დანაშაული ხელყოფს აგრეთვე მშობლების ინტერესებს, მათ უფლებას, თავისთან იყოლიონ და აღზარდონ თავიანთი შვილები. დაზარალებულის როლში შეიძლება მოგვევლინონ არა მარტო მშობლები, არამედ მშვილებლები, მეურვეები და ა. შ.

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია. დანაშაული დამთავრებულად ითვლება ბავშვის შეცვლის მომენტიდან.

პრაქტიკულად ბავშვის შეცვლა შეიძლება მანამ, სანამ იგი ახალშობილია ან იმდენად პატარაა, რომ მისი ცნობა მშობელს არ შეუძლია. მაგალითად, დედა, რომელსაც ბიჭის შექმნა სურდა, გასამრჯელოს შეპირებით უთანხმდება სამშობიარო სახლის თანამშრომელს, რომ მისი ახალშობილი გოგონა გაცვალოს სხვის ვაჟზე. თანამშრომელი პასუხს აგებს სსკ-ის 174-ე მუხლით, დედა კი არის წამქეზებული და მისი ქმედება დაკვალიფიცირდება 25-174-ე მუხლებით. გამორიცხული არც მოზრდილი ბავშვის შეცვლაა. მაგალითად, ჩვილი ბავშვის მშობელი დააპატიმრეს ან დიდი ხნით საზღვარგარეთ გაემგზავრა. მის არყოფნაში კი ბავშვი შეცვალეს. მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაშიც პირმა პასუხი უნდა აგოს სსკ-ის 174-ე მუხლით.

---

1 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1979, №12, მუხ.10.

თუ ბავშვი არ შეცვალეს, განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება. პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე(თავისუფლების უკანონო აღკვეთა), 143<sup>2</sup>-ე (არასრულწლოვნით ვაჭრობა), 144-ე (მძევლად ხელში ჩაგდება) ან 172-ე (არასრულწლოვნის ყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით) მუხლებით. მაგალითად, სამშობიარო სახლის დირექტორმა კი არ შეცვალა ბავშვი, არამედ წინასწარი შეთანხმებით უშვილო ცოლ-ქმარს მიჰყიდა. ცოლ-ქმარი, რომელიც ბავშვის შვილად აყვანის მიზნით მოქმედებს, პასუხს აგებს სსკ-ის 172-ე მუხლით (არასრულწლოვნის ყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით). სამშობიარო სახლის თანამშრომლის ქმედება კი დაკვალიფიცირდება, როგორც არასრულწლოვნით ვაჭრობა. (143<sup>2</sup>-ე მუხლი). თუ მის ქმედებას თან ახლდა ოფიციალურ დოკუმენტში ყალბი ჩანაწერი (მაგალითად, დოკუმენტში მიუთითა, რომ ბავშვი გარდაიცვალა), მაშინ სახეზეა 341-ე და 143<sup>2</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ერთობლიობა.

განსახილველი დანაშაულის ამსრულებლის როლში შეიძლება მოგვევლინონ მშობლები, სამედიცინო პერსონალი (მაგალითად, სამშობიარო სახლის ან ჩვილ ბავშვთა განყოფილების მედლა), იშვიათად, სხვა პირებიც.

174-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ერთ ბავშვს ცვლის მეორეზე და სურს ეს. თუ ამგვარ ქმედებას კაცი გაუფრთხილებლობით ჩაიდენს, მას 174-ე მუხლით პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. სათანადო პირობების არსებობისას, მან შეიძლება პასუხი აგოს სამსახურებრივი გულგრილობისათვის (სსკ-ის 342-ე მუხლი), ან უნდა დააკმაყოფილდეთ მხოლოდ დისციპლინური ღვეწის განხორციელებით. (მაგალითად, ჩვილ ბავშვთა განყოფილების თანამშრომლის დაუდევრობას ბავშვის შეცვლა მოჰყვა).

მარტო ბავშვის განზრახ შეცვლა არ გვაძლევს განსახილველი დანაშაულის შემადგენლობას. საჭიროა პირი მოქმედებდეს

ანგარებით ან სხვა ქვენაგრძნობით. უფრო ტიპიურია ამ დანაშაულის ანგარებით ჩადენა. მაგალითად, სამშობიარო სახლის მედღას ფული გადაუხადეს და დაავალეს შეეცვალა ბავშვი. მეღდა მოქმედებს ანგარებით და პასუხს აგებს სსკ-ის 174-ე მუხლით.

სხვა ქვენაგრძნობა იქნება შურისძიება, შური და ა.შ. მაგალითად, ბავშვი შეცვალეს მის მშობლებზე შურისძიების მოტივით. შესაძლებელია ხულიგნური ქვენაგრძნობაც. მაგალითად, პარკში ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ახალგაზრდებმა შეცვალეს საბავშვო ეტლებში უყურადღებოდ მიტოვებული ბავშვები. ზოგჯერ ბავშვის შეცვლა სხვა დანაშაულის ჩადენის წინაპირობას წარმოადგენს. მაგალითად, ბავშვები შეცვალეს მშობლებისგან შემდგომში გამოსასყიდი თანხის მიღების მიზნით.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში სსკ-ის 174-ე მუხლით მსჯავრდების შემთხვევები არ გვხვდება.

## მუხლი 175. შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება

1. შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება მშვილბელის ნება-სურვილის გარეშე, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი საშუაოთი ვადით ექვს თვემდე.

2. იგივე ქმედება:

ა) იმის მიერ, ვინც ვალდებულია დაიცვას შვილად აყვანის ფაქტი, როგორც საშსახურებრივი ან პროფესიული საიდუმლოება;

ბ) რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

როგორც სსკ-ის 173-ე მუხლის კომენტირებისას აღვნიშნეთ, შვილად აყვანის ინსტიტუტის მიზანია უზრუნველყოს ბავშვის კეთილდღეობა, მისი ოჯახურ გარემოში აღზრდისა და განვითარების.

რების შესაძლებლობა. სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, შვილად აყვანის შემდეგ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის უნდა წარმოიშვას ისეთივე ურთიერთობა, როგორცაა მშობელსა და შვილებს შორის. ეს ცხადია, მაშინაა შესაძლებელი, თუ დაცული იქნება შვილად აყვანის საიდუმლოება. ამ საიდუმლოების დაცვის სადარაჯოზე დგას საქართველოს სსკ-ის 175-ე მუხლი.

შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებამ შეიძლება დიდი სულიერი ტკივილი მიაყენოს ნაშვილებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს უკანასკნელი არასრულწლოვანია, ხელყოს მისი ნორმალური აღზრდისა და განვითარების პროცესი, წარმოშვას კონფლიქტი მასსა და მშვილებლებს შორის და დაარღვიოს სიმშვიდე და მყუდროება ოჯახში. შესაძლოა უფრო მძიმე, გაუთვალისწინებელი შედეგების დადგომაც. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ეს მუხლი მოთავსებულია ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში.

დანაშაულის შემადგენლობის არსებობისათვის საჭიროა შვილად აყვანის საიდუმლოების შეტყობინება ერთი ან რამდენიმე ადამიანისთვის. შეტყობინების ადრესატი შეიძლება იყოს როგორც ნაშვილები, ისე სხვა პირიც. კანონმდებელს რომ სურდეს შეზღუდოს 175-ე მუხლის მოქმედების ფარგლები მხოლოდ შვილად აყვანილისათვის საიდუმლოების გამჟღავნების შემთხვევებით, თვით კანონში მიუთითებდა ამას. დანაშაულის საშიშროება მეტია და კაცი უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს, როცა შეტყობინების ადრესატი თავად შვილად აყვანილია. ამ უკანასკნელის სრულწლოვანება არ გამორიცხავს სსკ-ის 175-ე მუხლით პასუხისმგებლობას, თუმცა ასეთი ქმედება ნაკლები საშიშროების შემცველია.

შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება დასჯადია მაშინ, თუ იგი ხდება მშვილებლის ნება-სურვილის გარეშე. ცხადია, განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება, როცა მშვილებელი ამა თუ იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, თვითონ გაანდოს ნაშვილებს ამ საიდუმლოს, ანდა ამას მისი თანხმობით სხვა გააკეთებს. როცა შვილად აყვანა ხდება მეუღლეების მიერ, მშვილებლის ნება-სურვილში იგულისხმება ორივე მათგანის ნება. ამიტომ თუ კაცმა გაამჟღავნა შვილად აყვანის საიდუმლო ერთი



მეუღლის თანხმობით, მაშინ როცა მეორე ამის წინააღმდეგი იყო, სახეზეა განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა. მეტიც, როგორც სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაშია აღნიშნული, „თუ ერთი მშობლის ნებართვის გარეშე მეორე მშობელმა გაამჟღავნა შვილების საიდუმლო, იგი უნდა დაისაჯოს, როგორც შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებელი.“<sup>1</sup>

საიდუმლოს გამჟღავნება მშვილებლის გარდაცვალების შემდეგ არ გამორიცხავს პასუხისმგებლობას 175-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. როცა წყდება შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის საკითხი, მაშინ შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დადგება.

განსახილველი დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ შვილად აყვანის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. თუ შვილება იურიდიულად გაფორმებული არ არის, მაშინ 175-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება.

შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება, გარდა 175-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული კვალიფიციური შემადგენლობისა (იგივე ქმედება, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია), ფორმალურ დელიქტთა რიცხვს განეკუთვნება. დანაშაული დამთავრებულია ადრესატისათვის შვილად აყვანის ინფორმაციის შეტყობინებისთანავე, იმისგან დამოუკიდებლად, მოჰყვა თუ არა მას რაიმე მძიმე შედეგი. ცხადია, საიდუმლოება მაშინ არის გამჟღავნებული, როცა ადრესატისათვის იგი ცნობილი გახდება. ამიტომ, თუ ინფორმაციის მიწოდება წერილის მეშვეობით ხდება, დანაშაული დამთავრებულია ადრესატის მიერ წერილის გაცნობის მომენტიდან. მანამდე გვექნება მომზადება (ვთქვათ, წერილის დაწერა), ან მცდელობა (ფოსტით გაგზავნა). განსახილველი დანაშაულის მომზადება არ ისჯება.

დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ მშვილებ-

---

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, თბილისი, 2006, გვ. 317.

ლის ნებართვის გარეშე ამჟღავნებს შვილად აყვანის საიდუმლოს და სურს ეს. ამასთან ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ნაშვილებმა არ იცის ეს საიდუმლო, კერძოდ – მშობლების ღვიძლი შვილი რომ არ არის. თუ კაცი შეცდომით ფიქრობს, რომ ნაშვილებისთვის ცნობილია ეს ფაქტი, მაშინ უკანასკნელთან ამ თემაზე საუბარი საიდუმლოს გამჟღავნებად არ ჩაითვლება და განსახილველი დანაშაულის შემადგენლობაც არ გვექნება. 175-ე მუხლით პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ ყურადღებით უნდა შეისწავლოს საქმის გარემოებები, რათა დაადგინოს, განსასჯელის მოქმედებამდე იცოდა თუ არა შვილად აყვანილმა ეს ფაქტი.

ქალაქ ქუჩა №. .-ში მცხოვრებ თამაზ და დალი ი-შვილებს ამ უკანასკნელის ძმისგან ნაშვილები ჰყავდათ ბავშვი – ირაკლი ი-შვილი. ცოლ-ქმარს კონფლიქტური ურთიერთობა ჰქონდა კარის მეზობელთან – ზეინაბ ა-ძესთან. 2005 წლის , როცა თამაზ ი-შვილი ვენახს სხლავდა, ზეინაბ ა-მ კვლავ ჩხუბი დაუწყო. დალი ი-შვილმა თავი აარიდა ჩხუბში ჩარევას და ბავშვი გაგზავნა მამის წამოსაყვანად. ირაკლი ი-ს სიტყვებზე – მამა, დედა გეძახისო, ზეინაბ ა-ძემ ბავშვს უთხრა: ეგ რა შენი მამაა, შენი დედ-მამა ზემო იმერეთშიაო და უწოდა. ბავშვის ქცევა ამის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა, გახდა ნერვიული და სწავლას მოუკლო. მისი დაჟინებული თხოვნით თამაზ და დალი ი-შვილები იძულებულნი გახდნენ მისთვის ბიოლოგიური მშობლების ვინაობა გაემხილათ.

წინასწარი და სასამართლო გამოძიების დროს ზეინაბ ა-ძე აღნიშნავდა, ირაკლი ი-შვილმა ისედაც იცოდა ნაშვილები რომ იყო. ეს არ დადასტურდა დაზარალებულთა და მოწმეთა მიერ. არასრულწლოვან ირაკლი ი-ს ჩვენებით, მას სხვისგან არასდროს სმენია მისი შვილად აყვანის თაობაზე. მოწმის სახით დაკითხულმა მეზობლებმაც გამორიცხეს, ირაკლი ი-ს სხვა რომელიმე მეზობლისგან შეეტყო ეს საიდუმლო, გარდა ზეინაბ ა-ძისა. გაირკვა, რომ ამ უკანასკნელს ადრეც არაერთხელ მიუნიშნებია ბავშვისთვის, რომ თამაზ და დალი ი-შვილები მისი ბიოლოგიური მშობლები არ იყვნენ, თუმცა იგი უასაკობის გამო ვერ ხვდებოდა რას ეუბ-

ნებოდნენ. ცოლ-ქმარ ი-შვილებთან ერთ-ერთი ჩხუბის დროს მას ბავშვისთვის უთქვამს: ორი წყვილი დედ-მამის გაზრდილი შვილი რა ზრდილობიანი გამოსულხარო. რამდენჯერმე კი ბავშვის თანდასწრებით დალი ი-სთვის ვითომდა ზუმრობით მიუმართავს: ეს წაიყვანე, საიდანაც მოიყვანეო. მოწმე მანანა დ-ძის ჩვენებით, ზეინაბ ა-ძემ ბავშვსაც რამდენჯერმე უთხრა: წადი შენს სახლშიო.

ზეინაბ ა-ძეს სწორად დაედო მსჯავრი სსკ-ის 175-ე მუხლის პირველი ნაწილით და შეეფარდა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

მიზანს და მოტივს დანაშაულის შემადგენლობის არსებობისათვის მნიშვნელობა არა აქვს. დამნაშავეს შეიძლება ამოძრავებდეს მშვილებლის ან შვილად აყვანილის მიმართ სიძულვილი, შური, შურისძიება და ა.შ.

რაიონის სოფელ მცხოვრებ მირანდა დ-ძეს წლების განმავლობაში დაეა ჰქონდა მეზობელ ანა ლ-შვილთან, რომლის ეზო ესაზღვრებოდა მის ბოსტანს. ანა ლ-ს საქონელი ხშირად უზიანებდა მას მოსავალს ბოსტანში. 2006 წლის ამ ნიადაგზე მეზობლებს კვლავ მოუვიდათ კამათი, რომელიც ჩხუბში გადაიზარდა. ჩხუბის დროს ანა ლ-ს მისი 12 წლის გოგონა – ლელა გამოეხარჩლა. მირანდა დ-ძემ მას უთხრა: „ხმა ჩაიწყვიტე, შე მოთრეულოო“ და წყევლა დაუწყო. შემდეგ კი ანა ლ-ს მიუბრუნდა: „შენს შვილს მიხედე, ნაშვილები რომ გყავსო“. ამ სიტყვების გაგონებაზე ლელამ ტირილი დაიწყო და ყვიროდა: თუ ნაშვილები ვარ, თავს მოვიკლავო. ამ ამბის შემდეგ მშობლები იძულებულნი გახდნენ ლელა თბილისში გადაეყვანათ სასწავლებლად, რათა მსგავსი რამ არ განმეორებულყო.

რაიონულმა სასამართლომ მირანდა დ-ძეს მსჯავრი დასდო საქართველოს სსკ-ის 175-ე მუხლის პირველი ნაწილით და შეუფარდა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

რაიონის სოფელ მცხოვრებ ცოლ-ქმარს ემზარ ჯანაშვილსა და ნელი ბარათელს (სახელი და გვარი ყველგან შეცვლილია – თ.ე.) ორი ნაშვილები ბავშვი – თორნიკე და პაატა ჰყავდათ. მშობლები საიდუმლოდ ინახავდნენ ამ ფაქტს. ბავშვებმა არ იცოდნენ მათი ღვიძლი შვილები რომ არ იყვნენ. ოჯახს დამაბული ურთიერთობა ჰქონდა მეზობლად მცხოვრებ მამა-შვილთან –

დავით და ელენე ჯანაშვილებთან. ამის მიზეზი იყო ემზარ ჯანაშვილისა და ნელი ბარათელის მიერ მეზობლის — მზია ჯანაშვილის საკარმიდამო მიწის ნაკვეთის შეძენა, რამაც დავით და ელენე ჯ-შვილები ძალიან გაანაწყენა. ამის შემდეგ ისინი სისტემატურად მიმართავდნენ თორნიკესა და პაატას შეურაცხყოფელი სიტყვებით, ეუბნებოდნენ, რომ მათი ადგილი ჯანაშვილების მიწაზე არ არის. 2006 წლის დილით ნელი ბარათელს შვილები სკოლაში მიჰყავდა. საკუთარი ეზოს ჭიშკართან მდგომმა დავით და ელენე ჯ-შვილებმა ბავშვებს დაუძახეს და უთხრეს, რომ ისინი ნაშვილები არიან, ემზარ ჯანაშვილი და ნელი ბარათელი მათი მშობლები არ არიან და ამიტომ მზია ჯანაშვილის სახლში ცხოვრების უფლება მათ არა აქვთ. ამის გაგონებაზე ბავშვები ძალიან ანერვიულდნენ. გარკვეული ხნის შემდეგ კი მშობლები იძულებულნი გახდნენ მათთვის სიმართლე გაემხილათ.

დავით და ელენე ჯანაშვილებს მსჯავრი დაედოთ საქართველოს სსკ-ის 175-ე მუხლის პირველი ნაწილით და შეეფარდათ ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ ელენე ჯ-შვილი რაიონის სოფელ საშუალო სკოლის პედაგოგი იყო. მის მიერ ჩადენილი დანაშაული მიმართულია არასრულწლოვანი ბავშვის ინტერესების, მისი ნორმალური აღზრდისა და განვითარების წინააღმდეგ. ასეთი დანაშაულის ჩამდენის პედაგოგად მუშაობა გაუმართლებელი უნდა იყოს. მიმაჩნია, რომ ძირითად სასჯელთან ერთად მიზანშეწონილი იქნებოდა დამატებითი სასჯელის სახით თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის გამოყენება.

თუ შეილად აყვანის საიდუმლოს გამჟღავნების მუქარით ხდება მშვილებლისგან ნივთის, ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა, სახეზეა გამოძალვის შემადგენლობა (სსკ-ის 182-ე მუხლი).

175-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს განსახილველი დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებებს. ესენია: შეილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება: ა) იმის მიერ, ვინც ვალდებულია დაიცვას შეილად აყვანის ფაქტი, როგორც სამსახურებრივი ან პროფესიული საიდუმლოება და ბ) რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია.

როგორც სსკ-ის 173-ე მუხლის კომენტირებისას აღვნიშნეთ, შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის შემდეგ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1242-ე მუხლი). სასამართლოს გადაწყვეტილების რეგისტრაცია ხდება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში მშვილელის ან შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან ბავშვის შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით (მუხლი 1244). სწორედ ამ ორგანოთა თანამშრომლები არიან 175-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებლები, იქნება ეს მოხელე (მაგალითად, მოსამართლე), თუ რიგითი მუშაკი. ხსენებული დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ასევე ადვოკატი, რომელიც სამართლებრივ დახმარებას უწევდა მშვილელს შვილად აყვანის საკითხის მოგვარებისას, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა თანამშრომლები, პედაგოგები, აღმზრდელები, უდედამო ბავშვთა სახლის მუშაკები, რომელთათვისაც ეს საიდუმლო ცნობილი გახდა თავისი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე და ა.შ.

სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, შვილად აყვანის შესახებ ცნობების შეკრება და გამოქვეყნება მშვილელის თანხმობის გარეშე აკრძალულია. (სამოქალაქო კოდექსის 1263-ე მუხლი). „არ შეიძლება აგრეთვე სარეგისტრაციო წიგნებიდან ისეთი ამონაწერების გაკეთება და გაცემა, რომლიდანაც ცნობილი ხდება, რომ ნაშვილების ღვიძლი მშობლები არ არიან მშვილებლები“.<sup>1</sup> სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ კაცმა უცოდინრობის, დაბალი პროფესიონალიზმის ან გამოუცდელობის გამო არ იცოდა, რომ ამგვარი ამონაწერის ან ცნობის გაცემა მშვილელის თანხმობის გარეშე არ შეიძლებოდა. ასეთ შემთხვევებში შეიძლება გამოყენებული იქნეს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება. თუ ამგვარი ქმედების ჩადენა განპირობებულია სამსახურებრივი მოვალეობისადმი გულგრილი, ზერელე

1 რომან შენგელია, საოჯახო სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 273.

დამოკიდებულებით, სათანადო პირობების არსებობისას გვექნება სსკ-ის 342-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა – სამსახურებრივი გულგრილობა;

175-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ მძიმე შედეგად შეიძლება ჩაითვალოს შვილად აყვანილის მძიმე ნერვული ან ფსიქიკური აშლილობა, სახლიდან გაქცევა, თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის მცდელობა და ა.შ. მძიმე შედეგი მხოლოდ მაშინ მოახდენს გავლენას დამნაშავის ქმედების კვალიფიკაციაზე, როდესაც მას ამ შედეგისადმი გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება ჰქონდა. თუ იგი არ ითვალისწინებდა შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არც შეეძლო ამის გათვალისწინება, განსახილველი კვალიფიციური შემადგენლობა არ გვექნება. თუ მძიმე შედეგი დამნაშავის განზრახვით იყო მოცული, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება არა 175-ე მუხლის მეორე ნაწილის “ბ” პუნქტით, არამედ იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ შედეგის განზრახ გამოწვევისათვის. მაგალითად, კაცმა იცის შვილად აყვანილი ბავშვის არამდგრადი ფსიქიკისა და ნერვული დაავადების ამბავი. იგი ითვალისწინებს, რომ შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებამ შესაძლოა მისი ფსიქიკური დაავადება გამოიწვიოს და შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება ასეთი შედეგის დადგომას. შედეგის დადგომის შემთხვევაში დამნაშავე პასუხს აგებს 175-ე და 117-ე მუხლების ერთობლიობით (და არა 175-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტით).

2006 წლის თებერვალს რაიონული სასამართლო განიხილავდა სისხლის სამართლის საქმეს შოთა ა-ძის მიმართ. სასამართლო სხდომის დაწყებამდე, სასამართლოს შენობის შესასვლელთან განსასჯელის მეუღლე თინა კ-ძესა და საქმეზე დაზარალებულად ცნობილ ლამარა გ-ურს შორის მოხდა შელაპარაკება, რაც ჩხუბში გადაიზარდა. ჩხუბში ლამარა გ-ს და – ეკა თ-შვილიც ჩაერია. ჩხუბის დროს ლამარა გ-მ და ეკა თ-შვილმა სხდომაზე დასასწრებად შეკრებილი ხალხის თანდასწრებით, თინა კ-ძეს შეატყობინეს, რომ მისი მშობლების ღვიძლი შვილი კი არა, ნაშვილები იყო. თინა კ-ს შვილად აყვანის საიდუმლოს გაგების

შემდეგ განუვითარდა მწვავე სტრესი, აშლილობა მობიური სინდრომით, რაც გამოიხატა ნევროზული ჩივილებით, შფოთვით, ფობიებით, უძილობით, ადვილად გაღიზიანებადობითა და ალგზნებადობით, უმოტივო ცრემლიანობით და კიდურების ცახცახით. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა ორ თვეზე მეტხანს.

ლამარა გ-ურსა და ეკა თ-შვილს მსჯავრი დაეღოთ სსკ-ის 175-ე მუხლის მეორე ნაწილის 'ბ' პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – შვილად აყვანის საიდუმლოების გამოჟღავნება, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია. მათ შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით, რაც სსკ-ის 63-ე, 64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვალათ პირობით ერთი წლის გამოსაცდელი ვადით. დამატებითი სასჯელის სახით კი დაეკისრათ ჯარიმა თითოეულს ათას შვიდასი ლარის ოდენობით.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული საქმეების გარდა, 2005-2007 წლების განმავლობაში საქართველოში 175-ე მუხლით მსჯავრდების სხვა შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

## მუხლი 176. ალიმენტის გადახდისათვის ჯიშტად თავის არიდება

სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდისათვის ჯიშტად თავის არიდება, –

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ან ოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე.

ეს მუხლი სამართალმემკვიდრეა საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე და 126-ე მუხლებისა, რომლებითაც ისჯებოდა „მშობლების მიერ ბოროტად თავის არიდება შვილების რჩენისათვის სასამართლოს მიერ დადგენილი სახსრების გადახდისაგან“ და შვილების ან მეუღლეების მიერ „ბოროტად თავის არიდება იმ მატერიალური დახმარების გაწევისათვის, რომელიც სასამართლომ შრომისუნარო მშობლებს ან მეუღლეს

დაუნიშნა“. ამჟამად მოქმედი კოდექსის 176-ე მუხლი ითვალისწინებს როგორც მშობლების, შვილებისა და მეუღლეების, ასევე და-ძმის, შვილიშვილის, პაპის, ბებიათა და სხვათა პასუხისმგებლობას სასამართლოს მიერ დაკისრებული ალიმენტის გადაუხდელობისათვის.

საალიმენტო სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1212-1238 მუხლები.

მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუნარო სრულწლოვანი შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. (1212-ე მუხლი). ამ მოვალეობას მშობლები ნებაყოფლობით ასრულებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო წესით მათ დაეკისრებათ ალიმენტის გადახდის ვალდებულება. ეს ვალდებულება უმეტესად ეკისრება იმ მშობელს, რომელიც განქორწინების ან სხვა მიზეზის გამო ცალკე ცხოვრობს და არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს მეორე მშობელთან მცხოვრები შვილის რჩენაში. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას (1214-ე მუხლი). მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულწლოვან შვილებს, შეიძლება დაეკისროს მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით – ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვ. (1215-ე მუხლი). სისხლის სამართლის კოდექსის 176-ე მუხლი სასამართლოს მიერ დაკისრებული ასეთი დამატებითი ხარჯების არგადამხდელი მშობლის პასუხისმგებლობასაც ითვალისწინებს. მშობლები არც მაშინ თავისუფლდებიან შვილების რჩენის მოვალეობისაგან, როცა მათ ჩამოერთმევათ მშობლის უფლება. სამოქალაქო კოდექსის 1206-ე მუხლის თანახმად, მშობლისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანასთან ერთად სასამართლო წყვეტს ამ პირისაგან ალიმენტის გადახდის საკითხს.



კანონი უფლებას აძლევს სასამართლოს ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევებში საქმის არსებითად განხილვამდე გამოიტანოს შვილის შესანახი სახსრების გადახდევინების განჩინება (მუხლი 1217). ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა მოპასუხე სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ბავშვის მშობლად არის ჩაწერილი. ხშირად ალიმენტთან დაკავშირებული საქმეების განხილვა სხვადასხვა მიზეზების გამო ჭიანურდება. (ერთ-ერთი მხარის ავადმყოფობის, აუცილებელ მივიღებებში გამგზავრების, მხარეების სხვადასხვა ქალაქში ცხოვრების გამო და ა.შ.). ასეთ დროს ბავშვის დატოვება სათანადო მატერიალური უზრუნველყოფის გარეშე დაუშვებელია. ალიმენტის წინასწარი გადახდევინების ხსენებული წესი სწორედ შვილის ინტერესების დაცვას ემსახურება. კანონის განვრცობითი განმარტებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსის 176-ე მუხლი ისეთი მშობლის პასუხისმგებლობასაც მოიცავს, რომელიც თავს არიდებს ალიმენტის წინასწარი გადახდევინების შესახებ სასამართლოს განჩინების შესრულებას.<sup>1</sup>

სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ. შვილები შეიძლება განთავისუფლდნენ მშობლების რჩენის მოვალეობისაგან, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მშობლები თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას. მშობელი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, კარგავს შვილებისგან ალიმენტის მოთხოვნის უფლებას. (1218-ე მუხლი).

სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილია არა მხოლოდ მშობლებისა და შვილების, არამედ ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო მოვალეობანი. დები და ძმები, რომელთაც საკმაო სახს-

---

1 სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნად განხორციელების თვალსაზრისით უფრო სრულყოფილად გამოიყურებოდა საქართველოს 1960 წლის სსკ-ის 124-ე მუხლი, რომლითაც იხვეობდა „მშობლების მიერ ბოროტად თავის არიდება შვილების რჩენისათვის სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მოსამართლის დადგენილებით დაკისრებული სახსრების გადახდისაგან“. უკანასკნელ შემთხვევაში იგულისხმებოდა სწორედ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე ალიმენტის წინასწარი გადახდევინება.

რები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი დები და ძმები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ და არ შეუძლიათ სარჩო მიიღონ მშობლებისაგან. ასეთივე მოვალეობა ეკისრებათ მათ იმ შრომისუუნარო სრულწლოვანი დების და ძმების მიმართ, რომლებსაც არ შეუძლიათ სარჩოს მიღება მშობლების, მეუღლის ან შვილებისაგან (1223-ე მუხლი). საალიმენტო მოვალეობა ეკისრება შვილიშვილს შრომისუუნარო პაპისა და ბების მიმართ, თუ მათ არ შეუძლიათ მიიღონ სარჩო შვილისაგან ან ერთმანეთისაგან, ასევე პაპისა და ბებიას არასრულწლოვანი, ან სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილიშვილის მიმართ, რომელიც დახმარებას საჭიროებს და არ შეუძლია სარჩოს მიღება თავისი მშობლების, მეუღლის ან შვილებისაგან. იგივე შეიძლება ითქვას დედინაცვლისა და მამინაცვლის, გერის, აღმზრდელისა და აღსაზრდელის საალიმენტო მოვალეობებზე.

საქართველოს სსკ-ის 176-ე მუხლი ითვალისწინებს ყველა დასახელებულ პირთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ ისინი თავს აარიდებენ სასამართლოს მიერ დაკისრებული ალიმენტის გადახდას.

განსახილველი დანაშაულის ობიექტია იმ ადამიანის ჯანმრთელობა, ვის სასარგებლოდაც კაცს დაკისრებული აქვს ალიმენტის გადახდის ვალდებულება. როდესაც მშობელი არ უხდის არასრულწლოვან შვილს ალიმენტს, მაშინ დანაშაული, გარდა მოზარდის ჯანმრთელობისა, ხელყოფს მისი ნორმალური აღზრდისა და განვითარების ინტერესებს.

სსკ-ის 176-ე მუხლით პასუხისმგებლობას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ალიმენტის გადახდის დაკისრების თაობაზე ან კიდევ ალიმენტის წინასწარი გადახდევინების სასამართლოს განჩინება.<sup>1</sup>

---

1 აღსანიშნავია, რომ საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლი ორი შემადგენლობისგან შედგებოდა. გარდა შვილებისათვის სასამართლოს მიერ დაკისრებული ალიმენტის გადაუხდელობისა, სისხლის სამართლის წესით ისჯებოდა აგრეთვე „მშობლების მიერ თავის არიდება მათ კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი ან შრომისუუნარო ბავშვების რჩენისაგან“. ამ მეორე შემადგენ-

კანონის ტექსტში ლაპარაკია ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდებაზე. „ჯიუტად თავის არიდება“ შეფასებითი ნიშანია. „იმის დადგენა, არის თუ არა ალიმენტის გადაუხდელობა ჯიუტი, წყდება ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ალიმენტის გადაუხდელობის ხანგრძლივობის, მიზეზებისა და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით“.<sup>1</sup> სიტყვა „ჯიუტად“ მიუთითებს იმაზე, რომ დანაშაულის შემადგენლობის არსებობისათვის არ არის საკმარისი ალიმენტის გადაუხდელობის ერთი-ორი შემთხვევის დადგენა. საჭიროა სისტემატურობის ნიშნის არსებობა. პირი ყველანაირად ცდილობს თავი აარიდოს ალიმენტის გადახდას: ხშირად იცვლის საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილს, რათა თავიდან აიცილოს ალიმენტის თანხის ხელფასიდან დაკავება, მალავს თავის ნამდვილ შემოსავალს, წარადგენს უმუშევრობის ყალბ დოკუმენტს, აყალბებს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს, იცვლის სახელსა და გვარს, რათა აღმასრულებელმა ვერ შეძლოს ალიმენტის გადახდევინება და ა.შ. უკანასკნელ შემთხვევებში დამნაშავე პასუხს აგებს სსკ-ის 176-ე და 362-ე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება) მუხლების ერთობლიობით. ჯიუტად თავის არიდებაზე მიუთითებს ვალდებული პირის „არაერთგზისი ოფიციალური გაფრთხილება ვალდებულების შესრულების თაობაზე, ანალოგიური დანაშაულის განმეორებით ჩადენა, საცხოვრებელი ადგილიდან მიმალვის შემდეგ ვალდებულ პირზე ძებნის გამოცხადება“.<sup>2</sup> განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დროის ხანგრძლივობას, რომლის განმავლობაშიც გრძელდებოდა ალიმენტის გადაუხდელობა. ყველაზე

---

ლობის არსებობისათვის სასამართლოს გადაწყვეტილება ალიმენტის დაკისრების თაობაზე საჭირო არ იყო. იგი მოიცავდა „მშობლის მიერ თავის არიდებას ბავშვის რჩენისაგან, ტანისამოსის და სხვა საჭირო ნივთების, ასევე აუცილებელი საცხოვრებელი ფართობის მიცემისაგან და ა.შ“. (ვ. მაყაშვილი, მ. მაჭაყარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბილისი, 1980, გვ. 129). ამჟამად მოქმედი კოდექსი ამგვარ ქმედებათა დასჯადობას არ ითვალისწინებს. ასეთ მშობელს შეიძლება ჩამოერთვას მშობლის უფლება ან დაეკისროს ადმინისტრაციული ან დისციპლინური პასუხისმგებლობა.

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2006, გვ.319.

2 Уголовное право: Общая и Особенная части, М., 2008, с.440.

გონივრულ ვადად მიგვაჩნია ექვს თვეზე მეტი ხანი. ამ ვადის გასვლის შემდეგ სრული საფუძველი გვაქვს ჩავთვალოთ, რომ პირი ჯიუტად არიდებს თავს სასამართლოს მიერ დაკისრებული ალიმენტის გადახდას, თუ რა თქმა უნდა, არ არსებობს რაიმე საპატიო გარემოება.

გიორგი გ-შვილი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა შორენა ბ-ძესთან. 2001 წლის მათ შეეძინათ ვაჟი სულხან გ-შვილი. 2003 წლის იანვარში მეუღლესთან სისტემატური უთანხმოების გამო მან მიატოვა ოჯახი, რის შემდეგაც არავითარ ყურადღებას არ იჩენდა მცირეწლოვანი შვილის მიმართ. შორენა ბ-ძემ ალიმენტის დაკისრების თაობაზე სასამართლოში სარჩელი შეიტანა. გიორგი გ-ს მცირეწლოვანი შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა თვეში 25 ლარის ოდენობით, ბავშვის სრულწლოვანებამდე. ერთი წლის განმავლობაში იგი ყოველთვიურად იხდიდა დაკისრებულ თანხას. 2004 წლის აპრილიდან კი ყოველგვარი საპატიო მიზეზის გარეშე შეწყვიტა ალიმენტის გადახდა შვილის სასარგებლოდ, რაც არაერთგზისი ოფიციალური გაფრთხილებისა და ყოფილი მეუღლის ახლობლების თხოვნის მიუხედავად, გაგრძელდა ორ წელზე მეტ ხანს.

გიორგი გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 176-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და შეეფარდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან ორმოცი საათის ვადით. დამატებითი სასჯელის სახით კი განესაზღვრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

როგორც აღნიშნული იყო, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს პირის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას. აქ იგულისხმება როგორც ძირითადი, ისე შეთავსებითი სამუშაოდან მიღებული შემოსავალი. აქედან გამომდინარე, განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა გვექნება მაშინაც, როცა პირი მალავს შეთავსებით მუშაობის ფაქტს. 176-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის არსებობისათვის საჭიროა მუდმივი შემოსავლის წყაროს დაფარვა. როცა კაცი ფარავს თავის ერთჯერად შემოსავალს, ხსენებული დანაშაული არ გვექნება.

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობის არსებობისათვის აუცილებელია კაცს ჰქონდეს ალიმენტის გადახდის ფაქტიური შესაძლებლობა. „ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდებად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც პირმა დროებით დაანება თავი სამუშაოს რაიმე საპატიო გარემოების გამო (მაგალითად, ასპირანტურაში განაგრძო სწავლა) ან როდესაც პირს არა აქვს შესაძლებლობა შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება დროებითი ან მუდმივი ინვალიდობის გამო, რამაც მას შრომის უნარი დაუკარგა დროებით ან მუდმივად“.<sup>1</sup> 176-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არ გვექნება, როცა კაცმა ვერ შეძლო ალიმენტის გადახდა მოულოდნელი დამატებითი ხარჯების გამო, რაც გამოწვეულია მაგალითად, ოჯახის წევრის ავადმყოფობით, იქნება ეს მშობელი, მეორე ქორწინებიდან შეძენილი შვილი თუ სხვა.

1998 წლიდან მერაბ ა-შვილი კანონიერ ქორწინებაში იმყოფებოდა მაგული ი-ძესთან. თანაცხოვრების პერიოდში მათ შეეძინათ ორი შვილი – ანა და თამარ ა-შვილები. 2001 წლის ოქტომბერში მეუღლეები განქორწინდნენ და მერაბ ა-ს შვილების სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა თვეში 25-25 ლარის ოდენობით. გარკვეული ხნის განმავლობაში იგი იხდიდა დაკისრებულ თანხას, მაგრამ 2005 წლის სექტემბრიდან შეწყვიტა ალიმენტის გადახდა, რაც მაგული ი-ძისა და მისი ახლობლების არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, გაგრძელდა რვა თვის განმავლობაში. გადასახდელმა თანხამ 2005 წლის სექტემბრიდან 2006 წლის აპრილის ჩათვლით 400 ლარი შეადგინა. ეს თანხა მერაბ ა-მ დაფარა მას შემდეგ, რაც მასზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდების გამო.

წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოსათვის მიცემულ ჩვენებებში მერაბ ა-შვილი აღნიშნავდა, რომ მას არ აურიდებია თავი ალიმენტის გადახდისათვის. საალიმენტო დავალიანების დაგროვება განაპირობა იმან, რომ 2005 წლის აპრილში მეორე ქორ-

---

<sup>1</sup> ზაურ წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, პირველი ტომი, თბილისი, 2000, გვ.361.

წინებიდან შეეძინა ბავშვი, რომელიც გარკვეული ხნის განმავლობაში ავად ჰყავდა და მის მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯების გამო ვერ ახერხებდა ალიმენტის გადახდას.

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვის ავადმყოფობა სულ რამდენიმე კვირა გაგრძელდა. გარდა ამისა, საალიმენტო დავალიანების დაგროვება დაემთხვა იმ პერიოდს, როცა მერაბ ა-შვილი შპს „...

ში“ გადავიდა სამუშაოდ და საკმაოდ მაღალი ანაზღაურება ჰქონდა. გაირკვა აგრეთვე, რომ იგი ადრეც თვეობით აკვიანებდა ალიმენტის გადახდას, რაც ყოფილი მეუღლის უკმაყოფილებას იწვევდა. ამ უკანასკნელის ახლობლებმა არაერთხელ მიმართეს მერაბ ა-ს ალიმენტის თანხის დროულად გადახდის მოთხოვნით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ არ გაიზიარა განსასჯელის ჩვენება, რომ მას არ შეეძლო ყოველთვიურად ალიმენტის გადახდა და ჯიუტად არ არიდებდა თავს მის გადახდას.

მერაბ ა-შვილი ცნობილი იყო დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 176-ე მუხლით და შეეფარდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 150 საათის ვადით. დამატებითი სასჯელის სახით კი – ჯარიმა 500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

უმუშევრობა არ ათავისუფლებს პირს სსკ-ის 176-ე მუხლით პასუხისმგებლობისაგან, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მას ჰქონდა შემოსავლის წყარო და შეეძლო დაკისრებული ალიმენტის გადახდა. მაგალითად, კაცს გაქირავებული აქვს ბინა, ფლობს წილს ან აქციებს და ღებულობს დივიდენდს, სახლში ამეცადინებს მოსწავლეებს, ეწევა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, საიდანაც მიღებული შემოსავლიდან შეეძლო ალიმენტის გადახდა და ა.შ. სასამართლომ ყურადღებით უნდა შეისწავლოს საქმის გარემოებები, რათა დაადგინოს, აქვს თუ არა უმუშევარს რაიმე შემოსავალი, საიდანაც შეძლებს დაკისრებული თანხის გადახდას. სასამართლო პრაქტიკაში არც თუ იშვიათია უმუშევართა მსჯავრდების შემთხვევები სსკ-ის 176-ე მუხლით.

ზშირად სისხლის სამართლის საქმეთა მასალებიდან არ ჩანს, რომ წინასწარი გამოძიება და სასამართლო დაინტერესდნენ უმუშევრის მატერიალური მდგომარეობით, მისი შემოსავლის წყაროთა დადგენით და ალიმენტის გადაუხდელობის მიზეზებით.

მალხაზ გ-ძეს მსჯავრი დაედო სსკ-ის 176-ე მუხლით და შეეფარდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 200 საათით. იგი 1993 წლიდან კანონიერ ქორწინებაში იმყოფებოდა ლია შ-შვილთან. 1993 წლის მათ შეეძინათ ვაჟიშვილი სოსო გ-ძე. 2004 წლის ოქტომბერში სასამართლოს გადაწყვეტილებით მეუღლეები განქორწინდნენ. მალხაზ გ-ს შვილის სასარგებლოდ, მის სრულწლოვანებამდე დაეკისრა ალიმენტის გადახდა თვეში 50 ლარის ოდენობით. სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანიდან 6-7 თვის განმავლობაში იგი კეთილსინდისიერად იხდიდა ალიმენტს, მაგრამ შემდეგ შეწყვიტა მისი გადახდა, რაც გაგრძელდა ერთი წელი. მხოლოდ ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემის შემდეგ მალხაზ გ-მ გადაიხდა დაკისრებული ალიმენტის ორი თვის თანხა. სასამართლო პროცესის დროისათვის კი გადასახდელი ჰქონდა 500 ლარი.

მალხაზ გ-მ წინასწარი გამოძიების ეტაპზე და საქმის სასამართლო განხილვისას თავი სცნო დამნაშავედ და ითხოვა პატიება, თუმცა აღნიშნა, რომ „ბოლო ერთი წელია არის უმუშევარი და ამიტომ ვერ გადაიხდა ალიმენტი“. ეს გარემოება წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა. მალხაზ გ-ს უმუშევრობა ზუსტად ემთხვევა საალიმენტო დავალიანების პერიოდს. ამიტომ ეს ფაქტი სპეციალური ყურადღების ღირსი იყო. წინასწარი გამოძიება და სასამართლო არ დაინტერესებულან უმუშევარი გ-ძის ფინანსური მდგომარეობით, კერძოდ: ჰქონდა თუ არა მას რაიმე შემოსავალი, საიდანაც შეძლებდა ალიმენტის გადახდას, ალიმენტის გადაუხდელობა უსახსრობით იყო განპირობებული თუ მისი გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდების სურვილით. მეტიც, განსასჯელის უმუშევრობის ფაქტი სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოების სახითაც კი არ გაითვალისწინა. ამგვარ გარემოებებად

მიჩნეულია მხოლოდ ის, რომ „განსასჯელმა მთლიანად სცნო თავი დანაშაუვად წარდგენილ ბრალდებაში და გულწრფელად მონანია დანაშაული, ნასამართლევი არ არის“. აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლოს განაჩენში, განსასჯელის ანკეტურ მონაცემთა ნუსხაში საერთოდ არ არის ნახსენები მისი უმუშევრობის ფაქტი. აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე ეს ფაქტი უთუოდ იმსახურებს საგანგებო ყურადღებას.

სსკ-ის 176-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის შედეგის დადგომა საჭირო არ არის. საკმარისია სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება. როგორც აღნიშნული იყო, ალიმენტის გადაუხდელობით საფრთხე ექმნება იმ ადამიანის ჯანმრთელობას, ვის სასარგებლოდაც კაცს დაეკისრა ალიმენტის გადახდა. თუმცა ეს საფრთხე შორეულია და შეიძლება არც იყოს რეალიზებული. ე.ი. ჯანმრთელობა რეალურად არ დაზიანდეს. უკანასკნელ შემთხვევაშიც სახეზეა დამთავრებული დანაშაული. ასე რომ, ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტია. შედეგის დადგომა მხედველობაში მიიღება მხოლოდ სასჯელის განსაზღვრის დროს. მაგალითად, უსახსრობის გამო დედამ ავადმყოფ ბავშვს სათანადოდ ვერ უმკურნალა, რამაც ბავშვს ჯანმრთელობა დაუზიანა.

ალიმენტის გადახდისათვის ბოროტად თავის არიდება დენადი დანაშაულია. „იგი დამთავრებულია კანონში მითითებული ქმედების ჩადენის მომენტიდან და გრძელდება დამთავრებული დანაშაულის სტადიით იქამდე, სანამ არ შეწყდება დანაშაული (მაგალითად, ბრალის აღიარებით გამოცხადება, ძებნილი პირის აღმოჩენა და სხვა), ან იმ გარემოების დადგენა, როდესაც პირს უწყდება ალიმენტის გადახდის ვალდებულება (მაგალითად, მშობლის სიკვდილი, ვის სარჩენადაც დადგენილი იყო ალიმენტის გადახდა ან ბავშვის მიერ თვრამეტი წლის ასაკს მიღწევა და სხვა)“.<sup>1</sup>

დანაშაულის ჩადენა შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახ-

---

1 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2006, გვ. 319.



ვით. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ საპატიო მიზეზის გარეშე, ჯიუტად არიღებს თავს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდას და სურს ეს. მოტივს უმეტესად წარმოადგენს ანგარება. შესაძლოა პირს ამოძრავებდეს იმ ადამიანისადმი სიძულვილი, შურისძიება და ა.შ., ვის სასარგებლოდაც დაეკისრა ალიმენტის გადახდა.

აღნიშნული კატეგორიის საქმეთა განხილვისას სასამართლო უპირველეს ყოვლისა წყვეტს ალიმენტის არგადამხდელის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს. რაც შეეხება მისთვის საალიმენტო დავალიანების გადახდის დაკისრებას, ეს საკითხი წყდება ამავე სისხლის სამართლის საქმესთან ერთად დაზარალებულის სამოქალაქო სარჩელის საფუძველზე, ან შეიძლება გადაწყდეს სამოქალაქო წესით სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის გამოტანის შემდეგ.

რაიონის სოფელ მკვიდრი ვახტანგ ჯ-ძე 1995 წელს დაქორწინდა ქ. თბილისში, გლდანის მცხოვრებ ლილი დ-შვილზე. ქორწინების პერიოდში მათ შეეძინათ ორი შვილი – უჩა და თენგიზ ჯ-ძეები. მეუღლეებს შორის არსებული უთანხმოების გამო 2001 წლიდან ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. ლილი დ. შვილებთან ერთად დროებით საცხოვრებლად თბილისში, მშობლებთან გადავიდა. ვახტანგ ჯ-ძემ მეუღლესთან და შვილებთან გაწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა და 2003 წლის სექტემბერში ცოლად მოიყვანა ქეთევან ც-შვილი. მათ შეეძინათ ქალიშვილი ნონა ჯ-ძე. ლილი დ-სთან განქორწინების შემდეგ, ამ უკანასკნელის სარჩელის საფუძველზე ვახტანგ ჯ-ძეს 2004 წლის 15 მარტიდან დაეკისრა ალიმენტის გადახდა უჩა და თენგიზ ჯ-ძეების სასარგებლოდ, თითოეულზე თვეში 30 ლარის ოდენობით. მიუხედავად არაერთგზისი გაფრთხილებისა, მას არც ერთხელ არ გადაუხდია დაკისრებული თანხა. საალიმენტო დავალიანებამ ცხრა თვის განმავლობაში 540 ლარი შეადგინა.

ვახტანგ ჯ. ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ის 176-ე მუხლით და შეეფარდა ჯარიმა 300 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სასამართლომ დააკმაყოფილა ლილი დ-ს სამოქალაქო სარჩელი და ვახტანგ ჯ-ძეს დააკისრა საალიმენტო

დავალიანების – 540 ლარის გადახდა მის სასარგებლოდ.

გივი ი-ძე და მედიკო ა-შვილი 1995 წელს დაქორწინდნენ. დაახლოებით ორი თვის ერთად ცხოვრების შემდეგ, ხშირი კონფლიქტების გამო, ისინი დაშორდნენ ერთმანეთს. 1996 წლის

მათ შეეძინათ გოგონა – გიული ი-ძე. გივი ი. სათანადო ყურადღებას არ იჩენდა შვილის მიმართ, რის გამოც მედიკო ა-შვილმა სასარჩელო განცხადება შეიტანა რაიონულ სასამართლოში და მოითხოვა მისთვის ალიმენტის გადახდის დაკისრება. სასამართლოს გადაწყვეტილებით გივი ი-ს დაეკისრა შვილისათვის ალიმენტის გადახდა თვეში 20 ლარის ოდენობით, მის სრულწლოვანებაამდე. ერთი წლის განმავლობაში იგი იხდიდა სასამართლოს მიერ დაკისრებულ თანხას. 2003 წლის აგვისტოდან კი შეწყვიტა ალიმენტის გადახდა. გივი ი-ს საალიმენტო დავალიანებამ 2003 წლის აგვისტოდან 2006 წლის აგვისტომდე შეადგინა შვიდას ოცი ლარი.

გივი ი-ს მსჯავრი დაედო სსკ-ის 176-ე მუხლით და მიესაჯა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. დაზარალებულ მედიკო ა-ს განემარტა, რომ მას უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს სამოქალაქო სარჩელით გივი ი-სათვის საალიმენტო დავალიანების გადახდევინების თაობაზე.

სასამართლო პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია ალიმენტის გადაუხდელობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემთხვევები. 2005-2007 წლებში საქართველოში სამოცდაცხრა ადამიანს დაედო მსჯავრი სსკ-ის 176-ე მუხლით. უმეტესად ესენი არიან განქორწინებული მშობლები, როგორც წესი მამები. ხშირად განსახილველი დანაშაულის ამსრულებლის როლში გვევლინებიან უკანონო შვილის მამები, რომელთაც სასამართლომ მამად ცნობის შემდეგ დააკისრა ალიმენტის გადახდა შვილის სასარგებლოდ.

მარიამ გ-ძე და ამირან ი-შვილი ქორწინების რეგისტრაციის გარეშე ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ ი-შვილის მეგობრის ბინაში. მათ შორის იყო ფაქტიური ცოლ-ქმრული ურთიერთობა, რის შესახებაც იცოდნენ მათმა მშობლებმა და ახლობლებმა. მარიამ გ. ფეხმძიმედ იყო, როდესაც ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. 2000 წლის მარიამ გ-ს შეეძინა ვაჟიშვილი. რაიონული

სასამართლოს გადაწყვეტილებით ამირან ი-შვილი ცნობილი იქნა ბავშვის მამად და დაეკისრა ალიმენტის გადახდა თვეში 30 ლარის ოდენობით. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება ვერ მოხერხდა და ამირან ი. ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჯიუტად არიდებდა თავს ალიმენტის გადახდას.

ამირან ი-შვილს მსჯავრი დაედო სსკ-ის 176-ე მუხლით და შეეფარდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ას ოცი საათის ვადით. სასამართლომ დააკმაყოფილა მარიამ გ-ს სამოქალაქო სარჩელი და ამირან ი-ს მის სასარგებლოდ დააკისრა 1920 ლარის გადახდა. ეს თანხა მოიცავდა როგორც საალიმენტო დავალიანებას, ასევე ამავე პერიოდში ბავშვის აუადმყოფობის გამო გაღებულ დამატებით ხარჯებს, რომლებშიც თავის დროზე ამირან ი-ს, მარიამ გ-ძისა და მისი ახლობლების არაერთგზისი თხოვნის მიუხედავად, მონაწილეობა არ მიუღია.

## შიდაარსი

მუხლი 137.	გაუპატიურება.....	5
მუხლი 138.	სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება ...	45
მუხლი 139.	სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება .....	60
მუხლი 140.	სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან .....	67
მუხლი 141.	გარყვნილი ქმედება.....	73
მუხლი 142.	ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა .....	81
მუხლი 142 <sup>1</sup> .	რასობრივი დისკრიმინაცია.....	89
მუხლი 142 <sup>2</sup> .	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების შეზღუდვა.....	101
მუხლი 143.	თავისუფლების უკანონო აღკვეთა.....	108
მუხლი 143 <sup>1</sup> .	ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) .....	113
მუხლი 143 <sup>2</sup> .	არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) .....	145
მუხლი 143 <sup>3</sup> .	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა .....	165
მუხლი 144.	მძევლად ხელში ჩაგდება.....	169
მუხლი 144 <sup>1</sup> .	წამება.....	182
მუხლი 144 <sup>2</sup> .	წამების მუქარა.....	203
მუხლი 144 <sup>3</sup> .	დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა.....	209
მუხლი 145.	დანაშაულის პროვოკაცია.....	216
მუხლი 146.	უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში.....	243
მუხლი 147.	განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება.....	252
მუხლი 149.	უკანონო მოთავსება ან დაკავება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.....	260
მუხლი 150.	იძულება .....	267
მუხლი 151.	მუქარა.....	283

მუხლი 152.	ადგილსამყოფელის თავისუფლად არჩევის უფლების ხელყოფა.....	293
მუხლი 153.	სიტყვის თავისუფლების ხელყოფა.....	299
მუხლი 154.	ეურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა.....	308
მუხლი 155.	რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა.....	327
მუხლი 156.	დევნა.....	339
მუხლი 157.	პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა.....	349
მუხლი 158.	კერძო საუბრის საიდუმლოების დარღვევა.....	369
მუხლი 159.	პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა .....	376
მუხლი 160.	ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა .....	385
მუხლი 161.	შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფა.....	399
მუხლი 162.	არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განზორციელებისათვის ხელის შეშლა.....	413
მუხლი 163.	საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა.....	433
მუხლი 164.	ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა, ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება.....	438
მუხლი 164 <sup>1</sup> .	ამომრჩევლის მოსყიდვა.....	454
მუხლი 164 <sup>2</sup> .	ყალბი დოკუმენტის საფუძველზე არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილეობის მიღება .....	461
მუხლი 164 <sup>3</sup> .	არჩევნების გაყალბება .....	468
მუხლი 165.	გაფიცვის უფლების ხელყოფა .....	472
მუხლი 166.	პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისათვის ხელის შეშლა.....	478

მუხლი 167.	ინფორმაციის გაცნობაზე უარის თქმა ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა.....	487
მუხლი 168.	შრომის თავისუფლების ხელყოფა.....	491
მუხლი 169.	შრომის კანონმდებლობის დარღვევა.....	497
მუხლი 170.	შრომის დაცვის წესის დარღვევა.....	502
მუხლი 171.	არასრულწლოვნის ჩაბმა ანტიისაზოგა-დობრივ ქმედებაში.....	511
მუხლი 172.	არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით .....	551
მუხლი 172 <sup>1</sup> .	შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების წინასწარი შერჩევა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა .....	571
მუხლი 173.	შვილად ან შვილობილად აყვანის წესის დარღვევა .....	580
მუხლი 174.	ბავშვის შეცვლა .....	596
მუხლი 175.	შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება .....	599
მუხლი 176.	ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება .....	607

**თინათინ ფერეთლის  
სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი**

**სისხლის სამართლის სასამართლო  
პრაქტიკის კომენტარი,**

**დანაშაული აღამიანის ფინალგებ**

**(საქართველოს სისხლის სამართლის  
კოდექსის თავი XXII-XXIV)**

**გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2008**

**რედაქტორი ნელი ელიზბარაშვილი  
ტექ. რედაქტორი ინგა ნავროზაშვილი  
კორექტორი მარინე კილაძე**

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
აღ. ყაზბეგის გამზ. №45  
E – mail: [info@meridianpub.com](mailto:info@meridianpub.com) ☎ 39-15-22